

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

290 / 2
1954

შ რ მ ა ე ბ ე

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА

55

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიბლიოთეკის | მისთვისაა შენობისა და მიწის ნაკვეთის
თანდართული ფონდისა და ბიბლიოთეკის მისთვის

290
1954/2

შრომები

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени С Т А Л И Н А

8259

55

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета имени Сталина

თბილისი

1954



დაიბეჭდა სტაინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- ვ. კუპრაძე (მთავარი რედაქტორი)
- ილ. აბულაძე
- მ. აღექსიშვილი
- ა. ბრეგაძე
- ი. ვვერდწითელი
- ლ. გორგილაძე
- პ. გუჯაბიძე
- ივ. კახაძე
- ს. ჟღენტბი
- ა. ფანცხავა
- ა. ხარაძე
- გ. ხუციშვილი
- ს. ჯორბენაძე

შინაარსი

| | |
|--|-----|
| 1. გ. გამსახურდია, ი. ბ. სტალინი მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკის შესახებ. | 1 |
| 2. ზ. კაკაბაძე, ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-კემმარტიის მომენტთა ურთიერთობის საკითხისათვის აზროვნებაში | 23 |
| 3. დ. ყიფშიძე, კ. დ. უშინსკი პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის შესახებ. | 45 |
| 4. ნ. იაშვილი, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების საკითხისათვის | 59 |
| 5. ი. გურგენიძე, ხელფასი სოციალიზმის დროს. | 87 |
| 6. ნ. ქოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701 — 1761 წწ.). | 109 |
| 7. გ. კილურაძე, ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია. | 139 |
| 8. ალ. ნამორაძე, შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში. | 161 |
| 9. ს. ჟღენტი, ფონემის პრობლემა საბჭოთა ენათმეცნიერებაში | 189 |
| 10. ილ. ცერცვაძე, ანდიური ენის კილოკავები | 213 |
| 11. ელ. გუდიაშვილი, წალკის თურქულენოვან მოსახლეთა მეტყველების ზოგი სინტაქსური თავისებურების შესახებ | 221 |
| 12. გ. გოლეთიანი, რიცხვითი სახელები რუსულსა და ქართულ ენებში. | 231 |
| 13. თ. ბელინსკაია, ფონემა და მისი სახეცვლილებანი | 243 |
| 14. თ. მრევლიშვილი, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი ნ. ვ. გოგოლის მიხედვით | 263 |
| 15. ივ. ქავთარაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი | 295 |
| 16. ნ. ორლოვსკაია, ლ. ტოლსტოის თხზულებათა პირველი თარგმანები. | 313 |
| 17. ქს. სიხარულიძე, ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. | 327 |
| 18. ვ. ნათაძე, გაზეთი „დროება“ ი. ს. ტურგენევის შესახებ. | 353 |
| 19. ლ. მენაბდე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო | 361 |

СОДЕРЖАНИЕ

53. тома

| | |
|---|-----|
| 1. Г. Гамсахурдия, И. В. Сталин о диалектике производительных сил и производственных отношений. | 1 |
| 2. З. Какабадзе, К вопросу о соотношении психологического и логическо-истинного моментов в мышлении. | 23 |
| 3. Д. Кипшидзе, К. Д. Ушинский о связи педагогики с физиологией | 45 |
| 4. Н. Яшвили, К вопросу улучшения планирования сельского хозяйства. | 59 |
| 5. И. Гургенидзе, Заработная плата при социализме. | 87 |
| 6. Н. Коява, Финансы Картли и Кахети в XVIII веке (1701—1761 гг.). | 109 |
| 7. Г. Кигурадзе, Англия и Французская буржуазная революция. | 139 |
| 8. Ал. Наморадзе, Доклад и проект Шарля Дантона о ликвидации общинных земель во Франции, представленный им в 1792 г. в Комитет земледелия | 161 |
| 9. С. Жгенти, Проблема фонемы в советском языкознании. | 189 |
| 10. И. Церцвадзе, Говоры андийского языка. | 213 |
| 11. Ел. Гудиашвили, О некоторых синтаксических особенностях речи цалкинского туркоязычного населения | 221 |
| 12. Г. Голетиани, Числительные в русском и грузинском языках. | 231 |
| 13. Т. Белинская, Фонема и ее видоизменения. | 243 |
| 14. Т. Мревлишвили, Придаточные образа действия по Н. Гоголю. | 263 |
| 15. И. Кавтарадзе, Особенности языка Александра Чавчавадзе. | 295 |
| 16. Н. Орловская, Первые переводы произведений Л. Н. Толстого. | 313 |
| 17. К. Сихарулидзе, Илья Чавчавадзе и народное творчество. | 327 |
| 18. В. Натадзе, Газета „Дроеба“ о И. С. Тургеневе | 353 |
| 19. Л. Менабде, По поводу нового издания „Вепхисткаосани“ („Витязь в тигровой шкуре“). | 361 |

3. გამსახარია

ი. ბ. სვალინი მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით უკეთესობათა დიალექტიკის შესახებ

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში პირველად შეიმუშავეს მეცნიერული მოძღვრება საზოგადოების განვითარების კანონებზე—ისტორიული მატერიალიზმი. წინააღმდეგ მექანიკური, იდეალისტური შეხედულებებისა საზოგადოებასა და მის განვითარებაზე, მათ დაასაბუთეს, რომ საზოგადოების განვითარება ბუნებრივ-ისტორიულ, ობიექტურ-კანონზომიერ პროცესს წარმოადგენს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები პირველადია, ხოლო იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებანი, პოლიტიკური დაწესებულებანი—მეორადი. ბუნების ისტორიისაგან განსხვავებით, რომელიც ბუნების პასიური მონაწილეობით ხორციელდება, საზოგადოების ისტორია ხალხის მასების მიერ იქმნება, რაც გაპირობებულია საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით.

მარქსმა და ენგელსმა ნათელყვეს, რომ, თუმცა ადამიანები განზე არ დგანან ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის არჩევის საქმეში, მაგრამ ამავე დროს ერთი საზოგადოებრივი წყობილების მეორით შეცვლა, რაც რევოლუციური გზით ხორციელდება, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით არის გამოწვეული. მათ გამოარკვეეს, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში საბოლოო ჯამით განმსაზღვრელია წარმოება, წარმოების წესი. „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი,—წერს მარქსი,—განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას“¹.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს საზოგადოების განვითარების ძირითადი და გადამწყვეტი ძალის—წარმოების, წარმოების წესის, მისი მხარეების—მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით უკეთესობათა დიალექტიკური დამოკიდებულების მეცნიერული ახსნა.

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, სახელგამი, 1953 წ., გვ. 10.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საქმე განაგრძეს გენიალურმა ლენინმა და მისმა მოწაფემ დიდმა სტალინმა; მათ დაიცვეს და შემდეგ განავითარეს მარქსიზმი, კერძოდ, მარქსისტული მოძღვრება საზოგადოების განვითარებისა და ამ განვითარებაში გადამწყვეტი ძალის—წარმოების, წარმოების წესის შესახებ.

*
* *

ი. ბ. სტალინმა ახალი ისტორიული ვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე ყოველმხრივ გააშუქა და შემდგომ განავითარა წარმოების, წარმოების წესის, მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკური კავშირის საკითხები.

ი. ბ. სტალინი შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ გვაძლევს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების გენიალურ დახასიათებას. ამის მიხედვით გეოგრაფიული გარემო, რომელიც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივსა და აუცილებელ პირობას წარმოადგენს, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, მაგრამ ეს გავლენა არ არის განმსაზღვრელი.

გეოგრაფიული გარემო, რომელიც ნელი ცვლილებებით ხასიათდება, არ შეიძლება განმსაზღვრელი იყოს საზოგადოების სწრაფი განვითარებისა. საქმე ისაა, რომ გეოგრაფიული გარემოს რამდენადმე სერიოზული ცვლილებებისათვის საჭიროა მილიონობით წლები; ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილება კი სწრაფად იცვლება.

გეოგრაფიული გარემოს როლის სწორი გაგება უპირისპირდება ბურჟუაზიული სოციოლოგების შეხედულებებს, რომლებიც აზვიადებენ გეოგრაფიული გარემოს როლს და მას საზოგადოების მთავარ მამოძრავებლის მნიშვნელობას ანიჭებენ (მონტესკიე—ფრანგი განმანათლებელი, ბოკლი—ინგლისელი ბურჟუაზიული სოციოლოგი, სოლოვიოვი, მეჩნიკოვი — რუსი სოციოლოგები და თანამედროვე გეოპოლიტიკოსები). გეოგრაფიული გარემოს როლის ასეთი გაგება ბურჟუაზიულ-რეაქციულია. ეს რეაქციული მიმდინარეობა სოციოლოგიაში ემსახურებოდა და ემსახურება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს. თანამედროვე გეოპოლიტიკოსები ცდილობენ იმპერიალიზმის კოლონიურ-დაპყრობითი მიზნების გამართლებას. ეს რეაქციული თეორია სამართლიან საქმედ თელის ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობისაკენ მიწრაფებას, რასაც არაფერი საერთო არ აქვს საკითხის სწორ გაგებასთან, მეცნიერებასთან.

ი. ბ. სტალინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა არსებულ ყალბ თეორიებს საზოგადოებაზე მოსახლეობის ზრდის გავლენის შესახებ და ყოველმხრივ დაასაბუთა, თუ ნამდვილად რა ხასიათისაა ეს გავლენა.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული სოციოლოგების (სპენსერის, მალთუსისა და თანამედროვე მალთუსიანელების — ვ. ფოგტის და სხვების მტკიცებისა იმის შესახებ, რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზო-

გადოებრივ ცხოვრებაზე, ი. ბ. სტალინმა მარქს-ენგელს-ლენინის დებულებებზე დაყრდნობით კლასიკურად ჩამოაყალიბა საზოგადოებაზე მოსახლეობის სიმჭიდროვის გავლენის საკითხი. მოსახლეობის ზრდას უდავოდ აქვს გავლენა საზოგადოებაზე, იგი აადვილებს ან ანელებს საზოგადოების განვითარებას, მაგრამ იგი არ არის საზოგადოების განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი. მაგ., მოსახლეობის ზრდა ვერ გვაძლევს იმის გასაღებს, თუ პირველყოფილ-თემური წყობილება რატომ იცვლება მონათმფლობელობით, მონათმფლობელობა — ფეოდალიზმით, ფეოდალიზმი — კაპიტალიზმით, ხოლო ეს უკანასკნელი — სოციალიზმით.

მოსახლეობის სიმჭიდროვის ბურჟუაზიულ-რეაქციული თეორია კაპიტალიზმს ემსახურება. მას იყენებს იმპერიალიზმი ომების გაჩაღებისა და მოსახლეობის გაქლეტის „აუცილებლობის“ დასაბუთებისათვის. რა თქმა უნდა, კატეგორიული ამ მხეკურ იდეოლოგიას არაფერი საერთო აქვს საზოგადოების განვითარების სწორ გავებასთან.

ი. ბ. სტალინმა დაიცვა და განავითარა მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში განმსაზღვრელი წარმოების წესი — აღამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საარსებო საშუალებების მოპოვების წესი, მატერიალური დოვლათის შექმნის წესი.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან არა იმით, თუ რა იწარმოება, არამედ იმით, თუ როგორ იწარმოება, ე. ი. როგორია წარმოების წესი. საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები ეკონომიურ განვითარებაში არა მარტო თავიანთ სპეციფიკურ ეკონომიურ კანონებს ემორჩილებიან, არამედ იმ ეკონომიურ კანონებსაც, რომლებიც საერთოა ყველა ფორმაციისათვის. ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის საერთოა: მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის, მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ურთიერთობის, მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიური კანონები. ამრიგად, როგორც დიდი სტალინი აღნიშნავს, „...საზოგადოებრივი ფორმაციები არა მარტო გამოყოფილია ერთიმეორისაგან თავიანთი სპეციფიკური კანონებით, არამედ დაკავშირებულიც არიან ერთმანეთთან ყველა ფორმაციისათვის საერთო ეკონომიური კანონებით“¹.

აღამიანები, განსხვავებით ცხოველებისაგან, წარმოების იარაღის მკეთებელი არიან; მოქმედებენ რა ბუნებაზე, გარდაქმნიან მას; ამავე დროს მოქმედებენ ერთმანეთზეც, გარდაქმნიან საკუთარ თავსაც.

წარმოება სოციალური ბუნებისაა, იგი ყოველთვის და ყველა პირობაში საზოგადოებრივი წარმოებაა.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1953წ., გვ. 184.

რას წარმოადგენენ მწარმოებლური ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი, როგორია მათი არსი? ამ საკითხის გარჩევა აუცილებელია მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკური კავშირის გაგებისათვის.

* * *

ი. ბ. სტალინმა მოგვცა მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა არსის კლასიკური განსაზღვრება.

მწარმოებლურ ძალებში იგულისხმება წარმოების იარაღები და ადამიანები, რომლებიც ამოძრავებენ წარმოების იარაღებს და ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას განსაზღვრული საწარმოო გამოცდილებისა და შრომის ჩვევების მეოხებით.

მწარმოებლური ძალები გამოხატავენ ადამიანთა დამოკიდებულებას საგნებისა და ბუნების ძალებისადმი, ხოლო წარმოებით ურთიერთობანი — ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას წარმოების პროცესში.

წარმოებით ურთიერთობაში იგულისხმება:

ა) წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები, ბ) აქედან გამომდინარე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობა წარმოებაში და მათი ურთიერთდამოკიდებულება, გ) მათზე დამოკიდებული პროდუქტების განაწილების ფორმები.

წარმოების პროცესში, მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში, ადამიანთა შორის მყარდება ურთიერთობანი, რასაც წარმოებითი ურთიერთობანი ეწოდება. ი. სტალინი იცავს და ავითარებს კ. მარქსის იმ ცნობილ აზრს, რომ „...თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება“¹, ეს ურთიერთობანი საზოგადოების ეკონომიური წყობილებაა, ბაზისია. წარმოებითი ურთიერთობანი სამი სახის შეიძლება იყოს:

ა) ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების, ბ) ბატონობისა და დამორჩილების და გ) წარმოებით ურთიერთობათა ერთი ფორმიდან მეორეზე გარდამავალი ურთიერთობანი.

როგორც მწარმოებლური ძალები, ასევე წარმოებითი ურთიერთობანი წარმოების ორი აუცილებელი მხარეა. კ. მარქსი ჯერ კიდევ 1846 წ. პ. ანენკოვისადმი წერილში მიუთითებდა, რომ ადამიანები სრულიადაც არ არიან თავისუფალნი საზოგადოების ამა თუ იმ ფორმის არჩევაში, რომ „...ეკონომიური ფორმები, რომლებშიაც ადამიანები წარმოებას, მოხმარებას, გაცვლა-გამოცვლას ეწევიან, წარმატებულ და ისტორიულ ფორმებს

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 10.

წარმოადგენენ“¹. საზოგადოების განვითარების ისტორია არის ისტორია წარმოებისა, წარმოების წესებისა, ისტორია მწარმოებლურ ძალთა და ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოების ისტორია არის ისტორია საწარმოო პროცესის ძირითადი ძალებისა, — მშრომელი მასებისა. ცხადია, ისტორიული მეცნიერებისათვის პირველხარისხოვანი საქმეა წარმოების, მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების შესწავლა.

ი. სტალინიმა შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ მოგვცა წარმოების სამი თავისებურების კლასიკური დახასიათება. ხაზი გაუსვა მწარმოებლურ ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ადგილსა და როლს წარმოების პროცესში, საზოგადოების განვითარების ისტორიაში.

წარმოების პირველი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის ცვლილებასა და განვითარებას განიცდის, ეს ცვლილებანი იწვევენ მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის გარდაქმნას; ცვლილებანი და განვითარება წარმოების პროცესებისა ყოველთვის იწყება მწარმოებლურ ძალთა, უწინარეს ყოვლისა, წარმოების იარაღების ცვლილებებიდან და განვითარებიდან. ეს შეადგენს მეორე თავისებურებას. დასასრულს, წარმოების მესამე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებლური ძალები და მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი წარმოიშობიან ძველი წყობილების წიაღში სტიქიურად, შეუგნებლად. ასე მიმდინარეობს პროცესი, სანამ აღმოცენებული და განვითარებული მწარმოებლური ძალები „მოასწრებდნენ ჯეროვნად მომწიფებას“. ამის შემდეგ კი მდგომარეობა იცვლება; იწყება ახალი კლასების შეგნებული საქმიანობა, ნათლად ამჟღავნდება ახალი საზოგადოებრივი იდეების, ახალი პოლიტიკური დაწესებულებების, ახალი პოლიტიკური ხელისუფლების უდიდესი როლი ძველ წარმოებით ურთიერთობათა ძალდატანებით გაუქმებისა, რევოლუციური გზით გარდაქმნისა და ახალ წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრების საქმეში. ამრიგად, „განვითარების სტიქიური პროცესი, — აღნიშნავს სტალინი, — ადგილს უთმობს ადამიანთა შეგნებულ საქმიანობას, მშვიდობიანი განვითარება—ძალდატანებითს გადატრიალებას, ევოლუცია—რევოლუციას“². ამასთან, სპეციფიკურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობის სფეროში. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იქმნებიან ეს ურთიერთობანი. საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპოა რა ყოველგვარი ექსპლოატაცია, თითქმის „ცბრიელ ადგილზე“ შექმნა მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები. აღნიშნული საკითხების კონკრეტიზაცია

¹ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩული წერილები, სახელგამი, 1949 წ., გვ. 19.

² ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 702.

და შემდგომი განვითარება მოცემულია ი. სტალინის უკანასკნელ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“.

*
* *

მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის დიალექტიკური კავშირია. ისინი ერთიმეორეს განაპირობებენ. აქ საქმე გვაქვს არასაზოგადოების მატერიალური მხარის მიერ იდეური მხარის გაპირობებასთან (არა ყოფიერების მიერ ცნობიერების, საზოგადოებრივი ყოფიერების მიერ საზოგადოებრივი ცნობიერების გაპირობებასთან, რაც ნიშნავს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტურ გაგებას), არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში გადამწყვეტი პირობის — წარმოების, წარმოების წესის ორი მხარის ურთიერთდამოკიდებულებასთან.

ცხადია, აქ საქმე გვაქვს ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავებულ ორ სხვადასხვა დამოკიდებულებასთან, რომელთა ერთმეორეში არევა ყოველად შეუძლებელია.

მწარმოებლური ძალების არსებობა, განვითარების რა დაბალი დონეც უნდა გვქონდეს მხედველობაში, ყოველად წარმოუდგენელია მის შესაბამის გარკვეულ წარმოებით ურთიერთობათა გარეშე.

როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, წარმოებაში, წარმოების წესში მწარმოებლური ძალები წარმოადგენენ ყველაზე მოძრავსა და რევოლუციურ ელემენტს, ისინი განსაზღვრავენ წარმოების განვითარებას, წარმოებით ურთიერთობებს. ადამიანთა წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებებს წინ უსწრებს ცვლილებანი მწარმოებლური ძალებისა, „მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარმოებითი ურთიერთობანი გავლენას არ ახდენენ მწარმოებლურ ძალთა განვითარებაზე და რომ ეს უკანასკნელნი დამოკიდებული არ არიან პირველთაგან“¹.

ამაზე ნათლად მეტყველებს მწარმოებლური ძალების განვითარების მთელი ისტორია.

ქვის უხეში იარაღებიდან მშვილდ-ისარზე გადასვლამ გამოიწვია მონადირული ცხოვრებიდან ცხოველთა მოშინაუროებასა და პირველყოფილ მეჯოგეობაზე გადასვლა; ლითონის იარაღებზე გადასვლამ — მიწათმოქმედებაზე გადასვლა, მასალათა დასამუშავებელი ლითონის იარაღების შემდგომმა გაუმჯობესებამ — ხელოსნობის განვითარება, მანუფაქტურული წარმოების განვითარება; მანქანაზე გადასვლამ განაპირობა სამანქანო მრეწველობის შექმნა; მანქანათა სისტემაზე გადასვლამ გამოიწვია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის წარმოშობა. ისტორიულად წარმოების იარაღების ცვლილება-განვითარება იწვევდა მწარმოებლურ ძალთა უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ადამიანებისა და მათ ურთიერთობათა განვითარებას. საზოგადოების მწარმოებლური ძალების ცვლილებებისა და განვითარების მიხედვით ისტორიის მთელ მანძილზე იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ათამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი, მათი ეკონომიური ურთიერთობანი.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 692.

ისტორია იცნობს წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს; ესენია: პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური.

წარმოებითი ურთიერთობანი არ შეიძლება დიდხანს ჩამორჩებოდნენ მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს და კიდევაც ხალხის მასების მოქმედებით ისინი შესაბამისნი ხდებიან. წინააღმდეგ შემთხვევეში, როგორც სტალინი აღნიშნავს, მთლიანად წარმოების რღვევასთან გვეჭნებოდა საქმე.

მწარმოებლური ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიური კანონი, რომლის კლასიკური ფორმულირება მოკემულია ი. სტალინის მიერ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, გამოხატავს წარმოების ორი მხარის შინაგან ორგანულ კავშირს, შინაგან წინააღმდეგობრივ ურთიერთობას, აუცილებელ შესაბამისობას. ეს კანონი ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში მოქმედებს და ამდენად საერთოა მათთვის. ამ კანონს სტიქიურად ეყრდნობოდა ბურჟუაზია ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და კიდევაც გაიმარჯვა. ამ კანონს ეყრდნობა პროლეტარიატი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მასზე დაყრდნობამ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატს კაპიტალიზმზე გამარჯვება მოუპოვა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მწარმოებლური ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის კანონს წინ ელობებიან რეაქციული ძალები, ისინი ცდილობენ, რომ არ მისცენ მას გასაქანი, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა გამოიყენა რა ეს კანონი, დასძლია რეაქციული ძალები, დაამხო ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი და მოიყვანა წარმოებითი ურთიერთობანი მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირმა.

ის გარემოება, რომ მწარმოებლური ძალების განვითარება განსაზღვრავს წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს, იმას როდი ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი პასიურ როლს ასრულებდეს საერთოდ. წარმოებითი ურთიერთობანი ზემოქმედებას ახდენენ მწარმოებლური ძალების განვითარებაზე: ან ამუხრუჭებენ, ან ხელს უწყობენ მას. მაგრამ არა ყოველგვარი წარმოებითი ურთიერთობანი ბორკავენ მწარმოებლური ძალების განვითარებას, არამედ მხოლოდ ძველი წარმოებითი ურთიერთობანი, ხოლო ახალი წარმოებითი ურთიერთობანი ყოველმხრივ ხელს უწყობენ მწარმოებლური ძალების ზრდასა და განვითარებას. „...ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, — აღნიშნავს სტალინი, — წარმოადგენენ იმ მთავარ და გადამწყვეტ ძალას, რომელიც საკუთრივ განსაზღვრავს კიდევც მწარმოებლურ ძალთა შემდგომ, თანაც მძლავრ განვითარებას და ურომლისოდაც მწარმოებლური ძალები განწირულია გასაყინავად, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში“¹. სწორედ იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანაში ძველი წარმოებითი ურთიერთობანი დამხობილ იქნა და შეიქმნა ახალი წარმოებითი

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 150—160.

ურთიერთობანი, მწარმოებლური ძალების განვითარება სწრაფად წავიდა წინ. საქმე ისაა, რომ ახალი წარმოებითი ურთიერთობანი მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარების მთავარი მამოძრავებელია. საერთოდ, როცა წარმოებითი ურთიერთობანი იწყებენ დაძველებას, მწარმოებლური ძალების განვითარების მუხრუჭად იქცევიან¹.

„ეს თავისებურება, — აღნიშნავს სტალინი, — წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა მწარმოებლურ ძალთა მუხრუჭის როლიდან მათი წინწამყვანი მთავარი მამოძრავებლის როლისაკენ და მთავარი მამოძრავებლის როლიდან მწარმოებლურ ძალთა მუხრუჭის როლისაკენ, — შეადგენს მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს“².

მწარმოებლური ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა კავშირი, ურთიერთშესაბამისობა ფორმასა და შინაარსს შორის დამოკიდებულების სახით გვევლინება. როგორც წესი, შინაარსი უსწრებს ფორმას, მაგრამ არ შეიძლება, რომ ფორმა დიდხანს ჩამორჩებოდეს შინაარსს, იგი მოდის შინაარსთან შესაბამისობაში. ასე ხდება ეს საერთოდ.

ცნობილია, რომ გ. პლენანოვი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მარქსიზმის წინაშე, ამ საკითხში არასწორ პოზიციას ეიღვება. იგი მწარმოებლური ძალების განვითარების მიზეზად გეოგრაფიულ გარემოს აცხადებდა. რა თქმა უნდა, ეს ისტორიის მატერიალისტური გაგების დამახინჯება იყო. პლენანოვის შეცდომებთან ფილოსოფიაში ორგანულად დაკავშირებული იყო მისი პოლიტიკური შეხედულებები, რეფორმიზმი.

ა. ბოგდანოვი მწარმოებლური ძალების განვითარებაში გადამწყვეტ ძალას მოსახლეობის ზრდაში ხედავდა. ბოგდანოვის მიხედვით, მოსახლეობის ზრდა განსაზღვრავდა საბოლოო ჯამით მწარმოებლური ძალების განვითარებას. შემდეგ ბოგდანოვი შეეცადა მწარმოებლური ძალების განვითარება დაესაბუთებინა ე. წ. „საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერებით“, რომელიც ეყრდნობოდა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმოქმედებას. ბოგდანოვი ცდილობდა მწარმოებლური ძალების განვითარების დასაბუთებას ე. წ. „წონასწორობის თეორიით“, რომელსაც შემდგომ იცავდა ხალხის მატერიალური ბუხარინი.

ასეთივე ხასიათის შეცდომა დაუშვა ამხ. იაროშენკომაც.

ამგვარად, მწარმოებლური ძალებს განიხილავდნენ წარმოებით ურთიერთობათა გარეშე; მათ წარმოებითი ურთიერთობანი დაჰყავდათ მწარმოებლურ ძალებამდე, ტექნიკურ პროცესამდე. ისინი მეტისმეტად აზვიადებდნენ მწარმოებლური ძალების როლს.

¹ უდავოდ მცდარია მოსახრება, რომლის მიხედვით ძველი წარმოებითი ურთიერთობანიც ინარჩუნებენ განმსაზღვრელ როლს, მაგრამ არა წინსვლისას, არამედ რევრესის მიმართულებით. მართალია, რომ ისინი აბრკოლებენ, ამუხრუჭებენ მწარმოებლური ძალების განვითარებას, მაგრამ მათ ზომ არ შეუძლიათ ისტორიის განვითარების ბორბალი უკულმა დაატრიალონ. მათი მოქმედება არა განმსაზღვრელ როლზე მეტყველებს.

² იქვე, გვ. 162.

ასე, მაგ., ამხ. იაროშენკო მეტისმეტად აზვიადებდა მწარმოებლურ ძალთა როლს; წარმოებით ურთიერთობებს სოციალიზმის დროს მწარმოებლურ ძალთა ნაწილად აცხადებდა. ამხ. იაროშენკო წარმოებით ურთიერთობათა როლს ცნობდა ანტაგონისტურ საზოგადოებაში, მაგრამ ეს როლი იქ მხოლოდ დამმუხრუჭებლად იყო გამოცხადებული. ხოლო სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოებით ურთიერთობათა როლი ამხ. იაროშენკომ მწარმოებლურ ძალებამდე დაიყვანა. ამხ. იაროშენკოს მიხედვით, — მიუთითებდა დიდი სტალინი, — სოციალიზმის დროს ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი შედიან მწარმოებლურ ძალთა ორგანიზაციაში როგორც საშუალება, როგორც მომენტი.

ი. სტალინიმა ამხილა შეცდომები ამხ. იაროშენკოსი, რომელიც ქადაგებდა ბოგდანოვის „საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერების მაგვარსა“ და ბუხარინისეულ „საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ტექნიკის მაგვარ“ სიყალბეს.

კ. კაუცკი მწარმოებლური ძალების ცნებაში მეცნიერებასაც გულისხმობდა. მწარმოებლური ძალების განვითარების მთავარ ძალად იგი აღიარებდა მეცნიერებას. ამის მიხედვით გამოდის, რომ იდეური მხარე, ე. ი. ის, რაც თავის მხრით გაპირობებულია მატერიალურით, განმსაზღვრელია.

ცხადია, მეცნიერებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ იგი, მისი დონე გაპირობებულია საზოგადოების მატერიალური ცხოვრებით, კერძოდ წარმოებით, წარმოების წესით. ამ საკითხზე გენიალურ პასუხს იძლევა ფ. ენგელსი ჰ. შტარკენბურგისადმი წერილში 1894 წ. 25 იანვარს. „თუ, როგორც თქვენ ამტკიცებთ, ტექნიკა მეტწილად მეცნიერების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მაშინ მეცნიერება კიდევ უფრო მეტად არის დამოკიდებული ტექნიკის მდგომარეობასა და მოთხოვნილებაზე. თუ საზოგადოებას ტექნიკის მოთხოვნილება აქვს, მაშინ ის უფრო მეტად ეხმარება მეცნიერებას წინსვლაში, ვიდრე ათი უნივერსტეტი“¹.

ასე რომ, წარმოებით ურთიერთობათა მწარმოებლურ ძალებამდე დაყვანის ცდები ყოველად შეუთავსებელია მარქსიზმთან. წარმოებით ურთიერთობათა მწარმოებლურ ძალებამდე დაყვანის ანტიმარქსისტულ „თეორიებს“ უპირისპირდება მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის დიალექტიკური კავშირის ერთადერთი სწორი, მეცნიერული, მარქსისტული გაგება.

* * *

განვიხილოთ მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის დიალექტიკური დამოკიდებულების საკითხი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ვითარებათა მიხედვით.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, გვ. 517.

წინააღმდეგობა მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის დამახასიათებელია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისათვის.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმაში გამოიხატება, კაპიტალიზმის წარმოშობის მომენტიდანვე არსებობს, მაგრამ პირველ ხანებში იგი არ პოულობს გამოვლინებას. კაპიტალიზმი ჩასახვიდანვე ატარებს ამ წინააღმდეგობას, პროლეტარიატიც თავიდანვე უპირისპირდება ბურჟუაზიას, მაგრამ ვარკვეული პერიოდის მანძილზე ეს წინააღმდეგობა არ გლინდება, კონფლიქტი თავს არ იჩენს. პირველ ხანებში კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ხელს უწყობენ მწარმოებლური ძალების განვითარებას; ეს განვითარება მიმართულია ფეოდალური ეკონომიური ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც იქცა მწარმოებლური ძალების განვითარების ბორკილად. ბურჟუაზიას წარმოებითი ურთიერთობანი მოჰყავს მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში, „...უსათუოდ იყო პერიოდები, — აღნიშნავს სტალინი, — როცა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებოდნენ მწარმოებლურ ძალთა ხასიათს. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმი ვერ განვითარდებოდა ისეთი სისწრაფით, რა სისწრაფითაც ის ვითარდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ“¹.

კაპიტალიზმის ადრინდელ პერიოდში კოლოსალურად ვითარდება მწარმოებლური ძალები. მაგრამ ამასთან იგი ურთულეს წინააღმდეგობებში იხლართება. კაპიტალიზმმა გააფართოვა წარმოება, ფაბრიკა-ქარხნებში თავი მოუყარა მილიონობით მუშას და ამით სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივი ხასიათი მისცა წარმოებას. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი კი მოითხოვდა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას.

მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ეს შეურიგებელი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ საზოგადოებაში თავს იჩენენ ჭარბი წარმოების პერიოდულ კრიზისებში, რაც იმაზე მეტყველებს „... რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი უკვე აღარ შეესაბამებიან საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა მდგომარეობას და მათთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ფეხმძიმედლა რევოლუციით, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს წარმოების საშუალებათა ახლანდელი კაპიტალისტური საკუთრება სოციალისტური საკუთრებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის შეადგენს კაპიტალისტური წყობილების ძითითად ნიშანს“².

1 ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 131.

2 ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 697—698.

ამრიგად, ანტაგონისტურ საზოგადოებებში მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობას, მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შეუსაბამობას მიეყვართ სოციალურ რევოლუციამდე, კონფლიქტს წყვეტს არა რეფორმა, არამედ ძალდატანებით ვადატრიალება—რევოლუცია, რომელსაც მარქსი ისტორიის ლოკომოტივს უწოდებდა.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის წინააღმდეგობის გამოვლენება ბრძოლა პროლეტარებსა და ბურჟუებს შორის. „პროლეტარიატის ბრძოლა, — წერენ მარქსი და ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, — ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის არსებობის დღიდანვე იწყება“¹.

პირველ ხანებში მუშები ბრძოლას აწარმოებენ არა მარტო ბურჟუაზიულ ურთიერთობათა წინააღმდეგ, არამედ წარმოების წინააღმდეგაც, რაც გამოიხატება მანქანების მტვრევაში, ფაბრიკებსა და ქარხნებისათვის ცეცხლის წაკიდებაში და ა. შ. ბრძოლის ამ საფეხურზე მუშები ებრძვიან არა ნამდვილ მტერს „...არამედ თავიანთი მტრების მტრებს, აბსოლუტური მონარქიის ნაშთებს, მიწათმფლობელებს, არამრეწველ ბურჟუებს“². ამ დროისათვის მთელს ისტორიულ მოძრაობას ბურჟუაზია წარმართავს, ყოველი გამარჯვება მისი გამარჯვებაა. შემდგომ პერიოდში არსებითად იცვლება სურათი, — ცალკეულ მუშასა და კაპიტალისტს შორის შეჯახებანი ვითარდება ორი ძირითადი კლასის შეჯახების ფორმად, იღებს კლასობრივი ბრძოლის ხასიათს, რაც ამავე დროს პოლიტიკური ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. პარტიას შეაქვს პროლეტარიატში მეცნიერული სოციალიზმის თეორია და ამით მის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეგნებულს, ორგანიზებულსა და ძლიერად მოსილს ხდის.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერთ მხარეზე (ვაბატონებული კლასის მხარეზე) სულ უფრო და უფრო გროვდება სიმდიდრე, ხოლო მეორე მხარეზე (პროლეტარიატის მხარეზე) — სიღატაკე. ეს ორი პოლუსი — სიმდიდრისა და სიღარიბის პოლუსი, რაც დრო გადის, სულ უფრო ერთიმეორეს უპირისპირდება. კაპიტალისტები თავიდანვე ისწრაფვიან ზემოგების მიღებისაკენ, ხოლო განსაკუთრებით იმპერიალიზმის სტადიაში — მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ.

კ. მარქსის მიერ აღმოჩენილი ზედმეტი ღირებულების თეორია ი. სტალინიმ შემდგომ განავითარა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებთან შეფარდებით. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები ი. სტალინიმ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „...მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს,

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 49.

² იქვე.

ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“¹.

კაპიტალიზმის პირობებში მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, შრომისა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა მწვავედება; მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის შეუსაბამობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. თუ ოდესღაც კაპიტალიზმი დიდად იყო დაინტერესებული მწარმოებლური ძალების განვითარებით, ტექნიკის წინწაწევით, დღეს იგი საწინააღმდეგოდ მოქმედებს: კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი მწარმოებლური ძალების ბორკილად გადაქცეული. ახალ აღმოჩენას, თუ იგი მაქსიმალური ნოვების მიღებას ხელს არ უწყობს, გასაქანი არ ეძლევა, იგი გამოუყენებელი რჩება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ატომური ენერჯის აღმოჩენა უდიდესი მოვლენაა თანამედროვე მეცნიერებაში. იმპერიალისტები ამ დიდი აღმოჩენის გამოყენებას ცდილობენ მწარმოებლური ძალების არა განვითარებისათვის, არამედ მათ დასაშლელად, დასარღვევად, ნათი მასობრივი მოსაზრებისათვის. საბჭოთა ქვეყანა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად ყოველგვარ ღონისძიებას მინართავს, რათა ატომური ენერჯია არ იქნეს გამოყენებული მწარმოებლური ძალების განადგურებისათვის, რათა იგი ჩაყენებულ იქნას ხალხის სამსახურში. ჩვენმა ქვეყანამ ნთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რას ნიშნავს ატომური ენერჯის სახალხო მეურნეობაში გამოყენება, თუ როგორ შეიძლება იგი ხალხის კეთილდღეობის საქმეს ემსახურებოდეს.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1913 წელს სტატიაში „ცივილიზებული ბარბაროსობა“ გენიალურად დაასაბუთა ის, თუ როგორ იქცა კაპიტალიზმი მწარმოებლური ძალების განვითარების დაბრკოლებად. ლენინი წერდა: „საითაც არ უნდა ნიიხედო—ყოველ ნაბიჯზე აწყდები ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა სავსებით შეუძლია კაცობრიობას და უყოვნებლივ, ხელის შემშლელია კაპიტალიზმი. მან უამრავი სიმდიდრე დააგროვა, და ადამიანები ამ სიმდიდრის მოწიკები გახდნენ; მან გადაწყვიტა ტექნიკის ურთულესი საკითხები, და შეაფერხა ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელება მილიონობით მოსახლეობის სიღატაკისა და უმეცრების გამო, ერთ მუჭა მილიონერთა გონებაჩლუნგი სიძუნწის გამო.“

კაპიტალიზმის დროს ცივილიზაცია, თავისუფლება და სიმდიდრე ბადებს აზრს გამტყვრალ მდიდარზე, რომელიც ცოცხლად ღებდა და სიცოცხლეს უხშობს იმას, რაც ახალგაზრდაა.

მაგრამ ახალგაზრდა იზრდება და გაიმარჯვებს, მიუხედავად ყველაფრისა“².

რაოდენი სიძლიერთა გაისმის ეს სიტყვები, რაოდენ ნათლად გამოხატავენ ისინი კაპიტალისტურ ურთიერთობათა დრომოქმულს, წარმავალსა და ისტორიულად განწირულ მდგომარეობას.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 98—99.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19. გვ. 459.

„ცივილიზებული ბარბაროსობის“ ნიმუშს წარმოადგენს აშშ-ის იმპერიალიზმი, რომელიც სათავეში უდგას საერთაშორისო რეაქციას. იმპერიალისტურ ქვეყნებში ომის, ადამიანთა მასობრივი გაჟლეტის მხეცური იდეოლოგია პარაპზობს. ფინანსური მაგნატები აშშ-სა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში ხშირად იძენენ პატენტებს ახალ აღმოჩენებზე იმ მიზნით კი არა, რომ შრომა გადავილდეს, მისი ნაყოფიერება გაიზარდოს, არამედ ჩაკეტონ ისინი ცეცხლგამძლე ყუთებში, რათა წარმოებაში არ დაინერგოს. ამას მოითხოვს მაქსიმალური მოგების მიღების გაუმძღარი მოთხოვნილება, თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი.

როგორც აღვნიშნეთ, იმპერიალისტურ ქვეყნებში, გასაქანი არ ეძლევა მწარმოებლური ძალების განვითარებას. ასე, მაგ., აშშ-ს სამრეწველო წარმოება 1929 წლიდან 1939 წლამდე არ გაზარდია. იგი ამაღლდა სამხედრო წარმოების მკვეთრად გადიდების გამო, შენდევ კი საგრძობლად დაქვეითდა, მაგრამ კვლავ ამაღლდა კორეაში ომის გაჩაღებით. ამერიკელმა იმპერიალისტებმა მარტო კორეაში წარმოებული ომიდან 20 მილიონზე მეტი დოლარი მოგება მიიღეს.

ამჟამად აშშ-ში 13 მილიონზე მეტი უმუშევარი და ნახევრად უმუშევარია. იმპერიალისტურ ქვეყნებში დღითი-დღე უარესდება მუშათა კლასის მდგომარეობა, იზრდება ფასები პირველმოხმარების საგნებზე, იზრდება გადასახადების რაოდენობა, რაც მძიმე ტვირთია აწევბა მშრომელ მასებს. 1937—1938 საბიუჯეტო წელთან შედარებით 1952 საბიუჯეტო წელს აშშ-ში გადასახადი გაიზარდა 12-ჯერ. ასევე იზრდება უმუშევრობა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. დასავლეთ გერმანიასა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებში. 1949 წელთან შედარებით გასული წლის პირველ კვარტალში უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა ინგლისში 40%-ით, საფრანგეთში—62%-ით, დასავლეთ გერმანიაში—36%-ით. იზრდება სამხედრო ხარჯები. ასე, მაგ., იგი აშშ-ში შეადგენს მთელი ბიუჯეტის 74%-ს, ინგლისში—34%-ს, საფრანგეთში—40%-ს, იტალიაში—30%-სა და ა. შ. ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც შედიან ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში, პირდაპირი სამხედრო ხარჯები გაიზარდა 2,2-ჯერ.

იქ წარმოების ქრონიკულად დაუტეირთაობა, პარაზიტინი დღითი-დღე იზრდება. ამერიკელი რეაქციონერი ეკონომისტი უ. ტომსონიც კი თავის წიგნში „მეტად ბევრი ხალხი“ წერს, რომ აშშ-ში 1850 წ. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის უნარიანი მოსახლეობის 80,9% იყო ჩაბმული, ხოლო 1940 წ. კი მხოლოდ—46,5%. ამერიკული პროგრესული მეცნიერი ბ. პერლო წიგნში „ამერიკის იმპერიალიზმი“ აღნიშნავს, რომ აშშ-ში სულ უფრო და უფრო მცირდება წარმოებაში ჩაბმულთა რიცხვი¹. ასე რომ, შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი იმყოფება სავაჭრო აპარატში, არმიაში,

¹ ეს ცნობები მოტანილია აშხ. კონსტანტინოვის ბროშურიდან „Закон обязательного соответствия производственных отношений характеру производительных сил“, 1953г.

პოლიციაში, სამხედრო ფაშისტურ ორგანიზაციებში და ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას.

აშშ ე. წ. „დახმარების“ ლოზუნგით ძარცვას ქვეყნებს, ართმევს მათ ეროვნულ დამოუკიდებლობას და თავის მორჩილ-მონებად აქცევს. აშშ-დან დიდძალი რაოდენობით გააქვო სხვა ქვეყნებში კაპიტალი (კაპიტალის ასეთი სახით გატანას ვ. ი. ლენინმა „პარაზიტში კვადრატში“ უწოდა), რომელიც დიდ მოგებას აძლევს აშშ-ს. ამგზით ამერიკის იმპერიალისტებმა 1948 წელს 7,5 მილიარდი დოლარი მიიღეს. ამერიკის იმპერიალიზმი მსოფლიო სარბივლზე გამოდის როგორც რეაქციის ციტადელი. იგი შავბნელ საქმეებს აკეთებს ე. წ. „ანტიკომუნისტის“, „სხვათა თავისუფლების დაცვის“, „ეკონომიური დახმარების“ აღმით, ხოლო, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს, საყოველთაოდ ცნობილია.

კაპიტალიზმი საერთო კრიზისს განიცდის; იმპერიალისტური სისტემა რღვევის პროცესშია. მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემის საერთო კრიზისი მომზადდა იმპერიალიზმის სტადიაში. მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობა უფრო განწვევდა, მათ შორის შეუსაბამობა მთელის სიცხადით გამოვლინდა. დიდი სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს, კერძოდ კაპიტალიზმის სისტემიდან საბჭოთა ქვეყნის ჩამოშორების შედეგად. სწორედ ეს იყო პირველი ეტაპი მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემის საერთო კრიზისისა.

ამ კრიზისის მეორე ეტაპი გაიშალა მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ მას შემდეგ, რაც ევროპასა და აზიაში კაპიტალიზმის სისტემას ჩამოშორდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. კაპიტალიზმის საერთო კრიზისი ესაა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო, ე. ი. ყოველმხრივი კრიზისი, რომელიც მოიცავს როგორც ეკონომიკას, ასევე პოლიტიკას. ამასთან, ეს კრიზისი მოასწავებს იმპერიალიზმის მთელი კოლონიური სისტემის რღვევას.

ყოველივე ეს და სხვა გარემოებანი მეტყველებენ იმპერიალიზმის დაღუპვისა და მისი სოციალიზმით შეცვლის აუცილებლობაზე.

ისტორიულად განწირული კაპიტალიზმის შეკეთება-შელამაზებისა და მის წინააღმდეგობათა ე. წ. „მოწესრიგების“ თეორიები უძლური არიან გადაარჩინონ კაპიტალიზმი დაღუპვისაგან.

კ. კაუტკის „ულტრა-იმპერიალიზმის“, ჰილფერდინგის „ორგანიზებული სოციალიზმის“, მაკდონალდის „კონსტრუქციული სოციალიზმის“, ეტლინსა და ბეგინის „დემოკრატიული სოციალიზმისა“ და სხვა „თეორიები“, რომელთა მიზანი იყო და არის მუშათა კლასის ინტერესების დამორჩილება ბურჟუაზიის ინტერესებისადმი, გაკოტრებულია. ობიექტური ეკონომიური კანონები როდია დამოკიდებული იმპერიალიზმის ლაქიების სურვილზე. „მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი, — გვასწავლის სტალინი, — წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიური კანონი დიდი ხანია იკაფავს გზას კაპიტალისტურ ქვეყნებში. თუ მას ჯერ კიდევ არ

გაუკეთავს გზა და ფართო სარბიელზე არ გამოსულა, ეს იმიტომ, რომ იგი უძლიერეს წინააღმდეგობას ხედება საზოგადოების მომაკვდავი ძალების მხრივ. ... მაშასადამე, საჭიროა ძალა, საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეეძლება ამ წინააღმდეგობის დაძლევა. ასეთი ძალა აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენენ. ასეთი ძალა ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა სხვა, კაპიტალისტურ ქვეყნებში“¹.

იმპერიალისტურ ქვეყნებთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, გზა გაუხსნა მწარმოებლური ძალების სწრაფ განვითარებას; დამხოზილ იქნა კაპიტალიზმი, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, კაპიტალისტური ბაზისი და ფართო გასაქანი მიეცა სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა, სოციალისტური ბაზისის დამკვიდრებასა და განვითარებას. ი. ბ. სტალინი თავის ისტორიულ შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღების აქცევს იმას, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ დაანგრია ბურჟუაზიული წყობილება, ბურჟუაზიული ეკონომიური ურთიერთობანი და არა საერთოდ წარმოება, კერძოდ მწარმოებლური ძალები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში მწარმოებლურ ძალებს საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, ხოლო საკუთრების ფორმა კი იყო კერძო კაპიტალისტური. საბჭოთა ხელისუფლება, ეყრდნობოდა რა მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიურ კანონს, წარმოების საშუალებანი განაზოგადოვა, აქცია ისინი ხალხის საკუთრებად, რითაც მოსპო ექსპოლატაციის სისტემა და თავიდანვე საფუძველი ჩაუყარა მეურნეობის სოციალისტურ ფორმებს. მწარმოებლური ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიურ კანონზე დაყრდნობამ შესაძლებელი გახადა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის შესრულება. სწორედ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებამ განადგურა საზოგადოების ძველი ძალები და ამით ჩვენში ფართო გასაქანი მიეცა მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის კანონს.

საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული როლი, როგორც დიდი სტალინი აღნიშნავს, აიხსნება იმით, რომ: ა) მან მოსპო ყოველგვარი ექსპოლატაცია და ბ) შექმნა, ასე ვთქვათ, „ცარიელ ადგილზე“ მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმები.

ცნობილია, რომ კაპიტალისტური წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობის პროცესისაგან განსხვავებით, რომელიც წინა საზოგადოების—ფეოდა-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 21—22.

ლური წყობილების წიაღში ისახება, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იქმნება. კაპიტალიზმი მატერიალურ წინამძღვრებს ამზადებს ახალ, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობისათვის, ახალი წარმოებითი ურთიერთობანი მტკიცდებიან და ვითარდებიან რა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, უაღრესად ხელსუწყობენ მწარმოებლური ძალების შექმნაში მძლავრ კოლოსალურ განვითარებას.

ჩვენს საზოგადოებაში მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი და წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამისობა განაპირობებს მწარმოებლური ძალების განუწყვეტელ განვითარებას. საერთოდ, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, თავისი ბუნებით, ხელს უწყობენ მწარმოებლური ძალების ზრდას.

სოციალისტურ საზოგადოებაში არსებობს და შემდგომაც იარსებებს მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წინააღმდეგობა, მაგრამ ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოებრივი პირობებისაგან განსხვავებით, იგი არ მიდის კონფლიქტამდე, მწარმოებლური ძალების რღვევამდე. ეს წინააღმდეგობანი არაანტაგონისტური ხასიათისანი არიან. მწარმოებლური ძალების გიგანტური განვითარების დონისაგან წარმოებით ურთიერთობათა ჩამორჩენა არ მიდის ჩვენში კონფლიქტამდე, რაც სავსებით გასაგებია.

პარტია და ხელისუფლება, ეყრდნობიან რა მწარმოებლური ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ობიექტურ კანონს, მის საფუძველზე წარძართავენ საქმიანობას, წინააღმდეგობა არ მიდის კონფლიქტამდე.

როგორც აღვნიშნეთ, სრული შესაბამისობა „...არ შეიძლება გვესმოდეს ისე, რომ სოციალიზმის დროს თითქოს არ არსებობს წარმოებით ურთიერთობათა არავითარი ჩამორჩენა მწარმოებლურ ძალთა ზრდისაგან. მწარმოებლური ძალები წარმოების ყველაზე უფრო მოძრავი და რევოლუციური ძალებია. ისინი, უდავოდ, წინ უსწრებენ წარმოებით ურთიერთობებს სოციალიზმის დროსაც. წარმოებითი ურთიერთობანი მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიქმნებიან მწარმოებლურ ძალთა ხასიათისდა მიხედვით“¹.

ჩვენში ახლანდელი წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან მწარმოებლურ ძალთა ხასიათს „...და შეიძლება ნაბიჯებით მიჰყავთ ეს ძალები წინ“².

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენში მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობდეს. სწორი პოლიტიკის გატარების შედეგად ჩვენში წინააღმდეგობანი არ იქცევიან დაპირისპირებულად, საქმე არ მიდის კონფლიქტამდე. ამ მიზნით ხელმძღვანელი ორგანოები დროზე ღებულობენ სათანადო ზომებს. ასე, მაგ., ჩვენი საზოგადოებისათვის ჯგუფურ-საკოლმეურნეო საკუთრებას ამჟამად დიდი სარგებლობა მოაქვს და მოიტანს უახლოეს მომავალშიც. ჯგუფური-საკოლ-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ 133.

² იქვე, გვ. 173—174.

მეურნეო საკუთრება უკვე იწყებს ჩვენი მწარმოებლური ძალების კოლო-
სალური განვითარების დამუხრუჭებას. ამის გამო უდიდესი მნიშვნელობისაა
ნიადავის მომზადება საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთ-
რების დონემდე თანდათანობით ამაღლებისათვის.

საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე
ამაღლებისათვის, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, საჭიროა საკოლმეურ-
ნეო წარმოების ნამეტის ამორთვა საქონელმომოქცევის სისტემიდან და მისი
სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეობებს შორის პროდუქტგაცვლის
სისტემაში მოქცევა. მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ თითქოს
იგი სადღესო ამოცანა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ საქონელმომოქცევა
შეუთავსებელია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივასთან,
მას წარმატებით ვიყენებთ სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის.
ი. სტალინი, ეხებოდა რა თანამედროვე ეტაპზე საქონელბრუნვის მნიშვნელო-
ბას ჩვენში, მიუთითებდა მისი გაშლის აუცილებლობაზე. სწორედ ამას ემუა-
რება ანხანავი მალენკოვი, როცა აღნიშნავს, რომ „სოციალიზმის დროს
ვაჭრობა არის და კიდევ დიდხანს იქნება სოციალისტური საზოგადოების
წევრებს შორის მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმა,
რომლის საშუალებითაც დაკმაყოფილდება მშრომელთა მზარდი პირადი მოთ-
ხოვნილებანი“¹. ამ მიმართულებით კიდევაც ტარდება ჩვენში უდიდესი
მუშაობა.

როგორც აღნიშნული იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ მწარმოებლურ
ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამი-
სობის კანონზე დაყრდნობით მოახდინა წარმოების საშუალებათა განზოგადო-
ება და აქცია ისინი სახალხო საკუთრებად; იგი შემდგომაც ატარებს ღონის-
ძიებებს მწარმოებლური ძალების განვითარების გზაზე დაბრკოლებათა და-
ძლევის მიზნით.

სოციალისტური წარმოების წესის წარმოშობამ განაპირობა სოციალი-
ზმის ძირითადი ეკონომიური კანონის წარმოშობა და მოქმედება. ჩვენში კაპი-
ტალისტური წარმოების წესის სოციალისტური წარმოების წესით შეცვლით
ძალა დაკარგა კაპიტალიზმის ძირითადმა ეკონომიურმა კანონმა და მოქმედე-
ბაში მოვიდა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი, რომლის არსე-
ბითი ნიშნები და მოთხოვნებია „...მთელი საზოგადოებეს მუდმივად მზარდ
მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფი-
ლების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმო-
ების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“². ასე რომ, მთელი
საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნი-
ლებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა სოციალისტური

¹ გ. მალენკოვი, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეზუთე სესიაზე, 1953 წ., გვ. 20.

² ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრინციპები სსრ კავშირში, გვ. 102—103.



წარმოების მიზანია, ხოლო სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და გაუმჯობესება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე მიზნის მიღწევის საშუალებაა.

პარტია და ხელისუფლება უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებებს ატარებენ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნის შესაბამისად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული დადგენილებანი.

წინააღმდეგ კაპიტალისტური საზოგადოებისა, სადაც სტიქია ბატონობს, მეურნეობა ანარქიულია, სოციალიზმი ხასიათდება გეგმაზომიერი განვითარებით. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტური კანონი სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს ეყრდნობა. ის მოქმედებს მას შემდეგ, რაც კონკურენციისა და ანარქიის კანონმა ძალა დაკარგა. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ეკონომიური კანონი საშუალებას აძლევს მკვემავ ორგანოებს საზოგადოებრივი წარმოების სწორად წარმართვაში.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ, წინააღმდეგ კონკურენციისა და კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპისა, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დროს წარმოების განვითარება ემორჩილება გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მშრომელთა მატერიალურისა და კულტურული ღონის სისტემატური ამაღლების პრინციპს.

სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. ჩვენს საზოგადოებაში აღამიანთა ურთიერთ-დამოკიდებულებანი (წარმოების პროცესში) ხასიათდება თანამშრომლობითა და სოციალისტური ურთიერთდახმარებით. ასე რომ, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება ერთმეორესთან განუყრელად აკავშირებს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს და მათი განვითარება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. სოციალიზმისათვის უცხოა კრიზისები, უმუშევრობა. ბუნებრივია, რომ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი უაღრესად ხელს უწყობენ მწარმოებლური ძალების განვითარებას.

ხუთწლეულების მანძილზე ჩვენში კოლოსალურად განვითარდნენ მწარმოებლური ძალები. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. ჩვენს ქვეყანაში ექცეოდა რა დიდი ყურადღება მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, 1925 წლიდან დღემდე, ე. ი. 28 წლის მანძილზე; სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 29-ჯერ. ჩვენი ქვეყანა ამჟამად 1924—25 წლებთან შედარებით 21-ჯერ მეტ ფოლადს უშვებს, 19-ჯერ მეტ ქვანახშირს იღებს, 45-ჯერ მეტ ელექტროენერჯიას აწარმოებს და ა. შ. სწრაფი ტემპით გაიზარდა ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა. ამ პერიოდში შეიქმნა ინდუსტრიული ცენტრები ვოლგისპირეთში, ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და სხვაგან. „მძიმე მრეწველობაში, — აღნიშნავს ამხანაგი მაღენკოვი თავის ისტორიულ სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

მე-5 სესიაზე, — ამჟამად ჩაბმულია ყველა სამრეწველო მუშის დაახლოებით 70 პროცენტი. თუ 1924—25 წელს წარმოების საშუალებათა წილი სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციაში 34 პროცენტს შეადგენდა, მეორე ხუთწლედის დამლევისათვის, 1937 წელს, იგი უკვე შეადგენდა 58 პროცენტს, ხოლო 1953 წელს — დაახლოებით 70 პროცენტს¹. ასე რომ, მძიმე მრეწველობის ხვედრითი წონა დღეს ჩვენში შეადგენს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს, ნაცვლად ერთი მესამედისა რევოლუციამდელ რუსეთსა და 1924—25 წლებამდე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებითმა ჩატარებამ განაპირობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდას, რამაც საიმედო ბაზა შექმნა ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამასზე ნათლად მეტყველებენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მე-5 სესიაზე ამხანაგ გ. მალენკოვის სიტყვა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებანი და მათ საფუძველზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი ფართო მოხმარების საგნების წარმოებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“ დასახულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ისტორიული ამოცანები.

წარმოების საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის სწრაფ განვითარებაზე ნათლად მეტყველებენ თუნდაც ის გარემოებანი, რომ ამ მრეწველობამ წარმოების საერთო მოცულობის მხრით 1951 წელს 2,4-ჯერ გადააჭარბა იმამდელ დონეს. ჩვენში უკანასკნელი 28 წლის მანძილზე წარმოების საშუალებათა წარმოება 55-ჯერ გადიდდა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოება კი მხოლოდ 12-ჯერ. ერთგვარი შეუსაბამობა გვექონდა მძიმე მრეწველობის განვითარების ტემპებსა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების ტემპებს შორის. როგორც ამხანაგი მალენკოვი აღნიშნავს, ჩვენ არ გვექონდა შესაძლებლობა ვაგვევითარებინა მსუბუქი და კვების მრეწველობა ისეთივე ტემპით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მძიმე მრეწველობაში. შეიქმნა პირობები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად, და პარტიამა და მთავრობამ კიდევაც დასახეს სათანადო ღონისძიებანი. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ გულისხმობს მძიმე ინდუსტრიისადმი — ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველისადმი — ყურადღების შესუსტებას.

¹ გ. მალენკოვი, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, სახელგამი, 1953 წ., გვ. 8.

პირიქით, უდიდესი მუშაობა ტარდება მძიმე მრეწველობის—მეტალურგიის, სათბობი ენერგეტიკული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, საამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი ტრანსპორტის გაუმჯობესებისათვის. ცხადია, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში მძიმე ინდუსტრიას ჰქონდა და ექნება პრიმატი.

მაშინ, როდესაც კაპიტალიზმი ყოველმხრივ ბოჭავს მეცნიერების განვითარებას, წარმოების სოციალისტური წესი უაღრესად ხელს უწყობს მწარმოებლური ძალების, კერძოდ, ტექნიკის განვითარებას ადამიანების კეთილი ცხოვრებისათვის.

საბჭოთა მოწინავე მეცნიერება თავისი აღმოჩენებით გვეხმარება ბუნების სიმდიდრის გამოვლინებასა და ხალხის საკეთილდღეოდ მის გამოყენებაში. ამხანაგი გ. მალენკოვი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ახასიათებდა რა საბჭოთა მეცნიერების როლს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და წინსვლის საქმეში, მიუთითებდა იმაზე, რომ ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა მეცნიერებმა გადაწყვიტეს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მეცნიერული პრობლემები, მათ მიერ აღმოჩენილ იქნა ატომის ენერჯის წარმოების მეთოდები. საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც აქვს ატომის ენერჯის გამოყენების რეალური შესაძლებლობანი, დიდად დაინტერესებულია ახალი სახეობის ენერჯია გამოიყენოს ადამიანის ბატონობისათვის ბუნებაზე, მშვიდობიანი მიზნებისათვის, ადამიანების კეთილი ცხოვრებისათვის.

ამ მხრივ საბჭოთა მთავრობის მთელი ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ მეცნიერების მიღწევები, ყოველი ახალი აღმოჩენები გამოყენებული იყოს ხალხის, მშრომელი მასების საკეთილდღეოდ არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

დიდი სტალინი აღნიშნავდა, რომ, წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია:

ა) ნაცვლად მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფისა—საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

ბ) ნაცვლად წარმოების აღმავლობიდან კრიზისამდე წყვეტილი განვითარებისა—წარმოების განუწყვეტელი ზრდა;

გ) ნაცვლად ტექნიკის განვითარების პერიოდული წყვეტილობისა—წარმოების განუწყვეტელი სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

აი, როგორ უპირისპირდება მზარდი აღმავალი სოციალისტური სისტემა ხრწნად კაპიტალისტურ სისტემას.

საბჭოთა ქვეყნის დიად მაგალითზე წარმატებით მიდიან წინ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც ეყრდნობიან მწარმოებლური ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის ეკონომიურ კანონს. ასე, მაგალითად, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მძლავრად ავითარებენ მწარმოებლურ ძალებს. სამრეწველო პროდუქციის წარმოების ომამდელი დონე 1951 წელს გადამეტებულ იქნა: პოლონეთში—1,9-ჯერ, ჩეხოსლოვაკიაში—1,7-ჯერ, უნგრეთში—2,5-ჯერ, რუმინეთში—

1,9-ჯერ, ბულგარეთში—4,6-ჯერ, ალბანეთში—5-ჯერ და მეტად. დიდი წარმატებანი აქვს მოპოვებული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. სწრაფად ვითარდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა. მრავალმილიონიანმა დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩინეთის სახელგანთი კომუნისტური პარტია, უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მტკიცედ დაადგა დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნების გზას. ჩინეთში სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, საბჭოთა ხალხის უანგარო დახმარებით იქ შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კაშხალები, ელექტროსადგურები, მწყობრში დგება მალაროები. ჩინეთში 48 მილიონამდე გლეხის მეურნეობა გაერთიანდა შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფებად, შექმნილია თოთხმეტიათასი საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და ა. შ.

ამრიგად, დიდი ეკონომიური აღმავლობა მიღწეული ყველა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მათი წინსვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნის მხრით უანგარო დახმარებას.

ყოველივე ეს ნათელს ჰფენს იმას, რომ საბჭოთა ქვეყანა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები განუხრელად მიდიან წინ.

დღითი-დღე მტკიცდება და ვითარდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან. საბჭოთა კავშირის მეთაურობით სულ უფრო და უფრო მძლავრი ხდება სოციალისტური ბანაკი—ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უძლეველი ციხე-სიმაგრე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი დროშით მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყნის ხალხები წინ, კომუნისტების სრული გამარჯვებისაკენ.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1953. VI. 15)

Г. Гамсахурдия

И. В. Сталин о диалектике производительных сил и производственных отношений

Резюме

Классики марксизма-ленинизма огромное внимание уделяют вопросам производства, способу производства как главной силе среди условий материальной жизни общества, как определяющей силе физиономии общества. Ученик гениального Ленина великий Сталин, который

защитил и развил марксистско-ленинскую теорию, осуществил дальнейшую конкретизацию этого важнейшего вопроса. В знаменитых трудах И. В. Сталина „О диалектическом и историческом материализме“ и „Экономические проблемы социализма в СССР“ дана гениальная характеристика производства, его двух сторон—производительных сил и производственных отношений, показана природа их взаимоотношений.

Великий Сталин, опираясь на мысли Маркса, Энгельса, Ленина, дал замечательное понимание общих законов производства: единства производительных сил и производственных отношений, обязательного соответствия производственных отношений характеру производительных сил, отношений между производительными силами и производственными отношениями.

И. В. Сталин указывает, что производительные силы представляют наиболее подвижный и революционный элемент, который определяет характер производственных отношений.

Изменения в производственных отношениях опережаются изменениями в производительных силах.

„В соответствии с изменением и развитием производительных сил общества на протяжении истории—изменялись и развивались производственные отношения людей, их экономические отношения“ (И. В. Сталин, Вопросы ленинизма, стр. 594).

Это не значит, что производственные отношения не оказывают влияния на развитие производительных сил. Последние с своей стороны зависят от первых. Новые, а не всякие, производственные отношения представляют главную и решающую силу в развитии производительных сил. Когда производственные отношения начинают стареть, они превращаются в тормоз развития производительных сил.

„Это своеобразие развития производственных отношений от роли тормоза производительных сил к роли главного их двигателя вперед и от роли главного двигателя к роли тормоза производительных сил,—составляет один из главных элементов марксистской материалистической диалектики“ (И. В. Сталин, Экономические проблемы социализма в СССР, стр. 62).

Производственные отношения не могут долго отставать от развития производительных сил, в противном случае имело бы место разрушение производства.

Противоречия между производительными силами и производственными отношениями есть и будут и в нашем обществе, но они не доходят до конфликта, благодаря правильной политике партии и правительства.

В социалистическом обществе создаются все условия для всестороннего и быстреего развития производительных сил.

ზ. კაკაბაძე

უსიქოლოგიისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის მოძიებათა უკომპიტიონის საკითხისათვის უკომპიტიონში

ლოგიკის მეცნიერება, როგორც ცნობილია, სწავლობს აზროვნებას. მაგრამ აზროვნებას სწავლობს აგრეთვე ფსიქოლოგიაც, კერძოდ, აზროვნების ფსიქოლოგია. ორი სხვადასხვა მეცნიერება უცილობელია, რომ ორ სხვადასხვა საგანს ანუ კანონზომიერებას უნდა სწავლობდეს. მეცნიერებათა შორის განსხვავებას საფუძვლად უდევს განსხვავება მათ შესასწავლ საგნებს შორის.

იმის გამო, რომ უძნელდებოდათ ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგანთა შორის განსხვავების დადგენა, მეცნიერებაში ხშირად თავს იჩენდა ხოლმე ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთგანუსხვავებლობის ტენდენცია. მიუხედავად ამისა, ლოგიკა და ფსიქოლოგია განაგრძობდნენ ურთიერთდამოუკიდებელ არსებობას; სპეციალურად ფსიქოლოგიური კვლევა ვერ მოიცავდა თავის თავში ლოგიკის სპეციალურ კვლევას, და პირიქით. აშკარა იყო, რომ აქ ორი პრინციპულად განსხვავებული რიგის საკითხებთან ჰქონდათ საქმე. ყოველივე ამის გამო მეცნიერებაში მუდამ განახლდებოდა ხოლმე ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შესასწავლ საგნებს შორის განსხვავების დადგენის ტენდენცია. მაგრამ საქმე ისაა, რომ იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც გაბატონებული იყო ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებაში, პრინციპულად შეუძლებელს ხდიდა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგანთა შორის ნამდვილი განსხვავების დადგენასა და ახსნას.

ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა განსხვავება, ურთიერთდამოუკიდებლობა ფაქტია; ამდენად ფაქტია აგრეთვე ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანთა, კანონზომიერებათა ურთიერთგანსხვავება, ანუ ფაქტია აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის, მომენტის, კანონზომიერების არსებობა. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის უპირველესი მოთხოვნა ის არის, რომ არ უარყუოთ ფაქტები, არამედ მივიღოთ და ავხსნათ ისინი. ამდენად ჩვენ მივიღებთ ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგანთა ურთიერთგანსხვავების ანუ აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის, მომენტის, კანონზომიერების არსებობის ფაქტს და შევეცდებით ამ ფაქტის დაზუსტებასა და ახსნას.

იმას, რასაც სწავლობს აზროვნების ფსიქოლოგია, ჩვენ ვუწოდებთ

ფსიქოლოგიურის მომენტს აზროვნებაში. იმას, რასაც სწავლობს ლოგიკა, ჩვენ ვუწოდებთ ლოგიკურის მომენტს აზროვნებაში¹.

ცნობილია, რომ, როცა აზროვნებაში, ერთი მხრით, ირღვევა რაღაც კანონზომიერება (ის კანონზომიერება, რომელსაც ლოგიკა დაადგენს), მეორე მხრით, მასში განაგრძობს მოქმედებას რაღაც სხვა რიგის კანონზომიერება (ის კანონზომიერება, რომელსაც ფსიქოლოგია დაადგენს). ცნობილია აგრეთვე, რომ, ერთი მხრით (იმ მხრით, რა მხრითაც სწავლობს აზრს ფსიქოლოგია), აზრის ორ სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე მხრით, შეიძლება გვექონდეს აზრის ერთი და იგივე კონკრეტული შემთხვევა; მაგალითად: მე რომ განვიცდი აზრს, ვთქვათ, სოციალიზმის ეკონომიური კანონის შესახებ, განცდის მხრივ ეს აზრის ერთი კონკრეტული შემთხვევა იქნება და მეორე ადამიანის აზრი იმავე კანონის შესახებ კი მეორე კონკრეტული შემთხვევა; მაგრამ, თუკი ჩვენ ორივე ერთი და იმავე ნიშნების მიხედვით მოვიანზრებთ ამ კანონს, მაშინ, ცხადია, რომ აქ, მეორე მხრივ, აზრის ერთსა და იმავე კონკრეტულ შემთხვევასთან გვექონია საქმე. ყოველივე ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აზრი, ერთი მხრით (ფსიქოლოგიურის მხრით), მხოლოდ კონკრეტულია და, მეორე მხრით კი (ლოგიკურის მხრით), მხოლოდ ზოგადი, იგივეობრივი, არამედ იმას ნიშნავს, რომ აზრი ორ სხვადასხვა მხარეს — ფსიქოლოგიურსა და ლოგიკურ-ჭეშმარიტს — შეიცავს. ცხადია, რომ ერთი მხარეცა და მეორე მხარეც ზოგად-კონკრეტულის ერთიანობაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთი, როგორც ზოგად-კონკრეტულის ერთიანობა, სხვა და მეორე კი, როგორც აგრეთვე ზოგად-კონკრეტულის ერთიანობა, — სხვა. ეს კი ჩანს ჩვენ მიერ მითითებულ გარემოებიდან: ერთი მხრით, აზრის ორ სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე მხრით, შეიძლება გვექონდეს აზრის ერთი და იგივე კონკრეტული შემთხვევა. ერთი მხრით, ასეა, მეორე მხრით კი, სხვაგვარად, ანუ აქ ერთი და მეორე მხარე გვექონია. მაშასადამე, აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის — მოცემულობა ფაქტია და იგი უნდა აიხსნას.

აზროვნებაში ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტთა ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა თხოულობს ერთგვარ გნოსეოლოგიურ შესავალს. ამიტომ ჩვენ თავდაპირველად მარქსისტული გნოსეოლოგიიდან მოვიტანთ იმ ცნობებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, გადაწყვეტნი არიან მოცემული საკითხის გარკვევისათვის. ხოლო იმისათვის, რომ, რაც შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ მარქსისტული გნოსეოლოგიური პრინციპების მთელი

¹ აქვე უნდა აღინიშნოს შეპდვი გარემოება: აზროვნებაში ლოგიკურისა და ჭეშმარიტის მომენტთა განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ ფორმის მომენტისა და ფორმა-შინაარსის კონკრეტული ერთიანობის განსხვავებაში; ამდენად ფსიქოლოგიურისაგან განსხვავების კონტექსტში საკვებით ურთიერთგანუსხვავებელი არიან ლოგიკურისა და ჭეშმარიტის მომენტები. აზროვნებაში ფსიქოლოგიური მომენტის საპირისპირო მხარეს ჩვენ ხშირად ვუწოდებთ ლოგიკურ-ჭეშმარიტს, ვითვალისწინებთ რა ამ სიბრტყეზე ლოგიკურისა და ჭეშმარიტის მომენტთა ურთიერთგანუსხვავებლობას.

ძალა და ცხოველმყოფელობა, საჭირო იქნება განვიხილოთ აგრეთვე იდეალისტური განსეოლოგიის ის დებულებანი, რომელთაგანაც უშუალოდ გამომდინარეობენ მოცემული საკითხის გადაწყვეტის იდეალისტური მიმართულებანი და რომელნიც პრინციპულად შეუძლებელს ხდიან ამ საკითხის მართებულ გადაწყვეტას.

სუბიექტური იდეალიზმი შემდეგნაირად წარმოიდგენს აზროვნების ფაქტს: აზროვნება სუბიექტის (აღამიანის) მიერ აზროვნებაა. მაგრამ იგი არ არის ობიექტის როგორც სუბიექტისადმი რაღაც სხვის შესახებ აზროვნება ანუ იგი არ შეიცავს სუბიექტისა და მისი აზროვნებისადმი რაღაც სხვის — ობიექტის — განსაზღვრულობის მომენტს; იგი მთლად სუბიექტურია ანუ განსაზღვრულია მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის (საბოლოო ანგარიშით აღამიანის) სულიერი ორგანიზაციით. აზროვნება მიმართებაში დგას მხოლოდ სუბიექტთან. ამდენად იგი შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტით განსაზღვრულობის მომენტს. ასეთია სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისი გამარტივებული სახით.

შემეცნების ფაქტის ახსნა აუცილებლობით თხოულობს შემეცნების ობიექტური ხასიათის აღიარებას. სუბიექტური იდეალიზმი, აღიარებს რა შემეცნების, აზროვნების მიმართებას მხოლოდ სუბიექტთან (აღამიანთან), ანუ ვულისხმობს რა შემეცნებაში, აზროვნებაში მხოლოდ სუბიექტით, მისი ფსიქიკური ორგანიზაციით განსაზღვრულობის მომენტს. ამით იგი ფაქტიურად უარყოფს შემეცნების ობიექტურ ხასიათს ანუ, საბოლოო ანგარიშით, უარყოფს თვითონ შემეცნებას როგორც ფაქტს.

სუბიექტური იდეალიზმი, როგორც ზოგად-ფილოსოფიური თვალსაზრისი, ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ტექნიკური ურთიერთობის კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში განაპირობებს მიმართულებას, რომელსაც ფსიქოლოგიზმი ეწოდება.

ფსიქოლოგისტის მსჯელობა ძირითადად ასეთია:

აზროვნება ყოველთვის არის სუბიექტის (აღამიანის) მიერ აზროვნება, ყოველთვის ხორციელდება სუბიექტის სულში, ფსიქიკაში, ხორციელდება სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის საფუძველზე. არ არსებობს აზროვნება აღამიანის სულის, ფსიქიკური ორგანიზაციის გარეშე. ხოლო ის, რაც ხდება აღამიანის (სუბიექტის) სულში, არის მისი სულიერი მდგომარეობა ანუ განცდა და, როგორც ასეთი, განსაზღვრულია სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერებით. ამდენად, აზროვნება შეიცავს სუბიექტის პირადი (სუბიექტური) ორგანიზაციით განსაზღვრულობის მომენტს ანუ განცდის კანონზომიერების მომენტს, და უაზროა მასში რაიმე სხვა რიგის კანონზომიერების ძიება. ლოგიკა აზროვნების კანონებს სწავლობს; ამდენად, იგი სწავლობს აზროვნების როგორც სუბიექტის სულიერი მდგომარეობის, განცდის კანონებს. მაგრამ ფსიქოლოგიაც ხომ ამას სწავლობს! ფსიქოლოგია სწავლობს სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერებას მთლიანად; ლოგიკა კი სწავლობს სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის მხოლოდ იმ კანონებს, რომლებიც წარმოადგენენ აზროვნებას. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი განსხვავება: ლოგიკა სწავ-

ლობს მხოლოდ იმ კანონებს, რომლებიც განაპირობებენ სწორ აზროვნებას. ფსიქოლოგია კი სწავლობს ყველა იმ კანონს, რომლებიც წარმართავენ აზროვნებას საერთოდ, სწორისა და არასწორის განურჩევლად. მაშასადამე, ლოგიკური უდრის ფსიქოლოგიურის ნაწილს, ლოგიკა უდრის ფსიქოლოგიის ნაწილს.

ცნობილ ფსიქოლოგისტ-ლოგიკოსს ინგლისელ ჯონ სტუარტ მილს ლოგიკურის კანონზომიერება უშუალოდ დაჰყავს ფსიქოლოგიურის კანონზომიერებაზე. ლოგიკურის ყოველი კანონი ესმის როგორც ფსიქოლოგიურის კანონი. ასე, მაგალითად, წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკურ კანონს მილი განმარტავს, როგორც ადამიანის სულში, ფსიქიკაში საწინააღმდეგო აზრების რეალური, ფაქტიური შეუთავსებლობის კანონს. იგი თვლის, რომ ლოგიკაში წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის ფორმულირება მიღებულია, დადგენილია ადამიანის სულში საწინააღმდეგო აზრების რეალური, ფაქტიური შეუთავსებლობის შემთხვევათა განზოგადების გზით. ყოველივე ამის საფუძველზე მილი დაასკვნის, რომ ლოგიკა ფსიქოლოგიის ნაწილს წარმოადგენს¹.

ასევე გერმანელი ლიპსი აზროვნებაში ვერ აღმოაჩინს ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის პრინციპულ განსხვავებას და ამის საფუძველზე ლოგიკას მიიჩნევს ფსიქოლოგიის ერთ განშტოებად, განყოფილებად, ფსიქოლოგიის სპეციალურ დისციპლინად. ასევე — ზიგვარტი და სხვ.

ფსიქოლოგიზმის ასეთი რეზულტატები აშკარა წინააღმდეგობაში მოდიან ჩვენ მიერ აღრე მითითებულ ფაქტიურ გარემოებებთან; ხოლო თეორია, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ფაქტებთან, ცხადია, დაკარგავს ყოველგვარ დამაჯერებლობას.

ფსიქოლოგიზმი, როგორც შედარებით კონკრეტული თვალსაზრისი ანუ ერთგვარად კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის გარკვეული მიმართულება, აუცილებლობით მიიღება სუბიექტური იდეალიზმიდან, როგორც ზოგად-ფილოსოფიური თვალსაზრისიდან. თუკი სუბიექტის მიერ შემეცნებაში ანუ სუბიექტის ცნობიერებაში ყველაფერი განსაზღვრულია სუბიექტით, სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციით, მაშინ, ცხადია, აზროვნებაში არც შეიძლება ვეძიოთ მეორე, სხვა რიგის კანონზომიერება, გარდა სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერებისა. სუბიექტური იდეალისტიკისათვის სუბიექტის შემეცნება, აზროვნება სხვა არაფერთან დგას მიმართებაში, თუ არა სუბიექტთან, სუბიექტის ფსიქიკურ ორგანიზაციასთან. ასეთ შემთხვევაში,

¹ ლოგიკური კანონის მილისეული ინტერპრეტაციის შესახებ აქ, სხვათა შორის, უნდა შეინიშნოს, რომ თუკი, მაგ., წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი ადამიანის ფსიქიკაში საწინააღმდეგო აზრების ფაქტიური შეუთავსებლობის კანონია, მაშინ აუხსნელი დაგვრჩება ნორმალური ფსიქიკური ორგანიზაციის მქონე ადამიანის მიერ ულოგიკო, წინააღმდეგობრივი აზროვნების ფაქტი. ფსიქიკური ორგანიზაციის კანონი, თუკი იგი კანონია, მუდამ ძალაში უნდა იყოს, არ შეიძლება ირღვეოდეს მანამ, სანამ არსებობს ის, რისი კანონიცაა, — ე. ი. ფსიქიკური ორგანიზაცია.

ცხადია, აზროვნებაში სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერება და ის, რაც ამ კანონზომიერებათა განსაზღვრული. აზროვნებაში შეუძლებელია აღმოჩნდეს რაიმე სხვა რიგის კანონზომიერება და ამით განსაზღვრულობის მომენტი. უტყუარი ფაქტები, რომლებიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდიან ფსიქოლოგისტურ თვალსაზრისთან, როგორც ერთგვარად კონკრეტულ თვალსაზრისთან, წინააღმდეგობაში მოდიან აგრეთვე სუბიექტურ იდეალიზმთან, როგორც ზოგად-ფილოსოფიურ თვალსაზრისთან.

მეორე მხრით, ფსიქოლოგისტს თანამიმდევრობის დაურღვევლად არ შეუძლია არ მიიღოს სუბიექტური იდეალიზმის ზოგად-ფილოსოფიური თვალსაზრისი. ფსიქოლოგიზმმა, ასე ვთქვათ, უკანა რიცხვით პასუხი უნდა აგოს სუბიექტური იდეალიზმის გამო. თუკი აზროვნების ერთადერთი კანონზომიერება სუბიექტის სულიერ, ფსიქიკურ მდგომარეობათა, განცდათა კანონზომიერებაა, მაშინ, ცხადია, რომ აზროვნება სხვა არაფერთან მდგარა მიმართებაში, თუ არა სუბიექტთან, სუბიექტის ფსიქიკურ ორგანიზაციასთან. ამდენად, აზროვნებას არ შეიძლება ჰქონდეს სუბიექტისაგან დამოუკიდებელი, ანუ ობიექტური მნიშვნელობა. აზროვნების სუბიექტისაგან დამოუკიდებელთან, ანუ ობიექტურთან მიმართება გულისხმობს აზროვნებაში ამ უკანასკნელის (ობიექტურით) განსაზღვრულობის მომენტს. აზროვნებაში ობიექტურით განსაზღვრულობის კანონზომიერება, ცხადია, სხვა იქნება, ვინემ სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერება. ესენი ერთმანეთზე არ დაიყვანებიან. მოკლედ: აზროვნებაში მხოლოდ სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის, განცდის, ანუ სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციით განსაზღვრულობის მომენტის დანახვა ნიშნავს აზროვნების ობიექტურთან მიმართებისა და, მაშასადამე, აზროვნებაში ობიექტურით განსაზღვრულობის მომენტის ანუ აზროვნების სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის უფულებელყოფას. ამდენად, ფსიქოლოგიზმი აუცილებლობით თხოულობს სუბიექტურ იდეალიზმს, იგი ამ უკანასკნელზე დაიყვანება. სუბიექტური იდეალიზმი შემეცნების ფაქტის ახსნის ნაცვლად შემეცნების ფაქტის უარყოფას, ანუ მოხსნას შეიცავს. ფსიქოლოგიზმის საუკეთესო კრიტიკა იქნება ის, რომ იგი დავიყვანოთ სუბიექტურ იდეალიზმზე, როგორც ზოგად ფილოსოფიურ თვალსაზრისზე, და პასუხი მოვთხოვოთ სუბიექტური იდეალიზმის შეუსაბამობათა გამო.

მაშასადამე, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის, და ამდენად, მათი შესასწავლი საგნების ურთიერთობის საკითხში ფსიქოლოგისტურ თვალსაზრისსა და სუბიექტურ-იდეალისტურ ზოგად ფილოსოფიურ თვალსაზრისს შორის არსებობს აუცილებელი, ლოგიკურად ურთიერთმომთხოვნი დამოკიდებულება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როდესაც რომელიმე სუბიექტური იდეალისტი შეეცდება დაადასტუროს ლოგიკისა და ფსიქოლოგიის, ანუ მათი შესასწავლი საგნების ურთიერთგანსხვავებულობის ფაქტი, იგი მაინც ფაქტურად თავს ვერ დააღწევს მათს ურთიერთგაიგივებას, ანუ ლოგიკურის დაყვანას ფსიქოლოგიურზე, თავს ვერ დააღწევს ფსიქო-

ლოგისტიურ თვალსაზრისს. ლოგიკაში ფარული ფსიქოლოგიზმის მიმართულე-
ბა წარმოადგენს სუბიექტური იდეალიზმის საფუძველზე ლოგიკურისა და
ფსიქოლოგიურის ურთიერთგანსხვავებულობის ფაქტის დადასტურებისა და
ახსნის ამოცნა.

ფარული ფსიქოლოგიზმის ტენდენცია სათავეს იღებს კანტის ფილოსო-
ფიიდან.

კანტს ჰქონდა გრძობა იმისა, რომ ლოგიკა და ფსიქოლოგია ურთი-
ერთდამოუკიდებელი, განსხვავებული მეცნიერებებია. იგი გრძობდა პრინცი-
პულ განსხვავებას ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგნებს შორის, გრძობდა,
რომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორივე მეცნიერებას საქმე აქვს აზროვნე-
ბასთან, ისინი სხვადასხვა რიგის კანონზომიერებებს დაადგენენ. ლოგიკა სწავ-
ლობს აზროვნებაში იმ კანონზომიერებას, რომელსაც უპირველეს ყოვლისა
ახსიათებს სუბიექტის, სუბიექტივობის მიმართ აუცილებლობა. ფსიქოლოგია
კი აზროვნებაში თვით ამ სუბიექტივობის მომენტს სწავლობს და ა. შ. მაგ-
რამ კანტს ეს გარემოებანი, გასაგები მიზეზის გამო, პრინციპულად მოუაზრე-
ბელი და აუხსნელი დაურჩა.

კანტმა აზროვნებაში ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა
ურთიერთობის მოაზრებისათვის დასახა შემდეგი პრინციპულად მცდარი გზა:
აზროვნებაში ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა ურთიერთობა
უნდა გაიგოთ, როგორც წმინდასა და ემპირიულის, აუცილებელისა და
შემთხვევითის, ნორმისა და ფაქტიურის მომენტთა ურთიერთობა აზროვ-
ნებაში¹.

ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა ურთიერთობის საკითხში
ასეთი თვალსაზრისი ვითარდება და ბოლომდე მიიყვანება ნეოკანტიანურ
ფილოსოფიაში (ვინდელბანდი, რიკერტი და სხვ.). ამ ფილოსოფიაში მოცე-
მულია, ერთი მხრით, ლოგიკისა და ფსიქოლოგიის საგნებს შორის პრინცი-
პული განსხვავების გრძობა, დანახვა და, მეორე მხრით, ამ განსხვავების და-
დგენისა და, მით უფრო, დასაბუთების შეუძლებლობა კანტისეული სუბი-
ექტურ-იდეალისტური თვალსაზრისის საფუძველზე.

აზროვნებაში ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა ურთიერთო-
ბა, ცხადია, ვერ მოიზრება წმინდასა და ემპირიულის ცნებების საშუალებით.
აზროვნებაში წმინდასა და ემპირიულის მომენტთა განსხვავება არ არის იმ
პრინციპული ხასიათისა, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედგას აზროვნე-
ბის შესახებ ორი სხვადასხვა მეცნიერების არსებობას. წმინდა სხვა არაფერი
შეიძლება იყოს, თუ არა წმინდა ემპირიული, ანუ ემპირიული წმინდა სახით.
როგორც ცნობილია, კანტმა, ერთი მხრით, აღიარა ნივთთათ ავისთავად არსე-
ბობა და მათი შემოქმედება გრძობის ორგანოებზე, ხოლო, მეორე მხრით, ცნო
აზროვნების ფორმების აპრიორობა. აპრიორისა და აპოსტერიორის პოლა-

¹ Kant, Kritik der reinen Vernunft, Halle, S. 101; მისივე, Logik, Berlin, 1923, S. 334.

რული განსხვავების მიხედვით მოიაზრა კანტმა აზროვნების ფორმისა და მასალის ურთიერთობა. შედეგად პრინციპში მიღებულ იქნა აზროვნების ფორმისა და შინაარსის აბსოლუტური განსხვავება. ამის გამო კანტმა ვერ ახსნა შემეცნება, როგორც ფორმა-შინაარსის ერთიანობა. აბსოლუტური განსხვავება გამორიცხავს ერთიანობას და, პირიქით, ერთიანობა გამორიცხავს აბსოლუტურ განსხვავებას; ერთიანობა რაღაც საერთოს გულისხმობს. კანტისათვის წმინდა უდრის ფორმას, ანუ აპრიორის. ემპირიული კი მდგომარეობს მასალის, ანუ აპოსტერიორის მომენტში. ემპირიული აზროვნება უდრის გაფორმებულ მასალას, ანუ მასალით სავსე ფორმას, ანუ აპრიორი-აპოსტერიორის კონკრეტულ ერთიანობას.

როგორაა შესაძლებელი ამ თვალსაზრისის მიხედვით ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის, როგორც წმინდასა და ემპირიულის ურთიერთობის მოაზრება?

როგორც აღვნიშნეთ, აპრიორისა და აპოსტერიორის, პოლარული განსხვავების მიხედვით აზროვნების ფორმისა და შინაარსის, ანუ აზროვნებაში წმინდასა და ემპირიულის მომენტთა ურთიერთობის მოაზრება შეუძლებელს ხდის აზროვნების ფორმისა და შინაარსის, წმინდასა და ემპირიულის ერთიანობის ფაქტის ახსნას. მაშასადამე, კანტს თვითონ წმინდასა და ემპირიულის ურთიერთობა დარჩა მოუაზრებელი და აუხსნელი. აქედან, ცხადია, რომ მას მოუაზრებელი და აუხსნელი დარჩებოდა ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობა, რადგან მასთან ეს უკანასკნელი დაყვანილია წმინდასა და ემპირიულის ურთიერთობაზე.

მაგრამ კიდევაც რომ ერთგვარად „გაფაბატიოსნოთ“ კანტის თვალსაზრისი, ე. ი. წაინდა წარმოვიდგინოთ, როგორც წმინდა ემპირიული ანუ ემპირიული წმინდა სახით, მაინც, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი გახდება ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის დაყვანა წმინდასა და ემპირიულის ურთიერთობაზე.

საქმე ისაა, რომ აბსოლუტურად წმინდა იმთავითვე უშუალოდ მოცემული არ არის. წმინდა ხომ არის ემპირიული წმინდა სახით. ამიტომ ყოველი მეცნიერება წმინდას დაადგენს ემპირიულში, ანუ დაადგენს ემპირიულს წმინდა სახით. ამას ნიშნავს რაიმე რიგის მოვლენებში კანონის, ზოგადის, აუცილებელის დადგენა. კანონი, ზოგადი, აუცილებელი — აი ეს არის ემპირიული წმინდა სახით. საქმე ისე ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთი მეცნიერება — ფსიქოლოგია — მხოლოდ წამოაყენებს ან აღწერს გარკვეული რიგის მოვლენებს, ხოლო მეორე მეცნიერება — ლოგიკა — ამ მოვლენებში დაადგენს კანონზომიერებას. კანონზომიერება კი არის სწორედ ემპირიული წმინდა სახით. მაშ, ფსიქოლოგიის საგნიდან ლოგიკის საგანზე გადასვლის გზა არ შეიძლება იყოს გზა ემპირიულიდან წმინდასაკენ. აზროვნება, როგორც სუბიექტის (ადამიანის) ფსიქიკური მდგომარეობა, განცდა ანუ ფსიქოლოგიური მხოლოდ მოვლენა კი არ არის, არამედ არის გარკვეული კანონზომიერება, და ეს კანონზომიერება არ არის ლოგიკური კანონზომიერება. ფსიქოლოგიური, მაშასადამე, მხოლოდ ემპირიული კი არ არის, არამედ მასში არის წმინ-

და ანუ ემპირიული წმინდა სახით. ფსიქოლოგიური წმინდა ანუ ფსიქოლოგიური კანონზომიერება არ არის იგივე, რაც არის ლოგიკურის წმინდა ანუ ლოგიკური კანონზომიერება. მაშ, ფსიქოლოგიურიდან ლოგიკურზე გადასვლის გზა არ შეიძლება იყოს გზა ემპირიულიდან წმინდასაკენ, ანუ არ შეიძლება ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურის ურთიერთობის დაყვანა ემპირიული სა და წმინდის ურთიერთობაზე. კანტიანური ფილოსოფიის, როგორც სუბიექტური იდეალიზმის, ელემენტში უარყოფილია აზროვნების მიმართება ობიექტთან, როგორც სუბიექტისა და მისი აზროვნებისა — სხვასთან. აზროვნება მიმართებაში დგას მხოლოდ სუბიექტთან; ამდენად, აზროვნება სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, განცდა ანუ ფსიქოლოგიური. ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ ლოგიკური განსხვავდება ფსიქოლოგიურისაგან, როგორც წმინდა ემპირიულისაგან, არსებითად უდრის ლოგიკურის დაყვანას ფსიქოლოგიურის წმინდაზე ანუ ფსიქოლოგიურის კანონზომიერებაზე. წმინდა სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ემპირიულის წმინდა ანუ ემპირიული წმინდა სახით; ამდენად, კანტიანელის მსჯელობის მიხედვით ლოგიკური უდრის ფსიქოლოგიურის წმინდას ანუ ფსიქოლოგიურს წმინდა სახით.

გარკვეული აზრით ლოგიკური ფსიქოლოგიურთან მიმართებაში არის აუცილებელი და, პირიქით, ფსიქოლოგიური ლოგიკურთან მიმართებაში არის შემთხვევითი. აზროვნებაში ლოგიკურის მომენტი არ არის განსაზღვრული არც ინდივიდუალური სუბიექტის მომენტური ფსიქიკური მდგომარეობით, არც ინდივიდუალური სუბიექტის სპეციფიკური ფსიქიკური ორგანიზაციით და არც სუბიექტის საერთოდ, სუბიექტის როგორც ასეთის ფსიქიკური ორგანიზაციის კანონზომიერებით. ამ აზრით აზროვნებაში ლოგიკურის მომენტი არის აუცილებელი ფსიქოლოგიურის მომენტის მიმართ და, პირიქით, ფსიქოლოგიურის მომენტი არის შემთხვევითი ლოგიკურის მომენტის მიმართ. მაგრამ, როგორც ვიცით, კანტიანური ფილოსოფიის ელემენტში უარყოფილია აზროვნების მიმართება სუბიექტისა და მისი აზროვნებისადმი რაიმე სხვასთან. ამით უარყოფილია აზროვნებაში სუბიექტით განსაზღვრულობის, სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის საკუთრივი აუცილებლობის მიმართ რაიმე სხვა აუცილებლობის დაშვება. მაგრამ სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის საკუთრივი აუცილებლობის მომენტი ხომ არის სწორედ ფსიქოლოგიურის აუცილებლობა ანუ აუცილებლობის მომენტი ფსიქოლოგიურში. ამდენად, კანტიანელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ აზროვნებაში ლოგიკურის მომენტი განსხვავდება ფსიქოლოგიურისაგან, როგორც აუცილებელი შემთხვევითისაგან, არსებითად უდრის ლოგიკურის დაყვანას ფსიქოლოგიურის აუცილებელზე ანუ აუცილებლობის მომენტზე ფსიქოლოგიურში.

კანტთან მხოლოდ მინიშნებული იყო და ნეოკანტიანურ ფილოსოფიაში, კერძოდ, რიკერტის ფილოსოფიაში ბოლომდე მიყვანილ იქნა ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის ნორმისა და ფაქტიურის ურთიერთობის საფუძველზე მოაზრების ტენდენცია „In der Logik aber ist die Frage...

nicht wie wir denken, sondern wie wir denken sollen“¹. ლოგიკური ის კი არ არის, რაც არის აზროვნება, არამედ ის, რაც უნდა იყოს აზროვნება. სხვაგვარად, ლოგიკური არის არა აზროვნება როგორც ფაქტიური, არამედ აზროვნება როგორც ნორმა. ფსიქოლოგიური უდრის აზროვნებას, როგორც ფაქტიურს, ლოგიკური კი უდრის აზროვნებას, როგორც ნორმას.

კანტიანელის მსჯელობას მისტიკური საბურველი რომ ჩამოვაცილოთ და მივიღოთ ფაქტიურისა და ნორმის ჩვეულებრივი გაგება, ცხადი გახდება, რომ ურთიერთობა ფაქტიურსა და ნორმას შორის ვერ აგვიხსნის ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურის ნამდვილ ურთიერთობას. ყოველი „უნდა“ ეყრდნობა გარკვეულ „არის“-ს; სხვაგვარად, ყოველივე ის, რაც დგას „უნდას“ თვალსაზრისის ქვეშ, ანუ რაც მოითხოვება გარკვეული „უნდა“-თი, არის იმავე დროს რაღაც „არის“, ე. ი. ყოველი ნორმა გარკვეული აზრით არის რაღაც ფაქტიური. ნორმა სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის მიერ არჩევის თვალსაზრისის ქვეშ დაყენებული და გამორჩეული ფაქტიური. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გვაქვს ნორმა ჯერ განუხორციელებელი იდეალის აზრით. იგი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენ მიერ წარსულისა თუ აწმყოს ფაქტიურში გამოცნობილი და ასე მოთხოვნილი ფაქტიური მომავლისა. მაშასადამე, ნორმა ფაქტიურისაგან პრინციპულად განსხვავებული კი არ არის. არამედ არის ფაქტიურის ნაწილი. იგი არის ის ფაქტიური, რომელსაც აირჩევს და შიოთხოვს სუბიექტი. თუკი ფსიქოლოგიური უდრის ფაქტიურს, ხოლო ლოგიკური უდრის ნორმას, მაშინ ლოგიკური ყოფილა სუბიექტის მიერ გამორჩეული და მოთხოვნილი ფსიქოლოგიური, ანუ ყოფილა ფსიქოლოგიურის ნაწილი. მაშასადამე, აზროვნებაში ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის ნორმისა და ფაქტიურის ურთიერთობაზე დაყვანის თვალსაზრისი არსებითად უდრის ფსიქოლოგიზმს. ნორმა — ფაქტიურის ურთიერთობის საფუძველზე ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის მოაზრების ყალბი ტენდენცია უშუალოდ გაპირობებულია სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისის მიხედვით ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ნამდვილი ურთიერთობის გარკვევის შეუძლებლობით.

კანტიანურ ფილოსოფიაში, კერძოდ რიკერტის ფილოსოფიაში, მოცემულია ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის მოაზრების კიდევ სხვა ასპექტები; ლოგიკური უდრის აზროვნებაში წმინდას, უდრის აზროვნებაში აუცილებელს და, ბოლოს, — ნორმას. ყველაფერი ეს უდრის ზეინდივიდუალურ აზროვნებას, აზროვნებას, როგორც ასეთს, ანუ ზეინდივიდუალურ სუბიექტს, სუბიექტს როგორც ასეთს. ფსიქოლოგიური უდრის აზროვნებას, როგორც ემპირიულს, როგორც შემთხვევითს და, ბოლოს, როგორც ფაქტიურს. ყველაფერი ეს უდრის ინდივიდუალურ აზროვნებას ანუ ინდივიდუალურ სუბიექტს და უდრის ობიექტს, ობიექტის ერთ სფეროს. კანტიანელისათვის ობიექტი სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების შინაარსი. ამგვარად,

¹ Kant, Logik, S. 334.

ფსიქოლოგიური უდრის ობიექტს, ობიექტის ერთ სფეროს ანუ აზროვნების შინაარსის ერთ სფეროს; ლოგიკური კი ამისაგან განსხვავებით უდრის სუბიექტს, როგორც ასეთს. აზროვნებას, როგორც ასეთს, ანუ აზროვნებას, როგორც ფორმას; უფრო ზუსტად: ფსიქოლოგიური უდრის მოაზრებული ობიექტის ანუ გაფორმებული მასალის ერთ სფეროს. ლოგიკური კი უდრის საკუთრივ მოაზრების მომენტს, საკუთრივ ფორმის მომენტს.

სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ჩვეულებრივი ვაგება, ცხადია, ვერ მოგვცემს ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის ნამდვილ ვაგებას. სუბიექტი აზროვნებაში ლოგიკურის მომენტს კი არ უდრის, არამედ იგი არის ის, ვინც აზროვნებს, ანუ არის ადამიანი და იგი არ დაიყვანება არც ლოგიკურის მომენტზე და არც მთლად აზროვნებაზე. ასევე აზროვნებაში ფორმა-შინაარსის ურთიერთობის ჩვეულებრივი ვაგება ვერ აგვიხსნის ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობას. აზროვნება, როგორც ფსიქოლოგიური, თვითონ წარმოადგენს ფორმა-შინაარსის გარკვეულ ურთიერთობას, თვითონ შეიცავს ფორმის მომენტს; ამდენად, გზა შინაარსიდან ფორმისაკენ არ შეიძლება იყოს ფსიქოლოგიურის სფეროდან ლოგიკურის სფეროში გადასვლის გზა.

ზენიდივიდუალურისა და ინდივიდუალურის ურთიერთობის ჩვეულებრივი ვაგება აგრეთვე ვერ აგვიხსნის ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის ნამდვილ ურთიერთობას. ზენიდივიდუალური მხოლოდ ისე შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალურისაგან, როგორც ზოგადი კონკრეტულისაგან. ფსიქოლოგიური თვითონ წარმოადგენს ზოგადისა და კონკრეტულის ერთიანობას, თვითონ შეიცავს ზოგადს. ამდენად, გზა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ ვერ გავიყვანს ფსიქოლოგიურის ფარვლებიდან.

სუბიექტური იდეალიზმი თავის ელემენტში აღიარებს აზროვნის მიმართებას მხოლოდ სუბიექტთან ანუ აზროვნებაში დაუშვებს მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტით განსაზღვრულობის მომენტს. ასეთნაირად ვაგებული აზროვნება სუბიექტის განცდაა და სხვა არაფერი, ანუ არის მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტი. ამდენად კანტიანური ფილოსოფიის როგორც სუბიექტური იდეალიზმის სახეობის მიერ ლოგიკურის გათანაბრება აზროვნებაში წმინდის, აუცილებელის, ნორმის, და ა. შ. მომენტებთან ნიშნავს ლოგიკურის გათანაბრებას თვითონ ფსიქოლოგიურში წმინდის, აუცილებელის, ნორმისა და ა. შ. მომენტებთან, ანუ არსებითად უდრის ლოგიკურის დაყვანას ფსიქოლოგიურზე.

კანტიანურ ფილოსოფიაში ჩანს ერთგვარი ტენდენცია იმისა, რომ ლოგიკური ანუ აზროვნება, როგორც ასეთი, ვაგებულ იქნას, როგორც თვითონ სუბიექტი, განსხვავებული და დამოუკიდებელი ადამიან-სუბიექტთაგან, ანუ ვაგებულ იქნას როგორც აბსოლუტური სუბიექტი. ამ პუნქტში კანტიანური ფილოსოფია აკეთებს ნაბიჯს ობიექტური იდეალიზმისაკენ. სუბიექტური იდეალიზმი, რომელიც არ წავა მატერიალიზმისაკენ, ლოგიკურად მიდის ობიექტურ იდეალიზმამდე.

სუბიექტური იდეალიზმი შემეცნების ობიექტურობას (ეს უკანასკნელი კი შემეცნების მიუცილებელი ნიშანია) დაიყვანს სუბიექტურობაზე, სუბიექტური ფაქტორით განსაზღვრულობაზე, ანუ იგი ფაქტიურად უარყოფს შემეცნების ობიექტურობას და ამით უარყოფს თვითონ შემეცნებას, როგორც ფაქტს. შემეცნების ფაქტის უარყოფა კი შინაგანად შეიცავს თვითონ იდეალიზმის, როგორც გარკვეული თეორიის უარყოფას. იდეალისტური თვალსაზრისი ობიექტური იდეალიზმის საფეხურზე შეეცდება ამ გამანადგურებელი რეზულტატის აცილებას. ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე იდეალისტური თვალსაზრისის ამოცანა იქნება გაათავისუფლოს შემეცნება სუბიექტივობით განსაზღვრულობისაგან, ე. ი. შემეცნების განმსაზღვრელი გაიტანოს როგორც ინდივიდუალური, ისე ზეინდივიდუალური სუბიექტის (ადამიანის) ფარგლებს გარეთ. იდეალიზმისათვის ეს ამოცანა შეუძლებელი ამოცანაა. თუკი შემეცნების განმსაზღვრელი არ შეიძლება ვეძებოთ საერთოდ სუბიექტში (ადამიანში), მაშინ ასეთი რამ უნდა იყოს ყოველგვარი სუბიექტივობისაგან და თვითონ შემეცნებისაგან დამოუკიდებელი, ე. ი. უნდა დავუშვათ ობიექტური რეალობა. მაგრამ სუბიექტისა და შემეცნებისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი რეალობის დაშვება მატერიალისტური თვალსაზრისისა და, როგორც ასეთი, პრინციპულად მიუღებელია ობიექტური იდეალიზმისათვის, როგორც იდეალიზმისათვის. ამიტომ მან უნდა უაოყოს ობიექტი, როგორც აზრისაგან განსხვავებული, ანუ ობიექტი უნდა გააიგივეოს აზრთან, ობიექტი უნდა დაიყვანოს აზრზე. მაგრამ, მეორე მხრით, მან უნდა მოხსნას სუბიექტიც (ანუ შემეცნებელი), როგორც აზრისაგან განსხვავებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებს აზრის, შემეცნების განსაზღვრულობას (ერთადერთი განსაზღვრულობის აზრით) სუბიექტური ფაქტორით. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს შემეცნების ფაქტის უარყოფას ანუ იდეალიზმის, როგორც გარკვეული თეორიის მიერ თავისი თავის უარყოფას.

მაშასადამე, ობიექტური იდეალიზმი, ერთი მხრით, მოხსნის ობიექტს, ხოლო, მეორე მხრით, სუბიექტს, ანუ სუბიექტი — აზროვნება — ობიექტის მიმართებას მოხსნის ახსნის ნაცვლად. რეზულტატად მიიღებს აზროვნებას, როგორც ერთადერთ ნამდვილს.

ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურის ურთიერთობის საკითხში წარმოიშობა მიმართულება, რომელსაც ანტი-ფსიქოლოგიზმი ეწოდება.

ფსიქოლოგიისტის მსჯელობა, როგორც გვახსოვს, მოკლედ ასეთი იყო: აზროვნება ყოველთვის სუბიექტის (ადამიანის) მიერ აზროვნებაა და, როგორც ასეთი, მუდამ განიცდება სუბიექტის მიერ, იგი მუდამ სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა ანუ განცდაა. ამ პუნქტამდე ფსიქოლოგიისტის მსჯელობა მართებულია; აზროვნება, მართლაც ყოველთვის სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობაა, განცდაა, ანუ ფსიქოლოგიური ფაქტია. ამ პუნქტის შემდეგ კი იწყება ფსიქოლოგიზმის არსებითი სიყალბე: აზროვნება მხოლოდ განცდაა, ფსიქიკური მდგომარეობაა, ფსიქოლოგიური ფაქტია და მას არ

შეიძლება ჰქონდეს რაიმე სხვა მნიშვნელობა. აზროვნებაში სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციით განსაზღვრულობის მომენტი; გამორიცხულია მასში რაღაც სხვა, მეორე მხარის არსებობა. როგორც ვიცით, ფსიქოლოგისტიც ეს დასკვნა აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ფაქტიურ მდგომარეობასთან.

იდეალისტური ფილოსოფია აბსოლუტურად ყალბი წინამძღვრებიდან გამოდის. ამიტომ, ცხადია, რომ მას არ შეუძლია სინამდვილის ფაქტების ჭეშმარიტი ახსნა, მაგრამ, მეორე მხრით, იდეალისტური ფილოსოფია, ცხადია, დაინტერესებულია იმით, რომ ჰქონდეს დამაჯერებლობა. როცა იდეალისტური ფილოსოფია რომელიმე თავის პუნქტში სინამდვილის რაიმე ფაქტთან მოდის პირდაპირ, აშკარა, დაუფარავ წინააღმდეგობაში, იგი კარგავს დამაჯერებლობის ყოველგვარ მოჩვენებითობას. ამიტომ იდეალისტური ფილოსოფია იძულებული გახდება შეცვალოს იმავე (იდეალისტური) ძირითადი დებულებების საფუძველზე ამა თუ იმ ფაქტის ახსნის ვარიანტი. ეს, ცხადია, ვერ იხსნის იდეალიზმს არსებითი სიყალბისაგან. საბოლოო ანგარიშით მიიღება იგივე რეზულტატი: ფაქტის ახსნის ნაცვლად ფაქტის უარყოფა, ანუ ფაქტის მოხსნა. ასეთი მდგომარეობა შეენიშნეთ აშკარა ფსიქოლოგიზმიდან ფარულ ფსიქოლოგიზმში გადასვლისას; ასეთსავე მდგომარეობას ვნახავთ საერთოდ ფსიქოლოგიზმიდან ანტიფსიქოლოგიზმში გადასვლისას.

ანტიფსიქოლოგიზმი დაიწყებს იმით, რომ დაადასტურებს აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის, კანონზომიერების — ლოგიკურისა და ფსიქოლოგიურის — არსებობის ფაქტს.

ანტიფსიქოლოგისტური პოზიცია მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: აზროვნება არ არის მხოლოდ ფსიქიკური მდგომარეობა, განცდა, არამედ მას გააჩნია სხვა ისეთი მხარე (და ამაშია მისი პირველადი მნიშვნელობა) — ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტი, — რომელიც არა თუ უბრალოდ განსხვავებულია, არამედ არის დამოუკიდებელი სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის, განცდის მომენტისაგან. აზროვნება როგორც სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, განცდა მდგომარეობს აზროვნების სუბიექტთან მიმართებაში და, როგორც ასეთი, შეადგენს აზროვნების სუბიექტურ მხარეს. აზროვნება, როგორც ლოგიკურ-ჭეშმარიტი, დამოუკიდებელია ყოველგვარი სუბიექტივობისაგან და, როგორც ასეთი, შეადგენს აზროვნების ობიექტურ მხარეს.

ამ პუნქტამდე ანტიფსიქოლოგისტური პოზიცია მართებულია. ამის შემდეგ კი იწყება არსებითი სიყალბე.

როგორ უნდა ახსნას იდეალისტურმა ანტიფსიქოლოგიზმმა აზროვნების ობიექტური მხარე? მას (როგორც იდეალიზმს) ხომ არ შეუძლია დაუშვას სუბიექტისა და მისი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი, როგორც აზროვნების ობიექტურობის განმსაზღვრელი! იგი აზროვნების ობიექტურ მხარეს ახსნის იმით, რომ თვითონ მას — აზროვნების ობიექტურ მხარეს ანუ აზროვნებაში ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტს — წარმოიდგენს ობიექტად. აზროვნებაში

ნება ობიექტურია იმ აზრით, რომ თვითონ არის სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ობიექტი, ობიექტურ-რეალური.

გავყვეთ ობიექტური იდეალიზმის (რომლის საფუძველზედაც დვას ბურ-ჟუაზიული ანტიფსიქოლოგიზმი) თანამიმდევრობას. აზრი არის ერთადერთი ნამდვილი; მაშ, ნამდვილად აზრი სხვას არაფერს შეიძლება შეეხებოდეს, თუ არა თავის თავს. აზრი არის თავისი თავის შესახებ. ის, რის შესახებაცაა აზრი, თვითონაა და არა სხვა. ამ მომენტში, რომელიც გამოიხატება, რომელსაც ვახსიათებთ ცნებით, — შესახებ, — მდგომარეობს აზრის ობიექტური მხარე ანუ აზრი, როგორც ლოგიკურ-ჭეშმარიტი. სხვაგვარად, აზრი როგორც გარკვეული „სურათი“, აი ეს არის აზრის ობიექტური მხარე ანუ აზრი, როგორც ლოგიკურ-ჭეშმარიტი. მაგრამ აზრი, როგორც „სურათი“, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა თავისი თავის „სურათი“ ანუ თავისი თავის შესახებ. ამდენად, აზრი, მაგალითად სუბიექტის შესახებ, როგორც „სურათი“, სუბიექტის საერთოდ შესახებ სხვას არაფერს შეიძლება გამოიხატავდეს, თუ არა თავის თავს; მაშასადამე, სუბიექტური სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა აზრი, როგორც „სურათი“ სუბიექტის შესახებ ანუ აზრი, როგორც გარკვეული ლოგიკურ-ჭეშმარიტი. ამავე თანამიმდევრობით აზრი, როგორც „სურათი“, სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის, განცდის ანუ ფსიქოლოგიურის შესახებ სხვას არაფერს შეიძლება გამოიხატავდეს, თუ არა თავის თავს. ამდენად, სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობა, განცდა ანუ ფსიქოლოგიური სხვა არაფერია, თუ არა აზრი, როგორც „სურათი“ სუბიექტის ფსიქიკური მდგომარეობის, განცდისა ანუ ფსიქოლოგიურის შესახებ. მაშასადამე, აზრის სუბიექტური მხარე, ანუ აზრში ფსიქოლოგიურის მომენტი, უდრის გარკვეული აზრის ობიექტურ მხარეს, ანუ არის გარკვეული ლოგიკურ-ჭეშმარიტი. ამგვარად, ობიექტური იდეალიზმის თანამიმდევრობა თხოულობს, რომ ფსიქოლოგიური არსებითად დაყვანილ იქნას ლოგიკურ-ჭეშმარიტზე. ობიექტური იდეალიზმის ნიადაგზე მდგომი ანტიფსიქოლოგიზმი, თუმცა კი მიიღებს აზროვნებაში ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტთა განსხვავების ფაქტს, მაგრამ ახსნაში უთუოდ მოხსნის ამ განსხვავებას, ფსიქოლოგიურს დაიყვანს ლოგიკურ-ჭეშმარიტზე.

იდეალისტური ფილოსოფიის მიერ აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის, მომენტის — ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის — მოცემულობის ფაქტის ახსნის პრინციპული შეუძლებლობის კონკრეტულ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იდეალისტური ფილოსოფიის ელემენტში უარყოფილია აზროვნების გაგება როგორც მიმართებისა პრინციპულად ურთიერთგანსხვავებულ წევრებს — სუბიექტსა და ობიექტს — შორის.

ლოგიკურ-ჭეშმარიტისა და ფსიქოლოგიურის ნამდვილი ურთიერთობის გაგება და ახსნა შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპების საფუძველზე.

აზროვნება ყოველთვის არის სუბიექტის (ადამიანის) მიერ ობიექტის შესახებ აზროვნება. აზროვნება არის სუბიექტის გარკვეული მიმართება ობიექტისადმი. აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის მომენ-

ტის—ლოგიკურ-ჭეშმარიტისა და ფსიქოლოგიურის—მოცემულობის ახსნისას უნდა გამოვიდეთ ამ მიმართების ორი წვერის განსხვავებიდან.

ადამიანი, როგორც ადამიანი, შექმნა შრომამ; ადამიანი თავის სპეციფიკაში განსაზღვრულია პრაქტიკით, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულად მოქმედი არსებაა და მხოლოდ ამის შემდეგ, ამის საფუძველზე და ამის გამო არის იგი შემეცნებელი, მოაზროვნე არსება. აზროვნება, მაშასადამე, თავის წარმოშობასა და განვითარებაში განსაზღვრულია პრაქტიკით. ობიექტი უპირველეს ყოვლისა არის ადამიანის პრაქტიკული მოქმედების ობიექტი და მხოლოდ ამის შემდეგ, ამის საფუძველზე და ამის გაქო არის იგი აზროვნების ობიექტი; ობიექტი, როგორც აზროვნების ობიექტი, განსაზღვრულია პრაქტიკით. მაშასადამე, ადამიანი, ერთი მხრით, ობიექტი როგორც აზროვნების ობიექტი, მეორე მხრით, და მათი ურთიერთობა—აზროვნება—თავის ორივე მომენტში—ფსიქოლოგიურსა და ლოგიკურ-ჭეშმარიტში—განსაზღვრულია პრაქტიკით ანუ შეიცავს სოციალურის მომენტს. მაგრამ რა განაპირობებს აზროვნებაში ამ ორი განსხვავებული მომენტის, მხარის—ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის—მოცემულობას (სიტყვა „მოცემულობას“ ამ შემთხვევაში ვხმარობთ რუსული *наличие*-ს აზრით)? ჩვენი აზრით, აზროვნების ორმხრივობა (თუ ორმხრიანობა) განპირობებულია მიმართებაში მდგომი ორი წვერის—სუბიექტისა და ობიექტის—განსხვავებით, აზროვნების მიმართება ობიექტთან იძლევა აზროვნებაში ობიექტის განსაზღვრულობის (ნიშან-თვისების აზრით) მომენტს. ადამიანით, როგორც ფიზიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობით, განსაზღვრულობის მომენტი აზროვნებაში შეადგენს ფსიქოლოგიურს; ობიექტის განსაზღვრულობის მომენტი აზროვნებაში სოციალურის მომენტთან ერთიანობაში შეადგენს ლოგიკურ-ჭეშმარიტს. პრაქტიკით განსაზღვრულობის ანუ სოციალურის მომენტი საერთოა აზროვნების ამ ორივე მხარისათვის; თვითონ სოციალურის მომენტის მონაწილეობა თავისებურია: ფსიქოლოგიურში და სხვაგვარია, თავისებურია ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტში; მაგრამ ეს თავისებურება გაპირობებულია იმით, რომ ფსიქოლოგიურში სოციალურის მომენტი ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტთან დგას ერთიანობაში, ხოლო საკუთრივ ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტში სოციალურის მომენტი ობიექტის განსაზღვრულობის მომენტთან დგას ერთიანობაში. ამიტომ ხდება, რომ, თუკი ლოგიკა ლოგიკურის კორელატს ეძებს ობიექტის სფეროში, ფსიქოლოგია ფსიქოლოგიურის კორელატს მომეტებულად ფიზიოლოგიურში ეძებს (აქ არ უნდა დავგაბნიოს ერთმა გარემოებამ: ფიზიოლოგიური, ცხადია, ხშირად თვითონ არის აზროვნების ობიექტი; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფსიქოლოგიას ფიზიოლოგიური დააინტერესებს არა როგორც ობიექტი, არამედ როგორც სუბიექტი ანუ როგორც აზროვნების გამაპირობებელი. სუბიექტი გარკვეულ მიმართებაში არის სუბიექტი, მაგრამ სხვა გარკვეულ მიმართებაში იგი თვითონ იქნება ობიექტი, ობიექტური. სუბიექტი სუბიექტია, როცა თვითონ შეიმეცნებს, მაგრამ იგი ობიექტია, როცა მას შეიმეცნებენ. ამ აზრით ყოველგვარი სუბიექტური გარკვეულს მიმართებაში არის ობიექტური. სუბიექტი არის სუბიექტი მის

მიერ შემეცნების ობიექტთან მიმართებაში, მაგრამ სუბიექტი ობიექტური იმასთან მიმართებაში, ვინც მას შეიმეცნებს. ფსიქოლოგიურის მომენტს აზროვნებაში შეადგენს არა ფიზიოლოგიურით, როგორც ობიექტით, განსაზღვრულობის მომენტი, არამედ ფიზიოლოგიურით, როგორც სუბიექტით, განსაზღვრულობის მომენტი. ფიზიოლოგიურის, როგორც ობიექტის, განსაზღვრულობის მომენტი აზროვნებაში, იქნება გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ლოგიკურ-ჰემმარიტი).

მაშასადამე, აზროვნებაში ორი განსხვავებული მხარის—ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჰემმარიტის—მოცემულობა აიხსნება შემდეგნაირად: აზროვნება, ერთი მხრით, წარმოადგენს სუბიექტის სპეციფიკას, მაგრამ, მეორე მხრით, იგი შეიცავს ობიექტის განსაზღვრულობას. აზროვნება, როგორც ობიექტის განსაზღვრულობა, არის ობიექტის „სურათი“, ასახვა; აზროვნება, როგორც სუბიექტის სპეციფიკა, არის ფსიქიკური მდგომარეობა ანუ განცდა. აზროვნება ყოველთვის არის ერთი და მეორეც. მაგრამ, ცხადია, ეს ერთი და მეორე არ არის ერთი და იგივე. ლოგიკურ-ჰემმარიტი ახასიათებს აზროვნებას, როგორც ობიექტის „სურათს“, ასახვას, ანუ აზროვნებაში ობიექტის განსაზღვრულობის მომენტს. ფსიქოლოგიური მდგომარეობს აზროვნებაში, როგორც სუბიექტის განცდაში, ანუ აზროვნებაში სუბიექტით (ადამიანით) განსაზღვრულობის მომენტში. აქ ერთგვარი დაუხსტებაა საჭირო: აზრი, როგორც ფსიქოლოგიური, რაღაც სხვა კი არ არის ვიდრე ობიექტის „სურათი“, ასახვა; აზრი ყოველთვის არის ობიექტის „სურათი“, ასახვა. ამდენად, აზრი, როგორც ფსიქოლოგიური, აგრეთვე არის ობიექტის „სურათი“, ასახვა. მაგრამ იგი არის ობიექტის „სურათი“, ასახვა არა საკუთრივ „სურათის“, ასახვის მომენტში, არამედ იგი არის ეს „სურათი“, ასახვა, ამ უკანასკნელის სუბიექტის მიერ განცდის მომენტში. ფსიქოლოგია, ცხადია, სწავლობს ლოგიკურ აზროვნებას, მაგრამ იგი სწავლობს არა საკუთრივ ლოგიკურობის მომენტს, არამედ ლოგიკურ აზროვნებას განცდის ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლოგიკურად მიჩნევის მომენტში ანუ ლოგიკურობის სუბიექტის მიერ განცდის მომენტს. ამას გულისხმობს ვ. ი. ლენინის მსჯელობა იმის შესახებ, რომ არა ფსიქოლოგია, არამედ ლოგიკა უდრის საკითხს ჰემმარიტების შესახებ¹. დარწმუნებულობის (ამ უკანასკნელს კი ფსიქოლოგია სწავლობს) ხარისხის ცვლილება, ცხადია, ნიშნავს ცვლილებას შესაბამისი აზრის, როგორც განცდის ინტენსივობის ხარისხში, მაგრამ ეს არ ნიშნავს ცვლილებას ამ აზრის ობიექტთან მიმართებაში. შესაძლოა, რომ ამ აზრში ზუსტად იგივე ნიშნები იგულისხმებოდეს ანუ ზუსტად იმავე ხარისხში შეესაბამებოდეს, ჰგავდეს (არ შეესაბამებოდეს, არ ჰგავდეს) თავის ობიექტს; საკუთრივ ლოგიკურ-ჰემმარიტი კი სწორედ ობიექტთან შესაბამისობის მომენტში მდგომარეობს.

შემდეგ, აზრი არის ობიექტურის სუბიექტური ხატი, ანუ იგი ობიექტურიცაა და სუბიექტურიც, უფრო ზუსტად: აზრი, ერთი მხრით, ობიექტ-

¹ იხ. В. И. Ленин, Философские тетради.

ტურია, ხოლო, მეორე მხრით, სუბიექტური. აზრი ობიექტურია თავისი ხასიათის, მნიშვნელობის მხრით, ე. ი. იმ მხრით, რომ იგი საგნით არის განსაზღვრული. იგი სუბიექტურია თავისი არსებობის მხრით.

აზრში ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტი მდგომარეობს აზრის ობიექტურ მხარეში ანუ აზრის მნიშვნელობის მომენტში (ობიექტთან შეესაბამისობის მომენტში).

აზრში ფსიქოლოგიურის მომენტი უდრის აზრის სუბიექტურ მხარეს ანუ აზრის სუბიექტში არსებობის მომენტს. აზრს არა აქვს სუბიექტისაგან (ადამიანის ფიზიოლოგიურისაგან) დამოუკიდებელი არსებობა. მაგრამ აზრს გააჩნია სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა. აზრი არის ის ერაი, რომელიც აერთიანებს ორ სხვადასხვა მომენტს: სუბიექტში არსებობისა და სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მომენტებს, ანუ, ერთი მხრით, სუბიექტით (ადამიანით) განსაზღვრულობისა და, მეორე მხრით, თვითონ ობიექტის განსაზღვრულობის (ნიშნების) მომენტებს. აზროვნებაში ფსიქოლოგიურისა და ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტთა განსხვავება უნდა გავიგოთ აზროვნების ამ ორმხრივი განსაზღვრულობიდან¹.

ფსიქოლოგია, ცხადია, სწავლობს ლოგიკურ-ჭეშმარიტ აზროვნებას, მაგრამ იგი სწავლობს არა საკუთრივ ლოგიკურ-ჭეშმარიტის (ანუ აზროვნების მნიშვნელობის) მომენტს, არამედ მისი არსებობის მომენტს. რომელიმე აზრში სუბიექტის დარწმუნებულობის (ამ უკანასკნელს კი სწორედ ფსიქოლოგია სწავლობს) ხარისხი რომ კლებულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ კლებულობს ამ აზრის არსებობის ხარისხი. მაგრამ ეს აზრი ზუსტად იგივე დარჩება თავისი მნიშვნელობით ანუ თავისი მიმართებით ობიექტთან, თუკი იგი იყო ლოგიკურ-ჭეშმარიტი; ასეთივედ დარჩება მაშინ, როცა ჩვენ რაღაც მიზეზით ნაკლებად დარწმუნებული ვიქნებით მასში. დარწმუნებულობის ხარისხი ნულს თუ გაუთანაბრდა, ეს აზრი შეწყვეტს არსებობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ლოგიკურ-ჭეშმარიტიდან იქცევა არალოგიკურ-ჭეშმარიტად, ე. ი. ეს არ ნიშნავს ცვლილებას აზრის მნიშვნელობის მომენტში. ეს აზრი

¹ აზრის ობიექტური მხარე ნიშნავს მასში ობიექტისეულ მომენტს; ეს უკანასკნელი კი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: აზრში (თუკი იგი ლოგიკურ-ჭეშმარიტია) ეს და არა სხვა ნიშნები რომ იკულისხმება, ეს განსაზღვრულია ობიექტის გარკვეულობით—ეს თვითონ ობიექტის ნიშნებია, მაგრამ აქ ეს ნიშნები არსებობენ ასახული სახით ანუ მეორადი არსებობის ფორმაში. აზრში ეს ნიშნები შეადგენენ აზრის ობიექტურ მხარეს. აზრის სუბიექტური მხარე ნიშნავს მასში სუბიექტით განსაზღვრულობის მომენტს; ეს უკანასკნელი კი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ობიექტის ნიშნები რომ არსებობს ასახული სახით, სუბიექტური, მეორადი არსებობის (დარწმუნებულობის, აკვიატებულობის და ა. შ.) და არა სხვა რაიმე ფორმაში, ეს სუბიექტის ორგანიზაციის სპეციფიკითაა განსაზღვრული. ამრიგად, აზრის სუბიექტური მხარე უდრის ობიექტისეულის სუბიექტში არსებობის ფორმას. აი, ეს სახე, ფორმა (დარწმუნებულობა და ა. შ.) ობიექტისეულის სუბიექტში არსებობისა არის სუბიექტური. ფსიქოლოგიური უდრის ობიექტისეულის სუბიექტში არსებობის ფორმას.

უბრალოდ იქცევა არსებულიდან არარსებულად და, ცხადია, არ ითქმის, რომ იგი ამით ლოგიკურ-ჭეშმარიტიდან არალოგიკურ-ჭეშმარიტში გადავა.

ასოციაციურ კანონზომიერებას (ამ უკანასკნელს კი სწორედ ფსიქოლოგია სწავლობს) შეუძლია საარსებოდ გამოიწვიოს გარკვეული აზრი, შეუძლია განაპირობოს აზრთა გარკვეული თანამიმდევრობა არსებობის მხრით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გამოიწვიოს რომელიმე აზრის ლოგიკურობა-ჭეშმარიტება, არ შეუძლია განაპირობოს აზრთა ლოგიკური თანამიმდევრობა. ზუსტად ასევე ითქმის აზროვნებაში მოტივების, ინტერესების, ნებელობისა და სხვ. (ამ უკანასკნელთ კი სწორედ ფსიქოლოგია სწავლობს) მონაწილეობის შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე გასაგები ხდება ის გარემოება, რომ ფსიქოლოგია პრინციპულად არ დააყენებს ხოლმე აზროვნებაში სწორი-არასწორის განსხვავების საკითხს; ლოგიკა კი სწორედ ამ განსხვავებას ეყრდნობა.

მაშასადამე, აზროვნება, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტი, უდრის სუბიექტში ობიექტისეულის არსებობის თავისებურ ფორმას; აზროვნება, როგორც ლოგიკურ-ჭეშმარიტი, უდრის სუბიექტში, სუბიექტური ანუ მეორადი არსებობის ფორმაში არსებულ თვითონ ობიექტისეულ მომენტს. აზროვნება არის ის ერთი, რომელიც ამ ორ სხვადასხვა მომენტს აერთიანებს¹.

ამ თვალსაზრისის საფუძველზე საკლებით იოლი ხდება ჩვენ მიერ აღრე-მოყვანილ ფაქტიურ გარემოებათა ახსნა.

გავიხსენოთ: როცა აზროვნებაში ირღვევა ლოგიკურ-ჭეშმარიტის გამაპირობებელი კანონზომიერება, მასში არ ირღვევა, არამედ რჩება რაღაც სხვა რიგის აუცილებლობა, კანონზომიერება. ეს უკანასკნელი არ იცვლება ლოგიკურ-ჭეშმარიტიდან არალოგიკურ-ჭეშმარიტად; იგი პრინციპულად იგივეა მაშინ, როცა ვაზროვნებთ ლოგიკურ-ჭეშმარიტად და დარწმუნებულიც ვართ ამაში, და მაშინ, როცა ვაზროვნებთ არალოგიკურ-ჭეშმარიტად, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ვაზროვნებთ ლოგიკურ-ჭეშმარიტად. ეს გარემოება აიხსნება შემდეგნაირად: სუბიექტი ობიექტის იმ ნიშნებს წარმოიდგენს, რომლებიც მასში არის ნამდვილად, თუ სხვებს — ეს არ განაპირობებს სხვადასხვაობას სუბიექტში ობიექტის ნიშნების არსებობის ფორმაში.

¹ კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ეს მოსაზრება. აკვიატებული და ა. შ. მაქვს ამა და ამ აზრებიდან ამა და ამ აზრის გამოყვანის აუცილებლობა; ეს აუცილებლობა ობიექტური გარემოებითაა განსაზღვრული და მასში მდგომარეობს ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტი. მაგრამ თვითონ აკვიატებულობა და ა. შ. როგორც რაღაც თვისობრივობა სუბიექტის სპეციფიკაა და მასში მდგომარეობს ფსიქოლოგიურის მომენტი. ფსიქოლოგიური კანონი იმის კანონია, რომ არსებობდეს (იყოს აკვიატებული და ა. შ.) ობიექტის ნიშნები სუბიექტში; ლოგიკური კანონი კი იმის კანონია, რომ ეს არსებული (აკვიატებული და ა. შ.) ნიშნები შესაბამებოდეს ობიექტს. ფსიქოლოგიური კანონი ასახვის სახით არსებობის კანონია. ლოგიკური კანონი კი, როგორც ობიექტთან შესაბამისობის ზოგადი ფორმა, სხვა არაფერია, თუ არა ობიექტთა უზოგადესი კანონის ასახვა.

შემდეგ: ერთი მხრით, აზრის ორ სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე მხრით, შეიძლება გვექონდეს ერთი და იგივე კონკრეტული აზრი. ეს გარემოება შემდეგნაირად აიხსნება. აზროვნების არსებობა სხვადასხვა სუბიექტში განაპირობებს აზროვნების სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევას. მაგრამ აზროვნება, არსებული სხვადასხვა სუბიექტში, შეიძლება შეიცავდეს ერთი და იმავე ობიექტის ერთსა და იმავე განსაზღვრულობას. ამიტომ არსებობის მომენტის მხრით განსხვავებული შემთხვევები აზროვნებისა შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე ობიექტის განსაზღვრულობის მხრით, ანუ წარმოადგენდნენ ერთსა და იმავე „სურათს“, ასახვას. არსებობის მომენტის მხრით სხვადასხვა აზრი, ცხადია, შეიძლება იყოს ზუსტად ერთი და იმავე თავისი მნიშვნელობის მხრით, ანუ ობიექტთან შესაბამისობა შეუსაბამობის მხრით.

აზროვნების, როგორც ლოგიკურ-ჰეგემარტიის, კორელატს ვეძებთ ხოლმე ობიექტთა სფეროში, რადგან იგი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა აზროვნებაში ობიექტის განსაზღვრულობის მომენტს. მაგრამ აზროვნებასა და ობიექტურ-რეალურს შორის თვისობრივი განსხვავების წაშლა უდავოდ არის იდეალისტური (ან, უკეთეს შემთხვევაში, ვულგარულ-მატერიალისტური) თვალსაზრისი. ასევე, თვითონ აზროვნებაში ლოგიკურ-ჰეგემარტიისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა ურთიერთდაყვანა, როგორც ვნახეთ, წარმოადგენს იდეალისტურ აბსურდს. და, ბოლოს, აზროვნების როგორც ფსიქოლოგიურის კორელატს ვეძებთ ხოლმე ადამიანის ფიზიოლოგიურში, რადგან იგი წარმოადგენს აზროვნებაში ადამიანის ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტს; მაგრამ ფსიქოლოგიურსა და ადამიანის ფიზიოლოგიურს შორის თვისობრივი განსხვავების წაშლა უთუოდ მოგვცემს იდეალისტურ რეზულტატებს. ასეთი თვალსაზრისი აზროვნებაში ობიექტის განსაზღვრულობის მომენტს დაიყვანს ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტზე ანუ — ფსიქოლოგიურზე; მოიხსნება აზროვნების მიმართება ობიექტთან, რის შედეგადაც მოიხსნება თვითონ ობიექტი, ე. ი. ობიექტი დაიყვანება ფსიქოლოგიურზე (ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტზე). ასეთი „ფიზიოლოგისტური“ ტენდენცია არის მოცემული ემპირიოკრიტიკოს რიხარდ ავენარიუსის თეორიაში. ასრულდნენ რა რეაქციული კლასის დაკვეთას, იდეალისტი-ფილოსოფოსები ზოგჯერ მიმართავენ სუბიექტური იდეალიზმის „ფიზიოლოგისტურ“ ვარიანტს. „ფიზიოლოგისტური“ თვალსაზრისი სამყაროს აქცევს ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტად, ანუ სამყაროს მოათავსებს სუბიექტივიზმის ფარგლებში.

ბულგარელი ფილოსოფოსი-მარქსისტი ტოდორ პავლოვი განიხილავს ლოგიკურ-ჰეგემარტიისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის საკითხს სპეციალურ თავში („ფილოსოფია და ფსიქოლოგია“) თავისი წიგნისა — „ასახვის თეორია“. ის კარგად ახასიათებს ლოგიკურ-ჰეგემარტიისა და ფსიქოლოგიურის მომენტთა განსხვავებას; მაგალითად, აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიურის მომენტი შეადგენს აზროვნების სუბიექტურ ნხარეს, ლოგიკურ-ჰეგემარტიის მომენტი კი — ობიექტურ ნხარეს და ა. შ. პავლოვი ამ საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით კარგად იმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოსაზ-

რებებს; ის, მაგალითად, მოიყვანს ვ. ი. ლენინის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არა ფსიქოლოგია, არამედ ლოგიკა უდრის ჭეშმარიტების საკითხს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი ვერ ახერხებს ლოგიკურ-ჭეშმარიტისა და ფსიქოლოგიურის ურთიერთობის შესახებ დაყენებულ კითხვას გასცეს გარკვეული, ჩამოყალიბებული პასუხი. უფრო მეტიც, იგი ამ კითხვაზე ძირითადად მცდარ პასუხს იძლევა. მისი აზრით, ფსიქოლოგია იმით განსხვავდება ლოგიკა-გნოსეოლოგიისაგან, რომ იგი ცნობიერების სტრუქტურასა და სტრუქტურულ კანონზოპიერებას სწავლობს¹; როგორც ვხედავთ, აქ პავლოვი ფსიქოლოგიურის ლოგიკურ-ჭეშმარიტისაგან განსხვავების დასადგენად მოიხმარს სტრუქტურის, სტრუქტურულობის ცნებას. მაგრამ, ცხადია, რომ სტრუქტურა, სტრუქტურულობა გააჩნია არა მხოლოდ ფსიქოლოგიურის მომენტს, არამედ აგრეთვე ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტს. ოღონდ საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგიურის მომენტი სხვაა, ლოგიკურ-ჭეშმარიტისა კი სხვა და, ამდენად, ერთის სტრუქტურა განსხვავდება მეორის სტრუქტურისაგან; საკითხიც სწორედ ამ განსხვავებას შეეხება. სტრუქტურის, სტრუქტურულობის ზოგადი ცნება, ცხადია, ვერ გამოადგება ამ განსხვავების დასადგენად (ამასთან დაკავშირებით გვაგონდება გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგიური, ლოგიკურ-ჭეშმარიტისაგან განსხვავებით, წარმოადგენს პროცესს, ხოლო ლოგიკურ-ჭეშმარიტი კი არის ის, რაც ამ პროცესის შედეგია. აქაც იგივე შეცდომაა: პროცესი და აგრეთვე მისი შედეგი ფსიქოლოგიურსაც ახასიათებს და ლოგიკურ-ჭეშმარიტსაც, ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს პროცესი და მისი შედეგი ერთში სხვაა და მეორეში სხვა).

ტოდორ პავლოვის წიგნში გვხვდება ერთი, ჩვენი აზრით, ფრიალ მნიშვნელოვანი ფრაზა: „Субъективная сторона процесса познания действительно определяется структурой и состоянием мозга и субъекта вообще“². ეს მოსაზრება სათანადო განვითარების შემთხვევაში მოგვცემდა ჩვენ მიერ წამოყენებულ დებულებას: ფსიქოლოგიურის ანუ შემეცნების სუბიექტური მხარის ლოგიკურ-ჭეშმარიტისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აზროვნებაში ადაპიანის ფიზიოლოგიურით განსაზღვრულობის მომენტს (სოციალურთან ერთიანობაში) შეადგენს მაშინ, როდესაც ლოგიკურ-ჭეშმარიტის მომენტი უდრის აზროვნებაში ობიექტის განსაზღვრულობის მომენტს (სოციალურთან ერთიანობაში). მაგრამ, სამწუხაროდ, ბულგარელი ფილოსოფოსი-მარქსისტი არ მიდის ამ დასკვნამდე და შემომოყვანილი მოსაზრება მის წიგნში შემთხვევით ფრაზად არის დარჩენილი.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დიალექტიკური და ისტორიული
მატერიალიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954.V.25)

¹ Т. Павлов, Теория отражения, стр. 30.

² იქვე, გვ. 307.

3. Какабадзе

К вопросу о соотношении психологического и логическо-истинного моментов в мышлении

Резюме

Науки логики и психологии мышления исследуют человеческое мышление; но они, как науки, независимы друг от друга. Различие наук предполагает различие в предметах исследования. Поэтому следует признать наличие в мышлении двух различных сторон—логическо-истинной и психологической. Факт наличия в мышлении двух различных сторон—логическо-истинной и психологической—можно установить и несколько иным путем: когда в мышлении, с одной стороны, нарушается, отсутствует закономерность, то в нем, с другой стороны, сохраняется некоторая, иного, порядка закономерность. Этим самым и указывается наличие в мышлении одной и другой сторон закономерностей.

Следовательно, наличие в мышлении двух различных сторон—логическо-истинной и психологической—является фактическим положением, требующим объяснения.

Идеалистические попытки объяснения указанного факта (психологизм и антипсихологизм) не приводят и принципиально не могут привести к положительным результатам. Оно и понятно, так как идеализм исходит из заведомо ложных предпосылок. Подлинное объяснение вышеназванного факта возможно лишь на основе принципов марксистско-ленинской философии.

Мышление есть некоторое отношение субъекта (человека) к объекту; и указанная двусторонность мышления, т. е. различие в мышлении двух сторон следует объяснить различием двух членов этого отношения—субъекта и объекта. Момент специфики субъекта в этом его отношении к объекту, т. е. в мышлении и составляет психологическую сторону мышления. Момент определенности самого объекта в этом отношении субъекта к объекту, т. е. в мышлении составляет логическую сторону мышления. Это общее положение конкретизируется следующим образом: мышление как специфика субъекта можно характеризовать понятием переживания. Мышление как определенность объекта можно характеризовать понятием „картины“. Определенность (признаки) объекта существует в субъекте в форме переживания субъекта. Момент определенности объекта существует в субъекте в форме пере-

живания (уверенности и т. д.), Психологическая сторона мышления состоит в форме существования определенности объекта в субъекте. Логическая сторона мышления—это сама определенность объекта, данная в субъекте. Психологический закон—это закон того, чтобы существовала в субъекте определенность объекта. Логический закон—это закон того, чтобы существующая в субъекте определенность объекта была точно той же, которой характеризуется объект в действительности.

В объяснении двусторонности мышления, т. е. наличия в мышлении двух различных сторон—психологической и логическо-истинной—должны исходить из различия стоящих в отношении двух членов—субъекта и объекта. Психологическое состоит в моменте спецификации субъекта; логическо-истинное состоит в моменте определенности объекта существующей в субъекте.

რ. ყიფშიძე

კ. დ. შუინსკი პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის შესახებ

1. საკითხის დასისათვის

ზრუნვამ იმ უდიდესი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც დააყენეს საბჭოთა პედაგოგიკის წინაშე სკკპ XIX ყრილობამ, დიდი სტალინის ისტორიულმა სიტყვამ ამ ყრილობაზე და მისმა გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, კიდევ უფრო აქტუალური გახადა ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პედაგოგიკაში დანერგვის საქმე.

ი. პ. პავლოვის მოძღვრების პედაგოგიკაში დანერგვის საკითხი მკვეთრად დაისვა ორი აკადემიის ისტორიულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრებისადმი. იმიერიდან სრულიად ნათელი გახდა, რომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების ფართოდ გამოყენების გარეშე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სესიის შემდეგ გავიდა ორ წელზე მეტი, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ძალიან მცირეა ვაკეთებულნი. ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომელიც ხელს უშლის პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების დანერგვის საქმეს პედაგოგიკაში, იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგიკის მეცნიერების მუშაგები აქამდე ვერ შეთანხმებულან პრინციპულ საკითხში: როგორ უნდა გვესმოდეს პედაგოგიკის გარდაქმნა პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, რას ნიშნავს პედაგოგიკაში ამ მოძღვრების დანერგვა¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პედაგოგიკაში დანერგვის საკითხის გადაჭრაში ერთგვარი დახმარების გაწევა შეუძლია პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის საკითხის ისტორიულ ასპექტში

¹ ამ ორი წლის განმავლობაში ამ საკითხის შესახებ რუსულ ენაზე მხოლოდ სამი სტატია დაიბეჭდა: В. Н. Колбановский, Учение И. П. Павлова и некоторые вопросы педагогики, „Советская педагогика“, 9, 1950; Н. К. Бауман, М. И. Скаткин, В. С. Шевкин, Значение физиологического учения Павлова для советской педагогической науки, „Сов. пед.“, 4, 1951; Л. В. Занков, О внедрении физиологического учения Павлова в педагогику, „Сов. пед.“, 10, 1951. ქართულ ენაზე კი დღემდე არაფერი დაბეჭდილა.

განხილვას. ამ შემთხვევაში კი, უპირველეს ყოვლისა, კ. დ. უშინსკის უნდა მიემართოთ, რომელსაც მარქსამდელ პედაგოგიკაში პედაგოგიკისა და ფიზიოლოგიის ურთიერთობის საკითხი ყველაზე საფუძვლიანად აქვს დამუშავებული. წინამდებარე შრომის მიზანია ამ თვალსაზრისით გააშუქოს უშინსკის მოძღვრებაში პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის ზოგიერთი საკითხი¹.

2. უშინსკი ფიზიოლოგიის მნიშვნელობის შესახებ პედაგოგიკისათვის

პედაგოგიკისა და ფიზიოლოგიის ურთიერთობის საკითხის დასმის დროს უშინსკი პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების თეორიული და პრაქტიკული ამოცანებიდან გამომდინარეობდა. ცნობილია, რომ უშინსკისათვის სრულიად ნათელი იყო ის დაბალი დონე, რომელზედაც იმყოფებოდა მის დროს პედაგოგიკა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამიტომ ამ მეცნიერების „ჩველი ასაკიდან“ გამოყვანის ცდა დროულზე უფრო მეტი იყო, უშინსკის აზრით, სხვა მეცნიერებათა დახმარების გარეშე პედაგოგიკა ვერ შეძლებს როგორც თავის ამოცანის, მიზნის მართებულად დასახვას, ისე იმ საშუალებათა დაუფლებას, რომელიც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. თუ პედაგოგიკის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღეზარდოს ადამიანი ყოველმხრივ, მაშინ, რომ მივალწიოთ ამ მიზანს, საჭიროა ვიცოდეთ ის (ადამიანი) ყოველმხრივ². ადამიანის ყოველმხრივ შესწავლაში პედაგოგიკას დახმარებას უწევს ყველა ის მეცნიერება, რომლებიც ადამიანის, როგორც აღზრდის საგნის, ფიზიკურსა და სულიერ ბუნებას სწავლობს. ესენია ანთროპოლოგიური მეცნიერებანი, როგორცაა ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ფილოლოგია, გეოგრაფია, სტატისტიკა, პოლიტიკური ეკონომია და ისტორია ფართო გაგებით³.

უშინსკის სურდა დაენერგა პედაგოგიკაში ე. წ. ანთროპოლოგიური პრინციპი, რომელიც ნასესხები ჰქონდა ჩერნიშევსკისაგან. ჩერნიშევსკის ანთროპოლოგიური მოძღვრება საფუძვლად დაედო ფიზიოლოგიური მოძღვრე-

¹ უნდა ითქვას, რომ, თუმცა ჩვენს პირობებში ძალიან ბევრი ვაკეთდა უშინსკის მემკვიდრეობის ღრმად შესწავლის საქმეში და აუარებელი შრომები დაიწერა ამ გამოჩენილი რუსი პედაგოგის შესახებ, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხს (პედაგოგიკის კავშირი ფიზიოლოგიასთან) უშინსკის არც ერთი მკვლევარი არ შეხებია საფუძვლიანად.

² К. Д. Ушинский, Собр. соч., Издательство Академии педагогических наук, Москва-Ленинград, 1950, т. 8, стр. 23.

³ ასე ფართოდ ესმოდა უშინსკის პედაგოგიკის სხვა მეცნიერებასთან კავშირი. განსაკუთრებით საინტერესოა პედაგოგიკისათვის პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელობაზე მითითება. ეს საკითხი პედაგოგიკაში თითქმის ხელუხლებელია და ახლა, დიდი სტალინის შრომის („სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“) გამოსვლის შემდეგ როგორი აქტუალური ხდება ამ საკითხის დამუშავება!

ბის განვითარებას რუსეთში გასული საუკუნის 50—60-იან წლებში¹. და ამ პრინციპის პედაგოგიკაში გამოყენებით უშინსკიმ წინ წასწია ახალი პედაგოგიკური სისტემის შექმნის საქმე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა მეცნიერებათა დახმარების მნიშვნელობას პედაგოგიკისათვის უშინსკი ადამიანის აღზრდისა და განვითარების საქმის გაუმჯობესებაში ხედავდა. ის ამბობდა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აღზრდას, რამდენადაც ის სრულყოფილი შეიქმნება, შეუძლია ადამიანის ძალთა—ფიზიკურის, გონებრივისა და ზნეობრივის—გათართობა. ყოველ შემთხვევაში, ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია ამ შესაძლებლობაზე ნათლად მიუთითებს“².

ანთროპოლოგიურ მეცნიერებათაგან, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ პედაგოგიკისათვის, უშინსკი ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს: ორივე ძირითად მეცნიერებად არის გამოცხადებული პედაგოგიკისათვის³. მაგრამ რას ნიშნავს პედაგოგიკის სხვა მეცნიერებასთან კავშირი, ამ შემთხვევაში ფიზიოლოგიასთან? რას ნიშნავს პედაგოგიკისათვის ძირითად მეცნიერებად ფიზიოლოგიის გამოცხადება?

„ადამიანი, როგორც აღზრდის საგნის“ I ტომის ცნობილ წინასიტყვაობაში უშინსკი, სხვა საკითხთა შორის, ეხება პედაგოგიკის სხვა მეცნიერებით, კერძოდ ფსიქოლოგიით „დასაბუთებას“, როგორც ეს წარმოდგენილია ჰერბარტთან და ბენეკესთან⁴. რომ გავუყუთოთ ანალიზი იმ ღრმა კრიტიკას, რომელსაც იძლევა უშინსკი ჰერბარტისა და ბენეკეს მიმართ, შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1) იმისათვის, რომ მართებულად იქნეს გადაჭრილი საკითხი, როგორ ესმოდა უშინსკის პედაგოგიკის კავშირი ფიზიოლოგიასთან, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს, როგორ ესმოდა მას (უშინსკის) პედაგოგიკის ფსიქოლოგიასთან კავშირი; 2) ერთი მეცნიერების მეორესთან კავშირი უშინსკის არ ესმოდა იმ სახით, რომ ასეთი კავშირის დროს ერთი მეცნიერება დაიყვანება მეორის კანონზომიერებამდის, ე. ი. კავშირის ნიადაგზე რომელიმე მეცნიერების არსებობა ზედმეტი ხდება და ისპობა. უშინსკი უსაყვედურებს ჰერბარტსა და ბენეკეს სწორედ იმას, რომ მათი პედაგოგიკა ფსიქოლოგიის დანამატად იქცა. ე. ი. ფსიქოლოგიასთან პედაგოგიკის კავშირმა ჰერბარტსა და ბენეკესთან პედაგოგიკის ლიკვიდაციამდე მიგვიყვანა. მაშასადამე, როცა

¹ აი, რას სწერს ამის შესახებ ს. კომტოიანი: „Философские работы Чернышевского и, главным образом, работа „Антропологический принцип в философии“ послужил основой для материалистической разработки труднейших разделов естествознания“ (Х. С. Комтоянц, Очерки по истории физиологии в России, Изд. АН СССР, М.—Л., 1946, стр. 215).

² კ. დ. უშინსკი, ციტირებული შრომა, გვ. 24. მიუხედავად ყურადღება შემდეგს: უშინსკის აზრით, ფიზიოლოგიას (ჩვენ ამ შემთხვევაში ფიზიოლოგია გვანტერგებს სწორედ) მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისათვის მთლიანად, ე. ი. მისი (პედაგოგიკის) ყველა შემადგენელი ნაწილისათვის—ფიზიკურის, გონებრივისა და ზნეობრივი აღზრდისათვის.

³ კ. დ. უშინსკი, თხზ., კრებ., ტ. 10, გვ. 31 (რუსულ ენაზე).

⁴ კ. უშინსკი, თხზ., ტ. 8, გვ. 42—43 (რუსულ ენაზე).

ემსჯელობთ პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის შესახებ, პედაგოგიკის ფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ, ამან არ უნდა გამოიწვიოს პედაგოგიკის ან ფიზიოლოგიის ლიკვიდაცია. სწორედ ამიტომ არის მიუღებელი უშინსკისათვის კარლ შმიდტის პედაგოგიკა, რომელიც ფიზიოლოგიაზე დაფუძნების გამო მის, ფიზიოლოგიის დანამატად გადაიქცა, ე. ი. არსებითად გაუქმდა.

და, აი, როდესაც ვიხილავთ ჩვენს საკითხს, საკითხს ფიზიოლოგიასთან პედაგოგიკის კავშირის შესახებ, ყოველთვის უნდა გვეკონდეს მხედველობაში, თუ როგორ წყვეტდა უშინსკო პედაგოგიკის ფსიქოლოგიასთან კავშირის საკითხს. საჭირო არის ასე მოქცევა არა მარტო იმის გამო, რომ ანალოგიის გამო გავვიადვილებდა ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა, არამედ—უმთავრესად იმიტომ, რომ, უშინსკის აზრით, ფიზიოლოგიის ღირებულებას პედაგოგიკისათვის მისი (ფიზიოლოგიის) ფსიქოლოგიისათვის ხნიშვნელობა განსაზღვრავს, ვინაიდან ფიზიოლოგიის გარეშე არ შეიძლება აიხსნას ფსიქოლოგია. ანიტომაც შევვხვით მოკლედ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხს, როგორც ის ესმოდა უშინსკის.

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კავშირის შესახებ ისტორიულად სამი შეხედულება ჩამოყალიბდა. პირველი—ჰერბარტისა და ბენეკეს შეხედულება, რომლითაც, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, პედაგოგიკის ფსიქოლოგიასთან დაკავშირება პედაგოგიკის დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობას სპობდა. პ. ნატორპთან საწინააღმდეგო შეხედულებები გვაქვს: ახლა ფსიქოლოგია ჰკარგავს თავის დამოუკიდებლობას¹. მესამე შეხედულება წამოაქენეს ე. წ. ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა (მეიმანმა და სხვ...). ამ შეხედულების მიხედვით „თითქოს ფსიქოლოგიის კავშირი პედაგოგიურ პრაქტიკასთან მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საკუთრივ ფსიქოლოგიასა და პედაგოგიურ პრაქტიკას შორის ჩაეჩხირავთ განსაკუთრებულ პედაგოგიურ ფსიქოლოგიას, სადაც, თითქოს, ხორციელდება ეს კავშირი, მაშინ როცა ფსიქოლოგია, რომელიც სწავლობს ადამიანის განვითარების კანონზომიერებას, როგორც ასეთი, ყოველგვარ პედაგოგიურ პრაქტიკისაგან თავისუფალია.“² უშინსკის თავისი შეხედულება აქვს ამ საკითხზე. ს. ლ. რუბინშტეინის აზრით, ეს შეხედულება იმაში მდგომარეობდა, რომ აღზრდის ფსიქოლოგიური დასაბუთებისათვის საჭირო არ არის განსაკუთრებული პედაგოგიური ფსიქოლოგიის შექმნა და ზოგადი ფსიქოლოგიის მიტოვება. თავის „პედაგოგიურ

¹ პ. ნატორპი ამბობს: „... Об'ективное ... изучение образования в его законном построении на основе чистых и всеобщих наук, логики, этики, эстетики... необходимо и достаточно для указания идеала не только окончательно достаточного образования, но и всей его естественной, нормальной последовательности При этом нет надобности ни в какой психологии“. об. П. Наторп, Философия как основа педагогики, М., 1910, стр. 37.

² С. Л. Рубинштейн, Психологическая наука и дело воспитания, „Сов. пед.“, 2, 1946, стр. 35.

ანთროპოლოგიაში“ უშინსკი, როგორც პედაგოგი, მიმართავს ადამიანის ზოგადი ფსიქოლოგიის საკითხებს, როგორც ანთროპოლოგიის საკითხებს. მხოლოდ ანთროპოლოგია უშინსკისთან თავისებურად არის გაგებული: ბიოლოგიური მეცნიერებიდან ის პედაგოგიკურ მეცნიერებად იქცევა, რადგან ადამიანის ბუნების, უკეთ, მისი ფსიქოლოგიური ბუნების მართებული წვდომა შესაძლებელი ვახდა მისი, ადამიანის, განვითარებაში, რომელიც აღზრდისა და სწავლების პროცესით არის გაპირობებული. ამგვარად, გამოდის, რომ, უშინსკის აზრით, „зависимость между психологическим познанием и педагогической практикой не однородная, выражающаяся лишь в том, чтобы добытые без всякого учета педагогической практики психологические знания о природе ребенка затем применяются к делу воспитания и обучения, а двусторонняя, взаимная. Изучать детей, воспитывая и обучая их, с тем, чтобы воспитывать и обучать, изучая их,—таков путь единственно полноценной педагогической работы и наиболее плодотворный путь познания детей“¹.

ამგვარადვე წყვეტს უშინსკი პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირის საკითხს. პედაგოგიკისათვის ფიზიოლოგიის სრული უგულვებელყოფა — ეს არის ჰერბარტიისა და ბენეკეს შეხედულება, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უშინსკისათვის მიუღებელია. პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან კავშირი, გაგებული შმიდტის მიერ, აგრეთვე შეუთავსებელია უშინსკის მოძღვრებასთან. უშინსკის „ხაზი“ თავისებურია აქაც, ე. ი. პედაგოგიკისა და ფიზიოლოგიის კავშირის გარკვევისას, და იგი შემდეგში მდგომარეობს: პედაგოგიკის ფიზიოლოგიასთან მართებული ურთიერთობის დასამყარებლად სრულიად არ არის საჭირო ახალი დისციპლინის, პედაგოგიური ფიზიოლოგიის შექმნა, რომელიც შეამავალი მეცნიერების როლში მოგვევლინებოდა. ფიზიოლოგია არ არის პედაგოგიკისათვის „დამხმარე მეცნიერება“, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ აღზრდის ცალკეული, პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, არამედ ერთ-ერთი ძირითადი, ფუძემდებელი მეცნიერებაა, რამდენადაც მისი კანონებით სარგებლობს პედაგოგიკა. ამიტომ პედაგოგიკა უნდა თითონ დაინტერესდეს მთლიანად ფიზიოლოგიით, ე. ი. ფართოდ იყენებდეს მას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიზნებისათვის. ამიტომ პედაგოგი დილეტანტი კი არ უნდა იყოს ფიზიოლოგიაში, ის სხვას კი არ უნდა ავალბდეს თავისი მეცნიერების კანონზომიერებათა ამა თუ იმ საფუძვლის მოძებნას, არამედ თვითონ უნდა აკეთებდეს ამ საქმეს; ამ შემთხვევაში პედაგოგი თვით უნდა იცნობდეს ფიზიოლოგიას, სწავლობდეს მის კანონებს, თავისი მეცნიერების ამოცანებიდან გამომდინარე.

საჭიროა კიდევ ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება. უშინსკის მოძღვრებიდან გამომდინარეობს, რომ მართო ფიზიოლოგია კი არ არის საჭირო

¹ С. Л. Рубинштейн, Психологическая наука... стр. 35—36.

პედაგოგიკისათვის, არამედ პირიქითაც—პედაგოგიკასაც შეუძლია ჰქონდეს მნიშვნელობა ფიზიოლოგიისათვის. და მართლაც, თუ გასული საუკუნის სამოციანი წლების მოწინავე მეცნიერების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის სეჩენოვისათვისაც, წარმოუდგენელი იყო ფსიქიკური მოვლენების განცალკევება (отсоединенность), მით უფრო უმართებულო იქნებოდა ფიზიოლოგიური მოვლენების განცალკევება. ფიზიოლოგს, რომელიც სწავლობს ორგანიზმის კანონებს, არ შეუძლია გვერდი აუაროს აღმზრდელობითს პრაქტიკას, რომელიც უმნიშვნელო არ არის ორგანიზმის მოქმედებისათვის. ადამიანის ფიზიოლოგიური კანონების დადგენისას შეუძლებელია ორგანიზმზე გარემოს გავლენის როლის უგულვებელყოფა, ხოლო გარემოს ცნებაში იგულისხმება აღზრდის როლიც. აღზრდის გამო ვითარდება და ყალიბდება ადამიანი და ამიტომ სრულიადაც არ არის ინტერესმოკლებული პედაგოგიური პრაქტიკის როლი ფიზიოლოგიური ცოდნისათვის.

ცნობილი არის, რომ უშინსკი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კავშირის ურთიერთობის საკითხის გადაჭრისას ორიგინალურ მოაზროვნედ გვევლინება ფსიქოლოგიაში¹. ესევე შეიძლება ითქვას უშინსკის ერუდიციის შესახებაც ფიზიოლოგიაში. პროფ. ბ. ანანოვი სრულიად სამართლიანად ამბობს ამის შესახებ: „Солидная вводная часть к „Педагогической антропологии“, посвященная физиологическим основам психологии (и педагогики.—Д. К.), далеко не посит характера лишь популяризации физиологии для целей психологии и педагогики. Напротив, и в физиологической части своего труда Ушинский проявил себя оригинальным мыслителем, не только использующим данные физиологии для их приложения к педагогике, но и определяющим характер новых теоретических проблем для самой физиологии нервной системы“².

3. უშინსკის მოძღვრება ორგანიზმისა და განვითარების შესახებ

პედაგოგიკის ძირითად ცნებებს, უშინსკის აზრით, ორგანიზმი და განვითარება წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს აღზრდის (ფართო გაგებით) განსაზღვრება, როგორც ორგანიზმის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. დიდი პედაგოგის აზრით ორგანიზმებს მიეკუთვნებიან მცენარეები, ცხოველები, ადამიანები, ადამიანთა ისტორიული საზოგადოებანი, გვარები, ხალხები, საელმწიფოები. ორგანიზმის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ორგანოების არსებობა ორგანიზმში (1). მათი (ამ ორგანოების) განვითარება განსაზღვრული გეგმით (2) და ძალა, რომელიც განვითარების საერთო გეგმას ასრულებს (3), ამ ნიშნებიდან ძირითადი განვითარების ძალაა. მისი

¹ ამის შესახებ იხ. Б. Г. Ананьев, Очерки истории русской психологии XVIII и XIX веков, 1947, стр. 8; აგრეთვე: С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии, изд. II, 1946, стр. 77.

² Б. Г. Ананьев, К. Л. Ушинский—великий русский психолог, „Сов. пед., № 12, 1945, стр. 102.

(განვითარების ძალის) ამა თუ იმ გაგებისაგან შეიძლება მივიღოთ აღზრდის სხვადასხვა თეორია და, მასასადამე, მისი პრაქტიკული ამოცანების სხვადასხვა გადაწყვეტაც.

უშინსკი მართებულად იტყვება, როცა განვითარების საკითხზე სვამს მახვილს. განვითარების ძალის, როგორც „სასიცოცხლო ძალის“ („жизненная сила“) გაგება უშინსკისათვის მიუღებელია. ის ფიქრობს, რომ ეს გაგება არსებითად არაფერს არ არკვევს და ამიტომ გამოუხადებია მეცნიერებისათვის. მეტიც, ასეთი შეხედულება საზიანოა, რამდენადაც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს, არკვევს რამეს; იგი ნომატყუებელ, საკთურ ახსნას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, ე. ი., როცა გაურკვეველ ამოცანას ვერ ვწყვეტთ, „უკეთესია საქმე გეჭონოდა გადაუწყვეტელ ამოცანასთან, ვიდრე მის საკთურ ახსნასთან“. ამგვარად, უშინსკი გარკვევით ემიჯნება ვიტალიზმს. მეტიც, უშინსკის ესმის, რომ „სასიცოცხლო ძალის“ უარყოფა, მართალია, ნიშნავს ვიტალისტური თეორიისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას, მაგრამ მისი (ვიტალისტური თეორიის) საბოლოო დამარცხება არც ისე ადვილია. აქედან—ამ თეორიის მცდარი კრიტიკა, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს უშინსკი. მიუღებელია უშინსკისათვის ვიტალისტური თეორიის მექანიკური კრიტიკა (ლოტცე, დიუბუ-რეიმონი); აგრეთვე—ფოგტის, მოლეშოტის, ბიუხნერის მატერიალისტური (უკეთეს—ვულგარულ-მატერიალისტური.—დ. ყ.) კრიტიკა. მკაცრად აკრიტიკებს უშინსკი ფრანგ ფიზიოლოგ კლოდ ბერნარს, რომელიც არსებითად ვიტალისტებზე შორს არ მიდიოდა. ბერნარმა ვიტალისტების სასიცოცხლო ძალა ახალი ტერმინით, „სასიცოცხლო იდეით“, შეცვალა, რომელიც არსებითად არაფერს არ ცვლიდა. უშინსკი ამბობს „Что такое в сущности эта новая жизненная идея, которая и творит организм, и «составляет существо, восстанавливая живые части, дезорганизованные деятельностью или разрушаемые случайностями и болезнями“, это, конечно, физиолог не анализирует“¹. აქ უშინსკი კლოდ ბერნარს მართებულად აკრიტიკებს, მაგრამ რაღაც ტერმინზე მაინც იყო საჭირო შეჩერება. უშინსკი ირჩევს განვითარების ძალას, თუმცა, უნდა ითქვას, არც იგი მოსწონდა უშინსკის. მაგრამ საქმე მარტო ტერმინი ხომ არ არის, მთავარია, როგორ შინაარსს გულისხმობდა უშინსკი მასში.

უშინსკის მიხედვით, განვითარება ორგანიზმის ნიშანია. ის, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმის განვითარებას, განვითარების ძალა, თვით ორგანიზმში მდებარეობს. „ჩვენ მცენარეს მიტომ ვთვლით ორგანიზმად, რომ მასში იმყოფება (ხაზი ჩვენია.—დ. ყ.) ორგანიზმის ყველა დამახასიათებელი თვისება: გეგმა ..., ორგანოები და განვითარების ძალა“². მაგრამ რას ნიშნავს თვით განვითარების პროცესი, რას ნიშნავს, როცა ვამბობთ, ორგანიზმი ვითარდება. უშინსკის მსჯელობიდან არ არის ძნელი მივიღოთ ასეთი პასუხი: განვი-

¹ К. Д. Ушинский, т. 8, стр. 65.

² იქვე, გვ. 68.

თარება არის ორგანიზმის შეუჩერებელი, მუდმივი წარმოშობა და მოსპობა, არაორგანულის ორგანულად გადაქცევა, და პირუტყუ. ასეთი პროცესი კვებით ხორციელდება. „Усвоение организма неорганических элементов и переработка их в разнообразные органические соединения и составляют процесс питания, посредством которого каждый организм, ж и ивотный и растительный, выполняет свой план развития“¹.

მაგრამ როგორია განსხვავება ისეთ ორგანიზმებს შორის, როგორც არის მცენარე, ცხოველი, ადამიანი? უშინსკი უპასუხებს, რომ მათ შორის საერთო ის არის, რომ ყველა ამ ორგანიზმისათვის დამახასიათებელია ზრდის პროცესები (растительные процессы); განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ცხოველსა და ადამიანს, როგორც ორგანიზმებს, ახასიათებთ, კიდევ სასიცოცხლო პროცესები, რომლებიც მცენარეს არ გააჩნია. სხვანაირად, სიცოცხლე არ არის მცენარეში, ცხოველებსა და ადამიანში—კი. რა არის სიცოცხლე? უშინსკი უპასუხებს: შეგრძნებათა უნარი და მათი შესაბამისი მოძრაობანი (сочетанность ощущений и соответствующие им движения)². მაგრამ მოძრაობა ხომ ახასიათებს მცენარესაც? რასაკვირველია, ახასიათებს და უშინსკიმ ეს იცის. მაგ., ზოგიერთი მცენარე შეხების გამო ფოთლებს შეიხვევს, ზოგი მზისკენ მიაქცევს ყვავილსა და სხვ. საქმე ეხება აქ იმას, თუ რა არის მიზეზი მოძრაობისა ერთსა და მეორე შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში მოძრაობა შეგრძნებების შედეგად არის მიღებული, მეორე შემთხვევაში (მცენარესთან)—ქიმიური და მექანიკური მიზეზებით. „ცხოველში ... მოძრაობანი წარმოადგენენ „შეგრძნებების გამონატვის ფორმას და მოძრაობის გარეშე ჩვენ ვერ დავრწმუნდებოდით იმაში, რომ ცხოველს აქვს შეგრძნებები“³. თუ სიცოცხლე, სიცოცხლის უნარი ასხვავებს ცხოველსა და ადამიანს მცენარისაგან, საჭირო იქნებოდა ზუსტად განმარტებულიყო სიცოცხლის ცნება. უშინსკი აცხადებს, რომ ბევრი გაურკვეველი რჩება ამ ცნების განმარტებისას, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება მაინც: ის, რასაც ვეძახით სასიცოცხლო მოქმედებას, დაკავშირებულია ნერვებთან, ან, როგორც უშინსკი ამბობს, ნერვულ ორგანიზმთან. „Нервный организм есть орудие жизни, оживляющей царство животных, а потому и составляет исключительную принадлежность животного организма, или сказать точнее, вся сущность животного“⁴.

ჩვენ გადმოვეცით უშინსკის შეხედულებები ორგანიზმსა და განვითარებაზე. როგორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? რასაკვირველია, უშინსკის მოძღვრება ორგანიზმსა და განვითარებაზე ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ შეხედულებებს ამ საკითხებზე. უშინსკი ბევრში თანმიმდევარი არ არის, შეცდომებს უშვებს. მაგ., მცდარია შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანთა ისტორიული საზოგადოებანი, გვარები, ხალხები, სახელმწიფო ორგანიზმებს

¹ К. Д. Ушинский, т. 8, стр. 70.

² იქვე, 83-76.

³ იქვე.

⁴ იქვე, 83-77.

მიეკუთვნება. მცდარია განვითარების, როგორც საგნის, მარტო ნიშნად აღიარება. უშინსკი მკვეთრად არ ასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან, როცა ორივეს ზოგჯერ ერთ ორგანიზმში, ცხოველურ ორგანიზმში გულისხმობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრაში უშინსკი, თავისი დროისათვის, პროგრესულ შეხედულებებზე იდგა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ უშინსკი ეყრდნობოდა რა ჩერნიშევსკის, სეჩენოვის, დარვინის მოწინავე საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ შეხედულებებს, აკრიტიკებს ვიტალიზმს, ორგანიზმს იხილავს როგორც მთლიანს და იძლევა განვითარების ისეთ კონცეფციას, რომელიც მკვეთრად შორდება მის (განვითარების) მეტაფიზიკურ გაგებას.

4. დაღვიძების ფიზიოლოგია და ალზრის ამოხსნა

როგორც ზემოთ დავინახეთ, ფიზიოლოგიური პრობლემების პედაგოგიური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით შესწავლა უშინსკიმ ორგანიზმისა და მისი განვითარების რაობის გარკვევით დაიწყო. ცხადია, მუშაობის ამ გზით წარმართვისას, ის ბუნებრივად უნდა მისულიყო დაღვიძების ფიზიოლოგიის პრობლემამდე და იმ პედაგოგიურ ამოცანებამდე, რომლებიც მისგან (დაღვიძების ფიზიოლოგიიდან) გამომდინარეობდნენ.

უშინსკის აზრით, სიცოცხლე, მოქმედება არის ორგანიზმისა და გარე სამყაროს ურთიერთკავშირი. ადამიანის ორგანოები, რომლებზედაც დამყარებულია მისი სასიცოცხლო მოქმედება, საჭიროებენ მუდმივ განახლებას, რადგან ისინი იღლებიან, ე. ი. მოქმედებისათვის ნაკლებ ვარგისნი ხდებიან. აქედან გამომდინარეობს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საჭიროება.

ორგანიზმის განახლებისათვის საჭიროა კვება, ანდა, როგორც უშინსკი ამბობდა, სასიცოცხლო პრობემის (ტენი, ტემპერატურა, ჰაერი, სინათლე) განახლება, ურონლისოდ შეუძლებელია საჭმლის მონელების პროცესი. გარდა ამისა, ორგანიზმის განახლებისათვის საჭიროა დასვენება, ძილი, რომლებიც უშინსკის გაგებით, ურთიერთმორის მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ასე მაგალითად: დასვენება არის ნერვული ორგანიზმის ამა თუ იმ სისტემის დროებითი უმოქმედობა, ხოლო ძილი—თითქმის მთელი სისტემის უმოქმედობა. ამ უმოქმედობის ხანიერობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორია დაღვიძების ხარისხი, ეს ერთი, და მეორე—თუ როგორია ძალთა აღდგენის ჩვეულება. ძალთა აღდგენის სიჩქარე ორგანიზმის ჯანმრთელობაზე არის უმთავრესად დამოკიდებული: ჯანმრთელი ორგანიზმი გვიან იღლება და ჩქარა აღადგენს ძალებს, და პირიქით—ავადმყოფი და სუსტი ადამიანი მალე იღლება და ძლიან ნელა ისვენებს, ე. ი. აღადგენს დახარჯულ ენერჯიას. რაც შეეხება ჩვეულებას, რომელიც გავლენას ახდენს ძალთა აღდგენის სიჩქარეზე, ეს იმაში მდგომარეობს, რომ შეუჩვეველი სამუშაო მალე ღლის ორგანიზმს და, მამასადამე, მოითხოვს ხანგრძლივ დასვენებას, და პირიქით—როცა შევეჩვევით მუშაობას, დიდხანს შეგვიძლია ვიმუშაოთ დაუღალავად და ამიტომ მოკლე დასვენებაა საჭირო.

ვინაიდან დასვენება არის ნერვული ორგანიზმის რომელიმე ნაწილის მოქმედების შეწყვეტა, შეჩერება, ადამიანს შეეძლება დაისვენოს, ე. ი. აღადგინოს დაზარალებული ენერგია, თუ ის სამუშაოს სახეს შეიცვლის. აქედან—სამუშაოს შეცვლა, როგორც დასვენება. ცხადია, ასეთი დასვენების მეტი საჭიროება ექნება ისეთ ორგანიზმს, რომელიც განვითარებული არ არის. უშინსკის მოჰყავს მაგალითი ბავშვის შესახებ. ის რომ მთელი დღის განმავლობაში ერთი რამით იყოს დასაქმებული, მალე დაიღლება, მხოლოდ ბავშვი რომ მთელი დღე ცელქობს, დაუსვენებლად, იმით აიხსნება, რომ „он перемешивает все деятельности различных органов и резвится целый день, не уставая“.

სამუშაოს გამოცვლა და ამაზე დამყარებული დასვენება არ კმარა ძალთა სრული აღდგენისათვის. „დადგება, ბოლოს და ბოლოს, წუთი, როცა ორგანიზმს უნდა მიეცეს სრული დასვენება“,—ამბობს უშინსკი¹. ასეთი სრული დასვენება კი ხდება ძილის დროს. ასე მივიდა უშინსკი ძილის საკითხამდე. მაგრამ თქმა იმისა, რომ ძილის დროს ადამიანი სრულიად ისვენებს, ჯერ კიდევ საკითხის გადაჭრას არ ნიშნავს. საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ძილი ფიზიოლოგიურად, რადგან უამისოდ აღზრდის საქმეში მას ვერ გამოვიყენებთ. უშინსკი კი მოითხოვს, რომ „воспитание, заботясь о гармоническом развитии человеческого организма, должно управлять сном“². დიდმა პედაგოგმა ცადა პასუხი გაეცა ამ კითხვაზე. აზრი ამ პასუხისა იმაში მდგომარეობს, რომ ძილი არის გაგებული, როგორც გრძნობის ორგანოებისა და საერთოდ ნერვული სისტემის მოქმედების შეჩერება. ძილის ასეთ გაგებაში, რასაკვირველია, იგრძნობა მისი (ძილის) ახსნა, როგორც ნერვული სისტემის შეკავებისა. სრულიად სამართლიანად ამბობს ამის შესახებ პროფ. ბ. გ. ანანიევი: „он (უშინსკი.—დ. ყ.) высказывает предположение о том, что сон есть торможение („приостановка деятельности“) центральных органов мозга... Сон есть форма восстановления центральной деятельности мозга.—такова мысль, которая лишь в наше время потеряла свою парадоксальность, благодаря гениальным исследованиям И. П. Павлова“³.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უშინსკისათვის ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა (და მათ შორის, ფიზიოლოგიის) ცოდნა საჭიროა ადამიანის ყოველმხრივ უკეთ აღზრდისათვის. ამიტომ დაღლილობის ფიზიოლოგიიდან გამომდინარე, უშინსკიმ ცადა სათანადო დასვენების გამოყვანა, რომელთაც მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისათვის. ეს დასვენები შემდეგია.

1. იმის გამო, რომ, უშინსკის აზრით, ნერვული მოქმედება არ არის მხოლოდ ბიოლოგიური პროცესი, ადამიანის წინაშე იშლება დიდი პერსპექტივები მასზე (ნერვულ მოქმედებაზე) ზემოქმედების თვალსაზრისით. „Такая об-

¹ К. Д. Ушинский, т. 8, стр. 89.

² იქვე, 83. 92.

³ Б. Ананьев, К. Д. Ушинский—великий русский психолог, „Сов. пед.“ 12, 1945, стр. 103.

ширная возможность иметь влияние на нервную систему отдает в руки воспитателя животный организм человека...; но влияние его и на растительный организм и на животный посредством деятельности нервов... далеко еще не исчерпано искусством воспитания в его современном состоянии¹.

ნერვულ სისტემაზე ასეთ ზემოქმედებას, უშინსკის აზრით, ორი მხარე აქვს: ერთი მხრით, ასეთი ზეგავლენით ვაწესრიგებთ ადამიანის მოქმედებას, რამდენადაც მას გარკვეულ მიმართულებას ვაძლევთ, ხოლო, მეორე მხრით, შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ ორგანიზმის ორგანოების განვითარებაზე საერთოდ, კერძოდ კი—ნერვების განვითარებაზე.

2. ასეთმა მოძღვრებამ ნერვულ სისტემაზე მიზნობრივი ზემოქმედების შესახებ შესაძლებლობა მისცა უშინსკის მეცნიერულად დაესაბუთებინა ფიზიკური აღზრდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოეცა ფიზიკური აღზრდის მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო საფუძველი².

3. არ არის ძნელი გაგება იმისა, რომ ნერვული სისტემის მოქმედების ფიზიოლოგიური კანონზომიერებიდან, კერძოდ დაღლილობის კანონზომიერებიდან გამომდინარე, უშინსკის ადვილად შეეძლო გაეკეთებინა დასკვნა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო ფიზიკური აღზრდისათვის, არამედ საერთოდ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისათვის. ადამიანის, კერძოდ მოსწავლის რეჟიმი მეცნიერულ ახსნას ნახულობს. ამგვარად, ის, რაც იყო თავის დროზე ნითითებული კომენსკის მიერ სწავლისა და აღზრდის მოწყობაში წესრიგის შეტანის მხრივ, ყველა ამას უშინსკი საბუნებისმეტყველო მეცნიერულ საფუძველზე ამყარებს.

5. მოძღვრება კულტურის შესახებ და პედაგოგია

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფიზიოლოგიის მნიშვნელობა პედაგოგიკისათვის უშინსკის ვიწროდ ესმის, ე. ი., თითქოს მხოლოდ ფიზიკური აღზრდის დარგში შეუძლია გამოიყენოს პედაგოგიკამ ფიზიოლოგია. როგორც დიდაქტიკის, ისე აღზრდის თეორიისათვისაც შესაძლოა და უნდა იქნეს ფართოდ გამოყენებული ფიზიოლოგია,—ასეთია უშინსკის აზრი. ამაში გვარწმუნებს მისი მოძღვრება რეფლექსების შესახებ.

უშინსკი ასე მიდის რეფლექსის ცნებამდე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უშინსკის აზრით, ყოველ ორგანიზმს ახასიათებს სასიცოცხლო უნარი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეგრძნებები და შეგრძნებისადმი შესატყვისი მოძრაობები ახასიათებს ორგანიზმს. მოძრაობის გარეშე არ არის შეგრძნება, ისინი ერთიანობაში იმყოფებიან. გამოდის—მოძრაობა არის შეგრძნების გამოხატვის ფორმა. ამიტომ იმ მოძრაობათა შესწავლას, რომლებიც ჩვენში წარმოიშვებიან, მათი საფუძვლების მიწვდომა საინტერესო და საჭირო უნდა

¹ კ. უშინსკი, დასახ. შრ., გვ. 690.

² მუშაობა ამ გზით შემდგომში წარმართა ლესგაფტმა.

იყოს როგორც ფიზიოლოგიისა, ისე პედაგოგიკისათვის. მოძრაობა, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, უშინსკის აზრით, არის რეფლექსი.

უშინსკი არჩევს ორი სახის რეფლექსს—ბუნებრივსა და არაბუნებრივ რეფლექსებს. უკანასკნელს შემდეგში შეძენილი რეფლექსები (усвоенные рефлексы) უწოდა. ძნელი არ არის იმის შენიშვნა, რომ თავისი მოძღვრებით შეძენილი რეფლექსების შესახებ უშინსკიმ წინასწარ განჭვრიტა პირობითი რეფლექსების შესახებ პავლოვის მოძღვრების ელემენტები¹.

რეფლექსების წარმოშობის, მათი ურთიერთობის საკითხების განხილვას უშინსკი ჩვეულებათა საკითხის განხილვას უკავშირებს. მისი აზრით, არსებული თეორიები ჩვეულებათა ბუნების გაგების დარგში აუარებელ წინააღმდეგობას შეიცავს. ასე, მაგალითად, მიუღებელია კანტის შეხედულება, რომლის მიხედვით ჩვეულების შექმნის საქმეში შეგნებულობის როლს სრულიად უარყოფს. არ აკმაყოფილებს უშინსკის ლოკის შეხედულებაც, რომლითაც ძალზე გადაფასებულია მისი როლი, როცა მთელი სააღმზრდელო სისტემის საფუძვლად არის იგი გამოცხადებული და თანაც მის წარმოშობაში ნერვული სისტემის როლი ძალზე დამცირებულია. „ორივე ეს აზრი (ლაპარაკია კანტისა და ლოკის აზრებზე. —დ. ყ.) და მათგან გამომდინარე დისკვენები, ცალმხრივიაო“, — აცხადებს უშინსკი. შეგნებულობის გარეშე არ შეიძლება წარმოიშვას ჩვეულება. მაგრამ, რაკი ჩვეულება ფაქტს წარმოადგენს, უნდა აღვიაროთ, რომ ის ნერვული სისტემის მოქმედების შედეგია: „Если в каком-нибудь психофизическом акте мы замечаем привычку, это значит, что в этом акте принимает большее или меньшее участие нервная система со всей способностью усваивать новые рефлексы“².

ჩვეულება შეძენილი რეფლექსია. ორგანიზმი ახალი რეფლექსებს შეიძენს მოქმედების საშუალებით. შეძენილ რეფლექსებს ეკუთვნის ჩვევაც, რომელიც უშინსკის მიერ გაგებულია, როგორც ჩვეულების ნაირსახეობა. როგორც ჩვეულებებს, ისე ჩვევებს უშინსკი ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას ადამიანთა როგორც ფიზიკურ საქმიანობაში, ისე სწავლებისა და ზნეობრივი მოქმედების დროსაც. „როგორც მშობლებისა და ისე აღმზრდელობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის ნათლად შეგნებას, რომ ბავშვი თავისი ცხოვრების პირველ წელს არსებობს არა მარტო ფიზიკურად, არამედ მის სულში და მის ნერვულ სისტემაში მზადდება მომავალი ფსიქიკური ცხოვრების ძირითადი ელემენტები, მუშავდება ის ძალები და ის ძირითადი ხერხები, რომლებითაც მას შემდეგში ექნება დამოკიდებულება როგორც ბუნებასთან, ისე ადამიანებთან“³.

უშინსკი ბევრს ლაპარაკობს ჩვეულების მნიშვნელობაზე ზნეობრივ აღზრდაში. კარგი ჩვეულება, მისი აზრით, არის ზნეობრივი კაპიტალი, მოთავე-

¹ იხ. ამის შესახებ: Б. Г. Ананьев, Очерки истории русской психологии XVII и XIX веков, 1947, стр. 145.

² Ушинский, т. 8, стр. 203.

³ იქვე, გვ. 214.

სებული ადამიანის მიერ ნერვულ სისტემაში, კაპიტალი, რომელიც შეუჩერებელი იზრდება და რომლითაც სარგებლობს მთელი თავისი სიცოცხლის გასწვრივ. სამაგიეროდ, ცუდი ჩვეულება ზნეობრივი გადაუხდელი სესხია, რომელსაც შეუძლია მოსპოს ადამიანი პროცენტებით, ხელ-ფეხი შეუბორკოს ყველა მის კარგ წამოწყებას და სრულ ზნეობრივ გაკოტრებამდის მიიყვანოს. „რამდენი საუკეთესო წამოწყება და რამდენი საუკეთესო ადამიანი დავარდნილა ცუდი ჩვეულებების გამო“, — ამბობს უშინსკი.

ასეთია ჩვეულების მნიშვნელობა ზნეობრიობაში, უკეთ — ზნეობრივი აღზრდისათვის.

ახლა, რაც შეეხება ჩვევის მნიშვნელობას სწავლებაში, უშინსკის აზრით, გონებრივი განვითარება შეუძლებელია ჩვევის გარეშე. „აი, რატომ არის, რომ ის აღზრდა, რომელიც მხედველობიდან გაუშვებს მოსწავლეებისათვის სასარგებლო ჩვევების მიწოდებას და იზრუნებს მხოლოდ მათ გონებრივ განვითარებაზე, ამ განვითარებას გამოაცლიდა ყველაზე ძლიერ დასაყრდენს; სწორედ ამ შეცდომამ, რომელიც ნაწილობრივ შეიმჩნევა გერმანულ აღზრდაში, ბევრი გვაწვდის და გვწვდის აქამდის“¹.

შევაჯამოთ ნათქვამი. უშინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩვევებსა და ჩვეულებებს ადამიანის აღზრდის საქმეში. იმ მიზნით, რომ ნაყოფიერი ყოფილიყო მათი გამოყენება, საჭირო იყო მათი წარმოშობის შესწავლა. სეჩენოვის გავლენით მან ჩვეულებები და ჩვევები თავის ტვინის რეფლექსებად გამოაცხადა, თან შემოიღო ორიგინალური ცნება „შეძენილი რეფლექსისა“. ნოდვრეებისა კი შეძენილი რეფლექსის შესახებ უშინსკიმ გააფართოვა ფიზიოლოგიის ცოდნის საჭიროების სფერო პედაგოგიკისათვის: ნათელი გახდა ამიერიდან, რომ არა მარტო ფიზიკურის, არამედ გონებრივისა და ზნეობრივი აღზრდისათვისაც საჭიროა ფიზიოლოგიის გამოყენება.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. V. 15)

¹ К. Д. Ушинский, т. 8, стр. 235.

Д. С. Кипшидзе

К. Д. Ушинский о связи педагогики с физиологией

Резюме

Статья ставит целью проследить проблему связи педагогики с физиологией в педагогическом учении К. Д. Ушинского.

Автор на основе анализа педагогической литературы приходит к выводу, что в деле внедрения физиологического учения И. П. Павлова в педагогику сделано пока ещё мало, одной из причин чего является недоговорённость в принципиальном вопросе — как понимать связь педагогики с физиологией, вообще, и связь учения И. П. Павлова с советской педагогикой, в частности. Отсюда — надобность изучить вопрос связи педагогики с физиологией и в историческом аспекте, главным образом у Ушинского, который в домарксистской педагогике лучше всех разработал этот вопрос.

В данной статье освещены лишь некоторые вопросы связи педагогики с физиологией в учении Ушинского, как-то: Ушинский о связи педагогики с физиологией; учение Ушинского об организме и развитии; физиология утомления и задачи воспитания; учение о рефлексах и педагогика.

6. იაშვილი

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესების საკითხისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არის სოციალისტური სახელ-
მწიფოს მთელი საქმიანობის წარმმართველი ძალა, რითაც თანამიმდევრულად
ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდე-
ბული პროგრამა. ეს გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობა თავის კონკრე-
ტულ გამოხატულებას პოებს სახალხომეურნეობრივ გეგმაში, რომელსაც გენი-
ალური ლენინი თვლიდა პარტიის მეორე პროგრამად. სახალხო მეურნეობის
დაგეგმვა წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პო-
ლიტიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს
სფეროსა და ობიექტურ აუცილებლობას. იგი აწესრიგებს ჩვენს საქმიანობას
მატერიალური წარმოების, კულტურისა და ყოფიერების სფეროში. კომუნი-
სტური პარტია იძლევა მიმმართველ სახელმძღვანელო მითითებებს ჩვენი მუ-
შაობის ყველა დარგში; პარტიის მთელი პოლიტიკა, რომელიც არსებითად
ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა, წარმოადგენს იმ სასიცო-
ცხლო ძალას, რაზედაც დამყარებულია საბჭოთა წყობილება.

ვ. ლენინისა და ი. სტალინის ზემოაღნიშნული¹ მთავარი მოთხოვნების
აუცილებლობა გულისხმობს სახალხომეურნეობრივი გეგმების მეცნიერულად
მკვიდრ საფუძველზე აგებას. ნამდვილი მეცნიერება კი პრაქტიკას ითვალისწი-
ნებს, პერსპექტივებს სახავს და ანათებს განვითარების გზას.

მეცნიერების კორიფეები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მიუთითებდნენ
სახალხომეურნეობრივი გეგმების ღრმა მეცნიერული დასაბუთების საჭიროე-
ბაზე იმ ფანტაზიორების წინააღმდეგ, რომელნიც არამეცნიერულს, რეალურ
პირობათაგან მოწყვეტილსა და განყენებულ გეგმებს სახავდნენ.

მეცნიერებისა და ტექნიკის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის
ყველა უახლესი მიღწევის ასახვა, მათი ზრდადი პერსპექტივის გათვალის-
წინება, რეალურ ვითარებაზე დაყრდნობა, ე. ი. შინაგანი და საერთაშორისო
პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების სწორი გათვალისწინება, აი რა
შეადგენს არსებითად სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნი-
ერულ ხასიათს.

ამით საბჭოთა გეგმები ძირეულად განსხვავდებიან დაგეგმვის იმ უნია-

¹ იხ. თსუ შრომები, ტ. 53, 1954, გვ. 73—96.

დაგოსა და უბადრუკი ცდებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ სამყაროში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ი. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე 1927 წ. 3 დეკემბერს თავის მოხსენებაში („ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში“) მათზე ამბობდა, რომ:

„მართალია, მათაც აქვთ რაღაც გეგმების მსგავსი, მაგრამ ეს არის გეგმები-პროგნოზები, გეგმები-ვარაუდები, რომლებიც არავისთვის არ არიან სავალდებულონი და რომელთა საფუძველზე შეუძლებელია ქვეყნის მეურნეობის ხელმძღვანელობა. ჩვენში კი სხვაგვარი მდგომარეობაა. ჩვენი გეგმები არის არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-ვარაუდები, არამედ გეგმები-დირექტივები, რომელნიც სავალდებულონი არიან ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას მომავლისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით“¹.

სოციალისტური სახელმწიფო გეგმავს მწარმოებლურ ძალთა გაადგილებას რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს შორის აგეგმვის ლენინურ-სტალინური პრინციპების მიხედვით, რაც მდგომარეობს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების კომპლექსურ განვითარებაში. მრეწველობის დაახლოებაში ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებთან, სოფლის მეურნეობის ისეთ გაადგილებაში, რათა მაქსიმალური სარგებლობით იქნეს გამოყენებული წარმოების მრავალფეროვან პირობათა მთელი კომპლექსი. ამით გახდება უზრუნველყოფილი სამეურნეო და კულტურული განუხრელი აღმავლობა ამა თუ იმ დარგების, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისა თუ ცალკეული საწარმოს ფარგლებში.

ჩვენი სოფლის მეურნეობის, ისევე როგორც, საერთოდ, მთელი სახალხო მეურნეობის გეგმები (პერსპექტიული და ოპერატიული), მათი მრავალფეროვნებისა და სირთულის მხედველობაში მიღებით, შეიძლება დაჯგუფდნენ შემდეგი ოთხი ნიშნის მიხედვით:

1. დასაგეგმი დროის მიხედვით: წლიური გეგმები (შინაგანი დანაწილებით — კვარტალებად, თვეებად, დეკადებად, პენტადებად, დღეებად, საათობრივ გრაფიკებამდეც კი), ხუთწლიანი გეგმები და აგრეთვე გეგმები უფრო დიდ დროზე ნავარაუდები, ე. წ. გენერალური გეგმები.

2. დასაგეგმი ობიექტების მიხედვით: სპეციალიზებული გეგმები — პირველი რიგისა (როცა ისინი მოიცავენ ერთ რომელსავე კულტურას, ერთ რომელსავე დარგს ან ღონისძიებას, მაგ., ჩაის, თამბაქოს, სიმინდის კულტურის ან მებაღეურობის, მერძეობის, მეფრინველეობის განვითარების ცალკეული გეგმები), მეორე რიგისა, მესამე რიგისა და სხვა, — გეგმები, რომლებშიც თანმიმდევრულად უკავშირდება ერთიმეორეს ორგანიზაციულ-საწარმოო თვალსაზრისით მოსახლეობა და მონათესავე დარგები და კულტურები. ამგვარად, თანმიყოლებითი ინტეგრაციის შედეგად მიიღება სულ უფრო და უფრო რთული კომპლექსური გეგმა თვით ერთიანი სახალხო მეურნეობრივი

¹ ი. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 350; იხ. აგრეთვე Л. Альтер, Крушение теории „планового капитализма“, Госполитиздат, Москва, 1954.

გეგმის შედგენამდე, რომელიც მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის მთელ სამეურნეოსა და კულტურულ საქმიანობას—წარმოების, კულტურისა და ყოფიერების მთელ სფეროს.

მაგალითად, თავთავიანი პურეულის, ძირბვენების, საკვები ბალახების სასილოსე კულტურებისა და სხვათა (ცალკ-ცალკე) განვითარების გეგმა იქნება მეორე რიგის გეგმა; მთელი მემინდვრობის განვითარების, ყველა სუბტროპიკული კულტურის განვითარების ან, საერთოდ, მრავალწლიანი კულტურების განვითარების ცალკ ცალკე შედგენილი გეგმები კი იქნებიან გეგმები მესამე ან მეოთხე რიგისა და ა. შ.

ასევეა მეცხოველეობაშიც. მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის, მეფრინველეობისა და მეღორეობის ან მეცხვარეობისა და მეთხეობის, მემძროხეობისა და მეცხენეობის განვითარების გეგმები იქნებიან გეგმები მეორე რიგისა, ხოლო, თუ მეცხოველეობის ყველა დარგს ერთ გეგმაში გავითვალისწინებთ, მივიღებთ მესამე რიგის გეგმებს. მემცენარეობისა და მეცხოველეობის გეგმებს თუ გავაერთიანებთ ერთ გეგმაში, მივიღებთ მთელი სოფლის მეურნეობის წარმოების გეგმას. ასევე შეიძლება არა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის საქმიანობისა და დარგების — დამხმარე საწარმოების. შინამრეწველობის ან მრეწველობის მსხვილი დარგების, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ფინანსების, სოცკულტურისა და საქმიანობის სხვა ყველა დარგის გაერთიანებით მივიღოთ ინტეგრალური-სახალხომეურნეობრივი გეგმები, რომლებშიც ყველა დარგი თუ ობიექტი მოცემულია სინთეზში (კომპლექსთა კომპლექსი).

ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ დაცული იყოს და მთლიანად აისახოს სახალხო მეურნეობის დარგთა, კულტურათა თუ ღონისძიებათა სწორი შეთანაწყობის ყველა მოთხოვნა. უნდა მივალწიოთ იმას, რომ ამ გეგმებმა სწორად ასახონ სახალხო მეურნეობის — მის ფარგლებში კი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ხოლო ამ უკანასკნელის შიგნით — მემცენარეობისა და მეცხოველეობის, აგრეთვე თითოეული მათგანის შინაგანი შემადგენელი კულტურასა, დარგსა თუ ღონისძიებას შორის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნილება.

ვ. ლენინი საბჭოთა მშენებლობის პირველსავე წლებში მიგვითითებდა, რომ წარმოების ცალკეული დარგების ყველა გეგმა უნდა იყოს ზუსტად კოორდინირებული, ურთიერთდაკავშირებული, ისინი, ერთად უნდა შეადგენდნენ იმ ერთიან სამეურნეო გეგმას, რომელიც ჩვენ ასე გვესაჭიროება. ვ. ლენინის ეს მითითება დღესაც ძალაშია.

3. დასაგეგმი ტერიტორიის (ადმინისტრაციულია და სამეურნეო ერთეულების) მიხედვით გეგმები შეიძლება შედგეს: კოლმეურნეობასა თუ კოლმეურნეზე, ან საბჭოთა მეურნეობისა თუ მტს-ის მუშაკზე ინდივიდუალური სანარდო სისტემის საფუძველზე მიმაგრებული ნაკვეთის, რგოლის, ბრივადისა (ფერმისა) და მთელი კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის მიწათსარგებლობის მასშტაბით. შეიძლება შევადგინოთ ადმინისტრაციული თუ სასოფლო-სამეურნეო რაიონის, ოლქის, მხარის, ავტონომიური ან მოკავშირე რესპუბლიკისა და, ბოლოს, მთელი საბჭოთა კავშირის უზარმაზარ ტერიტორიაზე გაანგარიშებული გეგმები. ესენია საკავშირო, რესპუბლიკური, სამხარეო,

საოლქო, სარაიონო, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობის, საბრიგადო, საფერმე, რგოლისა და ცალკეული ადამიანის (კოლწევრის, საბჭოთა მეურნეობის მუშის) საქმიანობის გეგმები.

4. დამუშავების დეტალიზაციის მიხედვით გეგმების სახეები: ლიმიტები და საკონტროლო ციფრები—საგეგმო დავალებანი, საწარმოო დავალებანი და ტექნიკური პროექტები (ცალკეული საწარმოების დაგეგმარებისა და სამსტადიანი პროექტირებისას; მაგრამ შეიძლება გვექონდეს ორსტადიანი პროექტირებაც. მაშინ გამოირიცხება საწარმოო დავალებანი). რამდენიმე ხნის წინათ გეგმების დამუშავების ეს სამი სტადია ასე განირჩეოდა: სქემა, ესკიზური პროექტი, ტექნიკური პროექტი ან შესრულების პროექტი, ან კიდევ სამუშაო დეტალები.

კონკრეტული გეგმები სხვადასხვა სახით გამოიხატება: მრავალწლიანი ნარგავებისა და ნათესების გაფართოების გეგმა; ამისათვის საჭირო მელორაციულ სამუშაოთა გეგმა და გამოუყენებელი მიწების ათვისების გეგმა, მეცხოველეობის განვითარების გეგმა, აგროზოოვეტკომპლექსის გეგმა, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის გეგმა, კადრების მომზადების გეგმა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა, ფინანსური გეგმა და ა. შ.

თითოეული ამ ჯგუფისა და ჯგუფში კი ცალკეული სახის გეგმის განხილვა, რა თქმა უნდა, აქ მოუხერხებელია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ შორის არსებობს მეტ-ნაკლები განსხვავებაც როგორც შინაარსით, ისე ფორმითა და შედგენის ტექნიკით; სხვაგვარად ისინი ცალკე არც გამოიყოფოდნენ.

ჩამოთვლილი სახეების ყველა სახელმწიფო გეგმაში დაიდგინება საწარმოო დავალებანი არა მხოლოდ მთლიანად სოფლის მეურნეობაში, არამედ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით—კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით; ამ დროს მათი გეგმები ურთიერთდაკავშირებულია ერთიან სასოფლო-სამეურნეო გეგმაში დროისა და ადგილის ამა თუ იმ მასშტაბით.

აღნიშნული გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები დაიდგინება კოლმეურნეობების, მტსებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო პროგრამის დაგეგმვის დროს.

ყოველგვარი გეგმის შედგენის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია სახელმწიფო საწარმოო დავალების განსაზღვრა; ამ დავალებათა გაადგილება დროსა და სივრცეში, აგრეთვე განაწილება შესრულებელთა შორის; დავალებების შესრულებისათვის ღონისძიებათა კონკრეტული გაშლილი სისტემის დასახვა და სახელმწიფო დავალებათა შესრულების კონტროლი.

ქვემოთ გამოვთქვამთ ზოგიერთ მოსაზრებას დაგეგმვის საქმის შემდგომი გაუმჯობესების საკითხზე.

1. დაგეგმვის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესება

გეგმიანობის საკითხები, კერძოდ მეთოდისა და ტექნიკის სფერო, არ არის ერთგზის გადაჭრისა და უცვლელად ამ სახით გამოყენების ობიექტი. ისინი მოითხოვენ მუდმივ ზრუნვასა და მუშაობას მათი მეთოდური და წარმოებრივი განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის.

ამ დიდი საქმის მრავალი მხარეა მოსაგვარებელი, მათ შორის ყურადსაღებია ის გარემოება, რომ, როცა საბჭოთა კავშირის შესაბამის ორგანოებში საკავშირო დავალებათა განაწილება ხდება მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, რესპუბლიკების წარმომადგენლები, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს სათანადო მუშაკებიც, ხოლო რესპუბლიკებში მხარეების, ოლქებისა და რაიონების წარმომადგენლები, ნაკლებად იჩენენ საჭირო ინტერესსა და აქტივობას. ისინი არსებითად სუსტად მონაწილეობენ ნავარაუდები დავალებების რეალობასა და ადგილობრივ ნამდვილი საწარმოო შესაძლებლობის ზუსტად დადგენასთან დაკავშირებულ მსჯელობაში. მეტ შემთხვევაში ისინი არ არიან შეიარაღებული ადგილობრივი, ბუნებრივისა და ეკონომიური პირობების სწორად ამსახველი მასალებით, მრავალგვარ საწარმოთა და ორგანიზაციების საანგარიშო მონაცემებით, საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა კვლევის შედეგებით, მოწინავეთა (რაიონების საწარმოთა, — კოლმეურნეობათა, მტს-თა, საბჭოთა მეურნეობათა, — შრომის სოციალისტური გმირთა, სტახანოველთა) მიღწევებითა და საწარმოო გამოცდილებით, წარმოების შინაგანი რესურსების შესახები ცნობებით.

ამიტომაც ამ მუშაკთა მიერ გამოთქმული ზოგადი მოსაზრებები, რაკი ისინი მოკლებულია სათანადო დამაჯერებლობას, დოკუმენტურ სიმტკიცეს. ხშირად მხედველობაში მიუღებელი რჩება. სახელმწიფო გეგმური დავალების პროექტი თითქმის უცვლელად ისე მტკიცდება, როგორც ის დაისახა წარმოებიდან ძალზე დაშორებულ ადგილებში ცენტრების სპეციალისტთა მიერ, რომელთაც, ზოგჯერ, ბუნდოვანი და ადგილობრივ მუშაკებთან შედარებით უფრო ნაკლები წარმოდგენა აქვთ ადგილების ნამდვილ საწარმოო შესაძლებლობაზე. ადგილობრივი სპეციალისტები კი ხშირად, მსჯელობაში სათანადო მონაწილეობის გარეშე, „მორჩილად და დუმილით“ მიიღებენ ხოლმე ცენტრის მუშაკთა ყველა დასახულობას. ეს გარემოება კი ზოგ შემთხვევაში გეგმების რეალობას ძირს უთხრის.

ეს ხდება ისეთ პირობებში, როცა ადგილობრივი სათანადო მუშაკები არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ პირდაპირ ვალდებულიც არიან მიიღონ რაც შეიძლება მეტი აქტიური, საქმიანი, ფაქტობრივი მასალით განმტკიცებული, გონივრული მონაწილეობა სახელმწიფო გეგმურ დავალებათა განსახორცასა და განხილვაში. ეს მათ უნდა გააკეთონ მანამდე, ვიდრე ეს საგეგმო დავალებები პარტიისა და მთავრობის მიერ საბოლოოდ განიხილებოდეს და სათანადო დადგენილებებით გეგმების სახით გაფორმდებოდეს, შესაბამისი კანონის ძალას მიიღებდეს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება განხორციელებული ამ საქმეში ი. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საბჭოთა გეგმები ცალკეული სპეციალისტების კაბინეტური, კარჩაკეტილი ვარაუდების შედეგი კი არ არის, არამედ მშრომელთა მილიონიანი მასების კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია.

საბჭოთა გეგმები წარმოადგენენ პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ქმნილებას, მშრომელთა მილიონების შემოქმედებას. ამაშია

სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი გამოვლინება. ამიტომაც მიგვი-
თითებდა დიდი სტალინი, რომ გეგმა ჩვენში მოქმედების საბრძოლო პროგრამა
და პროლეტარიატის ნებისყოფის მიზანმიმართული გამოხატულებაა. გეგმების
საშუალებით ხდება ხალხთა მილიონიანი მასების მობილიზაცია, მათი აქტი-
ვობის გამოწვევა და შემოქმედებითი ინიციატივის ახალი აღმავლობა.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის დარგში 37 წლის მანძილზე დაგროვდა
უმდიდრესი გამოცდილება ჩვენს დიად ქვეყანაში. ამის შედეგად საკმაოდ
მკაფიოდ ჩამოაყალიბა გეგმურ. საწარმოო დავალებათა შემუშავებისა და საბ-
ჭოთა კავშირის სათანადო ნაწილებს შორის (აგრეთვე სოციალისტურ სასოფ-
ლო-სამეურნეო საწარმოთა და ცალკეული დარგების, კულტურებისა თუ
ლონისძიებათა შორის) გაადგილების წესი, მეთოდიკა და ტექნიკა. ეს განაწი-
ლება ხდება როგორც ვერტიკალურად (უწყებებსა და დაწესებულებებს შორის),
ისე ჰორიზონტალურად (ადმინისტრაციულისა და ეკონომიურ-ტერიტორიული
ერთეულების მიხედვით), როგორც სპეციალურად, დარგობრივ-ლონისძიებრი-
ვად (კულტურის, დარგის, ლონისძიების გეგმები), ისე სინთეზურ-კომპლექსუ-
რად (საწარმოები, რაიონები, ოლქები) სოფლის მეურნეობის მთელ სის-
ტემაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ერთიანობა მოითხოვს,
რომ ამ მუშაობის სრულყოფა მიმდინარეობდეს მთელს საბჭოთა კავშირში
ერთიანი მწყობრი სისტემით.

პრობლემის მასშტაბის გრანდიოზულობა და სიზუსტე იმას გვიკარნახებს,
რომ მის გადაწყვეტაში ჩაბმულ იქნენ სამეცნიერო დაწესებულებათა, საგეგმოსა
და ოპერატიული ორგანოების მუშაკთა დიდი კოლექტივები, რომლებიც სა-
სარგებლო იქნებიან ამა თუ იმ პრობლემურ-თემატიკურისა თუ ტერიტორიუ-
ლი ნაწილის შესრულებაში.

დიდად მნიშვნელოვანია ის, რომ ცენტრალურმა (საკავშირო) ინსტიტუ-
ტებმა და ორგანიზაციებმა (საგეგმო კომიტეტმა, საკავშირო მეცნიერებათა
აკადემიასთან არსებულმა ბუნებრივ ძალთა შემსწავლელმა საბჭომ, ეკონომიკის
ინსტიტუტმა, აგრეთვე ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა
საკავშირო აკადემიის შესაბამისმა ინსტიტუტებმა) გააძლიერონ მუშაობა სსრ
კავშირის მსხვილი ეკონომიური რაიონების მაქსიმალურ საწარმოო შესაძ-
ლებლობათა გარკვევის დარგში. ეს უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობის
თითოეული კულტურისა და დარგის, აგრეთვე მათი მთელი კომპლექსის ფარ-
გალში; უნდა განისაზღვროს კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი
მაჩვენებლები, მათი პროპორციები და შეთანაბრებანი; დადგინდეს თითოეული
ეკონომიური რაიონის, რესპუბლიკის, მხარისა და ოლქისათვის ადგილი და
დავალებანი შრომის საკავშირო განაწილებაში, უმნიშვნელოვანეს სასოფლო-
სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში. ამ დიდი მუშაობის პროცესში
უნდა დაზუსტდეს სპეციალური და სინთეზური საკითხების დამუშავების მე-
თოდიკა.

ადგილობრივ სპეციალისტთა მონაწილეობა ამ საქმეში უნდა მოეწყოს
ფუნქციების ზუსტი განაწილების საფუძველზე; ეს აუცილებელია როგორც

ცალკეული ეკონომიური რაიონის, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სპეციფიკის მაქსიმალურად ასახვისათვის, ისე მთელი საგეგმო მუშაობის განუწყვეტელი სრულყოფისა და ადგილობრივ მკვლევართა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

დაგეგმვის საქმეს, რომელსაც ამჟამად თან ახლავს სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირის კვ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ მარტის პლენუმის დადგენილებაში, რადიკალურად გააუმჯობესებს ამ დადგენილებით დასახული შემდეგი ღონისძიება:

„ა) იმის გამო, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის დაგეგმვის არსებულ სისტემაში, რომლის დროსაც დაგეგმვის მეტის-მეტე ცენტრალიზაცია ბოკავს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობის ინიციატივას სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებაში, დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკებთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგინონ წინადადებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღონ ის, რომ მეტი ინიციატივა მივსცეთ ადგილებს სასოფლო სამეურნეო წარმოების დაგეგმვაში“¹.

ჩვენს სოფლის მეურნეობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე დაგეგმვის რადიკალურად გარდაქმნისა და გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული აგრეთვე სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგი მუხლი:

„ბ) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ მთელი მუშაობა წარმართოს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების დაგეგმვისა და სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო გეგმის შესრულებისადმი კონტროლის, სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის, აგრეთვე წარმოებაში მეცნიერებათა მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვის; მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის შემდგომი განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობის; სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და დაფინანსების; სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისადმი ხელმძღვანელობის; კადრების შერჩევის, განაწილებისა და მომზადების და სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი კონტროლის საკითხების გადაჭრისათვის“².

¹ იხ. ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენე მიწების ათვისების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1954 წლის 2 მარტს, აშ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო გახ. „კომუნისტი“ № 55 (9831), 1954 წ., 6 მარტი, კარი IV, § 3, მუხლი „ა“.

² „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1953 წლის 7 სექტემბერს აშ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო. სახელგამი, 1953 წ., გვ. 66.

2. ნაერმოვის მოხულობა და მისი გააღვივება

სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის საწარმოო მიმართულება და განვითარების ძირითადი ხაზები განისაზღვრება კომუნისტური პარტიის ყრილობებსა და მისი ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. შესაბამის დადგენილებებში მოცემულია განვითარების მთავარი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომელნიც გეგმური საწარმოო დავალებების დირექტივებს წარმოადგენენ. ამ დირექტივების შესრულებას ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და შესაბამისი რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და სარაიონო პარტიული ორგანიზაციები.

სახელმწიფო დაგეგმვას მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო; ანალოგიურ საქმიანობას მოკავშირესა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში ეწევიან შესაბამისი ორგანოები; ცალკეული დარგების ან მათი კომპლექსების დაგეგმვა და მათ განსახორციელებელ ღონისძიებათა გატარება ეკისრებათ შესაბამისი სამინისტროებსა და სხვა სათანადო სამეურნეო დაწესებულებებს ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით.

გეგმის მაჩვენებელთა ამა თუ იმ ზედმიწევნილობით დამუშავება დასაგეგმში ყველა ობიექტის, დროისა და სივრცის მიხედვით ევალება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საგეგმო კომიტეტს—გეგმიანობის მთავარ შტაბს საბჭოთა ქვეყანაში, ხოლო მოკავშირესა და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში—შესაბამის საგეგმო ორგანიზაციებს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შედგენასა და მათი შესრულების კონტროლს აწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომიტეტი“ და მისი შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები. ეს საქმე რთულია და მას ფრიად ზუსტად აწყობილი აპარატი უნდა ასრულებდეს.

საქმის წარმატების აუცილებელი პირობაა საერთო და კერძო საწარმოო, კულტურული და საყოფაცხოვრებო კონკრეტული ამოცანების სწორი დასახვა. ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ძირითადი ამოცანებია:

ა) სახალხო მეურნეობის კაპიტალისტურ გარემოცვაზე დამოუკიდებლობისა და ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის უზრუნველყოფა. სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობა, პირველ რიგში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და საერთოდ ყოველ ქვეყანასთან, რომელიც თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მოისურვებს საქმიანი ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან;

ბ) მეურნეობის სოციალისტური სისტემის განუყოფელი ბატონობის

განმტკიცება და კაპიტალისტური ელემენტების წარმოშობის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსპობა;

გ) სახალხო მეურნეობაში ყოველგვარი დისპროპორციის წარმოშობის სრული აღკვეთა და ამისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საჭირო მსხვილი სახელმწიფო რეზერვების შექმნა.

საგეგმო ორგანოთა ამოცანაა გეგმების შედგენის დროს გამოიყენონ ისეთი კონკრეტული მეთოდები და ტექნიკა, რომ უზრუნველყოფილი გახდეს:

ა) გეგმის პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების რაც შეიძლება მთლიანი გამოხატვა, მაჩვენებელთა სიმარტივე, სიზუსტე და კონკრეტობა;

ბ) მაჩვენებელთა სამისამართო ხასიათი და ოპერატიულობა;

გ) ერთგვაროვან საწარმოთა მაჩვენებლების შესადაარისობა, მათი შეჯამება რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის ერთიან გეგმაში;

დ) უმნიშვნელოვანესი შიგადაზღოვანი და დარგთაშორისი დაკავშირებულიობის შემოწმების შესაძლებლობა დადგენილ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე;

ე) მაჩვენებელთა დიფერენციაცია დარგების, საკუთრების ფორმებისა და დაქვემდებარების მიხედვით;

ვ) გეგმისა და აღრიცხვის მაჩვენებელთა ერთიანობა¹.

ყველაფერი ეს უნდა იყოს დიდი ზედმიწევნილობით გაშუქებული რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებელთა მწყობრ სისტემაში; მოცემული უნდა იყოს ამომწურავი ტექსტობრივი განმარტება, დასურათხატებული უნდა იყოს გრაფიკული მასალით (რუკებით, დიაგრამებით, კარტოდიაგრამებით) და ფოტოილუსტრაციებით.

დაგეგმვის ორგანიზაციული მხარე საბჭოთა ქვეყანაში სქემატურად ასე წარმოგვიდგება.

პარტიისა და მთავრობის წარმართველი მითითებებისა და დასახული კონკრეტული ამოცანების საფუძველზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომიტეტი, საბჭოთა ქვეყნის ცენტრში—მოსკოვში—მთელი საბჭოთა კავშირისათვის შეადგენს წარმოების მოცულობის პროექტს მომავალი წლის, ხუთწლეულისა თუ დროის სხვა მონაკვეთისათვის როგორც რაოდენობრივს, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებში.

გრანდიოზულია წარმოების ეს მოცულობა. აქ იგულისხმება მრავალფეროვანი პროდუქცია უზარმაზარი ქვეყნისა—საბჭოთა კავშირისა, რომელმაც შექმნა ისტორიულად მოკლე დროში უაღრესად რთული, მრავალწახნაგოვანი, განშტოებული სახალხო მეურნეობა და ჩამოაყალიბა იგი ერთიან, პარმონიულად შეკრულ, სამეურნეო ორგანიზმად. აქ იგულისხმება ათასობით, ათეულათასობით სხვადასხვა საგანი, ნივთი, ნაწარმი, ნაკეთობა, პროდუქტი, საქონელი საწარმოოსა და პირადი მოხმარების დანიშნულებისა. აქ იგულისხმება აგ-

¹ П. И. Пятаевский, Планирование хозяйства района, Госполитиздат, Москва, 1952, стр. 24.

რთვე სოფლის მეურნეობის მრავალგვარი პროდუქტი სასურსათო, სანედლეულო და საფურაჟე-საკვები დანიშნულებისა.

თითოეული მათგანი იმდენი უნდა იყოს, რომ, მაგალითად, სურსათის წარმოების დარგში მივალწიოთ საბჭოთა ქვეყნის დიდი ტემპით მამრავლი მოსახლეობის (მზარდი მოსახლეობის ზრდადი მოთხოვნილების) დაკმაყოფილებას კვების ნორმებით, რაც კლასიკურად არის განსაზღვრული ამახ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში¹.

სანედლეულო ბაზის მხრით სოფლის მეურნეობამ ამოცანად უნდა დაისახოს სასურსათო საქონლისა და ფართო მოხმარების საქონლის მზარდი მრეწველობის უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი სანედლეულო პროდუქციის საჭირო რაოდენობით.

საკვები და საფურაჟე პროდუქცია იმდენი უნდა ვაწარმოოთ, რომ ზოოტექნიკურად გამართული სრული ნორმებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი მზარდი სოციალისტური მეცხოველეობა.

ამავე დროს უნდა უზრუნველყოთ სახელმწიფო რეზერვების შევსება გადიდება და პერიოდული განახლება. განუზრელად უნდა ვზარდოთ ჩვენი საექსპორტო შესაძლებლობანი და რესურსები.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნატურალური ერთეულების (წონის, ზომის, წყვისა და თვლის) საჭირო რაოდენობის დადგენის შემდეგ შეიძლება ყოველი სახის მემცენარეობის პროდუქციის მათ საშუალო-შეწონილ საკავშირო მოსავლიანობაზე გაყოფით, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციისა შესაბამისი სახის პირუტყვის პროდუქტიულობაზე (წველადობზე, ნამატზე, ნაზარდზე, ნასუქზე, საკლავის წონაზე, კვერცხისმდებლობასა და სხვაზე) გაყოფით მიღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საჭირო ფართობი და სულადობა მთელი კავშირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშების საილუსტრაციოდ მაგალითებს აქვრ ვიხილავთ და ამ საკითხს სხვა დროს შევხვებით. ვიტყვი მხოლოდ, რომ სხვადასხვა სახის პროდუქციის საჭირო რაოდენობის გაანგარიშებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის მატერიალურისა და კულტურული ცხოვრების სულ მზარდი დონის მიღწევის ამოცანით, კერძოდ, ისეთ დონესთან უფრო მეტი მიახლოების ამოცანით, რაც კომუნისტური ყოფიერებით განისაზღვრება. ამიტომ აქ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიღწეულ დონესთან შედარებითს მეთოდს ვერ გამოვიყენებთ; ამ შედარებასა და აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში წარსულში მიღწეულ დონესთან (1913 წ., 1921 წ., 1928 წ., 1940 წ. და ა. შ.) შედარებას, მხოლოდ ვარაუდების მნიშვნელობა აქვს და მათ შეიძ

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დონისძიებათა შესახებ, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს, სახელგამი, 1953, გვ. 12; იხ. აგრეთვე ჟურნ. „Наука и жизнь“ № 10, 1953 წ., გვ. 48; О. П. Молчанова (директор Института питания), Суточный рацион питания; ნ. იაშვილი, თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისათვის, სას.-სამ. ინსტიტუტის მოამბე № 2, 1953, გვ. 1.

ლება ნაწილობრივ მივმართოთ და გამოვიყენოთ ზრდის შუალედი ტემპების განსაზღვრისათვის.

კვებისა და სხვა ყოველგვარი მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილების დონის დადგენისათვის ჩვენ, სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის საფუძველზე დაყრდნობით, უნდა მივმართოთ ფიზიოლოგიისა და მედიცინის, სოციალური ჰიგიენისა და სხვა შესაბამისი მეცნიერული დარგის მიღწევებს. ამ საფუძველზე უნდა დაისახოს ყოფიერების (მატერიალური ცხოვრებისა და კულტურის სფეროს) ისეთი მაღალი დონე, რომელიც არა მარტო უმაგალითოა კაცობრიობის მთელს სოციალიზმამდელ ისტორიაში, არამედ საერთოდ მიუღწეველია კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში.

ასეთი გზით მიღებული მოხმარების ნორმატივები გადაიანგარიშება მოსახლეობის რაოდენობაზე, სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეებზე, მცენარეთა ნათესსა და ნარგავ ფართობზე, პირუტყვის სულადობაზე და მიიღება სოფლის მეურნეობის წარმოების საპროექტო მოცულობა.

3. სანარმოო-გაქნიკური ნორმების მნიშვნელობა

მთელს აღნიშნულ მუშაობაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ნორმებისა და ნორმირების საკითხია. არავითარი ტექნიკურ-ეკონომიური ანგარიში არ შეიძლება ვაწარმოოთ ან, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება ვიმედოვნებდეთ, რომ ამ ანგარიშიდან სწორ დასკვნას გადავკეთებთ, თუ ტექნიკური ნორმები, რომლის საფუძველებზეც ვაწარმოებთ ანგარიშს, მაქსიმალურად ზუსტი არ არის.

ნორმების დამუშავებისათვის მრავალი მასალის შესწავლა და მათი ზუსტი სარგებლობა არის საჭირო. ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ საგეგმო და საანგარიშგებო საშუალო და კიდური მაჩვენებლები (უმაღლესი და უდაბლესი). ეს მასალა, უნდა იყოს რაც შეიძლება მასობრივი, დიდი ღროისა და სივრცის ასპექტში მეცნიერულად დაგროვილ-დამუშავებული.

უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი გამოცდილება: მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, საცდელ-საგამოკვლევო ინსტიტუტების, სადღურების, დასაყრდენი პუნქტების, ცალკეული მოწინავეებისა და შრომის სოციალისტური გმირებისა, უნდა გავითვალისწინოთ პირობები, რომელშიც მათ მიაღწიეს შესანიშნავ შედეგებს; გავითვალისწინოთ ის, თუ რა სიახლე შეიტანეს და რა გაუმჯობესებელი მეთოდები და წესები გამოიყენეს მათ მუშაობაში და რამდენად შეიძლება მათი განზოგადება.

ამ წესით, როცა ურთიერთს დაეუბირისპირებთ მიღებულ მოსავლიანობას, ერთი მხრით, და აგროტექნიკურ და ეკონომიურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემას, მეორე მხრივ, შეიძლება დავადგინოთ, თუ რა დამოკიდებულებაში იყო მიწათმოქმედების კულტურის ზრდასთან მოსავლიანობის ფაქტიური გადიდება მთელი რიგი წლების მანძილზე; აქედან შესაძლოა ვივარაუდოთ, როგორი იქნება მოსავლიანობის ზრდის ზომა დასაგეგმავ ღონისძიებათა გარკვეული მოცულობის განხორციელების შედეგად. ეს მიდგომა ეხება არა მხოლოდ მოსავ-

ლიანობის, არამედ ყველა სხვა ღონისძიებისა და სამეურნეო შედეგების დაგეგმვის საქმესაც.

პირველ რიგში აქ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს თესლისა და ჩითილის ხარისხისა და ნორმების დადგენასა და დაცვას.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მოხსენებაში სექტემბრის პლენუმზე დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხებს და აღნიშნავს, რომ: „ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სთესავს ცუდ თესლს და ამასთან მოთესვის სრულ ნორმას არ იცავს“ (გვ. 42); ხოლო ნათქვამია: „ცუდი თესლისაგან კარგ ნაყოფს ნუ ელიო“, და ისიც, თუ ნორმაზე ნაკლები ითესება, აქედან ბევრი არაფერი გამოვა... ეს უყარათობა, შებრუნებული ეკონომიაა, სიძუნწვა რაზედაც საქართველოში იტყვიან: „ძუნწ კაცს მარტილი მეტი ეხარჯება“.

ამიტომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი იქვე აღნიშნავს, რომ „გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ისეთი აღმამუფოთებელი ფაქტები, როცა თესვის ნორმებს ამცირებენ“ (გვ. 69).

მაგრამ ნორმატივების დამუშავება ერთდროული ამოცანა როდია. აქ აუარებელი რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებელია დასამუშავებელი; ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული მათგანი უნდა წარმოადგენდეს საშუალო-პროგრესულ ნორმას.

საგეგმო ნორმატივები მუდამ დინამიკური და ყოველთვის აღმავალი უნდა იყოს. ისინი უნდა ქმნიდნენ რეალურ სტიმულს ჩამორჩენილთა წინსვლის ტემპის აჩქარების, მოწინავეთა დონემდე ასვლისა და საერთო აღმავლობის უზრუნველყოფისათვის.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი ღონისძიება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასაინტერესებლად სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდებით, მათი ეკონომიური სტიმულის გასაძლიერებლად. დღესაც ძალაშია გენიალური ლენინის მითითება, რომელიც მოგვცა მან 1921 წლის 25 ოქტომბერს (2 ნოემბერს) წარმოთქმულ სიტყვაში „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის“, სადაც ის ამბობდა:

„არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშვანობაზე დაყრდნობით“¹ უნდა შესრულდეს დიდი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები. ამით ხელმძღვანელობდნენ პარტია და მთავრობა, როცა სულ მოკლე ხანში ისეთი ღონისძიებები გაატარეს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა წახალისებისა და საგადასახადო პოლიტიკის დარგში, რამაც მათი შემოსავალი 1953 წელს გაადიდა 13 მილიარდ მანეთზე მეტი თანხით.

„ახალი ნორმების შემუშავებისას,—ნათქვამია სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში (გვ. 35),—არ დაუშვან ნორმების რაოდენობის მხრივ დიდი გადახრა იმ რაიონებში, რომლებსაც დაახლოებით თანაბარი პირობები აქვთ“... „ხოლო აღმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მოქმედებდეს, როგორც წესი, მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების ერთი ნორმა“.

¹ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 46.

„ჩვენ ისეთი ტექნიკური ნორმები გვესაჭიროება, — გვასწავლიდა დიდი სტალინი. — რომლებიც შუათანა ადგილს დაიჭერენ ახლანდელ ტექნიკურ ნორმებს და იმ ნორმებს შორის, რომლებსაც სტახანოვებმა და ბუსიგინებმა მიადრწიეს“¹.

ამ მიზნით ნორმების რეალურობისათვის დაისახება კონკრეტული დავალებანი მიწათმოქმედების მოწინავე სისტემის დასანერგავად და ამ საფუძველზე დგება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების გეგმა. მოსავლიანობის გადიდების გეგმა სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი განსხვავებული პირობების მქონე რაიონში ყოველგვარ მუშაობას სხვაგვარი და მისთვის ზედმიწევნით შესაფერისი მუშაობა უნდა. ეს მითითება განსაკუთრებული სიძლიერით რჩება ძალაში საქართველოს უაღრესად მრავალფეროვანი ნიკრორაიონული პირობებისათვის.

ეს გარემოება, ჩვენი აზრით, საჭიროდ ხდის საქართველოს სინამდვილეში (აღბათ; სსრკ სხვა ანალოგიური პირობების მქონე ზოგ რესპუბლიკაშიც) დაშვებულ იქნეს ზოგიერთი გამონაკლისი ხსენებულ დადგენილებებში მოცემული იმ დებულებიდან, რომლის მიხედვითაც რაიონში, როგორც წესი, უნდა მოქმედებდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ერთი ნორმა. საქართველოს დიდად განსხვავებულ მიკრორაიონულ პირობებში დაშვებული უნდა იქნეს რამდენიმე დიფერენცირებული ნორმა ერთი რაიონის ფარგლებში, როცა ბუნებრივსა და ეკონომიურ პირობათა მკვეთრ განსხვავებასთან გვაქვს საქმე; აქ მასობრივად უნდა განვასხვაოთ არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა ნორმები, არამედ საერთოდ ყოველგვარი საწარმოო-ტექნიკური ნორმატივები.

ოღონდ ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა იყოს დაცული მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ საშუალო-შეწონილი ნორმა რაიონის შიგ დადგენილი ნორმებიდან, არ იქნება ნაკლები რესპუბლიკის მიერ რაიონისათვის განსაზღვრულ ნორმაზე; ისევე როგორც საშუალო-შეწონილი ნორმა ცალკეული რაიონების ნორმებიდან არ უნდა იყოს ნაკლები რესპუბლიკისათვის საკავშირო მთავრობის მიერ დადგენილ ნორმებზე.

4. ღონისძიებათა სათანადო სისკვამა გეგმურ დაპლაზბათა განსახორციელებლად

საჭიროა, რათა ნარგავებისა თუ ნათესების ყოველი დაგეგმილი გაფართოება, პირუტყვის სულადობის ზრდა, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ყოველი გადიდება დასაბუთებული და უზრუნველყოფილი იყოს გაუმჯობესებული სათესლე, სანერგე და საჯიშე მასალით, ნიადაგის წესიერი დამუშავებითა და გაპატივებით, რაციონალური კვებითა და მოვლა-პატრონობით, ამისათვის საჭირო შენობა-ნაგებობითა და ინვენტარით, ენერგეტიკითა და მანქანა-იარაღებით, სამუშაო ძალითა და ხელმძღვანელი კადრებით, ყველა მატერიალური და ფინანსური სახსრებით.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მეტერთმეტე გამოცემა, სახელგამი, 1951 გვ. 633.

ამ საქმეში გამოყენებული უნდა იქნეს ყოველი დავალებისა და მოსალოდნელი შედეგების დაგეგმვა ჯერ ღონისძიებათა და ფაქტორების მიხედვით და დადგინდეს, თუ რა მოჰყვება თითოეულ მათგანს, ხოლო შემდეგ მოხდეს მათი გაერთიანება არა მექანიკური, არამედ შემოქმედებითად სინთეზური; უნდა გვახსოვდეს, რომ ღონისძიებათა საღად დასახული კომპლექსი, როგორც წესი, უფრო მეტ შედეგს იძლევა, ვიდრე ჯამი ცალ-ცალკე გატარებული. ამიტომ აუცილებელია რაციონალური აგროზოოვეტკომპლექსების დასახვა ღონისძიებებისა და გატარება. ეს მუშაობა უნდა ეყრდნობოდეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა მონაცემებს, საყრდენ საჩვენებელ მეურნეობათა, მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობათა, მტს-ებისა და მათში მომუშავე სტახანოველების, შრომის სოციალისტური გმირებისა და სტალინური პრემიის ლაურეატების მდიდარ საწარმოო გამოცდილებას.

საქართველოს კპ ც. კ. ოქტომბრის პლენუმზე აღნიშნული იყო, რომ „სამეცნიერო დაწესებულებები მოვალენი არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მექანიზაციის საკითხების შესწავლასა და დამუშავებას“¹.

ჩვენ კვლავაც უნდა გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის—ჩაის, ციტრუსების, ვაზის, ხეხილის, თამბაქოს, ბოსტნისა და სხვათა ფართობი; მაგრამ აქვე მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კულტურების ყოველი ჰექტარი უნდა იყოს სრულფასიანი, ე. ი. შენარჩუნებული გვექონდეს ნათესებისა და ნარგავების დაგეგმილი სიხშირე და მათი ნორმალური ზრდა-განვითარება. ხოლო, თუ რაიმე მიზეზის გამო ისინი გაქაჩლდნენ და გამეჩხვრდნენ, აუცილებლად დროზე უნდა ჩაეატაროთ გამოთესვა და გამორგვა, ზუსტად დავიცვათ მოწინავე აგროკომპლექსო უმაღლესი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად. ასევე უნდა მიუუფავთ მეცხოველეობის ყველა დარგის დაგეგმვის საქმესაც.

სრულიად ნათელია, რომ ნაცვლად 2—3 ჰექტარი გამეჩხვრებული ნარგავებისა და დაკნინებული ბალ-ვენახისა, ყურძნისა და ხილის 5—6 ცენტნერი მოსავლიანობით, უმჯობესია გვექონდეს 1 ჰექტარი სრულფასიანი ნარგავი, რომელიც სათანადო დამუშავება-მოვლით მოგვცემდა 10—12 ტონასა და მეტ მოსავალს. 5-ნ დაკნინებული ძროხის ნაცვლად, 400—500 ლიტრი რძის წველადობით, უკეთესია გვყავდეს ერთი ფური და იწველიდეს წელიწადში 2.500—3.000 ლიტრ რძეს.

ამ პირობებში უფრო სახალისოა მუშაობა და ნაკლებია ხარჯი ბალ-ვენახის დამუშავებაზე, პირუტყვის მოვლაზე, და უფრო იაფადაც გვიჯდება მათი პროდუქცია. ჩვენ გვინდა პროდუქციის არა ყოველგვარი ზრდა, არამედ მისი წარმოების ისეთი გადიდება, რომლის დროსაც საჭირო იქნება პროდუქციის ერთეულზე უმცირესი დანახარჯები სხვა მაწარმოებელ რაიონებთანა და მეურნეობებთან შედარებით.

¹ იხ. ვახ. „კომუნისტი“ 1953 წ. 6 ნოემბერი, № 263 (9731).

საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ მეშაობის ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობას; კულტურების ფართობებისა და პირუტყვის სულადობის, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ყველა საანგარიშო ნორმატივების დიფერენციული დამუშავების მიზანშეწონილობას. საკითხებისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა ჩვენში, საქართველოში.

საქართველოს მთიანობა, რთული რელიეფი, სპეციფიკური ბუნებრივი პირობები იწვევენ იმას, რომ არა მხოლოდ მთელი რაიონი, არამედ ხშირად ერთი სოფლის ტერიტორიაც კი მდებარეობს სხვადასხვა სიმკვდორის ქანობის მთის კალთებსა და ბარში, ე, ი. განსხვავებულ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ასეთი კუთხეებისა და სოფლების სახელწოდებებიც შესაბამისად წარმოიშვა; მაგალითად, ზედა ქართლი, შიდა ქართლი და ქვედა ქართლი; ზედა ხორვა, შუა ხორვა და ქვედა ხორვა (ცხაკიას რაიონი); ზედა სიმონეთი, ქვედა სიმონეთი (ქუთაისის რაიონი); ზედა ხოდაშენი, ქვედა ხოდაშენი (თელავის რაიონი); ზემო ქედი, შუა ქედი (არხილოს კალო); ქვემო ქედი (წითელწყაროს რაიონში) და მრავალი სხვა.

საწარმოო პირობათა ასეთი დიდი განსხვავება მოითხოვს აგროზოოვეტ-ტექნიკის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხების დიფერენციულადა და ინდივიდუალისებულად დამუშავებას. არა მხოლოდ კულტურულ მცენარეთა თესლისა და საჯიშე პირუტყვის სწორად შერჩევა, არა მარტო ნიადაგისა თუ ნათეს-ნარგავთა წესიერი, დროული დამუშავება, ანდა შინაური ცხოველის გულმოდგინე მუდმივი მოვლა-პატრონობა უხდა დაწესდეს ადგილების მიკრო-რაიონულ თავისებურებათა მიხედვით, არამედ ზუსტად უხდა იქნეს გაანგარიშებული სამუშაო ძალისა და ენერგეტიკის მოთხოვნილება; უხდა გაირკვეს სათესლე, სასუქი, საწამლი მასალებისა და სხვა ყოველგვარი მატერიალური და ფულადი სახსრების ზუსტად საჭირო (არც მეტი, არც ნაკლები) რაოდენობა და შედგეს მათი მომარაგების გეგმები; დროულად წარდგეს სათანადო ინსტანციებში წესიერად გაფორმებული განაცხადები.

ამ საქმეში აუცილებელია მრავალნაირი მატერიალური და ფულადი, სამუშაო ძალისა და ენერგეტიკის ბალანსები; ოღონდ აქ მთავარია, რათა რაც შეიძლება მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ადგილებმა როგორც გეგმების დასახვაში, ისე მათ განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და გატარებაში.

ადგილების თაოსნობის გამოწვევისა და ხელის შეწყობის შესახებ ვ. ლენინი ჯერ კიდევ 1921 წელს მიუთითებდა ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ“:

„ყველა მუშაკმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკმა, მთელი ძალდონე, მთელი ყურადღება იქითკენ უხდა მიმართოს, რომ შექმნან, გამოიწვიონ მეტი ინიციატივა ადგილებისა—გუბერნიებისა; უფრო მეტად—მაზრებისა; კიდევ უფრო მეტად—თემებისა და სოფლებისა“. მაგრამ ეს „მოითხოვს ა დ გ ი ლ ე ბ ი ს

არსებითად დამოუკიდებელ, საქმის ცოდნაზე დამყარებულ, გონიერ ინიციატივას“¹... იქვე ლენინი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქიროა „მიწათმოქმედებასა და მრეწველობას შორის ბრუნვის წახალისების საქმეში ადგილების ინიციატივის, თაოსნობის, დამოუკიდებლობის ყოველმხრივი, ყოველგვარი განვითარება, რადაც უნდა დაჯდეს“ (გვ. 462). და, ბოლოს, არ შეიძლება აო აღინიშნოს, რომ ლენინმა თავის პროექტში „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებებისათვის“ 1921 წლის 21 მაისს ხაზგასმით ჩაწერა: „საგუბერნიო აღმასკომების მოვალეობას შეადგენს ამა თუ იმ ადგილისათვის ყველაზე უფრო შესაფერი წესების ასეთი თუ ისეთი წინასწარი დადგენა, ამასთან კი არ უნდა შეიკვეცოს, არამედ აუცილებლად უნდა გაფართოვდეს საერთოდ „ადგილების“, განსაკუთრებით კი ქვედა უჯრედების დამოუკიდებლობის თაოსნობა“². ლენინის ეს ადრინდელი მითითება ისევე სავალდებულოა დღესაც, როგორც მისი დაწერის დროს იყო, და ისეთივე ქმედითს დახმარებას გაუწევს საერთო აღმავლობის საქმეს ჩვენს ქვეყანაში, როგორც აქამდე უწევდა.

5. გეგმის შესრულების კონკრული

სოციალისტურ საზოგადოებაში ყოველი მუშაკი გარემოშილია საბჭოთა ხალხის, მთავრობის, კომუნისტური პარტიის უსაზღვრო ნდობით, დახმარებით, მზრუნველობით. ამის საფუძველზე იჩენს საბჭოთა ადამიანი თავისი თავისათვის, საკუთარი კლასის ეკონომიური კეთილდღეობისაქენ მიმართულ უკეთესსა და სახალისო ცხოვრებასა და შრომაში თავდადებასა და სიმამაცეს. სულ უფრო იზრდება სოციალისტური შრომის გმირების, სტახანოველთა და მოწინავე ადამიანების რიგები. აუცილებლობისა და იძულების სფეროდან შრომა განუხრელად გადადის ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების სფეროში.

ვიდრე ჩვენს ქვეყანაში წარმოება, შრომა და განაწილება აგებულია სოციალიზმის პრინციპზე — „ყველასაგან უნარის მიხედვით, ყველას შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით“, — სრულიად აუცილებელია ყოველი ადამიანის შრომის ზუსტი აღრიცხვა, საზოგადოების საქმიანობაში მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაწილეობის ცოდნა. ამისათვის კი საჭიროა ყოველი მუშაკის საქმიანობაზე მუდმივი მეთვალყურეობა, აღრიცხვა და შემოწმება.

საბჭოთა საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მუშაობა წარმართება ერთიანი სახალხო მეურნეობრივი გეგმით; მაშასადამე, ამ მუშაობის შემოწმება იგივე სახალხომეურნეობრივი გეგმის შესრულების კონტროლია, რისთვისაც აუცილებელია ზუსტი აღრიცხვა — სტატისტიკური, ოპერატიული და საბუღალტრო-მატერიალური წარმოების, კულტურისა და ყოფიერების ყველა სფეროში.

ამის შედეგად გროვდება აუარებელი, ჩვენი ცხოვრების ამსახველი

¹ გ. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 446, 452, გამოცემა მეოთხე.

² იქვე, გვ. 483.

ძვირფასი ციფრობლივი მასალა, რომლის საფუძველზე მით უფრო სწორად დავინახავთ და ავსახავთ სინამდვილეს, რაც უფრო ზუსტად და სწორი ხერხებით ჩავატარებთ ამ მასალის ობიექტურ მეცნიერულ ანალიზს.

ჩვენი ცხოვრების გაღრმავებული მეცნიერული ეკონომიური ანალიზის აუცილებლობაზე აღრიდანვე მიგვიითიებდნენ ვ. ლენინი და ი. სტალინი. ლენინი ხაზს უსვამდა სტატისტიკური, საერთოდ, საარტიკვო ციფრის ეკონომიური ანალიზის აუცილებლობას, ამ ციფრების იქით ცოცხალი სინამდვილის სწორად დანახვის საჭიროებას. ასეთი ანალიზის გარეშე, აღნიშნავდა ლენინი, აღრიცხვა გადაიქცევა „ციფრობანას თამაშად“, დროსა და სახსრების უსარგებლო ხარჯვად, შეუძლებელი გახდება ნამდვილი კონტროლის ორგანიზაცია.

„ენდე და შეამოწმე“, — აი პრინციპი, რომელიც განუხრელად გამოიყენებოდა საბჭოთა ქვეყანაში მისი არსებობის მთელ მანძილზე (მუშათა კონტროლი, ღარიბთა კომიტეტები, მუშათა და გლეხთა ინსპექციები, პარტიული კონტროლის კომისიები, სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო. რევიზორ-ინსპექტორთა-ბუხჰალტერთა ჯგუფები სამინისტროებში, ტრესტებში, სხვა სამეურნეოსა და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზებში).

ვ. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში თავის შესანიშნავ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ წერდა:

„აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის „მოწესრიგებისათვის“, სწორი ფუნქციონირებისათვის“¹. იმავე პერიოდში თავის მეორე შრომაში „შენიარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?“ ლენინი წერდა:

„პროლეტარული რევოლუციის მთავარი სიძნელე არის პროლეტარების წარმოებისა და განაწილების უზუსტესი და უკეთილსინდისიერი აღრიცხვისა და კონტროლის, მუშათა კონტროლის საყოველთაო-სახალხო მასშტაბით განხორციელება“².

რევოლუციის გენიოსის ეს მითითებანი უფლებამოსილი იყო საბჭოთა მშენებლობის მთელ მანძილზე და მათ, შეიძლება, არასოდეს არ ჰქონდათ ისეთი ძნელადობა, როგორც ახლა — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში.

გენიალური ლენინის უკვდავი საქმის დიდმა განმგრძობმა სტალინმა, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და პირველ რიგში, დაგვემვის პრაქტიკაში დაწერა აღნიშნული ლენინური პრინციპი. ი. სტალინი გვასწავლის, რომ ზუსტი კონტროლი, დეფექტებისა და შეცდომების დროული შემჩნევა და გამოსწორება იმას უზრუნველყოფს, რომ ჩვენი გეგმები გადაჭარბებით სრულდება. ამავე დროს გვგვჩვენებს, ამ შემოწმების შედეგად, ზუსტდება, ვითარდება წარმოებაში გამოვლინებულ ახალ შესაძლებლობათა და რეზერვების შესაბამისად. ამიტომ, — მიგვიითიებებს დიდი სტალინი, — „ჩვენთვის ხუთწლიანი გეგმა, როგორც

¹ ვ. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 590, გამოცემა მეოთხე.

² ვ. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 107.

ყველა სხვა გეგმა, მხოლოდ ისეთი გეგმაა, რომელიც მიღებულია პირველი მინახლოების წესით და რომელიც უნდა ზუსტდებოდეს, იცვლებოდეს და უმჯობესდებოდეს ადგილების გამოცდილების საფუძველზე, გეგმის შესრულების გამოცდილების საფუძველზე. ვერავითარი ხუთწლიანი გეგმა ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლებლობას, რომელიც დაფარულია ჩვენი წყობილების წიაღში და რომელიც მუდამდებია მხოლოდ მუშაობის მსვლელობაში, გეგმის განხორციელებისას ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში და სხვ. მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საგეგმო მუშაობა გეგმის შედგენით თავდება. გეგმის შედგენა და გეგმვის მხოლოდ დასაწყისია. ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იწყება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, ადგილებზე შემოწმების (ხაზი ჩვენი.—ნ. ი.) შემდეგ, გეგმის განხორციელების, შესწორებისა და დაზუსტების მსვლელობაში“¹.

სწორად მოწყობილმა კონტროლმა ხელი უნდა შეგვიწყოს ვიწრო ადგილების მოძებნისა და მათი ლიკვიდაციისათვის ღონისძიებათა დასახვაში. ამ საფუძველზე უნდა შევიდოთ საქმიანობის მთავარი გადამწყვეტი რგოლების შერჩევა. მათი წინა პლანზე წამოწევა, ამ რგოლებთან დაკავშირებული სხვა ამოცანების ადვილად გადაჭრის გზების დასახვა. უნდა მივადწიოთ მიმდინარე ე. წ. ოპერაციული გეგმების სრულ შეთანხმებასა და გამომდინარეობას პერსპექტიული გეგმებიდან. საჭიროა სამეურნეო კომპლექსის ყველა დარგის გეგმათა კოორდინირება და ერთ მთლიან გეგმურ დოკუმენტებად შეკვრა.

დარგთა, კულტურებისა თუ ღონისძიებათა პროპორციულობის, მთელი სამეურნეო კომპლექსების ჰარმონიული აგებულების შესამოწმებლად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა ბალანსები—ფულადი და მატერიალური, გამონატული როგორც ნატურალურ, ისე ვალერისტულ მაჩვენებლებში.

გეგმების შესრულების შემოწმების საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს. გეგმა უთუოდ და გადაჭარბებით უნდა სრულდებოდეს ყველგან და ყოველთვის: ყველა რესპუბლიკაში, ოლქსა და რაიონში, კოლმეურნეობასა და მტს ში, საბჭოთა მეურნეობაში, და მათ ყოველ დარგში, განყოფილებაში, საამქროში, ბრიგადაში, რგოლში, ყოველი ცალკე მომუშავეს მიერ. გეგმა უნდა სრულდებოდეს ყოველ ხუთწლედში, წელიწადში, კვარტალში, თვეში, დეკადასა და დღეში. რაც დრო ვაგა, მით მეტად უნდა გადავიდეთ საათობრივ გრაფიკებზე და უწყვეტ ნაკადად მოვაწყოთ სამუშაოთა მაღალხარისხოვანი და დროული შესრულება ყველა შესაბამის ადგილზე, ე. ი. დროისა და ადგილის ყველა პირობაში; ამისათვის ფართოდ უნდა გავშალოთ სოცშეჯიბრი და დამკვერელობა, საერთოდ, შრომის სოციალისტური ფორმები.

6. ლაგებვის მათოდინისა და ვანდინის გეგმები დაზუსტება

საწარმოო პროგრამით გათვალისწინებული სახელმწიფო ყველა დავალება გეგმაში დადგენილი უნდა იქნეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეო-

¹ ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 377.

ბებისა და მტს-ებისათვის, რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის ცალკ-ცალკე. ამ დავალებების ჩამოყალიბება საწარმოო გეგმაში მით უფრო სრული და დაწვრილებითი უნდა იყოს, რაც უფრო მცირერიცხოვან კულტურაზე, დარგსა თუ ღონისძიებებზე (თითოეულ მათგანზეც კი), რაც უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულზე, ანდა რაც უფრო მოკლე დროზე დადგენილი სახელმწიფო საგეგმო დავალებანი. მეცნიერული მუშაობის მეთოდოლოგია (და საბჭოთა გეგმები ყოველთვის უნდა აიგოს მეცნიერულ საფუძვლებზე) მოითხოვს, რომ ადგილისა და დროის განსაზღვრულობასა და კონკრეტულობას თან ახლდეს საწარმოო მაჩვენებელთა ვრცელი სისტემის დრმა და ყოველმხრივი დამუშავება. იგი უნდა შედგეს არსებული ბუნებრივი და ეკონომიური პირობების ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე.

საკითხების დამუშავება უნდა განხორციელდეს თანდათანობითი მიახლოების წესით. აქ გამოყენებული უნდა იქნეს ყველაზე უფრო მარჯვედ შერჩეული წესებისა და ხერხების კრებადობა; ეს კრებადობა წარმოადგენს ყოველი სამეცნიერო დისციპლინის, ყოველგვარი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ზოგად ან კერძო მეთოდისას. რა სპეციფიკითაც უნდა ხასიათდებოდეს ჩვენი საქმიანობის მეთოდისა, რომელ სფეროშიც კი გნებავთ. ყველგან და ყოველთვის სავალდებულოა მთელი მუშაობის აგება ერთადერთი სწორი მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე. მხოლოდ ამ პოზიციებიდან შეიძლება სწორად გავერკვეთ ვითარებაში, ამოცანებში, ღონისძიებებში და დავსახოთ ყველაზე ეფექტური მუშაობის გზები.

დაგეგმვა საერთოდ, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, მუდამ იყო უფრო რთული და ძნელი ანალოგიურ მუშაობაზე ყველა სხვა დარგში. სხვადასხვა კლასობრივი მდგომარეობისა და შიკერძობეულობისაგან წარმოშობილ აზრთა პრინციპული სხვაობა დაპირისპირებულ დაუსრულებელ პაექობასა და საქმის დამუხრუჭებას იწვევდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის პირველივე დღეებიდან.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე აგრარული თეორიის პოზიციებიდან აგრარიკოს-მარქსისტები იმთავითვე ეწეოდნენ ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში შემორჩენილი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მეცნიერების, კლასობრივი მტრის ამ აგენტურის ცრუთეორიულ მოძღვრებათა წინააღმდეგ, კონდრატიევისა და ოგანოვსკის, გრომანისა და ბახაროვის, ჩიანოვისა და ჩელინცევის, ტოდოროვიჩისა და ვოლფის, ლიტოშენკოსა და სტუდენსკის და სხვა მრავალ ამგვართა წინააღმდეგ. ამ ჯგუფის თეორიული და პრაქტიკული გაცამტვერება და ჩვენი შეიარაღება მარქსისტული აგრარული თეორიის ყველაზე ქმედითი მოძღვრებით ეკუთვნის დიდ სტალინს, რომელმაც თავის გამოსვლაში აგრარიკოს-მარქსისტთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე გაანადგურა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ცრუსწავლებანი და მოუწოდა აგრარიკოს-მარქსისტებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების

შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისაკენ, კერძოდ რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის ყოველმხრივი შესწავლისაკენ¹.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორია და პრაქტიკა ჩვენში მთლიანად შეესაბამება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს: „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“.

ამ კანონის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ზუსტად განისაზღვრება ჩვენი აწინდელი საქმიანობის მიზანდასახულობა. ამ მიზანდასახულობის შესაბამისად ჩამოყალიბდება სათანადო ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც უწყველად უზრუნველყოფს მის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. გეგმების შედგენია ეს მეოთხედი თელოლოგიის, სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის ღონისძიებათა უთუოდ განხორციელების პრინციპზე აგებული, სახელმწიფო დაკვეთის მეოთხედი. იგი დიამეტრალურად საწინააღმდეგოა ე. წ. ისტორიულ-ევოლუციური ან გენეტიური მეთოდისა; მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ აწმყოსა და წარსული განვითარების ხასიათის მიხედვით დაიხსნოს აწინდელი წინსვლის მოცულობა და ტემპი.

საერთოდ წარსულის შესწავლის გათვალისწინებას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს—არც მეტი, არც ნაკლები; წარსულს ვსწავლობთ აწმყოში გასარკვევად და მის ასახსნელად, ძველი შეცდომების აღსაკვეთად, მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად. აწმყოს გათვალისწინება კი გვესაჭიროება იმდენად, რაინდენადაც გეგმების შედგენისათვის აუცილებელია საბაზისო მაჩვენებლები, დონე, საიდანაც იწყება აწინდელი განვითარება. როგორიც უნდა იყოს ეს დონე, ჩვენ მაინც ვმსჯელობთ იმაზე, თუ რას მოითხოვს ჩვენი აწინდელი განვითარების ამოცანები; ჩვენ დიად მიზნებს ვისახავთ და მათ განსახორციელებელ უტყუარ გზებს ვეძებთ, სათანადო ღონისძიებებს ვამუშავებთ. ამასია ჩვენი მეთოდოლოგიის პრინციპული სხვაობა.

ისტორიულ-ევოლუციური მეთოდი კი ეწყარება კონსერვატულ, კიდევ მეტი, რეაქციულ ფილოსოფიურ დებულებას: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ (ლაიბნიცი). მაშ ამ დებულების მიხედვით, რაც წინათ არ ყოფილა ან რაც ახლა არა გვაქვს, ის არასოდეს გვექნება. რადგან მას მშობელი არა უყავს! სად იყო წინათ ელექტრონი, რადიო, ატომი? ვინ ან რამ შობა ისინი? სად იყო საქართველოში ტუნგო და რამი, ჩაი და ციტრუსი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის ავტოქარხანა? ან როგორი იყო არსებული კულტურების და სამეურნეო დარგების საბჭოთაამდელი განვითარების ტემპი? ნუთუ ძველებური „ქუს ნაბიჯითა“ და „მამაპაპური“ ტაატით უნდა გვევლო? მაშ, როგორღა გადაწყდებოდა ჩვენს ქვეყა-

¹ ი. სტალინი, აგრარული პოლიტიკის საკითხისათვის სსრ კავშირში, „ლენინის მიხედვით“, მე-11 გამოც., 1951 წ., გვ. 358—381.

² ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, 1952, გვ. 44.

ნაში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები—ვინ ვის? ან: დავეწიოთ და გავუწიროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიური მხრითაც უახლოესი 10—15 წლის განმავლობაში?!

რალა თქმა უნდა, ისტორიულ-ეგოლოგიური, გენეტიური მეთოდი ჩვენს პირობებში იმთავითვე სრულიად მიუღებელი იყო.

ასეთი „მეთოდი“ აღრიდანვე გადაჭრით იქნა დაგმობილი და საბჭოთა გეგმები აიგებოდა და აიგება თელოლოგიის საფუძველზე, მიზანდასახულების მეთოდით, სახელმწიფო დაკვეთისა და მის უთუოდ განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა დასახვისა და გატარების საფუძველზე. ეს არის დაგეგმვის საბჭოთა ერთადერთი სწორი და მეცნიერული მეთოდოლოგია.

დაგეგმვის მრავალი ანალიზური და სინთეზური, სპეციალური და კომპლექსური ამოცანის გადაჭრისათვის გამოიმუშავებულია მოსახრებათა და დებულებათა ჩამოყალიბების, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტის ხერხებისა და წესების ესა თუ ის კრებადობა. ამათგან ზოგი ცალკე-ცალკე, ზოგი ერთდროულად და პარალელურად უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ კონკრეტული გეგმური ამოცანის გადასაჭრელად. ასეთ კრებადობათა გამომუშავება კერძო მეთოდის სფეროა. ჩვენმა საგეგმო მუშაობის უმდიდრესმა პრაქტიკამ უკვე ჩამოაყალიბა სხვადასხვა გეგმების შედგენის დროს საჭირო ხერხებისა და წესების სხვადასხვა კრებადობა: სახელდობრ, როგორც ძირითადი მეთოდები—საბალანსო მეთოდი და ვარიანტთა მეთოდი, ხოლო როგორც დამხმარე მეთოდები—ტექნიკურ-ეკონომიურ განხარშვებათა მეთოდი, შედარებითი მეთოდი და სხვ.

არც ერთი მათგანი, ცალკე აღებული, არ კმარა ამა თუ იმ სახის გეგმის უხესტად შედგენისათვის; მეტ-ნაკლები ზომით თითოეული ან უმეტესი მათგანი სწორად უნდა იქნეს გამოყენებული ერთდროულად კონკრეტული საგეგმო ამოცანის გადაჭრისათვის; ეს კი მოითხოვს სათანადო ცოდნას, გამოცდილებას, კვალიფიკაციას.

სახელმწიფო საწარმოო დავალებს მიღების შემდეგ განსაკუთრებით პასუხსაგებია გეგმის არგუმენტის (აგრობიოლოგიური საფუძველების) მკაფიოდ ჩამოყალიბება. აქ არის აუცილებელი შემოქმედებითი ნიჭისა და გონებამახვილური, მრავალ პირობათა ამსახველი საღი კომბინირების უნარი მარჯვე გამოყენება; ეს არის გეგმის არგუმენტაცია.

აქედან გამომდინარე, მისი ფუნქცია არის გეგმის ორი, აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი, საფუძველი: საინჟინერო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიური; ამ უკანასკნელთა გაშლის მასშტაბი და მოცულობა უშუალოდ დამოკიდებულია აგრობიოლოგიურ საფუძველზე. მათი სრული შესატყვისობის, გეგმაზომიერების (პროპორციულობის) მიღწევისათვის ბეჯითი, მოთმინებითი და ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. ერთბაშობა და იერიშობანა აქ არ გამოდგება. ერთადერთი სწორი გზაა თანდათანობით მიხლოების წესით მუშაობა. ამავე დროს გეგმების შედგენის მეთოდის საკითხები მუდამ უნდა

ზუსტდებოდეს და უმჯობესდებოდეს. საკითხების ეს ჯგუფი სპეციალური განხილვის ღირსია.

7. სოფლის მეურნეობის დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის საქართველოში

დაგეგმვის დარგში ზემოჩამოთვლილი სახელმძღვანელო დებულებები ყოველთვის როდი სრულდება პრაქტიკაში. დეფექტები საერთოდ ბევრი გვაქვს ამ მხრით მთელს საბჭოთა კავშირში. კერძოდ, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დარგში სხვაზე ნაკლები შეცდომები არც ჩვენ გვაქვს საქართველოში.

დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაში არსებული დეფექტებით თუ არა, სხვით რით უნდა აიხსნას, მაგალითად, შემდეგი გარემოება:

ა) მიუხედავად დიდი შესაძლებლობისა რესპუბლიკაში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება სრულიად არ იყო საქმარისი და ამიტომ წლიდან წლამდე მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოიზიდებოდა მეზობელი რესპუბლიკებიდანა და ოლქებიდან. კარტოფილი და ბოსტნეული საქმაო ოდენობის ფართობზე არ ითესებოდა და მოსავალიც მცირე მოდიოდა (საქართველოს კვ. ც. კ. ოქტომბრის პლენუმზე დასახელებული მასალების მიხედვით): 1951 წ. გეგმით—125 ცენტერი, ფაქტიურად—58,8; 1952 წ. გეგმით—120 ცენტ., ფაქტიურად—22,6). ეს ერთი მაგალითია მრავალი და დიდი საწარმოო შესაძლებლობის არასაგმარისი გამოყენებისა.

ბ) 1950 წლის ოქტომბერში საქართველოს კვ. ც. კ. მაშინდელმა ხელმძღვანელობამ 1957 წლისათვის დასაბა პირუტყვის სულადობის ზრდის დარგში შემდეგი დავალებანი: ღორი ერთ მილიონ სულამდე, ცხვარი და თხა—2.250 ათასი, ფრინველი—10 მილიონი ფრთა. მართო ის რომ ვიეარაუდოთ, რომ მსხვილი რქიანი პირუტყვი შენარჩუნებული იქნება, ხოლო ცხენის სულადობა თითქმის განახევრდება იმასთან შედარებით, რაც გვექონდა 1940 წელს, მაშინაც კი უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი დაგეგმვა იყო არსებულ რეალურ საწარმოო შესაძლებლობათა უფულებელყოფის მკაფიო მაგალითი.

მართლაც, ცნობილია, ერთმა დედადორმა რომ წელიწადში თუნდაც 10—13 სანასუქო ბურვაკი მოგეცეს, აწისათვის საჭიროა სავარაუდოდ 1—1,5 ჰექტარზე ორგანიზებული იყოს ხელოვნური საკვებთმომოება; რომ 1 ჰექტარ სრულფასოვან ბუნებრივ საკვებ მოედანზე (სათიბ-საძოვარ-საბალახოზე) შეიძლება გაძოვდეს სეზონში 4 სული ცხვარი და თხა (საქართველოში კი ის 2 სულსაც ძლივს ყოფნის); რომ ერთ სულ სტრუქტურულ ფურზე (საერთოდ მსხვილ რქიან პირუტყვზე) საჭიროა, კონცენტრიული საკვების გარდა, საშუალო 0,5—1 ჰექტარი მინდვრის უაღრესად ინტენსიური საკვებთმომოება. თუ იმავე ნორმას საორიენტაციოდ ავიღებთ ცხენისათვისაც, მაშინ დაახლოებით მივიღებთ საკვებთმომოებაში საჭირო ფართობს (ათასი ჰექტარობით): მსხვილი რქიანი პირუტყვისა და ცხენისათვის—850—1700, ცხვრისა და თხისათვის—550—1100, ღორისათვის—100—150 და ფრინველისათვის—150, სულ კი 1500—3100 ათას ჰექტარ მიწას ხელოვნურისა და ბუნებრივი საკვებთმომოებისათვის.

ჩვენ კი მთელს რესპუბლიკაში გვაქვს მხოლოდ ერთ მილიონამდე სა-

ნავი (სასურსათო, საფურაჟე და ტექნიკური გადამუშავების დანიშნულების მარცვლეულის მოსაყვანად და საკვები და ტექნიკური კულტურებისათვისაც) და დაახლოებით ორნახევარი მილიონი ჰექტარი სათიბი, საძოვარი (ზამთრისა და ზაფხულისა) და საბალახოები. დეფიციტი ერთობ დიდია.

ამჟამად ამ დეფიციტს რამდენადმე ვავსებთ ცხვრის მნიშვნელოვანი რაოდენობის გადადენით აზერბაიჯნის, ჩრდილო კავკასიისა და კასპიასპირეთის საძოვრებზე. მაგრამ ყოველწლიურად ეს უფრო და უფრო ძნელი ხდება. ვოლგა-დონის, სტალინგრადის, მინგეჩაურისა და სხვა გრანდიოზული ჰიდროკვანძების ზონებში დიდი ფართობის მორწყვა და წყლით უზრუნველყოფა, და მათი გამოყენება ინტენსიური მიწათმოქმედების (ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების), აგრეთვე უპირატესად სტაციონარული მეცხოველეობისათვის (ნახმატყლიანი მეცხვარეობისათვისაც), შექველად წარმოშობს იქ მომთაბარე პირუტყვის გადადენის შემცირებას და, მაშასადამე, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ბაგურ ან ბაგურ-საბანაკო კვებაზე გადაყვანის აუცილებლობას. ეს კი გამოიწვევს სხვა მხარეებიდან, მათ შორის საქართველოდანაც, მომთაბარე პირუტყვის აქ მოდენის სისტემატურ შემცირებას.

ამით საქართველოს მეცხოველეობა აღმოჩნდება კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში, ვიდრე ის დღეს არის; ხოლო დღევანდელი მდგომარეობა კი ისეთია, რომ, საკვების სიმცირისა გამო, განსაკუთრებით ზამთარში, ხშირად პირდაპირ დამშევის, ბინებით ნაკლებ უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისადმი ზოგჯერ უდიერადა და უდარდელად მოპყრობის შედეგად, ჩვენში დიდია სიკვდილიანობისა და ბერწიანობის პროცენტი, დაბალია ნასუქობა, სრულიად მცირეა წველადობა, კანძის წონა, კვერცხისმდებლობა. მიმდინარე 1954 წლის არაჩვეულებრივად მკაცრმა და სუსხიანმა ზამთარმა დიდად დააზარალა ჩვენი მეცხოველეობა მთლიანად, განსაკუთრებით კი—მეცხვარეობა.

ჩვენ გვესაჭიროება როგორც გეგმური, ისე საწარმოო საგანგებო ღონისძიებები, რათა მთლიანად შევასრულოთ საბჭოთა კავშირის კპ ც. კ. სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების, აგრეთვე საქართველოს კპ XVI ყრილობის, საქართველოს კპ ც. კ. ოქტომბრისა და მარტის პლენუმებისა და პარტიისა და მთავრობის მიერ ამ დარგში მიღებული ყველა დადგენილებით დასახული დიდი ამოცანები, განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგში, რომელიც იყო და ჯერ კიდევ რჩება ყველაზე უფრო ვიწრო უბნად მთელს სოფლის მეურნეობაში.

დაგეგმვის არსებულ ნაკლოვანებათა ზოგიერთი ილუსტრაცია შეიძლება მრავალი რაიონისა და კოლმეურნეობის მაგალითზე.

გარეუბნის რაიონში 1950 წლისათვის ხუთი ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწა ირიცხებოდა და აქ, თბილისის კარიბჭეებთან, ნოლა მიწებზე სისტემატურად იგეგმებოდა ბოსტნეულისა და ბაღჩის კულტურები, დაახლოებით ერთი ათას ჰექტარზე. ამაზე ბევრად მეტი არც ბაღ-ვენახებს უქირავს. აქ კი საჭიროა სარწყავი მიწების უდიდესი ნაწილი გამოვიყენოთ ბოსტნის, ბაღისა და ვენახისათვის, შევქმნათ ინტენსიური საკვებთმოპოება მეცხოველეობისა-

თვის, პირველ რიგში სარძეო მეურნეობისათვის, რათა მივაწოდოთ თბილისის მოსახლეობას ქორთვა ბოსტნეული, ნუგბარი ხილი და ყურძენი, მოუხდელი რძე და რძემჟავა პროდუქტები.

თბილისის გარეუბნის რაიონის ყველა კოლმეურნეობამ უნდა მიზამოს ამავე რაიონის მახარაძის სახელობის, დიდმის ლენინის სახელობისა და სხვა მოწინავე კოლმეურნეობებს და უახლოეს 2-3 წელიწადში მკვეთრად გაადიდოს ბოსტნეულის, რძისა და სხვა მალფუჭადი, მცირეტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოება ქალაქისათვის.

ნათქვამიდან ჩანს, რომ არასწორი დაგეგმვის შედეგად ადგილი აქვს ზოგ შემთხვევაში მდიდარ საწარმოო შესაძლებლობათა არასაკმაოდ გამოყენებას, ხოლო ზოგჯერ კი ისახება ხოლმე აშკარად ვაზვიადებული და არა რეალური დავალებები. ამიტომ არის, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე არ სრულდებოდა პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები, მეტად დაბალი იყო მათი პროდუქტიულობა; მაგალითად, 1952 წელს, 1951 წელთან შედარებით, საქართველოს კოლმეურნეობებში წველადობა ერთ ფურზე შემცირდა 98 ლიტრით და საშუალოდ შეადგინა 418, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა; კვერცხისმდებლობა 16—20 ცალი, ნაცვლად 80 ცალისა და ა. შ.¹

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის გეგმის შესახებ მითითებულია, რომ: „საწარმოთათვის დადგენილი სახელმწიფო გეგმები უნდა ახდენდნენ მუშებისა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის ორგანიზებას და მათ მობილიზებას გეგმისათვის ბრძოლაში, წინსვლისათვის სიძნელეთა გადალახვისა და სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობის უზრუნველყოფის გზაზე.“

აუცილებელია გადაჭრით გამოვამჯლავნოთ და აღკვეთოთ პრაქტიკა, როცა დაიდგინება შემცირებული გეგმები, რომლებიც არავის არ ამობილიზებს და აიძულებს ადამიანებს მიჩანჩალებდნენ „ვიწრო“ ადგილებისა და წარმოებაში მიღებული ნორმების კუდში“.

ეს გარემოება სწორედ ისეთ შემთხვევებზე მიგვითითებს, როცა წარმოების შესაძლებლობათა მთლიანი შესწავლისათვის, ფარული რეზერვების გამოვლინებისა და ბოლომდე გამოყენებისათვის ბრძოლას არ ეწევიან.

უკურო ცუდი ის არის, რომ იშვიათი არ იყო ჩვენს საგეგმო მუშაობაში ზემოთ დასახელებულის საწინააღმდეგო დეფექტებიც. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ცალკე შემთხვევებში დაიდგენდნენ აშკარად შეღავათიან დავალებებს, შემდეგ მათ 100, 200 და მეტი პროცენტის „გადაჭარბებით ასრულებდნენ“ და ჯილდოებსაც იღებდნენ. ეს საზოგადოებრივი ქონების განიავება, დაუმსახურებელი მატერიალური და მორალური, ჯილდოების გამოძალვა და გამოტყუება სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებისაგან.

გეგმის გადაჭარბებით შესრულება კარგი საქმეა და ჩვენ ამისაკენ უნდა მივიწრაფოდეთ, მაგრამ, თუ მასობრივ შემთხვევასა და სისტემატურად წლე-

¹ იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1953 წ. 1 და 6 ნოემბრისა და 1954 წ. 18 თებერვლისა.

შის ნაწილზე გეგმები სრულდება ორჯერ-სამჯერ და მეტჯერ გადაჭარბებით, მაშინ დასაქვებელია აქაური გეგმების კეთილხარისხოვნება, ისევე როგორც დეფექტური იქნება გეგმები, როცა მათ ასევე მასობრივად ვერ ასრულებენ.

სამწუხაროდ, უფრო ხშირია ეს უკანასკნელი შემთხვევა, და ეს გარემოება იმით უნდა ავხსნათ, რომ ჩვენში, ჩვეულებრივ, დავალებებს კი განსაზღვრავდნენ, მაგრამ მათი შესრულებისათვის სათანადო ღონისძიებათა კომპლექსს, და ისიც დიფერენციულად სხვადასხვა ბუნებრივი საწარმოო პირობებისათვის, არც სახავდნენ და არც ახორციელებდნენ. ამის გამო ხშირად სათანადოდ ვერ ვიყენებდით იმ უდიდეს შესაძლებლობებს, რაც გააჩნია მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას. ამიტომ ჩვენი გეგმები ზოგჯერ, ნაწილობრივ მაინც, ქალაქზე რჩებოდა და ცხოვრებაში მთლიანად არ ხორციელდებოდა. მეტწილად ეს არის იმის ერთ ერთი მიზეზი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ბლონადაა თავმინებებული და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და რაიონები.

* * *

დაგეგმვის რადიკალურად გაუმჯობესების ამოცანათა ღირსეულად შესრულებისათვის საჭირო ყველა პირობა ჩვენ მოგვეპოვება მთელს სსრ კავშირსა და საქართველოში ჩვენ არა გვაქვს დიდი ნაკლებობა სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების, კულტურებისა და ღონისძიებათა მდგომარეობის ამსახველი სპეციალური გამოკვლევების მასალებისა (მიწის ბალანსების, საკვები მოედნების ინვენტარიზაციის, ნიადაგებისა და ჰავის შესწავლის, მეურნეობის სხვადასხვამხრივი გამოკვლევისა და სხვ.). მაგრამ ჯერ კიდევ მინიმალური რაოდენობით მოგვეპოვება სინთეზური გამოკვლევების ისეთი მასალები, რომლებიც გამიზნული იყოს სოფლის მეურნეობის დაგეგმვისა და სპეციალიზაციის კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტისათვის. ძალზე იშვიათად ვიყენებთ დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის მეთოდს.

კიდევ მეტი ზომით ეხება ეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და მის სისტემაში შემავალი ინსტიტუტებისა თუ სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების მუშაობას; იგივე ითქმის რესპუბლიკური საგეგმო და ოპერატიული ორგანოების მუშაობის შესახებ ამ დარგში, რომელთაც პირველ რიგში უნდა მოაწყონ ამ საკითხების პრაქტიკული დაამუშავება.

ამჟამად სოფლის მეურნეობის დაგეგმვის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთი მთავარი მიზეზთაგანია არსებული სამეცნიერო-კვლევითი, სააღრიცხვო-სტატისტიკური და საანგარიშგებო მასალების, აგრეთვე ჩვენი მდიდარი საწარმოო გამოცდილების შესწავლის მასალების ფრიალ მცირე ზომითა და სუსტად გამოყენება.

ასე, მაგალითად, სრულიად არასაკმარისად შეისწავლებოდა და გამოიყენებოდა დღემდე დაგეგმვის პრაქტიკაში:

ა) ცნობები—სავარგული მიწებისა და მიწათმოსარგებლეთა ერთდროული აღრიცხვისა, რომელიც 1933 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად გროვდება სოფლის მეურნეობის სამინისტროში; აგრეთვე სათიბ-საძოვარ-სა-

ბალახოთა ინვენტარიზაციის მასალები. ამ მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს სავარგულების ტრანსფორმაციისა და დინამიკის სურათს, ყამირი, ნასვენნი და სხვა ახალი მიწების ათვისების ფაქტიურ მიმდინარეობასა და მომავალ შესაძლებლობას.

ამ ცნობების კრიტიკული გამოყენება შესაძლებელს გახდის გავარკვიოთ მიწის რესურსები და ნათესებისა და ნარგავების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა. ეს აამაღლებს ჩვენი მიწათმომწყობლების პასუხისმგებლობას მათი მონაცემების ხარისხისათვის, რაც ამჟამად მაინცდამაინც მაღალი არაა;

ბ) მონაცემები — რესპუბლიკებისა და მხარეების, ოლქებისა და რაიონების, ცალკეული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების) სხვადასხვაგვარი წლიური ანგარიშებისა. ისინი შეიცავენ ძვირფას მასალას ჩვენს მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე, მათი წარმოშობის მიზეზებსა და პირობებზე. ამ მასალების გულმოდგინე ანალიზი გავვიადვილებს დავსახოთ მიღწევების გადიდებისა და დაჩქარების, ხოლო ჩამორჩენილობისა და ნაკლოვანებების თავიდან აცილების გზები და ღონისძიებანი;

გ) მასალები — სტატისტიკურ-ეკონომიური ორგანოების სისტემატიური და ეპიზოდური დაკვირვებებისა, რაც ასახავს მასობრივ-სამეურნეო მოვლენების მიმდინარეობას მთელ რაიონში, ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში და გვიჩვენებს, თუ რამდენად შეეფერება ან შორდება ეს მსვლელობა ჩვენს საწარმოო ამოცანებს;

დ) მაჩვენებლები — მოსავლიანობის სახელმწიფო კომისიისა, დაკრედიტების, საგადასახადო, დამამზადებელი, საკონტრაქტაციო, სახელმწიფო შესყიდვის, საკოლმეურნეო ვაჭრობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვა სათანადო ორგანოების მუშაობის დახასიათებისათვის;

ე) ფონდები — სახელმწიფო არქივების, სამეცნიერო ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, წიგნთსაცავ-სამკითხველოების, ცალკეული ექსპედიციებისა და აგრეთვე მონოგრაფიები, შრომები, კრებულები როგორც დაწესებულებათა, ისე ცალკე მეცნიერებისა.

ყველა ეს და ბევრი სხვა მასალა ჯერჯერობით ძალზე სუსტად შეისწავლება და გამოიყენება დავეგმვის დარგში.

ცალკეულ მუშაკთა დაუნტერესებლობასა და ინერტულობასთან ერთად ამ საქმეში მცირე უარყოფით როლს როდი თამაშობს დასახელებული მასალების გამოყენების არსებული წესი. მათი გაცნობა-გამოყენების დიდი სიძნელე და ზოგჯერ სრულიად მიუწვდომლობა. მრავალგზისი და ხშირ შემთხვევაში ფუჭი ცდების შემდეგ ბევრ მუშაკს სურვილს უხშობს ხელი მოჰკიდოს ამ სასარგებლო საქმეს.

ის მუშაკები კი, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებენ მასალების დაგროვებაში, იშვიათად აწარმოებენ მათ გაღრმავებულ დამუშავებასა და ანალიზს; კიდევ უფრო ნაკლებად ეწევიან მათ პუბლიკაციას. ამის შედეგად საწყობ-საცავებში თაროებზე გროვდება და იმტვერება ბლანკების, ფორმულარების, დაკვირვებათა ფურცლების უზარმაზარი შეკვრა-დასტები, რომელთა

სადღესოდ უძვირფასესი შინაარსი მალე გადადის მოგონებათა სფეროში და ინარჩუნებს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ისტორიულ ინტერესს.

მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის გადაუდებლად საჭიროა ამ საქმის, ე. ი. არსებული მასალების ფართოდ და ღრმად გამოყენების საქმის მოწესრიგება.

პარტიისა და მთავრობის უახლოესმა დადგენილებებმა ახალი ენთუზიაზმი გამოიწვიეს და აამოძრავეს მთელი ჩვენი ძალები, განაპირობეს მეცნიერული ძიებისა და საზოგადოებრივი აზრის გაცხოველება. პრესაში სულ მეტი და მეტი რაოდენობით ქვეყნდება სტატიები, მთელი გამოკვლევები, რომლებშიც წარმოდგენილია სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმდიდრესი გამოცდილების შემოქმედებითი გააზრების ცდები; მრავალთა შორის დასასახელებელია: И. Лаптев, Решения сентябрьского пленума ЦК КПСС и задачи экономической науки в сельском хозяйстве: Жур. „Вопросы экономики“, № 2, 1954, стр. 3; იმავე სათაურით მისივე სხვა წერილი ჟურნალში „Социалистическое сельское хозяйство“, № 2, 1954, стр. 31; М. Афанасьев, К вопросу о приемах экономического анализа колхозного производства в районе: Жур. „Социалистическое сельское хозяйство“ № 12, 1953 წ. და სხვ.

სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ (გვ. 77):

„საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნისმის გზით. კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური ინდუსტრიის, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალის, მძლავრი ზრდის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის პრაქტიკული გადაჭრა. თანამედროვე პირობებში ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დაისახა როგორც სასიცოცხლო საყოველთაო სახალხო ამოცანა“ (გვ. 77).

ამ ამოცანების უკეთ გადაწყვეტისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და ეკონომიკის ყველა საკითხის ღრმად შესწავლა წარმოების კონკრეტულ მაგალითებზე. საკითხების ამ ციკლიდან უმნიშვნელოვანესია სოფლის მეურნეობის დაგეგმვის მკვეთრად გაუმჯობესების ამოცანა, რომლის გადაჭრის პირველი ეტაპია სახელმწიფო საწარმოო დავალებათა და მათ შესასრულებელ ღონისძიებათა ზუსტად შემუშავება. რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებსა და რაიონებს შორის ამ დასახულობათა გაადგილებისა და ხუთწლიელებისა თუ ცალკეულ წლებს შორის მათი განაწილების შემდეგ, ისმება საკითხი შიგარაიონულისა და შიგადაწარმოო დაგეგმვის შესახებ, ე. ი. რაიონის, კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის დაგეგმვის ამოცანა. ამ მხრით განსაკუთრებით საინტერესოა მეთოდოლოგიისა და მეთოდის, პროგრამისა და სქემების დამუშავებისა და მუშაობის ორგანიზაციის საკითხების გაშუქება, მაგრამ ეს ცალკე განხილვის საგანია.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

ი. გუგუნიძე

ხალხის სოსიალიზმის დროს

1. ხალხის და შრომის მიხალვით განანილვა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავის ქვეყანაში მოსპო კაპიტალიზმი, ააშენა სოციალიზმი და წარმატებით აშენებს კომუნისმს.

სსრ კავშირში წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებამ მშრომელთა მდგომარეობის ძირეული გადატრიალება მოახდინა. ისტორიაში მოხდა უდიდესი მოვლენა: სხვებისათვის შრომა, ექსპლოატატორებისათვის მონური მუშაობა შეიცვალა თავისი თავისათვის, თავისი საზოგადოებისათვის მუშაობით, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვარი¹.

სოციალიზმმა ძირფესვიანად შეცვალა როგორც შრომის ხასიათი, ისე მშრომელთა დამოკიდებულება მისდამი. მან საბჭოთა ადამიანებს ფართო გზა გაუხსნა აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ამიტომ შრომა საბჭოთა კავშირში გადაიქცა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ. ამის საფუძველზე ჩვენში გაიზარდა და განმტკიცდა ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი. შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულება თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის საწარმოო აქტივობის ზრდაში, სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ გაშლაში, რომელიც საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა.

სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის შესაბამისად საბჭოთა კავშირში შრომის ანაზღაურება ორი ფორმით ხორციელდება: ხელფასისა (სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებაში) და შემოსავლის განაწილებით შრომა დღეების საფუძველზე (კოლმეურნეობებში).

სოციალისტურ საზოგადოებაში მუშები და მოსამსახურეები თავიანთი დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად სახელმწიფოსაგან იღებენ ხელფასს.

სსრ კავშირში არსებული ხელფასი ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული ხელფასისაგან.

¹ გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, თბ., 1952 წ., გვ. 472-473.

კაპიტალიზმის დროს სამუშაო ძალა საქონელია. იგი იყიდება ბაზარზე. ხელფასი წარმოადგენს ამ სამუშაო ძალის ღირებულების (ფასის) გარდაქმნილ ფორმას. სამუშაო ძალის მოხმარება კაპიტალისტური წარმოების პროცესში ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც ექსპლოატატორთა კლასი ითვისებს. ამიტომ სამუშაო ძალის ღირებულების (ფასის) გარდაქმნა ხელფასად ნიღაბს აფარებს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, ჩრდილავს მუშის შრომის გაყოფას აუცილებელსა და ზედმეტ შრომად და საქმეს ისე წარმოგვიდგენს, რომ თითქოს ანაზღაურებული იყოს დაქირავებული მუშის შრომა მთლიანად.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში. დაქირავებული შრომის სისტემის მოსპობასთან დაკავშირებით აქ სამუშაო ძალა არ წარმოადგენს საქონელს. ხელფასი აღარ არის სამუშაო ძალის ღირებულების (ფასის) გარდაქმნილი ფორმა.

საბჭოთა კავშირში ხელფასის საფუძველია სოციალიზმის ეკონომიური კანონი — შრომის მიხედვით განაწილება. სოციალიზმის დროს საზოგადოების თითოეული წევრი მუშაობს თავისი უნარის მიხედვით და მოხმარების საგნებს იღებს „...არა თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად, არამედ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ამიტომ ჯერ კიდევ არსებობს ხელფასი, ამასთან არათანასწორი, დიფერენცირებული“¹.

სოციალისტურ საზოგადოებაში ხელფასი წარმოადგენს მუშათა და მოსამსახურეთა წილის ფულად გამოხატულებას ნაციონალურ შემოსავალში; იგი ნაციონალური შემოსავლის ის ნაწილია, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფოსაგან იღებენ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად თავიანთ ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბჭოთა კავშირში ხელფასის ოდენობას სოციალისტური სახელმწიფო აწესებს. ხელფასის დაწესებისას იგი მხედველობაში იღებს განსხვავებას კვალიფიციურსა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმესა და მსუბუქ შრომას შორის. ასე, მაგალითად, ის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც მუშაობა უხდებათ მიწისქვეშა სამუშაოებზე ან კიდევ სხვადასხვა მძიმე სამუშაოებზე, უფრო მაღალ ხელფასს იღებენ, ვიდრე შრომის ჩვეულებრივ პირობებში მომუშავენი.

შემდეგ, სოციალისტური სახელმწიფო, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან, მაღალ ხელფასს აწესებს როგორც სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში (მაგ., მეტალურგიასა და მანქანათმშენებლობაში, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობაში), ისე ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რაიონებში. ასე, მაგალითად, საბჭოთა მთავრობამ, გაითვალისწინა რა ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული პირობები, 1946 წ. აგვისტოში მიიღო დადგენილება ამ რაიონების საწარმოებში მომუშავე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ხელფასის გადიდების შესახებ.

ხელფასი, გაცემული დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, მუშაკთა შორის იწვევს სტიმულს აამაღლოს თავისი კვალიფიკაცია,

¹ ი. ბ. სტალინი, საუბარი რთი ჰოვარდთან, თბ., 1936 წ., გვ. 21.

გაუმჯობესოს წარმოების ორგანიზაცია, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, რაც საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად, კომუნის გასამარჯვებლად.¹

სოციალიზმის დროს ხელფასის დონე განისაზღვრება, ერთი მხრით, ამ საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარების დონით, შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონით, ხოლო, მეორე მხრით, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამოღების ამოცანებით.

„საჭიროა იმის შეგნება, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ მუშების არსებობის პირობები ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, სურს ისე იცხოვროს, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება სურსათის მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრივაც, მას აქვს ამის უფლება და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველყოთ მისთვის ეს პირობები“².

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ამოღებას, ერთი მხრით, აუცილებელი თან ახლავს ხელფასის ზრდა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო, მეორე მხრით, თვით ხელფასის ზრდა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება იწვევს შრომის ნაყოფიერების ამოღებას.

საბჭოთა კავშირში შრომის ნაყოფიერების ზრდა, როგორც წესი, წინ უსწრებს ხელფასის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა როგორც სოციალისტურ დაგროვებასა და წარმოების გაფართოებას, ისე თვით ხელფასის ზრდას.

„შრომის ნაყოფიერების ზრდა, — ნათქვამია საქ. კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1924 წ. 19 აგვისტოს დადგენილებაში, — წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას. მხოლოდ ამ პირობით შეიქმნება მატერიალური ბაზა და დაგროვდება სახსრები ხელფასის ზრდის უზრუნველსაყოფადაც, წარმოების გასაფართოებლადაც, რაც მოითხოვს საბრუნავ სახსრების გადიდებას, გაცვეთილი და მოძველებული მოწყობილობის აღსადგენადაც, სულ უფრო და უფრო მზარდ კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც, მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვისაც და სახელმწიფოს მართვისა და თავდაცვისათვისაც“³.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი, უმჯობესდება მათი კეთილდღეობა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, თბ., 1952 წ., გვ. 499.

² ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, 1952 წ., გვ. 62.

³ საქ. კ პ (ბ) ც კლენუმის 1924 წ. 19 აგვისტოს დადგენილებიდან „ხელფასის პოლიტიკის შესახებ“ (იხ. КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций, пленумов ЦК, часть 1., Москва, 1954 г., стр 96).

2. ხელფასის ფორმები

ხელფასის ფორმები საბჭოთა კავშირში განისაზღვრება სოციალისტური წარმოების წესის ხასიათით, იგი განისაზღვრება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებით.

ამჟამად ჩვენში გამოყენებულია ხელფასის ორი ძირითადი ფორმა: სანარდო და დროითი. ხელფასის აღნიშნული ფორმები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ხელფასის დასარიცხი ობიექტებით. ასე, მაგალითად, სანარდო ანაზღაურების დროს ხელფასის დარიცხვის ობიექტს შეადგენს გამომუშავებული პროდუქცია ან კიდევ შესრულებული ოპერაციების განსაზღვრული რაოდენობა, ხოლო დროითი ხელფასისა — ნამუშევარი დრო (საათი, დღე, კვირა, თვე).

ხელფასის თითოეულ ამ ფორმას, თავის მხრით, რამდენიმე განსხვავებული სისტემა გააჩნია. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის ანაზღაურების მთავარ ფორმას, რომელიც მუშათა შრომის მატერიალური დაინტერესების უფრო მეტ სტიმულს იწვევს და ამასთანავე უკეთ ასახავს შრომის მიხედვით განაწილების განხორციელებას, სანარდო ანაზღაურება წარმოადგენს. სანარდო ხელფასი საბჭოთა კავშირის მრეწველობაში მუშათა შრომის ანაზღაურების გავრცელებული ფორმაა. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: ჯერ კიდევ 1939 წელს სანარდო ანაზღაურებაზე იმყოფებოდა მსხვილი მრეწველობის მუშათა 72,5%, ხოლო 1953 წელს სანარდო ანაზღაურებაზე გადაყვანილ იქნა მთელი მრეწველობის ყველა მუშის 77%.

სსრ კავშირში არსებული ხელფასის სანარდო ფორმა ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ სანარდო ანაზღაურების ფორმისაგან.

მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და სხვა — ფართოდ იყენებენ ტეილრის, ფორდის, ჰელსისა და სხვათა ხელფასის სანარდო ანაზღაურებას (ე. წ. ქანცის გამოცემის „მეცნიერულ“ სისტემებს), რომლითაც მაქსიმალურად ზრდიან შრომის ინტენსიობას. იმავე სამუშაო დროში, მეტისმეტად დაძაბული შრომის შედეგად, გასამკვეცებულად გამოსწოვენ მუშებს „ნერვებისა და კუნთების ენერჯის თითოეულ წვეთს“¹, ხოლო ხელფასს კი მათ იგივეს აძლევენ.

კაპიტალიზმის პირობებში სანარდო სისტემა მუშათა ექსპლოატაციის იარაღია. იგი მუშათა შრომის ინტენსიობის გაზრდისა და ხელფასის შემცირების საშუალებაა.

სსრ კავშირში კი, პირიქით, სანარდო ანაზღაურება საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდისა და მუშათა კლასის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

ჩვენში შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმა:

ა) კარგად ათავსებს საერთო-სახელმწიფოებრივსა და პირად ინტერესებს. ხელფასის ამ ფორმის დროს თითოეული მუშის ხელფასის სიდიდე პირდაპირ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18., თბ., 1952 წ., გვ. 720.

დამოკიდებულია მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე. შრომის ანაზღაურების ასეთი ფორმა იწვევს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რაც, თავის მხრით, უზრუნველყოფს ხელფასის განუწყვეტელ ზრდას.

ბ) შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმა წარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის შესაბამისად ითვალისწინებს ხელფასის სხვადასხვა სიდიდეს და ამით ჩამორჩენილ მუშებს შორის აღვივებს ინტერესს — ამაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია. ანაზღაურების აღნიშნული ფორმა ხელს უწყობს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელ ამაღლებას.

გ) სანარდო ანაზღაურების სწორი გატარება ხელს უწყობს წარმოების საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას, ზრდის მუშათა ინტერესს ტექნიკის გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მრეწველობაში შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმას შემდეგი ძირითადი სისტემები გააჩნია:

- ა) პირდაპირი-სანარდო (პირდაპირი),
- ბ) სანარდო-პროგრესული (პროგრესული),
- გ) სანარდო-პრემიალური (პრემიალური).

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე,

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმის აღნიშნული სისტემებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ხელფასის პირდაპირი და პროგრესული სანარდო სისტემები.

ხელფასის პირდაპირი სანარდო სისტემის დროს თითოეული მუშის მიერ გამომუშავებულ ნაწარმთა ერთეულის ანაზღაურება ერთიან სანარდო შეფასებათა მიხედვით ხდება. მაშასადამე, მთელ სამუშაო პერიოდში ნაწარმთა ერთეულების შეფასებანი უცვლელია, მიუხედავად იმისა, თუ როგორია გამომუშავების ნორმების შესრულება. მუშის ხელფასის სიდიდე ამ შემთხვევაში დამოკიდებულია დამზადებულ ნაწარმთა რაოდენობაზე. გამომუშავების ნორმის შესრულებისას მუშა ღებულობს დაწესებულ ხელფასს, ხოლო დაწესებული ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში მუშის ხელფასი იზრდება პირდაპირი პროპორციით. ამრიგად, ხელფასის პირდაპირი-სანარდო სისტემის დროს მუშის ხელფასი იანგარიშება სანარდო შეფასებათა გადამრავლებით მის მიერ დამზადებულ ნაწარმთა რაოდენობაზე.

მრეწველობის ზოგიერთ დარგში, რომელთა მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალიზმის სამშობლოს თავდაცვა-უნარიანობის განმტკიცებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია, შემოღებულია მატერიალური დაინტერესების უფრო მეტი სტიმულის მქონე შრომის ანაზღაურების ხელფასის სანარდო-პროგრესული სისტემა.

ხელფასის ამ სისტემის დროს წამყვანი პროფესიის მუშებს გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ხელფასი ეძლევათ პროგრესულად მზარდი შეფასებით. ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში დადგენილი ნორმების გადაჭარბებისათვის 1%-დან 10%-მდე სანარდო შეფასება დიდდება 30%-ით, 10%-დან 25%-მდე — 50%-ით, 25%-დან 40% მდე — 75%-ით, ხოლო 40%-დან და ზევით — 100%-ით.

აღნიშნული პროგრესული სკალის მიხედვით მუშის ხელფასი შემდეგნაირად იანგარიშება: დავუშვათ, რომ მუშამ ერთი თვის განმავლობაში ნაცვლად დადგენილი 100 ნაკეთობისა, რომელთა ერთეულის სანარდო შეფასება 6 მანეთია, დაამზადა 130 ნაკეთობა, ე. ი. ნორმას 30% -ით გადააჭარბა, მაშინ მუშა თავის მიერ დამზადებულ 130 ნაკეთობისათვის პირდაპირი სანარდო ანაზღაურებით მიიღებს 780 მან. (6×130). მაგრამ, გარდა აღნიშნულისა, 30 ნაკეთობისათვის სანარდო პროგრესული ანაზღაურებით მას დაერიცხება აგრეთვე პროგრესული დანამატი 75% -ის ოდენობით, რაც შეადგენს 135 მანეთს ($6 \times 30 \times 0,75$). მაშასადამე, მუშის საერთო ხელფასი იქნება 915 მანეთი ($780 + 135$).

ამრიგად, თუ პირდაპირი-სანარდო ანაზღაურების დროს მუშა 130 ნაკეთობაში მიიღებდა მხოლოდ 780 მანეთს, სანარდო პროგრესული ანაზღაურების დროს იგი მიიღებს 915 მანეთს, ე. ი. 135 მანეთით მეტს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ცნობილმა მქსოველმა ოთხ დახვოსანმა ეკატერინე ურთაშვილმა 1953 წელს, დეკემბრის შედეგების მიხედვით, ნორმით გათვალისწინებული 1077 მეტრი კრეპდემინის ნაცვლად 1272 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მოქსოვა და ძირითადი სანარდო გამომუშავებით მიიღო 1011 მანეთი და 44 კაპ. პროგრესულ-პრემიალური სკალის მიხედვით კი დაერიცხა პროგრესული დანამატი 505 მანეთი და 72 კაპ., სულ ანხ. ურთაშვილმა 1517 მანეთი და 16 კაპ., ხელფასი მიიღო.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის პროგრესულად მზარდი შეფასებანი მნიშვნელოვანი რაოდენობით ზრდის მუშის ხელფასს, აუმაღლებს მუშათა მატერიალურ კეთილდღეობას.

ხელფასის სანარდო-პროგრესული სისტემა მოითხოვს წარმოებისა და შრომის სწორ ორგანიზაციას. ასე, მაგალითად, როცა ამა თუ იმ საწარმოში აღდგლი აქვს ჩამორჩენას წინა ან მომდევნო სამუშაო უბნებზე, ან კიდევ არასწორად წარმოებს გამომუშავების ნორმებისა და შეფასებათა აღრიცხვა, მაშინ იგი ჰკარგავს თავის მაორგანიზებელ ძალას, იწვევს ხელფასის ხელოვნურ ზრდას, წარმოშობს გათანაბრებას.

მაშასადამე, ანაზღაურების ამ სისტემაზე გადასვლა მოითხოვს წინასწარ მომზადებას და ნორმების ტექნიკურ ეკონომიურ დასაბუთებას, რათა ხელფასზე გაწეული ხარჯები გამართლებულ იქნეს გამომუშავებული პროდუქციით. კარგად მოწყობილი შრომის ანაზღაურების სანარდო-პროგრესული სისტემა ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და იწვევს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმის ერთ-ერთი სახეა აგრეთვე ხელფასის სანარდო-პრემიალური სისტემა. ხელფასის ამ სისტემის დროს მუშებს პირდაპირი-სანარდო ანაზღაურების გარდა მუშაობის განსაკუთრებული მაჩვენებლებისათვის (პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, სათბობის, ელექტროენერჯისა და სხვათა დაზოგვა და ა. შ.) ეძლევათ პრემია, ე. წ. პრემიალური დანამატი.

ხელფასის აღნიშნული სისტემის სწორი გატარებით სარგებლობს როგორც მთლიანად სოციალისტური საზოგადოება (შრომის ნაყოფიერების ამალღებისა და პროდუქციის მატების სახით), ისე თვით ცალკე აღებული თითოეული მუშაკი (ხელფასის გადიდების სახით).

სანარდო ანაზღაურება სამუშაო ობიექტის მიხედვით გარდა ინდივიდუალურიცაა, შეიძლება იყოს აგრეთვე კოლექტიური (ჯგუფური) და ბრიგადული.

კოლექტიური და ბრიგადული სანარდო ანაზღაურების დროს სამუშაო ეძლევა არა თითოეულ მუშას, არამედ კოლექტივს, ბრიგადას, რის გამოც გამომუშავების ნორმები და სანარდო შეფასებანი წესდება არა ინდივიდუალური, არამედ ბრიგადული მუშაობისათვის. ყოველივე ამის შედეგად საზღაური ეძლევა არა თითოეულ მუშას ცალ-ცალკე, არამედ ბრიგადას, ხოლო შემდეგი ნაწილდება ბრიგადის წევრთა შორის; ამ შემთხვევაში მუშის ხელფასის სიდიდე განისაზღვრება ბრიგადის მიერ შესრულებული სამუშაოთი.

შრომის აღნიშნული სანარდო ანაზღაურება ინდივიდუალურ სანარდო ანაზღაურებასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ამალღების საქმეში ნაკლებ სტიმულირებას ქმნის; ამიტომ, რომ კოლექტივსა და ბრიგადაში შეიქმნას მეტი სტიმული შრომის ნაყოფიერების ამალღებისათვის, პრაქტიკაში ადგილი აქვს კარგ მუშაკთა მატერიალურ წახალისებას.

შრომის ანაზღაურების სანარდო ფორმის გარდა, საბჭოთა კავშირში შეიძლება აღმოჩნდეს აგრეთვე დროითი ფორმა, ე. ი. სამუშაო დროის (საათის, დღის, კვირის, თვის) მიხედვით შრომის ანაზღაურება.

შრომის ანაზღაურების დროითი ფორმის დროს მუშაკის ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია არა გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, მის ერთეულთა სანარდო შეფასებაზე, როგორც ეს ხდება სანარდო ანაზღაურების დროს, არამედ იგი დამოკიდებულია მუშაკის სამუშაო დროსა და მის კვალიფიკაციაზე.

შრომის ანაზღაურების დროითი ფორმა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა სამუშაოს ხასიათის გამო შეუძლებელია გამომუშავების ნორმების დადგენა.

მუშების მიმართ დროითი ანაზღაურება ყველაზე მეტად გამოიყენება დანხმარე სამუშაოებზე.

ანაზღაურების ამ ფორმაზე იმყოფებიან აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და სხვები.

შრომის ანაზღაურების დროით ფორმას, თავისი მხრით, გააჩნია ორი ძირითადი სისტემა. ასეთებია: მარტივი დროითი და დროით-პრემიალური.

შრომის ანაზღაურების მარტივი-დროითი სისტემის დროს მუშის ხელფასის ოდენობა დამოკიდებულია მისი სატარიფო განაკვეთისა და ნამუშევარი დროის რაოდენობაზე.

დროით-პრემიალური სისტემის დროს კი ხელფასის ოდენობა დამოკიდებულია არა მარტო მუშის კვალიფიკაციისა და ნამუშევარი დროის რაოდენობაზე, არამედ აგრეთვე ნაწილობრივ მასი შრომის შედეგებზე. ხელფასის ამ სისტემის დროს წარმოების მოწინავე მუშაკებს დაწესებული ხელფასის გა-

დამეტებით მატერიალური წახალისების მიზნით თავიანთი შრომის შედეგების მიხედვით (მოწყობილობის რემონტის მოკლე დროში ჩატარება, ნედლი მასალის, ელექტროენერჯის ეკონომია, მექანიზმების უაფარო მუშაობა, დამზადებულ ნაწარმში წუნის შემცირება და სხვ.) ეძლევათ პრემია.

ხელფასის დროით-პრემიალური სისტემა ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ხელმძღვანელ-სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად. აღნიშნული კატეგორიების მუშაკებს პრემია ეძლევათ ძირითადი ხელფასის დამატებითა საწარმოთა მიერ თვითონ საწარმოო გეგმის შესრულება-გადაჭარბებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის და სხვ.

პრემიების გაცემა საგრძობლად ზრდის ხელმძღვანელ სამეურნეო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასს.

მასწავლებლები, მედიცინის მუშაკები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები მათი განათლების, სტაჟისა და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით იღებენ დაწესებულ თვითურ ხელფასს.

3. შრომის ზეპნიკური დანორმება. საბაჟიშო სისხამა

შრომის მიხედვით განაწილების პრაქტიკული განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ტექნიკურ დანორმებას; იგი წარმოადგენს მუშათა ხელფასის ორგანიზაციის მნიშვნელოვან პირობას. მრეწველობისა და მშენებლობის მუშათა შრომის 75% იანგარიშება და ანაზღაურდება დროის ნორმისა და გამომუშავების ნორმების¹ საფუძველზე.

ხელფასის ამა თუ იმ სისტემის დანერგვის ეფექტიურობა დამოკიდებულია უმთავრესად ტექნიკური დანორმების ხარისხზე. მაგალითად, დავუშვათ, რომ სანარდო-პროგრესული სისტემის დროს სწორად არის შემუშავებული პროგრესული სკალა, მაგრამ გამომუშავების ნორმები დაბალია, ამ შემთხვევაში წარმოება იძულებული იქნება მეტი ხელფასი გადაიხადოს, რის გამოც ხელფასის წილი პროდუქციის თვითღირებულებაში გაიზარდება.

არასწორი ტექნიკური დანორმება იწვევს შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების განხორციელების დარღვევას.

თუ გამომუშავების ნორმა არაკვალიფიციური მუშისა დაწესებული იქნა, ხოლო კვალიფიციური მუშისა კი სწორადაა დადგენილი, მაშინ პირველი მუშა უფრო მეტ ხელფასს მიიღებს ვიდრე მეორე. აღნიშნულიდან ნათელია, რომ სწორი, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გარეშე შეუძლებელია შრომის

¹ დადგენილი დროის იმ რაოდენობას (წუთს, საათს), რომლის განმავლობაში მუშას ევალება შეასრულოს ესა თუ ის ოპერაცია, დროის ნორმა ეწოდება — (იგი სახ. მეურნეობის იმ დარგებში წესდება, სადაც ადგილი აქვს სერიულ წარმოებას, მაგალითად, მანქანათმშენებლობაში).

ნაკეთობათა ან ოპერაციათა იმ რაოდენობას, რომელიც მუშამ უნდა შეასრულოს განსაზღვრული დროის (საათის, ცვლის) ერთეულში, გამომუშავების ნორმა ეწოდება (იგი, ჩვეულებრივ, იმ დარგში გამოიყენება, სადაც ხორციელდება მასობრივი წარმოება, მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში).

ანაზღაურებაში გათანაბრების სრული ლიკვიდაცია. მაშასადამე, ტექნიკური დანორმების ძირითადი ამოცანაა დაადგინოს დროისა და გამოიმუშავების ისეთი ნორმები, რომლებიც მრეწველობის განვითარების მიღწეულ დონეს შეეფერება.

„თუ ტექნიკური ნორმები არ გვექნება, შეუძლებელია გვემინი მეურნეობა. ამას გარდა, ტექნიკური ნორმები საჭიროა იმისათვის, რომ ჩამორჩენილი მასები დავაწიოთ მოწინავეებს. ტექნიკური ნორმები დიდი მარგულერებელი ძალაა, რომელიც წარმოებაში რაზნავს მუშების ფართო მასებს მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების გარშემო“¹.

სტალინური პრემიის ლაურეატის ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდით მუშაობის ის დიდი გამოცდილება, რომელიც საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა დარგს აქვს, გვიჩვენებს, რომ ტექნიკური დანორმებისა და კვირვების ობიექტი ძველებზე ერთი მუშა და მის მიერ შესრულებული საწარმოო ოპერაციები კი არ უნდა იყოს, არამედ ის მოწინავე მუშები, რომლებიც ცალკეული საწარმოო ოპერაციების შესრულებაში საუკეთესო პროგრესულ მაჩვენებლებს აღწევენ; სწორედ ეს მაჩვენებლები წარმოადგენს გამოიმუშავების ან დროის ნორმების დადგენის საფუძველს.

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ინჟინერ კოვალიოვის გამოცდილების დანერგვა 1951 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. მოწინავე მუშების მიერ ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა შესრულების მასობრივად შესწავლით აღმოჩნდა, რომ საქსოვ საამქროში მაქოს გამოცვლის ოპერაციას ყველაზე სწრაფად და მაღალხარისხოვნად ასრულებს ოთხდაზგოსანი მქსოველი თ. კოპალეიშვილი. იგი ამ საქმეს ხუთი წამის ნაცვლად 3,5 წამში ასწრებს, მისაქსელის გაწყვეტილი ძაფის გადაბმის ოპერაციის შესრულებაში ყველას სჯობნის მოწინავე მუშა ე. ურთაშვილი, რომელიც ამ ოპერაციას 20,9 წამში ასრულებს, ნორმით გათვალისწინებულ 26,5 წამის ნაცვლად. მრავალ დაზგოსანი ე. მეხრაძე მაქოს ხელახლა გაწყობას 22 წამის ნაცვლად 16 წამს უნდება, ხოლო ძაფის წვერის მონახვას 18 წამის ნაცვლად 10,5 წამში ახერხებს. ცალკეული ოპერაციების შესრულებაში საუკეთესო შედეგები აქვთ მოწინავე მუშებს მ. ბურჯანაძეს, ნ. პლანიგინას, ლ. მიშრიაკოვას, მ. ჩეჩელაშვილს, ე. ნიკულონას (საქსოვი საამქრო), ნ. ბარათაშვილს, ნ. მელაძეს, ა. ბადლიძეს (მოსამზადებელი საამქრო) და სხვებს.

ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა მოწინავე შემსრულებლების გამოვლინების შემდეგ ინჟინერ-ტექნიკოსთა უშუალო მონაწილეობით ფაბრიკის ყველა საამქროსა და განყოფილებაში აღწერილ იქნა წამყვანი პროფესიების მუშების შრომის ყველაზე მოწინავე, ყველაზე რაციონალური ხერხები; შემუშავდა ოპერაციების შესრულების, დაზგების შემოვლის, ოპერაციების თანმიმდევრობის, ხელების მოძრაობის ნახაზები და გადაღებულ იქნა ფოტო სურათები. ამის შემდეგ ცალკეულ საწარმოო ოპერაციათა შესრულების ყველაზე მოწინავე ხერხები პირველ რიგში შეისწავლეს საწარმოო სწავლების ინსტრუქტო-

¹ ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1951 წ., გვ. 632.

რებმა, ოსტატის თანაშემწეებმა, მოწინავე მუშებმა; ცხადია, ამ შემთხვევაში მასწავლებლები იყვნენ წარმოების ნოვატორები, თვით ოპერაციათა საუკეთესო შენსრულებლები. შემდეგ კი 1952 წლის დასაწყისიდან მოეწყო შრომის მოწინავე ხერხების მასობრივი სწავლება. ამან საშუალება მისცა ფაბრიკას 1952 წელს საშუალოდ 9%-ით გაედიდებინა ფაბრიკაში მოქმედი გამოძულებების ნორმები. გამოძულებების ეს გაზრდილი ნორმებიც მთელი წლის განმავლობაში 115-122%-ით სრულდებოდა.

ახალი მანქანა-დანადგარების დადგმამ, შრომის მოწინავე ხერხების შემდგომმა გაუმჯობესებამ და მისი ფაბრიკაში მასობრივად გავრცელებამ შესაძლებელი გახდა 1953 სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე საშუალოდ 15,9%-ით კვლავ გადიდებულიყო მოქმედი გამოძულებების ნორმები. ამჟამად ეს გაზრდილი ნორმებიც 12-15%-ის გადაჭარბებით სრულდება.

გამომუშავების ნორმა პროგრესული უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის უნდა დადგინდეს მოცემული საწარმოს მოწინავე მუშაკთა საწარმოო გამოცდილების მიხედვით და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიოსნად მომუშავე ყველა მუშაკისათვის.

გამომუშავების ნორმების საფუძველზე იანგარიშება თითოეული სამუშაოს სანარდო შეფასება. სანარდო შეფასება ეწოდება პროდუქციის ერთეულის საზღაურს, იგი წესდება ცალკეულ სამუშაოზე მისი ხარისხისა და მნიშვნელობის შესაბამისად იმ ანგარიშით, რომ მუშათა შორის შეიქმნას მატერიალური დაინტერესების მეტი სტიმული გამოძულებების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მოწინავე მუშების მიღწევათა უკეთ გამოყენებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის ანაზღაურების გაუმჯობესებისათვის ხდება გამოძულებების ნორმების პერიოდულად გადასინჯვა წარმოებაში ისეთი პროგრესული ნორმების დანერგვა, რომელიც შეესაბამება საამქროს ან წარმოების მოწინავე მუშათა გამოცდილებას. სწორი ტექნიკური დანორმვა იწვევს სამუშაო დროის არამწარმოებლური დანაკარგების ლიკვიდაციას, იგი განაპტიკებს შრომის დისციპლინას, აუმჯობესებს შრომის წარმოების ორგანიზაციას და აძლიერებს მუშის მატერიალურ დაინტერესებას თავისი შრომის შედეგებით.

ხელფასის სწორი ორგანიზაცია და შრომის მიხედვით განაწილების თანმიმდევრული გატარება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების განუზრუნველურებას და პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურ შემცირებას, სოციალისტური დაგროვების ტემპის დაჩქარებას, მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის განუზრუნველყოფას და სახელმწიფო გეგმის შესრულებას ყველა მაჩვენებელთა მიხედვით.

სოციალისტურ საზოგადოებაში ხელფასის სწორი ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სატარიფო სისტემას. საბჭოთა სატარიფო სისტემა საშუალებას გვაძლევს „მოვაგვაროთ ხელფასი ისე, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ მან განამტკიცოს წარმოების გადამწყვეტი რგოლები და წასწიოს ადამიანები მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად“¹.

¹ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. კრებული, თბ., 1946 წ., გვ. 229.

საბჭოთა კავშირში სატარიფო სისტემის საფუძველია შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი.

სატარიფო სისტემის საშუალებით ხდება ყველა სახის სამუშაოთა კლასიფიკაცია; მათი სირთულისა და სიმძიმის მიხედვით წესდება სხვადასხვა კვალიფიკაციის, პროფესიის ჯგუფების მუშათა დიფერენციალური ხელფასი და განისაზღვრება მუშებთან უშუალო ანგარიშსწორების პირობები.

ახალი სატარიფო სისტემის გატარებამდე, რომელიც ი. ბ. სტალინის უშუალო მითითებით იქნა შემოღებული, შრომის ანაზღაურების პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა გათანაბრებას, რასაც, ცხადია, თან ახლდა მუშახელის დენადობა.

ი. ბ. სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა თათბირზე (1931 წ. 23 ივნისი) ნათლად გვიჩვენა სამრეწველო საწარმოებში მუშახელის დენადობის ნამდვილი მიზეზები, მკაცრად გააკრიტიკა ძველი სატარიფო სისტემა და მოგვცა ახალი სატარიფო სისტემის შემოღებისათვის სახელმძღვანელო მითითებანი.

ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„სად არის მუშახელის დენადობის მიზეზი? ხელფასის უმართებულო ორგანიზაციაში, უმართებულო სატარიფო სისტემაში,— ხელფასის ხაზით „მომემარცხენა“ გათანაბრებაში. მთელ რიგ საწარმოებში სატარიფო განაკვეთები იმნაირად არის დაწესებული, რომ თითქმის ისპობა განსხვავება კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქე შრომას შორის. გათანაბრება იწვევს იმას, რომ არაკვალიფიციური მუშა დაინტერესებული არ არის გახდეს კვალიფიციური და, ამრიგად, მოკლებულია წინწაწევის პერსპექტივებს, რის გამო იგი წარმოებაში თავს გრძნობს „მოაგარაკედ“, რომელიც მუშაობს მხოლოდ დროებით, რომ ცოტა რამ „იშოვოს“ და მერე წავიდეს სადმე სხვაგან „ბედის საძებნელად“. გათანაბრება იწვევს იმას, რომ კვალიფიციური მუშა იძულებულია გადავიდეს საწარმოოდან საწარმოში იმისათვის, რომ ბოლოს მონახოს ისეთი საწარმო, სადაც ჯეროვნად დაათასებენ კვალიფიციურ შრომას.

აქედან „საყოველთაო“ მოძრაობა საწარმოოდან საწარმოში, მუშახელის დენადობა.

ამ ბოროტების მოსასპობად საჭიროა გათანაბრების გაუქმება და ძველი სატარიფო სისტემის დამსხვრევა. ამ ბოროტების მოსასპობად საჭიროა შემოღებულ იქნას ტარიფების ისეთი სისტემა, რომელიც ანგარიშს გაუწევს განსხვავებას კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქე შრომას შორის“¹.

დიდი სტალინის ამ ისტორიულ მითითების საფუძველზე დამუშავებულ და შემოღებულ იქნა შრომის ანაზღაურების ახალი სატარიფო სისტემა, რომელმაც უზრუნველყო კვალიფიციურისა და მძიმე შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება, შედარებით მარტივსა და მსუბუქე შრომასთან და მშრომელთა

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, 1952 წ., გვ. 50-60.

ფართო მასებში შექმნა კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ამალღებისათვის უფრო მეტი სტიმული.

სატარიფო სისტემის შემადგენელი ელემენტებია: სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი, სატარიფო ბადე და სატარიფო განაკვეთი.

სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარში მოცემულია მრეწველობის მოცემული დარგის სამუშაოთა სხვადასხვა სახეების დახასიათება მისი შრომატევადობის, სირთულისა და მნიშვნელობის მიხედვით; ამასთან, ნაჩვენებია, რომელ თანრიგს მიეკუთვნება ესა თუ ის სამუშაო. გარდა აღნიშნულისა, ცნობარში მითითებულია, თუ რა ცოდნასა და ხელოვნებას უნდა ფლობდეს მუშა, რომ მას მიენიჭოს შესაფერისი თანრიგი. მოკლედ, ცნობარი იძლევა მოცემული პროფესიის მუშის კვალიფიკაციის დახასიათებას.

შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდისა და წარმოების ტექნოლოგიური პრინციპების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი პერიოდულად უნდა იქნეს გადასინჯული და დაზუსტებული.

სატარიფო ბადის საშუალებით ხდება სხვადასხვა თანრიგის მუშათა შრომის ანაზღაურების შეფარდების დადგენა, რომელიც, ჩვეულებრივ, სატარიფო კოეფიციენტებში გამოიხატება. სატარიფო კოეფიციენტები ისეა აგებული, რომ მან უზრუნველყოს არაკვალიფიციურსა და მსუბუქ შრომასთან შედარებით კვალიფიციური და მძიმე შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება, რათა მუშებს შორის შეიქმნეს მეტი სტიმული საწარმოო ტექნიკური კვალიფიკაციის ამალღების საქმეში. სატარიფო კოეფიციენტი თანრიგიდან თანრიგამდე მატულობს.

სატარიფო ბადის თანრიგების რაოდენობა და შეფარდება ანაზღაურებაში თანრიგებს შორის განისაზღვრება წარმოების ამა თუ იმ დარგის კონკრეტული თვისებურებებით. ასე, მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში გამოიყენება 8-თანრიგიანი სატარიფო ბადე, ქიმიურ მრეწველობაში — 7, მანქანათმშენებლობაში — 8, მეტალურგიულ მრეწველობაში — 10-12. სატარიფო განაკვეთი განსაზღვრავს მუშის ხელფასის ოდენობას დროის ერთეულში (საათში, დღეში), რომელიც წესდდება პირველი თანრიგის მუშებისათვის. დანარჩენ მუშათა ხელფასი განისაზღვრება პირველი თანრიგის განაკვეთის გადაზღვრებით შესაბამის თანრიგების სატარიფო კოეფიციენტებზე.

მაგალითად, თუ პირველი თანრიგის მუშის განაკვეთი ერთ სამუშაო დღეში 12 მანეთია, მაშინ მეორე თანრიგის მუშის განაკვეთი (1 მან. 20 კაპ. სატარიფო კოეფიციენტის მიხედვით) იქნება 14 მან. 40 კაპ. ($12 \times 1, 20$), ხოლო მერვე თანრიგის მუშის განაკვეთი შეადგენს 43 მან. 20 კაპ. ($12 \times 3, 60$).

საბჭოთა სახელმწიფო მაღალ სატარიფო განაკვეთს აწესებს იმ მუშებისათვის, რომელთაც მუშაობა უხდებათ სახალხო მეურნეობის ისეთ გადაწყვეტ დარგებში, როგორცაა, მაგ., ქვანახშირის, მეტალურგიის, ნავთისა და მანქანათმშენებლობის მრეწველობა.

ამრიგად, სატარიფო სისტემის საშუალებით საბჭოთა სახელმწიფო ხელფასის ისეთ პოლიტიკას ატარებს, რომელიც მიმართულია როგორც შრომის

ანაზღაურების საქმეში გათანაბრების მოსასპობად, ისე სოციალისტური წარმოების ზრდისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისაკენ.

4. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის განუხრელი ზრდა სოციალისტური ეკონომიკის დროს

სოციალიზმისათვის დამახასიათებელია მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის განუხრელი ზრდა. საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება აგრეთვე რეალური ხელფასი, რის გამოც მშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სულ უფრო და უფრო გაზრდილი მასშტაბით ხდება.

სოციალისტური ეკონომიკის ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება და მისი უპირატესობა კაპიტალიზმთან შედარებით ისაა, რომ მას ახასიათებს საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, მისი უკრიზისო განვითარება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებათა კერძო-კაპიტალისტური საკუთრება შეუსაბამოა წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათისადმი. ამიტომ იქ ადგილი აქვს ეკონომიურ კრიზისებსა და წარმოების წყვეტილ განვითარებას. საბჭოთა კავშირში კი, პირიქით, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება შეესაბამება წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათს. ამიტომ აქ ადგილი არ აქვს ეკონომიურ კრიზისებს და წარმოება განუწყვეტლივ აღმავალი ხაზით ვითარდება.

ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განხორციელებით ჩვენმა სამშობლომ ომამდელი ხუთწლეულების განმავლობაში მიაღწია სოციალისტური წარმოების გიგანტურ ზრდას. ომისა და ომის შემდგომი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აშენებულ იქნა მრავალი ათასი ახალი სამრეწველო საწარმო, ამოღდა შრომის ნაყოფიერება, რის გამოც კიდევ უფრო გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. ასე, მაგალითად, 1951 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ ერთიორად და მეტად გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს¹.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის საწარმოო ძალთა შემდგომ მძლავრ განვითარებას. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები საბჭოთა კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას ხუთი წლის განმავლობაში დაახლოებით 70 პროცენტით. 1955 წელს, ხუთწლედის უკანასკნელ წელს, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით ერთისამად გაიზრდება.

წარმოების განუწყვეტელი ზრდა, მისი აღმავალი ხაზით განვითარება დამახასიათებელია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვისაც. ვიდრე

¹ გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, თბ., 1953 წ., გვ. 65.

სოფლის მეურნეობის დარგში ჭარბობდა ძველი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, მწარმოებლურ ძალთა განვითარების ტემპები შედარებით ნელი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონზე დაყრდნობით, გლეხობის ღარიბი და საშუალო მასების აქტიური მხარდაჭერით შეცვალა სოფლის მეურნეობაში ძველი წარმოებითი ურთიერთობანი ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა.

ახალმა სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობებმა უდიდესი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის მწარმოებლურ ძალთა შემდგომ განვითარებაზე. მათ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცნიერების უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვის, კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანების წარმატებითი გადაჭრა. ამან საშუალება მოგვცა გაგვეზარატივებინა სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპები, რაც აუცილებელია კომუნისტური მშენებლობის პროგრამის რეალიზაციისათვის. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1933 წლიდან 1940 წლამდე გაიზარდა 77 პროცენტით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სოფლის მეურნეობის პროდუქცია ამავე დროის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 7 პროცენტით.

ომის შემდგომი წლების მანძილზე სოციალისტური სოფლის მეურნეობამ, მიუხედავად ფაშისტი ბარბაროსების მიერ მიყენებული უდიდესი ზარალისა, ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მარცვლეულის წარმოება აღდგენილ იქნა ომის დამთავრების უკვე მესამე წელს, ხოლო 1952 წელს მან მიაღწია 8 მილიარდ ფუტს.

ამრიგად, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის მძიმე განსაცდელის წლებში სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ დაამტკიცა თავისი დიდი სასიცოცხლო ძალა, თავისი უნარი სულ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით უზრუნველყოს მოსახლეობა სურსათით, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობა—ნედლეულით.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ამჟამად არსებული დონე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას კვების პროდუქტების მხრით, ხოლო მსუბუქსა და კვების მრეწველობას—ნედლეულის მხრით, და არ შეესაბამება სოფლის ტექნიკურ აღჭურვილობასა და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილება შეიცავს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად პარტიამა და საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ ხანებში მიიღეს მთელი რიგი ისტორიული გადაწყვეტილებანი.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ერთსულოვნებითა და მოწონებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმების და-

დგენილებას, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ.

პარტიის ამ ორივე დოკუმენტებში მოცემულია მარცვლელი მეურნეობის მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, ნაჩვენებია მარცვლელის წარმოების გადიდების, სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგისა და, უწინარეს ყოვლისა, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გზები.

ახლა მთავარი და გადაუდებელი „ამოცანა ის არის, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წ. სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებაში, — რომ უახლოეს 2-3 წელიწადში საგსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა“¹.

საბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და მისი უკრიზისო განვითარება ჩვენს ქვეყანაში იწვევს როგორც ნაციონალური შემოსავლის, ისე მასთან დაკავშირებულ მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვისა და მათი ხელფასის განუწყვეტელ ზრდას.

საბჭოთა კავშირში, წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, ნაციონალური შემოსავალი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა, განუხრელად და სწრაფად იზრდება. ასე, მაგალითად, ომამდელ წლებში (1940 წ.) საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 6-ჯერ და უფრო მეტად 1913 წელთან შედარებით. მარტო პირველ ხუთწლეულში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 85⁰/₀-ით, საბჭოთა კავშირში ნაციონალური შემოსავლის საშუალო წლიური მატება შეადგენდა პირველ ხუთწლეულში 15,2⁰/₀-ს, ხოლო მეორე ხუთწლეულში — 17,1⁰/₀-ს. მეოთხე ხუთწლეულში ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 64⁰/₀-ით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 38⁰/₀-სა, მეხუთე ხუთწლეულის გეგმით ნაციონალური შემოსავლის ზრდა გათვალისწინებულია 60⁰/₀-ით².

სოციალისტურ საზოგადოებაში მთელი ნაციონალური შემოსავალი ხალხის საკუთრებაა და მისი გამოყენება მათივე ინტერესების შესაბამისად ხდება.

თუ როგორ იზრდება წლების მანძილზე მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა საბჭოთა კავშირში, ამას თვალნათლივ გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები³:

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1953 წ. 7 სექტემბრის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, თბ., 1953 წ., გვ. 12.

² პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1952 წ., გვ. 31.

³ ცნობები ამოღებულია „Развитие советской экономики, Ст. Сбор., М., 1942 г. და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წ. სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ“, ვაზ. „კომუნისტი“ 1953 წ. 2 თებერვალი.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა საბჭოთა კავშირში (მილიონი ადამიანი)

| 1929 წ. | 1933 წ. | 1937 წ. | 1940 წ. | 1950 წ. | 1953 წ. |
|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 12,2 | 22,3 | 27,0 | 30,4 | 39,2 | 44,8 |

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს როგორც მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის, ისე ხელფასის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. გეგმის თანახმად, მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სახალხო მეურნეობაში 1955 წელს, ხუთწლედის უკანასკნელ წელს, 1950 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 15%-ით, ხოლო ხელფასი მარტო ფასების შემცირებით გაიზარდება სულ ცოტა 35%-ით.

მუშათა საცხოვრებელი დონის ამაღლების არსებით მაჩვენებელს წარმოადგენს ხელფასის ზრდა. საბჭოთა კავშირში ხელფასი განუწყვეტლივ იზრდება. ასე, მაგალითად, მრეწველობის მუშათა საშუალო წლიური ხელფასი 1938 წელს 1933 წელთან შედარებით 1934 მანეთით გადიდდა და მან 3447 მანეთს მიაღწია. შემდეგ წლებში იგი კიდევ უფრო გაიზარდა.

საბჭოთა კავშირში მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1940 წლიდან 1953 წლამდე 65%-ით გადიდდა.

სოციალისტურ საზოგადოებაში რეალური ხელფასის განუხრელი ზრდის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია საბჭოთა ვალუტის სიმტკიცე და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირების სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის და, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით, სისტემატურად ახორციელებენ სასურსათოსა და სამრეწველო საქონელზე ფასების შემცირებას.

საბჭოთა კავშირში ომის შემდეგ სასურსათოსა და სამრეწველო საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასების პირველი შემცირება 1947 წ. დეკემბერში ჩატარდა. ფასების ამ შემცირებამ მოსახლეობას მისცა წლის განმავლობაში დაახლოებით 86 მილიარდი მანეთი სარგებლობა, განამტკიცა ფულის კურსი და გაადიდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი.

სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების მეორე შემცირებამ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ 1949 წლის 1 მარტს გაატარა, მოსახლეობას წლის განმავლობაში დამატებით მისცა 71 მილიარდი მანეთი სარგებლობა.

1949 წლის მანძილზე სახალხო მეურნეობაში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადა 1950 წლის პირველ მარტიდან საბჭოთა მთავრობას განეხორციელებინა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების ახალი, სათვალავით მესამე, შემცირება, რამაც, თავის მხრივ,

მოსახლეობას მისცა წელიწადში სულ მცირე 110 მილიარდი მანეთი სარგებლობა.

1951 წელს 1 მარტს საბჭოთა მთავრობამ განახორციელა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების ახალი, სათვალავით მეოთხე, შემცირება, რამაც მასობრივი მოხმარების საქონელი გააიფა 27,5 მილიარდი მანეთით. გარდა ამისა, საკომლემენტო ბაზარზე ფასების შემცირებით (რაც, ცხადია, სახელმწიფო და კოოპერაციულ სავაჭრო ქსელში ფასების შემცირების ზეგავლენით მოხდა) მოსახლეობამ დამატებით მიიღო 7 მილიარდი მანეთი სარგებლობა.

1951 წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში მიღწეულ ახალ წარმატებებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ 1952 წლის პირველ აპრილს განახორციელა სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების ახალი, სათვალავით მეხუთე, შემცირება; ფასების ამ ახალ შემცირების შედეგად მოსახლეობამ მიიღო 28 მილიარდი მანეთზე მეტი სარგებლობა.

1953 წელს 1 აპრილს საბჭოთა მთავრობამ განახორციელა სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, სათვალავით მეექვსე, შემცირება; ფასების ამ შემცირების შედეგად მოსახლეობამ მიიღო 50 მილიარდ მანეთზე მეტი სარგებლობა.

1953 წ. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით 1954 წლის 1 აპრილს საბჭოთა მთავრობამ განახორციელა სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, სათვალავით მეშვიდე, შემცირება, ფასების ამ შემცირების შედეგად მოსახლეობა მიიღებს 20 მილიარდზე მეტ სარგებლობას.

ომის შემდგომ წლებში სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ფასების შვიდჯერი შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მანეთის მყიდველობითი ძალა, ამალღდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა.

საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტ სურსათსა და სამრეწველო საქონელს მოიხმარს. ასე, მაგალითად, სახალხო მოხმარების დონე ქვემოჩამოთვლილ საქონელზე 1953 წელს შედარებით 1952 წელთან ამაღლდა ხორცისა და ხორცპროდუქტებზე — 36%, თევზისა და თევზპროდუქტებზე — 8%, ერობო-კარაქზე — 36%-ით, მცენარეულ ზეთსა და ცხიმებზე — 19%-ით, შაქარზე — 23%-ით, საკანდიტრო ნაწარმზე — 12%-ით, ხილისა და ბალჩეულ კულტურებზე — 43%-ით, ბამბის ქსოვილებზე — 22%-ით, შალის ქსოვილებზე — 18%-ით, აბრეშუმის ქსოვილებზე — 45%-ით, ტყავის ფეხსაცმელზე — 29.0%-ით, ავეჯზე — 39%-ით, საათებზე — 38%-ით, და ა. შ¹.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში გაბატონებული მონოპოლისტები მაქსიმალური მოგების მიღებისა-

¹ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ“, ვახ. „კომუნისტი“ 1954 წ. 2 თებერვალი.

თვის ახორციელებენ ფასების გადიდების პოლიტიკას და ამასთანავე ყინავენ მუშათა ხელფასს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის შემდგომი წლების მანძილზე კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების ფასების ზრდის საერთო სურათს გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები, რომელიც ა. ი. მიქოიანმა მოიყვანა პარტიის XIX ყრილობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში პური უფრო ძვირი იყო 1952 წელს ვიდრე 1947 წელს 28⁰/₀-ით, ხორცი — 26⁰/₀-ით, კარაქი — 4⁰/₀-ით, რძე — 18⁰/₀-ით, შაქარი — 6⁰/₀-ით.

1952 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფასები კიდევ უფრო გაიზარდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასების განუწყვეტელი ზრდა გარდუვლად იწვევს მშრომელთა მიერ პროდუქტების მოხმარების შემცირებას. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, კვების პროდუქტების მოხმარება ამერიკაში ერთ სულ მოსახლეზე უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში შემცირდა 6 პროცენტით, ხოლო კარაქის მოხმარება (1953 წლის მონაცემების მიხედვით) — 8,3 პროცენტით.

მშრომელთა გადატაკებას, რაც კაპიტალისტური მსოფლიოს მთავარ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება, ადგილი აქვს ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაშიც. საქონელზე ფასების განუწყვეტელი ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლა საყოველთაო მოვლენა გახდა.

სოციალისტურ საზოგადოებაში რეალური ხელფასის განუხრელი ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ საზოგადოების მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-ტექნიკური დონის განუწყვეტელი ამაღლება მათი კვალიფიკაციის ზრდა.

კაპიტალისტური წყობილების პირობებში ინდუსტრიული ტექნიკის განვითარება, საწარმოში ყოველი ახალი მანქანის შემოტანა-გამოყენება საწარმოდან სისტემატურად დევნის სხვა მუშებთან ერთად კვალიფიციური მუშების მნიშვნელოვან ნაწილსაც, რის გამოც ეს უკანასკნელნი იძულებული არიან გადავიდნენ არაკვალიფიციურ სამუშაოთა შესრულებაზე (შრომის დაბალანაზღაურებაზე), ამიტომ მათი ხელფასი კი არ იზრდება, არამედ სულ უფრო და უფრო მცირდება. კაპიტალისტურ ქვეყნებში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა საწარმოებიდან განდევნილი კვალიფიციური მუშები დაბალ სამუშაოსაც კი ვერ შოულობენ და უმუშევრებად რჩებიან.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, რომელიც ტექნიკის დიდი პროგრესით მიმდინარეობს, მოითხოვს სულ უფრო და უფრო მეტს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებს. მუშები, ეუფლებიან რა მოწინავე ტექნიკას, იმაღლებენ თავიანთ კვალიფიკაციას. ამიტომ მათი ხელფასი კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, სისტემატურად იზრდება.

საბჭოთა სახელმწიფო მაღალ შეფასებას აძლევს უფროსი თაობის მუშაკთა კვალიფიციურ შრომას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუ-

შაკებს ყოველწლიურად მათი ნამსახურობისათვის აჯილდოვებს დიდი რაოდენობის ფულადი თანხებით. ასე, მაგალითად, 1952 წლის თებერვალში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის 1500 მუშა-მოსამსახურეს ნამსახურობისათვის გადაეცა ფულადი პრემია მილიონ ნახევარზე მეტი მანეთის რაოდენობით. მარტო მარტენის სამქროში პრემია ნამსახურობისათვის მიიღო 472 მეტალურგმა, მათ შორის საუკეთესო მეფოლადეებმა შ. კუხალეიშვილმა, ვ. ბულგაკოვმა, ვ. გივიბერია, მერხემ გ. ლიპარტელიანმა, ამწეს მემანქანეებმა ა. ნასყიდაშვილმა, ვ. ცხადაძემ და სხვებმა.

საბჭოთა მთავრობა ფულადი და სხვა საშუალებებით უხვად აჯილდოვებს აგრეთვე კულტურის მუშაკებს მათ მიერ გაწეული ნაყოფიერი შრომისათვის. მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნამუშევრების, გამოგონებებისა და მიღწევებისათვის მარტო მეოთხე ხუთწლედის მანძილზე სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა 6,5 ათასზე მეტ კაცს.

საბჭოთა კავშირში მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ჩვენს ქვეყანაში საბინაო ფონდი და საქალაქო მეურნეობა საზოგადოებრივი საკუთრებაა, რის გამო მუშა-მოსამსახურეთა საოჯახო ბიუჯეტიდან გაღებული ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე (ბინა, განათება, გათბობა და სხვ.) ერთობ მცირეა და იგი არ აღემატება მათი ხელფასის 4% -ს.

სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობას აქვს ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ საცხოვრებელი ბინის ქირა და, საერთოდ, ხარჯები კომუნალურ მომსახურებაზე იმდენად მაღალია. რომ იგი პირდაპირ ალატაკებს მშრომელ მოსახლეობას. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისსა და საფრანგეთში მუშა ბინაში იხდის თავისი ხელფასის 25-40% -ს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც საერთოდ მწვავე საბინაო კრიზისი სუფევს, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სულ უფრო და უფრო მცირდება. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საბინაო მშენებლობის მოცულობა 1951 წ. 1950 წელთან შედარებით 40% -ით შემცირდა.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. მეურნეობის სოციალისტური სისტემა უზრუნველყოფს მშრომელთა ცხოვრების პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესებას. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულია საბინაო მშენებლობა. მარტო მეოთხე ხუთწლედის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში აღდგენილია და ახლად აშენებულია საცხოვრებელი სახლები 100 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აღდგენილი და აშენებულია 2,700 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო პირობების შემდგომ დიდ გაუმჯობესებას ითვალისწინებს აგრეთვე მეხუთე ხუთწლედი. ასე, მაგალითად, ქალაქებსა და მუშათა დაბებში მარტო სახელმწიფო მშენებლობის ხაზით გათვალისწინებულია საქსპლოატაციოდ გადაეცეს დაახლოებით 105 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი საცხოვრებელი სახლები.

საბინაო მშენებლობის ფართო გაშლასთან ერთად ამ ხუთწლედში განხორციელდება აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობა.

საბჭოთა კავშირში რეალური ხელფასის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ ჩვენი ქვეყნის მუშები და მოსამსახურეები თავისუფალია იმ შიშზე გადასახადებისაგან, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მთელი თავისი სიმძიმით მშრომელებს აწვება.

სოციალიზმის დროს მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, მათი მატერიალური კეთილდღეობა განისაზღვრება არა მარტო ინდივიდუალური ფულადი ხელფასით, არამედ აგრეთვე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვისაც გაღებული სახელმწიფო ხარჯებითაც. საბჭოთა კავშირში მუშები და მოსამსახურეები სახელმწიფო ხარჯზე იღებენ დახმარებას, სოც-უზრუნველყოფის ხაზით უფასოსა და შეღავათიან საგზურებს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და საბავშვო დაწესებულებებში, დახმარებას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის; უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასო სწავლებას, სტიპენდიებს მოსწავლეებისათვის და მთელ რიგ სხვა შეღავათებსა და დახმარებებს. ყველა მუშა და მოსამსახურე ყოველწლიურად იღებს შვებულებას ხელფასის შენარჩუნებით სულ მცირე ორი კვირის ხანგრძლივობით, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკები უფრო ხანგრძლივ შვებულებას. 1950 წელს მოსახლეობამ აღნიშნული დახმარებისა და შეღავათების სახით სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო დაახლოებით 100 მილიარდი მანეთი, ე. ი. სამჯერ მეტი ვიდრე 1940 წელს.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებთან დაკავშირებით სოციალისტური სახელმწიფო ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტ სახსრებს აბანდებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის. ასე, მაგალითად, 1951 წელს აღნიშნული საჭიროებისათვის სახელმწიფომ დახარჯა 125 მილიარდი მანეთი, ხოლო 1952 წელს კი — 129 მილიარდი მანეთი¹.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის გაწეული სახელმწიფო ხარჯები საბჭოთა კავშირის მუშათა და მოსამსახურეთა ფაქტიურ შემოსავალს $\frac{1}{3}$ -ით ადიდებს, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ კეთილდღეობას.

საბჭოთა კავშირში მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის განუხრელი ზრდა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის განხორციელების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 15)

¹ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წ. სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“ 1953 წ. 24 იანვარი.

И. Гургенидзе

Зарботная плата при социализме

Р е з ю м е

В соответствии с двумя формами социалистической собственности в СССР оплата по труду принимает либо форму заработной платы (в государственных предприятиях и учреждениях), либо форму распределения доходов по трудодням (в колхозах).

В СССР рабочие и служащие государственных предприятий и учреждений за свой труд получают заработную плату.

Зарботная плата при социализме коренным образом отличается от заработной платы при капитализме, которая представляет собой превращенную форму стоимости (цены) рабочей силы. В социалистическом обществе рабочая сила не является товаром, не продается и не покупается. В СССР все граждане, будучи коллективными собственниками средств производства, являются в то же время работниками.

Зарботная плата при социализме есть выраженная в денежной форме доля работников в той части общественного продукта, которая распределяется государством в соответствии с количеством и качеством труда и идет на удовлетворение постоянно растущих материальных и культурных потребностей работника и его семьи.

Исходя из требований основного экономического закона социализма и закона распределения по труду, Советское государство в каждый данный этап развития социалистического общества планомерно устанавливает заработную плату различных категорий работников государственных предприятий и учреждений с таким расчетом, чтобы вместе с ростом народного хозяйства и повышением производительности труда систематически повышался уровень заработной платы.

Зарботная плата в социалистическом обществе могучий двигатель производства, целью которого является удовлетворение растущих материальных и культурных потребностей трудящихся.

В СССР применяются две основные формы заработной платы: сдельная и повременная. Обе они в свою очередь подразделяются на несколько различных систем. Сдельная оплата труда при социализме наиболее полно сочетает личные материальные интересы работника с народнохозяйственным интересом.

Для правильной организации заработной платы важное значение имеет тарифная система. Социалистическое государство посредством тарифной

системы конкретно учитывает разницу между квалифицированным и неквалифицированным, между тяжелым и легким трудом, ликвидирует уравниловку и обеспечивает оплату каждого рабочего в зависимости от количества и качества его труда.

Зарботная плата рабочих и служащих СССР систематически растет. Важнейшими факторами повышения ее служат: непрерывный рост социалистического производства на базе высшей техники, систематическое снижение цен на продовольственные и промышленные товары, рост культурно-технического уровня рабочих, их квалификации, улучшение жилищных условий трудящихся.

Рост заработной платы в СССР является выражением основного экономического закона социализма — обеспечение максимального удовлетворения материальных и культурных потребностей общества.

Реальный доход рабочих и служащих не исчерпывается, однако, их денежной заработной платой. Государство расходует огромные средства на удовлетворение непрерывно растущих социально-культурных потребностей народных масс.

ნიკოლოზ ქობიაკე

ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში

(1701—1761 წწ.)

შესავალი

XVIII საუკუნემ დაგვიტოვა მრავალი საბუთი საქართველოს ფინანსების შესახებ. ძირითადი საბუთები ამ საკითხზე გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომი არის მეცნიერ მუშაკთა ფართო წრეებისათვის. ეს საბუთები შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნეს XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ფინანსების სახე. სწორედ ამ საბუთებზეა დამყარებული ჩვენი შრომაც, რომლის ნაწილს ვაქვეყნებთ ამჟამად. ეს შრომა ამ დარგში გამოკვლევის პირველი ცდაა. ამიტომ, ეჭვს გარეშეა, რომ მასში ბევრი რამ იქნება შემდგომ დასაზუსტებელი და დასამატებელი.

ჩვენი შრომა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ქართლ-კახეთის ფინანსები 1701—1761 წწ.; მეორე ნაწილში—1761-1801 წწ., ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ფინანსების საერთო დახასიათება, ზოგიერთი დასკვნა და შედარება.

XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში ჩვენ გვაქვს ფეოდალური წყობილება, რომლის დროს „...წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე,—ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია“¹. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრებაც, დამყარებული მათ პირად შრომაზე. ყმა, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა, თავისი წარმოების იარაღები, ერთგვარად დაინტერესებულია შრომით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მან დაამუშაოს მიწა და ფეოდალს აძლიოს ნატურით თავისი მოსავლის წილი. ი. სტალინი გვასწავლის, რომ ფეოდალიზმის საფუძველს წარმოადგენდა მიწის ფეოდალური საკუთრება და არა გარეშეეკონომიური იძულება, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის როლს ას-

¹ სკვ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, თბილისი, 1953 წ., გვ. 153.

რულებდა მემამულე-მებატონეების ეკონომიური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში¹.

ვ. ი. ლენინს თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მოცემული აქვს საბატონო მეურნეობის ძირითადი ნიშნები. ეს ნიშნები დამახასიათებელია ქართლ-კახეთის საბატონო მეურნეობისათვისაც. ეს ნიშნებია: 1) ნატურალური მეურნეობის ბატონობა, 2) უშუალო მწარმოებლისათვის წარმოების საშუალებათა, კერძოდ მიწის მიცემის აუცილებლობა და გლეხის მიმაგრება მიწაზე, 3) გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან, 4) ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძლოლა წვრილი გლეხების ხელში იყო, რომლებიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებითა და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ².

ეს ნიშნები უდიდეს გავლენას ახდენდა ფეოდალური საზოგადოების ფინანსებზედაც.

ფეოდალურ ქართლ-კახეთში, ისე როგორც ყოველ ფეოდალურ საზოგადოებაში, ჩვენ ნატურალური მეურნეობა გვქონდა. მეურნეობის ამ ტიპის არსებობის დროს წარმოება მიმდინარეობს საკუთარი საქიროების დასაკმაყოფილებლად. ლენინი გვასწავლიდა, რომ არ არსებობს კერძო საკუთრება გაცვლა-გამოცვლის გარეშე. ნატურალური მეურნეობის არსებობის დროს ხდება მეურნეობის ნამეტი პროდუქტის რეალიზაცია. ფეოდალური საზოგადოება იცნობს ბაზარს, საშინაოსა და საგარეო ვაჭრობას, სასაქონლო მიმოქცევას, ფულის მიმოქცევას, სავაჭრო, ფულად, ფულად-სავაჭრო, სასაქონლო-სავაჭრო, სავაზმო კაპიტალს, სავაზმო კრედიტს. ნატურალური მეურნეობის გვერდით არსებობს მარტივი სასაქონლო მეურნეობის წყობა. „რანაირი წარმოების წესის საფუძველზეც უნდა იყოს პროდუქტები წარმოებული, რომელნიც საქონლის სახით მიმოქცევაში შედიან,—იქნება ეს ბუნებრივად აღმოცენებული თემის, თუ მონური წარმოების, თუ წვრილგლეხური და წვრილბურჟუაზიული, თუ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, ეს სრულიად არაფერს არ სცვლის მათს, როგორც საქონლის, ხასიათში, და საქონლის სახით მათ უნდა განვლონ გაცვლა-გამოცვლის პროცესი და ფორმის ცვლილებანი, რომელნიც ამ პროცესს თან სდევნენ“³. ყოველივე ამას ადგილი აქვს XVIII საუკუნის ქართლ-კახეთშიც.

ვაჭრობაც ცალკე დარგს შეადგენს. ხელოსნობა გამოყოფილია მიწათმოქმედებისაგან; ამ საფუძველზე გლეხების გვერდით არსებობენ ხელოსნები, სოფლის გვერდით—ქალაქები, სადაც მოთავსებულია მაშინდელი მრეწველობა და ვაჭრობა. XVIII საუკუნეში შემდეგი ქალაქები არსებობდა: თბილისი,

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, თბილისი, 1953, გვ. 106.

² ვ. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხ., ტ. 3, გვ. 207—209.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნ. I, თბილისი, 1932 წ., გვ. 282—283.

თელავი, წილკანი, გორი, სურამი, ახალგორი, სიღნაღი, ანანური; ქალაქების მოსახლეობის რიცხვი მერყეობდა. ქალაქის მოსახლეობა ყველაზე დიდ პროცენტს იძლეოდა 1770 წ., დაახლოებით 12⁰/₆-ს. ქალაქის მოსახლეობის ნაწილს არ ჰქონდა გაწვევითი კავშირი სოფლის მეურნეობასთან, ყოველ შემთხვევაში ბაღი და ბოსტანი თითქმის ყველას ჰქონდა.

სოფლის მეურნეობა სხვადასხვა დარგს მოიცავდა: მემინდვრეობას (ხორბალი და ქერი მთავარი კულტურები იყო), მევენახეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მებამბეობას, მეფუტკრეობას. სოფლის მეურნეობა განვითარების დაბალ დონეზე იდგა მთელი საუკუნის მანძილზე. კომპლექსური სახნავი იარაღი ფამფალაკიანი, ყველაზე უფრო გავრცელებული იარაღი იყო. ცხადია, დაბალი იყო შრომის ნაყოფიერებაც.

მრეწველობაში გაბატონებული იყო ხელოსნობა. არსებობდა შინა სარეწები, რაც დამახასიათებელია იმით, რომ პროდუქტი ოჯახში იხმარება და არ იქცევა საქონლად. არსებობდა ხელოსნობაც, რომლის დროს ხელოსანი მუშაობს შეკვეთით ან საკუთარი მასალით, ან შემკვეთლის მასალით. ზოგ შემთხვევაში ხელოსანი მარტო არ მუშაობდა, მას ჰყავდა თანაშემწე, შეგირდი (მოწაფე). მაშინდელ ქართლ-კახეთში ჩვენ შეგვხვდებით საქონლის წვრილ მწარმოებლებსაც, რომელნიც თავის საქონელს ამზადებენ უცნობი მყიდველისათვის, ე. ი. არა შეკვეთით. ხელოსნები ძირითადად მოთავსებული არიან ქალაქებში, ხელოსნობის ყოველ დარგს თავისი ცალკე ადგილი უკავია ქალაქში. XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში გვხვდება მრავალგვარი ხელოსნები: კალატოზი, ხურო, ფეიქარი, მკერვალი, დურგალი, მჭედელი, დალაქი, ყასაბი, ხაბაზი, დაბალი, მღებარი, მესანთლე, მესაპნე, ოქრომჭედელი, მეწალე და ა. შ. ხელოსნებს თავისი ორგანიზაციაც ჰქონდათ—ამქარი. XVIII საუკ. ქართლ-კახეთში ვხვდებით მანუფაქტურის ჩანასახსაც. თვალსაჩინოა ის გარემოება, რომ ზოგ მანუფაქტურაში დაქირავებული სამუშაო ძალის გვერდით ადგილი აქვს ყმების გამოყენებასაც. ხელოსნობასა და მანუფაქტურას ახასიათებს დაბალი ტექნიკა, მუშაკთა დაბალი კვალიფიკაცია და ამასთან დაკავშირებით შრომის დაბალი ნაყოფიერება. მრეწველობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში უფრო განვითარებული სახით გვევლინება, ვიდრე პირველ ნახევარში.

სოფლის მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილი ზედმეტი პროდუქტის ნამეტს ყიდის ბაზარზე, არაპრივილეგირებულ მოსახლეობასაც გააქვს ბაზარზე თავისი პროდუქტები, მაგრამ იგი ხშირად ყიდის აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც იმისათვის, რომ გაისტუმროს სხვადასხვა ფულადი გადასახდელი.

ხელოსნები თავის საქონელს სოფლის მოსახლეობისათვისაც ამზადებდნენ. არსებობდა როგორც სიშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაც. ქალაქებში იყო წვრილი სავაჭრობები. თბილისში, მაგ., 500-მდე დუქანი იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში; ბევრ მათგანს სულ ხუთი მანეთის საქონელი ჰქონდა. დუქნებში იყიდებოდა: ღვინო, არაყი, შეშა, ნახშირი, ხილი, ერბო, ზეთი, თევზი,

ხე-ტყე, თაფლი, სანთელი, პური, მარილი, აბრეშუმი, ბამბა, ბრინჯი, სპილენძი, ჭურჭლეულობა, ქსოვილები, შაქარი და სხვადასხვა წვრილი საქონელი. საშინაო ვაჭრობა იყო როგორც ბინადარი, ისე დატარებითი.

საგარეო ვაჭრობას ქართლი და კახეთი აწარმოებდნენ რუსეთთან, ირანთან, ოსმალეთთან, კავკასიის ხალხებთან. ქართლ-კახეთიდან უცხოეთში გაქონდათ: აბრეშუმი, ბამბა, ღვინო, ენდრო და სხვ. საქართველოში შემოქონდათ: ფარჩა, ძვირფასი ქვები, შაქარი, ყავა, ჭურჭლეულობა, მარილი, თევზი, რკინა, სპილენძი და სხვ. წარმოებდა სატრანზიტო ვაჭრობაც, რამდენადაც რუსეთში საქონელი გაქონდათ ქართლ-კახეთის მეშვეობით ირანში, ირანისა—რუსეთსა და კავკასიის სხვა კუთხეებში. საგარეო ვაჭრობას საპატიო ადგილი ეკავა, იგი კიდევ ჭარბობდა საშინაო ვაჭრობას. ვაჭრობა როგორც საშინაო, ისე საგარეო უფრო განვითარებული სახით გვევლინება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ოსეთის გზის გახსნასა და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაშლასთან დაკავშირებით. იმ დროს არსებულ ყამირ გზებსა და გზატკეცილებზე მოძრაობდნენ ქარავნები. გზები ცუდ მდგომარეობაში იყო და აძნელებდა მიმოსვლასა და ვაჭრობას. ზოგიერთი საქონელი (მალფუჭი და დიდი მოცულობისა) ტრანსპორტსაც ვერ იტანდა.

მიმოსვლის საშუალება იყო: სახედარი, ცხენი, ხარი, კამეჩი, აქლემი, ურემი. ნაოსნობა მდინარეებზე არ წარმოებდა, მაგრამ სურამიდან და გორიდან პური მოჰქონდათ თბილისში ტივებით.

XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში არაერთი საკრედიტო დაწესებულება არ არსებობდნენ.

აი, მოკლედ ის ფონი, რომელზედაც იშლება ქართლ-კახეთის ფინანსები¹.

მეფის ფინანსების შესწავლისას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მეფისა და სახელმწიფო ბიუჯეტი განუყოფელი იყო,—მეფის ბიუჯეტი სახელმწიფოს ბიუჯეტისაა. ამიტომ მეფის სახასო მამულის შემოსავალი და გასავალი მეფის ფინანსების სფეროში უნდა შევიდეს. დედოფალსაც ჰქონდა თავისი მამული და თავისი ბიუჯეტი. დედოფლის შემოსავალ-გასავალიც ჩვენ ქართლ-კახეთის ფინანსებში მოვაქციეთ. ამ შრომაში საუბარი გვექნება იმ გადასახდელებზე, რომელთაც ქართლ-კახეთის მოსახლეობა იხდიდა მეფისა და დედოფლის სასარგებლოდ, იმ შემოსავალზე, რომელსაც ღებულობდა მეფე და დედოფალი, და იმ ხარჯებზე, რომელთაც ეწეოდნენ ისინი. ჩვენ მოკლედ ვეხებით ეკლესიის ფინანსებსაც, რამდენადაც ეკლესია თავს იჩენდა სამეფო ფინანსებში. ჩვენს ამოცანას შეადგენს ქართლ-კახეთის ფინანსების შესწავლა, და ამიტომ, გასაგებია, თუ რატომ არ ვჩერდებით იმ გადასახდელებზე, რომელთაც იხდიდა გლეხი თავისი ბატონის სასარგებლოდ, არ ვეხებით აგრეთვე იმ შემოსავალსაც, რომელსაც ცალკე ბატონი ღებულობდა თავის მამულში.

* *

XVIII საუკუნის ქართლის ფინანსების შესწავლის ძირითად წყაროს შეადგენს „დასტურლამალი“. დასტურლამალი შედგენილია 1701—1711 წწ.

¹ იხ. У ч а н е й ш в и л и Д о р., К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII в.: „Материал по истории Грузии и Кавказа“, вып. VI, Тифлис, 1937 г.

ქართლისათვის. „ყველაფერი, რაც ვახტანგ მეექვსეს დასტურლამალში შეტანილი აქვს, მისი დროისა არ არის, არამედ ბევრი რამ XVII და ნაწილობრივ უფრო ადრინდელი საუკუნეების განრიგებასა და დანაწესებს წარმოადგენს“¹. მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ დასტურლამალი მოქმედებდა მთელი XVIII საუკუნის მანძილზე. საუკუნის განმავლობაში მოხდა ცვლილებები, მაგრამ ყველა ცვლილება თავს არ იჩენს დასტურლამალში; დასტურლამალის ზოგიერთი დებულება არ მოქმედებს მისი შედგენის შემდეგ, ზოგიერთი კი შეცვლილია, ზოგიც გამომუშავებულია დასტურლამალის შედგენის შემდეგ და არ არის ასახული მასში. ამიტომ დასტურლამალის გვერდით საჭიროა სხვა საბუთების გამოყენებაც. მაგრამ ერთი რამ შეიძლება ითქვას დაბეჯითებით: დასტურლამალი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართლის ფინანსების არსზე, განსაკუთრებით XVIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის. დასტურლამალში ფართოდ არის მოცემული ცნობები გადასახდელთა განაკვეთების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი გვაფრთხილებს: „მკვლევარს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ ამ ძეგლის პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, იქ შეტანილ სტატისტიკურსა და საერთოდ რიცხობრივ ცნობებს მერმინდელ მხმარებელთა კვალი ემჩნევა და შემდეგდროინდელ ხელნაწერებში რიცხვები, ზოგან მაინც, თავისი დროინდელით შეუცვლიათ. ამიტომ ამ რიცხობრივი ცნობებით სარგებლობის დროს მკვლევარს სიფრთხილე ჰმართებს“². იმ ციფრობრივ ცნობებში, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, სხვადასხვა ხელნაწერებში განსხვავებათა რაოდენობა მცირეა, თვით ციფრებში განსხვავება უმნიშვნელოა. რაც მთავარია, ეს განსხვავებანი სავსებით არ გვიშლიან ხელს დავადგინოთ ქართლის ფინანსების სახე მთელი საუკუნის მანძილზე. რასაკვირველია, ძნელი დასადგენია, თუ XVIII საუკუნის რომელ წლებს ეკუთვნის დასტურლამალში მოცემული განაკვეთები. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს აგრეთვე ის განაკვეთებიც, რომლებიც მოცემულია სხვა საბუთებში XVIII საუკუნის ბოლოსათვის. ეს განაკვეთები ზოგ შემთხვევაში ემთხვევა დასტურლამალის განაკვეთებს, ზოგ შემთხვევაში კი ეს განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე დასტურლამალში. ეს გარემოება გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასტურლამალში მოცემული განაკვეთები ეკუთვნის XVIII საუკუნის პირველ ნახევარს ან სამივე მეოთხედს.

დასტურლამალმა ჩვენ დრომდე მოაღწია სამი ვარიანტით. უძველესი ხელნაწერია სულხან მდივნისა (თუმანიშვილისა), მეორე ხელნაწერი ეკუთვნის სომხითის მელიქიშვილებს, მესამე გადაწერილია ალექსი-მესხიშვილის მიერ 1821 წ. ყველაზე უფრო სრულია უკანასკნელი ვარიანტი. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ უკანასკნელი ვარიანტით, რომელიც გამოსცა 1886 წ. პ. უმიკაშვილმა.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, მეორე გამოცემა, ტფილისი, 1930 წ., გვ. 51.

² იქვე, გვ. 52.

ალექსი-მესხიშვილის დედანში, რომელიც გამოცემულია პ. უმიკაშვილის მიერ, მასალა დალაგებულია ანბნის მიხედვით; ამ წესს საფუძვლად უდევს ცალკე მუხლების სათაურები, ასე, მაგ., „ალაყათის შუა სახლის რიგისათვის“, „ალაყათის აიენისათვის“, „აბანოთ იჯარათათვის“, „არაყხანის იჯარათათვის“ და ა. შ. ამიტომ დასტურლამალის მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ვითომც მასში არავითარი სისტემა არ იყოს დაცული, რომ მასში ერთმანეთს მოჰყვება მუხლები, რომლებიც სულ სხვადასხვა დარგს ეკუთვნის. თავდაპირველად ასე არ ყოფილა. სულხან მდივნის უძველეს ვარიანტში ნათლად ჩანს მასალის დალაგების სისტემა. ამ სისტემას სწორად გადმოგვცემს ივ. ჯავახიშვილი: „ჯერ განხილული და განსაზღვრულია დებულება სასახლეებისა, მეჯლისისა და მეჯლის-პურობასთან დაკავშირებული მეურნეობის შესახებ. შემდეგ განმარტებულია ხალხის აღწერისა და დავთრების შედგენა-დაცვის წესები, მერმე მოყვანილია სათითაოდ ყველა სახელმწიფო გადასახადის, ძღვენისა და ზეგარის ნორმები და მათი შეწერა-აკრეფისა თუ ჩაბარებისა, იმგვარადვე როგორც ანგარიშგასწორების წესები. შემდეგ ქალაქის წესწყობილებისა და საქალაქო გადასახადების ძირითადი დებულებებია აღნიშნული და ამასთან დაკავშირებით საბაჟო დაწესებულებათა ორგანიზაცია და ბაჟის ნორმებია განსაზღვრული. მერმე უბინაღრო მოსახლეობის, ელის ყოფა-ცხოვრებისა და გადასახადების შესახები დებულებანია მოყვანილი. ამას მეფის პირადი ე. წ. სახასო მეურნეობის, სოფლების გამოსადებისა და მოსახლეობის შესახები ნაწილი მისდევს. უკანასკნელად მოხელეთა სარგოს ნორმები და აღების წესებია განსაზღვრული“¹.

მეორე მნიშვნელოვანი წყაროა ქართლის საფინანსო მეურნეობის შესასწავლად „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“, გამოცემული დ. ჩუბინოვის მიერ (ქართული ქრესტომათია, СПБ, 1846 წ.).

მესამე მნიშვნელოვანი წყაროა „ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი“, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს 1784 წ., მაგრამ მასში მოცემულია ძველი წესების გამეორება და განახლება. ეს საბუთი გამოქვეყნებული იყო ორი რედაქციით ე. თაყაიშვილის მიერ („საქართველოს სიძველენი“, ტ. II, №№ 496, 497, ტფილისი, 1909 წ.).

უფრო ნაკლებია ცნობები კახეთის საფინანსო მეურნეობის შესახებ. მნიშვნელოვანი წყაროა „კახეთის ბაჟების გარიგება“, გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილის მიერ („საქართველოს სიძველენი“, ტ. III, № 160, თბილისი, 1910). ამ საბუთის რუსული თარგმანი უფრო ადრე იყო გამოქვეყნებული დ. ფურცელაძის მიერ („Грузинские крестьянские грамоты“, Тифлис, 1882, გვ. 70—73). ივ. ჯავახიშვილი სავსებით სწორად აღნიშნავს², რომ სათაური არ შეეფერება საბუთის შინაარსს „...ეს ძველი კახეთისა და ქიზიყის „გამოსადებისა საბატონოსი“ (ე. ი. სახელმწიფოსი) და მოხელეების

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნ. I, მეორე გამოც., ტფილისი, 1930 წ., გვ. 52.

² იქვე, გვ. 56.

გარიგების წიგნი ყოფილა და არა მხოლოდ კახეთის ბაჟების გარიგება. კახეთის შესახებ იგი თურმე ძველის შეცვლილ წესებს შეიცავს, ქიზიყის შესახებ კი — ძველის მხოლოდ განახლებას წარმოადგენს“. ეს ძველი ეკუთვნის 1750—60 წწ.; დ. ფურცელაძის მიერ მოცემული თარიღი, 1798 წ., მხოლოდ განახლების თარიღს შეადგენს.

მეორე მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ეხება კახეთის საფინანსო მეურნეობას, არის „ნუსხა კახეთის ბაჟებისა და მათი განაწილება“, გამოქვეყნებული ე. თაყაიშვილის მიერ („საქართველოს სიძველენი“, ტ. III, № 161); აქაც საბუთის სათაური სწორად არ არის მოცემული. იგი ეხება არა კახეთს მთლიანად, არამედ ქიზიყს და არსებითად წარმოადგენს ქიზიყის მოურავის სარგოს გარიგების წიგნს. იგი დაწერილია ქიზიყის მოურავის რ. ანდრონიკაშვილის მიერ 1802 წ., მაგრამ შეიცავს იმ წესებს, რომლებიც არსებობდა ქიზიყში უფრო ადრეც. ეს საბუთიც გამოქვეყნებულია დ. ფურცელაძის მიერ რუსულ ენაზე „Груз. крестьянские грамоты“, стр. 79—80).

არ შეგვიჩვენებთ სხვა მასალებზე, რომლებიც ეხება ქართლ-კახეთის ფინანსებს და რომლებიც გამოყენებული იყო ჩვენ მიერ.

*
* *

ახლა რამდენიმე სიტყვა საფინანსო ტერმინების შესახებ. იმ მამულს, რომელიც მეფის პირად საკუთრებასა და სარგებლობაში იმყოფებოდა „მეფის სახასო“ მამული ეწოდებოდა. „გამოსაღები“ ეწოდებოდა ყველაფერ იმას, რაც უნდა გაედო გლეხს მეფის სასარგებლოდ, ე. ი. როგორც სხვადასხვა ნატურალურ და ფულად გადასახდელებს, ისე სხვადასხვა ბეგარასაც. კანონმდებლობა არჩევს „საბატონო“ და „სამოხელეო“ გამოსაღებს. სხვადასხვა გამოსაღებთა სახელწოდებას ჩვენ ტექსტში შევხვდებით.

გამოსაღების გვერდით არის ტერმინი „ბეგარაც“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „გლეხთ გამოსაღები“, (ორბელიანი ს-ს., ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928). გლეხების სავალდებულო გამოსაღებისათვის იხმარება სხვა ტერმინებიც: „ბატონის სათხოვარი“ და „ულუფა“. „ბაჟი“, ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ტვირთის ხარკია“. ამრიგად, სიტყვა „ხარკი“ იხმარებოდა არა მხოლოდ იმ თანხის აღსანიშნავად, რომელიც ეძლეოდა დამპყრობელ სახელმწიფოს, არამედ გადასახადის აღსანიშნავადაც. მაგრამ სულხან საბა ორბელიანი თავისი განმარტებით ავიწროებს ამ სიტყვის შინაარსს. სიტყვა „ბაჟი“ იხმარებოდა არა მხოლოდ „ტვირთის ხარკის“ (ე. ი. თანამედროვე აქციზისა და ბაჟის) აღსანიშნავად, არამედ ზოგიერთი საფასურის აღსანიშნავადაც. „საბაჟო“, სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ბაჟთა ადგილი“, ე. ი. ადგილი, სადაც ხდება ბაჟების აღება (таможня). სხვადასხვა გადასახდელის გამოღებს ეწოდებოდა: „გამომღები“, „მოყალნე“, „მეულუფე“. გადასახადების გადამხდელს ერქვა „გაცე-

მული“, ხოლო არგადამხდელს—„გაუტემელი“. ადამიანს, რომელიც განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან ერქვა „თარხანი“, განთავისუფლებას კი—„გათარხნება“. საფინანსო კანონმდებლობა არჩევდა მამულიანსა და უმამულო („უაგარაკო“), უვენახო გლეხს; უკანასკნელს „ბოგანო“ ეწოდებოდა.

გადასახდელების გაწერის პროცესს ერქვა „შეგდება“, „შეწერა“. „იჯარა“ ეწოდებოდა როგორც ქონებისა და საწარმოს, ისე სახელმწიფო შემოსავლის ამა თუ იმ სახის დროებით გაცემას განსაზღვრულ გასამრჯელოში („аренда и откуп“). მაგრამ „იჯარა“ ერქვა აგრეთვე თვით იჯარაში ასაღებ თანხასაც. „ქარხანა“, სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონის ჩამმატებლის განმარტებით, არის „სავანგიო სახლი“. „ქარხანა“ ეწოდებოდა როგორც საწარმოს, ისე პროდუქტების საწყობსაც. იმას, რასაც მოხელეები ღებულობდნენ სახელმწიფო სამსახურისათვის, ერქვა: სარგო, ჯამაგირი, სარჩო, მუზღი, რუსუმი.

დაწესებულებას, რომელიც ღებულობდა, ინახავდა და გასცემდა ფულს, „სალარო“ ერქვა, ხოლო ადგილს, სადაც იწერებოდა და ინახებოდა საბუთები—„დავთარხანა“.

* * *

ტექსტის გაგების გასაადვილებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ზოგიერთი ქვემოთ მოთავსებული ცნობა.

1 თუმანი=10 მინალთუნს; 1 მინალთუნს=5 აბაზს; 1 აბაზი=2 უზალთუნს; 1 უზალთუნს=2 შაურს; 1 შაური=10 ფულს; 1 ბისტი=4 ფულს. სამ აბაზს მარჩილი ეწოდებოდა.

ერთი ვერცხლის აბაზის წონა 1707—1708 წწ. შეადგენდა 7,38 გრ.; 1717—18 წწ.—5,41 გრ.; 1748—49 წწ.—4,60 გრ.; 1769 წლიდან 1801 წლამდე—2,65-3, 07 გრ.

XVIII საუკუნის ბოლოს ქართული და რუსული მონეტების შეფარდება ასეთი იყო: 1 ფული უდრიდა 1/2 კაპ., 1 ბისტი=2 კაპ., 1 შაური=5 კაპ., 1 უზალთუნსი=10 კაპ., 1 აბაზი=20 კაპ., 1 მარჩილი=60 კაპ., 1 მინალთუნსი=1 მანეთს, 1 თუმანი=10 მანეთს. 1 ლიტრა=4 ჩარექს, 1 ჩარექი=5 სტილს, 1 სტილი=28 მისხალს. XVIII საუკუნის ბოლოს 1 ლიტრა დაახლოებით უდრიდა 8,75 რუსულ გირვანქას, კოდი ხორბალი და ქერი იყო 8, 10 და 12 ლიტრიანიც; კოკა იყო 8, 10, 12, 16 და 24 ლიტრიანი; ჩაფი=კოკის მეოთხედს.

I. ხარჯები

პირველი საკითხი, რომელიც განხილვას მოითხოვს, ეს არის საკითხი ქართლის ხარჯების შესახებ 1701—1761 წწ.

ცხადია, რომ ხარჯების საგანი აქაც იგივეა, რაც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში, მაგრამ საინტერესოა ამ ხარჯების კონკრეტული სახის გა-

მოვლინება. სამწუხაროდ, ჩვენ განკარგულებაში მყოფი მასალების საფუძველზე შეუძლებელია ამ ხარჯების კონკრეტული სახის სრული გამოვლინება, მით უმეტეს, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ამისათვის საჭირო ციფრობრივი მასალები. ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მცირეოდენი მონაცემით.

ხარჯების უდიდესა და უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს სამხედრო ხარჯები, თავდაცვის ხარჯები. ქართლი აწარმოებდა ხშირსა და დაძაბულ ბრძოლებს მრავალრიცხოვან მტრებთან თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის, ამიტომ იგი იძულებული იყო გაეწია დიდი ხარჯები სამხედრო საქმეზე. სიმაგრეების აშენება, სამხედრო მნიშვნელობის გზებისა და ხიდების გაყვანა, საომარი იარაღის დამზადება და შექმნა, სამხედრო პერსონალის შენახვა მშვიდობიანობისა და ომის დროს, დაქირავებული ჯარის შექმნა და სხვ.— ასეთი იყო სამხედრო ხარჯების სახეები. ამასთან, სამხედრო ხარჯებს უნდა მიეკუთვნოს ის ხარკიც, რომელსაც ქართლი უგზავნიდა ირანის შაჰს; სამხედრო ხარჯებს უნდა მიეკუთვნოს იმ სესხების დაფარვაც, რომელთაც მეფე იყენებდა ომისათვის, მასვე უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ტყვეების გამოსყიდვის ხარჯებიც.

ლექების შემოსევა 1723 წ. კახეთის მმართველის კონსტანტინეს მეთაურობით და თბილისის განადგურება ლექების მიერ, თბილისის ოკუპაცია 1723—1735 წწ. ოსმალეთის მიერ, ლექების შემოსევა 1750 წ., ომი ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შირვანის ხანის წინააღმდეგ 1751 წ., ბრძოლა ამავე წელს აზატ-ხანთან, განახლებული ბრძოლა ლექებთან 1754—1760 წწ.,— ყოველივე ეს აუარებელ სახსრებს მოითხოვდა. ეს ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელების შემდგომ თაობასაც კი. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ მეფე თეიმურაზი და ერეკლე თავის განძსაც კი იყენებდნენ იმისათვის, რომ შეექმნათ ძლიერი ჯარი. ასეთი ჯარი შექმნა, მაგალითად, თეიმურაზ მეფემ ლეკთა საწინააღმდეგოდ¹.

დიდ ხარჯებს მოითხოვდა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ც .

პატარა ქართლის მეფეც მეტად ხელოვანი იყო ცხოვრობდა. სასახლეების მოწყობა-მორთვა, ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, დარბაზობა, მრავალრიცხოვანი ამაღა, სასახლის სამღვდლოება, — ყოველივე ეს დიდ თანხებს ნთქავდა. ცნობილია, რომ ვახტანგ VI-მ გაიჩინა მცველთა ჯარი, რომელიც ჯამაგირზე იყო და რომლის შენახვა ცოტა როდი ჯდებოდა.

მმართველობის ხარჯებს ვაკუთვნებთ ჩვენ მმართველობის მთელი აპარატის შენახვასაც. მრავალრიცხოვანი მოხელეები, დაწყებული სახლთუხუცესიდან და დამთავრებული სოფლის უკანასკნელი მოხელით, საგრძნობ სახსრებს მოითხოვდა.

მოხელეების ანაზღაურების მრავალნაირი წესი იყო. მოხელეების სასარგებლოდ დაწესებული იყო: 1) ნატურალური გამოსაღებები, 2) ფულადი გამოსაღებები, 3) სახელმწიფო ნატურალური შემოსავლის მთლიანად დათმო-

¹ ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1941 წ., ნაწ. I, თ. თ. XVIII, XIX, XX.

ბა, 4) სახელმწიფო ფულადი შემოსავლის მთლიანად დათმობა, 5) ზედნართი სხვადასხვა ნატურალურ გამოსაღებზე, 6) ზედნართი სხვადასხვა ფულად გამოსაღებზე, 7) ანარიცხი მეფის ნატურალური შემოსავლიდან მტკიცე თანხის ან პროცენტის სახით, 8) ანარიცხი მეფის ფულადი შემოსავლიდან მტკიცე თანხის ან პროცენტის სახით, 9) ჯამაგირი ხაზინიდან ნატურით, 10) ჯამაგირი ხაზინიდან ფულით, 11) გასაცემი ჯამაგირის განსაზღვრული პროცენტი. ანაზღაურების ამ წესების ჩამოთვლა იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველი მოხელე ლეზულობდა სარგოს ყველა ამ წესის გამოყენებით; მოხელის ანაზღაურება ხდებოდა ერთი ან რამდენიმე წესის გამოყენებით.

ენახოთ, როგორი იყო სახლთუხუცესის სარგო: „ყოველს წელიწადს ზარათხანიდამ გარდაქუშით, ბევრი მოვა თუ ცოტა, თუმანი ოცდა ხუთი; ჩელიეჭილამ თუმანი სამი, ტყვის ბაჟილამ თერთმეტის თავის ნახევარი, როგორც იჯარა იქნების. აგრევე ყაფნიდამ, აგრევე არაყხანიდამ, აგრევე კარის აბანოს იჯარიდამ, აგრევე თამბაქოს იჯარიდამ, ყასაბხანიდამ, ელის ეთაზის თერთმეტის თავის მეოთხედის-ნახევარი, აგრევე ქოდავიდამ. ქალაქის მალზედ თავზედ ნახევარ შაური; ყაიყულის მალზედ თავზედ ნახევარ-შაური. აგრევე ბოლნისის მალზედ, აგრევე შულავრის და თეთრ-სოფლისაზედ, აგრევე ტაშირზედ, აგრევე ჯურორს, ანდიკასა და დამბლუტზედ, აგრევე გორისაზედ თავზედ ორი შაური. დიღმის მალზედ თავზედ სამ-ფულ-ნახევარი; კოდის-პურებისა ყველგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალახეებისა, აგრევე პირის-თავებილამ, აგრევე ნახირის თავებილამ, აგრევე ზჭრების კულუხისა, აგრევე სახასოს პურებილამ და ლალისა სადიასახლისოს ერბოს გარდა. რაც საბატონოს ერბოს მოსავლისა, თერთმეტის თავის ნახევარი; ოდუნ ახნის თერთმეტის-თავის ნახევარი; აგრევე სამასპინძლოებისა და სააღდგომოსაშობაოსი; ტუხთუს—მეთერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე იაღლუჯის საყორულოს ბრინჯისა; (ჩვენი აზრით, ასე უნდა იყოს: „აგრევე იაღლუჯის საყორულოს ბრინჯისა, ამისი ასრე არის“... გადამწერს, ალბათ, შეცდომა მოუვიდა; ამაში ვრწმუნდებით, როდესაც ვკითხულობთ მუხლს მდივნების სარგოს შესახებ (გვ. 50): „აგრევე იაღლუჯის საყორულოსი, ბრინჯისა და აბრეშუმებისა...“ და სხვ. ნ. ქ.). ამისი ასრე არის: თუ რუებს ხასადარი ადგია, იმისის მოსავლის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი არის, და თუ გასადარი არა ადგს და იჯარით ან ამანათად მიბარებული არის, იმისი თერთმეტის თავის ნახევარი არის; აგრევე აბრეშუმისა, ბანბისა თუ რასაც ფერისა რუებზედ მოსავლისა, ფუშთუქუნის ბარხანისა წილი¹აქჟს“¹.

იმ მუხლში, რომელსაც ჰქვია „მეთოფეთ უზბაშებისა და მეთოფეთ რიგისათჳს“, სხვათა შორის, სწერია: „ავალის-შეილის უზბაშის ქაიხოსროსათჳს გაგვიჩენია წელიწადში მინალთუნი ექვსი, ამას გარდისად თავის თაბუნს ორმოცს კაცზედ თითოს აბაზს კაცის-თავს წელიწადში აართმევდეს, ამ უზბაშის ულუფა დღეში ლავაში ორი, მანდაური ორი, უდიღმარხოთ კვრაში ღვინო

¹ დასტურდამალი მეფისა ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პ. უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886, გვ. 76—77.

ლიტრა ხუთი, დიდმარხუაში შაბათს-კვრას თვთო ლიტრა; ქსნილში ორს კვრაში ერთი ცხტარი, სამარხო კვრაში ნახევარ-ლიტრა მისის ნიგჭით, მარილი კვრაში ჩარეკი ერთი“¹. იმ მუხლში, რომელსაც ჰქვია „მდიგნების სარგოსათჳს“², სხვათა შორის აღნიშნულია: „ჯამაგირის წიგნის სარხათხედ თუმანზე აბასი“ (ე. ი. 2⁰/₁₀). ბაჟის აღების დროს ზოგ ბაჟზე არსებობდა ზედნართი ყარაულის ან მუშორიბის (მწერლის) სასარგებლოდ. „ზეთის საპალნეზედ ერთი აბასი, და მუშორიბინა ნახევარ-შაური“³.

ახლა მოვიყვანოთ ცნობა ადგილობრივი, მაგ., დიღმის მოხელეების შესახებ. „დიღმის მოურავის სარგო კომლზედ სატარულო შაურინახევარი გ, მებალახობა, ჯევის-თაობა, თავის-გასამტეხლო წარი ერთი, გასამყრელო წარი ერთი, რიგის-პური მართებულად, ვისაც ბევრი ცხტარი ჰყავს—ბატკანი, ვისაც ცოტა ჰყავს—თიკანი; კიდევ ვისაც ნაკლები ჰყავს, იმაზედ შაური; მალზედ თავზედ ნახევარ შაური. დიღმის ხასადრისა მალზედ თავზედ შაური—1; მოყალნეზედ კოკა—1; მალის ძღვენი, ზურის ათის-თავში, ღალის ათის-თავში; დიღმის მამასახლისისა—კომლზედ კოკა ტკბილი—1; მოყალნემ რომ ქორწილი ქმნას—ხუთი შაური; დიღმის ნაცჭლისა, დიღმის ზურის მუშას პური კოდი—14; ღვინო კოკა—20; მეზურეებს პური კოდი—24; საბურთაღის ზურებს პური კოდი—36; სხტა ჯერ არ დაკლებულა“⁴.

ეკლესია ქართლში თვითონ მსხვილი მემამულე იყო და მასთან ძლიერ პრივილეგირებული მემამულეც; და როგორც ასეთს, მას თავისი საგრძნობი შემოსავალი ჰქონდა. ეკლესია ღებულობდა ანაზღაურებას იმ „მომსახურებაში“, რომელსაც იგი უწევდა მოსახლეობას (ნათვლა, დასაფლავება, გვირგვინება და სხვ.); ეკლესია ღებულობდა საგრძნობ საჩუქრებს უძრავი და მოძრავი ქონების სახით მაღალი წოდებისაგან და თვით მეფე-დედოფლისაგანაც. მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ეკლესიის შემოსავალი; ეკლესიაც ღებულობდა ანარიცხს და ზედნართს ზოგიერთ შემოსავალზე. ეკლესიის ცალკე წარმომადგენლები ჯამაგირსაც ღებულობდნენ, მაგალ., კათოლიკოსი. დ. ფურცელაძე გადმოგვცემს ერთი საბუთის შინაარსს, რომლიდანაც ჩანს, რომ ქათოლიკოსი ანტონი ღებულობდა ჯამაგირს წელიწადში 1000 თუმნის ოდენობით⁵. სადედოფლო დასტურლამალით გათვალისწინებულია მტკიცე სარგო სასახლის სამღვდელთაათვისაც.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს არა მხოლოდ სარგოს დაწესების ხერხები, მისი წყაროები, არამედ მისი შინაარსი და მოცულობაც კი.

¹ დასტურლამალი, გვ. 48.

² იქვე, გვ. 50

³ იქვე, გვ. 101.

⁴ იქვე, გვ. 26—27.

⁵ Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гужари (грамоты), Тифлис, 1881, стр. 114.

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მოხელეები ყველა ამ შემოსავალს ღებულობდნენ იმ შემოსავლის გარეშე, რომელიც მათ ჰქონდათ თავისი საკუთარი მამულებიდან რენტის სახით (რენტა პროდუქტებით, შრომითი რენტა, ფულადი რენტა).

მაგრამ მოხელეები ამით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი, ზოგ შემთხვევაში, თვითნებურად აღიდებდნენ არსებულ გადასახდევებს და აწესებდნენ კანონით გაუთვალისწინებელ გადასახდევებსაც კი, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ. კანონმდებელი ებრძვის გადასახდევლთ-შემოქმედებას. ქრთამთან ბრძოლის ერთ-ერთი მაჩვენებელია სამართლის წიგნის 215 მუხლი: „ბქის დადგინებისათვის კელმწიფემ ასეთს კაცს უნდა უბრძანოს, რომე ორმოცს წელიწადს იქით იყოს და არც დიად სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუებდა, ღუთის მოშიში იყოს“¹.

გადასახდევლთ-შემოქმედებას კანონი სასტიკად ებრძვის, ამის დამადასტურებელ საბუთს ჩვენ შემდგომ გავეცნობით.

მეტად საჭირო და საინტერესოა მაშინდელი მოხელეების შემადგენლობა; ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ საფინანსო აპარატზე.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსებობდა უწყება, რომელიც ზრუნავდა მეფის საფინანსო მეურნეობაზედაც. ამ უწყების სათავეში იდგა სახლთუხუცესი. ვახუშტის განმარტებით, „ამისი კელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი...“².

სახლთუხუცესი ასრულებდა იმ დიდი მოხელის ფუნქციასაც, რომელსაც დღეს ფინანსთა მინისტრი ეწოდება. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო სპეციალური საფინანსო უწყება, ასეთი გაჩნდა მხოლოდ საუკუნის ბოლოს.

სასალარო საქმეც მოწესრიგებული იყო. ამ საქმის მეთაური მოლარეთუხუცესი იყო. „ამისი კელისა იყო: რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თვსთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისად უკმდა, და მის ქუცზე დაწესებულნი მოლარენი“³.

როგორც ჩანს, მოლარეთუხუცესის გამგებლობაში იყო არა მხოლოდ ფულის, არამედ ქსოვილების შენახვაც. მას ჰყავდა სპეციალური აპარატი — მუშრები (მწერალი), თავლიდარი (შემნახველი), მოლარე. ყურადღებას იპყრობს შენახვის სასტიკი წესები: „ბატონმა რომ ფარჩა ან სხტა სალაროდამ ითხოვოს, მოლარეთუხუცესი წინ წაუძღვებოდეს თავლიდარს, და ბატონს მიაართმევდეს კალათებსა, და ან ბატონი ტანისამოსს გამოაჭრევენებდეს, რაც ნაჭერი მოარჩებოდეს, ერთს ქისაში ჩასდებდეს, მოლარეთუხუცესი დაბეჭდავდეს და თავლიდარს მიაბარებდეს“⁴. სალაროს ჰყავს შტატი შემ-

¹ დ. ჩუბინოვი, ქართული ქრესტომათია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან, სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, СПб, 1846.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941 წ., გვ. 16.

³ იქვე, გვ. 17.

⁴ დასტურდამალი, გვ. 59.

დები პირებისაგან შემდგარი: სალაროს ნაზირი, თავლიდარი, მუშ-რიბი. თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ჩვენ საქმე გვაქვს ხაზინასთან, შემოსავალ-გასავლის სალაროსთან, ხაზინის უფროსთან და მის თანამშრომლებთან.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მეჭურჭლეთუხუცესი. „ამისი კელისა იყო ყოველნი საქურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი“. როგორც ჩანს, მეჭურჭლეთუხუცესი მეფის ესთეტიკური ფორმის განძის შემნახველი იყო¹.

მეფეს ჰქონდა ე. წ. ქარხანა, სადაც ინახებოდა გადასახდელთა სახით მიღებული ან შეძენილი სხვადასხვა პროდუქტი. ქარხნის სათავეში იდგა ქარხნის ნაზირი ანუ ეზოს მოძღვარი. „ამისი კელისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვავისა, ანუ სხვათა“². ქარხანასაც თავისი შტატი ჰყავდა; ქარხნის ნაზირსაც მთელი რიგი თანამშრომელი ჰყავდა: მუშ-რიბი, მოლარე და სხვ. ამ ქარხანასაც და მის თანამშრომლებს, როგორც ეს ჩანს ეზოს მოძღვრის ფუნქციების ჩამოთვლიდან, მტკიცე კავშირი ჰქონდა მეფის საფინანსო მეურნეობასთან.

თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია ფეშქაშის ქარხანას, ე. ი. ისეთ დაწესებულებას, სადაც შემოდინოდა და ინახებოდა ფეშქაში. აქ მუშაობენ ფეშქაშნივისი — ფეშქაშის დამწერი და ფეშქაშის თავლიდარი, ე. ი. ფეშქაშის შემნახველი პირი, რომელსაც აბარია მირთმეული ძღვენი.

არ უნდა დავივიწყოთ ზარაფხანაც, რომელიც შედის მეფის საფინანსო მეურნეობაში. აქ მუშაობენ: საბაქი, სუხტი, ფიშქაოი, დამდაბი, შაირი, აჰნგარი და მრავალი სხვა ოსტატები, რომლებზედაც ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით.

საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად აღვნიშნოთ დავთარხანის არსებობა, ე. ი. ისეთი დაწესებულებისა, სადაც ინახებოდა ყოველგვარი დოკუმენტი, მათ შორის ისეთიც, რომელიც ფინანსებს ეხებოდა. ჩვენ დავინახავთ, რომ აქ წარმოებდა გადასახდელთა აღრიცხვა, გადასახდელთა გაწერა, ანგარიშების შედგენა და სხვ.

საფინანსო პერსონალის გარჩევისას არ უნდა დავავიწყდეს იჯარადარი (откупщик), რომელიც იჯარით იღებდა ამა თუ იმ გადასახადის აკრეფას; სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რა წესები არსებობდა შემოსავლის იჯარით გაცემისას.

ადგილობრივ საერთო მეთვალყურეობა ფინანსების სფეროშიც ეკუთვნოდა მოურავს, მაგრამ აქვე მოქმედებდნენ აგრეთვე სპეციალური მოხელეებიც, რომელნიც ზრუნავდნენ მეფის ნატურალურსა და ფულად-შემოსავალზე. ყოველი მნიშვნელოვანი შემოსავლისთვისაც გამოყოფილი იყო თავისი მოხელე. ამ მოხელეთა შორის აღსანიშნავია მოპირისთავე, მობალახე, ერბოს

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა..., გვ. 16.

² იქვე.

მკრეფელი, მეკულუხე, მესთვილე, მელაღე, მებაჟე, მესაუ-
რე, მემალე. ზოგი თანამდებობა ან მუდმივ, ან დროებითს ხასიათს ატა-
რებდა, ასე, მაგალითად, მეკოდის პურის შესახებ ვკითხულობთ: „ვინცა ვინ
მეკოდის-პურენი ჰამასალად მქონებელნი, თუ ისრე, ერთის წლით მქი-
რაფი...“¹

მისაღები პროდუქტების შესანახად ადგილებზე ეწყობოდა საწყობები,
რომელთაც განაგებდა ამბარდანი. ამბარდანს, როგორც დავინახავთ,
მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული კოდისპურის მიღების დროს.
და, ბოლოს, საფინანსო მეურნეობის დარგში მუშაობდა იასაულიც, რო-
მელიც აღმასრულებლის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო გადამხდელთა აღ-
რიცხვას აწარმოებდნენ აღმწერლები.

ასეთი იყო ძირითადად საფინანსო აპარატი და პერსონალი. დედოფალ-
სა და ეკლესიასაც კი თავისი საფინანსო აპარატი ჰყავდა, რომელიც მეფის
საფინანსო აპარატის მსგავსი იყო.²

ფართო ადგილი ეკავა მეფის ხარჯებში გაბატონებული კლასის დაფი-
ნანსებას, რომელიც სხვადასხვა ფორმას ღებულობდა. სხვადასხვა გადა-
სახადებისა და ბეგარისაგან განთავისუფლება დაფინანსების ერთ-ერთ სახედ
უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებული სამსახურისათვის მეფე ზოგიერთ პირს
პენსიასაც უნიშნავდა. მეფე ასაჩუქრებდა თავის მალა თანამდებობის პირს
არა მხოლოდ სხვადასხვა ნივთებით, არამედ მამულითა და გლეხებითაც. მეფე
გააჩუქებდა ან იმ მამულს, რომელიც ეკუთვნოდა მას, როგორც გასამრჯელო,
ან კონფისკაციაქმნილ და ბეითალმან მამულს, ან კიდევ საკუთარი მამულის
ნაწილს. მეფე ფართოდ არიგებდა სხვადასხვა თანამდებობებსაც. ჩვეულებრივი
მოვლენა იყო სხვადასხვა თანამდებობათა დარიგება მატერიალური მდგომა-
რეობის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით ბევრ საჩუქრებს ღებულობდა
ეკლესია. გამონაკლისის სახით ხდებოდა დაბალი წოდების წარმომადგენელ-
თა დაფინანსებაც ნივთებით, თანამდებობათა მიცემით და გადასახდელებისა-
გან განთავისუფლებით. დაბალი წოდების დაფინანსება გამონაკლისის სახით
წარმოებდა ისევ მეფის ინტერესებისათვის, იგი ემსახურებოდა მის ბატონო-
ბის განმტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამართლის წიგნის 233-ე მუხლი-
: „კაცი დიდგვარისა, თუ დაბალი, ვინცა-ვინ მიიცივალეზოდეს, მან ანდერძით
ვინც დააპატრონოს ასრე იქნას. თუ რამ საქონელით თავისი მოგებულნი ჰქონ-

¹ დასტურლამალი, გვ. 55.

² თანამდებარე ნარკვევი უკვე დაწერილი იყო, როცა გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა, რომ-
ლებშიც განხილულია, სხვათა შორის, ქართლის სამოხელეო წყობაც. პროფ. ივ. სურგულა-
ძე თავის შრომაში „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I. ქართლის
სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში“ ვრცლად ეხება მმართველობის
ცენტრალურ და ადგილობრივ აპარატს; საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე
ვ. გაბაშვილის „დარბაზობის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით“, ენიშკი-
ს მოამბე, XIII, 1943; შ. მესხია „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტო-
რიისათვის“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1948 წ.

დეს ვერა-ვინ გაუტეხს ანდერძსა, ვისაც დააპატრონებს იმ ნასყიდს, მამულს, და თუ საბატონო რამ იყოს, ან ბატონს ებოდებინოს, იმას ვერ გასცემს, ბატონს უნდა ჰკითხოს, ბატონზედ ჰკილია. — ვისაც ეპრიანება, იმას უბოძებს...“ როგორც ჩანს, მეფის ნაბოძები ქონებით განკარგულება შეზღუდული იყო. ყოველივე აქ ნათქვამის დასტურს ჩვენ ვპოულობთ ყოველ ნაბიჯზე იმ საბუთებში, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პირთა მიერ¹.

მეფის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო სამეურნეო ხარჯებიც. ასეთ ხარჯებს უნდა მივაკუთვნოთ ყველა ის ხარჯი, რომელთაც ადგილი ჰქონდა მეფის მიერ მისი მამულის ექსპლოატაციის დროს. ამავე ხარჯებს უნდა მივაკუთვნოთ შტრის მიერ დანგრეული სოფლებისა და ქალაქების აღდგენის ხარჯები, გლეხების დასახლება და ცლილ ადგილებზე, გზების, ხიდების, არხების აღდგენა, გაყვანა და შენახვა, შენობების აგება, საწარმოთა მოწყობა, სხვადასხვა სახის ქონების შეძენა და სხვ. ცნობილია, თუ როგორ ზრუნავდა მეფე ვახტანგი აბრეშუმისა და ბამბის კულტურების განვითარებისათვის.

შედარებით უმნიშვნელო იყო სოციალურ-კულტურული ხასიათის ხარჯები, რომელნიც, როგორც წესი, არ სცილდებოდა მეფის სასახლის ფარგლებს. საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის ხარჯებში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1709 წელს სტამბის დაარსებასთან დაკავშირებული ხარჯები და აგრეთვე სემინარიის დაარსებასთან დაკავშირებული ხარჯები; სემინარია დაარსდა 1756 წ. თბილისში, როგორც პირველი სახელმწიფო სასწავლებელი.

ხარჯების განხილვის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის საჩუქრებიც, რომელთაც უგზავნიდნენ მეფე და დედოფალი უცხო სახელმწიფოებს. იმ შემთხვევაში, როდესაც საჩუქრები ეგზავნებოდა დამპყრობელ სახელმწიფოს, სინამდვილეში საქმე გვაქვს საჩუქართან მხოლოდ ფორმალურად, არსებითად იგი ხარკის ფარულ სახეს წარმოადგენდა. ხარჯების განხილვის დროს ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეფე ქმნიდა რეზერვებს როგორც ნატურით, ისე ფულთ. მეფის და დედოფლის ხარჯების ნაწილი იყო ნატურალური, ნაწილი კი ფულადი.

კახეთიც ეწეოდა ისეთ ხარჯებს, როგორსაც ქართლი. აქაც პირველ რიგში იდგა სამხედრო ხარჯები და მას მოჰყვებოდა მმართველობის ხარჯები. ქიზიყის ბაყების გარიგებაში ჩვენ ვპოულობთ მითითებას იმაზე, თუ როგორი იყო მოხელის სარგოს წყაროები: 1) მოსახლეობის ნატურალური გამოსაღები, 2) მოსახლეობის ფულადი გამოსაღები, 3) ანარიცხი მეფის ნატურალური შემოსავლიდან, 4) ანარიცხი მეფის ფულადი შემოსავლიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა ასეთი წყაროებიც: ზედნართი სამეფო შემოსავალზე და ჯამაგირი ნატურითა და ფულთ. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ქიზიყის მოურა-

¹ Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджари (грамоты), гв. 26 (1718 წ.), гв. 59—60 (1712 წ.), гв. 61 (1736 წ.), гв. 78 (1707 წ.); Д. Пурцеладзе, Грузинские дворянские грамоты, Тифлис, гв. 15 (1715 წ.), гв. 16 (1725 წ.), гв. 16—19; საქართველოს სიძველენი, ტ. 11, № 179, 183; საქართველოს სიძველენი, ტ. III, № 183; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I. ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), № 167, 179, 180, 208, 277 და სხვ.

ვის სარგო: 1) შემოსული ბაჟების 1/3 (გარდა ზოგიერთისა, რომელიც სპეციალურად აღნიშნულია გარიგებაში: „გაღმის ბაჟი რაც გამოვა, ან ჭარისა, ან ენისლისა, ან შირვანისა, სულ ბატონისა არის, მოურავს კელი არა აქვს, გამსვლელი თუ გამომსვლელი, მუხ. 5), 2) ანარიცხი ქურდის ჯარიმისაგან, 3) თავის გასამტეხლო ნარბევისა და ბეითაღმან ქონების წილი, 4) მალისა და საურის წილი, 5) გასამყრელო, 6) მოსახლეობის ფულადი და 7) ნატურალური გამოსალეებები¹.

საკმაო ცნობა მოგვეპოვება გაბატონებული კლასის დაფინანსების შესახებ. შემომოყვანილი წყაროებიდან ჩანს, რომ კახეთშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო: 1) განთავისუფლება გადასახდელებისა და ბეგარისაგან, 2) პენსიის დანიშვნა, 3) გაჩუქება ნივთებისა და მამულისა, 4) თანამდებობათა დარიგება მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნათქვამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითიდან მოვიყვანთ ერთს, სახელდობრ: დ. ფურცელაძემ გამოაქვეყნა ასეთი საბუთი: Царь Назарли хан дает Георгию Петриеву грамоту о том, что „он явился ко двору его величества, и, в награду за ревностную его службу, просил пожаловать ему имение и должность, и мы, услышав твою просьбу, пожаловали тебе крестьян и имение в селениях Корети, Нанакисеви, Земо-Ходашени и Отхтвалиани и должность моурава панкисского, тушинского и магранского; крестьян твоих мы освободили от всех казенных податей, а также и от хевиставского оброка. Отец твой за спасение царицы получал по 120 руб. содержания в год, это содержание мы и тебе назначаем; отец твой был тушинским мебалахе, это звание мы предоставляем и тебе с тем, чтобы половина сабалахо с 400 дворов тушин поступало в нашу казну, а половина в твою пользу“².

2. შემოსავალი სახასო მამულიდან

ქართლის მეფის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს შეადგენდა სახასო მამული ის, რასაც დასავლეთ ევროპაში დომენი ეწოდებოდა. სახასო მანული, შეიცავდა ტყესა და მიწა-წყალსაც.

სახასო მამულის ექსპლუატაცია სხვადასხვანაირად წარმოებდა.

მეფის მამულში შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა ის მიწა, რომელიც ეკუთვნოდა მას და რომელიც იმყოფებოდა ყმის სარგებლობაში. მეფე ღებულობდა ყმისაგან რენტას. ამ პერიოდში ჩვენ ვხვდებით სამივე სახის რენტას: შრომითს რენტას, პროდუქტებით რენტას და ფულად რენტას, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფულად რენტას უმნიშვნელო ადგილი ეკავა. რენტას ღებულობდა მეფე ნატურალური და ზოგიერთი ფულადი გამოსალეებისა და მრავალნაირი ბეგარის სახით. გადავიდეთ მათ გარჩევაზე. აქ

¹ „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, № 161.

² „Грузинские дворянские грамоты“, стр. 12—13; см. также Д. Пурцеладзе, „Крестьянские грамоты, церковные гуджари“; „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, II, III; „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

პირველ რიგში აღსანიშნავია ღალა. ღალა არის მოსავლის ის ნაწილი, რომელსაც გლეხი აძლევდა მეფეს, მემამულეს, როგორც მიწის მესაკუთრეს. ღალის სიდიდე მერყეობდა მოსავლის 1/8-დან 1/4-მდე; ამასთან, მეფის სახასოში იგი მერყეობდა 1/8-დან 1/4-მდე, ხოლო დედოფლის მამულში კი—1/7-დან 1/6-მდე. ღალის სიდიდე მერყეობდა ძირითადად მიწის ხარისხის მიხედვით, იგი სხვადასხვა იყო სხვადასხვა სოფელში. ასე, მაგალ., ალექზე ღალა შეადგენდა 1/7, ბოლნისში—1/8, კავთისხევში (სარწყავში)—1/5, ურწყავში—1/6, დილომს სარწყავში—1/5, ხოლო ურწყავში—1/7. როგორც წესი, სადედოფლო ღალა უფრო დაბალი იყო, ვიდრე საბატონო. ერთ და იმავე სოფელშიც კი სადედოფლო ღალა უფრო დაბალი იყო, ვიდრე საბატონო; ამის მაგალითს წარმოადგენს დილომი. დასტურლამალში წერია: „მეფისათვის რომ ხუთზედ იღებენ, სადედოფლოს ექვსზედ ავიღებთ“ (დასტურლამალი, გვ. 126). ღალის აღების სხვა წესებიც არსებობდა, მაგალითად, ფართობის მიხედვით. ასე, მაგალ., ავლაბარზე ღალა შეადგენდა სამ ფოხალ პურს დღიურზე.

მეფე მოითხოვდა დაწვრილებითს ანგარიშს სახასო პურის მოსავლის შესახებ. დასტურლამალში წერია: ჩუშნის სახასოს სოფლის კასადრებმან პურისა და ქერისამან, ყველამ ენკენისთვის გასვლამდინ ანგარიში მოსცენ, რომ შეეიტყოთ, რა მოსულა, რომ იმისი ფიქრი ვჰქმნათ; თორემ, თუ ამ დროს ანგარიში გასცილდა, კასადრობაც დადუას და იმ წლის თავის სარგოცა“ (იქვე, გვ. 72).

ღალის გარდა არსებობდა კულუხიც, რომელიც წარმოადგენდა ღვინით გამოსაღებს იმ პირთათვის, რომელნიც ეწეოდნენ მევენახეობა-მეღვინეობას. კულუხი იყო „ღვინის ღალა“, როგორც განმარტავს სულხან საბა ორბელიანი¹. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ კულუხი აიღება, თუ მოსავალი მოვა (დასტურლამალი, გვ. 120). კანონმდებელი ზოგჯერ აღნიშნავს, რომ კულუხი მოსავალზე ჰკიდია (იქვე, გვ. 17), ზოგჯერ კი იგი მამულზე ჰკიდია; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კანონმდებლის განმარტებით, დიდ მამულს დიდობით და ცოტას ცოტაობით ჰკიდია (იქვე გვ. 26). კულუხის შეწერა ხდება ყოველწლიურად. კანონი ამბობს, რომ კულუხის დაწესება დამოკიდებულია ბატონზე: აიღება ის, „რასაც ბატონი შეაგდებს“ (იქვე, გვ. 17); ზოგიერთი სოფლისათვის დასტურლამალი იძლევა კულუხის სიდიდეს, კულუხი შეადგენდა მოსავლის 1/5—1/3 (იქვე, გვ. 8, 45, 97). ზოგ შემთხვევაში კულუხის სიდიდე კონკრეტულად ნაჩვენებია არ არის.

გამოსაღებთა სისტემაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძღვენს მეფისა და დედოფლის სასარგებლოდ. მისი გაღება დაკავშირებულია სხვადასხვა დღესასწაულთან. არსებობდა შემდეგი სახის ძღვენი: საახალწლო, საშობაო, სააღდგომო, საყველიერო, სამარხო, საწყალებურთხეულო. ძღვნის გაღება ხდებოდა როგორც ნატურით, ისე ფულის მცირე ნაწილითაც. საახალწლო ძღვენი, რომელსაც აგრეთვე „სანოვრუზო“ ერქვა, აიღებოდა

¹ სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928, გვ. 179.

ფულით, და დასტურდამალის მიხედვით შეადგენდა ერთ აბაზს კომლზე. სხვა სახის ძღვენი გაიღებოდა ნატურით და მისი შინაარსი და მოცულობა იცვლებოდა სოფლების მიხედვით. ძღვნის გამოძღვნი სოფელი იყო. მაგ., საშობაო და სააღდგომო ძღვენი ასეთი იყო: ალექში—ორი ცხვარი და ათი ქათამი, ბოლნისში—ერთი ძროხა, სამი ცხვარი და 15 ქათამი, დიღომში—15 ცხვარი. ზოგ შემთხვევაში ასეთ ძღვენს ემატებოდა ბატკანი, ერბო, კვერცხი. სხვა სახის ნატურალური ძღვენი გათვალისწინებულია სადედოფლო დასტურდამალით; მაგალ., საყველიერო ძღვენი გომარეთისათვის ასეთი იყო: ერბო 1 ლიტრა, ყველი 6 ლიტრა, კვერცხი 100 ცალი. სამარხო ძღვენი კი ასეთი იყო: ორი კოდი ცერცვი, ერთი კოდი ნიგოზი, 6 ლიტრა ტყლაპი. საწყალკურთხეულო ძღვენი გაიღებოდა სანთლით: აღისათვის, მაგალითად, იგი შეადგენდა 6 ლიტრას. ძღვენი გაიღებოდა არა მხოლოდ რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებით, არამედ რომელიმე შემთხვევასთან დაკავშირებითაც. ასე, მაგალითად, მეფის ოჯახის წევრების დაქორწინება, დასაფლავება, სულის ხსენება (ალაპი) წარმოადგენდა საფუძველს ძღვნის გაღებისათვის. სადედოფლო დასტურდამალი ითვალისწინებდა სასვიანოს, რომელიც შეადგენდა ერთ მარჩილს (ე. ი. სამ აბაზს). შეიძლებოდა ძღვნის გაღებას სხვაგვარი საფუძველიც ჰქონოდა, მაგალითად, მეფის ან მისი ოჯახის წევრებისადმი რაიმე თხოვნით მიმართვა და სხვა. დასტურდამალი არ ითვალისწინებს ძღვნის გაღებას ასეთ შემთხვევაში, მაგრამ, ექვს გარეშეა, რომ ასეთი შემთხვევის დროსაც წარმოებდა ძღვნის გაღება.

სამასპინძლო არის მეფის გამასპინძლების ერთ-ერთი სახე. გლეხი ვალდებულია აქამოს და ასევეს ბატონს უკანასკნელის სოფელში ჩამოსვლისა და ყოფნის დროს. სამასპინძლოს გამოძღვნი არიან მამულიანი გლეხები; ბოგანო, ე. ი. უმამულო, უგენახო გლეხი, თავისუფალია. მასპინძლობაში არსებობდა ზოგიერთი შეღავათიც; ასე, მაგალითად, სადედოფლო დასტურდამალის მიხედვით დიღომელები თავისუფალი იყვნენ სამასპინძლოსაგან (გვ. 127). სამასპინძლოს აღება ხდებოდა შეწერის გზით; იგი შეეწერებოდა ან კომლს, ან კომლის ჯგუფს, ან სოფელს მთლიანად. კანონმდებელი ან უბრალოდ აღნიშნავს, რომ სოფელს ძეს სამასპინძლო, მისი შინაარსისა და მოცულობის გაურკვეველად, ან აღნიშნავს, რომ სოფელს ძეს „შეძლებით სამასპინძლო“, ან, უფრო იშვიათ შემთხვევაში, კონკრეტულად აღნიშნავს, თუ რა და რამდენი უნდა იქნეს გაღებული. სამასპინძლო მეფის სრულ საკუთრებას შეადგენს: თუ მან სამასპინძლო ადგილზე ვერ მოიხმარა, მას უფლება აქვს თან წაიღოს იგი. ცხადია, რომ მასპინძლობა არ ევალდებოდა მხოლოდ იმ პირს, რომელთანაც მეფე იყო ჩამდგარი; მასპინძლობა არ განისაზღვრებოდა არც იმ პირთა ჯგუფით, რომელიც მოისურვებდა სამასპინძლოს მიერთმევას მეფისათვის. მასპინძლობა სავალდებულო იყო ყოველი მამულიანი გლეხისათვის, თუ იგი არ იყო განთავისუფლებული მეფის ბრძანებით, დასტურდამალის სპეციალური მუხლი ამბობს: „თუ ბატონი ზემო ქართლში წაბრძანდეს, ვინც არ დაჰპატიუებს და ან სამასპინძლოს არ მიართმევს, მოკელენი სამასპინძლოს შეაწერონ“ (გვ. 73). ცხადია, რომ სამასპინძლო გაიღებოდა იმდენჯერ, რამდენ-

ჯერაც მეფე ჩავიდოდა სოფლად. მოვიყვანთ მაგალითს სამასპინძლოს შინაარსისა და მოცულობის შესახებ: „ბატონი რომ ყარაიაზედ წაბრძანდებდა, ოცს კომლზედ ძროხა—1, ცხტარი—4, ბატკანი—4, ბრინჯი ლიტრა—10, ქერი ლიტრა—20, მარილი ლიტრა—5, ხახვი ლიტრა—5, ბზე საპალნე—2 (დასტურლამალი, გვ. 7). იშვიათ შემთხვევაში სამასპინძლო ფულითაც გაიღებოდა: „კოჭრიდამ რომ ბატონი წაბრძანდებდა, სამასპინძლო—მარჩილი 20“.

ქართლის მოსახლეობა საკვებად იყენებდა ერბოს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ დაწესებული იყო სპეციალური გამოსაღები ერბოთი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით დასტურლამალში სახასო ერბოს სახელწოდებით. სახასო ერბოს გამოღება სავალდებულო იყო თრიალეთში, ყაიყულსა და ტაშირზე ყველასათვის, ვისაც ფური ჰყავდა. გამოსაღები დაწესებული იყო ფურის თავზე. ასაღები ერბოს რაოდენობა იცვლებოდა სოფლების მიხედვით. ჩვეულებრივი განაკვეთი ასეთი იყო: ფურზე—ან ჩარეკი, ან სტილი, ან ხუთი სტილი, ან სამი ლიტრა; ბერწხედ—ჩარეკი. დასტურლამალი ადგენს ერბოს აღების წესს ყაიყულზე: „ერბო ფურზედ ხუთი სტილი გამოიღონ. ამ წესით ერთი ერთბირიანი კაცი წავიდოდეს, ფურს დასთქლიდენ, სოფელსა და სოფელსა რაც ფური დადგეს, თავ-თავის სოფლის სამასახლისებს დააწერდენ. მამასახლისი ამ ერბოს სოფლის უღაყით ჩამოიტანდეს, აუშტარს მიაბარებდეს“ (გვ. 10). მეფე მოითხოვს, რომ ჩაბარებული ერბო კარგი ხარისხის იყოს: „თრიალეთზედ, ყაიყულისა და ტაშირზედ ჩქეშნის ერბოს მკრეფელნი კარგის ერბოსაგან ჩამოიტანდნენ. თუ გლახმა ავი ერბო მოიტანოს, აუშტარი ნუ დაუჭერს; თუ იასაულს ექმნას და გამოუტყალოს, იმას გარდაჰხდეს; თუ აუშტარს გამოეცვალოს და ავი ერბო ჰამაზედ მოვიდეს, იმ დღეს ერბოსა და ბრინჯს ავად დარჩეულის კარჯს აუშტარს ნუ ჩაუგდებენ“ (გვ. 27).

აღნიშნულ ნატურალურსა და ფულად გამოსაღებებს მოჰყვება სხვა მრავალი ნატურალური და ზოგიერთი ფულადი გამოსაღებიც, რომელიც ისევ პროდუქტებით გამოსაღებს და ფულად რენტას უნდა წარმოადგენდეს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მთელ რიგ სოფლებს უნდა გამოეღო აჯილდის ქერი; გამოსაღები ქერის რაოდენობა მერყეობდა სოფლების მიხედვით ოცი კოდიდან სამოც კოდამდე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოსაღების გარდა, ბოლნისელებს უნდა გამოეღოთ 150 კოდი აჯილდის ქერი, 15 კოკა ძმარი; კავთისხეველებს—ერთი საპალნე კოწახური, ერთი კონა სარი კომლზე, ერთი საპალნე ისრიმი, ხე შეწერდით; შულავერს—15 კოკა ძმარი; დიღომს ათი კოკა ძმარი; ზოგ სოფელს მარხვაში და ყველიერში თევზი უნდა გამოეღო; გაღმა ჭალის მებოსტნეებს ბოსტნეული უნდა მიერთვათ მეფისათვის; ზოგ სოფელს შევარდენსა და კვერნასაც კი შეაწერდნენ: „სახდელის ერთ შეგდებაზე“ ბატონისათვის სამი ჩარეკი ზეთი უნდა გაეღოთ. ფულადი გამოსაღები დაწესებული იყო კომლზე თითო შაურის რაოდენობით ყაიყულში, შულავერსა და თეთრ სოფელში.

ახლა შევხვთ ბეგარას. ბეგართა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომითს ბეგარას, მუშაობას ბატონისა და დედოფლის მამულში (барщина). უმა-გლეხი ვალდებული იყო ემუშავა ყანაში,

ზვარში, ბალში, ბოსტანში. დასტურდამალი ზუსტად განსაზღვრავს, თუ წლის განმავლობაში რამდენი დღე უნდა ემუშავა გლეხს მეფის ან დედოფლის მიწაზე. ეს ბეგარა ცვალებადი იყო სოფლის მიხედვით და, ჩვეულებრივ, შეადგენდა წელიწადში 3—4—5 დღეს. გლეხის მოვალეობაში შედიოდა ხვნა, თესვა, ფარცვა, მორწყვა, მკა, ზიდვა, ლეწვა და ა. შ.

ადგილი ჰქონდა ე. წ. ნადობასაც, ე. ი. მუშაობას იმ დღეებზე ზევით, რაც იყო დაწესებული გლეხებისათვის. მემამულე საჭიროების შემთხვევაში დაუძახებდა გლეხს სამუშაოდ და უკანასკნელს არ შეეძლო უარი ეთქვა.

შრომითი ბეგარის შემდეგი სახე იყო საგზაო ბეგარა, ე. ი. გზების გაყვანა და შენახვა. დასტურდამალი სპეციალური მუხლით (დასტურდამალი, გვ. 22) აღნიშნავს, ვინ სად უნდა უთავოს გზების შენახვას.

ცალკე ადგილი უკავია სარუო ბეგარას, ე. ი. რუს გაყვანასა და შენახვას. დასტურდამალით დადგენილია, ვინ სად უნდა იმუშაოს რუს გაყვანასა და შენახვაზე (იქვე, გვ. 83).

შრომითი ბეგარის ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს ქეშიკობა, ე. ი. ყარაულობა, მცველობა. მეფის თავილის, ე. ი. შესანახი ქონების მცველობა ევალებოდა ცალკე სოფლებსა და მამულებს. ბეგარა გამოხატული იყო დღეთა ან ღამეთა რაოდენობით; ასე, მაგალითად: „უნდა უქეშიკონ ბატონის თავილას დიდომმა დღე ოცი, ვეძისმა—ღამე ათი, მწყენთმა—ღამე ათი, თხილოვნამ—ღამე ათი, თურქისტანისშვილის მამულმა ღამე ათი და სხვ. (დასტურდამალი, გვ. 34).

შეშითი ბეგარა მდგომარეობდა მეფის შეშით მომარაგებაში. ტყე ეკუთვნოდა მეფეს და, ნაშასაღამე, აქ ლაპარაკია იმავე შრომით ბეგარაზე; გლეხს უნდა გამოეტანა შეშა ტყიდან და ჩაეტანა იგი იქ, სადაც იყო დანიშნული მოხლეების მიერ. დასამზადებელი შეშის რაოდენობა წინასწარ განისაზღვრებოდა. კანონმდებელი ამბობს: „შეშა შეწერთ“.

შრომითი ბეგარა ამით არ ამოიწურებოდა. ყმა ვალდებული იყო შეესრულებინა ყოველგვარი სამუშაო, რომელზედაც მას დაუძახებდნენ. კანონმდებელი ამას შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს: „ბეგარა რაზედაც დაუძახონ“ (დასტურდამალი, გვ. 8). კონკრეტულად შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი სამუშაო: სასახლეში მუშაობა, მცხეთის მისვლაზე სამსახური, კონის ჩადგმა, კონის ქვით შევსება, ქვის ზიდვა, ბარგის ჩატანა, მარნის რეცხვა, თოვლის ზიდვა, ქარვასლის წმენდა, ქარხნების შეკეთება, სამღებროების მომსახურება, თევზის კერა ბატონისათვის, „კიდევ სხუა რაც მოგვიჩადება“ (დასტურდამალი, გვ. 119).

საზიდი ბეგარა ითვლებოდა ბეგარის ერთ-ერთ უმძიმეს სახედ, რამდენადაც მეფე ფართოდ სარგებლობდა გლეხის სატრანსპორტო საშუალებებით. გლეხს უნდა ჩაეტანა მთელი მოსავალი სოფელში, სოფლიდან თბილისში მას უნდა ჩაეტანა ღალისა და კოდის პურის ნაწილი მაინც, ყაბახი, ტკბილი, კულუხი. გარდა ამისა, მეფეს, საჭირო შემთხვევაში, შეეძლო ეთხოვა გლეხისათვის ურემიც. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეფის მომსახურებას ცხენით. სოფელმა საჭიროების დროს ცხენები ან ცხენის ქირა უნდა მიარ-

თვის ბატონს. ჩვეულებრივ, სოფელს მოეთხოვებოდა ათი ცხენი ან მისი ქირა. დასტურლამალში მოიპოვება სპეციალური მუხლი „კოჟორხედ ტკბილის ზიდვის ულაყის შეწერილობისათვის“. აქ ვკითხულობთ (დასტურლამალი, გვ. 44):

დურნუქს—ულაყი ათი
ეკლესიას—რვა
ქვემო ბოლნისს—ორმოცდაათი

შულავრის ამაღლადამ უნდა იქირაონ—
ორმოცდაათი
თრიალეთიდან—ორმოცდაათი
ტაშირიდან—ორმოცი
ჯუარიდან—ერთი
დამბლუტიდან—ერთი

ხინძორ კუტიდან—ერთი
შულავერს—სამოცი

საზიდ ბეგარასთან დაკავშირებულია შრომითი ბეგარა, რამდენადაც, სატრანსპორტო საშუალებათა გარდა, გლეხმა თავისი შრომაც უნდა გაიღოს.

საბინაო ბეგარა იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებს ბინა უნდა მიეცათ არა მარტო განვლულებისათვის, არამედ მუდმივი მდგმურებისათვისაც. დასტურლამალში წერია: „ბაზიერის გავლით დგომა,“ „ბატონის წიგნით სტუმრებისა და მდგმურების დაყენება“ (დასტურლამალი, გვ. 25, 26). თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგჯერ დგომას ქმევაც მოჰყვებოდა, ცხადია, რომ ეს ბეგარა სტუმართმოყვარე საქართველოშიც კი მძიმე ბეგარა იყო. აქაც მართლდებოდა ანდაზა: „დაუბატიყებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიანო“.

ბეგარის ერთ-ერთ სახეს შეადგენდა დიასახლისობაც. დიასახლისობა არის ფრინველის ან საქონლის მიბარება გლეხისადმი მათი მოშენების მიზნით. მიბარებულ ბატში გლეხს წელიწადში ორი ჭუკი უნდა ჩაებარებინა მეფის ქარხანაში. მიბარებულ ქათამში გლეხის კომლს სამი ქათამი და სამი კვერცხი უნდა ჩაებარებინა მეფის ქარხანაში. წარმოებდა ფურის ჩაბარებაც, ფური უკვდავად უნდა შენახულიყო, ხბო კი ეკუთვნოდა შემნახველს. შემნახველს ფურზე სამი ლიტრა ერბო უნდა ჩაებარებინა ქარხანაში. ასეთ ერბოს ეწოდებოდა საღისახლისო ერბო და იგი განსხვავდებოდა სახსო ერბოსაგან, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ადვილი ჰქონდა ფუტკარის მიბარებასაც. შემნახველს თითო სკაზე ჩარექნახევარი სანთელი უნდა ჩაებარებინა ქარხანაში. ბეგარას შეადგენდა სამეხრეოს შენახვაც; მაგ., სოფ. დურნუქს ევალდებოდა ორი სამეხრეოს შენახვა, გორს—ერთისა, კავთისხევს—ერთისა და სხვ.

ბეგარათა სია ამით არ ამოიწურებოდა. არსებობდა კიდევ ტიკის ბეგარა; გლეხი ვალდებული იყო ეთხოვებინა ბატონისათვის საქიროების დროს ტიკი.

ასეთია ბეგარის ის სია, რომელიც ჩანს ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში. აქაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სინამდვილეში ბეგარის სია უფრო ვრცელი იყო, რამდენადაც ბატონს ჰქონდა უფლება ყოველივე მოეთხოვა მისი გლეხისაგან. აქ ლაპარაკია მხოლოდ ბეგარის ყველაზე უფრო ჩვეულებრივსა და ხშირ სახეებზე.

მოკვივანთ იმის ერთ მაგალითს, თუ რას ღებულობდა მეფე-ბატონი სოფლად. ავიღოთ სოფ. დურნიკი: „ლალა შეიღზედ 1; კულუხი ხუთზედ 1; საშობოვო ცხუარი—5; ქათამი—25; სააღდგომო ცხუარი—5; ფურზედ ერბო ერთი ჩარეკი, ბერწზედ ნახევარ-ჩარეკი; ბაზიერის გავლით დგომა, კოჟრის

ტკბილის ულაყი—10. რამდენი გუთანი არის—ხუნა, მისი მომკა, მოტანა, გალევწვა, ქალაქს ჩამოტანა, ორის სამეხრეოს შენახუა, მისის ნახნავის გალევწვა და ჩამოტანა; ცხეარისა და ღორის საბალახე, პირის-თავი, ნახირის-თავი, საური, საქური, კარი („უნდა იყოს საქერივო ხარი“.— ნ. ქ.), ქათამი თუ აბარია—45, მისი ნაშენი წელიწადში—135, საშობაო, სააღდგომო—30, ბატონი რომ აიყრება—ცხენი ექუსი ან იმისი ქირა“ (დასტურლამალი, გვ. 25).

მეფისა და დედოფლის მამულის ექსპლუატაცია წარმოებდა მრავალი მოხელის საშუალებით. ამ მოხელეების შენახვა მეტწილად დავალებული ჰქონდა გლენობას.

უპირველეს ყოვლისა შევჩერდეთ მოხელეების კვებაზე. მოხელე ღებულობდა გლენისაგან ძღვენს. საშობაო, საახალწლო, სააღდგომო, სამარხვო გაიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულითაც. ძღვენის შინაარსი და მოცულობა ცვალებადი იყო სოფლების მიხედვით. დასტურლამალით ასეთ ძღვენს უმთავრესად მოურავი ღებულობდა. მოურავის გარდა, წელიწადში თითო ძღვენს მაინც ღებულობდა ზოგიერთი სხვა მოხელეც. სოფ. დურნიკის მოურავი, მაგალითად, ღებულობდა საშობაოდ ორ შაურს, სააღდგომოდ—ერთს შაურს კომლზე; კავთისხევის მოურავი ღებულობდა საახალწლოდ ერთს ქათამს თითო კომლზე, თითო საღვინე ღვინოს; სააღდგომოდ—ბატკანს, ვისაც ცხვარი ჰყავდა; შულავრის მოურავი ღებულობდა მთელი სოფლისაგან როგორც სააღდგომოდ, ისე საშობაოდ—ერთ საპალნე ღვინოს, ერთ ძროხას, სამ ცხვარს, ქათამებსა და კვერცხებს, სამარხვოდ—თევზს. სადედოფლო დასტურლამალი აფართოებს მოხელეთა იმ წრეს, რომელიც ღებულობს ძღვენს. აქ უკვე ძღვენის მიღლება სახლთუხუცესი, მოურავი, მეჯინბე, სუფრაჯი, ნამასახლისი, ნაცვალი, ულაყბაში, და ძღვენის ხსენებულ სახეებს ემატება საყველიერო ძღვენიც. მაგალ., ალის გარიგებაში წერია, რომ მამასახლისი და ნაცვალი ღებულობენ საახალწლოდ თითო აბაზს კომლზე. ძველ გომარეთში მოურავი ღებულობდა საშობაოდ და სააღდგომოდ თითო ცხვარს; გარდა ამისა, საშობაოდ—ერთ ლიტრა ერბოს, საყველიეროდ—30 კვერცხს, თითო ვარიას კომლზე და ერთ ქსან ერბოს. ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს იმაში, რომ სინამდვილეში ძღვენს ღებულობდა როგორც მეფის, ისე დედოფლის სოფლად მომუშავე მოხელეც—იქნებოდა იგი ნებაყოფლობით, თუ დაძალებით.

მასპინძლობა შეადგენდა მოხელის კვების ერთ-ერთ სახეს. გლენი ვალდებული იყო მასპინძლობა გაეწია მოხელეთათვის მათი სოფელში მოსვლისა და დგომის დროს. ასეთ მოხელეთა სიაში ჩვენ ვხედავთ მოურავს, ნაცვალს, მებალახეს, ბაზიერს, ხევისთავს, აღმწერლებს, საურის ამკრეფთა და სხვებსაც. ამ მოხელეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია მოურავს. მასპინძლოს დაწესების, გაწერის, აღებისა და გამოყენების წესები ისეთივე იყო, როგორც მეფის სამასპინძლოსი. მოხელეები, განსაკუთრებით მოურავი, ხშირად იყენებდნენ სამასპინძლოს მიღების უფლებას, ამიტომაც სამასპინძლო მძიმე ტვირთად აწვებოდა გლენებს. კანონმდებელი ცდილობს მოაწესრიგოს ეს საკითხი შემდეგნაირად: „...მოურავი ნურც ცუდმადათ მალმალე მივა,

ნურც ბევრს ხანს დადგების. თუ არ მოვიდეს მოურავი, ამ დებულების სხვა-გინდამ ნუ ჰსთხოვს და ნურც წაიღებს“ (დასტურლამალი, გვ. 98—99). „მოურავი უბრალოდ ნუ მივა...ღვინოი თუ ნებით, თორემ ძალით ნუ ჰსთხოვენ“ (იქვე, გვ. 11). მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სამასპინძლოს შესახებ. ბოლნისის მოურავი ღებულობდა სამასპინძლოს სახით სამს კომლზე ერთ თონხს, ერთს ბურვაკს თითო კომლზე—ქათამს, ნახევარ კოდ ფქვილს, ნახევარ კოდ ქერს, ორ ჩაფ ტკბილს; ამ სურსათ-სანოვავებს მოურავი თუ უნდოდა იქ ჭამდა, თუ უნდოდა თან წაიღებდა. შულავრის მოურავის შესახებ სწერია: „მოურავი რომ მივიდეს, ასრე დახვდებოდენ: ორი ამფა ერთს დღეს, ოთხი—ერთს დღეს; ეჭქი—ერთს დღეს, რაც მოუნდეს, ისრე ასუნ, აჭამონ ცხენით კაცამდინ; ასრე იქმოდენ, რამდენჯერ მოვიდოდეს მოურავი. რა ხან რიგი გათავდეს, თავით ბოლომდინ კიდევ ასრე მოირიგონ“ (დასტურლამალი, გვ. 98).

მოხელეების კვების შემადგენელ ნაწილს სხვაგვარი ნატურალური და ფულადი გამოსაღებებიც შეადგენდა. დიდია რიცხვი იმ მოხელეებისა, რომელნიც ღებულობდნენ ასეთს გამოსაღებს, მაგალითად: მოურავი, მემალე, მებალახე, მამასახლისი, მელიქი, ნაცვალი, ხასადარი, მეჯინიბე, მეღალე, ბაზიერი, მესთვილე, შპეტი, ჩობანბეკი და სხვებიც. როგორი შინა-არსისა და მოცულობის იყო ეს გამოსაღებები? აქაც იგი ცვალებადია სოფლებისა და მოხელეების მიხედვით. გამოსაღები აიღებოდა თავის, კომლის, კომლთა ჯგუფის, სოფლის ან და კიდევ გუთნის, საწნახელისა და სხვათა მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც გამომღები იყო სოფელი ან კომლთა ჯგუფი, გამოსაღები გაიწერებოდა კომლთა შორის. მაგალითისათვის მოვიყვანთ მოხელეთა სარგოს ბოლნისში. მოურავი ღებულობდა თითო კომლზე ორ კოდ პურს, ერთ დიდ კოკა ტკბილს, ორ კვერცხ ყაჭს, ნაცვლის სარგო შეადგენდა ერთ ჩაფ ტკბილს კომლზე; მამასახლისისა—კომლზე ორ ჩაფ ტკბილს; მემალისა—„ერთი ლიტრა ქერი თავისის ღვინითა“ თავზე. შულავრის მელიქის სარგოს შეადგენდა ექვსი ჩაფი ტკბილი საწნახელზე, ერთი კაბიწი პური გუთანზე; მესთვილეს სარგო შეადგენდა „ერთ კოკა ტკბილს საწნახელზედ“. სახდელისა—„ერთ შეგდებაზე“ მოურავს ეკუთვნოდა ერთი ჩარეკი ზეთი. მეჯინიბე, ჩვეულებრივ, ღებულობდა ბატკანს, ბაზიერი—ქათამს. ზოგ შემთხვევაში მოხელეები ღებულობდნენ სარგოს ფულითაც. მოგვყავს ამის მაგალითებიც. ჩობანბეკი სამ წელიწადში ერთხელ ღებულობდა დასამთვლელს ასზედ რვა შაურს. გარდა ამისა იგი ღებულობდა ყოველ წელს ე. წ. „ქეჩაბაში“—ექვს შაურს თხის პირეულზე. მუთაჯირი ღებულობდა ყოველ წელს ორ შაურს პირზე. მოურავი აღეკში ღებულობდა თავზე ორ შაურს, ახალდაბაში—ერთს მარჩილს კომლზე. სხვა მოხელეები, როგორც ეს ჩანს დასტურლამალიდან, ფულად სარგოს არ ღებულობდნენ, გარდა სომხითის მელიქისა, რომელიც ღებულობდა თავზე ნახევარ შაურს, და ბოლნისის ხასადრისა, რომელიც ღებულობდა 1/2 ფულს თავზე.

მოხელეთა კვების შემადგენელ ნაწილში შედიოდა სხვადასხვაგვარი ბეგარაც.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გლეხების მუშაობა მოხელის მიწაზე. მაგალითად: დასტურლამალი იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბოლნისის მოურავს, ადგენს: „მოყალნეს გუთანი თითოს დღეს უხნავს და უფარცხავს, მოურწყავენ, მოუშკიან, გალევწენ, შემოუზიდავენ“ (გვ. 18). შულავრის მამასახლისის შესახებ წერია: „რაც გუთანი არის თარხანს გარდა ერთ დღეს უხჭნონ, ერთს დღეს უშკიან, ერთს დღეს უზიდავენ“ (გვ. 99). აღსანიშნავია, რომ დასტურლამალის მიხედვით ასეთი ბეგარა არ არის აღნიშნული ყოველი სოფლისათვის, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ფაქტიურად მაინც იგი სხვა სოფლებშიც არსებობდა. რამდენადაც, ამავე დასტურლამალიდან ჩანს, გლეხები ასეთ ბეგარას იხდიდნენ მხოლოდ მოურავისა და მამასახლისის სასარგებლოდ.

არსებობდა საზიდი ბეგარაც, პირველ რიგში მოურავის სასარგებლოდ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. ატენელებს ევალეობდა „ცხენის ბმა“ მოურავისათვის; ბოლნისელების შესახებ სწერია: „ორს კომლზედ ერთი ულაყი სძესთ ქალაქამდინ“ (გვ. 18). შულავრელები ვალდებული არიან „წელიწადში ულაყი 30 ათხონ ქალაქამდინ, კოყრამდინ, ყარაიამდინ, საბარათაშვილომდინ“ (გვ. 99); დურნიკლებს უნდა მიეცათ „საკომლოზედ წელიწადში ქალაქამდის ორი ულაყი“ (გვ. 26). საზიდი ბეგარის გაწერა, როგორც ჩანს, ხდებოდა ან კომლის, ან კომლთა ჯგუფის, ან სოფლის მიხედვით. ორ უკანასკნელ შემთხვევაში ხდებოდა ბეგარის განაწილება ცალკე კომლთა შორის. ამ მოვალეობას გლეხობა ისტუმრებდა რიგრიგობით. საზიდი ბეგარა სხვა მოხელეების სასარგებლოდ ჩვენ არ შეგხვედრია. არ ვხდებით რაიმე სხვა ბეგარასაც მოხელეების სასარგებლოდ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბოლნისელებს ევალეობათ მამასახლისისათვის „კომლზედ მუშა ორი“. ეს ბეგარა ჩვენთვის გაურკვეველია.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი იმისა, თუ რას ღებულობდა მოურავი კვების სახით მოსახლეობისაგან. მაგალითისათვის ვიღებთ სოფელ დურნიკს: „საშობაოთ კომლზედ ორი შაური, სააღდგომო—ერთი შაური, საკომლოზედ პური—ერთი კოდი, საჩექმე—სამი აბაზი. ნაცულოთ გასამყრელო—კარი, თავის-გასამტეხლო—კარი; რამდენიც გუთანია ერთს დღეს უხნან და უფარცხონ, მოუშკან, გაულევწონ, მოუტანონ. საკომლოზე წელიწადში ქალაქამდის ორი ულაყი მამასახლისა, როგორც ეკლესიისა, არის...“ (დასტურლამალი, გვ. 25-26).

ახლა ინტერესს მოკლებული არ არის მოვიყვანოთ სია იმ საგანთა, რომელთაც გლეხი აძლევდა მეფეს, დედოფალსა და მათ მოხელეებს ჩამოთვლილი გამოსაღებების სახით: 1) ხორბალი, 2) ქერი, 3) ფქვილი, 4) ბრინჯი, 5) ცერცივი, 6) თივა, 7) ბზე, 8) ხარი, 9) ძროხა, 10) ღორი, 11) ბურაკი, 12) ცხვარი, 13) ბატკანი, 14) თხა, 15) ციკანი (თიკანი), 16) კვერნა, 17) თევზი, 18) კვერცხი, 19) ბატი, 20) ქათამი, 21) ვარია, 22) შევარდენი, 23) ყველი, 24) ზეთი, 25) ერბო, 26) ბოსტნეული (ხახვი, ნიორი, კიტრი, ბოლოკი და სხვ.), 27) ხილეული (ნესვი, საზამთრო), 28) ისრიმი, 29) ტკბილი, 30) ღვინო, 31) ძმარი, 32) ნიგოზი, 33) ტყლაპი, 34) ბამბა, 35) ყაჭი, 36) მატყლი,

37) სანთელი, 38) მარილი, 39) ნეხვი, 40) ნახშირი, 41) სარი, 42) შეშა, 43) კოწახური, 44) ყაბახი, 45) ხე-ტყე, 46) ხაში და ზოგი რამ სხვაც.

ჩამოთვლილ გამოსაღებთა უმეტესი ნაწილი ნატურალური გამოსაღებია. გამოსაღებთა ფულადი ნაწილი, როგორც დავინახეთ, გაცილებით უფრო მცირე და უმნიშვნელოა. ფულად ნაწილს ეკუთვნის სასვიანო, სახალწლო ძღვენი, ნაწილობრივ სამასპინძლო და ის მცირე ფულადი გამოსაღებები, რომელნიც უნდა გაეღოთ ზოგ სოფელში გლეხებს მეფის ან მოხელეთა სასარგებლოდ. ასეთი მდგომარეობა მთლიანად გამომდინარეობდა მეურნეობის ნატურალური ხასიათიდან, ფულის მიმოქცევის სუსტი განვითარებიდან.

გამოსაღებთა დაწესება, ნატურალური მეურნეობის პირობებში, რასაკვირველია, არ ხდებოდა ოჯახის წმინდა შემოსავლის მიხედვით. ეს იმხანად შეუძლებელი იყო და ამიტომ არსად არ წარმოებდა. ჩამოთვლილ გამოსაღებთა დაწესება ხდებოდა გარეგანი ნიშნების მიხედვით, როგორც არის ფართობი, კომლი. მართალია, კანონმდებელი ცდილობს შემოვლილი გზით გაუწიოს ანგარიში მეურნეობის შესაძლებლობას. მოვიყვანოთ მაგალითები. კანონმდებელი კულუხის აღების დროს ანგარიშს უწევს იმას, მოვიდა თუ არა მოსავალი, როგორია მოსავალი, დიდია თუ პატარა მამული; ღალა და კულუხი, ხშირ შემთხვევაში, აიღება როგორც მოსავლის ნაწილი. კანონმდებელი, როგორც დავინახეთ, ზოგ შემთხვევაში, თხოულობს „შეძლებით სამასპინძლოს“; ზოგიერთი გლეხი კიდევაც განთავისუფლებულია მასპინძლობისაგან. მიუხედავად ამისა, გამოსაღები მაინც უთანასწოროდ ნაწილდებოდა. გამოსაღებთა დაწესება გარეგანი ნიშნების მიხედვით ჰბადებდა გამოსაღებთა გაღებას ოჯახის რეალურ შესაძლებლობასთან შეუსაბამებლად: ერთი იხდიდა მეტს, მეორე ნაკლებს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ასეთი უთანასწორობა მაშინ, როდესაც გამოსაღები წესდებოდა არა როგორც მოსავლის განსაზღვრული წილი (ღალა, კულუხი), არამედ როგორც მტკიცე განაკვეთი ცალკე კომლზე (ძღვენი, მასპინძლობა, ფულადი გამოსაღები კომლზე). ცხადია, რომ, ხშირ შემთხვევაში, გამოსაღები სცილდებოდა რენტას, რომელიც უნდა მიეღო ბატონს; ბატონს მიჰქონდა მეტი, ვიდრე რენტა, გლეხი ხშირად იძულებული იყო გადაეცა ბატონისათვის მისთვის საჭირო პროდუქციის ნაწილიც კი.

გამოსაღებთა დაწესების დროს დიდ როლს თამაშობდა გამოსაღების შეწერა. ასეთ შემთხვევაში გამოსაღები წესდებოდა სოფლის ან კომლთა ჯგუფის მიხედვით და შემდეგ ნაწილდებოდა კომლთა შორის. ცხადია, რომ ასეთი წესი ჰბადებდა თვითნებობას და გამოსაღებთა უთანასწორო განაწილების გაღრმავებას. შეწერის გვერდით ჩვენ ვხედავთ წინასწარ დადგენილ განაკვეთებსაც: მაგალ., კულუხი, ღალა, ფულადი გადასახდელები და სხვ., რაც გამოსაღების დაწესების უკეთეს ფორმად უნდა ჩაითვალოს.

და, ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ დროის გამოსაღებთა სისტემა იცნობს, როგორც დავინახეთ, შეღავათებსა და განთავისუფლებასაც კი გამოსაღებებისაგან; განსაკუთრებით შეღავათიან პირობებში იმყოფება „ახალი მოსული“, ე. ი. ახლად დასახლებული; პირველი წლის გან-

მავლობაში იგი თავისუფალი იყო ყოველნაირი გამოსაღებისაგან. შეღავათებს აშკარა კლასობრივი შინაარსი აქვს—მეფე დაინტერესებულია გამომღებთა რიცხვისა და შეძლების ზრდაში.

მთელ რიგ გამოსაღებთა აღება დამყარებულია წინასწარ აღრიცხვაზე და გამოსაღებთა აკრფას მოჰყვება ანგარიშის შედგენა და ჩაბარება. საკმარისია მოვიფიქროთ ის, რაც ითქვა ზემოთ სახასო პურისა და ერბოს შესახებ.

ზოგ შემთხვევაში მეფე თავისი მამულის ამა თუ იმ ნაწილის სარგებლობის უფლებას აძლევდა სხვებსაც და სამაგიეროდ ღებულობდა საზღაურს ფულით ან ნატურით. შეგვიჩვენებთ მეფის ასეთ შემოსავალზე.

სამართლის წიგნი აცხადებს: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაექირვის კაცსა და გელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი“ (სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა, მუხ. 169).

მეფის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა საძოვრები. საძოვრების შესახებ სამართლის წიგნი შემდეგს ვკითხულობთ: „ბალახი მთა-სა თუ ბარსა კაცს კაცისგან ამიტომ არ დაექირვის, რომე ხელმწიფეს ცხვრის საბალახე ეძღვეს, ძროხისა, ნახირის თავი და, თუ ერთი მეორეს ბალახს დაუქერს, ესეები ხელმწიფეს დააკლდების“ (იქვე, მუხ. 171). ამრიგად, საძოვრებით სარგებლობა თავისუფალი, მაგრამ ფასიანი იყო. ნახირისთავი, პირისთავი და საბალახე შეადგენდნენ გამოსაღებს საძოვრით სარგებლობისათვის.

ნახირი ერქვა მსხვილრქოვანი საქონლის ჯოგს, ნახირისთავი—იმ გამოსაღებს, რომელიც აიღებოდა ასეთ საქონელზე. როგორც წესი, ნახირისათვის გადამხდელი სოფელი იყო. კანონმდებელი არჩევს, „დიდს“, „შუათანას“, „პატარასა“ და „იმის დაბალს“ სოფელს, მაგრამ არაავითარი მასალა არ არის მოცემული იმის გასარჩევად, თუ როგორი სოფელი უნდა მიეკუთვნოს დიდს, შუათანას, პატარასა და იმის დაბალს. დიდმა სოფელმა უნდა გაიღოს ნახირისთავის სახით ხარი, შუათანამ—ძროხა, პატარამ—გამოზამთრული და იმის დაბალმა კი—ცხვარი. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი კომლია, გამოსაღები აიღება ფულით და შეადგენს ორ შაურს. ნახირისთავის აღება არ წარმოებდა ყოველ წელს: „ერთი წელიწადი უნდა შუაზედ გამოვიდეს და მესამეს წელიწადზედ აიღონ“ (დასტურლამალი, გვ. 65).

პირისთავიც წარმოადგენდა გამოსაღებს საძოვრებით სარგებლობისათვის, მაგრამ იგი აიღებოდა ცხვარსა და თხაზე. სპეციალური პირები აწარმოებდნენ ცხვრებისა და თხების ზუსტ აღრიცხვას. „ყოველს მჯარეს მობალახეცა და მოპირის-თავეც დავთარს დაიქერდეს, რასაც კომლს რამდენი ბატონიანი და რამდენი მშრალი, ან თხა ეყოლებოდეს, დასწერდეს“ (დასტურლამალი, გვ. 67). პირისთავის სახით აიღებოდა ასზე ერთი, ე. ი. პირისთავის აღებაც ხდებოდა ნატურით, მაგრამ არა სოფლის ან კომლის, არამედ ცხვრების თავის მიხედვით.

ნახირისთავისა და პირისთავის გვერდით ჩვენ ვხვდებით საბალახესაც, რომელიც გამოსაღებია საძოვრად დაკუთვნილი ადგილების სარგებლობი-

სათვის. საბალახეს გასტუმრება ხდებოდა ნატურით, სახელდობრ ცხვრით, მაგრამ ეს გამოსაღები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირისთავისა. საბალახს სახით აიღებოდა ასზე სამი ბატკნიანი და ორი მშრალი ცხვარი, სულ ხუთი. დასტურლამალში ცალკეა მოხსენებული ღორის საბალახეც (გვ. 73, 25, 31), მაგრამ მისი მოცულობა არა ჩანს.

ქოდავი ექრვა იმ გამოსაღებს, რომელსაც იხდიდა თათარი მოსახლეობა საძოვრად დაცული ადგილების სარგებლობისათვის. გამოსაღების აღება ხდებოდა ცხვრების ზუსტი აღრიცხვის საფუძველზე: „სამს წელიწადში ერთხელ ჩობანბეკი უნდა წავიდეს და დათვალოს. გალადარს რაც ცხვარი ჰყუანდეს, ან ვისიც ერთოს ცალ-ცალკე დაწეროს, ვისიც ერთოს საკელდობ ანუსხევედნ“ (დასტურლამალი, გვ. 86). გამოსაღები დაწესებული იყო ცხვრის თავზე, იგი შეადგენდა მეფის სასარგებლოდ ერთს შაურს ცხვარზე. ქოდავის გადახდა განვადებული იყო: „ერთი წილი ამ თავიდან გამოიღონ, ერთი წილი მთაზედ რომ ავიდნენ და ერთი წილი მთიდან რომ ჩამოვიდნენ“ (დასტურლამალი, გვ. 86).

ზოგ შემთხვევაში მეფე თავისი მამულის ნაწილს გაცემდა იჯარით. ასეთი ნაწილიდან მეფე ღებულობდა შემოსავალს როგორც ფულით, ისე ნატურითაც. ამის დასტურს ჩვენ ვპოულობთ „დასტურლამალში“ (იხ., მაგ., „სალთხუცის სარგოსათვის“, გვ. 77, „ინდოს ლანჩპარისათვის“, გვ. 46—48). თბილისში მეფის მიწაზე დუქნები იყო აშენებული სხვადასხვა პირების მიერ. მეფე დუქნის ასაშენებლად გაცემულ მიწაზე ღებულობდა ყოველი პატრონისაგან ყოველ დუქანზე შაურს თვეში ან სამ აბაზს წელიწადში, აქ საქმე გვაქვს ფულად რენტასთან. შემოსავალი შეადგენდა თორმეტ თუმანს (დასტურლამალი, გვ. 23); მუშაობა წარმოებდა სპეციალური მოხელეების ხელმძღვანელობით; სამუშაოს უდიდესი ნაწილი სრულდებოდა ყმა-გლეხების მიერ შრომითი ბეგარის სახით. მაგრამ ზოგ შემთხვევაში სამუშაო სრულდებოდა დაქირავებული სამუშაო ძალითაც. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ „დასტურლამალის“ შემდეგი ადგილები: „მაგრამე ამავე ზეარში ცოტას ალაგს ჭვიროსელნი მუშაობენ; ისინი აიყარნენ და იმათს კერძს ბატონის ფასით მუშაობენ. ატენელნიც ამავე ზეარში მუშაობენ. ამ ფასით სამუშაოს ზურებს მიეცემის თეთრი სალაროდან, ან ფარჩად. პური და ღვინო მიეცემის ერთ პირ ზურებისათვის: პური—კოდი, ღვინო—კოკა (დასტურლამალი, გვ. 9); ან კიდევ: „...მებადური ჩვენს სახასოში თუ არ იყოს, ჯამაგირით დაიქირაონ...“ (იქვე, გვ. 23). „დიდ ბადე აბარიათ, სამი კომლი თარხანია, და რასაც თევზს დაიქერს, გომარელთ უნდა ჩამოუტანონ, და მენავტიკე ჯამაგირით დავიჭიროთ“ (იქვე, გვ. 119).

ტყე საქართველოში შეადგენდა მეფის, თავადების, აზნაურების, ეკლესიისა და ზოგჯერ გლეხების კერძო საკუთრებას. ტყით სარგებლობა უფასო იყო ადგილობრივი მცხოვრებთათვის იმ შემთხვევაში, თუ ტყე ხმარდებოდა საკუთარ საჭიროებას და არ იყო დანიშნული გასაყიდად. იმ შემთხვევაში, თუ

ადგილობრივი მცხოვრები ხე-ტყეს გამოიყენებდა გასაყიდად ან ტყით სარგებლობდა უცხო სოფლის მცხოვრები, ტყით სარგებლობა ფასიანი იყო¹.

მეფის ტყეც გამონაკლისს არ შეადგენდა. მისი ტყით სარგებლობის წესები ისეთივე იყო, როგორც სხვებისა; ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი იყო გამოსაღები მეფის ტყის სარგებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც სარგებლობა ფასიანი იყო. აღსანიშნავია, რომ დასტურლამალი არ ითვალისწინებს გამოსაღებს ტყის სარგებლობისათვის. ამრიგად, ტყით სარგებლობა თავისუფალი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ფასიანი იყო. სამართლის წიგნი შემდეგნაირად ასაბუთებს ტყით სარგებლობის თავისუფლებას: „მთა და შეშა ამისთვის არ დაეჭირვის, თუ ბარის კაცი სახლს არ ააშენებს და შეშით არ ღრჩების ქვეყანაზედ, შენობა მოაკლდების და კელმწიფეს ლაშქარ ნადირობა დააკლდების; მაგრამ იქნებისცა მთის პატრონს ერთი სანადირო ალაგი ყორღად ჰქონდა ეს და იქ არ მოაჭრევიროს“ (მუხ. 172).

დასტურლამალში გვხვდებით შემოსავალს სახელწოდებით „ოდუნაღჩა“, რაც უნდა იყოს თათრების გამოსაღები ტყით თუ ბალახით სარგებლობისათვის.

წყალი სამართლის წიგნში მეფის საკუთრებად არის გამოცხადებული. წყალზე მოძრაობა თავისუფალია, ყოველ შემთხვევაში, არ ვხვდებით რაიმე გამოსაღებს წყალზე მოძრაობის უფლებისათვის. თავისუფალი იყო წისქვილის დაყენებაც წყაროზე. თავისუფალი, მაგრამ ფასიანი იყო წყლის გამოყენება რუებიდან ნაკვეთების მოსარწყავად, რამდენადაც მორწყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „წყალი ასრეა რომე, სადაც ხელმწიფე წყლისა და რუს გატანას მოინდომებს ქვეყნის შენობისა და პურის მოსულისათვის იქმს, რომე კოდის პური არ დააკლდეს, სადაც ებრიალების, რუს თავს ვერავინ დაუშლის, სადაც რუს მოიხდენს, ვენახია თუ ხოდაბუნი, რაც დახვდეს, გასჭრის, გაატარებს, რომელს სოფელსაც უბოძებს და დააჩემებს იმ წყალს ერთი მეორეს ვერ შეეცილებს, მასუქან სათავის კეთება და რუს ამოწმენდა არვისგან დაიშლებს (მუხ. 170).

მებაღურობა ან თევზზე ნადირობა თავისუფალი იყო; მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში, ალბათ იმ ადგილებში, სადაც თევზი ბლომად იყრიდა თავს, მეფე მებაღურობისათვის თხოულობდა გამოსაღებს ფულთი და ნატურით; გარდა ამისა, მეფე თვითონაც ეწეოდა მებაღურობას თავისი მოხელეებისა და ყმების საშუალებით; მეფე ამ შემთხვევაში ფართოდ იყენებდა ყმების მუშაობას, ზოგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მიმართავდა დაქირავებულ სამუშაო ძალასაც კი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა დასტურლამალის შემდეგი დებულება: „ყარაიის კონის საქმე ასრე გარიგებულია როსტომ მეფისაგან: რაც კონს თევზი მოხუდებოდეს, თორმეტისაგან ათი საბატონოდ უნდა გარდაიდვას, და ორი სათაოდ უნდა აიღონ. ამ ორისაგან, ერთი სუფრაჩმა და სარქარმა უნდა გაიყონ და ერთი მეკონეთ ერგებოდეს“.

¹ პ. გუგუშვილი, საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი, თბ., 1939, მუხ. 64.

მეფის წილის მესამედი „ბატონს კათალიკოზს“ ეძლეოდა. დასტურლამალი ჩამოთვლის იმ პირებს, ვისაც კონი აბარია, და აცხადებს, რომ „ამ კონს, რაც ქუთ შეესება მოუწდება, ელის კაცმა უნდა შეავსოს“ (გვ. 43—44). ზოგ შემთხვევაში მეფეც ღებულობდა გლეხებისაგან თევზს, როგორც სპეციალურ გამოსაღებს, —ამაზე უკვე გვქონდა საუბარი.

ამრიგად, ბალახით, ტყით, წყლით სარგებლობა თავისუფალი, მაგრამ განსაზღვრულ შემთხვევებში ფასიანია. კანონმდებელი პირდაპირ და გულახდილად ხსნის, თუ რატომ არის ბალახით, ტყითა და წყლით სარგებლობა თავისუფალი.

მიწის, ტყისა და წყლის გარდა, მეფე და დედოფალს აქვთ სხვა უძრავი ქონებაც: სასახლეები, ქარვასლები, დუქნები, სადგომები; ზოგიერთი მათგანი გაქირავებულია და მეფე ღებულობს ქირას. შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს შეადგენდა იათალი, ე. ი. საქონლის საზამთრო სადგომი, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს და მდებარეობდა რამდენიმე ადგილას, მაგ., იალღუჯზე, შულავერში. იათალის შემოსავლის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა. იათალის ქირა აიღებოდა ცალკეულ სულ საქონელზე ნატურით ან ფულით. იალღუჯზე აიღებოდა ას ცხვარზე ერთი ცხვარი, ძროხაზე—ნახევარი შაური, მაგრამ, ამასთან, კანონმდებელი აღნიშნავს, რომ „დიდს ზროხაზედ აიღების, ტანა ზროხაზედ არ აიღების“ (დასტურლამალი, გვ. 43); ცხენზე—შვიდი ფული. თუ საქონელი ზამთარს შულავერთან დაჰყოფდა, მაშინ აიღებოდა „პირზედ ერთი ცხვარი, ძროხაზედ—ორი ფული, ღორზედ—პირზედ ერთი“ (დასტურლამალი, გვ. 98). ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, თუ რა შემოსავალს აძლევდა მეფეს ქარვასლები და დუქნები.

ხაზი უნდა გავსვას ერთ გარემოებას. მეფის სახასო მამული არ წარმოადგენდა მყარ ერთეულს. მოცულობის მხრივ სახასო მამული დიდდებოდა დაპურობილი მიწა-წყლისა და იმ მამულების ანგარიშზე, რომელიც იყო ბეითალმანი, კონფისკაციაქმნილი, გასამყრელოდ ან საჩქაროდ მიღებული, ნაყიდი და სხვ.

მეორე მხრივ, იგი მცირდებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო; ეს მიზეზებია: მამულის გამოყოფა მეფის ოჯახის წევრებისათვის, მამულის გაჩუქება, გაყიდვა, მტრის მიერ მიწა წყლის დაპურობა და ა. შ.

ცხადია, რომ მეფე თვითონ, თუნდაც თავისი ოჯახის წევრებით, ამალითა და სტუმრებით ვერ მოიხმარდა სახასო მამულის მთელ ნატურალურ შემოსავალს: ნაწილი მიდიოდა მოხელეების ასანაზღაურებლად, ნაწილი რეზერვების შესაქმნელად და ნაწილი. უნდა ვიფიქროთ, სავაჭროდაც კი.

კახეთის მეფეც მსხვილი მემამულე იყო. ისიც ღებულობდა შემდეგ შემოსავალს: საბალახეს, დალას, კულუხს, ძღვენს. დაკავშირებულს სხვადასხვა შემთხვევასთან, სამასპინძლოს; კახეთშიც გლეხობა ასრულებდა სხვადასხვა ბეგარას მეფის სასარგებლოდ. ჩვენ ვხვდებით ნაღობასაც. კახეთში ადგილი აქვს მოხელეების კვებას. „მოურავის ულუფა

მოყალნეს აძეს და შაურიც მეულუფის არის“¹. ამ ულუფის შინაარსი და მოცულობა არა ჩანს. გარდა ამისა, მოურავის სასარგებლოდ მოდიოდა: „დიდს მანჯანიკზე სამი სტილი აბრეშუმი მოურავისა არის ქალაქური სტილი, რომელიც ოცდაცამეტი მისხალიანი არის, ბატონს საქმე არა აქვს“². მეკოდისპურეს სასარგებლოდ თვითეულ კომლს უნდა გაეღო ორი ლიტრა პური, ხოლო სუფრაჯის სასარგებლოდ — ერთი ლიტრა; ბაზიერის სასარგებლოდ თვითეულ მოყალნეს უნდა გაეღო ერთი ქათამი და ერთი შაური³. მოხელეების სასარგებლოდ არსებობდა საქორწილო და სააღაპო ძღვენიც⁴.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსებისა და კრედიტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954.V.25)

¹ „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, № 160, კახეთის ბაყების გარიგება, მუხ. 21.
² იქვე, მუხ. 34,
³ იქვე, მუხ. 23, 35.
⁴ იქვე, მუხ. 1.

გივი კილაძე

ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია XVIII საუკ. დამლევს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენა იყო. მან არა მარტო დაამხო ფეოდალიზმი საფრანგეთში და იქ კაპიტალიზმის გამარჯვება დაადასტურა, არამედ ის მთელი ევროპის მასშტაბით ფეოდალიზმის ნგრევის მომასწავებელი გახდა. „1648 წლისა და 1789 წლის რევოლუციები არ იყო ინგლისისა და საფრანგეთის რევოლუციები, ისინი ევროპული. ყიდის რევოლუციები იყვნენ. ისინი არ წარმოადგენდნენ საზოგადოების გარკვეული კლასის გამარჯვებას ძველ პოლიტიკურ წყობილებაზე; ისინი აცხადებდნენ პოლიტიკურ წყობილებას ევროპის ახალი საზოგადოებისათვის“¹. ვ. ი. ლენინი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას ასე ახასიათებდა: „აიღეთ საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მას ტყუილად კი არ ეწოდება დიდი. თავისი კლასისათვის, რომლისთვისაც ის მუშაობდა, ბურჟუაზიისათვის, მან ისე ბევრი რამ გააკეთა, რომ მთელმა XIX საუკუნემ, იმ საუკუნემ, რომელმაც ცივილიზაცია და კულტურა მისცა მთელ კაცობრიობას, საფრანგეთის რევოლუციის ნიშნით ჩაიარა. მსოფლიოს ყოველ კუთხეში ის მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ატარებდა, ნაწილ-ნაწილ ახორციელებდა, ამთავრებდა იმას, რაც შექმნეს ბურჟუაზიის დიდმა ფრანგმა რევოლუციონერებმა, ბურჟუაზიისა, რომლის ინტერესებს ისინი ემსახურებოდნენ, თუმცა ეს არც კი ჰქონდათ შეგნებული, ინიღბებოდნენ რა სიტყვებით თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ“².

სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განსაზღვრეს ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოთა დამოკიდებულება რევოლუციური საფრანგეთის მიმართ. ცნობილია, რომ ევროპის რეაქციული, ფეოდალური მონარქები რევოლუციურ საფრანგეთს სამკედრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ. იწყება ხანგრძლივი ბრძოლა ფეოდალურ ევროპასა და რევოლუციურ საფრანგეთს შორის. ისიც ცნობილია, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ ამ ბრძოლას სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა ბურჟუაზიული ინგლისი. გასაგებია, რატომ აღმართეს ევროპის ფეოდალურმა მონარქებმა მახვილი საფრანგეთის წინააღმდეგ. მათ მხრით ეს ომი იყო „შეზღუდავი მებატონე მეფეების დინასტი-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1950 წ., გვ. 53.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, IV გამოცემა, ტ. 29, გვ. 432.

ური ომი რესპუბლიკური საფრანგეთის წინააღმდეგ, მეფეებისა, რომლებიც საფრანგეთში გაჩაღებულმა რევოლუციურმა ხანძარმა დააფრთხო. ომის მიზანი იყო ჩაქროთ ეს ხანძარი, აღედგინათ საფრანგეთში ძველი წესწყობილება და დამფრთხალი მეფეებისათვის ამით გარანტია მიეცათ მათს საკუთარ სახელმწიფოებში რევოლუციური სენის გავრცელების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ებრძოდნენ ასე თავდადებულად საფრანგეთის რევოლუციონერები მეფეთა ჯარებს“¹.

ომი ფეოდალურ ევროპასა და რევოლუციურ საფრანგეთს შორის 1792 წლის გაზაფხულზე დაიწყო, 1793 თებერვლიდან ამ ომში ინგლისიც ჩაება. ამიერიდან ბურჟუაზიული ინგლისი რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური ევროპის ინტერვენციის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი გახდა. დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, რომელიც გავრცელდა დაახლოებით 22 წელიწადს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირედ შესვენებებს.

რა მოტივები ამოძრავებდა ინგლისს საფრანგეთის წინააღმდეგ? რატომ ებრძოდა ბურჟუაზიული ინგლისი ბურჟუაზიულ საფრანგეთს? წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ ამ საკითხების გარკვევით შემოვიფარგლებით. რაც შეეხება ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის კონკრეტულ ისტორიას, მისი გადმოცემა ჩვენს ამოცანას ამჯერად არ შეადგენს. იგი მეტად ფართო თემაა და მას წინამდებარე სტატია ვერ დაიტევს. ჩვენ ვფიქრობთ ამ ურთიერთობათა ისტორიას მომავალში სპეციალური ნარკვევები მივუძღვნათ.

* * *

ფრიდრიხ ენგელსი ნაშრომში „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ გენი-ალურად განსაზღვრავს ბურჟუაზიული ინგლისის დამოკიდებულებას საფრანგეთის რევოლუციისადმი. „მაგრამ დაეუბრუნდეთ ჩვენს ბრიტანელ ბურჟუას,—წერდა ფ. ენგელსი,—საფრანგეთის რევოლუციამ მას მისცა დიდებული შემთხვევა კონტინენტური მონარქიების დახმარებით გაენადგურებინა საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობა, დაეპყრო საფრანგეთის კოლონიები და მოესპო საფრანგეთის უკანასკნელი პრეტენზიები საზღვაო მეტოქეობაზე. ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, თუ რატომ ებრძოდა იგი საფრანგეთის რევოლუციას. მეორე ის იყო, რომ მას სრულიად არ მოეწონა ამ რევოლუციის მეთოდები,—არა მარტო მისი „დაწყველილი“ ტერორი, არამედ თვით მისი ცდაც მიეყვანა ბურჟუაზიის ბატონობა უკიდურეს საზღვრებამდე. ანდა რა უნდა ექნა ამ ქვეყნად ბრიტანელ ბურჟუას გარეშე თავისი არისტოკრატისა, რომელიც მას მანერებსაც ასწავლიდა (მასწავლებლის შესაფერის მანერებს). მოდებსაც იგონებდა მისთვის, რომელიც აძლევდა მას ოფიცრებს არმიისა—ამ ქვეყნის შიგნით წესიერების დამცველისა—და ფლოტისათვის, რომელიც იპყრობს ახალ კოლონიურ სამფლობელოებს და ახალ ბაზრებს? რასაკვირველია, ბურჟუაზიაში მაინც იყო პროგრესული უმცირესობა,—ხალხი, რომლის ინტე-

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 5.

რესებსაც ბევრი არაფერი მოუგია კომპრომისით. ეს უმცირესობა, რომელიც წერილი ბურჟუაზიისაგან შედგებოდა, სიმპათიით უყურებდა რევოლუციას, მაგრამ იგი უძლური იყო პარლამენტში¹.

ამრიგად, საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისს ორი ძირითადი მოტივი ამოძრავებდა: პირველი ეკონომიური ხასიათისაა, მეორე—პოლიტიკური. პირველ შემთხვევაში ინგლისის მიზანია საბოლოოდ გაანადგუროს თავისი ყველაზე საშიში მეტოქე მსოფლიო კოლონიურ, სავაჭრო, საზღვაო ასპარეზზე. მეორე მხრით, ინგლისის მსხვილ მემამულეებსა და ბურჟუაზიას შიშის ზარს სცემს საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილი ინგლისში, რაც დემოკრატიული მოძრაობის ფართო აღმავლობაში გამოიხატა. ინგლისის რეაქციული ბურჟუაზია და მემამულეთა კლასი გამოდიოდნენ არა მარტო ინგლისის ხალხის უბოროტესი მტრების როლში, არამედ ისინი, XVIII საუკ. დამლევადან საერთაშორისო რეაქციას ჩაუდგნენ სათავეში. „ინგლისის კაპიტალიზმში, —წერდა ი. ბ. სტალინი 1927 წელს,—მუდამ იყო, არის და იქნება სახალხო რევოლუციების ყველაზე ბოროტი ჩამხშობი. XVIII საუკუნის დამლევს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციით დაწყებული და ჩინეთის ახლანდელი რევოლუციით დამთავრებული, ინგლისის ბურჟუაზია მუდამ იღვა და კვლავ დგას კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის დამრბევთა პირველ რიგებში. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ ძალადობას, ძარცვასა და სამხედრო შემოსევებს, რაც ჩვენმა ქვეყანამ რამდენიმე წლის წინათ განიცადა ინგლისელ კაპიტალისტთა წყალობით. მაშ რა გასაკვირველია, თუ ინგლისის კაპიტალი და მისი კონსერვატიული პარტია კვლავ კისრულობენ სათავეში ჩაუდგნენ ომს პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო კერის წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ². ინგლისის ყაჩაღური კაპიტალიზმის ეს გენიალური შეფასება თანამედროვე ინგლისისათვისაც ზედგამოჭრილია. დღეს ბრიტანეთი ამერიკის სისხლიანი იმპერიალიზმის ერთგული პარტნიორია „პროლეტარული რევოლუციის მსოფლიო კერის,“ მშვიდობის დიდი ბურჟის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის გაჩაღების საქმეში.

* * *

საფრანგეთის რევოლუციამ ინგლისის კაპიტალიზმს „მისცა დიდებული შემთხვევა კონტინენტური მონარქიების დახმარებით გაენადგურებინა საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობა, დაეპყრო საფრანგეთის კოლონიები და მოესპო საფრანგეთის უკანასკნელი პრეტენზიები საზღვაო მეტოქეობაზე“. აი, ერთ-ერთი საფუძველი იმისა, თუ რატომ ებრძოდა იგი საფრანგეთის რევოლუციას.

ინგლისისა და საფრანგეთის, ევროპის ამ ორი უძველესი და უძლიერესი სახელმწიფოს, ურთიერთმეტოქეობას ხანგრძლივი ისტორია აქვს; თავის დასაბამს ეს წინააღმდეგობა ფეოდალიზმის ეპოქიდან იღებს. „ასწლიანი

¹ ფ. ენგელსი, ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბილისი, 1940, გვ. 24—25.

² ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 344—345.

ომი“ (1337—1453 წწ.) მათი პირველი დიდი შერკინება იყო. XVII—XVIII საუკუნის მიჯნაზე წინააღმდეგობებმა ღრმა და ფართო ხასიათი მიიღო. XVIII საუკუნის განმავლობაში უკვე კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი ეს ორი სახელმწიფო მსოფლიო პირველობისათვის ეცილება ერთმანეთს.

ბრძოლა ინგლისსა და საფრანგეთს შორის განსაკუთრებული ძალით XVIII საუკუნეში გაიშალა. თანამედროვენი ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას რომისა და კართაგენის ურთიერთობას ადარებდნენ¹. XVIII საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე უილიამ პიტი უფროსი ლორდი ჩატამისა ამბობდა: „უდიდესი საფრთხე დაატყდება თავს ინგლისს მაშინ, როდესაც იგი დაინახავს, რომ საფრანგეთი დიდ კოლონიურ და საზღვაო-სავაჭრო ქვეყნად გადაიქცევაო“². ინგლისი თავგამოდებით იბრძოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. „ინგლისმა, წერდა ერთი ცნობილი პუბლიცისტი, წესად დაიღო, რომ ჩვენ ფეხზე წამოდგომის საშუალება არ მოგვცეს. მუდამ ზვერავეს ჩვენს ნავსადგურებს, ნავსამენებს, არსენალებს; თვალყურს ადევნებს ჩვენს პროექტებს, მზადებას, ჩვენს მცირედ მოძრაობასაც კი, და მათ ქედმაღლური ინსინუაციებითა და მრისხანე დემონსტრაციებით შეაჩერებს ხოლმე“³.

XVIII საუკუნეში წარმოებული სამი დიდი ომი (ესპანეთის მემკვიდრეობისათვის 1701—1714; ავსტრიის მემკვიდრეობისათვის 1740—48-ისა და „შვიდწლიანი ომი“ 1756—1763) საფრანგეთისათვის დამღუპველი შეიქნა. ევროპის კონტინენტზე დანთებულ ხანძარზე ხელებს ითბობდა ინგლისი. იგი თანდათან იპყრობდა მსოფლიო სავაჭრო-კოლონიურ ასპარეზს და XVIII საუკუნის დამლევსათვის მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ინგლისელებმა მოახერხეს ფრანგების გამოდევნა ამერიკიდან და ინდოეთიდან. 1763 წ. პარიზის ზავის შედეგად ინგლისელებმა ხელთ იგდეს საფრანგეთის სამფლობელო ჩრდ. ამერიკაში—კანადა; საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ 1770 წ. შესწვევით არსებობა. „თქვენ ველარ იცნობთ სამშობლო ქვეყანას; თქვენ დასტოვეთ პატარა პროვინციული კუნძული. ახლა იგი გადაიქცეულია მსოფლიოს დედაქალაქად.“ ასე ახასიათებდა ახალ ინგლისს ვალპოლი მეგობრისადმი მიწერილ წერილში⁴.

¹ А. Сорель, Европа и Французская революция, С. - Петербург, 1892, т. 1, стр. 232.

² Бернгард фон Булов, Державная Германия, Москва—Петроград, 1915 г., стр. 19.

³ А. Сорель, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 232.

⁴ Эрих Обст, Англия, Европа и Мир. М. - Л., 1931, гв. 48. ეს წერილი, ჩანს, ეკუთვნის ჰორაციო ვალპოლს (1717—1797), ინგლისის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის რობერტ ვალპოლის (1676—1745) შვილს. ობსტის მიხედვით, წერილი დაწერილია პარიზის ზავის შემდეგ (1763 წ.). ჰორაციო ვალპოლი იყო მწერალი, ვიგების პარტიის წევრი, პარლამენტის დეპუტატი, საკმაოდ ცნობილია მისი მემუარები (Memoirs of the last 10 years of the George II; Memoirs of the reign of King Georg III).

ინგლისისათვის ნათელი იყო, რომ, მიუხედავად დიდი დამარცხებისა, საფრანგეთი კვლავ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა, რომ „XVIII საუკუნის ფრანგის თვალში, გამარჯვებული, მაგრამ მუდამ ეჭვიანი და ფრთხილი ინგლისი საშვილიშვილო მტერი და დაუნდობელი მეტოქე იყო; ტრაქტატებს, ჩვეულებრივ, დროებით ზავად თვლიდნენ და გარეგნული თანხმობის უკან მუდამ მტრობა იმალებოდა. საუკუნოებრივი სიძულვილი, გააფთრება, გამოწვეული გამუდმებულად მიყენებული ჭრილობებით, ფრანგებში მუდამ რევანშისტულ განწყობას ნერგავდა“¹.

ეს რევანშისტული განწყობა საფრანგეთის ბურჟუაზიის დღითი-დღე უმტკიცდებოდა. ამ წარუმატებლობის მიზეზად იგი ფეოდალური მონარქიის ბეცსაგარეო პოლიტიკას თვლიდა და კვლავ უფრო გააფთრებით იბრძოდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. საფრანგეთის ბურჟუაზია არ უნდა წარმოვიდგინოთ ინგლისელთა აგრესიისაგან დაზარალებულ ელემენტად, თითქოს იგი მხოლოდ თავს იცავდა ინგლისის აგრესიისაგან, როგორც ამას ამტკიცებს ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. ასევე, ისტორიის ფალსიფიკაციას ახდენენ ინგლისელი ისტორიკოსები, რომლებიც XVIII საუკუნეში ინგლისის აგრესიას ნათლავენ, როგორც ინგლისელთა მიერ საკუთარი თავის დაცვას: ორივე მხარე თანაბრად აგრესიული იყო. დიდი ბელადი ი. ბ. სტალინი გვასწავლის, „რომ ომები კაპიტალიზმის გარდაუვალი თანამგზავრია. სხვისი მიწა-წყლის ძარცვა, კოლონიების დაპყრობა და გაძარცვა, ახალი ბაზრების ხელში ჩაგდება არაერთხელ გამხდარა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაპყრობითი ომების მიზეზი. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ომი ისეთივე ბუნებრივ და კანონიერ მდგომარეობას წარმოადგენს, როგორც მუშათა კლასის — ექსპლოატაცია“². თუ ინგლისი უფრო წარმატებით ებრძოდა საფრანგეთს და ზედიზედ ამარცხებდა მას, ამას გარკვეული ობიექტური პირობები უწყობდა ხელს.

ინგლისის წარმატებებს განსაზღვრავდა ის დიდი უპირატესობა, რომელიც მას გააჩნდა საფრანგეთთან შედარებით ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისა და კაპიტალის სიუხვის მხრით. ამასთანავე იგი ემყარებოდა თავის ფლოტის შეუდარებელ უპირატესობას საფრანგეთის ფლოტთან შედარებით. XVII საუკუნის ინგლისში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა. XVIII საუკუნის ინგლისში სამრეწველო რევოლუციას ჰქონდა ადგილი, ინგლისის საქარხნო-საფაბრიკო მსხვილი წარმოების ქვეყნად იქცა, მაშინ როდესაც საფრანგეთი კვლავ ფეოდალურ-აბსოლუტურ სახელმწიფოდ რჩებოდა; გადაგვარებულმა ფეოდალურმა არისტოკრატამ და სამეფო კარმა „საფრანგეთს სასიცოცხლო წვენი ეამოსწოვა“, ქვეყანა გააპარტახა და კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. საფრანგეთის ბურჟუაზია სულს დაფავდა აბსოლუტიზმის ბორკილების ქვეშ, მაგრამ იმედს არ ჰპარგავდა, პოლიტიკური

¹ А. Сопель, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

² საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი, 1938 წ.,

ძალაუფლებისაკენ მიიღტვოდა და ბურჟუაზიულ რევოლუციას ამზადებდა. ამავე დროს იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა დიდ მეტოქეს, ინგლისს, და მასთან ანგარიშის გასწორების ჟამს მოუთმენლად მოელოდა.

ინგლისისადმი სამაგიეროს გადახდას ითვალისწინებდა საფრანგეთი, როცა იგი ჩრდ. ამერიკის ახალშენებს მიემხრო მათს ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთმა, მართალია, დიდად შეუწყო ხელი ამ ომში ამერიკის ახალშენების გამარჯვების საქმეს,¹ მაგრამ თავის ტრადიციულ მეტოქეს, დიდ ბრიტანეთს, წარსული დამარცხებებისათვის სამაგიერო სათანადოდ მაინც ვერ მიუზღო. მართალია, ინგლისმა ფარ-ხმალი დაყარა და 1783 წელს ე. წ. „ვერსალის ზავის“ საფუძველზე ცნო ჩრდილოეთ ამერიკის ახალშენების დამოუკიდებლობა, მაგრამ თვით საფრანგეთმა ვერ მიაღწია იმას, რასაც იმედოვნებდა, ვერ აღადგინა თავისი დაკარგული კოლონიური პრესტიჟი ამერიკაში. ზავის შედეგად საფრანგეთმა (ესპანეთთან ერთად) სრულიად უმნიშვნელო ტერიტორიული კომპენსაცია მიიღო.

მაგრამ ერთი რამ მაინც ნათელი იყო ინგლისისათვის; საფრანგეთი მაინც მის ძირითად მეტოქედ რჩებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის განმავლობაში მან საფრანგეთს საგრძნობი დარტყმა აგება, იგი მაინც მნიშვნელოვან ძალად რჩებოდა.

ბრძოლა გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ამერიკის ახალშენების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში საფრანგეთმა შეძლო ინგლისის იზოლირება; საფრანგეთმა ინგლისის წინააღმდეგ აამხედრა ჯერ ესპანეთი, ხოლო შემდეგ ჰოლანდია. 1785 წლიდან ჰოლანდიასა და საფრანგეთს შორის დადებულ იქნა კავშირი. ინგლისს მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთის ეს წარმატება, იგი ყოველნაირად ცდილობდა დაერღვია ეს კავშირი და იზოლირებული მდგომარეობიდან თავი დაეღწია. მალე ინგლისმა განზრახულის სისრულეში მოყვანა შეძლო, და აი როგორ: ჰოლანდიის შიგნით ორი პოლიტიკური ჯგუფი იბრძოდა—ერთი მხრით, ე. წ. „პატრიოტების“ პარტია (რომელმაც 1785 წლიდან ხელისუფლება აიღო), მეორე მხრით, „შტატ-ჰალტერ ვილჰელმ V ორანელის პარტია“. პირველი საფრანგეთს ემყარებოდა, მეორე—ინგლისს. პირველი გამოხატავდა ჰოლანდიის ბურჟუაზიის, ხოლო მეორე აზნაურებისა და კარისკაცების ინტერესებს. ინგლისის წაქეზებით პრუსიის ჯარები 1787 წელს სექტემბერში ჰოლანდიაში შეიჭრნენ, „პატრი-

¹ ამერიკის ახალშენების ინგლისის წინააღმდეგ წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იყო რუსეთის მიერ 1780 წ. 28 თებერვალს ე. წ. „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის“ გამოცხადება. ინგლისი თავს ესხმოდა ყველა იმ ნეიტრალური ქვეყნის გემებს, რომლებიც მის მოწინააღმდეგეებთან ვაჭრობდნენ. მდგომარეობა აუტანელი იყო: რუსეთის ინციპტივითა და რუსეთთან ერთად ჩრდილოეთის ქვეყნებმა ჰოლანდიამ, დანიამ, შვედეთმა (1781 წ. მათ შეუერთდნენ პრუსია და ავსტრია, 1782 წ. პორტუგალია, 1783 წ. ორთავე სიცილიის სამეფო) შეიარაღებული ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს და გადაწყვიტეს ძალა ეხმარათ ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ, თუკი იგი თავს დაესხმოდა მათ სავაჭრო გემებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლისის წინააღმდეგ ომში ჩაება ესპანეთიც (1779 წ.), ხოლო 1782 წლიდან ჰოლანდია.

ოტების“ პარტიის ხელისუფლება მოსპეს და შტატკაპიტერი თავის უფლებებში აღადგინეს. 1785 წლის ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთი უნდა დახმარებოდა ჰოლანდიას, მაგრამ საფრანგეთმა თავისი მოკავშირე ბედის ანაბარა მიატოვა. მას არ შეეძლო დახმარების აღმოჩენა. საფრანგეთის აბსოლუტიზმი მწვავე ფინანსიურ კრიზისს განიცდიდა, უფრო სწორად, იგი უკვე სრულ ფინანსურ გაკოტრებამდე იყო მისული. ცხადია, აბსოლუტიზმს ასეთ პირობებში ახალი ომის წამოწყება არ შეეძლო. საფრანგეთმა დაკარგა მნიშვნელოვანი მოკავშირე. ჰოლანდია ინგლისის ბანაკში აღმოჩნდა. 1788 წელს ინგლისმა, პრუსიამა და ჰოლანდიამ შეკრეს სამხედრო კავშირი „სამთალია“. ამრიგად, ინგლისმა დააღწია თავი იზოლირებულ მდგომარეობას, საფრანგეთის პრესტიჟს ლახვარი ჩასცა და განამტკიცა თავისი საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც, როგორც დავინახეთ, საკმარისად შერყეული იყო.

საფრანგეთის დიპლომატია ფარ-ხმალს საბოლოოდ მაინც არ ჰყრიდა. მან გადაწყვიტა რუსეთთან კავშირი შეეკრა ინგლისის წინააღმდეგ. 1787 წელს საფრანგეთის მთავრობამ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულება დადო. ფრანგული საქონელი დარდნელითა და შავი ზღვით სამხრეთ რუსეთში შეიჭრა და იქიდან ინგლისური საქონელი გამოდევნა. საფრანგეთმა და რუსეთმა ურთიერთის მიმართ „უმეტესი მფარველობის უფლება“ აღიარეს. საფრანგეთი შეეცადა შეექმნა ინგლის-პრუსია-ჰოლანდიის წინააღმდეგ ევროპის ოთხი სახელმწიფოს (ავსტრია, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი) კავშირი. 1787 წელს ცნობილი რუსი დიპლომატი ბეზბოროდკო და საფრანგეთის ელჩი რუსეთში გრაფი სევაჟური ერთად იხილავდნენ აღნიშნული კავშირის შექმნის საკითხს¹. სევაჟურმა 1789 წლის 11 აპრილს (31 მარტს) სავარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიას საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტიც კი გადასცა², მაგრამ საფრანგეთმა ზემოაღნიშნული გეგმები ვერ განახორციელა გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა განხილვას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით.

ამრიგად, რევოლუციის წინ ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა კვლავ დაძაბული იყო, საფრანგეთი მძიმედ იყო დაჭრილი ინგლისის მიერ, მაგრამ კვლავ განაგრძობდა არსებობას და ინგლისს მდგარ წინააღმდეგობას უწყევდა. საფრანგეთის საბოლოო განადგურება, — აი დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა.

* * *

საფრანგეთის რევოლუციას ინგლისი ერთგვარი კმაყოფილებით შეხვდა. ინგლისი იმედოვნებდა, რომ შინაგანი არეულება საბოლოოდ დაასუსტებს საფრანგეთს, რის შემდეგაც ინგლისი უფრო ადვილად შეძლებდა მისთვის საბოლოო ანგარიშის გასწორებას. საფრანგეთის რევოლუციის

¹ სევაჟურის მოღვაწეობის შესახებ იხ. Записки графа Сегюра о пребывании его в России в царствование Екатерины II 1785—1789), С. - II., 1865.

² იხ. Красный архив, № 4 (95), 1939 г, გვ. 132.

უბოროტესი მტერი ედმუნდ ბორკი ერთ-ერთ საპარლამენტო სიტყვაში აღნიშნავდა: „ფრანგები ნგრევის დიდი ოსტატები აღმოჩნდნენ. მათ დაანგრიეს და მოსპვეს ყველაფერი: მონარქია, ეკლესია, აზნაურობა, კანონები, ხაზინა, არმია, ფლოტი, ვაჭრობა და მანუფაქტურა. ისინი დაგვეხმარნენ ჩვენ, მათ მეტოქეებს, ჩვენი საქმეები გაცილებით უკეთ მოგვეწყო, ვიდრე ამას ჩვენ შევძლებდით რამილიის¹ მსგავსი ოცი ბრძოლაც რომ მოგვეგო“². მასვე ეკუთვნის სიტყვები. „მე ვიცი გეოგრაფია, მე ახლახან გადავათვალიერე ევროპის რუკა და ამ რუკაზე აღმოვაჩინე დიდი ცარიელი ადგილი. ესაა სივრცე, რომელიც ოდესღაც საფრანგეთს ეკავა“³. მეორე მხრით, ინგლისელები გარკვეულმა შიშმა შეიპყრო. ინგლისში იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ რევოლუციური გარდაქმნები განამტკიცებენ საფრანგეთს, მას უფრო მძლავრ სახელმწიფოდ გადააქცევენ. „საკმარისია თქვენი რევოლუცია წარმატებით დამთავრდეს, — ეუბნებოდა ერთი ინგლისელი ლუი XVI ელჩს ლონდონში, — და თქვენ იმდენად ძლიერნი და ძლევამოსილნი გახდებით, რომ ევროპას კანონებს უკარნახებთო“⁴. მაგრამ ჯერჯერობით ინგლისელები პირველ მოსაზრებას უფრო მართებულად თვლიდნენ. საფრანგეთი თვითონვე გამოიჭრის ყელსო, ფიქრობდნენ ისინი, და საფრანგეთის მიმართ, ასე ვთქვათ, „ლოდინის პოლიტიკას“ ადგნენ. ევროპაში ერთგვარ გაკვირვებასაც კი იწვევდა ის გარემოება, რომ ინგლისმა არ ისარგებლა შექმნილი ხელსაყრელი მომენტით, არ დაესხა თავს საფრანგეთს და საბოლოოდ არ მოუღო ბოლო თავის ძველისძველ მეტოქეს. ინგლისის პოლიტიკის მესაჭე, უილიამ პიტე უმცროსი არ ჩქარობდა. იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს, საფრანგეთის საბოლოო მოსპობას, ამ გადაწყვეტილებით მოვიდა იგი ხელისუფლების სათავეში 1783 წელს. ეს მიზანი ამოძრავებდა მას ინგლისის ხელისუფლების სათავეში ხანგრძლივად ყოფნისას (1783—1806 წწ.). როგორც ცნობილია, უილიამ პიტმა საფრანგეთის წინააღმდეგ უშუალოდ აღმართა მახვილი 1793 წლის 1 თებერვალს, როცა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ოფიციალურად საომარი მდგომარეობა გამოცხადდა, ხოლო 1789—93 წლები. მან ამ მახვილს გულდასმით გამოჰედვასა და გალესვას მონადომა. ამასთანავე უილიამ პიტე ერთხანს დარწმუნებული იყო, რომ რევოლუციური საფრანგეთის გასანადგურებლად საკმარისი იყო ფეოდალური პრუსია და ავსტრია, რომელთაც 1792 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ომი გააჩაღეს. ერთხანს რევოლუციური საფრანგეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მალე გაუგონარი რამ მოხდა, რევოლუციურმა არმი-

¹ რამილია სოფელია ნიდერლანდებში. აქ 1706 წლის 28 მაისს ინგლისისა და მისი მოკავშირეების (პოლანდიელები, დანელები, გერმანელები) ჯარებმა ინგლისელ სარდლის ჰერცოგ მალბოროს მეთაურობით დაამარცხეს ლუი XIV და მისი მოკავშირის ბავარიის კურფურსტის არმია.

² Т. Богданович, Франция и Европа на грани XIX века, С. - П., 1909, стр. 3.

³ იქვე.

⁴ А. Сорель, Европа и Французская революция, т. II, стр. 22.

ებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს, უკუადგეს იგი და ფართო შეტევა გააჩაღეს. 1793 წლისათვის რევოლუციური საფრანგეთის არმიებმა დაიკავეს სავოია, ნიცა, რაინის მარცხენა ნაპირი, ბელგია. ამასთანავე ფრანგებმა გახსნეს მდინარე შელდის შესართავი თავისი გემებისათვის, რაც ინგლისის საზღვაო ვაჭრობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. ასევე უშუალო საფრთხე შეექმნა ჰოლანდიას, ინგლისის მოკავშირეს. უილიამ პიტი დაჟინებით მოითხოვდა ფრანგების მიერ შელდის შესართავის სანაოსნოდ გახსნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, იგი საფრანგეთის წინააღმდეგ ომს მოითხოვდა, მით უფრო, რომ მომენტი ინგლისისათვის სწორედ ხელსაყრელი იყო. უკან არც საფრანგეთის ბურჟუაზია იხევდა; იგი რევოლუციური არმიების წარმატებას თავის სასარგებლოდ იყენებდა. საფრანგეთის ბაზრების ზრდა, ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის ეკონომიური გაბატონება, მთავარი მეტოქის, ინგლისის, შევიწროება, — აი რა ამოცანები ამოძრავებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, როცა იგი „ძმობის, ერთობისა და თავისუფლების“ ლოზუნგით ფრანგ ხალხს ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ რაზმავდა. ე. წ. რევოლუციურ ომებს ორმხრივი მნიშვნელობა ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, მათ პროგრესული როლი შეასრულეს, ევროპის მასშტაბით ფეოდალიზმის საერთო ნგრევასა და კაპიტალიზმის საერთო გამარჯვებას შეუწყეს ხელი; მეორე მხრით, საფრანგეთის ბურჟუაზიას ევროპის განთავისუფლება, ცხადია, თავისებურად ესმოდა; ეს იყო ევროპის საფრანგეთისადმი დამორჩილება. ამ აშკარად აგრესიულ ზრახვებს საფრანგეთის ბურჟუაზია რევოლუციური ფრანგებით ოსტატურად ნიღბავდა; საბოლოო ანგარიშით ეს ომები საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის ახალი ტერიტორიების დაპყრობის, სხვისი მიწა-წყლის ძარცვის საშუალება იყო. მართალია, 1792—94 წლების განმავლობაში რევოლუციური საფრანგეთის მხრით ეს ომი სამართლიანი ომი იყო, მაგრამ სულ სხვა ხასიათი მიეცა ამ ომებს 1794 წლიდან, როცა საფრანგეთში კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა. ამიერიდან უკვე საფრანგეთის მხრით ამ ომმა მიიღო აშკარად აგრესიული, დაპყრობითი ხასიათი.

ბელგიაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ბურჟუაზიამ გაბედულად გადაწყვიტა ინგლისს დასჯახებოდა. იგი თავსაკმარისად ძლიერად თვლიდა იმისათვის, რომ სამაგიერო მიეზღო ინგლისისათვის იმ დამარცხებების გამო, რომელიც ინგლისმა აგემა მონარქიულ საფრანგეთს; საფრანგეთის არმიამ მიიღო ბრძანება გადაეღახა ჰოლანდიის საზღვრები. 1793 წელს 1 თებერვალს კონვენტმა ინგლისს ომი გამოუცხადა, ამ შემთხვევაში საფრანგეთმა დაასწრო მხოლოდ ინგლისს, არსებითად კი არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ვინ გამოაცხადებდა ომს, ერთი მხარე თუ მეორე. „პიტი, რომელსაც არმია არ ჰყავდა, ევროპაში მოკავშირეთა ყიდვის ინგლისურ ძველ ტრადიციას მისდევდა“. 1793 წლის მარტისათვის ინგლისის მეთაურობით შეიქმნა ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია, შემადგენლობით: ინგლისი, ავსტრია, პრუსია, რუსეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანიის

ზოგიერთი სათავადო, სარდინია, ნეაპოლი¹. ამ ჯერად ინგლისმა კვლავ ოსტატურად მოიმარჯვა თავისი ნაცადი ხერხი „სხვისი ხელით ნარის გლეჯისა“.

*
* -

ცნობილია, რომ ინგლისი XVI საუკუნემდე საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით მეორეხარისხოვან ძალას წარმოადგენდა. XVI საუკუნეში ინგლისმა ვაჭრობისა და კოლონიური ექსპანსიის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ამ საუკუნის დამოევს ინგლისმა შემუსრა ესპანეთის კოლონიური და სავაჭრო ძლიერება. XVII საუკუნეში, ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად, ინგლისის ვაჭრობა და კოლონიური ექსპანსია უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. ახლა ინგლისი ჰოლანდიას ებრძვის და ამარცხებს კიდევ მას. XVIII საუკუნეში ინგლისმა საფრანგეთი დააჩოქა და მსოფლიოში ჰეგემონობა დაიმკვიდრა. საკითხავია, რამ შეუწყო ხელი ინგლისის ესოდენ დიდ წარმატებებს? რით და როგორ გაიმარჯვა მან?

უპირველეს ყოვლისა, წარმატებას ხელი შეუწყო მისმა ეკონომიურმა სიძლიერემ, მისი ვაჭრობისა და მრეწველობის სწრაფმა და მძლავრმა განვითარებამ. XVII საუკ. ბურჟუაზიული რევოლუციისა და XVIII საუკ. სამრეწველო გადატრიალების შედეგად ინგლისში კაპიტალიზმმა ფართო განვითარებას მიაღწია. ამ მხრივ იგი ყველა თავის მეტოქეზე ძლიერი აღმოჩნდა. ინგლისის მთელ საგარეო პოლიტიკას ამიერიდან ინგლისის კაპიტალისტების ინტერესები წარმართავდნენ. ბრიტანეთის დიპლომატიას უკვე მაშინ შეერქვა სახელად „სიტის დიპლომატია“. ქვეყნის სამრეწველო და ფინანსური სიძლიერე ამიერიდან მისი დიპლომატიის წარმატების საწინდარი გახდა. ინგლისური გირვანქა სტერლინგი ნაცადი იარაღი იყო დიპლომატების ხელში. ამასთანავე ინგლისის დიპლომატია ემყარებოდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებას, უპირველეს ყოვლისა—საზღვაო ძლიერებას. ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი მსოფლიოში უძლიერესი იყო და ბრიტანეთის იმპერიის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. ინგლისის წარმატებებს ხელს უწყობდა ბრიტანეთის კუნძულების საუკეთესო სტრატეგიული მდებარეობა. ევროპის არმიები-სათვის ისინი ხელმიუწვდომელი იყვნენ, ხოლო ზღვებზე ინგლისის ფლოტს ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას. ბრიტანეთის კუნძულებს ვილჰელმ დამპყრობლის (1066) შემდეგ უტხოვთის ჯარები არ უნახავს. ნაპოლეონმა ცადა ბრიტანეთის კუნძულზე ჯარების გადასხმა, მაგრამ ამაოდ².

¹ История дипломатии, 1, стр. 340—341.

² ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული აზრი (მას, სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი ისტორიკოსიც იზიარებს, მაგ., И. М. Лемини, Внешняя политика Великобритании М., 1947, გვ. 15), რომ თითქოს ნაპოლეონის გეგმა ჩაფუშა და ინგლისი იხსნა ადმირალი ნელსონის მიერ ტრაფალგერთან მოპოვებულმა გამარჯვებამ, არაა სწორი. ეს საზღვაო ბრძოლა 1805 21 ოქტომბერს მოხდა. ნაპოლეონმა კი ბულონის ბანაკი მოხსნა და „ინგლისის არმია“ (armee d'Angletere—ასე უწოდა მან ბულონში შეკრებილ 150000-იან სადესანტო არმიას) ბავარიისაკენ დაძრა 27 აგვისტოს, ე. ი. ორი თვით ადრე. ეს აიხსნება იმით, რომ

ინგლისი მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისას, უკვე ჩვენ მიერ განხილულ პერიოდში, საკმაოდ ფართოდ იყენებდა ჯაშუშურსა და დივერსიულ საქმიანობას. ეს ხერხი მან განსაკუთრებით ოსტატურად გამოიყენა რევოლუციური საფრანგეთისა¹ და შემდეგ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში. „დამტკიცებულა, — წერს ამხანაგო სტალინი, — როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთმანეთს ზურგში უგზავნიან თავის ჯაშუშებს, მავნებლებს, დივერსანტებს, ზოგჯერ კი მკვლევებსაც, აძლევენ მათ დავალებას ფეხი მოიკიდონ ამ სახელმწიფოების დაწესებულებებსა და საწარმოებში, შექმნან იქ თავისი ქსელი და „აუცილებლობის შემთხვევაში“ — ააფეთქონ მათი ზურგი, რათა დაასუსტონ ისინი და ძირი გამოუთხარონ მათს ძლიერებას. ასეთია საქმის ვითარება ამჟამად. ასეთი იყო საქმის ვითარება წარსულშიც. ავიღოთ, მაგალითად, სახელმწიფოები ნაპოლეონ I დროის ევროპაში. საფრანგეთი მაშინ სავსე იყო ჯაშუშებითა და დივერსანტებით რუსების, გერმანელების, ავსტრიელების, ინგლისელების ბანაკიდან. და, პირიქით, ინგლისს, გერმანულ სახელმწიფოებს, ავსტრიას, რუსეთს მაშინ თავის ზურგში ჰყავდათ ჯაშუშებისა და დივერსანტების არა ნაკლები რაოდენობა საფრანგეთის ბანაკიდან. ინგლისის აგენტებმა ორჯერ ცადეს მოეკლათ ნაპოლეონი და რამდენჯერმე ააჯანყეს ვანდების გლეხები საფრანგეთში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ... ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნაპოლეონის მთავრობა ვალში არ რჩებოდა თავის მეზობლებს და ისიც მიმართავდა თავის დივერსიულ ღონისძიებებს“². ცნობილია, რომ ინგლისის სადაზვერვო-ჯაშუშური ორგანიზაციამ, „Intelligence Service“-მა, ბრიტანეთის იმპერიის შექმნის საქმეში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა.

ბრიტანეთის წარმატებას ხელს უწყობდა აგრეთვე ის უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც ინგლისის მმართველ კლასებს ჰქონდათ დაგროვილი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის სფეროში. მუშათა კლასის ზედაფენების მოსყიდვა; ძალმომრეობასთან ერთად დემაგოგია და მოტყუება, ე. წ. „მათრახისა და ტკბილის კვერის“ პოლიტიკით რომაა ცნობილი, ნაციონალური და რელიგიური შუღლის გაღვივება და სხვ.³

5. VIII საფრანგეთის წინააღმდეგ ომში ჩაება რუსეთი. რუსეთის არმია გამოჩენილი სარდლის კუტუზოვის მეთაურობით ბავარიის საზღვრებისაკენ დაიძრა. „დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ევროპაში რუსეთის არმიის გამოჩენამ, ნაპოლეონისეული 150.000-იანი არმიისაგან ინგლისის გადარჩენის საქმეში, გადამწყვეტი თუ არა, უდიდესი როლი მანიც ითამაშა“ (Проф. Сказкин, Ефимов, Новая история. От Английской буржуазной революции до Венского конгресса, М., 1945 г., стр. 162—163).

¹ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევა ე. კოროვინისა: Шпионаж и диверсия в борьбе против Французской буржуазной революции, „Исторический журнал“, 1939 г., № 6; იხ. აგრეთვე Матъез, Французская революция, т. III; Сорель, т. IV, V; Р. Роуан, Очерки секретной службы, Москва, 1946 г.

² ი. ბ. სტალინი, მოხსენება და საბოლოო სიტყვა სკ. კპ (ბ) ცკ პლენუმზე 1937 წლის 3—5 მარტს, პარტგამომცემლობა, თბილისი, 1937 წ., გვ. 14—15.

³ დაწვრილებით იხ. И. М. Лемин, Внешняя политика Великобритании, стр. 17—20.

საგარეო პოლიტიკაში ინგლისელთა წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იყო „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ ცნობილი ვერაჯული პოლიტიკა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა ასე დაახასიათა: „ინგლისის ბურჟუაზიას არ უყვარს ომი თავის საკუთარი ხელით. იგი მუდამ ამჯობინებდა ომის სხვისი ხელით წარმოებას და იგი მართლაც ზოგჯერ ახერხებდა და პოულობდა სულელებს, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის ეგლიჯათ ნარი“¹. ინგლისის ამ გაიდვერული პოლიტიკის შესახებ ვაზეთი „პრავედა“ წერდა: „გაიდვერული ფანდებით დიდი სახელმწიფოების ერთმანეთისადმი დაპირისპირება, მათ შორის შეტაკების გამოწვევა ძველთაგანვე ბრიტანეთის დიპლომატიის საყვარელი მეთოდი იყო. წარსულში ბრიტანეთის პოლიტიკამ არა ერთხელ მოახერხა დიდი სახელმწიფოების დასუსტება მათი ერთმანეთზე წაქეზებით, მაგალითად, გერმანიისა საფრანგეთზე ან პირიქით. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც ომით იყო ფეხმძიმე“². ვ. ი. ლენინს აღნიშნული პოლიტიკის დასახასიათებლად თავის „რევულებში იმპერიალიზმის შესახებ“ მოტანილი აქვს ბისმარკის შემდეგი სიტყვები: „ინგლისი ევროპის სახელმწიფოებს ომში იყენებს როგორც საუკეთესო ფეხოსან ჯარს“³. აქვე ლენინს მოაქვს ამონაწერი ვირტის წიგნიდან „თანამედროვეობის მსოფლიო ისტორია“: „ქარლელი ლაპარაკობს, რომ უკვე XVIII საუკუნეში ინგლისის ინტერესებისათვის ომის წარმოება კონტინენტური სახელმწიფოების „მოვალეობა“ იყო“, და შენიშნავს: „ქარგადაა თქმული“⁴. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ევროპელმა მწერლებმა ინგლისს „ცბიერი ალბიონი“ („perfidie albon“) შეარქვეს.

ასეთი გაიდვერული პოლიტიკით ხასიათდება ინგლისის დიპლომატიის მთელი ისტორია. ინგლისელები მუდამ პოულობდნენ „სულელებს“, ანდა როგორც ერთი ინგლისელი ამბობდა, „კეთილისმყოფელებს“, რომლებიც მზად იყვნენ ინგლისისათვის ნარი ეგლიჯათ, მისთვის ცეცხლიდან შემწვარი წაბლი ამოეღოთ“⁵. „ეს ცბიერება ინგლისისა, — წერდა ბიულოვი, — ნამდვილად არის ჯანსაღი და სამართლიანი ეგოიზმი, რომელსაც ისევე, როგორც ინგლისის ხალხის სხვა დიდ ღირსებებს, სხვა ხალხებმა უნდა მიბაძონო“⁶. რასაკვირველია ეს არ არის ბრიტანეთის ხალხის „ნაციონალური თვისება“, „ჯანსაღი და სამართლიანი ეგოიზმი“, არამედ ამ პოლიტიკას თავისი ობიექტური საწინდარი გააჩნია; ამ პოლიტიკას გარკვეული ობიექტური პირობები განსაზღვრავდნენ. როგორია ეს ობიექტური პირობები? ჩვენ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ისინი.

ევროპის კონტინენტზე სახელმწიფოთა შორის პერმანენტული წინააღმდეგობა იყო მუდამ, რაც მათ შორის გამუდმებულ შეხლა-შემოხლასა და საბოლოო ანგარიშით ომებს იწვევდა ხოლმე. ამ ბრძოლის პროცესში ევრო-

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 345.

² ვაზ. „პრავედა“ 1948 წ. 28/XI.

³ В. И. Ленин, Тетради по империализму, М., 1939 г., стр. 69.

⁴ იქვე, გვ. 464.

⁵ Красный архив, т. 4—5 (41—42), М.-Л., 1930 г.

⁶ Бюлов, დასახ. ნაშ., გვ. 15.

პის სახელმწიფოები ურთიერთის წინააღმდეგ კოალიციებს ჰქმნიდნენ, მათი შემადგენლობა სხვადასხვა იყო დროისა და მომენტის შესაფერისად. კუნძულზე მოკალათებული ინგლისი „თვალყურის დევნებისა“ და „ლოდინის“ პოლიტიკას ადგა. მას ხელები თავისუფალი ჰქონდა და ისეთ დიპლომატიურ კომბინაციას აირჩევდა ხოლმე, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. ამრიგად ევროპაში კოალიციათა შექმნის შესაძლებლობა მუდამ იყო და ინგლისის დიპლომატიის მთავარ მიზანს სწორედ ის შეადგენდა, რომ ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია შეეკრა. ომის მთელ სიმძიმეს ამიერიდან იგი კოალიციას დააკისრებდა, თავის მხრით კი ძირითადად მათ დატინანსებას კისრულობდა. გაჩაღდებოდა რა ომი ევროპაში, ინგლისი თავისი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას შეუდგებოდა, დროს აღარ კარგავდა. მისი ფლოტი ზღვებს სერავდა და ევროპის „კონტინენტურ ომში“ კისრამდე ჩაფლულ მოწინააღმდეგეს კოლონიებს ართმევდა, ძირს უთხრიდა მის სავაჭრო-საზღვაო ძლიერებას. ომის გახანგრძლივების შემთხვევაში ინგლისი გულდაგულ იცავდა თავის კუნძულებს; რესურსები საკმარისი ჰქონდა როგორც სურსათის, ისე ნედლეულის მხრით; ძალას იკრფვდა, ახალ კოალიციებს აკოწიწებდა, მოწინააღმდეგეს საზღვაო ბლოკადის საშუალებით ქანცს აკლიდა. ხელსაყრელ მომენტს ელოდა, რათა ბოლოსდაბოლოს ომის ბედი თავისი სასარგებლოდ გადაეწყვიტა, მოეგო უკანასკნელი ბრძოლა. ასეთ პოლიტიკაზე იყო აღმოცენებული ცნობილი ინგლისური თეორია „უკანასკნელი ბრძოლის მოგების“ შესახებ, იმის შესახებ, რომ ინგლისს დამარცხების წინააღმდეგ „იმუნიტეტი“ აქვს გამომუშავებული. როცა „მოკავშირეების“ საშუალებით მეტოქე საბოლოოდ განადგურდებოდა—აი მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ევროპის კონტინენტზე ბრიტანეთის ჯარები; „ცბიერი ალბიონი“ გამარჯვებულის შარავანდით შეიმოსებოდა ხოლმე. ასე იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ ომის დროს, ომი გახანგრძლივდა, ინგლისის მიერ შექმნილ კოალიციებს ნაპოლეონი ზედიზედ ამარცხებდა და ანადგურებდა, იყო მომენტი, როცა ინგლისი იზოლირებული, მარტოდმარტო იყო დარჩენილი თავის კუნძულზე, საშინელი მტრის პირისპირ. მაგრამ ბრძოლას იგი კვლავ განაგრძობდა; ბრიტანეთის ფლოტი ინგლისის სანაპიროებს იცავდა; კონტინენტურ ბლოკადას მან ევროპის კონტინენტის კონტრბლოკადით უპასუხა. ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო უპირატესობა აშკარად იჩენდა თავს, ევროპას არ შეეძლო ინგლისთან ეკონომიური კონტაქტის გარეშე არსებობა, კოლონიებს მოწყვეტილი ევროპა სულს ლევდა. ინგლისი ხელსაყრელ მომენტს ელოდა და დაუდგა კიდევ. მოსკოვზე ლაშქრობამ დაღუპა ნაპოლეონი. ამჯერად ინგლისი კვლავ მოგებული აღმოჩნდა. მართალია, რუსეთი სუბიექტურად ინგლისისათვის სრულიადაც არ იბრძოდა, მაგრამ ობიექტურად მაინც მოხდა ის, რომ ინგლისმა „ნარი სხვისი ხელით დაგლიჯა“. რუსეთის ტრამალეებში განადგურდა ყველაზე დიდი მტერი ინგლისისა. ინგლისი ნაპოლეონისაგან რუსეთმა იხსნა უკვე მეორედ და საბოლოოდ.

ევროპის კონტინენტის მიმართ საერთო ინგლისური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო ცნობილი „ძალთა წონასწორობის“

(Balance of Power) პრინციპი. პირველად ეს ტერმინი ელისაბედ თიუდორის მინისტრებმა იხმარეს XVI საუკუნის მეორე ნახევარში; ამაზე ადრე ბეკონი ლაპარაკობდა „ძალთა წონასწორობის“ შესახებ ევროპის სამი დიდი მონარქის მისამართით (ჰენრი VIII თიუდორი, ფრანსუა I, იმპერატორი კარლოს V). თითოეული მათგანი თვალყურს ადევნებდა იმას, რომ მეორე არ გაძლიერებულიყო; თუ წონასწორობა დაირღვეოდა, მაშინ მას ან ომით ან დიპლომატიური კავშირით „აღადგენდნენ“ ხოლმე. XVII საუკუნის დამლევს ინგლისის მეფემ, ვილჰელმ III, განაცხადა, რომ „ძალთა თანასწორობა“ ინგლისის უშიშროების საფუძველია¹. „ძალთა წონასწორობის“ ბრიტანული თეორია პრაქტიკულად ბრიტანეთის მიერ მსოფლიო ბატონობის შენარჩუნების საქმეს ემსახურებოდა, იგი „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ ბრიტანული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების ერთ-ერთი საწინდარი იყო; ეს იყო არა „წონასწორობის“, არამედ ევროპის სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობისა და სისხლისმღვრელი ომების გაჩაღების ერთ-ერთი საშუალება. ფორმალურად ეს პრინციპი ითვალისწინებდა შემდეგს: არ უნდა იქნეს დაშვებული ევროპის კონტინენტზე რომელიმე სახელმწიფოს გაბატონება, განსაკუთრებით კი რომელიმე სახელმწიფოს მიერ ბელგიისა და ჰოლანდიის ხელთ გდება.

ინგლისის იმპერიალიზმის ცნობილი მესვეური ოსტინ ჩემბერლენი წერდა: „ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაში ბევრ მერყეობას და არათანმიმდეგობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ესპანეთის არმადის დროიდან მოყოლებული დღემდე, ამ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში ერთი პრინციპი ცოცხლობდა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვიცავდით. რადგანაც ჩვენი კუნძულები კონტინენტის დასავლეთი სანაპიროსაგან ლამაზშისა და ჩრდ. ზღვის ვიწრო ზოლითაა დაშორებული, ამიტომ ყველა დროსა და ყოველი მთავრობისათვის ინგლისის საგარეო პოლიტიკის კარდინალური პრინციპი იყო: არ დაგვეშვა ის, რომ ჰოლანდია და ბელგია (Low Countries), რომელიმე სამხედრო ძლიერ სახელმწიფოს ჩაეარდნოდა ხელში. აი ამიტომ ვებრძოდით ჩვენ ფილიპე II-სეულ ესპანეთსა და ლუი XIV-სეულ საფრანგეთსა და ნაპოლეონს; აი, რამ გააერთიანა ჩვენი ქვეყნები 1914 წლის აგვისტოს დასაწყისში და განსაზღვრა ჩვენი ჩარევა მსოფლიო ომში“². რასაკვირველია, ასე მარტივად როდი უნდა წარმოვიდგინოთ „წონასწორობის პრინციპის“ არსი. მართალია, ის სახელმწიფო, რომელიც ბელგიასა და ჰოლანდიას ჩაიგდებდა, უშუალოდ დაემუქრებოდა ბრიტანეთის კუნძულებს: ბელგია და ჰოლანდია ინგლისისათვის ერთგვარი ბუფერი იყო, რომელიც მას ევროპის კონტინენტის დიდი სახელმწიფოებისაგან იფარავდა. ეს გასაგებია, მაგრამ საკითხი უფრო ფართოდ ისმის. ევროპის კონტინენტზე რომელიმე სახელმწიფოს გაბატონება ინგლისის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის, მდგომარეობას შეარყევდა. მთელი ევროპა ინგლისის დაუპირისპირდებოდა; ინგლისი მთელს ევროპას უნდა შერკინებოდა, მაშინ

¹ Лемин, стр. 21.

² Austin Chamberlain, Down the Years, London, 1935, стр. 165—166, ციტ. Лемин, стр. 22.

როდესაც ინგლისისათვის, პირიქით, საჭირო და აუცილებელი იყო ევროპის სახელმწიფოთა შორის მუდმივი ქიშპი და მტრობა ყოფილიყო. ამდენად პრაქტიკულად „წონასწორობის პრინციპი“ ინგლისისათვის ასე იხატებოდა: თუ რომელიმე სახელმწიფო გაძლიერდა, მას მეორე უნდა დაუპირისპირო, დაეხმარო, — დაასამაროს პირველი; ამის შემდეგ პირველს უნდა დაეხმარო მეორის დახმობაში და ა. შ. ბრიტანეთის მთელი დიპლომატია სწორედ ამ პრინციპის ფაქტიურ დადასტურებას წარმოადგენს. ევროპა სულ მუდამ ომით უნდა იყოს ფეხმძიმე, ევროპის კონტინენტზე სულ მუდამ ომის აჩრდილი უნდა ტრიალებდეს, — აი ბრიტანეთის პოლიტიკის მთავარი ამოცანა; აი რატომ იყო ბრიტანეთის დიპლომატია ევროპის კონტინენტური ომების პირველი გამჩაღებელი.

ამრიგად „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ პოლიტიკა წითელი ზოლივით გასდევს ბრიტანეთის საგარეო ურთიერთობათა ისტორიას, ამ პოლიტიკას ატარებდა ინგლისი XVI საუკუნის დამლევს, როცა ჰოლანდია ესპანეთის წინააღმდეგ გამოიყენა, შემდეგ კი XVII საუკუნეში ჰოლანდია გაანადგურა; XVIII საუკუნის დამდეგს ვილჰელმ III-მ ლუი XIV-ის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კოალიცია შეკრა, იგივე ჰოლანდია ინგლისის ერთგული მოკავშირე იყო საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეიდწლიანი ომების დროს საფრანგეთის წინააღმდეგ პრუსია გამოიყენა, უფრო სწორად — დაიქირავა; ინგლისს საფრანგეთის კოლონიები აინტერესებდა: „მე დავიპყრობ ამერიკას გერმანიაშიო“ — ამბობდა პიტი უფროსი. ფრიდრიხ II მისი ლანცკენხტი იყო მხოლოდ.

რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ინგლისმა კვლავ თავის ნაცად ხერხს მიჰმართა. „ინგლისის ბურჟუაზიამ მოახერხა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა“¹. ამასთანავე ბრიტანეთის დიპლომატიას არც მაინცდამაინც გასძნელებია ამ საქმის „მოგვარება“. ფეოდალური ევროპა მზად იყო გაერთიანებულიყო რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, მათი სახით ინგლისმა „საუკეთესო ფეხოსანი არმია“ იშოვა. საფრანგეთის საბოლოო განადგურება, — აი ინგლისის ძირითადი ამოცანა, ინგლისის მიზანი რომ საფრანგეთის მოსპობა იყო, ეს ევროპაში ყველამ კარგად იცოდა. „ინგლისი მზადაა გაალატაკოს საფრანგეთი; აუცილებლად საჭიროა თვით ფრანგების სახელიც კი მოსპოს (il faut absolument exterminer jusqu'au nom des Français). ასეთ შეფასებას აძლევდა ეკატერინე II ინგლისის დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი². ევროპის დიპლომატიური წრეებისათვის საცხებით ნათელი იყო, რომ „ინგლისს სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე მეტად სურდა საფრანგეთის განადგურება; მან საფრანგეთის წინააღმდეგ იარაღი აღმართა

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 345.

² Дневник А. В. Храповицкого, Москва, 1901 г., стр. 246.

ჯერ თავისი უმიწროებისა და შემდეგ მსოფლიო ზღვებზე ბატონობის დაცვისათვის“¹.

ბურჟუაზიული, რეაქციული ისტორიოგრაფია (განსაკუთრებით ინგლისური) ავრცელებს ყალბ აზრს. თითქოს ბრიტანეთი საფრანგეთის მიმართ მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა, თითქოს პიტი ზავისა და მშვიდობის მომხრე იყო; და თუკი იგი იარაღდებოდა, სამხედრო თადარიგს იჭერდა მხოლოდ თავდაცვის მიზნით²; თითქოს საფრანგეთის აგრესიულმა პოლიტიკამ, იმ საშინელმა უკანონობამა და ძალმომრეობამ, რომელიც რევოლუციონერების მიერ მეფის სიკვდილით დასჯაში გამოიხატა, აიძულა პიტი საფრანგეთის წინააღმდეგ ამხედრებულყო. ნამდვილად კი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, პიტმა მთელი თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარა; გამოხატავდა რა ინგლისის გაბატონებული კლასების ინტერესებს, იგი ამზადებდა გადამწყვეტ ბრძოლას XVIII საუკუნეში ინგლისის ყველაზე დიდი მეტოქის—საფრანგეთის წინააღმდეგ.

პირველი თავისებური დარტყმა პიტმა საფრანგეთს 1786 წლის სავაჭრო ხელშეკრულებით მიაცენა. გარეგნულად ეს ხელშეკრულება თანასწორ უფლებებზე იყო აგებული: ინგლისი საფრანგეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციას უღებდა კარს, საფრანგეთი კი — ინგლისის სამრეწველო საქონელს. საბოლოო ანგარიშით ამ ხელშეკრულებამ საფრანგეთის ვაჭრობას ძირი გამოუთხარა და მისი მრეწველობა განადგურებამდე მიიყვანა. ასეთი შედეგი გასაგებია. საფრანგეთის მრეწველობა და ვაჭრობა ვერ უძლებდა ინგლისის კონკურენციას და თანდათან სულს ღაფავდა.

1787 წელს, როგორც ვნახეთ, უილიამ პიტმა საფრანგეთს მნიშვნელოვანი დიპლომატიური დამარცხება აგემა.

1789 წლის რევოლუციის დასაწყისისთანავე პიტმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთის საბოლოო დიპლომატიურ იზოლირებას, ანტიფრანგული კონტრრევოლუციური კოალიციის შექმნას ინგლისის მეთაურობით. ეს გეგმა მან თავისი ხელით შედგენილ საიდუმლო მემორანდუმში ჩამოაყალიბა 1789 წ. 27/VIII. პიტი გულდასმით, თანმიმდევრულად ახორციელებდა ამ გეგმას. ავიღოთ 1790 წელი. მაშინ ინგლისსა და ესპანეთს შორის ჩრდილოეთი ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთი პუნქტის (ნუტკა-ზუნდის) გამო წანააღმდეგობა იშვა. ინგლისი ესპანეთს ომით დაემუქრა, ესპანეთმა დახმარებისათვის თავის მოკავშირე საფრანგეთს მიჰმართა (მათ შორის არსებობდა ე. წ. „სავაჭარო ხელშეკრულება“ 1761 წლიდან). საფრანგეთმა გარკვეული მიზეზების გამო, რომელთა განხილვას

¹ В. Н. Александренко, Русские дипломатические агенты в Лондоне XVIII в., т. 1, Варшава, 1897 г., стр. 70.

² ეს აზრი გაატარა ცნობილმა რეაქციულმა, გერმანიის ისტორიკოსმა ზიბელმა, იმ. G. Subel, Geschichte der Revolutionszeit, არის რუსული თარგმანი: Генрах Зибель, История Французской революции и ее времени, С.-П., 1863 г.

ჩვენ აქ არ შევუდგებით, მოკავშირეს დახმარებაზე უარი უთხრა. ინგლისმა იცოდა ყოველივე ეს და ომით სწორედ ამიტომ ემუქრებოდა ესპანეთს. ნაწყენი ესპანეთი ჩამოშორდება საფრანგეთსო, ფიქრობდა „ცბიერი ალბიონი“ და ნაწილობრივ ეს ასეც მოხდა. ეპანეთსა და საფრანგეთს შორის „შავმა კატამ გადაიბრინა“ და მალე ესპანეთი ანტიფრანგულ ბანაკში აღმოჩნდა. პიტი დაუახლოვდა ავსტრიის იმპერატორს ლეოპოლდ II, თურქეთთან ომზე ხელი ააღებინა და პრუსიასთან ხელშეკრულება დაადებინა (რაიხენბახის კონვენცია). ამის შემდეგ პიტმა ლეოპალდ II ხელი გაუხსნა ბელგიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბელგიაში რევოლუციურ-ნაციონალური მოძრაობა იყო ავსტრიის წინააღმდეგ მიმართული, აჯანყებული ბელგია გამოეყო ავსტრიას. ინგლისისა და პრუსიის მხარდაჭერით ავსტრიამ ჩაახშო ეს აჯანყება. ამ ნიადაგზე საფრანგეთსა და ავსტრიას შორის წინააღმდეგობა გამწვავდა, საფრანგეთ-ავსტრიის 1756 წლის ხელშეკრულება დაეფიცებას მიეცა. საფრანგეთის დიპლომატიური იზოლირება ბოლომდე იქნა მიყვანილი. ასე აკოწიწებდა ინგლისი ანტიფრანგულ კოალიციას, რომლის ორგანიზება მან 1793 წელს დაამთავრა და თვით ჩაუდგა კოალიციას სათავეში¹.

1793 წელს ინგლისმა განსაკუთრებული ენერგიით მიჰყო ხელი კოალიციის შექმნას. იგი ოსტატურად აჯგუფებდა ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებს საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ; 1793 წლის 25 მარტს დადებულ იქნა ხელშეკრულება ინგლისსა და რუსეთს შორის საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის რუსეთი ერთადერთი იყო, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკაში საკუთარი, დამოუკიდებელი პრინციპებით მოქმედებდა). 25 აპრილს ინგლისმა სარდინია ჩააბა კოალიციაში. მას ინგლისი დიდ ფულად დახმარებასა და ტერიტორიულ კომპენსაციას (სავოიასა და ნიცას დაბრუნებას) დაჰპირდა. აღნიშნულის ფასად სარდინიამ ინგლისის კოალიციის განკარგულებაში მნიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტი გამოჰყო. 25 მაისს ხელმოწერილ იქნა საკავშირო ხელშეკრულება ინგლისსა და ესპანეთს შორის, 12 ივლისს—ნეაპოლთან, 14 ივლისს—პრუსიასთან, 30 აგვისტოს—ავსტრიასთან, 26 სექტემბერს—პორტუგალიასთან; ფულითა და დაპირებებით ინგლისმა მოისყიდა აგრეთვე გერმანელი თავადები და მთავრები. ზოგი სახელმწიფოს მიმართ ინგლისი აშკარა მუქარის ხერხს მიჰმართავდა; ცნობილია, რომ ინგლისის მუქარისა და 48-საათიანი ულტიმატუმის შედეგად შეუერთდა კოალიციას ტოსკანის პატარა საჰერცოგო. ოქტომბერში ინგლისის ფლოტი გენუას მიადგა და ქალაქის ხელისუფლებას მოსთხოვა საფრანგეთთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა. გენუა იძულებული გახდა ინგლისელთა ბრძანებას დამორჩილებოდა. 1793 წლის 8 ივნისს ინგლისის ფლოტს წინადადება მიეცა დაეკავებინა ყველა გემი, რომელიც

¹ პიტის აღნიშნული საქმიანობის შესახებ დაწვრილებით იხ. *Дипломатический словарь*, т. II, гл. 401—405; *История дипломатии*, т. 1, гл. 325—341.

საფრანგეთის ნავთსადგურისაკენ მიემართებოდა. ინგლისი ამ შემთხვევაში არც ე. წ. „ნეიტრალურ“ სახელმწიფოთა ინტერესებს უწევდა ანგარიშს¹.

ომის წარმოების ძირითად მეთოდს ინგლისისათვის წარმოადგენდა კოალიციის მომარაგება ფულით: „პიტის ოქრო“, აი ბრიტანეთის ყველაზე საუკეთესო საომარი იარაღი.

ასევე ოსტატურად იყენებდა ბრიტანეთი შანტაჟს, დაშინებას, პროვოკაციასა და დივერსიებს. ლონდონი მსოფლიოს კონტრრევოლუციის ცენტრად იქცა. აქედან გზავნიდნენ საფრანგეთში ტერორისტებს, მზვერავებს, დივერსანტებს. აქედან აჩაღებდა ინგლისი კონტრრევოლუციურ აჯანყებებს საფრანგეთის შიგნით, მაგალითად, ვანდეაში და სხ. აქედან იგზავნებოდა საფრანგეთში ყალბი ასიგნაციები².

ამრიგად, მართალია, XVIII საუკუნის განმავლობაში ინგლისმა სძლია საფრანგეთი და მსოფლიო ჰეგემონობას მიაღწია, მაგრამ საფრანგეთი კვლავ საშიშ ძალას წარმოადგენდა. ამას კარგად გრძნობდა ბრიტანეთი და საფრანგეთის საბოლოოდ, სამუდამოდ მოსპობას თავის გადაუდებელ ამოცანად თვლიდა და, როცა ხელსაყრელი მომენტი იპოვა, აღმართა კიდეც მახვილი საფრანგეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთის საბოლოო განადგურება, — აი რა მოტივი ამოძრავებდა ბურჟუაზიულ ინგლისს, როცა იგი ევროპის რეაქციული, ფეოდალური კოალიციების სათავეში დგებოდა.

* * *

მაგრამ მეორე მოტივიც იყო, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციისადმი ინგლისის მტრული დამოკიდებულება განსაზღვრა. ეს იყო ინგლისის გაბატონებული კლასების „ოქროს არისტოკრატისა“ და „მიწის არისტოკრატის“ შიში იმ ფართო სახალხო-დემოკრატიული და ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოძრაობის წინაშე, რომელიც ინგლისში გაიშალა XVIII საუკუნის დამლევს და რომელიც ესოდენ გაძლიერდა საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენის გამო. როცა ბრიტანეთის მმართველი კლასები საფრანგეთის წინააღმდეგ კონტრრევოლუციურ შეთქმულებას აწყობდნენ, ბრიტანეთის მშრომელი მასები თანაუგრძობდნენ რევოლუციას და მას სოლიდარობას უცხადებდნენ. ვ. ი. ლენინი წერდა: „როდესაც საფრანგეთი თავის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას ახდენდა და ისტორიულად ახალი ცხოვრებისათვის აღვივებდა ევროპის მთელს კონტინენტს, ინგლისი კონტრრევოლუციური კოალიციის სათავეში აღმოჩნდა, ამავე დროს კი იგი კაპიტალისტურად გაცილებით უფრო განვითარებული იყო, ვიდრე საფრანგეთი. ხოლო ინგლისის იმ ებოქის მუშათა მოძრაობა გენიალურად წინასწარ ჰვრეტს ბევრ რამეს მომავალი მარქსიზმიდან“³.

¹ Французская буржуазная революция 1789—1794 гг., под. ред. Волгина и Тарле, стр. 440—442

² Дипломатический словарь, т. II, стр. 404.

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 357—358.

ასე მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი ინგლისის მუშათა მოძრაობას XVIII საუკ. დამლევს. ინგლისის ბურჟუაზიის განწყობას კარგად ახასიათებს ისტორიკოსი მორტონი; იგი წერს: „აქ (ინგლისში.—გ.კ.) ბურჟუაზიის ძალაუფლება... ასი წლით ადრე განმტკიცდა და ამიტომ აქაური ბურჟუაზიის გაბატონებული წრეები საფრანგეთის რევოლუციის მიმართ არ იყვნენ სიმპათიით განწყობილნი. საზღვარგარეთ ეს რევოლუცია თავის დროს მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროში კონკურენტის გაჩენას გამოიწვევდა. თვით ინგლისში კი დღის წესრიგში ისეთ საკითხებს დასვამდა, რომელთა წამოჭრა ბურჟუაზიისათვის არ იყო სასურველი, კერძოდ ის კლასები, რომლებიც აქამდე ბურჟუაზიას მორჩილებაში ჰყავდა, ბრძოლას დაიწყებდნენ. რაც უფრო სახალხო ხასიათს ღებულობდა რევოლუცია საფრანგეთში, მის წინაშე ინგლისის ბურჟუაზიის შიში მით უფრო იზრდებოდა. „იაკობინობა“ ნიშნავდა პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო ინგლისში პრივილეგიურებული კლასი ბურჟუაზია უფრო იყო, ვიდრე არისტოკრატია“¹.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოძრაობის შესახებ, რომელსაც საფრანგეთს რევოლუციის გავლენის შედეგად ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო. ეს მოძრაობა საპარლამენტო-საარჩევნო რეფორმების მოთხოვნას არ გასცილებია ინგლისში და, სახალხო მოძრაობის გაღრმავებით შეშინებული, მალე უილიამ პიტის ფრთებს ამოეფარა. პიტსა და ინგლისის ბურჟუაზიას ძილს უფრთხობდა სახალხო-დემოკრატიული მოძრაობა.

ინგლისში 400.000 რადიკალი და 80.000 იაკობინიარ, ბოლმით აღსავსე გაიძახოდა ინგლისის ბურჟუაზიის აპოლოგეტი, საფრანგეთის რევოლუციის დაუძინებელი მტერი ედმუნდ ბორკი². მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო; ეს უზარმაზარი არმია დღითი დღე იზრდებოდა და თავზარს სცემდა ინგლისის მმართველ ოლიგარქიას. ცნობილი რადიკალი თომას პენი, ამერიკის ახალშენების დამოუკიდებლობისათვის დიდი მებრძოლი, 1791 წელს ინგლისში ყოფნისას აქვეყნებს პამფლეტს „ჯანსაღი აზრი“ („The Common Sense“), ის მოითხოვს არისტოკრატის ბატონობისა და მონარქიის დამხობას, ქადაგებს სახალხო სუვერენიტეტის იდეას. ინგლისის მთავრობამ იგი სასამართლოში მისცა; იგი საფრანგეთში გაიქცა და იქ კონვენტის წევრად აირჩიეს. „ჩემი სამშობლო იქაა, სადაც ხალხი თავისუფლებისათვის იბრძვისო“, ამბობდა იგი³. მის წიგნებს ინგლისში პოლიცია კონფისკაციას უშვებოდა და სასტიკად სჯიდა ყველას, ვისაც პენის თხზულებას აღმოუჩენდა. 1793 წელს გამოდის თომას გოდვინის წიგნი: „გამოკვლევა პოლიტიკურ სამართლიანობაზე და საყოველთაო კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე მისი გავლენის შესახებ“. იგი პენისა და საფრანგეთის რევოლუციის კონვენტის რადიკალიზმზე გაცილებით შორს მიდის, იგი მოითხოვს ექსპლოატაციის მოსპობას. მისი

¹ А. Л. Мортон, История Англии, Москва, 1950 г., стр. 289.

² Г. Бьюков, Очерки по истории социальных движений в Англии (1764—1836), М.-Л., 1934, гл. 42.

³ Французская буржуазная революция, под. ред. Волгина и Тарле, стр. 240.

აზრით, მისი მოსპობა შეიძლება ქონების გათანაბრების გზით: ამრიგად, იგი „ეგალიტარიზმს“ ქადაგებს. მდიდარმა უნდა შეიგნოს და თვისი ქონების ნაწილი სხვას გადასცეს, — ასეთია დაახლოებით გოდვინის მრწამსი¹.

ყურადსაღებია თომაზ სპენსის შეხედულებები. იგი ანვითარებდა მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრებისა და ადამიანის ბუნებრივი უფლების თეორიას. თავისი შეხედულებები მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა უფრო გვიან. 1798 წელს მან გამოაქვეყნა მომავალი საზოგადოების უტოპიური პროექტი სათაურით „სპენსიანა“. იგი აგრარულ სოციალიზმს ქადაგებდა. მთელი მიწები უნდა გადაეცეს სასოფლო თემებს, რომელთაც თვითმართველობის გარკვეული უფლებები ექნებოდა. სპენსი აგრარული რევოლუციის შედეგად განადგურებული ინგლისის წვრილი გლეხების იდეოლოგიად გვევლინება. ცხადია, ინგლისში წვრილი გლეხობის აღდგენა მხოლოდ ფუჭი ოცნება-ლა იყო.

1792 წელს ინგლისის დემოკრატიულმა მასებმა, გალატაკებულმა წვრილმა ბურჟუაზიამა და მუშათა კლასმა საკუთარი ორგანიზაცია კი ჩამოაყალიბეს. ეს იყო „ლონდონის კორესპონდენტთა საზოგადოება“ (London Corresponding Society), რომელსაც ხელოსანი თომაზ გარდი (1752—1832 წწ) ხელმძღვანელობდა; მალე მსგავსი ორგანიზაციები მთელ ინგლისს მოედინა; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორგანიზაციები ბირმინგემში, გლაზგოში, ედინბურგში, ნიუკესტლში, ბრისტოლში, ნორვიჩში, შეფილდსა და სხვ. ზოგიერთი ცნობების თანახმად, ინგლისში მაშინ 70-მდე ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა²; იმის გამო, რომ ხელისუფლება კრძალავდა ინგლისში პოლიტიკურ ორგანიზაციათა ყოველგვარ გაერთიანებას, ფორმალურად „კორესპონდენტთა“ ცალკეული ორგანიზაციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ უჯრედებად ასაღებდნენ თავს, ფაქტიურად კი მათ ერთ საერთო ცენტრალური კომიტეტი ჰქონდათ ლონდონში, რომელსაც გარდი ედგა სათავეში. კორესპონდენტთა ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და მუშები.

„კორესპონდენტთა საზოგადოება“ მოითხოვდა ინგლისის სახელმწიფო წყობილების სრულ დემოკრატიულ გარდაქმნას; მათ პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა რესპუბლიკა და იაკობინელთა 1793 წლის კონსტიტუცია. ისინი ხანგრძლივად ეწეოდნენ აგიტაციას საყოველთაო საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად. მოითხოვდნენ სსხვილი მიწათმფლობელობის მოსპობას, მიწების გადაცემას თემებისათვის, რომლებიც მათ „ეგალიტარიზმის“ პრინციპის მიხედვით გაანაწილებდნენ. მათ საფრანგეთის ეროვნულ კონვენტს მისალმებები გაუგზავნეს და მალე „ბრიტანელი იაკობინების“ სახელი დაიმსახურეს. თუმცა მათ არაფერი ჰქონდათ საერთო იმ რევოლუციურ ენტუზიზმთან, რომლითაც ფრანგი იაკობინელები იყვნენ გამსჭვალულნი. გარდი და მისი მიმდევრები აცხადებდნენ, რომ თავიანთი მიზნების განხორციელება მათ მშვიდობიანი, კანონიერი გზით სურთ.

¹ Французская буржуазная революция, под. ред. Волгина и Тарле, стр. 240., 242.

² Г. Быхов, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

ინგლისში „ბრიტანელი ჟირონდისტებიც“ არსებობდნენ. მათ საკუთარი ორგანიზაციები ჰქონდათ. ასეთი იყო „ხალხის მეგობართა საზოგადოება“, რომელსაც ლიბერალი ლორდი გრეი მეთაურობდა; „რეფორმათა და კონსტიტუციის მეგობართა“ სხვადასხვა ორგანიზაციები. მაგრამ ამ ორგანიზაციებმა თავისი აშკარად ბურჟუაზიული არსი სულ მალე გამოამჟღავნეს. საფრანგეთში გაშლილმა იაკობინურმა მრისხანე ტერორმა შეაზარა მათ საფრანგეთის რევოლუცია, ინგლისის ხალხში რევოლუციური ენთუზიაზმის ზრდამ კიდევ უფრო დააფრთხო ისინი, საბოლოო ანგარიშით ისინი რეაქციის მხარეზე აღმოჩნდნენ.

ინგლისის მმართველმა კლასებმა და მათმა მებეირახტრემ უილიამ პიტმა სახალხო-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ უსასტიკესი ბრძოლა გააჩაღა. დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეებს პიტი აპატიმრებდა და ციხეებში ამწყვევდა, ბევრს მათგანს შორეული ავსტრალიის კატორღაში გზავნიდა. რეაქციულმა ბანდებმა ბირმინგამსა და სხვა ქალაქებში დაწვეს და გაანადგურეს რადიკალების სახლ-კარი. 1794 წელს უილიამ პიტმა შეაჩერა „Habeas Corpus“ აქტი. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. „კორესპონდენტთა საზოგადოება“ და საერთოდ რადიკალური ორგანიზაციები კანონგარეშე გამოაცხადეს. დაპატიმრეს და სამართალში მისცეს თომაზ გარდი, „კორესპონდენტთა ორგანიზაციების“ სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მათ ბრალი დასდეს სახელმწიფოს ღალატში. რეაქციამ რევოლუციურ-დემოკრატიული სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ფართო შეტევა გააჩაღა.

ამრიგად, ილაშქრებდა რა საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ, ბრიტანეთის ბურჟუაზიას სურდა მოესპო იგი, როგორც სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ბუდე. ევროპის მასშტაბით საფრანგეთის რევოლუციური იდეების გამარჯვება ბრიტანეთის მმართველი წრეებისათვის უდიდესი უბედურება იქნებოდა. მოვსპოთ საფრანგეთის რევოლუცია, — და ამ უბედურების საფრთხე შინ თუ გარეთ თავიდან აცილებული იქნებაო, — ამ გადაწყვეტილებით ჩაუდგა ინგლისი სათავეში რეაქციული ევროპის ბრძოლას რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ. რევოლუციური იდეების მოსპობა როგორც ინგლისში, ისე ინგლისის გარეთ, ამ იდეების უდიდესი რეზერვუარის, საფრანგეთის რევოლუციის განადგურება, — აი რა სურდათ ბრიტანეთის მმართველ კლასებს.

* * *

დღეს ბრიტანეთის იმპერიალიზმი ახალი ომის გამჩაღებელთა პირველ რიგში დგას. მას სურს კვლავ მოიმარჯვოს ყველა ვერაგული ტრადიცია და მსოფლიოში ახალი ომის ხანძარი დაანთოს. მაგრამ მის ვერაგულ ზრახვებს წინ ეღობება ურყევი ერთიანობა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ხალხებისა, რომელთაც მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერების ბურჯი, საბჭოეთის დიდი ქვეყანა მეთაურობს.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V.5)

Г. Кигурадзе

Англия и Французская буржуазная революция

Резюме

Известно, что инициатором и вдохновителем борьбы феодально-контрреволюционных сил Европы против революционной Франции являлась буржуазная Англия.

В статье „Англия и Французская буржуазная революция“ дается попытка выяснить причины, заставившие Англию возглавить контрреволюционные силы феодальной Европы в борьбе с Францией. Эти причины в основном следующие.

1. В течение XVIII века Англия сумела нанести Франции ряд чувствительных поражений. Однако, несмотря на это, Франция все же оставалась сильной державой; реваншистское настроение французской буржуазии с каждым днем усиливалось. Франция продолжала оставаться основным конкурентом Англии на мировой колониально-торговой арене. Французская революция дала Англии удачный повод окончательно разбить своего сильного конкурента.

2. Господствующих классов Англии, стоявших во главе международной реакции, „Золотую аристократию“ и „Земельную аристократию“, чрезмерно пугало то широкое народно-демократическое и буржуазно-либеральное движение, которое развивалось и усиливалось под влиянием французской революции. Борясь с французской революцией, английская буржуазия хотела уничтожить ее, как очага народно-демократического движения. Победа революционных идей была бы сильнейшим ударом для господствующих классов Англии. Уничтожение революционных идей как в самой Англии, так и вне ее, уничтожение великого очага этих идей — революционной Франции — вот к чему стремилась Англия.

3. Привыкшая „загрывать жар чужими руками“, Англия использовала против Франции коалиции феодальных государств Европы. Момент был особенно благоприятным. Феодальная Европа и без подстрекательства Англии поднималась на борьбу с революционной Францией, что в сильной степени облегчало коварную задачу английской дипломатии. Коалиции феодальных государств превратились в наемное войско Англии, с помощью которого она осуществляла свои главные задачи в борьбе с французской революцией.

აღ. ნაშრომი

შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების (biens communaux) საკითხის შესახებ ვერ მოუპოვებია სათანადო შეფასება საგნის საისტორიო ლიტერატურაში.

შარლ დანტონის მოხსენებასა და პროექტს საფრანგეთის სათემო მიწების (biens communaux) საკითხის შესახებ ვერ მოუპოვებია სათანადო შეფასება საგნის საისტორიო ლიტერატურაში.

ლეჟისლაციის დეპუტატს შარლ დანტონს 1792 წელს წერილობით წარუდგენია სამიწათმოქმედო კომიტეტისათვის (Comité d'agriculture) თავისი მოხსენება და პროექტი სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, რაც ამჟამად მოთავსებულია ჟორჟ ბურჟენის მიერ გამოცემულ სპეციალურ დოკუმენტთა კრებულში 1789 წლის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესახებ¹.

საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის სათემო მიწების საკითხი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია.

ლეჟისლაციის სამიწათმოქმედო კომიტეტს შემუშავებული ჰქონდა საკუთარი პროექტი დეკრეტისა სათემო მიწების შესახებ, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეული სოციალური ფენების ინტერესებს ასახავდა.

იზერის დეპუტატი შარლ დანტონი² გამოსულა თავისი კონტრამოხსენებით, რაც აგრეთვე გარკვეული სოციალური კლასის ინტერესებს ითვალისწინებდა.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ საისტორიო ლიტერატურაში არსებულ აზრს იმ საკითხების შესახებ, თუ რა სოციალური კლასის ინტერესები ამოძრავებდა შარლ დანტონს, თუ ვის სასარგებლოდ წყვეტდა იგი სათემო მიწების საკითხს, თუ რა პოლიტიკური სახის მატარებელი იყო თვითონ, თუ როგორ უნდა შეფასდეს მისი მოთხოვნა სათემო მიწების გაყიდვის შესახებ მათი ლიკვიდაციის

¹ „Le partage des biens communaux“, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793. publiés par Georges Bourgin, Paris, MDCCCVIII.

² შარლ დანტონი იაკობინთა ფრიად ცნობილი წარმომადგენლის ჟორჟ დანტონის თანამოგვარეა. შარლ დანტონი დაბადებულია ვენაში, მაგრამ მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები დადგენილი არ არის და გამოურკვეველია. იხ. ბურჟენის დოკუმენტთა კრებული: „Le partage des biens communaux“, გვ. 374, შენიშვნა I.

მიზნით და თუ როგორ უნდა გვესმოდეს მისი დეკლარაცია ღარიბ გლეხთა ინტერესების დაცვის შესახებ¹.

1789 წლის რევოლუციაში, როგორც საერთოდ ცნობილია, საფრანგეთის ბურჟუაზია სპობდა ფეოდალურ წყობილებას და ყოველგვარ ფეოდალურ ურთიერთობას, რომლებიც ბორკავდნენ საწარმოო ძალთა განვითარებასა და ახალი წარმოებითი ურთიერთობათა დამყარებას, სპობდა რა ყოველგვარ ფეოდალურ გადმონაშთებს, საფრანგეთის ბურჟუაზიას არ შეეძლო არ მოესპო აგრეთვე მიწის თემური ხასიათის მფლობელობა, რაც აგრეთვე ფეოდალური ხასიათის გადმონაშთს წარმოადგენდა. საჭირო იყო ძველი ზედნაშენის მოსპობა და მისი შეცვლა ახალი ზედნაშენით, რათა გასაქანი მისცემოდა საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას².

ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომში, —სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, — აღნიშნავს, რომ „საფრანგეთში ბურჟუაზიამ ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამოიყენა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ცნობილი კანონი“³. ამით საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ფართო გზა გაუხსნა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ „როდესაც ბურჟუაზიამ დაანგრია ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი და დაამყარა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი“⁴.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ აღნიშნული რევოლუციის განმავლობაში დაამხო აბსოლუტური მონარქია და დაამყარა რესპუბლიკა, მან დაამხო მემამულეების ბატონობა და თვითონ ჩაუდგა სახელმწიფო მმართველობას სათავეში, მან მოსპო სოციალური პრივილეგიები, მოსპო ქვეყნის შიგნით არსებული საბაჟოები, სავაჭრო მონოპოლიები (საშინაო ვაჭრობის სფეროში), საამქრო ორგანიზაციები, მთავრობის რეგლამენტაცია (გაბატონებული მრეწველობაში), რაც უაღრესად ზღუდავდა იმავე მრეწველობას და ამასთანავე შესცვალა მიწის ფეოდალური პირობითი საკუთრება სრული ბურჟუაზიული საკუთრებით. მან განტვირთა და სრულიად გაანთავისუფლა საფრანგეთის გლეხობა სენიორული (ფეოდალური) გადასახადებისაგან. იგი შეეცადა აგრეთვე ნაციონალური ქონების გაყიდვის საშუალებით განევითარებინა მსხვილი სასოფლო მეურნეობა არსებული პარცელარული მეურნეობის მაგივრად, რომელიც ზღუდავდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას. მას სურდა, რათა კაპიტალიზმი მძლავრად შექრილიყო სოფლის მეურნეობაშიც. ამიტომ იგი სპობდა ყოველივე იმას, რაც ხელს უშლიდა კაპიტალიზმის შექრას და განვითარებას სოფლად. ამის მიხედვით იგი, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დას-

¹ „Procès — verbaux des Comités d'agriculture et de commerce de la Constituante, de la Législative et de la Convention“, publiés et annotés par Fernard Gerbaux et Charles Schmidt. (Collection de documents inédits sur l'histoire économique de la révolution française). Paris, MDCCCVII, ტ. II, გვ. 443—607.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამი, 1951 წ., გვ. 8.

³ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952 წ., გვ. 52.

⁴ იქვე, გვ. 55.

ტოვებდა სათემო მიწების არსებობას, ამ ძველი ფეოდალური წყობილების გადმონაშთს. მან ამ სათემო მიწებსაც ბოლო მოუღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულით მან ძირფესვიანად შეცვალა არსებული მდგომარეობა, არსებული ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი და „შექმნა ახალი, ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი და ეს წარმოებითი ურთიერთობანი ფეოდალური წყობილების წიაღში წარმოშობილ საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში მოიყვანა“¹.

ამას რომ ადგილი არ ჰქონოდა, ე. ი. „წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმი ვერ განვითარდებოდა ისეთი სისწრაფით, რა სისწრაფითაც ის ვითარდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ“².

საფრანგეთის მრეწველობას ერთგვარი აღმავლობა დაეცყო უკვე თვით რევოლუციის დროს და საგრძნობლად გაიზარდა იგი. შემდეგში, ნაპოლეონ I იმპერატორობისა და რესტავრაციის ხანაში საფრანგეთის მრეწველობამ დიდ წარმატებას მიაღწია. ეს მოხდა სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში, ხოლო ივლისის მონარქიის დროს საფრანგეთი სამრეწველო გადატრიალების პროცესის დამთავრების გზას დაადგა.

ი. ბ. სტალინის სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ის პერიოდი იყო ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ ხანაში, „როცა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებოდნენ საწარმოო ძალთა ხასიათს“³.

ბურჟუაზიამ თავისი გაბატონებისათვის გამოიყენა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის სავალდებულო ცნობილი კანონი და უზრუნველყო კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარების პირობები.

„ბურჟუაზიამ ეს გააკეთა არა თავისი განსაკუთრებული უნარის გამო,— აღნიშნავს ი. სტალინი, არამედ იმიტომ, რომ ის სისხლხორცეულად დაინტერესებული იყო ამით. ფეოდალები ამ საქმეს წინააღმდეგობას უწევდნენ არა თავიანთი გონებაზღუნგობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული ხელი შეეშალათ ამ კანონის განხორციელებისათვის“⁴.

ამგვარად, აღნიშნული შესაბამისობის კანონი განხორციელებულ იქნა ცხოვრებაში არა მშვიდობიანი გზით, არამედ მძაფრი ბრძოლის შედეგად. ფეოდალიზმის წინააღმდეგ საფრანგეთის ბურჟუაზიას დასჭირდა სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლა, ხანგრძლივი ბრძოლა, რომლის ყოველ ეტაპს თავისებური ხასიათი ჰქონდა. რევოლუციას თავდაპირველად სათავეში ჩაუდგა მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც შემდეგ წვრილმა ბურჟუაზიამ შეცვალა. მაგრამ წვრილი ბურჟუაზიაც არსებითად იმას აკეთებდა, რაც ხელსაყრელი იყო აგრეთვე მსხვილი

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 52—53.

² იქვე, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 55.

⁴ იქვე, გვ. 53.

ბურჟუაზიისათვის. წერილი ბურჟუაზია, მარქსის თქმით, პლებეური მეთოდებით სპობდა ფეოდალურ წყობილებასა და ფეოდალურ ურთიერთობას, რაც ასე აბრკოლებდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ბურჟუაზია სისხლხორცეულად დაინტერესებული იყო იმით, რომ განმტკიცებულყო კაპიტალიზმი არა მარტო ქალაქად, არამედ აგრეთვე სოფლად, მაგრამ სოფლადაც ამას ხელს უშლიდა ფეოდალური წყობილების გადმონათებით: პარცელარული მეურნეობა, უამრავი სენიორული გადასახადი, მიწის თემური ხასიათის მფლობელობა და სხვა.

საფრანგეთის ბურჟუაზია ვერ შეურიგდებოდა ამ ძველ ინსტიტუტებს და იბრძოდა მათი მოსპობისათვის. ხოლო ბურჟუაზიის ესა თუ ის ფრაქცია, ესა თუ ის ფენა, გაბატონებული რევოლუციის ამა თუ იმ პერიოდში, თავისებურად უდგებოდა ძველი ინსტიტუტების მოსპობის საკითხს, მათ შორის სათემო მიწების მოსპობის საკითხს და თავისებურად წყვეტდა მას, წყვეტდა ან ზომიერი, ან რადიკალური სახით.

საფრანგეთის საკანონმდებლო კრება, როგორც ეს საერთოდ ცნობილია, 1795 წლის 10 აგვისტოს გადატრიალების შედეგად დაიშალა ისე, რომ მან ვერც კი მოასწრო განეხილა და მიეღო ის კანონპროექტი სათემო მიწების შესახებ, რომელიც შემუშავებული იყო ამავე კრების სამიწათმოქმედო კომიტეტის მიერ. თუ რას იტყოდა საბოლოოდ აღნიშნული კრება სათემო მიწების შესახებ, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც რჩება შესაძლებლობა იმის რესტიტუციისა, თუ რა მოსაზრება და აზრი ტრიალდება საკანონმდებლო კრებაში სათემო მიწების შესახებ. ამგვარ შესაძლებლობას იძლევა სამიწათმოქმედო კომიტეტის საქმიანობა და ამავე კომიტეტის ოქმები.

სამიწათმოქმედო კომიტეტი, გამოყოფილი საკანონმდებლო კრების (Legislative) მიერ, შედგებოდა 24 წევრისაგან¹ და თავისი სოციალური შემაღენლობით საკანონმდებლო კრების მსგავსი იყო, მათ საერთო ენა ჰქონდათ.

საქმე რთულდება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ სამიწათმოქმედო კომიტეტის ოქმები² მეტწილად მოკლეა და მშრალი, რაც სათანადოდ არ ასახავს გაშლილ კამათს კომიტეტის წევრებს შორის და არ იძლევა მსჯელობის მსვლელობის სრულ სურათს.

მაგრამ სამაგიეროდ ხელთ გვაქვს: საანკეტო ცნობები, სხვადასხვა დაწესებულებისა და კერძო პირების მიერ წარდგენილი პეტიციები ლეჟის-

¹ „...sept cultivateurs et propriétaires; un agronome; un membre de l'Académie des Sciences; un négociant; un marchand voiturier par eau; un maître de poste; trois membres de directoire de département; quatre administrateurs de département; un procureur générale syndic de département; deux procureurs syndics de district; un juge de tribunal et un maire de commune“. იხ. Gerbaux et Schmidt, „Procès-verbaux...“ ტ. II, Introduction, გვ. VI.

² Gerbaux et Schmidt, Procès-verbaux des Comités d'agriculture et de commerce... ტ. II, გვ. 479—592.

ლატივი¹; მოგვეპოვება სამიწათმომწყობო კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი დეკრეტისა სათემო მიწების გაყოფის შესახებ², მოხსენება თვით ამ სამიწათმოქმედო კომიტეტის თავმჯდომარისა³, მისივე მიერ შემუშავებული საკუთარი დამატებითი მუხლები⁴ (რამიაც იგი არ ეთანხმებოდა სამიწათმოქმედო კომიტეტის უმრავლესობას), კონტრამოხსენება შარლ დანტონისა⁵ (რომელიც საკანონმდებლო კრების დეპუტატი იყო, წარგზავნილი იზერიდან) და მისივე პროექტი დეკრეტისა⁶ სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ.

აქ განვიხილავთ მხოლოდ დანტონის მოხსენებას და მის მიერ წარდგენილ პროექტს სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ.

სათემო მიწების საკითხი ხანგრძლივი მსჯელობის საგანი იყო 1789 წლის რევოლუციისათვის, იგი არ მოხსნილა დღის წესრიგიდან როგორც კონსტიტუანტის⁷, ისე ლეჟისლატივისა⁸ და ნაციონალური კონვენტის⁹ დროს.

სათემო მიწების საკითხი მოკლებული არ არის ინტერესს იმდენად, რამდენადაც მოკლებული არ არის ინტერესს 1789 წლის რევოლუციის აგრარული კანონმდებლობა.

ყოველი საკანონმდებლო ორგანო (კონსტიტუანტი, ლეჟისლატივი თუ ნაციონალური კონვენი) თავისებურად უდგებოდა საკითხს და თავისებურად წყვეტდა მას, რაც, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო ყოველი მათგანის სოციალური შემადგენლობისაგან¹⁰.

ჩვენი საბოლოო მიზნისათვის მთავარია ის საკითხი, თუ რა პასუხს უმზადებდა გლეხებს ლეჟისლატივი (საკანონმდებლო კრება) თავისი სამიწათმოქმედო კომიტეტით, თუ როგორ ეკიდებოდა იგი მათ სურვილს, გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ სწყვეტდა იგი სათემო მიწების საკითხს. ყოველივე ამის გარკვევისათვის საჭიროა ყველა ზემოაღნიშნული მასალების გათვალისწინება. ამ მასალების გათვალისწინებაში, როგორც მისი ნაწილი, შე-

¹ Bourgin, Le partage des biens communaux... გვ. 350—460.

² Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 365—369.

³ Ibidem, გვ. 337—365

⁴ Ibidem, გვ. 370—373

⁵ Ibidem, გვ. 374—391

⁶ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 391—396

⁷ Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux des Comités d'agriculture... ტ. II, გვ. 1—443. იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage des biens communaux, გვ. 1—337.

⁸ Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux des Comités d'agriculture... ტ. II, გვ. 443—609. იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage... გვ. 337—407.

⁹ Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux des Comités d'agriculture... ტ. III, Paris, 1908 წ., იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage des biens communaux, გვ. 661—740.

¹⁰ და არა იმ ეოლუციის გამო, რაც მხედველობაში აქვთ: დ. პეტროვს, სანიაკს, ბურჟენს და სხვებს. იხ. Д. Петров, Ликвидация сеньерияльного режима во Франции, Киев, 1915 г.

დის აგრეთვე დანტონის პროექტისა და მოხსენების დეტალური ანალიზი, რაზედაც ჩვენ ამჟამად შევჩერდებით.

შარლ დანტონს წარუდგენია სამიწათმოქმედო კომიტეტისათვის თავისი მოხსენება და პროექტი არა უგვიანეს 1792 წლის 14 აგვისტოსი¹.

შარლ დანტონის მოხსენება, ბურჟენის სიტყვით რომ ვთქვათ, არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორცაა აველინის მოხსენება, ვინაიდან აველინი გამოვიდა კონვენტში როგორც მთელი სამიწათმოქმედო კომიტეტის სახელით, ისე თავისი პირადი წინადადებით, მაგრამ დანტონის პირადი მოხსენება და მისი საკუთარი პროექტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი მოითხოვს სათემო მიწების გაყიდვას და, მაშასადამე, ამ საშუალებით სათემო მიწების ლიკვიდაციას².

დანტონს უთხოვია სიტყვა იმ მიზნით, რომ გამოეთქვა თავისი აზრი სათემო მიწების შესახებ. მაგრამ ამის საშუალება მას არ მისცემია და ამიტომ მას წერილობით წარუდგენია სამიწათმოქმედო კომიტეტისათვის თავისი მოხსენება და კანონპროექტი სათემო მიწების შესახებ³.

დანტონის პროექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის სათანადოდ შეფასებული საგნის საისტორიო ლიტერატურაში⁴. ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თითქოს შარლ დანტონი თავისი პროექტით ასახავდა მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებს.

სათემო მიწათმფლობელობა უნდა ლიკვიდირებულიყო, ბურჟუაზია ვერ დასტოვებდა მას ძალაში ძველებურად. სათემო მიწების ლიკვიდაცია კი შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა გზით—სათემო მიწები შეიძლება განაწილებულიყო კერძო საკუთრებად გლეხებს შორის ანდა გაყიდულიყო მათი ლიკვიდაციის მიზნით.

სათემო მიწების ლიკვიდაციას მოითხოვდნენ ისინი, ვინც დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის სასოფლო მეურნეობის განვითარებით და დაწინაურებით, მსგავსად ინგლისისა, სადაც აღრევე ლიკვიდირებულ იქნა სათემო მიწები.

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Introduction, გვ. XVI—XVII. ბურჟენი, ვადადის რა აველინის მოხსენებიდან დანტონის მოხსენების განხილვაზე, აღნიშნავს: „Le second rapport est l'oeuvre de Danthon, député de l'Isère, qui le présenta au Comité d'agriculture à une date, que je n'ai pu déterminer, mais qui est antérieure au 14 août 1792“.

² G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation. Introduction, გვ. XVII, „...si ce rapport n'a pas la même importance que celui d'Aveline, il offre cependant de l'intérêt en ce qu'il oppose à la thèse du partage des communaux celle de la vente de communaux“.

³ „J'ai demandé la parole pour énoncer mon opinion sur les communaux, mais je n'ai pu l'obtenir; renvoyé au Comité d'agriculture, je m'adresse, avec confiance, aux membres qui le composent, et je les prie d'examiner le projet de décret que je leur présente...“ G. Bourgin Le partage des biens communaux, Documents sur la préparation..., გვ. 374

⁴ С. Куниский и В. Позняков, Общинные земли в эпоху Великой французской революции, М., 1927.

შარლ დანტონი მოითხოვდა სათემო მიწების ლიკვიდაციას მათი გაყიდვის საშუალებით და ვინაიდან, კუნისკის აზრით, ამ სათემო მიწების შესყიდვით ისარგებლებდა მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზია, ამიტომ, ამ გარემოებიდან გამომდინარე, ს. კუნისკი დაასკვნის, რომ შარლ დანტონი ასახავდა და იცავდა მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებს¹.

ს. კუნისკი, განიხილავს რა სპეციალურად შარლ დანტონის მოხსენებისა და პროექტის დებულებებს, გარკვეულად დასძენს, რომ ეს დებულებები „საკმაოდ ნათლად ამჟღავნებენ დანტონის კლასობრივ სახეს, როგორც ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების ამსახველს-ო“² („...с достаточной ясностью выявляют классовое лицо Дантона, как выразителя интересов городской буржуазии“).

კუნისკის აღნიშნული დასკვნა, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ეყრდნობა ორ მოსაზრებას: პირველი, რომ დანტონს სძულს ყოველგვარი არაინდივიდუალური საკუთრება, სძულს სათემო მიწათმფლობელობა, რომლის გამო რაციონალურად არ არის დაყენებული სოფლის მეურნეობა, და, რომ დანტონის უკვე ამ სიძულვილში ყოველგვარი არაინდივიდუალური საკუთრებისადმი იგრძნობა ბურჟუა და სახელდობრ ქალაქის ბურჟუა („И уже в этой враждебности всякой неиндивидуальной собственности вы чувствуете буржуа, закоренелого буржуа, и именно городского“)³.

მაგრამ კუნისკის, პირველი მოსაზრება ვერ ჩაითვლება დამაჯერებლად, ვინაიდან სიძულვილი არაინდივიდუალური საკუთრებისადმი, ე. ი. ამ შემთხვევაში სათემო მფლობელობისადმი როდია დამახასიათებელი მარტო ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლისათვის.

კუნისკის მეორე მოსაზრებაა — ვინაიდან დანტონი მოითხოვს სათემო მიწების გაყიდვას, რის შედეგად აღნიშნულ მიწებს შეისყიდიან ქალაქის ბურჟუები, ამიტომ სათემო მიწების გაყიდვა ქალაქის ბურჟუაზიისათვის იქნებოდა ხელსაყრელი და, მაშასადამე, შარლ დანტონი ბურჟუაზიის ინტერესების ამსახველია და დამცველი, სახელდობრ ქალაქის ბურჟუაზიისა („именно городского“)⁴.

არც ეს მეორე მოსაზრებაა დამაჯერებელი. მარტო „მიწების გაყიდვის მოთხოვნიდან“ ვერ მივიღებთ იმის საბუთს, თითქოს დანტონი ქალაქის ბურჟუაზიის ტაბიური წარმომადგენელი იყო. ამასთანავე არ უნდა გვეპარებოდეს მხედველობიდან ის გარემოება, რომ სათემო მიწებს შეისყიდინენ არა მარტო ქალაქის ბურჟუები, არამედ აგრეთვე და, შეიძლება ითქვას, უმთავრესად სოფლის ბურჟუები.

ორივე მოტანილი მოსაზრება საკმარისი არ არის იმის დასადასტურებლად, რომ შარლ დანტონი თავისი პროექტითა და მოთხოვნით სახელდობრ

¹ С. Куниский, В. Позняков, Общинные земли в эпоху Великой французской революции, 83-97

² Ibidem, 83-96.

³ Ibidem, 83-95-98

⁴ Ibidem, 83-98.

ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების ამსახველია და არა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებისა. არც ლეჟისლაციისა და არც ეროვნული კონვენტის არცერთი ჩვენთვის ცნობილი დეპუტატი (აველინი¹, ფაბრი², სუე³, მარენი⁴, და სხვა) არ მოითხოვდა სათემო მიწების გაყიდვას და ამ მხრით შარლ დანტონი (იზერის დეპუტატი) მათ შორის ერადერთია (unicum), რომელიც აღნიშნული მიწების გაყიდვას მოითხოვდა, რითაც იგი უფრო მეტი ყურადღების ღირსია.

თუ დეპუტატი აველინი მოითხოვდა სათემო მიწების გაყოფას გლეხებს შორის, რასაც საბოლოოდ იგივე შედეგები მოჰყვებოდა ლარიბი გლეხობისათვის, რაც მიწების გაყიდვას, რასაც არ უარყოფს თვით კუნისკი, და ამასთანავე, თუ, კუნისკის აზრით, აველინი წარმოადგენდა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს (ბოძოლა გლეხების ინტერესებს), გაუგებარი რჩება, რატომ უნდა იყოს დანტონი, იმავე კუნისკის აზრით, ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი⁵.

უდავოა, რომ ის დეპუტატებიც კი, რომელნიც მოითხოვდნენ სათემო მიწების გაყოფას გლეხებს შორის, დარწმუნებული იყვნენ და ხშირად გულწრფელადაც აღიარებდნენ, რომ ლარიბი გლეხების მიერ მიღებული მიწების ნაწილი მალე მდიდრების ხელში გადავიდოდა; მდიდრები ან შეისყიდნენ ანდა სხვადასხვა საშუალებით შეიძენდნენ მიწებს გაკვირებაში ჩავარდნილი ლარიბებისაგან, რომელნიც ისევ უმიწაწყლოდ დარჩებოდნენ.

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793. გვ. 340 და შემდეგ. იხ. აგრეთვე: Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux, ტ. II, გვ. 583 და შემდ.

² Archives Parlementaires de 1787 à 1860“ (fondé par Mavidal et Laurent), première série, ტ. 61, გვ. 424 და შემდეგ; იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage des biens communaux, გვ. 661—705; Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux..., ტ. III, გვ. 2 და შემდ.

³ იხ. „Archives Parlementaires“, première série ტ. 63. გვ. 163—168. იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage des biens communaux. Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 705—716; Gerbaux et Schmidt, Procès—verbaux..., ტ. III, გვ. 598 და შემდ.

⁴ „Archives Parlementaires“ (fondé par Mavidal et Laurent), première série, ტ. 66. გვ. 267—270; იხ. აგრეთვე: G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 716—721

⁵ С. Куниский, В. Позняков, დასახელებული ნაშრომი, გვ. 94. „В общем и целом, აღნიშნავს ს. კუნისკი, следует сказать, что весь проект (მხედველობაშია პროექტი შედგენილი სამიწათმოქმედო კომიტეტის მიერ) Авелина носит ярко выраженный кулацкий характер: докладчик (იგულისხმება აველინი, რომელმაც მოახსენა პროექტი ლეჟისლაციის სამიწათმოქმედო კომიტეტის სახელით) ставит себе целью так обставить процесс раздела общинных земель, чтобы они целиком сконцентрировались в руках богатейших крестьян“. კუნისკი წინააღმდეგობაში ვარდება: თუ ე. წ. აველინის პროექტით სათემო მიწები განაწილდება თემის წევრებს შორის, ამ შემთხვევაში მთელი მიწა კონცენტრირებული აღმოჩნდება სოფლის უმდიდრესი გლეხების ხელში და თუ სათემო მიწები გაიყიდება, როგორც ამას მოითხოვს დანტონი, ამ შემთხვევაში კი სათემო მიწები ხელში ჩაუვარდება ქალაქის ბურჟუაზიას.

სათემო მიწების გაყიდვა, რასაც მოითხოვდა დანტონი, რა თქმა უნდა, მოუსპობდა გლეხებს სათემო მიწების სარგებლობის საშუალებას, მაგრამ სათემო მიწების გაყოფაც საბოლოო ანგარიშით აგრეთვე მოუსპობდა ღარიბ გლეხებს სათემო მიწების სარგებლობას და ამასთანავე ადრე თუ გვიან იგივე ღარიბი გლეხობა დაჰკარგავდა სათემო მიწებიდან საკუთრებად მიღებულ წილს—სიღარიბისა და გაჭირვების გამო ის იძულებული შეიქმნებოდა გაეყიდა იგი, ანდა გაეცა ვალში. მაშასადამე, სათემო მიწების გაყოფაც გლეხებს შორის ისევ მდიდრებისათვის ხელსაყრელი გარემოება იქნებოდა¹.

სათემო მიწების გაყოფას გლეხებს შორის საბოლოო ანგარიშით სრულიად იგივე შედეგი მოჰყვებოდა (მიწების კონცენტრაცია მდიდრების ხელში), რაც სათემო მიწების გაყიდვას, რომელსაც მოითხოვდა შარლ დანტონი. ამიტომ შეუძლებელია ვუწოდოთ შარლ დანტონს მარტო ქალაქის ბურჟუაზიის იდეოლოგი იმ გარემოებითაც, რომ იგი მოითხოვდა სათემო მიწების გაყიდვას, როგორც ეს მიღებული აქვს კუნისკის.

შარლ დანტონი, თუ მოითხოვდა სათემო მიწების გაყიდვას, ამავე დროს მოითხოვდა ისე მოეწყოთ აღნიშნული მიწების გაყიდვა, რომ მონაწილეობა მიეღოთ მიწების შესყიდვაში გლეხებსაც. ს. კუნისკის მოსაზრება ვერ საბუთდება დანტონის მოხსენებითა და პროექტით, სხვა სახის საბუთები კი დანტონის პოზიციის გამოსარკვევად არ მოიპოვება.

საკითხის გასარკვევად საჭიროა მივუბრუნდეთ თვით შარლ დანტონის მოხსენებას და მის მიერ წარმოდგენილ პროექტს სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ.

*
* *

დანტონის აზრითაც, მსგავსად ბევრ სხვა დემუტატისა, სათემო მიწები, რომელთაც უზარმაზარი ტერიტორია უკავიათ², უვარგისია, უნაყოფო (stériles) და გავერანებული (déserts).

¹ ეს გარემოება თვით დანტონს კარგად ესმის; როდესაც იგი მოითხოვს სათემო მიწების გაყიდვას, ზაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე შემდეგს: „...il faut appeler à la propriété non seulement les grands propriétaires, mais ceux qui ont la volonté“ et les moyens d'acquérir“, და აგრეთვე: „il faut, avant toutes choses, pourvoir aux besoins de la classe indigente, qui n'a pas le moyen d'acquérir un champ, de le défricher, d'échanger son temps contre l'espérance d'une moisson lointaine“... G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation..., გვ. 389. ღარიბ გლეხებთან მას, რა თქმა უნდა, საქმე არა აქვს. ღარიბ გლეხის ხელში ჩავარდნილი მიწის ნაკვეთი, დანტონის აზრით, დაკარგულია სრულიად უნაყოფოდ და უაზროდ.

² ტიურგოს გამოანგარიშებით, სათემო მიწებს საფრანგეთში, 1789 წლის რევოლუციის წინ, რვა მილიონამდე არპანი ეკავა. მისი მიხედვით, ფაბრი, კონვენტის მთავარი მომხსენებელი სათემო მიწების შესახებ, აღნიშნავს შემდეგს: „Il résulte des recherches faites par Turgot, qu'il existe en France 8 millions d'arpents, de communaux, qui peuvent représenter un capital de 600 millions, et un revenu de 25 millions s'ils étaient dans l'état de culture où l'industrie active de l'intérêt particulier pourrait les porter. G. Bourgin, Le partage des biens communaux..., გვ. 663.

სათემო მფლობელობა ზღუდავს მიწის კულტურას, მის პროდუქციას, ყოველგვარი სახის მოხმარებას, მოსახლეობის მომრავლებას, ვაჭრობის განვითარებას და, საერთოდ, ქვეყნის წინსვლას, სახელმწიფოს კეთილდღეობას¹. უამრავი მიწების საერთო თემური მოხმარება დაუშვებელი ბოროტმოქმედებაა („Le droit d'usage exercé sur un territoire immense est un abus intolérable“)².

რამდენიმე ჯოგი გადამხმარ საძოვრებზე და რამდენიმე დაბალი ჯაგი, რომელიც შეიძლება უთბობს ქოხს რამდენიმე ლატაკს,—აი სათემო მიწების სურათი შარლ დანტონის მიხედვით. თუ ხალხი მოითხოვს პურს, მას ვერავითარი სხვა საშუალებით ვერ დააკმაყოფილებთ და ვერ განუხორციელებთ მის ოცნებას. საჭიროა მოპოვებულ იქნეს ის დოვლათი, რომელიც მიწის წიაღში მოიპოვება. მხოლოდ საარსებო საშუალებათა მომრავლებით შესაძლებელი გახდება მოსახლეობის მომრავლება, ზრდა ვაჭრობისა და ზრდა საფრანგეთის სიმდიდრისა. ყოველივე ეს, დანტონის მიხედვით, შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაიხვნება ფართო მინდვრები, რითაც დაზღვეული იქნება მოსახლეობა შიმშილისა და მოუხავლიანობის შემთხვევებისაგან.

ყველაზე უმთავრესია საარსებო საშუალებათა მომრავლება და ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევეცადოთ, აღნიშნავს დანტონი, მოვამრავლოთ ჩვენი ქვეყნის პროდუქცია, რისთვისაც აუცილებელი საჭიროებაა იმ ვებერთელა მიწების დამუშავება და განაყოფიერება, რომელთაც კოლექტიურად ჰფლობენ და რომელთაც სათემო მიწები ეწოდება³. მართალია, ყველა სათემო მიწა არ გამოდგება დასამუშავებლად და ხვნა-თესვისათვის, მაგრამ მისი მეტი ნაწილი შეიძლება განაყოფიერდეს, თუკი იგი სათანადოდ დამუშავდება,—თუ გაიჯაგება და გატყდება ყამირი⁴.

¹ თუ სათემო მიწები ლიკვიდირებული იქნება, ამ შემთხვევაში, დანტონის აზრით: „La France, par l'effet de ses sages lois, va s'élever rapidement à une grande prospérité. Sa population surtout va S'accroître d'une manière sensible; le citoyen qui n'a que ses bras pour tout héritage, d'échargé d'impôts et de tout servitude personnelle, va tourner ce bienfait de la boi au profit de l'humanité. Avec plus de moyens de subsistance, il peuplera davantage“, და დასძენს: „Si donc vous accediez à des individus la propriété des domaines communs, vous amortiriez sans fruit un capital immense“... G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 387—388.

² „Les communaux partous dégradés, partout stériles et déserts, bornent la culture de la terre, ses productions et les sonsommations de toute espèce, la population, le commerce et la prospérité de l'empire G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 374.

³ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi, გვ. 376. „Cherchon donc sans remis les moyens d'accroître nos productions territoriales: le plus sûr et le plus instant est de mettre en valeur ces vastes domains, possédés par indivis, sous le nom de communaux“.

⁴ Ibidem, გვ. 376.

ყოველი მესაკუთრე ცდილობს მეტი ნაყოფი გამოაღებინოს თავის საკუთარ მიწას, იგი მას უფლის და მუდმივ აუმჯობესებს მის დამუშავებას, ის კი, ვინც საერთო სათემო მიწით სარგებლობს (usager), უყურადღებოდ ეპყრობა მას, უთავბოლოდ, არაეკონომიურად იყენებს მას (ils en usent sans économie)¹, ვინაიდან მიწა, რომელიც საერთოდ ყველას ეკუთვნის, კერძოდ არავის არ ეკუთვნის².

უყურადღებოდ მიტოვებულ სათემო მიწებს არავინ არ უფლის, ყველა ერიდება დაღვაროს მასზე თავისი ოფლი, ამიტომ სათემო მიწები მეტწილად წარშობადგენენ დაჭაობებულ ადგილებს, ყამირს ანდა ჯაგნარს.

სათემო მიწების გავერანება გამომდინარეობს არა მათი ბუნებიდან, არამედ მათი სარგებლობის წესიდან, რომელიც განმტკიცებულია თემში, აღნიშნული მიწები ხეირიანად დამუშავდება და მათდამი უთავბოლო მოპყრობას ბოლო მოეღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ძირფესვიანად შეიცვლება წესი მათი გამოყენებისა და მოხმარებისა, ე. ი. როდესაც მოისპობა თემური მფლობელობა.

დაუმუშავებელი მიწა კრიქანგის მიერ მიმალული განძია, ამიტომ, შარლ დანტონის აზრით, დაუშვებელია სათემო მიწების დატოვება ისევე თემის საერთო მფლობელობაში³.

საჭიროა მათი უკეთესი გამოყენება სხვა რაიმე სახით, მხოლოდ არა მათი გაყოფის სახით⁴.

შარლ დანტონი სათემო მიწების გაყოფის სასტიკი წინააღმდეგაა, რისთვისაც იგი სხვადასხვა სახის არგუმენტაციას იძლევა როგორც პრინციპულს, ისე პრაქტიკული ხასიათისას.

სათემო მიწების გაყოფა დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნული მიწები პატრიმონიული საკუთრებაა (patrimoine) როგორც ღარიბების, ისე მდიდრების, როგორც თანამედროვე თაობისა, ისე მომავალი თაობისა (des générations futures)⁵.

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 376.

² Ibidem, გვ. 375. „—que le fonds étant commun à tous, n'appartient à personne“.

³ „Le droit d'usage doit être aboli, parce qu'il est abusif, et que la société revendique pour sa subsistance un territoire immense que les usagers amortissent-entre leurs mains et vouent à la stérilité, en le déroband à la culture. Mais on ne saurait mettre trop de prudence et de circonspection pour opérer cette conversion nécessaire; et pour en concerter les moyens, il faut en prévoir toutes les conséquences. G. Bourgin, Le partage des biens communaux, გვ. 380.

⁴ Ibidem, გვ. 378. „...je m'opposerai, de toutes mes forces, au partage des communaux, dans quelques proportions qu'on le propos“.

⁵ „Vous n'avez pas le droit de doter une portion de la société au dépens de la société tout entière, quelques individus existants aux dépens de leur innombrable postérité; vous ne pouvez pas anéantir un fonds de subsistance, de bienfaisance et de secours publics inaliénables. G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents..., გვ. 378.

თქვენ უფლება არა გაქვთ, მიმართავს დანტონი კანონმდებლებს, გასცეთ სათემო მიწები გლეხებს საკუთრებად, ეს იქნებოდა უსამართლო ხელგაშლილობა. თემების წევრებს კი (usagers — რომელნიც სარგებლობენ სათემო მიწებით) უფლება არა აქვთ დაისაკუთრონ სათემო მიწები, ეს იქნებოდა მიწების დანაშაულებრივი მიტაცება¹.

დანტონს შესაძლებლად მიაჩნია ტყეების გაყოფაც, მიუხედავად იმისა, რომ ტყე, თავისი ბუნებით, თითქოს უფრო ეგუება საერთო ხმარებას. იმდენად დაუშვებლად მიაჩნია დანტონს სათემო მიწების განაწილება თემის წევრებს შორის, რომ, თუ საკითხი მიწების დაუყოვნებლივ განაწილებაზე მიდგება, იგი მზადაა აღნიშნული მიწები დროებით ისევ თემების საერთო მფლობელობაში დატოვოს, ე. ი. დატოვოს კიდევ უმწიფო, გავერანგებულ მდგომარეობაში, რათა ოდესმე, სათანადო მომენტში, ისინი უფრო სამართლიანად და უფრო დიდი სარგებლობით იქნენ გამოყენებული, ვინაიდან ეს უფასო განსხვისება სათემო მიწებისა, რომლითაც ისარგებლებენ თემის წევრები მხოლოდ ერთხელ, განუკუთრნებელი უბედურება იქნება².

თემის ზოგიერთი წევრი, აღნიშნავს დანტონი, სათემო მიწების მოხმარების უფლებას (faculté de jouissance) აიგივებს იმ უფლებასთან, რა უფლებითაც იგი ჰფლობს თავის საკუთარ მიწას (droit de propriété) და მოითხოვს სათემო მიწების გაყოფას პროპორციულად იმ საკუთარი მიწის ფართობისა, რასაც თვითონ ჰფლობს თავის საცხოვრებელ ტერიტორიაზე. სხვების აზრით, სათემო მიწები განაწილებული უნდა იყოს ყველა ოჯახის მეთაურთა შორის (entre tous les chefs de famille), ე. ი. განაწილება უნდა მოხდეს კომლობრივად (par feu), მოიპოვება ისეთი, რომლის აზრით გაყოფა უნდა წარმოებდეს არა კომლობრივად, არამედ სულობრივად (par tête). მაგრამ ყველა ესენი, დანტონის მიხედვით, არ ითვალისწინებენ ანდა არ იციან, თუ რა ბოროტებას უმზადებენ თავიანთ თავს, როდესაც ისინი მოითხოვენ მიიღონ მიწა საკუთრებად იმ საადგილმამულო ფონდიდან, რაც განსხვისებას არ ექვემდებარება (qui n'est pas aliénable). დანტონის აზრით, ყველა ისინი უფრო ბრძემბი არიან, ვიდრე ბოროტგამზრახველნი³.

კომუნებს უფლება არა აქვთ დააგირაონ თავიანთი სათემო მიწები ან გასცენ იჯარით, ანდა საერთოდ განასხვისონ სხვა რაიმე სახით.

კომუნებს არავითარ შემთხვევაში უფლება არა აქვთ გაუყონ მოხმარებლებს სათემო მიწები („elles, ე. ი. კომუნებს, ne peuvent, en aucun cas, partager entre les usagers“).

¹ „Vous n'avez pas le droit de les donner (იჯულისხმება სათემო მიწები), les usagers n'ont pas le droit de se les approprier: ce serait de leur part une usurpation coupable: de la vôtre, une libéralité sans justice, une dissipation sans cause ni discernement“. G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 378.

² G. Bourgin, Le partage des biens communaux..., გვ. 378

³ Ibidem, გვ. 379.

სათემო მიწები შეიძლება მოხმარებულ იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის (*nécessité publique*)¹.

ყველა ფრანგს უფლება აქვს სათემო მიწებზე; ეს მიწები ნაციონალურ საკუთრებას წარმოადგენს. სათემო მიწები გადადის გვარიდან გვარზე, ერთი თაობიდან მეორე თაობის ხელში; იგი დამხმარე საშუალებაა ლარბებისათვის, რომელთაც შეუძლიან გამოიტანონ შეშა სათემო ტყიდან, ისარგებლონ სათემო საძოვრებით თავიანთი შინაური პირუტყვის გამოსაკვებად და სხვ. ჩვენ უფლება არა გვაქვს ხელიდან გამოვაცალოთ ლარბებს ეს დამხმარე საშუალება და სათანადოდ არ ავუნაზღაუროთ იგი რითიმე².

თვითონ დანტონი თავისი პროექტით ხელიდან აცლის ამავე ლარბებს ამ დამხმარე საშუალებას, ვინაიდან მოითხოვს სათემო მიწების გაყიდვას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები მოხმარდეს ისევე თემს საავადმყოფოების, სკოლების, სახელოსნოებისა და თემისათვის მრავალ სასარგებლო საზოგადოებრივი დაწესებულებების მოწყობით. მაშასადამე, სათემო მიწების გაყიდვა, პროექტირებული დანტონის მიერ, მაინც ერთგვარად აუნაზღაურებს თემს სათემო მიწების ლიკვიდაციას. სათემო მიწების გაყოფა კი თემის წევრებს შორის, იმავე დანტონის მიხედვით, ვერ მოუპოვებს ლარბებს ისეთივე ხანგრძლივსა და ეფექტურ ანაზღაურებას. მიწების გაყოფა მხოლოდ ხანმოკლე შვებას მისცემს ერთი გარდამავალი თაობის ლარბებს, რომელნიც მალე იძულებული შეიქმნებიან, სხვადასხვა გარემოების გამო, გაჰყიდონ სათემო მიწებიდან მიღებული წილი. ამგვარად, ლარბთა მომავალ თაობებს ხელთ აღარაფერი შერჩებათ, რაც დიდი უსამართლობა იქნება; ამავე დროს სათემო მიწები გაყოფის შედეგად თავს მოიყრის მდიდრების ხელში. მართალია, სათემო მიწების გაყიდვის შედეგადაც მიწები თავს მოიყრის ისევე მდიდრების ხელში, მაგრამ ამ შემთხვევაში მიღებული თანხები მოხმარდებათ ხანგრძლივი, ეფექტური დახმარების სახით მომავალ თაობებსაც; სათემო მიწების გაყოფით კი დაეკარგებათ მიწები როგორც მომავალ თაობებს, ისევე თაობას, რომელმაც მოაწყო გაყოფა, და ამასთანავე ვერც თემები მიიღებენ რაიმე ხანგრძლივ, ეფექტურ დახმარებას სხვადასხვა სასარგებლო საზოგადოებრივი დაწესებულებების მოწყობით — ასეთია ანგარიში დანტონისა, რაც ერთგვარად გააზრებულია. ამასთანავე პროგრესულია მისი მოთხოვნა სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ იმდენად, რამდენადაც თემური მტლობელობა მიწისა ბორკავდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

დანტონის მიხედვით, თუ კანონმდებლები გადასწყვეტენ სათემო მიწების გაყოფას, ამ შემთხვევაში ისინი რამდენიმე მდიდარს უფრო გაამდიდრებენ,

¹ G. Bourgin, *Le partage...*, გვ. 379.

² „Vous ne pouvez pas leur enlever cette ressource sans les en dédommager par une ressource équivalente.“ G. Bourgin, *Le partage...*, გვ. 381.

ვერც რაიმე არსებით დახმარებას მისცემენ თავიანთ თანამედროვე ღარიბებს და ყოველგვარ დახმარებას მოაკლებენ მომავალი თაობების ღარიბებსაც.

სათემო მიწების განაწილება პროპორციულად კერძო, საკუთარი მიწებისადმი დაუშვებელია, ვინაიდან თემის ყველა წევრს სათემო მიწების მოხმარების თანასწორი უფლება აქვს. აღნიშნული სახის გაყოფა კი შეიტანს უფლებრივ უთანასწორობას თემის წევრებს შორის.

არც კომლობრივი განაწილებაა მისაღები, ვინაიდან 12 შვილის მამას მეტი სჭირდება, ვიდრე ერთი შვილის მამას და, მაშასადამე, პირველს უფრო მეტის მიღების უფლება აქვს, ვიდრე მეორეს.

შეიძლება მიღებულიყო სულობრივი გაყოფა, მაგრამ არც ეს იქნებოდა სამართლიანი და გააზრებული. ასეთი წესი წილს უდებს გაყოფაში მხოლოდ იმათ, ვისაც სათემო მიწების მოხმარების უფლება ჰქონდა და უსპობს ყველა დანარჩენ ფრანგს უფლებას მონაწილეობა მიიღოს მიწების გაყოფაში. ასეთი გაყოფა მხოლოდ მოატყუებს არა მარტო მომავალ თაობებს, არამედ იმათაც, ვინც თავიდანვე მიიღო თავისი ხვედრი წილი სათემო მიწებიდან, ვინაიდან ესენი იძულებული იქნებიან მალევე დაუთმონ თავიანთი ხვედრი მიწა თავიანთ კრედიტორებს, ანდა გაყიდონ, განასხვისონ და თავიანთვის უსარგებლო გახადონ. რამდენი საწყალი ადამიანი იმყოფება ამ გარემოებაში და იხვრება. კანონმდებელი დღეს მათ მისცემს მიწის მცირე ნაკვეთს, რომ ხვალ ისევ წაართვას და ამგვარ ნაკვეთებიდან აღრე თუ გვიან შექმნას მრავალი დიდი სამფლობელო.

იმათაც კი, რომელნიც გაყოფას მოითხოვენ, არ იციან ხეირიანად, თუ რა უნდათ. ვთქვათ, ერთგვარი გამორჩენა ნახეს იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გაყოფაში, მაგრამ ეს გამორჩენა ხომ დროებითია, რაც დროთა მსვლელობაში მცირდება და შემდეგ სრულიად ისპობა.

მარტონელა კაცი, რომელსაც მიუღია თავისი ხვედრი წილი სათემო მიწებიდან, დაოჯახდება რა, გადასცემს მიღებულ მიწას ან თავის ერთ რომელიმე შვილს, ანდა თანაბრად გაუნაწილებს თავის შვილებს, მაგრამ ორივე შემთხვევა მიუღებელია. პირველ შემთხვევაში დანარჩენი შვილები დარჩებიან დაზარალებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მიღებული ნაწილი მიწისა ყველა მის შვილს ვერ აუნაზღაურებს იმ დახმარებას, რომელსაც ისინი ჰპოვებდნენ სათემო მიწების მოხმარების შემთხვევაში.

განუსხვისებელი სათემო მიწების მოხმარების უფლებას (l'usage) ღარიბი ვერასოდეს ვერ დაჰკარგავს და ვერც ვერაფერს მოუხსპობს მას, მაგრამ სათემო მიწებიდან მიღებული ხვედრი წილი კი შეიძლება წასტაცონ მას ათასნაირი ხრიკებით.

ერთი სიტყვით, სათემო მიწების გაყოფა, რა სახითაც უნდა იყოს იგი, დანტონის მიხედვით, ბოროტებაა და მიუღებელია. მიუღებელია იგი იმ მხრითაც, რომ გაყოფაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ისეთი პირები, როგორიც არიან: მკერავები, ხარაზები, დურგლები, კალატოზები, მაუდისა და ტილოს დამამზადებელი მუშები და სხვები, რომელნიც, როგორც ხელოსნები, გამოუსადეგარი არიან ხვანათესვისათვის. ისინი არ გასცვლიან თავიანთ

შემოსავლიან პროფესიას ხვნა-თესვაზე. სასოფლო-სამეურნეო იარაღები მძიმეა მათი ხელებისათვის. შეჩვეულნი თავიანთ ხელობას, ისინი, რა თქმა უნდა, მყისვე გაჰყიდნიან სათემო მიწებიდან მიღებულ ნაწილს იაფ ფასებში, რაც ხელს შეუწყობს საეკვო ხასიათის სპეკულიაციას. არ ღირს და მიუღებელია მათი მონაწილეობა სათემო მიწების გაყოფაში. მათ არ უნდა მიეცეს წილი სათემო მიწებიდან.

შემდეგ, დანტონი გადადის ტყეების დაცვის საჭიროებაზე, დაჭაობებულ ადგილების ამოშრობაზე, შეჩერდება ისევ ხელოსნებზე, კვლავ უბრუნდება ტყეებსა და ჭაობიან ადგილებს, ერთი სიტყვით, ერთსა და იმავე საკითხს იგი რამდენჯერმე უბრუნდება, რითაც მსჯელობის უსისტემობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე ხშირად ჩერდება იგი სხვადასხვა ადგილას ღარიბი გლეხების უმწეო მდგომარეობაზე, მათთვის დახმარების აღმოჩენის საჭიროებაზე.

იგი ძალიან ბევრს დროს ჰკარგავს სათემო მიწების გაყოფის დაუშვებლობის არგუმენტაციაზე და მრავალჯერ იმეორებს ამას თავისი მოხსენების სხვადასხვა ადგილას, თავის წინადადებას კი სათემო მიწების გაყიდვის შესახებ სულ მცირე ადგილს უთმობს.

სათემო მიწების გაყოფის დაუშვებლობასა და მიზანშეუწონლობას იგი ასაბუთებს პრაქტიკულადაც.

დაყოფა პრაქტიკული არ არის, აღნიშნავს დანტონი, მიწების ზოგიერთი კატეგორიისათვის, რომელნიც მოითხოვენ ხანგრძლივ მძიმე შრომას, როგორცაა, მაგალითად, დაჭაობებული ადგილები. თუ ხელოსნები დაშვებული არ უნდა იქნენ მიწების გაყოფაში მონაწილეობის მისაღებად, ვინაიდან კარგი ხელოსანი კარგი მიწის მუშად ვერ გამოდგება, სამაგიეროდ, სოფლის დანარჩენი მოქალაქეები—ფერმერები, მიწის მხენელები და ღარიბები ფრიად სასარგებლონი არიან, მაგრამ ამ პატიოსან მოქალაქეებსაც, რომელნიც გაჭირვებაში იმყოფებიან, ვერ უშველის მიწების გაყოფა. თემის მფლობელობაში მყოფი მიწები გავერანბებულია, მათ სჭირდება გაჯავავა ან ამოშრობა, რაც ხანგრძლივსა და მძიმე მუშაობას მოითხოვს. ასეთი მიწები გამოიღებენ ნაყოფს მხოლოდ ხანგრძლივი დამუშავების შემდეგ. ბევრს მათგანს არ შეუძლიან ხანგრძლივად უცადოს პირველ მოსავალს. ბევრი მათგანი გაყიდის თავის წილს მიღებული სათემო მიწებიდან. ფერმერების ნაწილი, გატაცებული მიღებული მიწით, მიატოვებს თავის ფერმას და გადავა საკუთრებად მიღებულ მიწაზე, მაგრამ სახელდახელოდ გაკეთებულ ქოხში, აუტანელი მუშაობის გამო, მალე დაილუპება სიცივისა და შიმშილისაგან.

სამიწათმოქმედო საქმე ერთი დღის სამუშაო კი არ არის და არც ხელმისაწვდომია ყველასათვის. ყამირის დამუშავება—ეს მთელი წამოწყებაა, რისთვისაც საჭიროა ერთგვარი ბაზა და გაანგარიშება, უამისოდ წამოწყება ვერ გაამართლებს იმედებს, გლეხი ვერ გადააქცევს ყამირს ფასიან მიწად.

დანტონი ეხება წვრილ გლეხობას, პარცელარულ მეურნეობას და აგვიწერს ღარიბი გლეხის უმწეო მდგომარეობას. ლატაკი თავისი მრავალწევრიანთ ოჯახით მოთავსებულია დანგრეულ ქოხში, მიწის სულ მცირე ნაკვეთზე. მისი

ოჯახის წევრები მშვიდრები, ტიტვლები გმინავენ სნეულებათა და სიღატაკის სიმძიმის ქვეშ. ოჯახის მამა, დავრდომილი აუტანელი მუშაობით, კვდება, შიმშილისაგან. 25 წლის დედა ჩვეულებრივ, უკვე მოხუცებულია. მისი შვილები დაბადებისთანავე კვებიან ანდა იზრდებიან უსიცოცხლო და დაავადებულნი. ეს სურათი, დანტონის თქმით, გადაჭარბებული არ არის, როგორც შეიძლება მოჩვენოს ზოგიერთს, ვისაც თავისი საკუთარი თვალთ არ უნახავს; იგი უტყუარი, ნამდვილი სურათია სოფლის წვრილი მესაკუთრის ცხოვრებისა.

გლახს უნდა ჰქონდეს ისეთი ფართობის საკუთარი მიწა, რომლის დამუშავებასაც იგი შესძლებს თავისი ოჯახის დახმარებითა და კარგი გუთნის საშუალებით (*„tout ce qu'un homme, aidé de sa famille, peut cultiver avec une bonne charrue“*)¹. გლახმა უნდა მოიყვანოს პური არა მარტო თავისათვის, არანედ აგრეთვე საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რომელიც დაკავებულია ხელოვნებით, ხელოსნობით, ვაჭრობით და სხვ. ის მეურნე, რომელსაც თავისთვის საკმარისი ჭირნახული ვერ მოჰყავს, ადამიანთა და მოვლენათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და უკეთესია მოკლებული იყოს სრულიად საკუთრებას (*à la merci des hommes et des événements, et il voudrait mieux qu'il n'eût point de propriété*)².

დანტონსაც ეშინიან გაღატაკებულ, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მასებისა. ასეთ დატაკებს არ სჭირდებათ მიწის მცირე ნაკვეთი, რომელსაც მოუნდება ხანგრძლივი დამუშავება, ვიდრე იგი მისცემს თავის პატრონს პირველ მოსაგაღს. ღარიბს მიეცით მხოლოდ სამუშაო და პური, აღნიშნავს დანტონი.

უპირავი სათემო მიწები, წესიერად დამუშავებული და გამოყენებული, ადამიანთა მილიონებს გამოკვებავდა. ეს მნიშვნელოვანი სიმდიდრე უთავბოლოდ ნიავდება და ვერანდება თემური მფლობელობის წყალობით. თემის წევრები ისე ეკიდებიან სათემო მიწებს, როგორც ბარბაროსები (*comme des barbares*).

დანტონს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია სათემო მიწების დატოვება თემურ მფლობელობაში, ისევე იმ „ბარბაროსების“ ხელში, მაგრამ, როგორც ეს უკვე დავინახეთ, იგი ამავე დროს გადაჭრით წინააღმდეგია სათემო მიწების გაყოფისა.

ისმის საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული სათემო მიწები, თუ დაუშვებელია მათი ხელუხლებლად დატოვება და თუ ამასთანავე დაუშვებელია მათი გაყოფა გლახებს შორის საკუთრებად.

¹ G. Bourgin, *Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793*, გვ. 385.

² *Ibidem*, გვ. 386.

დანტონის მიხედვით, საჭიროა გონივრულად და სამართლიანად გადაიქრას საკითხი, საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს როგორც აწმყო, ისე მომავალი, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები, გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც აწმყო თაობის, ისე მომავალი თაობის საჭიროებანი და მოთხოვნები. უნდა გამოიძებნოს ისეთი საშუალებანი, რომელთა წყალობით უფრო ხელსაყრელი იქნება მიწების დამუშავება.

აქედან, დანტონის აზრით, უკეთესი გამოსავალია სათემო მიწების გაყიდვა, ეს ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალია (*ce moyen le seul praticable, est de les vendre*)¹. მიწების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები, დანტონის წინადადებით, უნდა მოხმარდეს ისევე თემებს სხვადასხვა საჭირო და სასარგებლო დაწესებულებების მოწყობით. აშენდეს თემებისათვის საავადმყოფოები, სასწავლებლები, საქველმოქმედო საზოგადოებრივი სახელოსნოები, სადაც ღარიბებს მიეცემათ სამუშაო და ხელფასი. ღარიბებს ხშირად არა აქვთ პური, ვინაიდან ყოველთვის არა აქვთ სამუშაო. თემებს არ გააჩნიათ ხეირიანი გზები, ხიდები და სხვ., რაც შეიძლება მოწყვრივდეს იმავე თანხებიდან იმავე სამუშაო ხელით.

სათემო მიწების მომეტებული ნაწილი, გადავა რა შეძლებულსა და მცოდნე ხელში, მოამრავლებს საარსებო საშუალებებს, რასაც შედეგად მოჰყვება მოსახლეობის მომრავლება.

დანტონი კვლავ უბრუნდება ღარიბებს, რომელნიც მოკლებული არიან მიწის საკუთრებას და ათასნაირი შემთხვევების მსხვერპლი ხდებიან. მიმართავს რა იგი კანონმდებლებს, ურჩევს მათ ყურადღებითა და მზრუნველობით მოეპყრან ამ რიგის მოქალაქეებს, ხოლო კონკრეტულად იგი კვლავ მიუთითებს გზების გაყვანაზე, მდინარეების ნაპირების გამაგრებაზე, ღარიბებისათვის სამუშაოს მიცემაზე, საექიმო და სავეტერინარო დახმარებაზე და სხვ.

მესაკუთრეები უფრო მდიდრები შეიქმნებიან სასარგებლო საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობით, ვიდრე იმ მცირე შემოსავლით, რომელიც მიერგებოდათ მათ სათემო მიწების გაყოფის შედეგად. ღარიბებიც აღარ დაინანებენ მსხვერპლს იმ მხრით, რომ მათ მოესპობათ სათემო მიწები, ვინაიდან დარწმუნებული იქნებიან, რომ იშოვნიან სამუშაოსა და ხელფასს. რამდენადაც ღარიბებს შეუძს უბუქებთ მდგომარეობას და შეუქმნით საამურ ცხოვრებას, იმდენად კმაყოფილებით მოიგონებენ სათემო მიწების კონვერსიას, ვინაიდან ისინი იმიტომ ებლაუტებიან სათემო მიწებს, რომ მოკლებული არიან სხვა რაიმე დახმარებას.

ამ მსჯელობას გულუბრყვილობაში ვერ ჩამოვართმევთ დანტონს; მან კარგად იცის, თუ რას უშხადებს იგი სოფლის ღარიბებს სათემო მიწების გაყიდვითა და მათი ლიკვიდაციით; იგი მაინც რიხიანად იმეორებს, რომ სათემო მიწების კონვერსია ხელსაყრელი იქნება ღარიბებისათვის. ხელსაყრელი

¹ G. Bourgin, *Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793*, გვ 387.

იქნება მდიდრებისათვის და სახელმწიფოც მოიგებს, მთელი საზოგადოება ჰპოვებს საჭირო სამუშაოებს ამ მიწების დამუშავებაში.

საერთო მოხმარებამ დაუკარგა ფასი სათემო მიწებს, უნდა აღვუდგინოთ მათ თავიანთი ფასი, რაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწებს კერძო საკუთრებად გადავაქცევთ.

დანტონი კარგად გრძნობს, რომ სათემო მიწების გაყიდვით ღარიბი გლეხობა, რომელზედაც იგი გულშემატკივრობით ბევრს ლაპარაკობს, უფრო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვინაიდან მოკლებული იქნება იმ სათემო მიწებს, რომელთაც თვით დანტონი დამხმარე საშუალებას უწოდებს და, მამასადამე, იმ ღარიბ გლეხებს უფრო მეტი დახმარება დასჭირდებოდათ.

დანტონი ამ გარემოებას გზას ვერ აუხვევდა, როდესაც იგი მოითხოვდა სათემო მიწების გაყიდვას და, მამასადამე, მათ ლიკვიდაციას მეტადრე ვერ აუვლიდა გზას, ვინაიდან, მისივე მიხედვით, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, სათემო მიწების ლიკვიდაცია იქნებოდა მსხვერპლი ღარიბი გლეხობის ნხრით.

რას აღუთქვამდა და რას ჰპირდებოდა დანტონი ამ მსხვერპლისათვის ღარიბ გლეხობას, რითი ფიქრობდა ანაზღაურებინა ღარიბებისათვის გაღებული მსხვერპლი და რა ღონისძიებას სახავდა მათი დახმარებისა და მათი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის?

თუ სათემო მიწების მოხმარებლები (les usagers), აღნიშნავს დანტონი, არ მიიღებენ საკუთრებად სათემო მიწებს გაყოფის საშუალებით, ისინი არ უნდა მოვაკლოთ საკუთრებას, პირიქით, მათ უნდა მოვუწოდოთ, რაც შეიძლება მეტი სიმრავლით ნაკლებად შეძლებულმა პირებმა შეძლონ მიაღწიონ საკუთრებას, ისე როგორც მდიდრებმა.

ეს ზრუნვა, რამდენადაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს იგი, მაინც კიდევ არ არის ყველაზე უფრო საჭირო; უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავეხმაროთ ღარიბთა კლასს (la classe indigente) მის გაჭირვებასა და ხელმძღვანელობაში, იმ ღარიბებს, რომელთაც საშუალება არა აქვთ შეიძინონ მიწა, დაამუშაონ (défricher) იგი და რომელნიც პოულობენ ხარჯების გარეშე სათემო მიწების საშუალებით თავისი საზრდოს ნაწილს. თქვენ არ შეგიძლიათ წაართვათ მათ სათემო მიწები, თუ არ დაჰპირდებით საკმაოსა და დაუყოვნებლივ ანაზღაურებას. ეს მას მომავალში კი არ უნდა მისცეთ, მას არ შეუძლიან ცდა, ის ადრე დაიღუპება თქვენ მიერ გახანგრძლივებულ ანაზღაურებამდე. ვისაც შიმშილი ახრჩობს, მისთვის ხვალინდელი დღე არ არსებობს.

ეს ლიტონი სიტყვებია. აქედან ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ დანტონი რა რეალურ, კონკრეტულ დახმარებას გულისხმობს. ბოლოს გამოიჩვენება, რომ იგი, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოითხოვს შეიქმნას ბევრ ადგილას სასარგებლო დაწესებულებანი (საავადმყოფოები, სკოლები, საქველმოქმედო სახელოსნოები), დაწესდეს ფულადი დახმარება, დაწესდეს ხელფასი და სხვ. ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს იმ თანხებით, რომელთაც მიიღებენ სათემო მიწების გაყიდვის შედეგად.

ეს, რა თქმა უნდა, პალიატივია ღარიბი და საშუალო გლეხების ინტერესების მიხედვით. ესენი, თუ დაჰკარგავენ სათემო მიწებს, დაჰკარგავენ აგრეთვე, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიანთ „მოჩვენებითი“ დამოუკიდებელ მეურნეობას, რომელსაც ისინი მთელი თავისი ძალღონით ებღაუჭებიან. გლეხებს არ უნდათ დაჰკარგონ თავისი მოჩვენებითი დამოუკიდებლობაც კი, მაგრამ, თუ კაპიტალიზმი მძლავრად შეიჭრებოდა სოფელში, მაშინ გაბოვანებულ გლეხს სრულიად არ დასჭირდებოდა დანტონის რეცეპტურა, იგი უამისოდაც გადავიდოდა ხელფასზე.

დანტონი კვლავ იმეორებს, რომ სათემო მიწები კი არ უნდა გაიყოს გლეხებს შორის, არამედ უნდა გაიყიდოს; ამასთანავე იგი მოითხოვს, რომ მოუწოდონ საკუთრების შესაძენად არა მარტო მსხვილ მესაკუთრეებს, არამედ იმათაც, ვისაც სურს და საშუალებაც აქვს შეიძინოს მიწა საკუთრებად¹.

ვისაც მიწის შეძენის საშუალება არა აქვს, დანტონი განზე ტოვებს მათ და სამაგიეროდ ჰპირდება საავადმყოფებისა და სახელოსნოების მოწყობას. უნდა ვიფიქროთ, რომ დანტონის წყალობით სათემო მიწებს მოკლებული და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხი ვეღარ მიაღწევდა ვეღარც საავადმყოფოსა და ვეღარც სანიმუშო სახელოსნოს, სადაც დანტონის მოთხოვნით ხელმძღვანელებად გამოცდილი სპეციალისტები უნდა გაეგზავნათ².

თუ დანტონის წინადადებით გაიყიდებოდა და ერთი ხელის დაკვრით ლიკვიდირებული იქნებოდა სათემო მიწები, ამ შემთხვევაში სათემო მიწებს მოკლებული საშუალო და ღარიბი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული შეიქმნებოდა მიეტოვებინა საკუთარი მეურნეობა და მასობრივად მისწოლოდა ქალაქებს სამუშაოს მოსაძებნად. თუ ინგლისის მანუფაქტურა ვერ ითვისებდა მასობრივად ექსპროპრირებულ გლეხობას აგრარული გადატრიალების შედეგად, მეტადრე ვერ აითვისებდა მრავალ თავისუფალ მუშახელს საფრანგეთის მრეწველობა, რომელიც შედარებით ინგლისის მრეწველობასთან ნაკლებად იყო განვითარებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დანტონის ზხას არ გაჰყვა არც ლეჟის-ლატივი და არც იაკობინთა დროინდელი ეროვნული კონვენტი. ამ ორივე ბურჟუაზიულმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება გლეხებს შორის სათემო მიწების გაყოფისა და არა გაყიდვის შესახებ.

დანტონი გადადის გაყიდვის წესებზე. საჭიროა მიწების დახარისხიანება მათი ბუნების მიხედვით, უნდა განვარჩევდეთ ტყეს, რომელიც იმყოფება მთებზე ან სწორ ადგილას, უნდა განვარჩევდეთ საძოვრებსა და დაქაობებულ ადგილებს. საჭიროა გაირკვეს სხვადასხვა პირობა ამ სხვადასხვა ხარისხის მიწების გადაცემისათვის, განსხვავებისათვის (l'alienation).

ეს საჭიროა იმისათვის, რათა დაწესდეს გასაყიდი ფასი. კომუნებს, რომელთაც მიწები მოეპოვებათ, განსაკუთრებული უფლება აქვთ ფასების და-

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 390.

² Ibidem, გვ. 391.

წესებისა და ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს მათ სასარგებლოდ გადავწყვიტოთ. გაეცნობით რა თემების საჭიროებას, თქვენ, მიმართავს იგი კანონმდებლებს, უნდა აიძულოთ ისინი, რათა მათ ყოველწლიურად ისარგებლონ პროცენტებით იმ თანხიდან, რომელიც შეგროვდება მიწების გაყიდვის შედეგად (prix des ventes). უნდა იზრუნოთ კაპიტალის უზრუნველყოფაზე, რათა შედგეს ქველმოქმედების მუდმივი ფონდი იმათ დასახმარებლად, ვინც სათემო მიწებით სარგებლობდა. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ვერ გაკეთდება ერთ დღეს, ერთი ხელის დაკვრით. თქვენ უნდა შთაუწეროთ თემებს თქვენდამი ნდობა. მიმართავს იგი დეპუტატებს. უნდა დაინტერესოთ თემები, რათა მათ ხელი შეუწყონ თქვენს განზრახვას. თქვენ, დაადგენთ რა სათემო მიწების გაყიდვას და გაარკვევთ გაყიდვის პირობებს, უნდა განუტხადოთ კომუნებს, რომ მიღებული თანხების პროცენტები ყოველწლიურად მოხმარდება მათვე ისეთი სასარგებლო დაწესებულებების მოწყობით, რომელთაც თვითონ მოისურვებენ და საჭიროდ დაინახავენ.

ამ საქმის მოგვარება, დანტონის მიხედვით, კანონმდებლებმა უნდა მიანდონ მათივე მიერ დანიშნულ თანამდებობების პირებს ანდა გადასცენ სადეპარტამენტო და სადისტრიქტო საბჭოებს.

* * *

გადავდივართ დანტონის მიერ შემუშავებულ პროექტზე სათემო მიწების გაყიდვის შესახებ. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი პროექტი არ შეიცავს რაიმე ახალს შედარებით მოხსენებასთან და აუცილებელი არ არის მისი თანმიმდევრული განხილვა მუხლობრივად. შევჩერდებით მხოლოდ მის ზოგად დახასიათებასა და ზოგიერთ დებულებაზე.

პროექტი შეიცავს სულ 29 მუხლს, რომლის უმეტესი ნაწილი ეხება იმ საკითხებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს წინასწარი მუშაობა და როგორ უნდა მოეწყოს თვით გაყიდვის პროცედურა, რა სახის ფორმალობით უნდა იქნეს გაპირობებული გაყიდვა-გადაცემის აქტი, რა ორგანოები უნდა ეწეოდნენ ამას და რა სახით.

მას შემდეგ, რაც მიწები დახარისხებული იქნება და სათანადო ფასები დადებული, დაიწყება მათი გაყიდვა აუქციონის საშუალებით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დანტონს არც თავის მოხსენებასა და არც თავის პროექტში ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმის შესახებ, რომ სააუქციონო ვაჭრობის დროს ანდა შესყიდული მიწის ფასის გასტუმრებაში რაიმე შეღავათები მისცემოდათ მცირე შეძლების გლეხებს. პირიქით, მისი პროექტის მეხუთე მუხლი მოითხოვს სადისტრიქტო ღირებულების მიერ დანიშნული ექსპერტებისაგან, რათა მათ დაზომონ სათემო მიწები და შეაფასონ არპანი უმაღლესი ღირებულების მიხედვით¹.

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 392. „Ils (ე. ი. ექსპერტები) en feront la mensuration et l'estimation par arpent et à leur plus haute valeur“.

თუ დანტონი განწყობილი იყო საშუალო და ღარიბი გლეხების მხარეზე, მას თავისი პროექტით უნდა მოეთხოვა, რომ სათემო მიწების ნაწილი დაეყოთ ისეთი მცირე ნაკვეთებად, რის შესყიდვას მოახერხებდნენ საშუალო გლეხები ანდა ზოგიერთი ღარიბი გლეხიც. მაგრამ პროექტი მოითხოვს სათემო მიწების დაყოფას მსხვილ ნაკვეთებად. ამავე დროს დანტონი მოითხოვს არპანზე მალალი ფასის დაწესებას. მოხსენებაში კი მოუწოდებდა კანონმდებლებს, რათა საშუალება მიეცათ მცირე შეძლების გლეხებისათვისაც შეესყიდათ მიწები საკუთრებად. ამ განცხადებას ვერ ჩამოვართმევთ დანტონს ვერც გულწრფელობასა და ვერც გულუბრყვილობაში. პირველ შემთხვევაში იგი თვალთმაქცობს მცირე შეძლების გლეხების მიმართ. მეორე შემთხვევაში იგი სცდება იმ მხრით, რომ მალალ ფასად შეფასებული სათემო მიწები ადვილად ვერ გაიყიდებოდა, ვინაიდან ამავე დროს მიმდინარეობდა ნაციონალური ქონების გაყიდვა და უამრავი მიწების გამოტანა გასაყიდად საერთოდ დასცემდა ფასს მიწაზე.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროექტის მეექვსე მუხლი, სადაც მოცემულია მიწების შეფასების კრიტერიუმი. მიწები უნდა შეფასებულიყო არა იმ შემოსავლის მიხედვით, რასაც იმ დროს იძლეოდნენ სათემო მიწები, არამედ მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით, რაც მოსალოდნელი იყო მათი ბუნებრივი თვისებებიდან; იმ ღირებულების მიხედვით, რაც ფასობდა სავსებით დაკული ტყეები, დამუშავებული მიწები ანდა იმ მოსალოდნელი შემოსავლის მიხედვით, რასაც გამოიღებდა მომავალში დამუშავებული სათემო მიწა¹.

თუ ასე შეფასდებოდა სათემო მიწები, ამ შემთხვევაში უთუოდ ვერ მიეკარებოდნენ გასაყიდ სათემო მიწებს არა მარტო მცირე შეძლების გლეხები, არამედ საშუალო გლეხობის ნაწილიც. ჩანს, დანტონი კატეგორიულად წინააღმდეგია სათემო მიწების გადასვლისა მცირე შეძლების გლეხების ხელში.

დანტონის მთავარ მიზანს შეადგენს შესცვალოს სათემო მიწების კოლექტიური მოხმარება. კოლექტიური მფლობელობა კერძო საკუთრებით, კერძო ხასიათის მოხმარებით, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო ნაყოფიერია და ეფექტური, ვიდრე პირველი. აღნიშნული კონვერსია, დანტონის მიხედვით, ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის, აგროკულტურისათვის, თვით კერძო პირებისათვის და მთელი საზოგადოებისათვის, მთელი სახელმწიფოსათვის. დანტონი, მომხრე მსხვილი სასოფლო მეურნეობისა გამოდის იმ დროის გაბატონებული პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპიდან—laisser faire, laisser passer. სწორად გაგებული კერძო პირების ინტერესები არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ კეთილდღეობას, საერთო ინტერესებს; ყოველი ცალკე პირის მისწრაფება თავისი კერძო ინტერესებისადმი, მოგვეცემს ფრიად ხელსაყრელ შედეგებს აგრეთვე მთელი ქვეყნისათვის, მთელი ერისათვის.

¹ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 392, § 6.

გამომდინარე ამ პრინციპიდან, დანტონი ხელს არ უმარტავს ლარბსა და საერთოდ მცირე შეძლების გლახს მიწების შესყიდვაში. იგი გამოდის იმ დებულებიდან, რომ მსხვილი სამეურნეო ერთეული უფრო რენტაბელურია, ვიდრე მცირე ერთეული. ამ მხრით დანტონი ფიზიოკრატების პოზიციასზე დგას და პირველ რიგში სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავს.

დანტონი არ უფიქრდება აგრეთვე მსხვილი მეჯოგეების მდგომარეობას, რომელთაც ხელიდან გამოეცლებოდათ სათემო საძოვრები. სათემო მიწების გაყიდვის შედეგად მათ ვერ უშველიდა დანტონის ნიერ პროექტირებული საავადმყოფოებისა და სახელოსნოების მოწყობილობა. იგი მათ თავისი ყურადღების გარეშე სტოვებს უთუოდ იმ იმედით, რომ მათ სათანადო შეძლება ექნებოდათ შეესყიდათ საკმაო რაოდენობის საძოვრები. შემთხვევითი არ არის დანტონის წინადადება დაეყოთ ბორცვებზე და მთებზე მოთავსებული სათემო მიწები დიდ ნაკვეთებად—ოციდან ორმოც არჰანამდე თითო¹.

ზოგიერთი თემის წევრებმა, ვიდრე დაკანონდებოდა სათემო მიწების გაყოფა, თვითნებურად გაიყვეს სათემო მიწები, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ დაწესებული ფორმალობის დაუცველად. დანტონის პროექტის პირველი მუხლი წინადადებას აძლევს² ამგვარი თემების წევრებს გაანთავისუფლონ ის მიწები, რომლებიც მათ დაუტაციათ (qu'ils ont usurpées). ისინი არ მიიღებენ რაიმე ანაზღაურებას იმ შრომისას, რაც მათ გაუწევიათ დატაცებული ნაკვეთების დასამუშაველად, ხოლო შეუძლიანთ აიღონ მოსავლის თავისი წილი იმ ადათის მიხედვით, რაც წესათაა იმ მხარეში, სადაც ისინი ცხოვრობენ³.

ტყისა და საძოვრების შემსყიდველები გადაიხდიან შეძენილის ფასს ოცი წლის განმავლობაში, თანაბარი თანხების გასტუმრებით⁴. ყოველი გაყიდვის აქტი გატარებული უნდა იქნეს რეგისტრაციაში. ყოველ შემსყიდველს შეუძლიან შეაძლიოს თავისი ფასი დადებულ ფასზე ნაკლები⁵. გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები შეიტანება სალაროში და აქედან დაიფარება თემის საერთო ვალი, გაისტუმრებენ ხარჯებს გზებისას, სანავიგაციო არხებისას და იმ სხვა სამუშაოებისათვის, რომლის ჩატარება დადასტურებული იქნება ნაციონალური კრების მიერ. კომუნები მიიღებენ პროცენტებს გაყიდვის შედეგად აღებული თანხებიდან და ამავე თანხებიდან მათ უფლება მიეცემათ დაიტოვონ გარკვეული ნაწილი⁶. მას შემდეგ, რაც გაყიდული იქნება სათემო მიწები, თემები განაცხადებენ თავიანთ სურვილს, თუ თემისათვის ყველაზე უფრო

¹ იხ. დანტონის პროექტის მუხლი: მე-17 და მე-18. G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 394

² Ibidem, გვ. 391.

³ Ibidem, გვ. 392.

⁴ G. Bourgin, Le partage des biens communaux, Documents sur la préparation de la loi du 10 juin 1793, გვ. 394, § 22.

⁵ Ibidem, გვ. 393, § 14.

⁶ Ibidem. გვ. 395.

რა სასარგებლო წამოწყებისათვის უნდა მოხმარებულ იქნას მიღებული პროცენტები. მათ განცხადებას დისტრიქტის დირექტორია გადაუგზავნის სადეპარტამენტო დირექტორიას დასამტკიცებლად¹.

*
* *
*

დანტონი საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით წყვეტს სათემო მიწების საკითხს. მისი მიხედვით, სათემო მიწები თემური საკუთრება როდია, იგი ნაციონალური ქონებაა, სახელმწიფოებრივი საკუთრება, განსხვავებით დეპუტატ აველინის შეხედულებისაგან, რომლისთვისაც სათემო მიწები თემის საკუთრებაა. მას, როგორც ბურჟუას, ათვისებული აქვს სახელმწიფოსა და საკუთრებაზე, ბურჟუაზიული წარმოდგენა წინააღმდეგ ფეოდალური წარმოდგენისა. მისთვის საკმაოდ გარკვეულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი ინტერესების ცნება. იგი წყვეტს ყველა საკითხს ბურჟუაზიული საკუთრებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი ინტერესების მიხედვით იმდენად, რამდენადაც მასზე გავლენას სტოვებდნენ მის დროს გაბატონებული ეკონომიური შეხედულებანი.

აგროკულტურისა და საერთოდ სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვდნენ სათემო მიწების ლიკვიდაციას, რომელიც შეიძლება განხორციელებულიყო როგორც სათემო მიწების გაყოფით გლეხებს შორის, ისე ამავე მიწების გაყიდვით; და თუ დანტონმა უპირატესობა მისცა მეორე გზას, უთუოდ იმ მოსაზრებით, რომ სათემო მიწები გადასულიყო სოფლის შეძლებულ ელემენტების ხელში, მიწის მსხვილ მოიჯარეთა და ბობოლა გლეხების ხელში, რომელთაც საშუალება ექნებოდათ ყამირის უკეთესი დამუშავებისა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მიწის რენტაბელობის გაძლიერებისა.

სათემო მიწების ლიკვიდაცია მათი გაყიდვის გზით, რასაც მოითხოვდა შარლ დანტონი, ხელსაყრელი იქნებოდა არა მარტო ქალაქის ბურჟუაზიისათვის, როგორც ამას ამტკიცებს ს. კუნისკი თავის სპეციალურ გამოკვლევაში სათემო მიწების საკითხის შესახებ, არამედ იგი ხელსაყრელი იქნებოდა პირველ რიგში სოფლის ბურჟუაზიისათვის, სოფლის შეძლებულ ფენებისათვის, რომელნიც გატაცებით მისწრაფოდნენ მოემრავლებიათ და გაეფართოვებინათ საკუთარი მიწები. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგ ს. კუნისკის აზრისა, შეიძლება ითქვას, რომ შარლ დანტონი ასახავდა პირველ რიგში სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს და ამასთანავე ნაწილობრივ ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებსაც, რომელიც აგრეთვე მანამდესაც იძენდა სოფლად მიწებს, რათა დაეხმარებინათ თავისი თანხები სოფლის მეურნეობაში. შარლ დანტონი ვერ ჩაითვლება მარტო და განსაკუთრებით ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენლად (ტიპიურ წარმომადგენლად) როგორც ამას ამტკიცებს კუნისკი.

¹ Ibidem, გვ. 395, § 26

თავისი პროექტით დანტონი ასახავდა როგორც ობიექტიურად, ისე სუბიექტიურად შეძლებული კლასების ინტერესებს და არა მხოლოდ ობიექტიურად, როგორც ამას უთუოდ ფიქრობს იგივე კუნიცკი¹.

არც დანტონისათვის არის უცხო ის რევოლუციური ფრაზეოლოგია, რაც ასე დამახასიათებელი იყო 1789 წლის რევოლუციის მოღვაწეებისათვის. თავის მოხსენებაში მრავალჯერ და დიდხანს ჩერდება ღარიბებზე (l'indigent), თითქმის ყოველ ნაბიჯზე მოსთქვამს და მისტირის ღარიბებს, ხშირად იძლევა მათი უმწეო მდგომარეობის საშინელ სურათს და ეძებს მათი მდგომარეობის შესამსუბუქებელ საშუალებებს. ლამისაა დააჯეროს მკითხველი, რომ იგი თითქოს გულწრფელად ზრუნავს ღარიბებზე და საშუალო შეძლების გლეხებზე. ეს, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს. იგი გულწრფელი არ არის. მართალია, თემური მფლობელობის ლიკვიდაციას სათემო მიწების გაყიდვის გზით. რასაც დანტონი მოითხოვდა, ერთგვარი უპირატესობა ჰქონდა შედარებით იმ ლიკვიდაციასთან, რომელიც განხორციელდებოდა სათემო მიწების გაყოფით გლეხებს შორის, მაგრამ ლიკვიდაცია პირველი გზით, შედარებით მეორესთან, უფრო მტკივნეულად ჩაივლიდა, ვინაიდან იგი უცბად, ერთი ხელის დაკვრით მოუსპობდა გლეხებს სათემო მიწებს. თემური მფლობელობის ლიკვიდაცია მეორე გზით, სათემო მიწების გაყოფით, რა თქმა უნდა, აგრეთვე მოუსპობდა გლეხებს სათემო მიწებს, მაგრამ ამ მიწების კომლობრივი ან სულობრივი გაყოფა მაინც რაღაცას, მიწის პატარა ნაკვეთს მაინც დაუტოვებდა თემის ყოველ წევრს; მართალია ისიც, რომ ღარიბი გლეხები ზოგი გვიან, ზოგი ადრე სხვადასხვა გარემოების გამო, ჩირის ფასად გაყიდვად მიღებულ ნაკვეთებს ანდა გასცემდნენ თავიანთ კრედიტორებს და ისევ უმიწოდ დარჩებოდნენ, მაგრამ ეს პროცესი შედარებით გახანგრძლივდებოდა და მას არც ისეთი მტკივნეული ხასიათი ექნებოდა. ერთია, როდესაც უცბად წაართმევთ გლეხს სათემო მიწას და გაუყიდით და მეორეა, როდესაც მისცემთ მას მიწის ნაკვეთს და იგი შემდეგ თავისი სურვილით ანდა იძულებით გაჰყიდის მას.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში გლეხებს საბოლოოდ ხელში არაფერი შერჩებოდათ სათემო მიწებიდან, მაგრამ დანტონის პროექტს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ლიკვიდირებული სათემო მიწების მაგივრად თემებს შერჩებოდათ გაყიდვის შედეგად მიღებული თანხებით მოწყობილი საავადმყოფოები, სკოლები, სახელოსნოები და სხვ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ იგი ვერ მოუპოვებდა ღარიბ გლეხს ყოველდღიურ ლუკმა პურს და ამავე დროს მოუსპობდა იმ დახმარებასაც, რასაც ღარიბი ჰპოვებდა სათემო მიწების წყალობით.

თუ დანტონს სურდა რაიმე კონკრეტული, რეალური დახმარება აღმოეჩინა ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხებისათვის, შეეძლო მრავალგვარი

¹ С. Куницкий и В. Позняков, *Общинные земли в эпоху Великой французской революции*; т. 97. „Я говорю, что Дантон объективно выражал интересы городской буржуазии“.

შელავათები მიეცა მათთვის სათემო მიწების შესყიდვის საქმეში, როგორც მიცემული ჰქონდათ ერთ დროს ერთგვარი შელავათები ღარიბ გლეხებს დამფუძნებელი კრების მიერ ნაციონალური ქონების გაყიდვისას. მაგრამ იგი არ იყო ამით დაინტერესებული და ვერც რაიმე ანალოგიურს ვპოვებთ მის პროექტში. პირიქით, იგი მოითხოვს შეფასებულყოფას გასაყიდი სათემო მიწების არპანი უდიდესი ფასით, რაც, რა თქმა უნდა, საშუალებას მოუსპობდა ღარიბსა და უღარიბესს გლეხობას ესარგებლა სათემო მიწების შესყიდვით.

მიუხედავად დანტონის სიტყვიერი ზრუნვისა გლეხთა ფართო მასებზე, იგი კატეგორიულად განწყობილია მათ წინააღმდეგ როგორც სუბიექტურად, ისე ობიექტურად.

* * *

შარლ დანტონის კლასობრივი სახისა და პოლიტიკური მრწამსის გამოსარკვევად არ არსებობს სხვა რაიმე დოკუმენტური მასალა, გარდა მისივე მოხსენებისა და მის მიერვე შედგენილი სადეკრეტო პროექტისა სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ.

დანტონის მოხსენებასა და პროექტს სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, მიუხედავად მათი თავისებურობისა, სხვა დანარჩენ ანალოგიურ მოხსენებათა და პროექტებთან შედარებით, ვერ მოუპოვებიათ სათანადო შეფასება საგნის საისტორიო ლიტერატურაში.

სათემო მიწები შეიძლება ლიკვიდირებულიყო ან მათი გაყოფით თემის წევრებს შორის, ანდა მათი გაყიდვით, და თუ დანტონმა არჩია მათი გაყიდვა, უთუოდ იმ მიზნით, რომ სათემო მიწები დაუყოვნებლივ და უშუალოდ ხელთ ჩავარდნოდათ სოფლის შეძლებულ ელემენტებს, მხვილ მოიჯარეებსა და მდიდარ გლეხებს, რომელთაც მოეპოვებოდათ სათანადო საშუალებანი სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, მიწის შემოსავლიანობის გადიდებისათვის და ყამირის გასატენად, რათა სწრაფად და ეფექტიურად განვითარებულიყო სოფლის მეურნეობა.

სათემო მიწების ლიკვიდაცია მათი გაყიდვის საშუალებით ხელსაყრელი იქნებოდა განსაკუთრებით არა ქალაქის ბურჟუაზიისათვის, როგორც ამას ამტკიცებს ს. კუნისკი თავის სპეციალურ ნაშრომში საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დროინდელი სათემო მიწების შესახებ, არამედ იგი ხელსაყრელი იქნებოდა უმთავრესად და პირველ რიგში სოფლის ბურჟუაზიისათვის, სოფლის მდიდარი ელემენტებისათვის რომელნიც მუდამ მიისწრაფვოდნენ საკუთარი მიწების მომრავლებლისაკენ, რომელნიც უფრო ახლო იდგნენ და უფრო მჭიდროთ იყვნენ დაკავშირებული სოფელთან, ვიდრე ქალაქის ბურჟუაზიის ელემენტები.

სათემო მიწების შემსყიდველები შეიძლება ნაწილობრივ ქალაქის ბურჟუაზიის ელემენტებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ, წინააღმდეგ ს. კუნისკის აზრისა, დანტონის მოხსენების და პროექტის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ იგი ასახავდა პირველ რიგში და უმთავრესად სოფლის ბურჟუაზიის ინ-

ტერესებს და არა განსაკუთრებით ქალაქის ბურჟუაზიის ინტერესებს, რომ იგი არ იყო ამ უკანასკნელის ტიპიური წარმომადგენელი.

დანტონი უფრო ახლო იდგა სოფლის ბურჟუაზიასთან და თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით უფრო უახლოვდებოდა ფიზიოკრატების პრინციპებს, ვინაიდან იგი, იმყოფებოდა რა იმ დროში გაბატონებული პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების გავლენის ქვეშ, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მთავარ მნიშვნელობას აძლევდა სოფლის მეურნეობას, მომხრე იყო კერძო და თავისუფალი ინიციატივისა, მსხვილი სასოფლო მეურნეობისა, როგორც უფრო რენტაბელურისა და კატეგორიულად განწყობილი იყო პარცელარული მეურნეობის წინააღმდეგ.

უდავოა, რომ შარლ დანტონი, წინააღმდეგ ს. კუნისკის აზრისა, ასახავდა სოფლის ბურჟუაზიის ინტერესებს არა მარტო ობიექტურად, არამედ აგრეთვე სუბიექტურადაც.

შარლ დანტონისათვის უცხო არ არის ის რევოლუციური ფრაზელოგია, რაც ასე დამახასიათებელი იყო საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მოღვაწეებისათვის. დანტონის ზედმეტად გადამეტებული ზრუნვა სოფლის პლებეებზე, სოფლის ღარიბსა და მცირე შეძლების გლეხებზე, მხოლოდ სიტყვიერი დეკლარაციაა, ვინაიდან იგი არამცთუ არავითარ შედეგათებს არ აძლევდა მათ სათემო მიწების შესყიდვის საქმეში, არამედ, პირიქით, გასაყიდ სათემო მიწებზე მაღალი ფასების დადებით შესყიდვაში მონაწილეობას უძნელებდა და ურთულებდა.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

А. Наморадзе

Доклад и проект Шарля Дантона о ликвидации общинных земель во Франции, представленный им в 1792 г. в Комитет земледелия

Резюме

Едва ли можно отрицать, что весьма острым и одним из самых болезненных вопросов дореволюционной Франции, не решенный так называемым „Старым порядком“, и настоятельно требовавший от революционной Франции окончательного решения своей судьбы, был вопрос о возврате и разделе общинных земель, ирравных, по словам Лучицкого и Henri Sée, столь решающее значение в экономике сельского хозяйства широких слоев французского крестьянства XVIII столетия.

Великая французская буржуазная революция конца XVIII столетия, на разных этапах своего бурного поступательного хода, различным образом решала данный вопрос, вокруг которого, как до, так и во время революции, велась ожесточенная борьба в деревне, борьба также остро развернувшаяся впоследствии и в законодательных органах революционной Франции.

Французская буржуазия „использовала против феодализма известный закон об обязательном соответствии производственных отношений характеру производительных сил... создала новые, буржуазные производственные отношения в соответствии с характером производительных сил, выросших в недрах феодального строя“, чем она и обеспечила капитализм условиями свободного развития.

Французская буржуазия, неумолимо сметавшая со своего победоносного пути все, что напоминало неважный ей феодальный строй и феодальные производственные отношения, сковывавшие развитие производительных сил страны, не могла пройти мимо института общинных земель, являющегося также пережитком феодального строя, с тем, чтобы не нанести ему также решительного удара.

Вопросу об общинных землях, явившемуся объектом долгих дебатов в Конституанте, Легислативе и в Конвенте, суждено было, как это общеизвестно, найти свое окончательное разрешение лишь в революционном аграрном законодательстве Национального Конвента, который, декретом от 10 июня 1793 года, более радикально разрешил его в сравнении с двумя предшествующими законодательными органами.

Желая покопчить с общинным землевладением, различные фракции французской буржуазии различными путями искали разрешение данного вопроса, чему безапелляционной иллюстрацией являются доклады и проекты Авелина, Фабра, Суэ, Марена и других, среди которых особое место занимает со своим своеобразным предложением Шарль Дантон, представивший в Комитет земледелия собственный проект в целях ликвидации общинного землевладения и землепользования путем продажи общинных земель с тем, чтобы вырученные суммы от продажи были обращены на общественные нужды коммун.

Для выяснения социального облика и политических воззрений Шарля Дантона, являвшегося лишь однофамильцем известного якобинца Жоржа Дантона, история не располагает иными историческими документами, кроме его собственного доклада и его проекта касательно ликвидации общинных земель.

Доклад и проект депутата Изеры Шарля Дантона о ликвидации общинных земель путем их продажи, являющиеся единственными и своеобразными среди всех других аналогичных докладов и проектов, не находят однако соответствующей оценки в существующей исторической литературе предмета.

Общинное землевладение можно было ликвидировать и путем раздела их среди общинников и путем продажи этих земель, и, если Дантон отдал предпочтение именно продаже общинных земель, то этим самым он, видимо, хотел для более быстрой эффективности развития сельского хозяйства незамедлительно передать общинные земли прямо и непосредственно состоятельным элементам деревни, крупным арендаторам и богатым крестьянам, которые могли располагать соответствующими средствами для интенсификации сельского хозяйства, для обработки нови и повышения рентабельности земли.

Ликвидация общинных земель путем их продажи выгодна была бы не исключительно городской буржуазии, как это доказывает С. Куниский в своем специальном исследовании об общинных землях во Французской революции конца XVIII столетия, но она выгодна была бы в первую очередь и главным образом сельской буржуазии, богатым элементам деревни, которые всегда стремились к расширению своей земельной собственности и которые более ближе и теснее были связаны с деревней, чем элементы городской буржуазии.

Скупщиками общинных земель частично могли быть и элементы городской буржуазии, но, исходя из анализа доклада и проекта Дантона, приходится, вопреки мнению С. Куниского, констатировать, что Дантон является в первую очередь и главным образом выразителем интересов сельской буржуазии, а не исключительно интересов городской буржуазии и не ее типичным представителем.

Находясь под влиянием господствующих тогда принципов политической экономии, требуя частной и свободной инициативы, являясь решительным противником парцеллярного сельского хозяйства, принципиальным поборником крупных сельско-хозяйственных единиц, как наиболее рентабельных, и отводящий главное значение сельскому хозяйству в экономическом развитии страны, Дантон ближе всего стоит к сельской буржуазии и к принципам физиократов.

Не подлежит сомнению, что Дантон, вопреки мнению С. Куниского, отражал интересы буржуазии (добавим сельской) не только объективно, но и субъективно.

Дантону не чужда революционная фразеология, столь характерная для деятелей французской буржуазной революции конца XVIII столетия.

Чрезмерные заботы Дантона о сельских плебейх, заботы о бедных и беднейших крестьянах, которым он не только не предоставляет абсолютно никаких льгот в покупке общинных земель, а даже, напротив, плотно закрывает им двери в аукцион требованием высшей оценки каждого продаваемого арпана общинных земель, являются лишь словесной декларацией и фарисейским реверансом в отношении широких слоев французского крестьянства.

საგბი ჟენზი

ფონემის პრობლემა საბჭოთა ენათმეცნიერებაში¹

ფონეტიკისა და, კერძოდ, ფონოლოგიის საკითხებისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდება და სათანადო ადგილს იჭერს საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ამის ილუსტრაციაა ფონოლოგიის საკითხებზე ახლახან ჩატარებული დისკუსია.

ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა როგორც საბჭოურს, ისე საზღვარგარეთულ ფონოლოგიაში. მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულებანი ფონემის გაგების საკითხში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთმანეთის საპირისპირო, ერთი მხრით, დე-სოსიურ-ტრუბეცკოისა და, მეორე მხრით, ბოდუენ-შჩერბასაგან მომდინარე საბჭოთა ფონოლოგების შეხედულებანი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფონემის გაგების საკითხში ვერც საბჭოთა ფონოლოგები შეთანხმებულან დღემდე.

ფონოლოგიის ცენტრალურ პრობლემას ფონემის განსაზღვრის, მისი არსის პრობლემა წარმოადგენს. ამ პრობლემასთან მჭიდროდ არის გადაწეული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორცაა ფონემისა და მისი ვარიანტების საკითხი, ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულება, ფონოლოგია და ენის ისტორიის შესწავლა, ფონოლოგიისა და მორფოლოგიის კავშირი და ა. შ.

1. ენათმეცნიერების წინაშე დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არის, რომ ცოცხალ მეტყველებაში მრავალფეროვანი ბგეროვნობა (звучание) არსებობს, რომელთაც წარმოთქმაში უფრო ხშირად ვერც კი ვამჩნევთ, მაგრამ ურთიერთგაგებინებას კი მხოლოდ ბგერობრივი ტიპები ანუ ფონემები ემსახურება, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ბგეროვნობა. ყოველი ფონემა ხორციელდება ბგეროვნობაში, ყოველი ფონემა ბგერაა, მაგრამ ყოველი ბგეროვნობა არაა ფონემა. ამიტომ ფონემათა რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია და მხოლოდ ისინი ემსახურებიან „სიტყვათა

¹ წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 24 დეკემბერს ვრცელი სახით: შემოკლებულად მოხსენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის V(XI) სამეცნიერო სესიას 1954 წ. 10 ივნისს, იხ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. იბეჭდება შემოკლებული ვარიანტი.

და მათი ფორმების დიფერენციაციას“. ბგერათა რიცხვი კი ყოველ ენაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ფონემათა რიცხვი. მაგ., ქართულ წარმოთქმაში ზოგჯერ გვესმის ძ (მაგ., ძფიქრობ), ყ (მაგ., შორისდებულებში), მაგრამ ეს ბგერები ქართულში დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ, ისე როგორც რუსულ წარმოთქმაში ზოგჯერ შეიძლება გვესმოდეს ლ (მაგ., лона), ძ, ჯ, მაგრამ არც ერთი მათგანი რუსულში ფონემას არ წარმოადგენს. ამის მიხედვით ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ფონემა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ენის ბგერით სისტემაში არსებობს და ამ სისტემის გარეშე მას აზრი არა აქვს.

კლარტიკულაციას შეუძლია ფონემის მოდიფიკაცია მოგვეცეს და ამის საფუძველზე წარმოიშვას ფონემის ვარიანტები. მაგალითად, რამ და რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება ა და ო ფონემების მიხედვით, მაგრამ ცნობილია, აქართულსა და ინგილოურში რომ წარმოითქმის რუმ-ის სახით. უ ამ შემთხვევაში ო-ს მოდიფიკაციის შედეგია, მის სახესხვაობას წარმოადგენს: მ-ს გავლენით ო დავიწროვდა და მოგვეცა უ.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი: სასაუბრო მეტყველებაში ხშირად მივმართავთ დადასტურების გამოხატველ სიტყვას დი ა ხ. იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოეთქვამთ მას—გაჯავრებით, აღერსით, სრული კმაყოფილებით, უკმაყოფილებით, დაბეჯითებით და ა. შ, არტიკულაციურად და აკუსტიკურად განსხვავებული იქნება ამ სიტყვის შემადგენელ ბგერათა წარმოთქმა. განსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება ტონის მოძრაობა ა და ი ხმოვნებში. არტიკულაციურად და აკუსტიკურად სხვაგვარია ამ სიტყვის გახანგრძლივებით წარმოთქმა: დ ი ა ხ ან კიდევ ფუძის განმეორების შემთხვევაში: დ ი ა ხ — დ ი ა ხ. ამ სიტყვის ბოლოკიდური ხ ისტორიულად მიღებულია დ-საგან აბსოლუტურ ბოლოში დაყრუების გზით, მაგრამ არც ეს უშლის ხელს, რომ ეს სიტყვა გამოვიცნოთ და განვასხვაოთ სხვა სიტყვებისაგან (შდრ. და დ ე გ → და დ ე ქ). ყველა შემთხვევაში ამ სიტყვისა ფონემური შედგენილობა უცვლელი რჩება, გარდა ბოლოკიდური თანხმოვნისა. ისტორიულად წარმოთქმაში ბოლოკიდური მჟღერი ლ და გ იძლევა ყრუ ვარიანტებს—ხ-სა და ქ-ს. ამ სახის ფონემური ცვლილება სიტყვის მნიშვნელობას ვერ ცვლის ქართულში, მაგრამ სიტყვის თავში ლ-ს წარმოეთქვამთ თუ ხ-ს, განსხვავებულ სიტყვებს მივიღებთ, მაგ., ღარი — ხარი. ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოზიციას.

ყველაზე რთულსა და დღემდე სადავო საკითხს ფონემის ცნების განსაზღვრა, მისი ბუნების დაზუსტება წარმოადგენს. ფონემის პრობლემასთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულების საკითხი. ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულება სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგება იმის მიხედვით, თუ ფონემის როგორი გაგებიდან ამოვდივართ — დე-სოსიურ-ტრუბეტკოისებურიდან, თუ ბოდუენ-შიერბასებურიდან.

როგორც ცნობილია, ტერმინებს „ფონემა“ და „ფონოლოგია“ იყენებენ დე-სოსიური და მისი სკოლის წარმომადგენლებიც, მაგრამ ფონემა მათ ესმით როგორც აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა და არტიკულაციურ მოძრაო-

ბათა ჯამი. დე-სოსიური ფონემას ასე განმარტავს: „ფონემა აკუსტიკურ შთაბეჭდილებათა და არტიკულაციურ მოძრაობათა ჯამია“¹.

საზღვარგარეთული ფონოლოგიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის ნ. ტრუბეტკოის შეხედულებებს საფუძვლად დაედო დე-სოსიურისებური ფონოლოგიური კონცეფცია. ეს იქიდან ჩანს, რომ ნ. ტრუბეტკოის ძირითადი ნაშრომი „ფონოლოგიის საფუძვლები“ აგებულია დე-სოსიურის საენათმეცნიერო ნააზრევიდან აღებულ ორ მთავარ დებულებაზე. ერთი მათგანის მიხედვით, აუცილებელია განვასხვავოთ ენა და მეტყველება. ნ. ტრუბეტკოი, დე-სოსიურის მსგავსად, ერთმანეთს უპირისპირებს მეტყველებისა და ენის შემსწავლელ მეცნიერებას, რასაც საბოლოოდ ფონეტიკისა და ფონოლოგიის გათიშვამდე მივყავართ². მეორე დებულების მიხედვით: „ენაში, გარდა სხვაობისა, სხვა არაფერია“³, ეს დებულებაც ნ. ტრუბეტკოის ფონოლოგიურ დაპირისპირებათა თეორიის საფუძველია.

2. ფონემის თეორიის შექმნაში რუსული მეცნიერების პრიორიტეტი დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

ფონემის რაობა რომ უფრო გასაგები იქნეს, საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსი მოვახდინოთ. რა აუცილებლობამ შეუწყო ხელი ფონემის ცნების ენათმეცნიერებაში შემოტანას?

რუსმა ენათმეცნიერმა ი. ბოდუენ-დე-კურტენემ გასული საუკუნის 70 — 80-იან წლებში პირველმა აუცილებელ საჭიროდ ცნო განესხვავებინა ანთროპოფონიკური დახასიათება ბგერისა ფსიქოფონეტიკურისაგან⁴.

ამით ბოდუენმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ბგერის ფუნქციონალურ როლზე და მის გამოყენებაზე ენაში. ბოდუენის აზრით, სემანტიზაცია დამახასიათებელია გამოუქვლელი ყველა ფონემისათვის.

ი. ბოდუენ-დე-კურტენემ თავისი ფუძემდებელი შრომებით შექმნა ფონოლოგიის საფუძვლები. ეს შრომებია: „О древне-польском языке до XIV столетия“ (1870), „Некоторые общие замечания о языковедении и языке“ (1871), „Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков“ (1881), „Versuch einer Theorie phonetischer Alternationen“ (1895), „Лекции по введению в языковедение“ (1917) და სხვ.

ფონემასთან დაკავშირებით ბოდუენმა ამავე დროს შექმნა თეორია მორფემის შესახებაც. მისი აზრით, ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით მთელი გაბმული მეტყველება იყოფა წინადადებებად ანუ ფრაზებად,

¹ Де-Соссюр, Курс общей лингвистики, рус. таг., 1933, გვ. 57.

² N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, Prague, 1939, გვ. 7.

³ „В языке нет ничего кроме различий“ (Де-Соссюр, გვ. 119).

⁴ ფონემის შესახებ მოძღვრების ისტორია ვრცელადაა მოთხრობილი ლ. ზინდერისა და მ. მატურევიჩის სტატიაში: „К истории учения о фонеме“, ИАН, Отд. лит. и языка, т. XII, 1953, вып. 1, გვ. 62—75.

წინადადებანი — სიტყვებად, სიტყვები — მორფოლოგიურ მარცვლებად ანუ მორფემებად, მორფემები — ფონემებად¹.

ბოდუენი აღნიშნავს, რომ ანთროპოფონიკური თვალსაზრისით განუყოფელია ბგერა, ფონეტიკური თვალსაზრისით განუყოფელია ფონემა, ხოლო მორფოლოგიური თვალსაზრისით განუყოფელია მორფემა².

ბოდუენმა ფონემის გაგებაში შემოიტანა ბგერათა კორელაციისა და კორესპონდენციის ცნებები და ამით კიდევ უფრო გაამდიდრა ფონემის შინაარსი. იგი ფონემას ასე განმარტავს: „...Фонема есть сумма обобщенных антропофонических свойств известной фонетической части слова, неделимая при установлении коррелятивных связей в области одного языка и корреспондентных связей в области нескольких языков. Иначе: фонема есть фонетическое неделимое с точки зрения сравнимости фонетических частей слова“³.

ბოდუენი აღნიშნავს, რომ ბგერათა კორელაციისა და კორესპონდენციის ცნებების გამოსახატავად ტერმინი „ბგერა“ არ გამოდგება, საჭიროა შემოღებულ იქნეს სხვა ტერმინი — „ფონემა“, რომელიც კორელაციისა და კორესპონდენციის გარკვეული ფონეტიკური სიდიდეა და მისი ბგერასთან გაიგივება შეუძლებელიაო.

ბოდუენი ამავე დროს ფონემას განმარტავს როგორც ბგერათმონაცვლეობის კომპონენტს. მისი აზრით, ბგერათმონაცვლეობის შემთხვევაში გვაქვს არა ბგერისა ბგერასთან მონაცვლეობა, არამედ ფონემების მონაცვლეობა ფონემებთან.

ი. ბოდუენ-დე-კურტენეს ფონოლოგიურ შეხედულებებში უთუოდ მოცემულია ფონემის გაგების გარკვეული „რაციონალური მარცვალი“, ვინაიდან ბოდუენი თავის ენათმეცნიერულ შეხედულებათა შემუშავებისას ეყრდნობოდა სხვადასხვა ენის მრავალრიცხოვან ფაქტს. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ბოდუენის ზოგადენათმეცნიერული კონცეფცია, რომელზედაც მისი ფონოლოგიური შეხედულებანი იყენენ აგებული, იდეალისტური, ფსიქოლოგისტური იყო. ენის რაობის, ენის წარმოშობისა და მისი კანონზომიერი განვითარების შესახებ ბოდუენი იდეალისტურ შეხედულებებს ავითარებდა. ფონემის ბოდუენისებურ გაგებას წარმოადგენა ედო საფუძვლად⁴.

3. საბჭოთა ფონოლოგიის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აკად. ლ. შჩერბას ფუძემდებელ შრომებს: „Русские гласные в качественном и количественном отношении“ (1912), „О тройном аспекте языковых явлений и об эксперименте в языкознании“ (1931),

¹ И. Бодуэн-де-Куртенэ. Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков, РФВ, 2, 1881, გვ. 333.

² იქვე, 333.

³ იქვე.

⁴ ეს საკითხები განხილულია თ. ბელინსკაიას საკანდიდატო დისერტაციაში: „Учение И. А. Бодуэн-де-Куртенэ о фонеме“, 1951.

„Очередные проблемы языковедения“ (1945) და განსაკუთრებით „Фонетика французского языка“.

აკად. ლ. შჩერბას ფონოლოგიური შეხედულებანი შედარებით უფრო ვრცლად უნდა განვიხილოთ.

ცნობილია, რომ ლ. შჩერბას ფონოლოგიურმა შეხედულებებმა გარკვეული ევოლუცია განიცადა.

ლ. შჩერბა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომაში „Русские гласные...“ ბოდუენის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ამ შრომის შესავალში იგი წერდა: „ჩემი შრომის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ი. ბოდუენ-დეკურტენეს იდეები... პირველ ყოვლისა შეგვიჩვენებთ იმის ფსიქოლოგიურ ანალიზზე, რასაც ბოდუენი უწოდებს ფონემას“¹.

ლ. შჩერბას აზრით, მაშინდელი ფონემა არის ჩვენი ფსიქიკური მოქმედების პროდუქტი. იგი კონკრეტული ფონეტიკური წარმოდგენაა და ამავე დროს ტიპიური. ლ. შჩერბა ფონემის შინაარსის გამოსახატავად ხშირად ხმარობს გამოთქმას: „წარმოდგენა—ტიპი“.

ლ. შჩერბას აზრით, ფონემები ის ვარიანტებია, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობაში. არსებობენ ფონემები, რომლებიც მეტად ან ნაკლებად დამოკიდებული არიან. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ფონემები წარმოვთქვათ ყველა პირობებში ერთგვარად, მაგრამ, თუ ამას ვერ ვაღწევთ და სხვადასხვა ფონეტიკური პირობების მიხედვით სხვადასხვაგვარად წარმოვთქვამთ, ეს, ლ. შჩერბას აზრით, აიხსნება ჩვენს ცნობიერებაში სხვა ფონეტიკურ წარმოდგენებზე არასაკმარისად ყურადღების გამახვილებით. ბოდუენის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ასეთ შემთხვევაში „შესრულება არ შეესატყვისება განზრახვას“. ერთ ადგილას ლ. შჩერბა იმასაც კი შენიშნავს, რომ ადამიანი გრამაფონი ხომ არ არის, რომ მეტყველების შეუჩერებელი ნაკადი ჰქონდესო. ფონემის ბუნების დაზუსტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლ. შჩერბას ერთ საყურადღებო მითითებას იმის შესახებ, რომ დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებისას ყველაზე რთულია (და ყველაზე მნიშვნელოვანიც) არა სხვადასხვა წვრილმან განსხვავებათა ჩაწერა, არამედ იმის კონსტანტირება, თუ მოცემულ ენაში აზრობლივი თვალსაზრისით რომელი განსხვავება მნიშვნელოვანია და რომელი არამნიშვნელოვანი².

მიუხედავად იმისა, რომ ლ. შჩერბა იმ პერიოდში ფონემაში ფსიქოლოგიურ შინაარსს დებდა და ფონემა მას გაგებული ჰქონდა როგორც მოცემული ენის უმცირესი ზოგადფონეტიკური წარმოდგენა, რომლის საშუალებითაც ასოციაციური კავშირი მყარდება აზრობლივ წარმოდგენებთან, იგი მაინც ყოველთვის გახაზავდა, რომ ფონემას შეუძლია სიტყვათა დიფერენციაცია მოახდინოსო.³

¹ Л. В. Щерба, Русские гласные..., 83. 1.

² იქვე.

³ იქვე, 83. 1+.

ლ. შჩერბამ უკანასკნელი წლების ნაშრომებში უარყო ბოდუენის იდეალისტურ ფსიქოლოგისტური ფონოლოგიური კონცეფცია, გაათავისუფლა მისგან ფონოლოგია, გადაამუშავა ბოდუენის ფონოლოგიური „რაციონალური მარცვალი“ და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეს დარგი. მან შექმნა ორიგინალური თეორია ფონემათა ვარიანტების შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი გასაღები ფონემის გაგებისათვის ლ. შჩერბამ მოგვცა თავის „ფრანგული ენის ფონეტიკაში“. ამ შრომაში ავტორის ფონოლოგიური შეხედულებანი საბოლოო სახით არის ჩამოყალიბებული¹. ლ. შჩერბა ამ შრომაში ფონემის პრობლემის გადაწყვეტის სწორ გზას რომ იძლევა, ეს სავსებით დაადასტურა ფონოლოგიის საკითხებზე ჩატარებულმა დისკუსიამ.

„ფრანგული ენის ფონეტიკაში“ ლ. შჩერბას უკვე მითითებული აქვს თავის წინანდელ ფსიქოლოგისტურ შეცდომებზე. ის წერს: „Более углубленное изложение всего этого вопроса, который подан здесь в максимально упрощенном виде, будет дано мною в курсе общей фонетики, а пока могу сослаться на мое старое исследование „Русские гласные в качественном и количественном отношении“, где уже есть все основное, но где объективная суть вещей осложнена изложением психологической стороны дела“².

ლ. შჩერბამ თავის „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ მოგვცა არა მარტო ზოგადი შეხედულებანი ფონემისა და ფონოლოგიის შესახებ, არამედ ამ შეხედულებათა გამოყენებაც გვიჩვენა ფრანგული და რუსული ენების კონკრეტულ ბგერით მასალაზე. მას განხილული აქვს ფრანგულ ხმოვანთა სადიფერენციაციო ნიშნეულობანი და მათი დაპირისპირებანი ადგილის წარმოების, ბაგისმიერობის, ცხვირისმიერობის, სიგრძე-სიმოკლისა და ლიაობა-დახურულობის მიხედვით. იქვეა განხილული გაბმულს მეტყველებაში ფონემათა მოდიფიკაცია და მათი ვარიანტები (ხმოვანთა და თანხმოვანთა), ბგერათმონაცვლეობისა და მახვილის ფონოლოგიური მნიშვნელობა.

ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ მოცემულია სახელმძღვანელო პრინციპები საბჭოთა ფონოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის.

ლ. შჩერბა ფონემას განმარტავს როგორც ენის ბგერობრივ ტიპს („звуковой тип“) და მას ასხვავებს ჩვეულებრივი ბგერისაგან³.

¹ „ფრანგული ენის ფონეტიკის“ პირველი გამოცემა გამოვიდა 1937 წ., მეორე—1939 წ., მესამე—1948 წ. და მეოთხე—1953 წ.

² იქვე, გვ. 20.

³ ლ. შჩერბას ნახმარი აქვს ტერმინი „звуковой тип“. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის ი. დუჟნიცკის წინადადება იმის შესახებ, რომ ვინმართ „типовой звук речи“. ეს უკანასკნელი ქართულადაც უფრო მოხერხებული ჩანს: „ენის ტიპობრივი ბგერა“. ეს ტერმინი ნახმარი აქვს პროფ. არნ. ჩიქობავას თავის „ენათმეცნიერების შესავალში“: „ენის ბგერითი სისტემის ძირითად ტიპობრივ ერთეულს ფონემა წარმოადგენს“ (გვ. 174). შდრ. რუსული გამოცემა: „Основные типовые единицы звуковой системы языка и являются фонемами“ (Проф. А. С. Чикобава. Введение в языкознание, часть I, 1952 г., გვ. 173).

ლ. შჩერბას აზრით, ამ ბგერობრივ ტიპს, ანუ ფონემას, შეუძლია „სიტყვებისა და მათი ფორმების დიფერენციაცია, ე. ი. ემსახუროს ურთიერთგაგებინებას“¹.

ლ. შჩერბას ბგერობრივ ტიპს არავითარი საერთო არა აქვს დე-სოსიურის „ფონოლოგიურ ტიპებთან“, რომლებიც მოკლებულია იმ შინაარსს, რომელსაც ბგერობრივი ტიპი გამოხატავს. ბგერობრივი ტიპი ყველაზე უფრო სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს ფონემის რაობას. ფონემა ტიპიურია, ზოგადია იმიტომ, რომ მასში რეალიზებულია ცოცხალ მეტყველებაში წარმოთქმული სხვადასხვა ცალკეული, კერძო ბგერები.

ლ. შჩერბა ფონემის ღრმა და საფუძვლიანი გაგების მიზნით ასეთ თვალსაზრისს ავითარებს: აღამიანის სამეტყველო ყოველი ბგერა, მსგავსად ფიზიკური ბგერებისა, მექანიკური მოვლენაა, რომელიც გარკვეული რხევების შედეგია. ეს ერთი მხრით. ესაა სამეტყველო ბგერის განხილვის ფიზიკური ასპექტი. მეორე მხრით, ამ ბგერას ჩვენ აღვიქვამთ ჩვენი ნერვული (პერიფერიული და ცენტრალური) სისტემის საშუალებით — ესაა ბგერის განხილვის ბიოლოგიური ასპექტი. ეს მხარე ბგერის ფიზიკურ მხარესთან მეტად რთულ ფუნქციონალურ ურთიერთობაშია. არსებობს კიდევ ბგერის განხილვის მესამე, ლინგვისტური ასპექტი. რადგან ენათმეცნიერება საზოგადოებათმეცნიერებაა², ბგერა ამ თვალსაზრისით საზოგადოებრივი მოვლენაა. ფონემა ზოგადი მონაცემია. მასში ფიზიკური და ბიოლოგიური სხვადასხვა მხარე განზოგადებულია, მაგრამ, ლ. შჩერბას აზრით, ფონემის ზოგადობა საბოლოო ჯამით განისაზღვრება სემანტიზებულიობით, რომელიც კომუნიკაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ფონემის სემანტიზებული ბუნება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულ ბგერებში დავინახოთ ერთი და იგივე, საერთო, ზოგადი. ყოველი ფონემის ინდივიდუალური პროფილი იმით განისაზღვრება, თუ მოცემული ენის სხვა ფონემისაგან რით განსხვავდება. ამის მიხედვით მოცემული ენის ყოველი ფონემა ქმნის დაპირისპირებულთა ერთიან სისტემას და მის გარეშე ფონემა არ არსებობს.

ფონემის ბუნებას კიდევ უფრო მეტად ჰფენს ნათელს ფონემისა და მისი ვარიანტების საკითხის გარკვევა.

4. ლ. შჩერბას ფონოლოგიურ შეხედულებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონემათა ვარიანტების შესახებ მოცემული ორიგინალური თეორია. ამ პრობლემას ლ. შჩერბას შრომებში საპატიო ადგილი უჭირავს. ავტორი აღნიშნავს ფონემისა და მისი ვარიანტების განსხვავების საკითხის დიდ თეორიულ მნიშვნელობას და ამავე დროს იგი ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით ფონემისა და მისი ვარიანტების პრაქტიკულად განსხვავების შემთხვევაში.

ლ. შჩერბა შრომაში „Русские гласные...“ აღნიშნავს, რომ ფონემის ვარიანტებად გაყოფა წარმოებს სხვადასხვა ფონეტიკური ფაქტორების

¹ Л. В. Щ е р б а, Фонетика фр. яз., გვ. 18—19.

² ლ. შჩერბას ნახმარი აქვს ტერმინი „სოციალური“.

გავლენით. ავტორს ეს საკითხი ახსნილი აქვს ბგერათპოზიციური მონაცვლეობის საფუძველზე. ლ. შჩერბა განმარტავს, რომ ფონემის ვარიანტები ობიექტურად წარმოთქმაში ვლინდებიან და წარმოადგენენ ბოდუნის დივერგენტებს. ის იმასაც აღნიშნავს, რომ ყველა ვარიანტი ფონემის დივერგენცია, მაგრამ ყველა სახის დივერგენცია არ შეიძლება ჩაითვალოს ფონემის ვარიანტად.

ფონემისა და მისი ვარიანტების განსახვავებლად ლ. შჩერბა მიმართავს ერთ ნაცად ხერხს—ფონემის გახანგრძლივებულად წარმოთქმას. მაგ., სიტყვაში „дети“ ჩვენ წარმოთქვამთ მეტად დახურულ e-ს, ვინაიდან მისი მომდევნო თანხმოვანი რბილია, მაგრამ e-ს ეს ვარიანტი არ არის დამოუკიდებელი ფონემა. საკმარისია, რომ e გავახანგრძლივოთ ამ სიტყვაში, იგი მაშინვე გახდება ნორმალური, უკვე ფონემის შესატყვისი, მაგ., გაკვირვებული დაძახების შემთხვევაში: „Ну, дети!“¹

ყოველი დამოუკიდებელი ფონემა შეგვიძლია ისე გავახანგრძლივოთ, რომ მოცემულ ფონეტიკურ შეერთებას არაფერი მივუმატოთ. ყოველად შეუძლებელია იმ ელემენტების გახანგრძლივება, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი და სხვა ფონემათა ნაწილს წარმოადგენენ².

ამით ლ. შჩერბას იმის თქმა უნდა, რომ ფონემათა პოზიციური ცვალებადობისას ჩვენს ცნობიერებაში განსაკუთრებით ძლიერდება ის ელემენტი, რომელიც მუდმივ მეორდება, ხოლო დანარჩენები, რომლებიც ცვალებადია, ისინი ჩვენ მიერ შეუმჩნეველი რჩებიან. როცა ჩვენ რომელიმე ფონემას ვახანგრძლივებთ, გახანგრძლივება შეეხება სწორედ იმ ზოგად ელემენტს, რომელიც მოცემული ფონემისათვის ტიპურია, ჩვენ მას ყოველთვის ვაცალკევებთ.

ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ კიდევ ერთი მეტად საყურადღებო მითითება აქვს მოცემული ფონემისა და მისი ვარიანტების დასახასიათებლად: სიტყვათწარმოებაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, აგრეთვე ლექსიკაში ვარიანტები არავითარ როლს არ ასრულებენო. ამიტომ მშობლიურ ენაში ისინი ჩვენ მიერ შეუმჩნეველია, რადგან ისინი მონაცვლეობენ ტიპურ ვარიანტებთან ჩვენი არტიკულაციური ჩვევების მიხედვით. სხვა ვითარებაა, როდესაც ჩვენ უცხოური ენის წარმოთქმას ვსწავლობთ, მაშინ ჩვენ გვინდება როგორც ფონემათა ვარიანტების შესწავლა, ასევე მათი ტიპურ ვარიანტებთან მონაცვლეობა, ვინაიდან არა ვაქვს გამომუშავებული უცხოური ენის წარმოთქმისათვის საჭირო არტიკულაციური ჩვევებიო³.

ლ. შჩერბა ფონემის ვარიანტებში ასხვავებს ტიპურს ყველა სხვა დანარჩენისაგან; იგი იზოლირებულადაც წარმოითქმის და ჩვენ მიერ მხოლოდ ის ერთი აღიქმება როგორც ენის ელემენტი. შჩერბა პრაქტიკული ფონეტიკის ამოცანად ამ ტიპური ვარიანტების შესწავლას მიიჩნევს, ვინაიდან ყველა

¹ Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 15.

² იქვე, გვ. 13.

³ Л. В. Щерба, Фонетика фр. яз., გვ. 19.

სხვა ვარიანტი წარმოიქმნება მხოლოდდამხოლოდ სპეციალური ფაქტორების მოქმედების შედეგად. ამ სპეციალური ფაქტორების მოქმედება თუ მოიშლება, მაშინ ყველა ვარიანტი ისწრაფვის შეერწყას ტიპიურ ვარიანტს. ამ ტიპურისაგან განსხვავებული ყველა სხვა ვარიანტი წარმოთქმაში ჩვენ მიერ შემჩნეველია; მათი მოსმენა რომ შევძლოთ, ამისათვის განსაკუთრებული ფონეტიკური წვრთნაა საჭირო. ლ. შჩერბა ფონემის ამ ტიპიურ ვარიანტსაც პირობითად ფონემას უწოდებს¹.

ამგვარად, ლ. შჩერბა ფონემას უწოდებს ბგერობრივ ტიპსაცა და მოცემული ბგერობრივი ტიპის ანუ ფონემისათვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო ტიპიურ ვარიანტსაც.

ერთი ფონემის ვარიანტების ფონეტიკური დიაპაზონი შესაძლებელია იყოს ძალიან ფართო, მაგრამ მათი საზღვრები მაინც შემოფარგლულია. ლ. შჩერბა ვარიანტების წარმოქმნაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბგერათპოზიციურ მონაცვლეობას და აღნიშნავს, რომ „ფონემებად ითვლებიან ის ვარიანტები, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობებზეო“². ამავე დროს განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მითითება იმის შესახებ, რომ „თავისთავად იგულისხმება, აბსოლუტური საზღვარი ვარიანტებსა და ფონემებს შორის არ არსებობსო“³.

აქედან გამომდინარე, ლ. შჩერბამ ენათა ისტორიის მაგალითებზე ნათლად გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება ვარიანტი იქცეს დამოუკიდებელ ფონემად და, პირიქით, დამოუკიდებელი ფონემა კიდევ იქცეს ვარიანტად.

ლ. შჩერბას ფონემა წარმოდგენილი აქვს როგორც ისტორიული კატეგორია, რომელიც განიცდის თანდათანობითს განვითარებას მოცემული კონკრეტული ენის ბგერითს სისტემაში.

დავასახელებთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს ქართველურ ენათა სინამდვილიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ ფონემას შესაძლებელია გაუჩნდეს ვარიანტი და ვარიანტი კიდევ იქცეს დამოუკიდებელ ფონემად.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავს ყველა ის ხმოვანი აქვს, რომლებიც ქართულსა და ქანურ-მეგრულში მოიპოვება (ა ე ი ო უ), ოღონდ ზუგდიდურ-სამურზაყანულში ი, უ და ზოგჯერ ო ფონემათა ვარიანტების საფუძველზე წარმოიქმნა დამოუკიდებელი ფონემა გ, მაგ., ქგო←ქიო—ქორო; ნკკ←ნუკუ—ნიკაპი; ქენგ←ქინუ—წნელი; ჩქჩქ←ჩქიჩქუ—ჩვილი; ქემოროთუ←ქომოროთუ—მოვიდა; ქედგოგო←ქოდგოგო—დავაგე, დავასვე და ა. შ. ზუგდიდურ-სამურზაყანულს ეგევე ხმოვანი გ გამოყენებული აქვს თანხმოვანთა გასაყარად, აგრეთვე თანხმოვანთა წარმოთქმის გასაადვილებლად აბსოლუტურ ბოლოში.

¹ Л. В. Щерба, Фонетика фр. яз., гл. 19.

² Л. В. Щерба, Русские гласные..., гл. 16.

³ იქვე, გვ. 36.

როგორც აღვნიშნეთ, გ-ს გავრცელების არე ჭანურ-მეგრულში მეტად შეზღუდულია, იგი მხოლოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში იხმარება, მაგრამ ეს ასე არ არის სვანურში. გ დღეს სვანურის ოთხსავე (ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურსა და ლაშხურს) დიალექტს ახასიათებს, როგორც დამოუკიდებელი ფონემა. ქართულში იგი არ განვითარებულა.

ცნობილია, რომ უმლაუტიანი ხმოვნები სვანურის სამ დიალექტს ახასიათებს (ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს). უმლაუტი ფონეტიკური წარმოშობისაა ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე, მაგრამ დღეს უმლაუტიანი ხმოვნები სვანურში დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენენ. ეს რომ ასეა, ამაში გვარწმუნებს შემდეგი მაგალითების შედარება. მაგალითად, სვანურის ბალსზემოურ დიალექტში თუ სიტყვა უმლაუტიანი ხმოვნითაა წარმოდგენილი, მას ერთი მნიშვნელობა აქვს, ხოლო თუ უუმლაუტოა, იგივე სიტყვა სხვა მნიშვნელობისაა:

| | |
|-----------------------|---|
| ა ქ ა ჩ — მოჭრა (ხე) | ა ქ ა ჩ — მოსჭერ |
| ან ჯ ა ბ — მოხარშა | ან ჯ ა ბ — მოჰხარშე |
| ა ჰ რ დ — გაყიდა | ა ჰ რ დ — გაჰყიდე |
| ა კ რ ც — დაჭრა | ა კ რ ც — დასჭერ |
| ა შ ხ უ ნ — შეინახა | ა შ ხ უ ნ — შეინახე |
| ა შ დ ჯ ლ ჭ — დამარხა | ა შ დ ჯ ლ ჭ — დაჰმარხე და სხვ. მისთ. ¹ |

ლა ა მ გ ე — ნიშნავს ცოტა ააშენა (საარვისო ქ(კევა), ლ ა მ გ ე ცოტა აიშენა (სათავისო ქ(კევა)).

იმავე ბალსზემოურში აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ფორმებს ერთმანეთისაგან უმლაუტი ასხვავენს, მაგალითად:

| აწმყო | ნამყო უწყვეტელი |
|------------------------|---|
| ი ღ რ ა ლ — მღერის | ი ღ რ ა ლ (და) — მღეროდა |
| ი შ დ რ ა ლ — თამაშობს | ი შ დ რ ა ლ (და) — თამაშობდა |
| ი ზ ე ლ ა ლ — დადის | ი ზ ე ლ ა ლ (და) — დადიოდა |
| ი წ რ ა ლ — იგინება | ი წ რ ა ლ (და) — იგინებოდა და სხვ. მისთ. ² |

(შედრ. გერმნ. Rachen—ხახა—rächen—შურისძიება; Handel—ვაჭრობა—Händler—დავა, უსიამოვნება და სხვ. მისთ.)

ამ მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ სვანურში უმლაუტიანი ხმოვნები დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობისაა და მათ იმდენი ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ „სიტყვებისა და მათი ფორმების დიფერენცია-ცია“.

სვანური და ჭანურის ხოფური კილოკავი არჩევს ე ხმოვნის ორ ვარიანტს—ღიასა და დახურულს. მაგ., ღია ე ისმის სვანურის შემდეგ სიტყვებში: ეს ღ რ ი—მიდის; ე ჯ ნ ე მ—მან და სხვ. მისთ. დახურული ე წარმოითქ-

¹ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925 წ., გვ. 211.

² ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

მის სიტყვებში: დერვან—ვინც; დედ—ათი; დეცერ—ეცერი და სხვ. მისთ.

ჭანურის ხოფურ კილოკავში ჩვეულებრივია ე-ს დახურული წარმოთქმა: დეხთუ—ავიდა; დეზდუ—აილო და მისთ. ვიწურ-არქაბულსა და ათინურს კილოკავებში ამ სიტყვებში ღია ე წარმოითქმის: ეხთუ, ეზდუ და ა. შ. საქმე იმაშია, რომ არც სვანურსა და არც ჭანურ-მეგრულში ეს ორი სახის ე დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ, ისე როგორც არც რუსულში აქვს ღიასა და დახურულ ე-ს დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა¹.

აღსანიშნავია, რომ ფრანგულსა და იტალიურში ამ ორი სახის ე-ს (ღიასა და დახურულს) მოუპოვებია დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა, მაგ., იტალიური pesca (ე ღიაა: peska—ატამი), pesca (ე დახურულია: peska—თევზის ჭერა) და სხვ. მისთ.

ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ის, რაც ერთ ენაში შეიძლება მხოლოდ ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენდეს, მას სხვა ენაში შესაძლებელია დამოუკიდებელი ფონოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს.

ჭანურის ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოკავებსა და სვანურის ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში უკანანისმიერი ხშულები გქკ პალატალიზებულ ვარიანტებს იძლევიან: გქკ'-ს. ამ თანხმოვანთა პალატალიზებული მოდიფიკაცია წარმოთქმაში იმდენად საგრძნობია, რომ მათ შემდგომ ტექსტების ჩაწერისას, ჩვეულებრივ, ე-ს წერენ. მაგ., ჭან. ქოგაოჭკეს (ჩიქ. II, 134, 8) — დაიწყეს; გაარიშ გედევალუშენი (ჩიქ. I, 151, 28) — საჭმლის დასადებად; ქაურქი (ჩიქ. I, 4, 21) — ქურქი; კაფუ (ყიფ. I, 36, 18) — ტურა; კაეტი (იქვე, 93, 30) — პატარა ჯოხი და სხვ.

სვანურში პალატალიზებული გქკ' წარმოითქმის უმლაუტიან ხმოვანთა წინ, მაგ.: გან—დანა; ქან—ფერფლი; კან—კანი და სხვ.

ეს პალატალიზებული ფონეტიკური ვარიანტები არც სვანურსა და არც ჭანურის დასახელებულ კილოკავებში დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ჭანურის ათინურ კილოკავში, სადაც უკანანისმიერ ხშულთა გქკ-ს პალატალიზებული ვარიანტები თვისობრივად ახალ ფონემებად, ენანუნისმიერ შიშინა აფრიკატებად იქცნენ:

გ→ჯ; ქ→ჩ; კ→ჭ:

ათინური ჯენი იგივეა, რაც ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის გენი—ბო (შდრ. გინი);

ათინური ბერჯი, ხოფ. ვიწ.-არქ. ბერგი, მეგრ. ბერგი—თოხი;

ათინური ჩოჩი, ხოფ. ვიწ.-არქ. ქაოქი—ძირი;

„ თილჩი „ „ თილქი—მელია;

„ თოქი „ „ თოკი—თოკი

„ ქაფუ „ „ კაფუ—ტურა და სხვ. მისთ.

¹ Л. В. Шерба, Русские мясные..., გვ. 15.

ქართულსა და ქანურ-მეგრულში მეორე ობიექტური პირის ნიშანია გ, სვანურში ამ ფუნქციას ჯ ასრულებს (მაკუ—მინდა; ჯაკუ—გინდა; ხაკუ—უნდა), მაგრამ მეგრულში, ყველა სხვა ქართველური ენისაგან განსხვავებით, მეორე ობიექტური პირის ნიშნებად დასტურდება გ და რ, ორივე ერთი ფუნქციისაა, ოღონდ გ ხმოვნების წინ წარმოითქმის (მაგ., სი გილუ—შენ ვაქვს), ხოლო რ წარმოითქმის თანხმოვანთა წინ (მაგ., რ-ჭუნს—გწვავს; რ-კითხუ—გკითხა და ა. შ.).

აქედან ნათლად ჩანს, რომ არტიკულაციურადა და აკუსტიკურად განსხვავებული ორი ბგერა შესაძლებელია ერთი ფუნქციისა იყოს. ფონოლოგიაში ამ კანონს ფუნქციონალური იგივეობის ფონეტიკურ კანონს უწოდებენ.

შესაძლებელია, პირიქითაც, არტიკულაციურად და აკუსტიკურად საე-სებით ერთი და იგივე ბგერები სხვადასხვა ფუნქციას გამოხატავდეს. მაგ., მეგრულში პ პირველი სუბიექტური პირის ნიშნადაც გვევლინება და პირველი ობიექტური პირის ნიშნადაც მკვეთრთა წინ. პირველ შემთხვევაში პ მიღებულია ვ'საგან, მეორე შემთხვევაში—მ'საგან, მაგ.: მა პ-კითხი—მე ვკითხე; მაგრამ: მა პ-კითხუ—მე მკითხა; იგივე პირის ნიშნები გ და მ ფშენივიერთა წინ ფ-ს იძლევა, მაგ.: ფ-ხატუნ-ქ—გხატავ, მაგრამ: მა ფ-თხორუნ-ს—მასაფლავებს („მითხრის“).

ქანურში სუბიექტური პირველი პირის ნიშანს ვ-ს გარკვეული ვარიანტები აქვს: ხოფურში ხმოვანთა წინ ვინია: ვ-იდი—წავედი; ვიწურ-არქაბულში ბ დასტურდება: ბ-იდი—წავედი; მკვეთრთა წინ ვ'ცა და ბ'ც იძლევა პ-ს: პ-კითხი—ვკითხე, ხოლო ფშენივიერთა წინ დასტურდება ფ: ფ-ხერ—ვზივარ.

თუ ფონემისა და მისი ვარიანტების შჩერბასეული განმარტებიდან გამოვალთ, მაშინ ფონემებად უნდა მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში გ და ბ, რომლებიც ყველაზე უფრო ნაკლებ არიან დამოკიდებული გარემომცველ პირობებზე. ყველაზე ტიპურიც ვარიანტებს შორის ეს ორია: გ და ბ; პ და ფ წარმოთქმაში ბგერათპოზიციური მონაცვლეობით შეპირობებულ ვარიანტებს წარმოადგენენ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენის ისტორიაში დადასტურებული მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნების ფონეტიკური ვარიანტები.

როგორც ცნობილია, ქართულ სალიტერატურო ენას V—VII სს-ში ახასიათებდა ხანმეტობა, მაგ., ხ-ზი, ხ-დგა, ხ-იხილო; ხ-ერქუა, ხ-ესმა, ხ-აქუს, ხ-იყო და სხვ. მისთ.

VII საუკუნიდან ხანმეტობა ჰემეტობამ შეცვალა ყველგან: სადაც წინათ ხ იყო მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნებად, აიერი-დან ჰემე დაჰირა მისი ადგილი, ოღონდ ჰესაც ვარიანტი უჩნდება ს-ს სახით წინანისმიერისა და ენანუნისმიერი ბგერების წინ; მაგ., ჰ-ყვრი, ჰ-კვეთ, მაგრამ ს-წიწკნი, ს-ცხოვრობ, ს-ტირი და სხვ. მისთ. შიშინა ბგერების წინ

კიდევ ს ზოგჯერ ახალ ვარიანტს იძლევა შ-ს სახით: შ-ჯდები, შ-ჩიქნი და მისთ¹.

ქართულში პირის ნიშნების ისტორია არა მარტო იმ მხრივია საინტერესო, რომ მეორე სუბიექტურისა და შესამე ობიექტური პირის ნიშნებს რამდენიმე ვარიანტი აქვს, არამედ უფრო მეტად იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ მეორე სუბიექტურისა და შესამე ობიექტური პირის ნიშნები ერთი და იგივე ბგერებია, ისინი ომონიმებს წარმოადგენენ, ფუნქციონალურად კი სხვადასხვა პირებს გამოხატავენ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ლ. შჩერბამ ფონემისა და მისი ვარიანტების გაგების საკითხში ბევრი ახალი შეიტანა. იგი ფონემას ისტორიულ კატეგორიად თვლიდა და, ხელმძღვანელობდა რა ისტორიული პრინციპით, ვარიანტების წარმომქნელ ძირითად ფაქტორად ბგერათპოზიციურ მონაცვლეობას მიიჩნევდა, მაგრამ ფონემისა და მისი ვარიანტების ურთიერთობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მან ვერ მოგვცა ვერც თავის პირველ ფუნდამენტალურ შრომაში „Русские гласные...“ და ვერც მის უკანასკნელ კაპიტალურ შრომაში „Фонетика французского языка“. ეს რომ ასეა, ლ. შჩერბას შემდეგი მსჯელობიდან ჩანს: იგი ბგერობრივ ტიპს ფონემას უწოდებს და ამავე დროს ფონემის ტიპური ვარიანტის სახელწოდებადაც ფონემას იყენებს და იქვე აღნიშნავს, რომ, თუ საჭირო შეიქნება, მაშინ ამ ორ ცნებას განვასხვავებთ².

წ. თანამედროვე საბჭოთა ფონოლოგიაში საყურადღებოა ისეთი ახალი ცნებების შემოტანა, როგორცაა „ვარიანტი“ და „ვარიაცია“.

ეს ცნებები სპეციალური მნიშვნელობით საბჭოთა ფონოლოგიაში რ. ავანესოვმა და ვ. სიდოროვმა შემოიტანეს რუსული სალიტერატურო ენის ფონოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებით.³ „ვარიანტი“ და „ვარიაცია“ გამოყენებული აქვთ თავიანთ შრომებში ა. რეფორმაციისა⁴ და ა. გვოზდევსაც⁵.

რ. ავანესოვი და ვ. სიდოროვი „ვარიაციას“ განმარტავენ როგორც პოზიციით შეპირობებული ფონემის მოდიფიკაციის ძირითად სახეს. ვარიაციები ერთ ფონემას განეკუთვნებიან და დისტინქტური დაპირისპირებისათვის

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953 წ., გვ. 178.

² ლ. შჩერბა, ფონეტიკა ფრ. ენ., გვ. 19.

³ რ. ი. ავანესოვი და ვ. ნ. სიდოროვი, Очерк грамматики русского литературного языка, 1945, გვ. 42—44.

⁴ ა. ა. Реформатский, Введение в языковедение, 1947 г.

⁵ А. Н. Гвоздев, О фонологических средствах русского языка, 1949 г.

არ გამოდგებიან, ვინაიდან ისინი ფონემის ძირითადი სახის ბგერის სინონიმებს წარმოადგენენ. ვარიაციის შემთხვევაში მოცემული ფონემის ბგეროვნობა არ ემთხვევა სხვა რომელიმე ფონემას.

ავტორები ვარიაციის ნიმუშად ასახელებენ რუსულ ხ-ს, რომელიც ი-ს მოდიფიკაციას წარმოადგენს მაგარი თანხმოვნების შემდგომ.

ვარიაციის ნიმუშად გამოდგებოდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული გ და რ, რომლებიც მეგრულში მეორე ობიექტური პირის ნიშნებად იხმარებიან, ოღონდ ერთი ხმოვნის წინ წარმოითქმის და მეორე—თანხმოვნის წინ.

გ. ახვლედიანი „ვარიაციის“ შესატყვისად იყენებს ტერმინს „ტოლფუნქციანი სახესხვაობა“.¹ იგულისხმება, რომ ეს ბგერითი სინონიმები ტოლფუნქციანია.

რ. ავანესოვისა და ვ. სიდოროვის განმარტებით, ვარიანტი წარმოადგენს პოზიციურად შეპირობებული ფონემის მოდიფიკაციის ისეთ სახეს, როდესაც ერთი ფონემა ბგერობრივად ემთხვევა მეორეს, ქმნის ბგერობრივ ომონიმებს.²

ავტორებს რუსული ენიდან საილუსტრაციო მაგალითად მოჰყავთ: луг—лук (ორსავე შემთხვევაში წარმოითქმის лук).

გ. ახვლედიანი ვარიანტის შესატყვისად იყენებს ტერმინს „უტოლფუნქციო სახესხვაობა“.

ვარიანტის საილუსტრაციო ნიმუშად გამოდგებოდა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული სუბიექტური პირველი პირის ნიშნის ვ-სა და ობიექტური პირველი პირის ნიშნის მ-ს მოდიფიკაცია მეგრულში—მკვეთრთა წინ პ-ს სახით, ხოლო ფშენივიერთა წინ ფ-ს სახით. ვარიანტის ამ გაგებას გამოხატავს ნ. ტრუბეცკოის „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაცია“ და ს. შაუმიანის „შერეული ფონემა“.

ნ. ს. შაუმიანმა ბევრი საკითხი აღძრა თავის სადისკუსიო წერილში „ფონემის პრობლემა“³. მეორე წერილში „ფონოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“⁴ მან პასუხი გასცა დისკუსიის დროს წამოჭრილ ზოგიერთ საკითხს. ს. შაუმიანი შეეცადა სტრუქტურალისტური ფონოლოგიის დებულებანი განევითარებინა. იგი ყოველმხრივ ცდილობს საზღვარგარეთელისა და საბჭოთა ფონოლოგების შეხედულებათა გათვალისწინებით გამოხატოს ახალი გზა ფონემის პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ ამას ვერ აღწევს, ვინაიდან ძირითადად დგას ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიურ შეხედულებათა პოზიციანზე. ის წერს: „В области изучения звуковой стороны языка я считаю

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 275.

² Р. И. Аванесов и В. Н. Сидоров, Очерк грамматики русского литературного языка, გვ. 43

³ С. К. Шаумян, Проблема фонемы, ИАН СССР. Отд. лит. и языка, т. XI, вып. 4, 1952 г.

⁴ С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, ИАН СССР. Отд. лит. и языка, т. XII, вып. 5, 1953 г.

Н. С. Трубецкого своим прямым учителем. В основе отстаиваемой мной фонологической концепции лежат идеи Н. С. Трубецкого¹.

საბჭოთა ფონოლოგებმა არ გაიზიარეს ს. შაუმიანის ფონოლოგიური შეხედულებანი. იგი ამ შემთხვევაში მარტოკა აღმოჩნდა.

ს. შაუმიანმა შემოიტანა ე. წ. „შერეული ფონემის“ ცნება, რომელიც, ავტორის აზრით, ნ. ტრუბეცკოის „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციის“ შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ცალკეულ ენათა ბგერითი სისტემების ფონოლოგიური განხილვისას ძირითად საშუალებას ფონემათდაპირისპირებანი წარმოადგენენ. ყველა მატერიალური ნიშნეულობით ფონემათდაპირისპირებანი სიტყვათგანმასხვავებლობით ფუნქციას ასრულებენ. ფონემები ერთმანეთს შესაძლებელია დაუპირისპირდნენ სხვადასხვა ნიშნეულობის მიხედვით, მაგ., მჟღერობა-სიყრუით, წარმოების ადგილით, ხშულობა-ნაპრალოვნობითა და ა. შ.²

ფონემათდაპირისპირებანი ძლიერსა და სუსტ პოზიციას ემყარება. პოზიციას კი საერთოდ ქმნის საწარმოთქმო პირობების გარემოცვა. ძლიერ პოზიციაში ფონემა მთელ თავის სრულ სახეს გამოავლენს სხვა ფონემებთან დასაპირისპირებლად. სუსტ პოზიციაში კი ფონემა სხვა ფონემებთან დასაპირისპირებელ ნიშნეულობას კარგავს და ე. წ. ნეიტრალიზაცია ანუ დეფონოლოგიზაცია წარმოიშობა. ამ შემთხვევაში ფონემის ბუნებას მისი განპირობებულობა განსაზღვრავს. მაგ., ქართულში ძლიერ პოზიციაში თუ წარმოითქმის *ო*, იგი სუსტ პოზიციაში შეიძლება იქცეს *ვ*-დ, მაგ., *მაწონი* — *მაწვნის*, *ნიგოზი* — *ნიგვზის*, *მინდორი* — *მინდვრის* და ა. შ. ცხადია, რომ *ო*-ს ფონოლოგიური ნიშნეულობა ამ შემთხვევაში შეიკვეცა. *ო*-ს, როგორც ხმოვანს, მარცვლის შექმნის უნარი აქვს, მაშინ როდესაც *ვ*-ს ეს უნარი არა აქვს. ხმოვანი სუსტ პოზიციაში იქცა თანხმოვნად.

სუსტ პოზიციაში ბგერის ცვალებადობის პროცესი შესაძლებელია მივიღეს მინიმალურ ფონეტიკურ სიდიდემდე ან მთლიანად დაიკარგოს იგი, მაგ., იგივე *ო* სუსტ პოზიციაში ზოგჯერ აღარც *ვ*-ს იძლევა, იკარგვის უნაშთოდ. *ფოთოლი* — *ფოთლი*, *გოდორი* — *გოდრი*, *ობოლი* — *ობლი* და სხვ. მისთ.

სუსტ პოზიციაში ენების დიდი უმრავლესობა მკდერ თანხმოვნებს ყრუ თანხმოვნებად აქცევს წარმოთქმაში და აბსოლუტურ ბოლოში ე. წ. ომონიმები წარმოიშობა, მაგ., რუს. *лук* — *лук* (ორივე შემთხვევაში წარმოითქმის *лук*), *под* — *под* (ორივე შემთხვევაში წარმოითქმის *под*) და ა. შ. ის, რაც ზემოთ ითქვა, ფონოლოგიის მონაპოვარია და მის ოქროს ფონდს შეადგენს. ამის გამო ზოგიერთი საზღვარგარეთელი ფონოლოგი ფონოლოგიას პრაქტიკულ ფონეტიკასაც კი უწოდებს.

¹ С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, გვ. 541.

² ფონემათა დაპირისპირებანი ქართული ენის ბგერითი სისტემის მაგალითზე ვრცლად აქვს განხილული პროფ. გ. ახვლედიანს, იხ. მისი ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 289—291.

მაგრამ აქედან იწყება აზრთა სხვადასხვაობანი, რომელნიც შეეხებიან ფონემისა და მისი ვარიანტების რაობას, ვარიანტების ფონეტიკურ დიაპაზონს, ფონემის არსებითსა და არაარსებით ნიშნეულობას, ომონიმების საკითხს, ფონეტიკურისა და მორფოლოგიური კრიტერიუმის ურთიერთობას ფონოლოგიაში და სხვ. მისთ.

ასე, მაგალითად, რ. ავანესოვისა და ვ. სიდოროვის „ვარიაციისა“ და „ვარიანტისა“ თეორიის მიხედვით, რუსულ სიტყვებში *рок* და *рог* ბოლოკიდური *к* და *г* წარმოითქმის ერთნაირად ყრუდ—*к-დ*. პირველ შემთხვევაშია ფონემა *к*, ხოლო მეორეში—*г*. როცა *к* მომდინარეობს *г*-საგან, მაშინ *г*-ს ვარიანტი არის *к*. ს. შაუმიანის „შერეული ფონემის“ მიხედვით კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე „შერეული“ ფონემაა *к/г*, ვინაიდან იგი თავის თავში *к-საც* აერთიანებს და *г-საც*. „შერეულ ფონემას“ *к/г*-ს აქვს ორი ვარიანტი: *к* და *г*. ავტორის აზრით, მოცემულ მაგალითში ადგილი აქვს არა მარტო ფუნქციონალურს, არამედ ფიზიკურ შერევასაც¹.

ავტორის მტკიცებით, „შერეული ფონემა“ წარმოიქმნება მხოლოდ სუსტ პოზიციაში, სადაც ფონემათა რიცხვი მცირდება. მაგ., რუსულ ენაში ძლიერ პოზიციაში თუ ვასხვაგვებთ ექვს მაგარ ხშულ ფონემას: *к-г, т-д, п-н*, აბსოლუტური ბოლოს სუსტ პოზიციაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ სამი ხშული ყრუ ფონემა: *к-т-п*².

„შერეული ფონემის“ ცნება სავსებით სამართლიანად იქნა მკაცრად გაკრიტიკებული და უარყოფილი საბჭოთა ფონოლოგების მიერ, ვინაიდან იგი ახალს არაფერს იძლევა ნ. ტრუბეცკოის „არქიფონების“ ცნებისაგან განსხვავებით³.

როგორც ცნობილია, ნ. ტრუბეცკოის აზრითაც, რუსულში აბსოლუტურ ბოლოში *д, т-ს* ნაცვლად გვაქვს არქიფონემა *т*; *г, к-ს* ნაცვლად—არქიფონემა *к*; *п, н-ს* ნაცვლად—არქიფონემა *п*. ნ. ტრუბეცკოის განმარტებით, არქიფონემა წარმოადგენს იმ განსხვავებულ ნიშანთვისებათა ერთობლიობას, რომლებიც საერთოა ორი ფონემისათვის. არქიფონემა რეალიზდება „დაპირისპირებათა ნეიტრალიზაციაში“.

7. საზღვარგარეთულ ფონოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფონემის არსებითსა (რელევანტურსა) და არაარსებით (ირელევანტურს) ნიშნეულებათა განსხვავებას. რამდენადაც ფონემა დაპირისპირებათა წევრია, ამდენად ფონემის განსაზღვრისას უმთავრესია ის, რაც ფონემას ასხვავებს დაპირისპირებათა სხვა წევრისაგან. ამ გაგებით ფონემა ბგერის არსებითს ნიშანთვისებათა ფონოლოგიურ ერთიანობას წარმოადგენს⁴. არსებითი ნიშნეულობა ამავე დროს ფონემათა სადიფერენციაციო ნიშნებია. ამ ავტორების აზრით,

¹ С. К. Шаумян, Проблема фонемы, გვ. 338.

² С. К. Шаумян, О некоторых вопросах фонологии, გვ. 536.

³ А. Н. Гвоздев, О фонологии „смещанных фонем“, ИАН СССР. Отд. лит. и яз., 1953 г., т. XII, вып. I, გვ. 49—61; აგრეთვე ლ. ზინდერისა და მ. მატუსევიჩის სტატია, იქვე, გვ. 75.

⁴ N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, 1939, გვ. 35.

ბგერის არაარსებითი ნიშნეულობანი ფონოლოგიას არ აინტერესებს, მას უნდა სწავლობდეს ფონეტიკა.

ფონემის არსებითი და არაარსებითი ნიშნეულობის შესახებ თავისი იდეალისტური მოსაზრება ყველაზე უფრო დამახასიათებლად გამოთქმული აქვს ამერიკელ ფონოლოგს ლ. ბლუმფილდს. იგი ბგეროვნობის საერთო მასიდან გამოჰყოფს მხოლოდ გარკვეულ სადიფერენციაციო ნიშნეულობას, რომელიც ყოველ ენაში სპეციფიკურია და სწორედ ის შეადგენს ფონემას. ამ გაგებით ფონემა ბგერა კი არ არის, არამედ იგი მხოლოდ ბგერის თვისებაა, რომელიც გამოიყოფა ბგეროვნობის არაარსებითი მასიდან, ისე როგორც არაარსებითია წითელი ფერის სიგნალისათვის მისი სახე და ფორმა, რომლის მიხედვითაც მემანქანე მატარებელს აჩერებს. წითელი ფერის სიგნალის არსებითს თავისებურებას, ბლუმფილდის აზრით, შეადგენს მხოლოდ „სიწითლე“ და სხვა არაფერი¹.

საზღვარგარეთელი ფონოლოგები ფონემის ასეთმა გაგებამ მიიყვანა ფონემის მატერიალური და ფუნქციონალური მხარის გათიშვამდე. ს. შაუმიანი შეეცადა ამ ყალბი დებულების საბჭოურ ფონოლოგიაში დამკვიდრებას, მაგრამ იგი დამსახურებულად იქნა გაკრიტიკებული. ფონემის რაობის სრულყოფილად და ამომწურავად განსაზღვრისათვის არსებითია ფონემის ყველა მატერიალური ნიშნეულობა.

8. როცა ფონემის მატერიალურსა და ფუნქციონალურ მხარეზე ვმსჯელობთ, კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება ხოლმე. საკითხი ომონიმებს შეეხება. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ სიტყვა რა და რა ფონემებისაგან შედგება, პირველ ყოვლისა, უნდა მოვისმინოთ იგი. მხოლოდ მოსმენით (ან წაკითხვით) შეგვიძლია გავარკვიოთ ამა თუ იმ სიტყვის ფონემური შედგენილობა, შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობა არც კი ვიცოდეთ. ვთქვათ, წერა-კითხვის არმცოდნე პირმა მოისმინა სიტყვა „რეაქცია“. იგი ამ სიტყვის ფონემურ შედგენილობას გაარჩევს და განასხვავებს მას, ვთქვათ, სიტყვისაგან „რედაქცია“. ამორი სიტყვის განმასხვავებელი მხოლოდ დ ფონემა არის. წერა-კითხვის არმცოდნემ „რეაქცია“ რომ მოისმინა და მისი ფონემური შედგენილობა გაიგო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მან იცოდეს ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვას აქვს, ვთქვათ, ისტორიკოსისათვის, ქიმიკოსისათვის ან ფსიქოლოგისათვის, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ფონემებს თითქოს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია არ ჰქონდეს². ასეთი გაგება უარყოფს ფონემის რაობას და მას წარმოგვიდგენს უბრალო ფიზიკურ ბგერად. ეს მოსაზრება საბჭოურ ფონოლოგიას არსებითად უპირისპირდება, ვინაიდან ფონემას აქცევს უშინაარსო ბგერად. ენაში ბგერობრივი ომონიმები არსებობს, ისე როგორც სინონიმებიც არსებობს, მაგრამ ომონიმების რიცხვი მაინც მეტად განსაზღვრულია ყოველ ენაში. ომონიმებიდან ბევრი ფონემის

¹ А. А. Реформатский, Проблема фонемы в американской лингвистике: „Ученые записки Московского городского пединститута“, 1941, т. V, гл. 105.

² ზღრ. Л. Р. Зиндер, Существует ли звуки речи?, гл. 302.

მოდინფიკაციის საფუძველზეა მიღებული, მაგ., ქართული ხერხი (მოხერხება, რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან: ქერჯი) და ხერხი (იარალი) ან კიდევ: ხელი (რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან: ქელი) და ხელი (გიჟი) და სხვ. მისთ.

აკად. ლ. შჩერბამ თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით ნათელყო, რომ: „... В языке утилизируются звуки не просто как физические или физиологические явления, а как элементы языка, имеющие или по крайней мере могущие иметь значение“¹.

განსაკუთრებით საყურადღებოა აკად. ლ. შჩერბას დებულება იმის შესახებ, რომ ფონემა პოტენციალურად არის აზრის მატარებელი. საბჭოთა ფონოლოგების მიერ ეს დებულება საყოველთაოდ აღიარებულია და მიღებული. იგივე აზრია გატარებული საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „რუსული ენის გრამატიკის“ შესავალში: „Лингвистическая природа отдельных звуков речи определяется тем, что каждый из них может что-то значить в данном языке, и термин фонема введен именно с целью подчеркнуть это обстоятельство“².

9. ერთ-ერთ სადისკუსიო საკითხს წარმოადგენს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის კავშირის საკითხი: საჭიროა თუ არა ფონოლოგიაში მორფოლოგიური კრიტერიუმი? რიგი ავტორებისა (ს. შაუმიანი, ა. გვოზდევო, ვ. ლიტვინი, ა. სმირნიცკი, ლ. ზინდერი და სხვ.) არ მიიჩნევენ საჭიროდ მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიური სისტემის კვლევისას. რიგი ავტორებისა კი (რ. ავანესოვი, ვ. სიდოროვი, ა. რეფორმაცკი, მ. პანოვი და სხვ.) აუცილებელ საჭიროდ თვლიან მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიური კვლევისას.

საფუძველს მოკლებული არაა პროფ. ს. ბერნშტეინის მოსაზრებაც, რომელიც, ერთი მხრით, ფონემას განმარტავს როგორც უმცირეს ბგერობრივ ერთეულს, რომელიც ემსახურება სიტყვათაგანსხვაებასა და სიტყვათაგამოცნობას, ხოლო, მეორე მხრით, ფონემას იგი მიიჩნევს როგორც მორფემის უმცირეს ბგერობრივ კომპონენტს, რომელმაც შეიძლება განიცადოს სახეცვლილება პოზიციური პირობების მიხედვით³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ბოდუენ-დე-კურტენე თავის დროზე აღნიშნავდა, რომ „მორფემები ბგერებად კი არ იყოფიან, არამედ ფონემებად“⁴. ამით ბოდუენმა ხაზი გაუსვა ფონემების მორფემებთან მჭიდრო კავშირში შესწავლის აუცილებლობას.

¹ Л. В. Щерба, Очередные задачи..., გვ. 185.

² Грамматика русского языка, I, 1952 г., გვ. 12.

³ Сергей Бернштейн, Против идеализма в фонетике, ИАН СССР. Отд. лит. и языка, 1952, т. XI, вып. 6, გვ. 541—559.

⁴ И. А. Бодуэн-де-Куртене, Некоторые отделы „сравнительной грамматики“ славянских языков, გვ. 333.

ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად ზოგიერთი საბჭოთა ფონოლოგის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს აკად. ლ. შჩერბა უარყოფდა მორფოლოგიურ კრიტერიუმს ფონოლოგიაში¹.

აკად. ლ. შჩერბა ხშირად მიმართავდა მორფოლოგიურ კრიტერიუმს, რომ ფონემის რთული ბუნება ამ გზით კიდევ უფრო ნათლად გაერკვია. ლ. შჩერბა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომაში „Русские гласные...“ წერდა: „Безусловно самостоятельными гласными фонемами русского языка являются а, е, і, о, u. Что касается ы, то это в значительной мере менее самостоятельная фонема, находящаяся в интимных отношениях с і, которого оно является как-бы оттенком. Происходит это потому, что ы никогда не употребляется в виде отдельного слова, никогда не стоит в начале слова и возможно лишь после „твердых“ согласных, после которых оно заменяет этимологическое і, как, например, [выграх]=в играх, [сываном]=с Иваном; наконец—и это самое главное—морфологически оно в некоторых случаях идентично с і, как, например: вод-ы, душ-и, земли“².

ამის მიხედვით, ნათლად ჩანს, ლ. შჩერბა ამა თუ იმ ბგერის ფონოლოგიური მნიშვნელობის დადგენისას მორფოლოგიურ კრიტერიუმს რა მნიშვნელობას ანიჭებდა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს ყველაზე უმთავრესია“.

მოვიყვანთ კიდევ მეორე დამახასიათებელ ადგილს ლ. შჩერბას შრომიდან „ფრანგული ენის ფონეტიკა“. ამ შრომაში ლ. შჩერბა ფონემისა და მისი ვარიანტების განსხვავების დასადგენად მიმართავს მორფოლოგიურ კრიტერიუმს, სინტაქსურსა და ლექსიკურსაც. ის წერს: „В словообразовании, морфологии и синтаксисе, а также в словаре оттенки не играют никакой роли...“³.

10. ფონემის პრობლემასთან მკიდროდაა დაკავშირებული ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულების საკითხი.

დე-სოსიურმა თავის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ ფონეტიკა ფონოლოგიას დაუპირისპირა. მისი გაგებით, ფონეტიკა ისტორიული მეცნიერებაა, რომელიც უპირისპირდება ფონოლოგიას, როგორც არაისტორიულ დისციპლინას. დე-სოსიური ამ თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ფონეტიკა ანალოზს უკეთებს ფონეტიკურ მოვლენებსა და ბგერათტრანსფორმაციებს, რომლებსაც დროში აქვს ადგილი; ფონოლოგია დროის გარეშეა, ვინაიდან არტიკულაციის მექანიზმი მუდამ ერთგვარი რჩება⁴. დე-სოსიურს აქედან გამოჰყავს დასკვნა, რომ შეუძლებელია ერთმანეთში ავრიოთ ორი სხვადასხვა დისციპლინა და ისინი ერთი ტერმინით გამოვხატოთ.

¹ იხ. ИАН СССР., Отд. лит. и языка, 1953 г., т. XII, вып. 4, გვ. 373—377.

² Л. В. Шерба, Русские гласные..., გვ. 50 (ხაზი ჩვენია ს.—უ.).

³ Л. В. Шерба, Фонетика французского языка, გვ. 19.

⁴ Де-Соссюр, Курс общей лингвистики, გვ. 52.

დე-სოსიურის მიერ ფონეტიკისა და ფონოლოგიის დაპირისპირება საგნებით შეესატყვისება მის კონცეფციაში მოცემული მეტყველებისა და ენის დაპირისპირებას.

ნ. ტრუბეტკოი თავისი „ფონოლოგიის საფუძვლებში“ აღნიშნავს, რომ სიჭიროა ერთის ნაცვლად ორი განსხვავებული ბგერათმეცნიერება შემოვიღოთ, მათგან ერთი შეისწავლის მეტყველების აქტს, მეორე—ენას. ორივე ბგერათმეცნიერებამ, შესაბამისად თავიანთი საგნისა, კვლევის საგნებით განსხვავებული მეთოდები უნდა გამოიყენოს. ბგერათმეცნიერება, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ფიზიკურ მოვლენებთან, უნდა იყენებდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდებს, ხოლო ბგერათმეცნიერება, რომელსაც ენის ბგერებთან აქვს საქმე, ლინგვისტურ ანუ სოციალურ მეცნიერებათა მეთოდებით უნდა სარგებლობდეს. ამის კვალობაზე ნ. ტრუბეტკოი ბგერათმეცნიერებას სამეტყველო ბგერების შესახებ უწოდებს ფონეტიკას, ხოლო ბგერათმეცნიერებას ენის ბგერების შესახებ—ფონოლოგიას¹.

ნ. ტრუბეტკოის ფონეტიკისა და ფონოლოგიის ერთმანეთისაგან მოწყვეტა პრინციპულად და პრაქტიკულად საგნებით შესაძლებლად მიაჩნდა².

როგორია ფონოლოგიის ფუძემდებლის ი. ბოდუენ-დე-კურტენეს, ლ. შჩერბასა და საბჭოთა ფონოლოგების პოზიცია ამ საკითხში?

ფონოლოგია შეუძლებელია მოვწყვიტოთ ფონეტიკას, ისინი წარმოადგენენ ენის ბგერების შემსწავლელ არა ორს, არამედ ერთს დისციპლინას. ი. ბოდუენ-დე-კურტენე აღნიშნავდა, რომ ფონეტიკა შეისწავლის ყველა ფონეტიკურ ფაქტს როგორც ანთროპოფონიკურს, ისე ფსიქოფონეტიკურსაც, ამიტომ ფონეტიკა ორ ნაწილად იყოფა: ანთროპოფონიკურად და ფსიქოფონიკურად.

ლ. შჩერბას არა ერთხელ მკაცრად დაუგმია ფონეტიკისა და ფონოლოგიის გათიშვის ცდა. მისი აზრით, ფონეტიკა და ფონოლოგია ერთმანეთზე გადაწეულია განუყოფლად.

ლ. შჩერბა შრომაში „Очередные проблемы языковедения“ წერს: „რის წინააღმდეგაც ყოველმხრივ უნდა განვაცხადოთ პროტესტი—ესაა ფონოლოგიის ფონეტიკისაგან მოწყვეტა ამ სიტყვის ვიწრო გაგებით“³.

საბჭოთა ენათმეცნიერებმა მ. მატუსევიჩმა, რ. ზინდერმა, გ. ახვლედიანმა, რ. ავანესოვმა, ნ. კუზნეცოვმა, ს. ბერნშტეინმა, არნ. ჩიქობავამ, ა. გვოზდევამ, ა. რეფორმატციმ და სხვებმა პრინციპულ სიმალემდე აიყვანეს ფონოლოგიისა და ფონეტიკის ერთმანეთისაგან მოწყვეტის საკითხი და საგნებით სამართლიანად ისინი ფონეტიკისა და ფონოლოგიის დამოკიდებულებას განიხილავენ მათი მთლიანობის, განუყოფელობის ასპექტში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო შედარება აქვს მოცემული პროფ. გ. ახვლედიანს: „ფონოლოგიის ანუ ფუნქციონალური ფონეტიკის შექმნა

¹ N. S. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie, გვ. 7.

² იქვე, გვ. 17.

³ Л. В. Щерба, Очередные проблемы языковедения, ИАН СССР. Отд. лит.-и яз., 1945, т. IV, вып. 5, გვ. 185.

წარმოადგენს ზოგადი ფონეტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, განვითარებაში ისეთსავე — თუ მეტს არა — მნიშვნელოვან ეტაპს, როგორსაც წარმოადგენდა თავის დროზე ექსპერიმენტული ფონეტიკა¹.

რას ემყარება ფონეტიკისა და ფონოლოგიის განუყოფლობის თეზისი? იმ უდავო ფაქტს, რომ ბგერის ფუნქცია შეუძლებელია მოვწყვიტოთ ბგერის „ბუნებითს მატერიას“, მის ფიზიკურ ბუნებას.

ნ. ტრუბეცკოისა და მის მიმდევართა იდეალიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, უპირისპირებენ რა ფონოლოგიას ფონეტიკას, ამით ბგერის ფუნქციონალურ მხარეს უპირისპირებენ მის ფიზიკურ მხარეს; ფუნქციას წყვეტენ ბგერის „ბუნებით მატერიას“, რომელიც თვით არის ამ ფუნქციის მატარებელი. ნ. ტრუბეცკოისა და მისი თანამოაზრეების მტკიცებით, ფონოლოგია მუნდა შეისწავლოს ის ფუნქცია, რომელიც ვლინდება ფონემათა დაპირისპირებაში, ვინაიდან ყოველი ფონემა მხოლოდ დაპირისპირებათა წევრია და ამდენად წარმოადგენს იგი ფონოლოგიურ ერთეულს.

ცხადია, საბჭოთა ფონოლოგია ფონეტიკისა და ფონოლოგიის ტრუბეცკოისებურ გაგებას ვერ მიიღებს და სავსებით სამართლიანად იქნა იგი დამობილი დისკუსიის მონაწილეთა მიერ.

ფონეტიკისა და ფონოლოგიის ურთიერთობის გასარკვევად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტის გათვალისწინება. დღემდე ცალკეულ ენათა ბგერითი სისტემის შესწავლისას არტიკულაციურსა და აკუსტიკურ მხარესთან ერთად ყურადღება ექცეოდა ფონოლოგიურ დახასიათებასაც, შესაძლებელია არა ისეთი სისრულით, როგორც ეს საჭირო იყო, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ყოველი ენის ფონეტიკის სახელმძღვანელოში ფონოლოგიური მომენტები უთუოდ გათვალისწინებულია; სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ფონეტიკური კვლევა-ძიება. ამის საილუსტრაციოდ კარგ ნიმუშს იძლევა აკად. ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკა“. ლ. შჩერბამ ამ სახელმძღვანელოს „ფონეტიკა“ დაარქვა და არა „ფონოლოგია“, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასში ვრცლადაა მოცემული ფრანგულ ხმოვანთა და თანხმოვანთა ფონოლოგიური განხილვა. ფაქტია ისიც, რომ ლ. შჩერბას „ფრანგული ენის ფონეტიკაში“ ფრანგული ენის ბგერითი სისტემის ფონოლოგიური განხილვა უფრო სრულყოფილადაა მოცემული, ვიდრე ეს სხვა რომელიმე ენის ფონეტიკის სახელმძღვანელოშია. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ არა ფონოლოგია მოვწყვიტოთ ფონეტიკას, არამედ საბჭოური ფონოლოგიის განვითარება წავსწიოთ უფრო წინ და ამით ფონეტიკური მეცნიერების თეორიული დონე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 267.

С. М. Жгенти

Проблема фонемы в советском языкознании

Резюме

Интерес к вопросам фонетики и, в частности, фонологии постепенно возрастает и занимает надлежащее место в советском языкознании. Иллюстрацией этого может служить недавно проведенная дискуссия по вопросам фонологии.

За последние два десятилетия создана большая литература как по советской, так и по зарубежной фонологии. Возникли разные, подчас диаметрально противоположные, направления по вопросу понимания фонемы.

Центральной проблемой фонологии является определение фонемы, проблема ее сущности.

С этой проблемой тесно связаны такие основные вопросы, как вопрос фонемы и ее вариантов, взаимоотношение фонетики и фонологии, фонология и изучение истории языка, связь фонологии и морфологии и т. д.

Приоритет в деле создания теории фонемы принадлежит русской науке. Основоположниками фонологии являются И. Бодуэн-де-Куртенэ и Л. Щерба. Фонологические взгляды Л. Щербы испытали определенную эволюцию.

В своих последних трудах Л. Щерба, отвергнув идеалистическо-психологическую фонетическую концепцию И. Бодуэна-де-Куртенэ и освободив фонологию от неё, переработал фонологическое „рациональное зерно“ Бодуэна и поднял на более высокую ступень эту область науки. Он создал оригинальную теорию о вариантах фонем.

Л. Щерба в своем учебнике „Фонетика французского языка“ дал не только общие взгляды на фонему и фонологию, но на конкретном звуковом материале французского и русского языков показал и применение этих взглядов. В учебнике рассмотрены все материальные признаки французских гласных и их противопоставление по месту образования, лабиализации, назализации, долготе и степени открытости. Здесь же рассмотрена модификация фонем в потоке речи и их варианты (согласных и гласных), чередование звуков и фонологическое значение ударения.

В „Фонетике французского языка“ Л. Щербы даны руководящие принципы для дальнейшего развития советской фонологии.

Разными типами модификации фонемы являются „вариант“ и „вариация“. Эти понятия основываются на противопоставлении фонем, которые проявляются в сильных и слабых позициях.

У С. Шаумяна в статье „Проблема фонемы“ наряду с ошибочными положениями высказаны некоторые интересные соображения, которые, однако, часто противоречат друг другу.

Существенными признаками фонемы считаются не только дифференциальные признаки, как это думают Н. Трубецкой и его последователи, но, вообще, все материальные признаки фонемы.

Согласно фонетическому закону функционального тождества, артикуляционно и акустически разные два звука могут выполнять одну функцию. Например, в мегрельском ჳ и Ⴓ в качестве префикса II объектного лица: ჳ перед гласными, а Ⴓ—перед согласными: გოღუბ—имеешь, но Ⴓ-ჳუნს—жжет тебя.

Возможно и наоборот: артикуляционно и акустически вполне одинаковые звуки выполняют разную функцию, например, в том же мегрельском ჳ представлен как префикс I субъектного лица и I объектного лица перед абруптивами. В первом случае ჳ получен из ჳ: во втором случае из მ, напр. მა ჳ-ჳოთხე—я спросил, но მა-ჳ-ჳოთხე—меня спросил. Префикс того же лица ჳ и მ перед придыхательными дают ფ, напр., ფ-ხატუბჳ рисую, но ფ-თხორუბს ‘хоронит меня’ („закапывает меня“).

Взаимоотношение фонетики и фонологии представляется различно в зависимости от того, из какого понимания фонемы мы исходим: из понимания Де-Соссюра—Трубецкого или из понимания Бодуэна—Щербы.

Взаимоотношение фонетики и фонологии советскими лингвистами вполне справедливо рассматривается в аспекте их единства.

Фонема—историческая категория. Развитие фонемы и ее вариантов основано на внутренних законах развития данного языка. Историей развития языков доказывается, что из тех или иных оттенков развиваются самостоятельные фонемы, и, наоборот, самостоятельные фонемы могут развиваться в оттенки. В языке может исчезнуть фонема и сохраниться факультативно в определенных словах и формах, или же в языке фонема может исчезнуть, но определенные диалекты могут ее сохранить; исторически также возможно ограничить, сузить значение фонемы. Все эти явления иллюстрируются примерами из истории развития картвельских языков.

ივ. სარგვაძე

ანდიური ენის კილოკავები

ანდიური ენა ეკუთვნის დაღესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ჯგუფს. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ჯგუფში, როგორც ეს ცნობილია, სამი ძირითადი ერთეული (ქვე-ჯგუფი) გამოიყოფა (რაც ასახულია ამ ჯგუფის სახელწოდებაში):

1. ხუნძური ენა (დიალექტები: ხუნძახური, ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული, ანწუხური და ჭარული¹);

2. ანდიური ქვეჯგუფის ენაკავები (ანდიური, ბოთლიხური, ლოდო-ბერიული, ახვახური, კარატული, ჭამალური, ბაგვალური, ტინდიური);

3. დიდოური ქვეჯგუფის ენაკავები (დიდოური, ხვარშიული, ჰინუხური, კაპუჭურ-ჰუნზიხური).

ხუნძური ამჟამად სალიტერატურო ენაა (მისი ფუძე-დიალექტია ხუნძახური დიალექტი). ეს ენა ტრადიციულად გამოიყენება, როგორც სატომთაშორისო ენა, ზემოაღნიშნულ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ურთიერთობისათვის; რაკი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებს ამჟამად ერთმანეთისა არ ესმით (ანდიური გაუგებარია ბოთლიხელისათვის და ა. შ.), გაგებინების საშუალებად იყენებენ მესამე ენას, ხუნძურ ენას, რომელსაც სხვანაირად ეწოდება აგრეთვე: ბოლ მაწა („ჯარის ენა“).

საკუთრივ ანდიური ენა ვრცელდება დაღესტნის ასსრ-ის ორ რაიონში: ბოთლიხისა და ვედენოს რაიონებში. ძირითადი ნაწილი ანდიური მოსახლეობისა გვხვდება ბოთლიხის რაიონში, სადაც შემდეგი ანდიური აულებია: ანდი, ლუნხა, ლალათლი, აშალი, რიკუანი, ჩანხო, ზილო, მუნი'ბი¹, ქვანხიდათლი. 1944 წლიდან ანდიური მოსახლეობა კომპაქტური ხდება ვედენოს რაიონის (დაღესტნის ასსრ-ის ერთ-ერთი ახალი რაიონი) ორ აულში: ქვანხიდათლსა და ხუშეთში. პირველში ანდიელები გადმოსახლებული არიან ბოთლიხის რაიონის იმავე სახელწოდების აულიდან (იხ. ზემოთ): ახალშენს ვედენოს რაიონში ფუძე-აულის სახელი დაარქვეს, რაკი მთელი აული აქ გადმოსახლდა (თუმცა შემდეგ რამდენიმე კომლი ისევ უკან გაბრუნდა, — ფუძე-აულში); მეორეში — აულ აშალიდან (იხ. ზემოთ), რომელშიც ანდიური მოსახლეობა ამჟამადაც შემორჩენილია.

ანდიური ფუძე-აულები მდ. ანდიის ყოფსუს ხეობაში არიან განლაგებული. მუნი'ბი¹ და ქვანხიდათლი ზედ მდინარის ნაპირას მდებარეობენ. დანარჩენი აულები სცილდებიან მდინარის ნაპირს და უჭირავთ მთადაგილები.

¹ არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციით.

გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს ძირითად მოსაქმეობასაც: აულ მუნი'ბი'ს მკვიდრთა ძირითად მოსაქმეობას შეადგენს მემინდვრეობა (უმთავრესად მეხილეობა და მებოსტნეობა): ყოაქუს ტაფობი შესაფერ პირობებს ქმნის ხეხილის ბაღებისა და ბოსტნების გაშენებისათვის. ქვანხიდათლის თემი ცნობილია მარილის მოპოვებით, რაც ძველად თურმე ქვანხიდათლელთა ერთადერთ მოსაქმეობას შეადგენდა. ისტორიული ცნობების მიხედვით, ქვანხიდათლელები შეღავათითაც კი სარგებლობდნენ შამილის ლაშქარში გაწვევისას: მათი მოვალეობა იყო მოსახლეობისა და ჯარის მარილით მომარაგება. დანარჩენი აულების ძირითადი მოსაქმეობაა მესაქონლეობა (კერძოდ, მეცხვარეობა). აული ანდი განთქმულია ნაბდის შინაწარმოებითაც...

სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ანდიურის შესახებ პირველი ცნობები მოეპოვება ი. გიულდენშტედს. ესაა ლექსიკური მასალა, ჩაწერილი 1770-73 წ.წ. (Johann Anton G ü l d e n s t ä d t, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, II. St.-Petersburg, 1791). ი. კლაროთმა გამოაქვეყნა რამდენიმე ფრაზა ახსნა-განმარტებითურთ და მოკლე ლექსიკონი (Julius von Klaproth, Kaukasische Sprachen. Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien. Halle und Berlin, 1814). შედარებით უფრო ვრცელია მასალა ერკერტის წიგნში (R. von Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, Wien, 1895).

სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ანდიურ ენას ა. დირმა (А. Д и р р, Краткий грамматический очерк андийского языка с текстами, сборником андийских слов. Тифлис, 1906). ა. დირის ნაშრომი ანდიური ენის შესახებ ემყარება აულ ანდის მეტყველების მასალას (ნაშრომს დართული აქვს — ტექსტების სახით — აულ ლაღათლის მეტყველების ნიმუშებიც).

ა. დირის შემოხსენებული ნაშრომი დღემდის ერთადერთი მონოგრაფიაა, რომელშიც ანდიური ენის სისტემატური ანალიზია მოცემული. ნაშრომს აკლია სისრულე (და ზოგჯერ სიზუსტეც), რასაც თითონ ავტორიც აღნიშნავდა: „...я был принужден оставить невыясненными немало сторон андийск. грамматики; надеюсь, что мне удастся еще раз заняться этим языком“¹.

ანდიური ენის დიალექტური დიფერენციაციის შესახებ ჯერ კიდევ ა. დირი მიუთითებდა, რომ „Как меня уверяли мои помощники, говор каждого из андийских селений имеет некоторые особенности; наречие же аула Муни значительно отстает от общего типа, так что другие андийцы почти не понимают его“².

მართლაც, თითქმის ყოველი ანდიური აულის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ესა თუ ის თავისებურება. ამიტომ ბუნებრივია თუ თითოეული აულის მეტყველებას საგანგებო შესწავლა სჭირდება. ამის გარეშე გაუგებარი შეიძლება დარჩეს არა ერთი მოვლენა ანდიური ენისა (და ზოგჯერ არა მხოლოდ ანდიური

¹ А. Д и р р, Краткий грамматический очерк андийского языка..., 83. VI.

² იქვე, 83. I.

ენისა). ერთი მაგალითი: ხუნძური ენის ტ-ს ადგილას რიგ სიტყვაში ანდიური ენა ლ-ს გამოგვივლენს (მაგალ., შდრ.: ხუნძ. რე-ტ-ელ 'ტანსაცმელი' ანდ. რო-ლ-ალ; ხუნძ. ტორ, ანდ. ლორა 'თავთავი'); ხუნძური ენის სხვა დიალექტების ჩვენებას თუ გავითვალისწინებთ, ანდ. ლ-ს შესატყვისად კა-ც შეიძლება აღმოჩნდეს (კარულ კილოში: რე-კა-ელ 'ტანსაცმელი', კაორ 'თავთავი'). აღნიშნულ შესატყვისობათა საფუძველს გასაგებს ხდის ანდიური ენის კილოკავების ჩვენება: ზოგი ანდიური აულის მეტყველებაში დღემდის დაცულია ის ბგერა, რომლის რეფლექსები ხუნძური ენის დიალექტებსა და ანდიურში იძლევიან ზემოაღნიშნულ შესატყვისობებს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

დიალექტურ თავისებურებათა შესწავლას რომ მნიშვნელობა აქვს ენის ისტორიისათვის, განსაკუთრებით კი, უმწერლობო ენის ისტორიისათვის, ეს ცნობილია და ამაზე ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დალესტნის ენათა სინამდვილეში, როგორც ეს ამ ენათა სპეციალისტებისათვის ცნობილია, დიალექტური დიფერენციაცია შეიძლება დამახასიათებელი იყოს თუნდაც ისეთი ენისათვის, რომლის გავრცელების არე მხოლოდ ორი-სამი აულის ფარგლებით იზღუდება: „ლოკალური გათიშვა—გათიშვა სივრცეში—იწვევდა დროთა განმავლობაში სხვაობის წარმოქმნას ენაში“ (კ. მარქსი)¹.

რა და რა დიალექტური ერთეულები გამოიყოფა ანდიურ ენაში?

თავისებურ მოვლენათა მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი კილოკავი; ცალკე კილოკავს შეადგენს აულები: ანდის, ლუნხას, ლათლის, აშალის, რიკუანის, ჩანხოს და ზილოს მეტყველება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საკუთრივ ანდიური კილოკავი. ამისგან განსხვავებულია მუნი'ბი—ქვანხიდათლის კილოკავი (აულების მუნი'ბი'სა და ქვანხიდათლის მეტყველება)².

ა. დირის ცნობა, რომ აული მუნი'ბი'ს მეტყველება თვალსაჩინოდ განსხვავდება სხვა ანდიური აულების მეტყველებისაგან და რომ ეს სხვაობა ისეთია, რომ სხვა ანდიური აულების წარმომადგენლებისათვის თითქმის გაუგებარია ამ აულის მეტყველება (იხ. ზემოთ), მართებულად შეიძლება მივიჩნიოთ. ოღონდ, ეგვე უნდა ითქვას აულ ქვანხიდათლის მეტყველების შესახებაც: ამ ორი აულის მეტყველება—ძირითად მოვლენათა მიხედვით—საერთო მიმართებაშია სხვა აულების მეტყველებასთან.

მთავარი საკლასიფიკაციო ნიშნები (თავისებურებები), რომლებიც ამ ორ კილოკავს ერთმანეთისაგან გაგვარჩევენებს, თავს იჩენს შემდეგ მოვლენათა მიხედვით: 1. ლატერალური ტ' ბგერა და 2. გრამატიკული კლასები.

¹ „Локальное разобщение—в пространстве—вело с течением времени к появлению различий в языке“ (Архив Маркса и Энгелса, т. IX, стр. 79).

² ვამბობთ: კილოკავი და არა კილო (დიალექტი). ეს კვლითვითაა წინასწარია. თვით ანდიურის, როგორც ცალკე ენის, საკითხიც შეიძლება დადგეს სხვა ანდიურ „ენათა“ და ხუნძურ ენასთან ურთიერთობის რკვევის პრაცესში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხი, კილოკავთა (თუ კილოთა) ორი ჯგუფის გამოყოფა ანდიურისათვის ძალაში დარჩება.

1. **ლატერალური ტ' ანდიური ენის კილოკავებში.** ლატერალურ ტ'-ს, რო-მელიც წარმოადგენს მკვეთრ (აბრუპტივ) ლატერალურ თანხმოვანს, ტ'-ს რბილ (არამაგარ) სახეობას, ანდიურში განარჩევენ აულების მუნი'ბი'სა და ქვან-ხიდათლის მეტყველება. სხვა აულების მეტყველებებისათვის უცხოა ეს ბგერა.

ისტორიულად ტ' ლატერალი გარჩეული უნდა ყოფილიყო ანდიური ენის ყველა კილოკავში, რასაც ადასტურებს ტ'-ს რეფლექსები, რომლებიც განსხვავებულია ცალკეული თქმების მიხედვით:

ლ (აულ ანდის მეტყველებაში),

ლც (აულების: ლაღათლის, რიკუანის, აშალის მეტყველებაში),

ც (აულების: ჩანხოს, ზილოს მეტყველებაში); შდრ.:

| მუნი'ბი'-ქვანხიდათლი | ანდი | ზილი | ლაღათლი ¹ | |
|----------------------|----------|-----------|----------------------|----------------------|
| რე-ტ'ა | რე-ლა | რე ცა | რე-ლცა | 'ხელი' |
| რო-ტ'-ოლი | რო-ლ-ალ | რო-ც-ოლ | რო-ლც-ოლ | 'ტანსაცმელი' |
| ტ'ომ | ლომ | ცომ | ლცომ | 'სახურავი' |
| ტ'ორა | ლორა | ცორა | ლცორა | 'თავთავი' |
| ბე-ტ'ერა | ბე-ლორა | ბე-ცორა | ბე-ლცორა | 'წვრილი' |
| ჰიტ'ა | ჰილა | ჰიცა | ჰილცა | 'ზედ', 'ზემოთ' |
| ბა ტ'-უ | ბა-ლ-იდუ | ბა-ც-ერ-ი | ბა-ლც-იდუ | 'წაკითხვა', 'სწავლა' |

ტ'-ს განვითარების ხაზი ანდიური ენის კილოკავებში ასე წარმოგვიდგება: ტ' → **ლც**: ლატერალური თანხმოვანი დაიშალა შემადგენელ ელემენტებად (ლ ასახავს ტ'-ს ლატერალობას, ც — მკვეთრობის მომენტს); განვითარების შემდგომი საფეხურია **ლც** რთული რეფლექსის გამარტივება: ერთი მხრივ, **ლც** → **ლ**, მეორე მხრივ, **ლც** → **ც**².

ტ' ლატერალური თანხმოვანი უნდა გვექონოდა ხუნძურ ენაშიცა და ანდიური ქვეჯგუფის ყველა იმ ენაში, სადაც იგი ამჟამად არა გვაქვს. ანდიური ქვეჯგუფის სხვა ენებიდან ტ' დაუტყავს ახვახურ³ და კარატულ ენებს. ამავე ქვეჯგუფის დანარჩენ ენებში (ბოთლიხურსა, ლოდობერიულსა, ჰამალურსა, ბაგვალურსა და ტინდიურში) ტ'-ს შესატყვისად იგივე რეფლექსები დასტურდება, რაც საკუთრივ ანდიური ენის თქმებში (სახელდობრ, ც — ბოთლიხურში; ტინდიურსა და კარატული ენის ტოქიტურ კილოკავში — სიტყვის თავში;

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტ'-ს რეფლექსად **ლც** დასტურდება აულ ლაღათლის მხოლოდ ზემო ნაწილში (უბანში). აულის ქვემო ნაწილში ტ'-ს რეფლექსად **ლ** გვაქვს. ასე რომ, თავისებურებას ზოგჯერ ადგილი შეიძლება ჰქონდეს ერთი და იმავე აულის ფარგლებშიც, — უბანთათა მიხედვით.

² შდრ. **ლ'** (ლატერალური სპირანტის) რეფლექსები ხუნძური ენის დიალექტებში: **ლ' > ლჭ** (დაშლა), ხოლო შემდგომ **ლჭ** რთული რეფლექსის გამარტივება **ლ** და ჰ რეფლექსებად (არნ. ჩიქობავას ახსნით).

³ იხ. Л. Жирков, Ахвакские сказки. „Языки Северного Кавказа и Дагестана.. II, М.—Л., 1949. З. Магомедбекова, Основные морфологические категории ахвахского яз. (кандидат. диссертация), 1949.

ლ—ბავალურსა და ლოდობერიულში; ტინდიურსა და ჭამალურში—სიტყვის შიგნით; ლწ—კარატულის ტოქიტურ კილოკავში—სიტყვის შიგნით).

განსხვავებულია ტ'-ს რეფლექსები ხუნძური ენის ხუნძახურ და ჭარულ კილოებში: ხუნძახურში ტ' → ტ (რე-ტ-ელ 'ტანსაცმელი', ტერ-ენ-აბ 'წვრილი', ტორ 'თავთავი', ტად 'ზედ', 'ზემოთ'...), ჭარულში ტ' → კჲ (რე-კჲ-ელ 'ტანსაცმელი', კჲერ-ენ-აბ 'წვრილი', კჲორ 'თავთავი', კჲად 'ზედ' 'ზემოთ'...)¹

2. გრამატიკული კლასები ანდიური ენის კილოკავებში. აულების: ანდის, ლუნხას, ლადათლის, აშალის, რიკუანის, ჩანხოს და ზილოს ჩეტყველებაში, რომელსაც ჩვენ ერთ საერთო კილოკავად გამოვყოფთ, გარჩეულია ხუთი გრამატიკული კლასი: I—„მამაკაცის კლასი“, II—„ქალის კლასი“, III—„ცხოველის კლასი“, IV და V „ნივთთა კლასი“.

კლას-ნიშნები:

| გრამატიკ. კლასები | მხლ. რ. | მრავლ. რ. |
|-------------------|---------|-----------|
| I | ფ | ფ |
| II | ჟ | ჟ |
| III | ბ | ჟ |
| IV | ბ | ბ |
| V | რ | რ |

მუნი'ბ¹-ქვანხიდათლის კილოკავში (აულების მუნი'ბი¹სა და ქვანხიდათლის შეტყველებაში) გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი: I—„მამაკაცის კლასი“, II—„ქალის კლასი“, III—„ნივთთა კლასი“ (=ცხოველები და ნივთები ერთად).

კლას-ნიშნები:

| გრამატიკ. კლასები | მხლ. რ. | მრავლ. რ. |
|-------------------|---------|-----------|
| I | ფ | ფ |
| II | ჟ | ჟ |
| III | ბ | ბ |

მუნი'ბ¹-ქვანხიდათლის კილოკავში ამჟამად არა გვაქვს გრამატიკული კლასის ნიშანი რ., რომელიც სხვა ანდიური აულების შეტყველებაში ნივთთა ერთ-ერთი გრამატიკული კლასის ნიშნად გვევლინება (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, „ცხოველთა კლასი“ აქ დამოუკიდებელი არ არის სხვა კლასებისაგან, იგი გაერთიანებულია „ნივთთა კლასში“, — ბ კლას-ნიშნით (ორსავე რიცხვში).

როგორც ჩანს, გრამატიკული კლასების გარჩევის მხრივ ანდიური ენის კილოკავებში თვალსაჩინო თავისებურებები გვაქვს: ხუთი გრამატიკული კლასის ნაცვლად სამის გარჩევა (resp. ოთხი განსხვავებული კლას-ნიშნის ნაცვლად სამის ქონა).

როგორც ცნობილია, სამი გრამატიკული კლასისა გარჩეული ხუნძურ ენაში (მის ყველა დიალექტში), ანდიური ქვე-ჯგუფის ენებიდან—ბოთლიხურსა,

¹ დაწვრილებით: ილ. ცერ ცვაძე, ერთი ლატერალური თანხმოვანი და მისი შესატყვისი რეფლექსები დაღესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში: აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 7 (1952).

ლოდობერიულსა, ახვანურსა, კარატულსა, ბაგვალურსა და ტინდიურში. ამასთან, ყველა ამ ენაში გამოიყოფა: I—„მამაკაცის კლასი“ (კლას-ნიშანი ვ), II—„ქალის კლასი“ (კლას-ნიშანი ჟ), III—„ნივთთა კლასი“ (კლას-ნიშანი -ზ). მაშასადამე, ანდიური ენის მუნიბ¹-ქვანხიდათლის კილოკავი—გრამატიკული კლასების გარჩევის მხრივ—შორდება თავის მოძმე კილოკავს და მიჰყვება ზემო ხსენებულ ენებს (კლასების იგივე რაოდენობა, იგივე ექსპონენტები).

მაგრამ მუნიბ¹-ქვანხიდათლის კილოკავში კლასები სრაოდენობა და ნიშნები უცვლელია რიცხვის მიხედვით (მრავლობითში კლასების იგივე რაოდენობა და ნიშნებია, რაც—მხოლოდობითში [იხ. ზემოთ: სქემა!]) მაშინ, როდესაც ყველა ზემოხსენებულ ენაში კლასების რაოდენობა მხოლოდობითსა და მრავლობითში თანაბარი არ არის (ბოთლიხურსა, ლოდობერიულსა, ახვანურსა, კარატულსა, ბაგვალურსა და ტინდიურში მრავლობითში გარჩეულია ორი გრამატიკული კლასი, ნაცვლად მხოლოდობითის სამისა; ხუნძურ ენაში მრავლობითი რიცხვი ამჟამად კლასებს სულაც არ განარჩევს).

როგორც ჩანს, მუნიბ-ქვანხიდათლის კილოკავში კლასების რიცხვის შემცირება ორსავე რიცხვში (მხოლოდობითსა და მრავლობითში) ერთსა და იმავე დროს მომხდარა (ერთმანეთს შეუერთდა ნივთის ორი სხვადასხვა კლასი: ბ კლასი და რ-კლასი, უკანასკნელის მოშლის შედეგად).

ორსავე რიცხვში კლასების თანაბარი რაოდენობის გარჩევის შედეგად მუნიბ-ქვანხიდათლის კილოკავში ზმნა რიცხვს არ განარჩევს: ზმნის ერთსა და იმავე ფორმას შეიძლება ჰქონდეს როგორც მხოლოდობითი, ისე მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობა. რიცხვის გარჩევა ეკისრება სათანადო სახელებს, რომლებიც ზმნასთან ერთად იხმარება.

სხვაობა გრამატიკული კლასების გარჩევის მხრივაც (ისევე როგორც ლატერალური ტ-ს გარჩევის მხრივ) ანდიური ენის კილოკავებში, ცხადია, მეორეულია. ოთხივე ის კლას-ნიშანი (ვ, ჟ, ბ, რ), რომლებიც, როგორც მოქმედი ნიშნები, დღემდის დაცულია ანდიურის მხოლოდ ერთ კილოკავში, ისტორიულად გარჩეული უნდა ყოფილიყო ამ ენის ყველა კილოკავში, ამასთან, არა მხოლოდ ამ ენაში, არამედ—როგორც ეს გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში—ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ყველა ენაში¹.

აღნიშნულ თავისებურებათა² მიხედვით, რომლებიც დასტურდება აულების მუნიბ¹ისა და ქვანხიდათლის მეტყველებაში, ამ ორი აულის მეტყველება—ერთად—ცალკე დიალექტურ ერთეულად (კილოკავად) შეიძლება გამოიყოს ანდიურ ენაში: ეს თავისებურებები არ მეორდება არც ერთი სხვა ანდიური აულის მეტყველებაში.

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში: ვენიკის მოამბე, I, 1937; ნ. ანდლულაძე, გრამატიკული კლასების კატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1953.

² არის, რა თქმა უნდა, სხვა თავისებურებებიც, რომელთაც აქ არ გამოვუდგებით. ამჟამად აღენიშნავთ მხოლოდ ისეთ თავისებურებებს, რომლებიც შედარებით უფრო არსებითი ხასიათისაა და, ამავე დროს, საცხებით საკმარისია ანდიურის კილოკავთა კლასიფიკაციისათვის.

მეორე რიგის დიალექტურ თავისებურებებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი თავისებურებები, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ აულის მეტყველებაში—იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ კილოკავს განეკუთვნება სათანადო აულის მეტყველება. ასე, მაგ., ცალკე აულ მუნი'ბი'სა და ცალკე აულ ქვანხიდათლის მეტყველებაში შეიმჩნევა ზოგი ისეთი თავისებური მოვლენაც, რომელიც ამ ორი აულის მეტყველებას ერთმანეთისაგან გაგვარჩევინებს. ასევე, აულ ანდის (ღალათლის და ა. შ.) მეტყველებისათვის ნიშანდობლივია რიგი ისეთი მოვლენა, რაც იმავე კილოკავში შემავალი სხვა აულების მეტყველებისათვის უცხოა (ასეთი მოვლენები შეიძლება დასტურდებოდეს ან მხოლოდ ერთი რომელიმე აულის მეტყველებაში ან ერთსა და იმავე დროს რამდენიმე აულისაში). ამ რიგის მოვლენები გაგვარჩევინებს ცალკეულ თქმებს ანდიურ ენაში.

მუნი'ბი'—ქვანხიდათლის კილოკავი აულების მუნი'ბი'ს და ქვანხიდათლის თქმათა შენაერთია; აულების ანდის (აგრეთვე ღუნხას), ღალათლის, აშალის, რიკუანის, ჩანხოს, ზილოს მეტყველება—თითოეული ცალ-ცალკე—საკუთრივ ანდიური კილოკავის თქმებად შეიძლება გამოიყოს. თქმებისათვის სპეციფიკური მოვლენები განხილული გვექნება სხვა დროს (ცალკეულ მოვლენათა მიხედვით,—ანდიურის გრამატიკულ ანალიზთან დაკავშირებით)¹.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კავკასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1953. IX. 15)

И. И. Церцвадзе

Говоры андийского языка

Резюме

В андийском языке выделяются два говора: собственно-андийский говор (речь аулов: Анди, Гунха, Гагатель, Ашали, Рикюани, Чанко, Зило) и мунибско-кванхидательский говор (речи аулов: Муни^б и Кванхидатель).

¹ ზოგი მათგანის შესახებ იხ. ილ. ცერცვაძე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, 1953.

ი. ბ. გვლიჯიანი

წალკის თარქულანთან მოსახლეთა გვყველანის ზოგი სინჯახური თარქულანის შესახებ

ი. ბ. სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ენათმეცნიერების სხვა მრავალ პრობლემათა შორის ნათელყო სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების საკითხი. მან ადგილობრივი „ტერიტორიული“ დიალექტები გამოყო „კლასობრივი“ დიალექტებისაგან, ე. წ. ჟარგონებისაგან და აღნიშნა, რომ „კლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნებოდა ჟარგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან, მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პირიქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად¹.

როგორც ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, თითოეულ დიალექტს აქვს თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც სალიტერატურო ენის გრამატიკული წყობისა (მორფოლოგია, სინტაქსი) და ძირითადი ლექსიკური ფონდისაგან მეტნაკლებად განსხვავდება. კერძოდ, ქვემოთ ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ერთ-ერთი თურქული დიალექტის ეგრეთ წოდებული წალკის დიალექტის მიმართება, ურთიერთობა სალიტერატურო თურქულ ენასთან.

წალკის დიალექტი თურქული ენის აღმოსავლეთის დიალექტების ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ცნობილია, ამ დიალექტს განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდა განვითარება: ჯერ-ერთი, რომ იგი წარმოადგენს სამხრეთ-საქართველოდან წამოსული ტომის თურქულ მეტყველებას². ამდენად სუბსტრატი ენის კვალი მის სტრუქტურას, უდაოდ, აჩნია.

¹ ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950 წ., გვ. 41.

² ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში. ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, 1942 წ. А. И. Робакидзе, К вопросу о некоторых пережитках культа рыбы. Советская этнография, № 3, 1948 г.

მეორეც, თურქულენოვანი მოსახლეობის წალკაში (საქართველოს ტერიტორიაზე) დამკვიდრების შემდეგ მათი მეტყველებაც არ შეიძლება ინდიფერენტული დარჩენილიყო იმ გარემოსამდის, რომელშიც მათ უხდებოდა ცხოვრება. აზერბაიჯანულმა, რუსულმა და ქართულმა ენებმა, უდაოდ, დიდი გავლენა იქონიეს ამ მეტყველების ჩამოყალიბებაზე.

წალკის დიალექტი ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ მიერ წინა წლებშია დამუშავებული. ამჯერად შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ამ მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი სინტაქსური თავისებურებანი.

გამოკვლევა აგებულია იმ მასალის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ჩვენ მიერ იქნა ჩაწერილი წალკის რაიონში 1946-48 წლებში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს.

წინამდებარე ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1. სიტყვათა წყობა მარტივ წინადადებაში, 2. რთული ქვეწყობილი წინადადების გადმომცემი საშუალებანი.

სიწყვათა წყობა მარტივ წინადადებაში

წინადადებები თავისი შედგენილობით ორ ტიპად განიყოფებიან: მარტივი წინადადებები და რთული. წალკის დიალექტში მარტივი წინადადების სტრუქტურა საკმაოდ სახეცვლილია. საერთოდ ცნობილია, რომ თურქული სისტემის ენების ძირითად დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს შემდეგი: ყველაფერი გრამატიკულად დაქვემდებარებული წინ უსწრებს იმას, რაზედაც იგია დამოკიდებული, ე. ი. მსაზღვრელი მოთავსებულია საზღვრულის წინ, დამატება იმის წინაა, რასაც იგი ემატება, ე. ი. შემასმენელს უსწრებს წინ¹.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თურქული ენის სინტაქსისათვის დამახასიათებელი ეს ძირითადი წესი წალკურში სავსებით დარღვეულია. იქ მსაზღვრელს თავისი განკუთვნილი ადგილი არა აქვს. განსაკუთრებით ეს შეინიშნება მესამე სახის იზაფეთურ კონსტრუქციაში. ზოგ შემთხვევაში მსაზღვრელი საზღვრულის წინაა, ე. ი. თურქული სინტაქსისათვის დამახასიათებელი ნორმალური წყობაა დაცული, მრავალ შემთხვევაში კი მესამე იზაფეთურ კონსტრუქციაში ჯერ საზღვრულია, შემდეგ მსაზღვრელი. აღსანიშნია ის გარემოება, რომ მესამე სახის იზაფეთისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური მაჩვენებლები შემორჩენილია, წყობა კი დარღვეულია. მაგ.:

1. ლ'ალხიჯერ ბირისი ოღლანენ 'დგება ერთ-ერთი ვაჟთაგანი'
შდ'რ. სალიტ. თურქულს: Oğlanın birisi kalkıyor.
2. ლ'არაყოლლარი ფადიშაღენ გეთფილზრ ხნბზრ 'ფადიშახის მცველები წავიდნენ ამბის შესატყობინებლად'

¹ А. Н. Кононов, Грамматика турецкого языка, 1941 წ., გვ. 207; Н. К. Дмитриев, Строй турецкого языка, Ленинград, 1939 წ.

სალიტ. თურქულში გვაქვს: *Padîşahın karakolları haber vermeye gittiler.*

3. ჯანგნი ალაჯახ ოღლანგნ ვე დუჟანგ გუზნლინ 'სულს ამოხდის ვაჟსა და მზეთუნახავს'

შდრ.: სალიტ. თურქულს: *Ođlan ve dũnya gũzelinin canını alacak.*

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თურქული ენის სინტაქსისათვის დამახასიათებელია დამატებების მოთავსება შემასმენლის წინ. წალკის დიალექტში არც ეს წესია დაცული; შემასმენელი თხრობით წინადადებაში დამატებას უსწრებს წინ. მაგ.,

1. ქექი ჩქტიხთიან სორა გვთირდილზრ ბირ ღ'ახ 'ქეიფის შემდეგ მოიტანეს ერთი ბატი'

სალიტ. თურქულში გვექნებოდა: *Ziyafet çektikten sonra bir kaz getirdiler.*

2. ისთირამ ღ'ალმახ ბუ გეჯზ სიზღ 'ამ ღამეს თქვენთან დარჩენა მინდა'

შდრ. სალიტ. თურქულს: *Bu gece sizde kalmak istiyorum.*

წალკის დიალექტში რიგ შემთხვევებში შემასმენელი წინადადების დასაწყისშია მოქცეული, ქვემდებარე კი — ბოლოს. თურქული ენის სინტაქსისათვის ესეც ანომალიას წარმოადგენს. მაგ.,

1. ბოჯუღდუღლზრ ო ღ'არდაშლარ 'ის ძმები გაიზარდნენ'

სალიტ. თურქულში გვექნება: *O kardeşler büyüdüler.*

2. არხასგნდან დუშიაჟერ უშახ 'მას ზურგიდან ბავშვი უვარდება'

შეადარე სალიტ. თურქულს: *Arkasından çocuk düşüyor.*

სიტყვათა წყობის ასეთ დარღვევას მართო წალკის დიალექტში არა ვხვდებით. ამ მოვლენას ადგილი აქვს აღმოსავლეთ-ანატოლიის სხვა კილოებშიც, მაგრამ იქ ისეთი სისტემატური ხასიათის არ არის, როგორც წალკურში¹.

სიტყვათა წყობის დარღვევა წინადადებაში ახასიათებს აზერბაიჯანულ დიალექტებსაც².

თურქული სისტემის ენებისა და თვით ანატოლიის თურქულის სინტაქსისათვის უშემასმენლო წინადადებები დამახასიათებელი არ არის. თურქულ წინადადებაში აუცილებელია ბოლოში ზმნური ფორმის ან შემასმენლობითი აფიქსის არსებობა. წალკის დიალექტში არც ეს წესია დაცული. გვაქვს რიგი შემთხვევებისა, სადაც წინადადების ბოლოში მოსალოდნელი შემასმენლობითი აფიქსი არაა წარმოდგენილი. მაგ.,

1. სწინ ღ'არგნ ჯინ, ფერი 'შენი ცოლი ეშმაკია, ავისულია'

შდრ. სალიტ. თურქულს: *Senin karın cin, peridir.*

2. ორადა შენნიქ ვარ, ამა ღარანუხ 'იქ ხალხის არის, მაგრამ სიბნელეა'

აქაც წინადადებას სისრულე აკლია. უნდა იყოს: *Orada halk var, amma karanlıktır.*

¹ A. Caferođlu, *Dođu illerimiz ađızlarından toplamalar*, სტამბოლი, 1942 წ.

² M. A. Ширәлиев, *Бақы диалекти*, ბაქო, 1949 წ.

როგორც ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან ვნახეთ, წალკის დიალექტში თურქული ენის სინტაქსისათვის დამახასიათებელი ელემენტარული წესები დარღვეულია. მაგრამ ამ მოვლენებს თავისი გამართლებაც აქვს. როგორც სუბსტრატ ენას, ისე ენათა იმ გარემოცვას (რუსული, ქართული, აზერბაიჯანული), რომელშიც წალკის დიალექტი ვითარდებოდა, არ შეიძლება თავისებური დალი არ დაესვა, გავლენა არ მოეხდინა ამ მეტყველების სინტაქსზე.

ქვეყნობილი წინადადების გადმოცემის საშუალება

ნაწრომის ამ ნაწილში ჩვენ არ ვიმსჯელებთ რთული—ქვეყნობილი წინადადების გადმოცემის ყველა იმ საშუალებებზე, რომელიც სალიტერატურო თურქულში გვხვდება და წარმოადგენს საერთოს წალკის დიალექტისათვისაც. აქ განვიხილავთ რთული ქვეყნობილი წინადადების ისეთ ფორმებსა და წყობას, რომლითაც ხასიათდება წალკის თურქულენოვან მოსახლეთა მეტყველება. ცვლილებანი უმთავრესად ვლინდება დამატებითსა და დროის დამოკიდებული წინადადებების წარმოებისას. ქვეყნობილი წინადადების ორივე ტიპი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება სალიტერატურო თურქულში ორი საშუალებით იწარმოება: 1. ე. წ. საკუთრივ თურქული წარმოება, რომელიც მოიცავს —dik- || (y)acak ფორმებს, -ma შეკვეცილ ინფინიტივს, -maklik გავრცობილ ინფინიტივს და -(y)iş ნაზმნარ სახელს. 2. სპარსული ki კავშირი. უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო თურქულისათვის პირველი საშუალება უფრო დამახასიათებელია. აღმოსავლეთ-ანატოლიის დიალექტებში კი ki კავშირით ნაწარმოებ ფორმათა ხვედრითი წონა სკარბობს¹. ზემოთ ჩამოთვლილი -dik || (y)acak, -ma, maklik, -(y)iş ფორმებით დამატებით დამოკიდებული წინადადების წარმოებისას, როგორც წესი, მთავარი წინადადება მოთავსებულია ბოლოში, დამოკიდებული მის წინაა. სპარსული ki კავშირით წარმოების დროს კი პირიქით—მთავარი წინადადება რთული წინადადების დასაწყისშია, დამოკიდებული კი მას მოსდევს, რაც ეწინააღმდეგება თურქული სინტაქსის ნორმას.

დამატებითი დამოკიდებული წინადადების წარმოების თვალსაზრისით წალკის დიალექტის მასალები საინტერესო მდგომარეობას გვიჩვენებს. აქ დამატებით დამოკიდებული წინადადების გადმოცემის რამდენიმე საშუალება შეიძლება გამოვყოთ: 1. დამატებითი დამოკიდებული წინადადება ნაწარმოებია თურქული —dik ფორმით, მაგრამ თურქულისათვის დამახასიათებელი რთული წინადადების წყობა დარღვეულია: მთავარი წინადადება დასაწყისშია, დამოკიდებული ბოლოში, ამასთანავე -dik ფორმა ერთვის არა დამატებითი დამოკიდებული წინადადების ზმნის ფუძეს, როგორც ამას მოითხოვს სალიტერატურო თურქულის სინტაქსური ნორმა, არამედ თურქული სინტაქსის დაკანონებული წესის საწინააღმდეგოდ, -dik ფორმა ერთვის მთავარი წინადადების ზმნის ფუძეს. მაგ.,

¹ A. Caferoğlu, Doğu illermiz ağızlarından toplamalar, სტამბოლი, 1942 წ.

1. დუადულუმა ბუ ახხენდა სნინ უსთნ ღ'ალხიფერ ბრჟუქ ფათიშახ-
ლარ 'გავიგე, რომ ამ მოკლე ხანში შენზე თავდასხმას აპირებენ დი-
დი ხელმწიფეები'

მღრ. სალიტ. თურქულს: Bu yakında senin üstüne büyük padişahların
kalktığını duydum.

2. დუადულუმა სნინ ბირ ოდლუნ ვარ 'გავიგე, რომ შენ ერთი ვაჟი
გყავს'

სალიტ. თურქ. გვექნებოდა: Senin bir oğlunuu olduğunu duydum.

ზემოთ მოყვანილი წინადადებიდან ჩვენთვის საყურადღებოა დუადულ-
დულუმა ფორმა. სინტაქსურად იგი დამატებას არ წარმოადგენს, როგორც წე-
სით უნდა გვქონოდა, -dik ფორმა დართული წინადადების წევრი ამ შემთხვე-
ვაში დამატება უნდა ყოფილიყო. განხილულ წინადადებაში კი იგი მთავარი
წინადადების შემასმენელია, მაგრამ მიუხედავად ამისა -dik-ითაა გაფორმებუ-
ლი. დუა—ზმნის ფუძეა, -დულ < duk < dik ნაზნარი სახელი, -უმ კუთვნილე-
ბითი აფიქსია, რომელიც დამოკიდებულ წინადადებაში ქვემდებარეზე მიუთი-
თებს. მთავარი წინადადების შემასმენელი კი კუთვნილებითი აფიქსით არ
აღინიშნება და ამდენად აქ მისი არსებობა ზედმეტია, ისევე, როგორც თვით
ზმნის ფუძეზე დართული -დულ < dik-ისა. მიცემითი ბრუნვის ნიშნის დართვა
-dik ფორმაზე ჩვენ ხელთარსებული მასალების საფუძველზე ჯერჯერობით გა-
ურკვეველია. თუ დაეუშვებთ იმას, რომ დუადულუმა სიტყვას მოსდევდა გრ-
რს 'ჩემი გაგების მიხედვით' თურქული სინტაქსის თვალსაზრისით უკვე დამა-
ტებით წინადადებად აღარ წარმოგვიდგებოდა; მაგრამ თანდებულის დაკარ-
გვის შემთხვევები, კერძოდ güre თანდებულისა, ენას არც თუ ბევრი ახსოვს.
ამდენად ეს მოსაზრება ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება. ზემოთ განხილუ-
ლი დამატებითი დამოკიდებული წინადადების ტიპი თურქული დიალექტების
სინტაქსისათვის უცხო და ორიგინალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. 2. წალ-
კის დიალექტში დამატებითი დამოკიდებული წინადადების მეორე სახეც შეიძ-
ლება გამოვყოთ. მაგ.,

1. ელ აჯგდი ქი დუდი ღ'უმუნი ქსსოღღენა 'ძალიან შეწუხდა იმაზე,
რომ თუთიყუში მოკლა'

მღრ. სალიტ. თურქულს: Tutukuşunu kestiğine acıdı.

2. შენნიქ ღ'ანამადი ქი აქედპირი ვურდულუნა 'ხალხმა არ დაიჯერა, რომ
მან გველენაში მოკლა,

მღრ. სალიტ. თურქულს: Halk ejderhayı vurduğuna inanmadı.

განხილულ ნიმუშებში დამატებითი დამოკიდებული წინადადებების წარ-
მოგების ორივე საშუალებაა გამოყენებული, რაც თურქული სისტემის ენათა
სინტაქსურ წესებს ეწინააღმდეგება; რადგანაც წინადადებაში ნახმარია სპარსუ-
ლი ki კავშირი, ამიტომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი —dik-ით
არ უნდა იყოს გაფორმებული. თუ დამატებითი დამოკიდებული წინადადებ-
ების შემასმენელი დაირთავს — dik || (y)acak ფორმებს, მაშინ რთული წინადა-

დების წევრთა წყობაც ნორმალური უნდა ყოფილიყო: ქ ა ს ო გ ღ ჯ ნ ა, ვ უ რ დ უ ლ უ ნ ა ფორმები მოთავსებული უნდა ყოფილიყო რთული წინადადების ბოლოში კი არა, დასაწყისში და სპარსული ki კავშირიც საქირო აღარ იყო. განხილულ წინადადებებში საქმე უნდა გვექონდეს დამატებითი დამოკიდებული წინადადებების მაწარმოებელ საშუალებათა კონტამინაციასთან. კონტამინაციის შედეგად წარმოქმნილი ქვეწყობილი წინადადების ტიპი წალკის თურქულენოვან მოსახლეთა მეტყველებაში დამატებითი დამოკიდებული წინადადების საკმაოდ გავრცობილ სახეობას წარმოადგენს.

3. როდესაც მარტივ წინადადებაში სიტყვათა წყობაზე გვექონდა მსჯელობა, აღვნიშნეთ წალკის დიალექტსა და სპორადულად აღმოსავლეთ-ანატოლიის სხვა დიალექტებშიც სიტყვათა ტრადიციული წყობის დარღვევის შემთხვევები. წალკის დიალექტში სიტყვათა წყობა ირღვევა რთულ წინადადებაშიც; კერძოდ, როდესაც დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში—dik ფორმა გამოყენებული, სალიტერატურო თურქული ენის სინტაქსური ნორმის მიხედვით ჯერ დამოკიდებული წინადადება უნდა იყოს, შემდეგ—მთავარი. წალკის დიალექტში პირიქით ხდება: რთული წინადადების დასაწყისში მთავარი წინადადება მოქცეული, დამოკიდებული—ბოლოსაა. მაგ.,

1. ო ზამან ვენიამინ ინანდი ფოსიფ ღ'არდაში ოლდულუნა 'მაშინ ვენიამინმა დაიჯერა, რომ ის მისი ძმა იოსები იყო'

შდ"რ. სალიტ. თურქულს: O zaman Veniyamin onun kardeşi Yosif olduğuna inandı.

2. ს'ზღირმიფერ ღ'არდაშლარგენა ფოსიფ ოლდულუნა 'არ აგრძნობინებს ძმებს, რომ ის იოსებია'

სალიტ. თურქულში გვექნება: Kardeşlerine onun Yosif olduğunu sezdirmiyor.

როგორც ვნახეთ, ამ ნიმუშებში—dik ფორმა დართული დამატებითი წინადადების შემასმენელი ყოველთვის ბოლოშია, მთავარი წინადადება—კი თავში, ისევე, როგორც ესა გვაქვს ხოლმე მარტივ წინადადებებში: შემასმენელი დამატებას უსწრებს ხოლმე წინ.

წალკის დიალექტში სპარსული ki კავშირი მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელთან ერთად გვაძლევს დროის დამოკიდებულ წინადადებას შემდეგი შინაარსით „მაშინ... როდესაც“. რთული წინადადების წყობა ამ შემთხვევაში თურქული ენის სინტაქსის ნორმებს არ ეწინააღმდეგება: მთავარი წინადადება ბოლოსაა, მის წინ მოქცეულია დროის დამოკიდებული წინადადება. მაგ.,

1. ო ქი უშახ სანდუხთან ჩეხტი, ბაბასი დედი 'როდესაც ის ბავშვი ყუთიდან ამოვიდა, მამამისმა თქვა'

ასეთი ტიპის წინადადებები სალიტერატურო თურქულში აბსოლუტივებით ან —dik || (-y)acak ფორმებით იწარმოებიან: Bu çocuk sandıktan çıktı-ğı zaman (çıkarken) babası dedi.

2. ღ'იზ ო ქი გიდიფერ ჰამამა, მოლლა ონა დიფერ 'როდესაც გოგონა აბანოში მიდიოდა, მოლამ მას უთხრა'

მღრ. სალიტ. ფორმას: *Kız hamama gittiği zaman molla ona diyor.*

წალკურ „ო ქი“ კომბინაციაში, რომელიც გადმოსცემს შინაარსს „მინა..., როდესაც“, მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელ ო-ს (O 'ის'), საფიქრებელია, დროის აღნიშვნის ფუნქციაც აკისრია. ამ შემთხვევაში იგი გადმოსცემს დაშორებულობას არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. ის—აქ, ახლოს მყოფი კი არა, არამედ იქ, სადღაც, შორს მყოფი საგანი და აგრეთვე დაშორებული დრო „მაშინ“. ცნობილია, ადგილის ზმნის ზედა, რომელიც მესამე პირის ჩვენებითი O ნაცვალსახელიდან იწარმოება, დროსაც გადმოსცემს ხოლმე¹.

დროის დამოკიდებულ წინადადებას ასეთივე შინაარსით გამოხატავს აგრეთვე შემდეგი კომბინაცია: მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი ო, სპარსული ქი კავშირი + ნებისმიერი ზნა და ისე (ise) ფორმა. მაგ.,

1. ოღლან ო ქი ღ'უჲუდა უჲანდი ისე, ო ჲანა ბახთი, ბუ ჲანა ბახთი
'როდესაც ვაჟმა ქაში გაიღვიძა, იქით გაიხედა, აქეთ გამოიხედა'.

მღრ. სალიტ. თურქულს: *Oğlan kuyuda uyandı; zaman o yana baktı, bu yana baktı.*

2. ო ქი გეთთილზრ ისე ჲოღდა ოღლან ღ'ალდი ღურგუნნარდან გერი
'როდესაც ისინი წავიდნენ, ვაჟი გზაში ურმებს ჩამორჩა'

მღრ. სალიტ. ფორმას: *Onlar gittikleri zaman oğlan yolda arabadan geri kaldı.*

წალკის დიალექტში გვაქვს რიგი შემთხვევებისა, როდესაც ზმნის ნამყო—კატეგორიულ დროსთან ისე ფორმა გადმოსცემს დროის დამოკიდებულ წინადადებას შინაარსით „როგორც კი...“, მაშინათვე“. მაგ.,

1. ამა, დედი, ბან „ჲანდიმ“ დედიმ ისე, ჩქინ ჩხზარდგნ 'მაგრამ, თქვა, მე როგორც კი დავიძახებ „დავიწვი“, მაშინათვე ამომწიეთ, ამომიყვანეთ'

სალიტ. თურქულში შემდეგნაირად გადმოიცემა: *Amma, dedi, ben „yandım“ dediğim gibi çekin, çıkarın.*

2. სორა გორდი ისე ჲანაჲარგნ ჲანდბგი გბზრმიშ ოღლანა დედი
'შემდეგ როგორც კი დაინახა მოკლული მგელი, ვაჟს უთხრა'

მღრ. სალიტ. თურქულს: *Sonra vurulmuş canavarı gördüğün gibi oğlanı dedi.*

როგორც ზემოთ ითქვა, სალიტერატურო თურქული ენა აღნიშნული შინაარსის დროის დამოკიდებული წინადადების წარმოებას ზმნის ნამყო—კატეგორიული დროისა და ise ფორმის საშუალებით არ იცნობს. ამ ფორმას ვერა ვხვდებით აგრეთვე აღმოსავლეთ-ანატოლიის სხვა დიალექტებში და ვერც აზერ-

¹ იხ. პროფ. ნ. კ. დმიტრიევის გამოკვლევა „Наречия места в турецком языке“. მოთავსებულია კრებულში „Памяти Льва Владимировича Щербы“, ლენინგრადი, 1952 წ., გვ. 162.

ბაიჯანულში. ისე, რომ იგი წალკის დიალექტის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ. ამავე შინაარსს წალკურში გადმოსცემს აგრეთვე შემდეგი საშუალება: ზმნის ფუძეს ერთვის —dik> -დულ, -დგლ, -თულ, თვლ ფორმები და თანდებული -ile> -ნან, ნან. მაგ.,

1. აღდი ფათიშახ ბეჩალი, ქსთვლიძანან ღ'გზღლარ თრქულდი 'აილო ხელმწიფემ დანა, როგორც კი გასჭრა, მაშინათვე ოქროები გადმოცვივდა'

შდ'რ. სალიტ. თურქულს: *Pađıřah bıçađı aldı, kestiđi gibi kızzılar döküldü.*

2. სანან ვურდულიძანან დამ ქასილისან 'როგორც კი შენ დაგარტყამს, მაშინათვე ქვად იქცევი'

სალიტ. თურქულში გვექნება: *Sana vurdüđü gibi taş kesilirsin.*

ანალოგიურ წარმოებას აღნიშნავს პროფ. ე. დენი ხალხურ მეტყველებაში (არაა მითითებული ეს ფორმა რომელ დიალექტში გვხვდება)¹.

„...но его утешало то, что он сам нарочно этого захотел и сделал — так не так, как ему советовали“ (Ночь перед Рождеством).

Соотносительное слово „не так“ конкретизируется путем сопоставления. Выступая в функции обстоятельства образа действия, словосочетание „не так“ становится ясным благодаря его сопоставлению с обстоятельственным придаточным предложением, отражающим как бы известные факты.

Прошедшее совершенное главного предложения сопоставляется с прошедшим несовершенным придаточного, на фоне которого совершилось первое действие.

Аналогично же путем сопоставления конкретизируется и соотносительное слово „так“:

„Пусть будет все так, как ты сказал...“ (прямая речь) (Страшная месть).

„И то все так сбылось, как было сказано (прямая речь) (Страшная месть).

„Не забудете говорить так, как я вас учил?“ (прямая речь) (Ночь перед Рождеством).

„Так, все так, как было ему говорено“ (Пропавшая грамота).

В этих предложениях сопоставляются факты, которые имели место в различное время, но выражены они как различными формами глаголов-сказуемых, так и (во втором предложении) одной и той же видо-временной формой.

Препозиция придаточного образа действия с союзом „как“ встречается редко:

„...и, как всегда водится, начали прихваливать мастерицу-хозяйку“ (Предисловие).

Чаще, чем союз „как“, для присоединения придаточных образа действия использует Гоголь союзное сочетание „как будто“, обозначающее сравнение, но соответствующее действительности или предположительное.

¹ И. А. Попова, „Сложно-сочиненное предложение в современном русском языке“, Вопросы синтаксиса современного русского языка, Учпедгиз, М, 1950г., стр. 395.

„Ведь я знаю, что каждая дрожит под одеялом, как будто бьет ее лихорадка, и рада бы с головой влезть в тулуп свой“ (Пропавшая грамота).

Глагольная форма настоящего времени употреблена здесь со значением обычного действия.

„Глаза его выпятились, как будто какой-нибудь выходец с того света только что сделал ему перед сим визит свой“ (Сорочинская ярмарка).

„Об возне своей с чертями дед и думать позабыл, и если случалось, что кто-нибудь и напоминал об этом, то дед молчал, как будто не до него и дело шло...“ (Пропавшая грамота).

В приведенных примерах в определяемом и определяющем предложении видо-временные формы глаголов-сказуемых совпадают.

Есть примеры, где видо-временные формы не совпадают:

„...чтоб мне поперхнулось за акафистом великомученице Варваре, если не чудится, что вот-вот сам все это делаешь, как будто залез в прадедовскую душу, или прадедовская душа шалит в тебе...“ (Пропавшая грамота).

Как исключение в одном случае придаточное с этим словосочетанием препозитивно:

„Как будто сердце у меня знало, прихожу к столику — тетрадки и половины нет!“ (Иван Федорович Шпонька).

Оттенок предположительности сходства еще больше усиливается наличием частицы „бы“ в составе союза:

„Зачем бежал ты во весь дух, как будто бы сам сатана за тобою по пятам гнался?“ (прямая речь) (Сорочинская ярмарка).

„Вакула уставил на него глаза, как будто бы на лбу его написано было изъяснение этих слов“ (Ночь перед Рождеством).

„...говорил он, подступая к нему и размахивая руками, как будто бы кто-нибудь его не допускал, или он продирался сквозь толпу (Иван Федорович Шпонька).

Одновременность описываемых фактов подчеркивается наличием глаголов сказуемых в одной и той же видо-временной форме.

Встречается употребление глаголов-сказуемых и различных видов:

„Потихоньку побежал он, поднявши заступ вверх, как будто бы хотел им попочевать кабана, затесавшегося на баштан...“ (Заколдованное место).

В обеих частях сложного предложения глаголы-сказуемые могут отличаться не только видом, но и временем:

„В них (постоялых дворах—Т. М.) обыкновенно с большим усердием потчевают путешественника сеном и овсом, как будто бы он был почтовая лошадь“ (Иван Федорович Шпонька).

В главном настоящее время указывает на постоянное, обычное действие, с которым не сочетается прошедшее время придаточного предложения. В последнем сравнение относится лишь к прошлому. Такое несоответствие видо-временных форм в этом контексте присуще разговорной речи. (Правильнее было бы: „как будто бы он почтовая лошадь“).

При сказуемом главного предложения может быть соотносительное слово, поясняемое придаточным предложением:

„Но ведь так закричал, как будто давят его!“ (прямая речь) (Сорочинская ярмарка).

Односоставное предложение в форме настоящего времени обозначает предположительное, нереальное действие, которое должно было протекать одновременно с определяемым действием, выраженным прошедшим временем совершенного вида. Такое соотношение оживляет речь, делает ее более жизненной, реальной.

„Я замечаю, что у него ноги не постоят на месте: так, как будто их что-нибудь дергает“ (Заколдованное место).

Соотносительное слово здесь интонационно выделяется, подчеркивается; это объясняется тем, что оно является единственным членом определяемой части. Исходя из семантики контекста, надо предположить, что здесь опущено не только подлежащее „ноги“, но и сказуемое „прыгают, двигаются“, которое путем сравнения поясняется в придаточном.

„Страшно протянул он руки вверх, как будто хотел достать месяца, и закричал так, как будто кто-нибудь стал пилить его желтые кости...“ (Страшная месьть).

Здесь два однородных придаточных образа действия, присоединяемые одними и теми же морфологическими средствами. Оттенок предположительного сравнения вносится союзами.

Такой же оттенок недоверности, предположительности сравнения может быть выражен и союзом „будто“:

„...губы бледно алеют, будто сквозь белопрозрачное утреннее небо льется едва приметный алый свет зари (Страшная месьть).

Настоящее время подчеркивает постоянство признаков.

Для присоединения придаточных образа действия использует Гоголь союз „что“, который придает речи народный колорит.

„...моя Катерина так делает галушки, что и гетману редко достается есть такие“ (прямая речь) (Страшная месьть).

Придаточное с союзом „что“ имеет оттенок сопоставления.

Но, в основном, у Гоголя союз „что“ связывает придаточные образа

действия с оттенком следствия, при наличии в главном соотносительного слова „так“.

Особенно часты эти конструкции в повести „Пропавшая грамота“ (8 случаев использования из общего количества 16, встречающихся в „Вечерах“), рассказанной от имени дьячка Фомы Григорьевича, приятеля Рудого Панько, издателя „Вечеров“:

...голова скатилась, и крепкий сон схватил его так, что он повалился словно убитый“ (Пропавшая грамота).

...и толкнул его в темную комору так, что бедный пленник застоялся, упавши на пол...“ (Майская ночь).

...и захрапел так, что воробьи, которые забрались было на бантан, поподымались с перенугу на воздух“ (Заколдованное место).

...в слуховое окно выставилось свиное рыло и хрюкнуло так, что у него мороз подрал по коже“ (Сорочинская ярмарка).

...а накормит так, что будете рассказывать и встречному и поперечному“ (Предисловие).

„В праздник отхватывает Апостола, бывало, так, что теперь и попovich иной спрячется“ (Пропавшая грамота).

Форма будущего времени благодаря частице „бывало“ приобретает значение обычности, повторяемости действия в прошлом. Осуществление повторяемости в прошлом здесь представлено в его результате, в его следствии.

Во всех приведенных случаях глаголы-сказуемые обеих частей сложного целого имеют одну и ту же форму вида и времени.

В зависимости от объективной необходимости интонация, мелодика могут выражать различные логико-семантические значения. Например, пауза после слова „так“ в приведенных конструкциях указывает, что следующее предложение определяет обстоятельство образа действия главного предложения, путем указания на следствие проявления признака действия. Это дает возможность яснее представить и сам признак действия. Соотносительное слова „так“ указывает на способ действия, но ввиду его неконкретности появляется необходимость в наличии разъясняющего его придаточного предложения образа действия.

При наличии же паузы перед словом „так“ устанавливаются иные логико-семантические взаимоотношения между предложениями: нет указания на образ действия и определяется уже не только глагол главного предложения, а все главное предложение в целом. Придаточное получает большую самостоятельность. Такие придаточные с нерасчлененной союзной группой „так что“ в русской грамматической литературе относят к придаточным следствия.

Кроме совершенного вида, в конструкциях с придаточным образа действия с оттенком следствия могут встречаться сказуемые и в форме несовершенного вида:

„Из закоптевшей трубы столбом валился дым и, поднявшись высоко, так, что посмотреть — шапка валилась, рассыпался горячими угольями по всей степи, и чорт, нечего бы вспоминать его, собачьего сына, так всхлипывал жалобно в своей конуре, что испуганные гайвороны стаями подымались из ближнего дубового леса и с диким криком метались по небу“ (Вечер накануне Ивана Купала).

„И взводом он так командовал, что ротный командир всегда ставил его в образец“ (Иван Федорович Шпонька).

В одном случае глагол-сказуемое главного предложения имеет форму прошедшего времени совершенного вида, а придаточное — настоящего времени, обозначающего следствие, протекающее и в момент речи:

„Сделал же бог так, что чорт не боится козачьих лап!“ (Страшная месьть)

Есть случаи, когда в главном предложении сказуемое выражено глаголом будущего времени совершенного вида, а в придаточном — настоящим временем, которое, по существу, обозначает факты относящиеся к тому же времени, что и главное предложение:

„А чорт улетел снова в трубу, в твердой уверенности, что чуб возвратится вместе с кумом назад, застанет кузнеца и отпотчевает его так, что он долго будет не в силах взять в руки кисть и малевать обидные карикатуры“ (Ночь перед Рождеством).

„Бывало, иногда, если упросишь его рассказать что сызнова, то, смотри, что-нибудь да вкинет новое или переиначит так, что узнать нельзя“ (Вечер накануне Ивана Купала).

Иногда придаточные этого типа относятся и поясняют деепричастия, как несовершенного, так и совершенного вида.

„Тут Григорий Григорьевич еще вздохнул раза два и пустил страшный носовой свист по всей комнате, всхрапывая по временам так, что дремавшая на лежанке старуха, пробудившись, вдруг смотрела в оба глаза на все стороны...“ (Иван Федорович Шпонька).

„...вскричал он, ударив по столу картою так, что ее свернуло коробом“ (Пропавшая грамота)

„Все жилки в нем вздрогнули; бросивши на землю мешки, так, что находившийся на дне дык заохал от ушибу и голова икнул во все горло, побрел он с маленьким мешком на плечах...“ (Ночь перед Рождеством).

Форма вида у глагола-сказуемого определяющего предложения и определяемого деепричастия совпадают.

Два раза в речи персонажей использует Гоголь для присоединения придаточных образа действия союз „чтобы“:

„Сделай же, боже, так, чтобы все потомство его не имело на земле счастья!“ (прямая речь) (Страшная месьть).

Союз „чтобы“ здесь присоединяет предложение, которое поясняет, как конкретизируется соотносительное слово „так“, путем непосредственного описания образа действия.

Форма повелительного наклонения определяемого предложения, надо полагать, обусловила здесь наличие союза „чтобы“ в придаточном.

„...да и попируем так, чтобы целый год болели ноги от гошака“ (Сорочинская ярмарка).

Отенок следствия во втором предложении чувствуется сильнее, чем в первом. Зависимая от союза „чтобы“ форма прошедшего времени сказуемого придаточного предложения в обоих случаях обозначает фактически событие в будущем.

Вообще союз „чтобы“ для присоединения придаточных образа действия встречается редко. Значение его в этих конструкциях обусловлено общим содержанием сложноподчиненного предложения.

Проанализировав использование придаточных образа действия в художественной речи Гоголя (по „Вечерам“) можно прийти к такому заключению:

1. Склонность Гоголя к обильному использованию (около 130 случаев) в художественной речи „Вечеров“ разнообразных, ярких и образных сравнений обусловила частое употребление им придаточных образа действия с оттенком сравнения.

2. Гоголем используются и неполные придаточные образа действия с оттенком сравнения (около 60 случаев), при этом бывают опущены подлежащее, сказуемое или оба главных члена предложения, при наличии специфически присказуемых членов предложения.

3. Полные придаточные образа действия сравнительно с неполными используются Гоголем несколько реже (около 50 случаев использования).

Эти предложения, кроме оттенка сравнения, могут иметь и оттенки сопоставления и следствия.

4. Часто в соответствии с придаточным образа действия в главном у Гоголя находим соотносительное слово „так“, значение которого раскрывается в придаточном.

5. Глаголы сказуемые в этих сложных конструкциях встречаются у Гоголя как в одной видо-временной форме, так и в различных формах, выражая различные взаимоотношения.

6. Основным средством связи как сравнительных оборотов, так и придаточных образа действия (полных и неполных) служит для Гоголя союз „как“, который иногда выступает в осложненном виде „как будто“, выражая отенок предположительности или приблизительности сходства. Такой же отенок недоверности, предположительности сравнения выражается и союзом „будто“.

Для связи сравнительных конструкций встречаем у Гоголя и разговорный союз „словно“, который им реже используется для связи предложений.

Значительно чаще, чем союз „словно“ для связи придаточных образа действия и сравнительных оборотов употребляет Гоголь характерный для живой разговорной речи союз „что“. Этот союз используется, главным образом, в повестях, рассказчиком которых выступает дьячок Диканьской церкви Фома Григорьевич (например, „Пропавшая грамота“).

Изредка для присоединения придаточных образа действия встречается в речи персонажей союз „чтобы“.

Проанализировав использование этих же конструкций у других писателей XIX века (Карамзин, Пушкин, Лермонтов), можно прийти к выводу, что, в основном, названные конструкции у них однородны.

Это является лишним подтверждением устойчивости грамматического строя языка.

Однако, поскольку язык каждого писателя характеризуется индивидуальными особенностями в зависимости от его мировоззрения, от его языково-стилистических установок, от содержания самого произведения, то и в употреблении анализируемых нами синтаксических конструкций у названных нами писателей наблюдается некоторое своеобразие.

Гоголь, продолжая дело своих великих предшественников—Пушкина, Лермонтова,—дело демократизации русского литературного языка, всецело основывался на общенародной русской речи.

И в употреблении анализируемых нами конструкций проявляется тенденция Гоголя к широкому использованию всех богатств родного языка.

Тбилисский государственный университет
имени Сталина
Кафедра русского языка

(Поступило в редакцию 1954. V. 28)

ივ. ჯავთარაძე

ალექსანდრე ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი¹

გენიალურმა სტალინურმა მოძღვრებამ ენათმეცნიერების შესახებ შექმნა მტკიცე თეორიული ბაზა სალიტერატურო ენების შესწავლისა და მათში მომხდარი ისტორიული პროცესების სწორი გაგებისათვის.

ი. სტალინის ენათმეცნიერული შრომები იძლევიან საიმედო მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ცალკეული სალიტერატურო ენის განვითარების რთული გზების ზუსტი შესწავლისათვის.

ი. სტალინის მოძღვრებაში ბრძნული გადაწყვეტა პოვა ერთიანი საერთოეროვნული ენებისა და „კლასობრივი“ დიალექტების, ჟარგონის საკითხმა, მათი სოციალური ბუნებისა და ისტორიული ურთიერთობის პრობლემებმა. „ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალღონით. იგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ იგი შექმნილია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა“.²

ნ. მარის ანტიმეცნიერული, იდეალისტური ახალი მოძღვრების მიხედვით ენის მიჩნევა ზედნაშენურ მოვლენად ამახინჯებდა ენის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, უკიდურესობამდე ზღუდავდა მის სოციალურ დანიშნულებას, უტოლებდა ენას კლასობრივ დიალექტს, კლასობრივ ჟარგონს და, ამგვარად, უგულებელყოფდა მის განუზომელ საერთოეროვნულ გამოყენებასა და მნიშვნელობას. ი. სტალინის შრომების შემდეგ, ბოლო მოეღო რა ასეთ დამახინჯებებს, ჩამოყალიბდა სავსებით მწყობრი, ნათელი მოძღვრება საერთოეროვნული ენების დანიშნულებისა, ერთი მხრით, და დიალექტებისა და ჟარგონების გამოყენების შესახებ, მეორე მხრით. ი. სტალინი აღნიშნავს: „ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, თანაბრად უწყვეს სამსახურს საზოგადოების ყველა კლასს და ამ მხრივ ერთგვარ განუტრეხლობას იჩენს კლასებისადმი. მაგრამ ადამიანები, ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები სრულიადაც არ არიან განუტრეხელნი ენისადმი. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შეძლე-

¹ წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკად. ენის ინსტიტუტში 1947 წ. 7 იანვარს.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამო, პოლიტიკური რატურის სექტორი, 1954, გვ. 5.

ბული კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს და სძულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედა ფენები. იქმნება «კლასობრივი» დიალექტები, ქარგონები, სალონის «ენები».¹

ი. სტალინის ღრმააზროვანი, სადა და ლაკონიური განმარტების მიხედვით „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“². მაშასადამე, ენა, როგორც გაგებინების საშუალება გარკვეული ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის, შეიძლება იყოს ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი, საერთო. ამდენად, ცხადია, რომ დიალექტებისა და ქარგონების ენებად მიჩნევა არ შეიძლება. „არ შეიძლება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ დიალექტებსა და ქარგონებს არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი,— ისინი მათ სესხულობენ ეროვნული ენისაგან. მეორე, არ შეიძლება იმიტომ, რომ დიალექტებსა და ქარგონებს აქვთ გამოყენების ვიწრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრთა შორის და სრულიად გამოუსადეგარი არიან, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოებისათვის“³.

გამოდრიდა რა მარქსის გენიალური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარებიდან, ი. სტალინიმ ღრმა და ურყევი მეცნიერული საბუთიანობით გააშუქა და გადაწყვიტა საერთოეროვნული ენის უფლებებისა და მასთან დიალექტების დამოკიდებულების საკითხი. ი. სტალინი გვასწავლის: „მარქსი აღიარებდა, რომ აუცილებელია ერთიანი ეროვნული ენა, როგორც უმაღლესი ფორმა, რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები“⁴. „ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმა...“⁵.

ი. სტალინის სწორუბოვარი თეორიული დებულებების მეოხებით საშუალება გვეძლევა გამოვარკვიოთ მხატვრული ლიტერატურის ენის, სტილისა და დიალექტის ცნებები, მართებულად გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რა მიმართებაშია საერთოეროვნული ენა, როგორც ფორმა, ლიტერატურასთან, რომელიც ზედნაშენური რიგის კატეგორიაა და, ამდენად, კლასობრივია;⁶ შესაძლებელი ხდება აგრეთვე გამოვარკვიოთ, თუ როგორ იყენებს მწერალი საერთოეროვნული ენის მასალებს და მის მიერ ნახმარი ფორმები როგორ ეხამება საერთო ენის მარაგს.

ერთიან საერთოეროვნულ ქართულ სალიტერატურო ენას განვითარების გრძელი და რთული გზა აქვს გავლილი. ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა ენის თავისებურებების შესწავლა ამ მხრით უაღრესად საინტერესოა. ამ შესწავლის შედეგად ირკვევა, თუ რამდენად და როგორ ემყარება მწერალი ფარ-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1954, გვ. 11.

² ი. სტალინი, იქვე, გვ. 20.

³ ი. სტალინი, იქვე, გვ. 11—12.

⁴ ი. სტალინი, იქვე, გვ. 12.

⁵ ი. სტალინი, იქვე, გვ. 19.

⁶ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 11, გვ. 363.

თო ქართულ საერთოეროვნულ ნიადაგს, როგორ ეპყრობა იგი ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ფაქტებს, რა შეაქვეს მასში ახალი ინდივიდუალური მხატვრულ-სტილისტიკური ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით. შესწავლით ვლინდება ის ადვილი, რომელიც მას უჭირავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

ენა და მისი განვითარების კანონები — გვასწავლის ი. სტალინი — შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია¹.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც ალ. ჭავჭავაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მეტად რთულ პერიოდს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნეში. ასე, რომ მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენა უკვე ჩამოყალიბებული გვექნა. მაგრამ „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსისა (ანტონ პირველისა) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში“². ანტონ პირველმა შემოიღო და დაამკვიდრა სამი სტილის თეორია, რომლის მიხედვითაც ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შექმნილიყო სამი, სტილის მიხედვით სხვადასხვა, წიგნური მეტყველება: მაღალი, საშუალო და დაბალი. მაღალი სტილის მეტყველება საკრძობლად შორდებოდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის სალიტერატურო ქართულს და აზრის გამოხატვის სათანადო საშუალების დასაძებნად იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილი თხზულებებისა და მის მიმდევართა მიერ შედგენილი სიგელ-გუჯრების ენას მიბაძავდა. ამგვარი პოზიცია, რასაკვირველია, ხელს უშლიდა, აფერხებდა არსებული სალიტერატურო ქართულის განვითარებას³. არსებული ენა კი საერთო-სახალხო საფუძვლებს ემყარებოდა.

ანტონი და მისი სკოლა ცდილობდა ლიტერატურულ ნორმად გაებატონებინა საეკლესიო-წიგნური მეტყველება, ხალხს მოწყვეტილი, ხელოვნური ფორმებით დამძიმებული და ნაწილობრივ არქაულ ფორმათა ნაძალადევი მოდერნიზების შედეგად გამომუშავებული თავისებური სტილი⁴. ეს სკოლა

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 20.

² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 020.

³ ვ. თოფურია, აკაკი და სალიტერატურო ქართული ენა: ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, 1945 გვ. 149.

⁴ ივ. გიგინეიშვილი, ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. III, 1952, გვ. 504.

ეწინააღმდეგებოდა ხალხური, სასაუბრო სიტყვებისა და ფორმების შემოტანასა და დამკვიდრებას ლიტერატურაში.

აღ. ქავჭავაძეს, რასაკვირველია, არ შეეძლო ასცდენოდა ანტონ პირველისა და მისი სკოლის მძლავრ გავლენას. სხვათა შორის, პოეტის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მან ქართული შედარებით გვიან შეისწავლა, სწორედ ანტონისა და მისი სკოლის გრამატიკული კანონებისა და ძველი წიგნური მეტყველების საფუძველზე. ეს მომენტიც არ შეიძლება თავის მხრით დამახასიათებელი არ იყოს პოეტის ენის თავისებურებათა განსაზღვრაში.

აღ. ქავჭავაძე თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია. პოეზიას, როგორც სიბრძნის მეტყველების ნაწილს, „მაღალ მატერიათა“ სამყაროს, ზემოთ ნახსენები პრინციპის ძალით მაღალფარდოვანი სტილით, ძველებური სიტყვაწარმოებით უნდა ესარგებლა. ამიტომაც, რომ აღ. ქავჭავაძის პოეზია ენობრივად, მსგავსად ნ. ბარათაშვილისა პოეზიისა,¹ ძალიან არქაულობის ელფერს ატარებს. ავტორი სრულებით კანონიერად თვლის ხელოვნურად ნაწარმოებ სიტყვებს. მის მიერ ნახმარი არქაული ფორმები, აგრეთვე უჩვეულო და ნაწილობრივ უცნაური სიტყვაწარმოება და სიტყვათა ხმარება გარკვეულ სალიტერატურო ნორმებს უპასუხებდა და წიგნის ხელოვნურ მეტყველებაში კანონზომიერად მიიჩნეოდა².

აღ. ქავჭავაძის ენობრივი თავისებურებანი ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ერთი მხრით, ძველებური სიტყვაწარმოებისათვის ნიშანდობლივი ნორმები და, მეორე მხრით, ხელოვნური წარმოების ფორმები. აქვე გამოიყოფა ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები, რომელთა ხვედრი წონა შედარებით ნაკლებია.

აღ. ქავჭავაძის თხზულებათა ენობრივი თავისებურების შესწავლისას ძირითადად გამოყენებულია ი. გრიშაშვილისეული გამოცემა (აღ. ქავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ.), რომელიც საქმის დიდი ცოდნითა და სიყვარულითაა შესრულებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემაში ზოგიერთი შესწორება სადავოა. თუ, მაგალითად, ერთ შემთხვევაში გამართლებულია ძ-ს შეცვლა ჰ-თი (ხელნაწ. Q 318: ვაჲ დრონი, დრონი; გამოცემაში, გვ. 7: ვაჰ დრონი, დრონი...), სხვა შემთხვევაში ამას ვეღარ ვიტყვით, რადგანაც, ძ უმარცვლო ხმოვნის მნიშვნელობითაა ნახმარი (შდრ. ხელნაწ. № 1512, გვ. 249: ვაჲ სოფელსა ამას, გამოცემაში, გვ. 30: ვაჰ სოფელსა ამას. აქ ვაჲ=ვაი, ვაგლახ...)-ტექსტის გამართვის პრინციპი ბოლომდე არაა გატარებული: ერთგან ხელნაწერის უმართებულო ფორმა **სიზრმებრივ** გასწორებულია, მაგრამ სხვაგან ასევე უმართებულო **წარილტვენენ** (გვ. 4) გაუსწორებელია. **ფიცავს** ზმნა ხან ძველი სახითაა დატოვებული (**გფუცავ**: გვ. 73), ხან ახალი ფორმითაა წარმოდგენილი (**გფიცავ**: გვ. 26). გაუმართლებელია ხელნაწერების (№ 1512 და № 1408)

¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 021.

² ა. შანიძე, ბარათაშვილის ენა (ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, აკადემიური გამოცემა, თბილისი, 1939 წ., გვ. გვ. 150, 160...).

მკლავნი წვლილნი გასწორებულ იქნეს ასე: მკლავნი წვრილნი (გვ. 11) იმიტომ, რომ გასწორების პრინციპი ყველგან არ ტარდება.

დასასრულ ერთიც non sens: ალ. ჭავჭავაძე ხმარობს ძველი ქართულის რულ || ← ლულ (პრულის = ეძინება) ფუძისგან ნაწარმოებ ფორმებს: თვალთა... ჰფარავს რული (გვ. 37), ლულვილთა თვალთა (გვ. 36), აქედანვეა უარყოფითი მიმღეობა დაურული (= დაუძინებელი, მოუხუჭავი), შდრ. თვალ-დაურულსა (ლექსი «ვარდო კოკობო», გვ. 28; «შვენებანო ხაზილვოდ», გვ. 48). მაგრამ უკანასკნელი სიტყვა, უ-სა და ყ-ს აღრევის გამო, გამოკვეთულ ტექსტში არ არსებული ფორმით დაურული არის შეცვლილი: ვჭვრეტ განლიგებით თვალ-დაურული (ლექსი «გლახ თვალთა შენთა», გვ. 43, შდრ. ხელნაწ. № 1512, გვ. 242).

I. არქაული მოვლენები

მორფოლოგია

ალ. ჭავჭავაძის ნაწერებში ძველებური წარმოების ფორმები დასტურდება როგორც კუმშვად სახელთა უკუმშველად ხმარებაში — პატიმარად, წინამძღვარად (გვ. 29), დღევანდელამდე (გვ. 76), ისე ბრუნვის ფორმებში. ერთ-ერთი ასეთია მოთხრობითი ბრუნვა, რომელიც ახალთან ერთად ხშირად ძველი ფორმითაც იხმარება:

ეჰა ვითარმან დაუხვალმან დამქროლა ქარმან,

შემგესლა ჩქარმან, შეუწყალმან სახე საზარმან: გვ. 47.

ძველია მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება დაწყებითის (გამოსვლითის) მნიშვნელობით:

მიხსენ სიკვდილით სიტყვითა ტკბილით: გვ. 40.

არ გამოხვალ სახლით გარე: გვ. 133; ასევე გვ. 76 და სხვ.

იგივე ითქმის ვითარებით ბრუნვაზედაც, სადაც შეინიშნულია ძველი ქართულისეული მოვლენა როგორც აფიქსის ხმარებაში თანდებულთან სახელთან, ისე სახელის ფუძის ცვლილებაში: უფსკარულადმდე: გვ. 77; სიკვდილმდე: გვ. 224...

მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნების დროს სისტემატურია სრული შეთანხმება, შეინიშნება აგრეთვე ანალოგიური ფორმაც — მოქმედებითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის შეწყობა ნათესაობითში:

წითელს ღვინოს: გვ. 6.

მწარის ოხვრის: გვ. 18.

ჩემისა ვალაღებისა: გვ. 19.

მწარის ჭმუნვით: გვ. 38 და ა. შ.

შეინიშნება ნაგენეტივარი მსაზღვრელის საზღვრულთან ბრუნვაში სრული შეთანხმება, სხვათა შორის ვითარებითშიც, რაც საზოგადოდ იშვიათი იყო ძველ ქართულშიც და, ამდენად, აქ წიგნურ ელფერს ატარებს:

ზაქეს ვახლავარ ზებედოს მომკლველად მის ორგულიხად...

ზეთის-ხეს მშვილდად, ზღმარტლს ისრად შევიქმ საჯვროდ გულიხად,

ზურგ-დალექილმან ზორაყმან გსახოს მიზეზად წყლულისად: გვ. 51.

დამაქსიათებელია -გამო თანდებულის ხმარება ძველი ქართულისებური მნიშვნელობით (შდრ. შემდეგდროინდელი -დამ):

ლალთ გამო მბერდა ლხენას: გვ. 24.

ქვეყნით გამო აღმოგზარდა: გვ. 16.

რაც შეეხება -ვით თანდებულს, საგულისხმოა, რომ იგი კვლავ ვითარ-
ცა მიმართებითი ზმნისართის მნიშვნელობისაა და აღ. ჯავჭავაძის ნაწერებში
თანდებულად ჯერ კიდევ არ იხმარება:

ტკბილი სიტყვა სასამენელთა, ვით კოდილსა ეალმოდეს: 37, ასევე: გვ.
21, 27, 29, 41.

მსგავსების გამომხატველად ძველი ქართულის -ებრ იხმარება. მას აქვს
-ვით, -თანა, ებურ, -მებრ თანდებულთა ფუნქციები და ზოგჯერ გამოყენებუ-
ლია სიტყვაწარმოებაშიც:

-ებრ—თანა: ვანდე შენებრ მოყვასს გული: გვ. 46.

-ებრ—ვით: განიფონენით მას ზედა მდელოებრ: გვ. 48.

ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით: გვ. 29.

ლაღებრთა ლაწვთ ნათელ თრთოლვა: გვ. 107; ასევე: გვ. 11, 221, 225.

სახელთა რიცხვი

აქაც, თავისი დროის სასაუბრო ქართული მეტყველების ნორმათა მი-
უხედავად, მწერალი უფრო ხშირად რიცხვის ძველ აფიქსებს მიმართავს და
იყენებს. ამიტომ ჩვეულებრივია ასეთი ფორმები:

ნუთუ სხვა მნათნი შურითა დამემტრებიან: გვ. 11.

შენთა ამბავთა სმენამ: გვ. 12.

თლილთა ქვათა ზღუდეთ შორის: გვ. 16.

წყალი პირუტყვთ დაანება: გვ. 6 და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ აღ. ჯავჭავაძის პოეზიაში დას-
ტურდება XVII—XVIII სს. ქართული ესტორიული საბუთებიდან ცნობილი
ფაქტი, როცა -თ სუფიქსიანი მრავლობითის ნათესაობითი, მსგავსად შესატყვი-
სი ფორმის მხოლოდობითი რიცხვისა, დაირთავს -ი სუფიქსს და, შეიძლება
ითქვას, წარმოქმნილ სიტყვად გვევლინება¹.

მგელმან უთხრა: ვერ განმართლდე,

თქმა შენია—თქმა ცბიერთი;

ძმა არ იყოს, იქნებოდა შენიანი ან შენ ფერთი,

კარგად იცი: მწყემსთ, ძალთ და ცხვართ

მე ვსჩან, ვითა ვინმე მტერთი: გვ. 158 (ლექსი «მგლისა და კრა-
ვისათვის», თარგმანი ლაფონტენიდან).

ხშირია შემთხვევა -ებ სუფიქსიანი მრავლობითის სახელთა კვლავ მრავ-
ლობითში დასმისა და -თ სუფიქსით წარმოდგენისა, რასაც შევხვდებით იმ-
დროინდელ მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში, სიგელ-გუჯრების
ენაში და სხვა²:

¹ მსგავსი ფორმების ანალიზი ვაჟა-ფშაველას ენის მაგალითზე მოცემული აქვს ა. შანი-
ძეს ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, 1942, გვ. 108, შდრ. გვ. 90.

² დაწვრილებით: К. Д о н д у а, О двух суффиксах множественности в грузинском:
Язык и мышление, I, Л., 1933, გვ. 64.

ბაგე ლალო, მარგალიტებთა მცველო: გვ. 49.

ჰკითხავს თვალებთა: გვ. 121.

...ალი ჩვენთა გულებთა... ჰქონდა გზნებული: გვ. 233.

განვაგდე ჭირებთა ბადე: გვ. 53.

მისთა სხივთ ისრებთაგან: გვ. 26.

აქვე შევნიშნავთ, რომ პოეტის ლიცენცია განსაკუთრებით შორს მიდის და მრავლობითობა შესაძლებლადაა მიჩნეული ყოველგვარი სახელისათვის, მათ შორის -6 სუფიქსიანი სახელისთვისაც ვითარებითში:

მაკმაოს ვათა თქმანი: გვ. 48.

ხილვად კმანო: გვ. 32.

მათ უთევს ღამეთ და დილთა: გვ. 35.

გვეო ჭირთა მთმენად, მგლოვარენად: გვ. 17.

ამ მხრით ანალოგიური ვითარება გვაქვს ქვემოთ განხილულ ხელოვნური წარმოების ფორმებთან.

ზ მ ნ ა

არქაიზმად მიიჩნევა აღ. ჭავჭავაძის დროისათვის ე. წ. ტმესის მოვლენები — ზმნისწინსა და ზმნას შორის რაიმე ნაწილაკის ჩართვა, აგრეთვე ზმნის ბოლოს ნაწილაკების დართვა:

ჰოგრიოთი ჰერეტა შე-ლა-მრჩომა: გვ. 63.

წა-ცა-ვჭყე: გვ. 51; მო-ვე-მხედოხ: გვ. 48.

ოხვრით ვაფრქვევდე-ცა ცრემლს: გვ. 56.

იხმარება ე. წ. საშუალი ქართულიდან ცნობილი მიმართებითი ფორმები გარდაუვალ ზმნათაგან:

სოფელი მჩანს სამარედ: გვ. 19.

დღე ესე მკმარის: გვ. 113.

უმნიშვნელოვანესი არქაული მოვლენებია დაცული ზმნის დრო-კილოთა წარმოებაში. დამახასიათებელია ამ მხრით შემდეგი: 1. რამდენიმე ზმნა უძველესი მარტივი თემითაა გამოყენებული; 2. დასტურდება ნასახელარ ფუძეებთან კლასიკური ქართულის -ოვი→ || თი სუფიქსის ხმარება, რაც, როგორც ცნობილია, ლიტერატურაში იოვანე პეტრიწმა აღადგინა და გაავრცელა¹; 3. დაცულია რიგ ზმნასთან -ი სუფიქსი ვნებითის აწმყოში მესამე პირში; 4. შემორჩენილია რამდენიმე საშუალი გვარის ზმნის აწმყოს წარმოება და მნიშვნელობა; 5. შეინიშნება ზმნის შემდეგ პერიოდში შეცვლილი თემა.

1. ვერ ჰხედს²: გვ. 121; სიამით ვხედ: გვ. 87.

დაახედს თოვლთა ზედა მზე: გვ. 77.

2. ვინცა დააბოლოის: გვ. 212.

ყველა კაშკაშ ნათლოის: გვ. 77.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940, გვ. LV.

² შდრ. დავჭხედდი: თამარ მეფის 1190 წლის სიგელი. (თ. ყორღანი, ქრონიკები, I, 22,5).

3. ელების კარი გაზაფხულისა: გვ. 7.
 გველევის, გვეძლევის, ერევის: გვ. 10 და სხვა.
 4. უქებ წელსა, მეტყვი: მისგან რა მინა?
 —ვით რა მინა? გვ. 9.
 ჯერაც მძეს ვალად: გვ. 55.
 მით ოდენ ხარი აღყვანილი: გვ. 231; 218.
 5. ფილიმონ მწვრთიდა, მმოძღვრებდა: გვ. 53.
 ღვინო თვისებას არ ჰსცვალვებს: გვ. 111.

ნამყო უწყვეტელში -ავ და -ამ ბოლოსართიან ზმნებთან არის ტენდენ-
 ცია ძველი წარმოების შენარჩუნებისა, ოღონდ ესაა, რომ მესამე პირის ფუძე
 პირველი და მეორე პირის მსგავსია:

- გხნევდი, ვაბემდი: გვ. 130; ვზორევდი: გვ. 76.
 მოჰხნევდა; გვ. 130; ოხრევდა, მკლევდა, ჰბურევდა: გვ. 217.
 მაგრამ პოეტი ხმარობს აგრეთვე ხოლმეობითის ფორმებსაც, ნაწარმოებს
 ნამყო უწყვეტლის ფუძისაგან ხშირად ძველი სახითაც:
 ჰნუჟვიდი, გვ. 231; გრთვიდის, გრწყვიდის: გვ. 16.
 გრგვინვიდიან: გვ. 92.

მაგრამ: შეარყევდის, ჰკლევდის, დალევდის: გვ. 54.
 კიდევ უფრო მეტი სიძველეა გატარებული მეორე სერიის ფორმათა
 წარმოებაში: 1. ნამყო წყვეტილში შემორჩენილია ფუძედრეკად ზმნათა -ევ
 სუფიქსის -ვ თანხმოვანი; 2. მეორე მხრით წყვეტილის ფორმებს უჩნდება
 -ევ საწარმოებელი; 3. ნახმარია მეორე ხოლმეობითის ფორმებიც:

1. განიზნივნენ: გვ. 68; მძლივა: გვ. 36.
2. ვისგან უკადროდ იგმევიტ: გვ. 239.
3. განაპის: გვ. 39; აღგავსი: გვ. 237.

ზმნათა ძველებური წარმოების მაგალითებიდან აღსანიშნავია აგრეთვე
 ბრძანებითისა და კაუზატივის ფორმები, სტატიკური აწმყოსა და პირველი
 თურმეობითის ნიმუშები და სხვა:

აწა ჰრქვი პყრობილს, მნათობო: გვ. 23.

ვათქმევდე ხმასა ჩემსა: გვ. 56.

ჰგოეს: გვ. 61; დამშოთმეეს: გვ. 36; უყვიეს: გვ. 37; მიკმევიეს: გვ. 119.

სინტაქსი

აღ. ქავჭავაძის პოეტურ თხზულებათა სინტაქსში საკმაოდ რელიეფურად
 ჩანს ავტორის ტენდენცია—დაშორდეს თავისი დროის სასაუბრო, ცოცხალი ენის
 ნორმებს და დაუბრუნდეს ძველ ქართულს. ეს მოვლენა შეინიშნება როგორც
 წინადადების საერთო კონსტრუქციაში, ისე წინადადებაში წვერთა ადგილის
 გამოყენებაში და ამ წვერთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

ძველი ქართულის უმთავრესი სინტაქსური მოვლენებიდან აღსანიშნავია
 1. კითხვითი წინადადების გამოხატვა -ა ნაწილაკის გამოყენებით:
 ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყის-ა ტრფობა? გვ. 4.
 გულისთვის გარნა წვა არს-ა ამაღ? გვ. 14.

2. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შეთანხმება გრამატიკული სუბიექტის მიერ რიცხვში:

ლარიბსა ჰხდაგან კაცნი,
მას სძულან ყოველნი: გვ. 174.
გულნი გვაქვანან: გვ. 236.

3. მრავლობით რიცხვში დასმული -ნ სუფიქსიანი პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა გარდამავალ ზმნაში:

შენ განგვაცოცხლენ მკვდარნი: გვ. 61.
მისი იხმარენ მშვილდნი: გვ. 19.
ველნი შეღებენ სისხლითა: გვ. 218.
მიხშირნა ცრემლნი: გვ. 36.

4. მასდარის (სახელზმნის) ვითარებით ბრუნვიანი კონსტრუქციის ხმარება:

დიდ საქმეთა განსაკვიროვოდ ქმნად საქმისა მომწადემან: გვ. 16.
რომ არ ძალ-უჩნსთ თქმად საერთოდ: გვ. 16.

5. წინადადების გადმოცემა ძველი კავშირების ან მათი უფრო აღრინდელი ფორმების საშუალებით:

თუმცა ზამთარი აზრობს ყვავილთა... გარნა ჟამთ ცნობით მათგანვე ხილთა... გვ. 7.
იგი ამაღ არ გვემსხვერპლა, რომე მომკლა მოშორებით: გვ. 24.

ლექსიკა

აღ. ჭავჭავაძის პოეტური ლექსიკონი მდიდარია როგორც ქართული ენის ლექსიკური შემადგენლობიდან აღებული, ისე განსაკუთრებით აღმოსავლურ ენათა წარმოშობის სიტყვებით. ქართულის საერთო ლექსიკური შემადგენლობიდან მის თხზულებებში, როგორც ვრწმუნდებით, ყველაზე მეტი გამოყენება ძველმა სიტყვებმა და გამოთქმებმა პოვეს. პოეტი საგანგებოდ არჩევს კლასიკური ქართულის ლექსიკურ ერთეულებს, ხშირად უცვლელად და ზოგჯერ კი ერთგვარად მოდერნიზებული სახით ურთავს მას თავის ლექსებში. ორიოდენ ნიმუში:

რა დაიმონის მან მათი გული,
ზოგად მიუგოს ახალი წყლული: გვ. 61.
უმჯობეს არს მომვაჭრო ჩემებრ ეშხის ბაზარსა: გვ. 102.

ზოგად (= ერთად), მომვაჭრო (შდრ. ძვ. განჰვაჭრე=გაყიდე) და მისთანები ძველი ქართულის ინვენტარია. ასეთივე არქაულად მიიჩნევა: ელტვის, ურვა, აჯატი, ენუკვის, აჯა, ქენება, ხამს, ბრკამბა, (შდრ. ძვ. ქართ. უბრკუმბა...), მთოვარე, ლაწვი, შეიწრებულღო, ჰვიეს და მრავალი სხვა.

აღ. ჭავჭავაძის თხზულებათა ენა, როგორც ითქვა, ზოგიერთი ფორმის გამოყენებითა და მნიშვნელობით განსხვავდება იმდროინდელი მეტყველები-

საგან, ზოგ შემთხვევაში მაშინდელი ოფიციალური გაზეთის ენისაგანაც კი¹. რომელი ადგილიც უნდა ავიღოთ მისი ნათარგმნი პროზაული თხზულებიდან, ერთბაშად დაეინახავთ ამ განსხვავებას, ალ. ჭავჭავაძის ენისათვის დამახასიათებელ არქაიზაციას:

«მერე გარე მივატყვევ სახედველთა ჩემთა საშინელთა სახეთაგან, რომელთა მარჩენებენ მე კაცთა ნათესავნი. ვეძიებ პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა ოდენ აღაგსა ერთსა, სადაცა უძლო მიღება უმანკოსისა ჰაერისა, გარნა ვაი. ვერა სადა ვპოვებ მას. სრულიად ქვეყანა დაფარულ არს ცოდვისა ქვეშე, დაშთომილ არსა ვინმე ტკბილთა, წრფელთა და მოწყალეთა მათ კაცთაგანი, რომელთა არა უწყიან არცა სიცრუე, არცა უწყალოება და არცაღა დამონება?» («ახლოით განჩხრეკილი კაცი», თხზ., გვ. 175).

ასეთი სტილი იყო ერთადერთი და აუცილებელი „მაღალ მატერიათა“ შესახებ მსჯელობისას. ამას მოითხოვდა ზემოაღნიშნული სამი სტილის თეორია, რომელმაც „ლიტერატურისა და მეცნიერების ენას... მიატოვებინა მეტყველების მიწაზე სიარული და სქოლასტიკური რიტორობის ოჩოფხეხე შეაყენა“².

ამგვარად, ალ. ჭავჭავაძე სრულებით შეგნებულად მიმართავს და აუცილებლად მიიჩნევს გამოიყენოს ძველი ქართულის ფორმები, რომლებშიც იგი უფრო მეტს გამოიმხატველობითოს ძალას ჰხედავს და ყველაზე უკეთესად და შესაფერისად სახავს თავისი პოეტური ჩანაფიქრის გადმოცემისათვის. სახელთა ბრუნებისა და ზმნების უღვლილების ზემოთ აღწერილი ფორმები ქართული ენის განვითარების იმ პერიოდის კუთვნილებაა, რომლის საზღვრებს ძირითადად XI საუკუნემდის სდებენ. მაშასადამე, XIX საუკუნეში მათი აღდგენა-გამოყენება ქართული ენის ბუნებრივი განვითარების მაგისტრალს არ ეგუებოდა.

II. ხელოვნურად ნაწარმოები ფორმები

ძველებური სიტყვაწარმოების გვერდით ალ. ჭავჭავაძე საგრძნობ ადგილს უთმობს ხელოვნურად ნაწარმოებ, ანალოგიით წარმოქმნილ ფორმებს. მას თითქოს არ ჰყოფნის მის განკარგულებაში არსებული გამომეტყველებითი საშუალებანი, დაუცხრომლად ეძიებს და გაბედულად ქმნის თითქოს ახალ სიტყვებს, ამავე დროს ნებისმიერად ეწევა ძველი ქართულის ფაქტების მოდერნიზაციას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ახალი სიტყვები ძალიან ხშირად არ ეგუება ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან ახალ სიტყვათა წარმოებისა და ზმნათა უღვლილების მიღებულ პრინციპებს, ამიტომ პოეტის მიერ ნახმარი ფორმები მეტად ხელოვნური, ნებისმიერი წარმოების ნიმუშებს წარმოადგენენ. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი ხელოვნური სიტყვაწარ-

¹ მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ „მსუბუქი სტილი“ მთლიანად როდია დამახასიათებელი მაშინდელი ქართული გაზეთისათვის. გაზეთის ენაც საერთოდ მაღალფარდოვანი იყო და ხელოვნური, რთული კონსტრუქციების შემცველი წინადადებებისაგან შემდგარი. ამაში ერთისა და იმავე ნომრის გადაკითხვაც დაგვარწმუნებს, განსაკუთრებით იქ, სადაც ანტონის სკოლის მიმდევართა წერილებია მოთავსებული. გაზეთში „სოფლიური“ ამბები შედარებით მარტივადაა გადმოცემული.

² არნ. ჩ. ი. ბ ა ვ ა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ: ენიმკის მოამბე, II, 1937, გვ. 16.

მოებაც კანონზომიერად ითვლებოდა. ალ. ჭავჭავაძე აქაც სიტყვაწარმოების პეტრიწის სკოლისეულ ტრადიციას მისდევს, ან ანალოგიით თვით ქმნის ამ სიტყვებს.

სახელთა სქესი

ცნობილია, რომ სქესის მორფოლოგიური კატეგორია ქართულს არა აქვს. მაგრამ რუსული ენის მიბაძვით მეთვრამეტე საუკუნის წიგნურ მეტყველებაში¹ გამოიმუშავდა მისი გამოხატვის ერთგვარი პირობითი ტრადიცია². ეს წიგნური გზით დამკვიდრებული ტრადიცია მდებრობითი სქესის სახელთა ხელოვნური წარმოებისა მთლიანად მიიღო ალ. ჭავჭავაძემაც:

ჭაბუკა ეინმე ჩადრით ბურვილი: გვ. 62.

მშენიერთა ხელმწიფავ: გვ. 102.

დაუდგრომელი მწყემსა და კეთილი მწყემსი³: ხელნაწ. S № 2482, გვ. 6.

ზედსართავი სახელის ხარისხები

ზედსართავ სახელთაგან უფროობითი ხარისხის წარმოსაქმნელად გავრცელებული უ—ეს აფიქსების გარდა ალ. ჭავჭავაძე ხმარობს ოდენბრეფიქსებს:

უმადლ = უმადლესი: გრძნობისაგან უმაღლ ყბედობს: გვ. 81.

უხშირი = უხშირესი: გვხვევიან ჭირნი, ფოთოლთ უხშირნი: გვ. 25.

უმჯობ = უმჯობესი: რომელთ შევსწირავთ უქვეოდ

უმჯობ და უფროს ერთსულად: გვ. 240.

შეინიშნება რამდენიმე შემთხვევა უარყოფით სახელთაგან ხარისხის ფორმათა წარმოებისა:

ოჰ, უუშვეულოვსი ნაშობთა შორის: გვ. 217.

მუხთალნო, ყოველთაგან უუმადლოვსნო: გვ. 236.

უკანასკნელი შემთხვევისათვის, როგორც ეტყობა, ერთგვარ ანალოგონად შეიძლება გამხდარიყო ძველ ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული (მაგრამ ქართულ ენაში საზოგადოდ იშვიათი ხმარების) ფორმები უარყოფითი სახელის უფროობითი ხარისხისა: უუწესოვსი, (შდრ. უწესო) — რუის-ურბნისას ძველის წერა 1103 წლისა⁴; უუძლოურესი, (შდრ. უძლოური) — იოანე შავთელის კვინკლოსი⁵.

ზმნა

პოეტი არ სჯერდება ქართული ზმნის უაღრესი ელასტიურობის უნარს. იგი ცდილობს მეტად პოლისემანტიკური მნიშვნელობა მიანიჭოს მას, ამ მო-

¹ - ა სუფიქსის საშუალებით მდებრობითი სქესის წარმოებული ფორმები დადასტურებული აქვს საბასაც. მას ცალკე ერთეულებად აქვს წარმოდგენილი ასეთი ნიმუშები თავის ლექსიკონში: ჭაბუკა—ახალგაზრდა ქალი; ქალწულა—ქალი უბიწო (შდრ. ქალწული); იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ. 1928.

² К. Д он д у а, Феминизирующий гласный в грузинском языке, язык и мышление, III—IV, 1935, გვ. 246—247.

³ გამოცემაში წარმოდგენილია მარტო ქვესათურის მიხედვით: „კომბლე და ხლოე“ (გვ. 27).

⁴ თ. ყორღანი, ქრონიკები, I, გვ. 66,10.

⁵ იქვე, გვ. 105,10.

თხოვნის შესაფერისად უცვლის მას პირის აფიქსებს, თემატურ ნიშნებს, ფუძეს და სხვა.

ხელოვნურობის დიდი კვალი ატყვია ზმნაში პირის პრეფიქსთა ხმარებას, რაშიც მოჩანს ანტონის სკოლის უეჭველი გავლენა. ცნობილია, რომ ანტონისათვის პირის პრეფიქსები **ჰ** და **ხ** უკვე მოკლებული იყო მკაფიო მორფოლოგიურ დანიშნულებას, ის იყო „რალაც სამკაული, რომელიც საჭიროა აკუსტიკური მნიშვნელობის გასაძლიერებლად“¹. ეს პრეფიქსები ცალკე-ცალკე ან ერთად ნახმარია არა მარტო ერთპირიან ზმნებში, არამედ სახელებშიც კი, ზოგჯერ ფუძეში გადასმულად².

სახელებში: **ჰხმით**: გვ. 122; **მჰხურებლად**, **ჰსჯულისახა**, **მჰსჯავრისახა**: გვ. 171.

ერთპირიან ზმნებში: **ჰხბრუნავს**: გვ. 171; **გჰრბი**: გვ. 19. **ჰსწარმოებს**: გვ. 73;

გჰსტირი: გვ. 25; **ჰსწყდეს**: გვ. 27; **ჰსჩანს**: გვ. 35; **ჰსძახავენ**: გვ. 35, **ჰსცხოვრობდეთ**: გვ. 238 და ა. შ.

მესამე პირის მხოლოდობითად მიჩნეული სუფიქსი -**ნ**, ჩანს, რითმის საჭიროების გამო, არის გამოყენებული -**ან** სუფიქსის ბადალად:

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,

არნ მოსილნი უმრავლესითა ურვით: გვ. 31.

თქვენნი ვერ მჭვრეტნი, დასაზრეტნი ბინდებინ თვალნი: გვ. 60.

ეკაზმინ საამოდ წარბნი მოხრილნი: გვ. 29.

ზმნის თემატური სუფიქსებიდან ერთი რომელიმე უჩვეულოდაა შეცვლილი მეორით (-**ებ** და -**ობ** — **-ავ** -**ით**), ან არაა თავის ადგილას ნახმარი; თემატურულიად შეცვლილია აგრეთვე ნაზმნარ სახელებში:

გსტყორცვიდი ზარის მქროლელსა: გვ. 53.

განღვიძვით ეახლვინ წყლულნი: გვ. 17.

გონსა მიშმაგავს: გვ. 38.

ჭირნი ვერად **შეშიპყვრიდა**: გვ. 91.

გმადღვიდი ღმერთსა: გვ. 12.

სატრფოს მოტაცვა: გვ. 62.

ღრღნიდა აღვირსა **განსაჭრომელად**: გვ. 76.

სხვა გვაქვს **წუხვა**: გვ. 29.

ფორმათა ხელოვნური წარმოების ასეთ პრინციპს კანონზომიერად და შესაძლებლად მიაჩნია ყველა ზმნური ფუძისგან, მაგალითად, ყოველი გვარის, ქცე-

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 138.

² გამომცემელს ასეთები ბევრგან გაუსწორებია (მაგ., ხელნაწ. № 1512, გვ. 220 სწერია **ჰრყევით**, გამომცემაში, გვ. **რყევით** და ა. შ.) მართალია, ავტოგრაფის (S № 2482) სცოცხლობდეს დავით რექტორისეულ ხელნაწერში (№ 1512, გვ. 550) შეცვლილია **ჰსცოცხლობდეს** ფორმით, მაგრამ იმავე ავტოგრაფის **ჰსწყუროდა**, **ჰსტრფობ** და მრავალ სხვა ადასტურებს, რომ აქ გამწვანება ნახელავი არაა:

ვის, პირისა თუ ღროის ფორმა. ამის შედეგად მივიღეთ მეტისმეტად არაბუნებრივი ერთეულები, რომლებიც მხოლოდ ალ. ჭავჭავაძემ იხმარა და მას უკან არავის მოჰგონებია. ასეთებია:

1. აწმყოს ხელოვნური წარმოება ერთი წყების ზმნათაგან:
ერთს თავს რა მოჰკვეთ, ათასნი ახალნი ალმოუფიან: გვ. 19.
ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ¹ საცა: გვ. 10.
გონება ჰხარის: გვ. 17.
ვინც არებთ თავისუფლებით: გვ. 18.

2. ნამყო უწყვეტლისა და წყვეტილის ფუძეთა უჩვეულო ხმარება დეფექტურ ზმნებთან:

- და სასოცა არ უვოდეს²: გვ. 97.
იგი ჩემებრ არა ჰხწითლდეს: გვ. 27.
იპოლიტ უცდა საგნად: გვ. 179.
თუ პასუხი არა გზარდეს: გვ. 97.
შენგან ბრძენი ხელად რებდეს: გვ. 10.
ქებას სთქმიდით: გვ. 104.
სულისა ხდასა ვლამეთ: გვ. 26.
ჰმადლა ზენას: გვ. 24.
წარილტვენენ ჟამნი: გვ. 4.

3. მრავლობითი რიცხვის წარმოება ქართული ზმნის *singularia tantum* ფუძისაგან.

მას ოდენ ვწირავ ლექსთა ჩემთა, თუცა მივიან³: გვ. 119.

4) გარდაუვალი ზმნის ფუძისგან (ელმის, საღმობა) გარდამავლის წარმოება.

ვჰგონებ, ქვასაც ალმოზდეს: გვ. 27

მიმღეობა და დანიშნულების სახელები

ყველაზე მეტი თავისებურებით ხასიათდება. დამახასიათებელია, რომ ძველი ნორმისათვის ნიშანდობლივი წარმოება (სრულაფიქსებიანი ფორმები) ისე ხშირად არაა აქ გამოყენებული, რამდენადაც ხელოვნურად გამარტივებული.

- ხელის ამღე: გვ. 131.
ბნელ უყვიეს დღის მათენი: გვ. 37.
ვხმოვანებ, მისმინე მვედრსა: გვ. 46.
სიამეთა განმაახლი: გვ. 134.
წინად მგრძნი მომავალთა: გვ. 29.

¹ ასეთი ფორმები, სრულებით განუსვლად, ნორმად წარმოადგინეს ნ. მარმა და მ. ბრიერმა წიგნში: *La langue géorgienne*, Paris 1931, გვ. 116—125.

² იქვე.

³ იქვე.

ისმინეთ, მსმენო: გვ. 67.

წამალი, მქცე (= გადამქცეველი) სულად: გვ. 117,4; ასევე: 17,76;
ძნელ საკარსა: გვ. 28 და ა. შ.

ამგვარად, ასეთ შემთხვევებში პოეტი სათანადო ანგარიშს არ უწევდა ქართული ენის გრამატიკული წყობის შესაფერისი კანონების თავისებურებას, არ აფასებდა მის ისტორიულ პერსპექტივას და სალიტერატურო ენას თავზე ახვევდა თავის მიერ გამოგონილ სიტყვებს. ამიტომ ზემოთაღწერილი ფორმები, ზომაზე მეტი არაბუნებრივობის გამო, ვერ შერჩა ქართულ ენას და ვერ დამკვიდრდა.

III. ნეოლოგიზმები

ზემოთ განხილული ხელოვნური წარმოების ფორმებისაგან განსხვავებით ერთი ტიპის თავისებურებანი შეიძლება ნეოლოგიზმებად მიგვეჩნია. ამის საფუძველი ისაა, რომ აქ საქმე გვაქვს არა უბრალო გრამატიკულ ანალოგიებთან, არამედ ქართული ენის გრამატიკის წესებისათვის რამდენადმე შესაფერისი წარმოების ნიმუშებთან. ავტორი იძლევა ისეთ წარმოებულ სიტყვებს, რომელთა ახსნა და გამართლება შეიძლება. თანაც ეს წარმოქმნილი ერთეულები ასე თუ ისე ეგუება ქართული ენის შინაგანი განვითარების კანონებს და არის ერთგვარი საფუძველი ამ სიტყვათა ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში შესვლისა და დამკვიდრებისათვის, თუ კი სწორ გრამატიკულ წარმოებას საზოგადოებრივი გავრცელება მოჰყვება. სევდა და წუხ(ილ) ფუძეებისგან თანაბრად შეიძლება ვაწარმოოთ **ესევდება** და **ეწუხება** ფორმები. პირველს ხმარობს ალ. ქავჭავაძე, თუმცა გავრცელებულია მხოლოდ **ეწუხება**. ასე რომალ. ქავჭავაძის მიერ ამ შემთხვევაში ნახმარი რომელიმე ფორმა შეიძლება ლიტერატურაში გავრცელებული და დამკვიდრებული არ იყოს, მაგრამ მისი ხმარება მწერალს მხატვრული სტილის ინდივიდუალურ, ნოვატორულ თვისებად მაინც შეიძლება ჩაეთვალოს.

აღწერისა და დალაგების გაადვილებისათვის ნეოლოგიზმები შეიძლება პირობით შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: 1. ენებითის ნამყოს მიმღეობისაგან წარმოები ზმნური ფორმები:¹

დალალ თმაშია გიშრის ბეწვი ხშირად **ყრილობენ**: გვ. 11.

ვარდ-კოკობი ნახად **შლილობენ**: გვ. 11.

2. ნასახლარი ფუძის გარდამავალი ზმნები:

გულს **ვაბგერ**: გვ. 18.

ბალს მორჩილს მოვჰსდრეკ, **ვიმშვილდებ**, თუ ბრაწი **განგაისარე**: გვ. 51.

ბაგე-ბალახში გრძნობას **უშილდე**: გვ. 57.

3. სახელის ფუძეთაგან წარმოქმნილი ენებითის ფორმები, რომლებიც ყველაზე მეტია რიცხვობრივად და მრავალფეროვანია შინაარსით:

¹ ეს წესი ზმნური ფუძის წარმოებისა წინათაც იყო ცნობილი და ახლაცაა განსაკუთრებით გავრცელებული ზოგ დიალექტში (მაგ. მოხურში).

სახე შენი შემახევა, მებადა: გვ. 3.

და შენ მას გლახ ესამარე: გვ. 16.

ხილვა შენი თვალთა ჩემთა ელასტაქროს, ეწამლოდეს: გვ. 37.

ბაგე, ზრახვისა დამწყები, გრძნობას ემილა: გვ. 65.

რა გიხილე, — არ მესევდა: გვ. 40.

გულსა მომთენდა: გვ. 36; ღამე მითენდა, განმიდღევდა: გვ. 28.

ტკბილი სიტყვა სასმენელსა, ვით კოდილსა ემალმოდეს: გვ. 37...

4. სახელთაგან მიღებული სტატიკური გარდაუვალი ზმნები:

მქცევლობენ, მხევლობენ, მიქცევლობენ: გვ. 30...

ყველა ამათ გვერდით თითო-ოროლა აღწერითი ფორმების ხმარება, რასაკვირველია, სტილიზაციის თავისებურ სახეს წარმოადგენს, არქაიზაციის იერი დაჰკრავს.

საზოგადოდ, უნდა შეინიშნოს, რომ აღ. ჭავჭავაძის თხზულებებში დადასტურებული სიტყვაწარმოების თავისებურებანი ზოგ პარალელს პოულობს ბესიკის პოეზიის ენაში გამოყენებულ ფორმებთან. ორიოდ ნიმუში:

ბესიკი

აღ. ჭავჭავაძე

1. ტანო ტატანო, გულწამტანო უცხოდ

მარებო,

1. ჰოი, ვინც არებთ თავისუფლებით.

2. ზილფო კავებო, მომკლავებო, ვერსაკარებო.

2. წალკოტის კარსა, ძნელ-საკარსა...

3. თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშენის მწველად.

3. აჩვენა თვისი დამდაგისი შორქმნის ალექი.

IV. დიალექტიზმები

აღ. ჭავჭავაძის პოეზიაში დიალექტური წარმოშობის მოვლენათა გამოყენება შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება. პოეტი ცდილობს იხმაროს იგი განსაკუთრებული კოლორიტის გადმოსაცემად და ვითომც ამით თხრობას მეტი სუბიექტიურობა მიანიჭოს. ძალიან საგულისხმოა ამ კონტექსტში ის გარემოება, რომ დიალექტურ მოვლენათა ლოკალიზება შეიძლება შედარებით მეტი არქაულობის შემცველი ისეთი ერთეულებით, როგორცაა ხევსურული, მოხეური, ინგილოური...

დასტურდება დიალექტური წარმოშობის ძველი ხმოვანშეცვლილი ზმნის-წინების გამოყენება:

მიშმაგვენ გულსა, შეშეყულსა: გვ. 28.

მინდა ესვა, საღვინე მამე: გვ. 5.

დიალექტურივეა წარმოშობით და გამოყენებით მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ლ პრეფიქსი¹, რაც სათანადო სახელის ფუძეშიც გადაჰყოლია:

¹ სუბიექტურ-ობიექტური პირების ნიშნად ლ (|| ხ, ზ, ყ, შ, ს) ცნობილია მთის კილოებში გარკვეულ პოზიციაში.

აბა შენც ჩვენთან ჩაღლივე (= დალიე);

თუ რომ შენც არ შემოსძახო! გვ. 6.

მაგრამ ღლეული (= დალეული) მაშინვე

ან მოჰკლავს, ან შეაკვდება: გვ. 6.

ფუძეკუმშვადი ზმნის მეორე კავშირებითში მოსალოდნელი - ა სუფიქსის გამოყენება აგრეთვე მხოლოდ დიალექტებიდანაა ცნობილი.

მან დაგასწრას: გვ. 27.

როს დავესწრათ გაზაფხულსა: გვ. 6.

დიალექტიზმია - ყე ნაწილაკის გამოყენება მრავალგზისობის გადმოსაცემად¹ შემდეგ მაგალითში:

ხედავთ, ერნო, ამა ზღუდეთ აღტყინებით რეცა ქმუნვით,

ილია ჭავჭავაძეს ჰაბტუკობიდანვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების ცხოველმყოფელი ძალა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე იგი სათანადოდ აფასებდა რუსი რევოლუციური-დემოკრატიების მოწინავე იდეებს, როგორც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მძლავრ ფაქტორს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი სიტყვები: „...ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს...ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს...ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს...“² ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს, როცა მშობლიური ხალხური შემოქმედებისადმი მისი დამოკიდებულების საკითხს ვეხებით. დიდ პოეტს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხალხის შემოქმედებითი ფანტაზია. პეტერბურგში ყოფნისას ნინო აბხაზისადმი მიწერილ წერილში ჰაბტუკი პოეტი ნატრობს მშობლიურ კუთხეში. ტახტზე წამოწოლილი, საყვარელი ზღაპრის ნაცარქექიას მოსმენას.“ ბავშვობიდანვე თანდაყოლილი სიყვარული ხალხური შემოქმედებისა დიდმა მწერალმა მოწიფულობაში კიდევ უფრო გააღრმავა ეროვნული კულტურის ტრადიციისა და რუსეთში ათვისებული პროგრესულ-დემოკრატიული იდეების წყალობით. სამშობლოში დაბრუნებული პოეტი გატაცებით დაეწაფა ხალხის სიბრძნის უძირო ზღვას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და გავრცელების ინიციატორთა შორის ერთი პირველთაგანი ილია ჭავჭავაძე იყო. განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მოღვაწე ხალხურ შემოქმედებას თვლიდა როგორც ქართველი ერის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლის, ახალი აზრის გამოქვდვისა და განვითარების ერთ უმძლავრეს იარაღად. მისი მდიდარი მხატვრული შემოქმედება, ღრმად გააზრებული წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფელეტონები და სხვადასხვა გარემოებათა გამო წარმოთქმული სიტყვები

¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1941 წ., გვ. 30.

² ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1941 წ.,

³ ილია ჭავჭავაძე, წერილები, აფხაზეთის სახელგამი, 1949, გვ. 19.

ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა ღრმად ჩაწვდა მწერალი ხალხურ შემოქმედებას. პოეტი მალალ შეფასებას აძლევდა მშრომელი ხალხის შემოქმედებითს უნარს. იგი აფასებდა ხალხურ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ მხარეს და მოხდენილად იყენებდა ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლის, მოძრაობისა და შრომის ქადაგების საშუალებად.

*
* * *

ილია ჭავჭავაძე კაბინეტში არ გაცნობია მდიდარ ქართულ ხალხურ შემოქმედებას. მან იგი გაიცნო და აითვისა მშრომელი ხალხის ჭირსა და ლხინში უშუალო მონაწილეობით. მწერლის დიდ სიყვარულსა და გულისხმიერებას მშობელი ხალხის შემოქმედებისადმი გვაცნობენ მის თანამედროვეთა მოგონებანი. საგურამოელი გლეხი ნამწყესარი ალექსი შოთნიაშვილი ასე იგონებს ილია ჭავჭავაძესთან შეხვედრებს: „... დაგვიძახებდა ვინც კი ახლო ვმუშაობდით, გვიბრძანებდა, დაისვენეთო, ახლა გვეტყოდა, იმღერეთო, ჩვენცა ვმღეროდით, ვზაირობდით, და ბატონი იცინოდა ხოლმე“. ამავე მოგონებაში ვკითხულობთ: „ერთი გზირიანთ სოსიკა იყო, არაკამდა (არაკებს აამბობინებდა) და ამღერებდა ძველ სიმღერებსა, ძალიან უყვარდა ხუმრობა“¹. სახალხო მთქმელებისა და მომღერლებისადმი ილიას დიდ გულისხმიერებაზე მოგვითხრობენ სხვა მისი თანასოფელი გლეხებიც. მეზლაპრე და მომღერალ სოსიკასთან პოეტის შეხვედრას შემთხვევითი ხასიათი არა ჰქონია. მეორე გლეხის მოგონებითაც საგურამოში მისვლისას ილია ყოველთვის ინახულებდა სოსიკო გზირიშვილს². ამ სოსიკო გზირიშვილს კალოზე მუშაობისას შეუმღერებია ილიასათვის საკმაოდ ვრცელი ლექსი.

დიდი პოეტი უახლოვდებოდა მთქმელებს, წვდებოდა მათ სულსა და გულს და იქიდან მათდა შეუმჩნევლად ჰკრებდა ხალხური შემოქმედების ძვირფას საუნჯეს, ყველაფერი ეს შესაფერ გარემოში ხდებოდა. პოეტი მთქმელებს აყენებდა ბუნებრივ პირობებში, მათთან ერთად შეექცეოდა პურღვინოს, შთაგონებდა მშობლიური პეიზაჟით, მთა იყო იგი, გორა თუ ტბა, და შეუქმნიდა ხალხურ ნაწარმოებთა თხრობის განწყობილებას. ბაზალეთის ტბასთან ახლოს ამგვარად მოისმინა მან ლევენდა, რომელიც მისი ღრმა პატრიოტული ლექსის „ბაზალეთის ტბის“ შთაგონების წყაროა. იქვე მოისმინა გადმოცემა სპარსელების წინააღმდეგ ბაზალეთის მინდორზე ქართველების თავგანწირული ბრძოლის შესახებ³. ილიას შემკრებლობითი მუშაობა სანიმუშოა თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისითაც.

ხალხური შემოქმედებისადმი ილიას დამოკიდებულების შესასწავლად საჭიროა ვათვალისწინებულ იქნას მისი დღეობა „ილიაობა“. ეს დღეობა საგურამოში გრანდიოზულად ტარდებოდა და ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცეოდა. მწერლის პატივსაცემად აქ იკრიბებოდნენ არა მხოლოდ მოწინავე ქართ-

¹ „ლიტერატურის მატთან“, წიგნი 1—2, თბილისი, 1940 წ., გვ. 198—199.

² იქვე, გვ. 200.

³ „ლიტერატურის მატთან“, წ. 1—2, გვ. 176—177.

ველი ინტელიგენტები, არამედ მშრომელი ხალხის წარმომადგენლებიც როგორც მახლობელი სოფლებიდან, ისე საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც. ილია ჭავჭავაძე და მისი სტუმრები ამ დღეობაზე ისმენდნენ და აკვირდებოდნენ ხალხურ შემოქმედებას, უშუალოდ ეცნობოდნენ მისი შესრულების წესებს. ეკატერინე გაბაშვილის გადმოცემით, „ილია თანხლებით ინტელიგენციისა და რჩეული სტუმრებით დადიოდა მოქეიფე გლეხობის გარშემო, ალაგ-ალაგ ჩაჯდებოდა მათ შუა, ელაპარაკებოდა, მათ სადღეგოძელს სვამდა. საგანგებოდ მოწვეული მომღერალნი მღეროდნენ „მრავალქამიერს“, „სუფროულს“¹.

ეს ტრადიციული დღეობა მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედების ერთგვარი დემონსტრაცია იყო. მწერალი ქალი ასე იგონებს ილიას დღეობის ერთ ეპიზოდს: „მშვენიერი სურათი წარმოგვიდგა ყველას თვალწინ: ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილ-წყვილად, ნელა, ნელა მოდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრად მღეროდნენ“². ილიას თანასოფლელი გლეხის მოგონებაში გულუხვი მასპინძლის შესახებ ნათქვამია: „თითონ თავზედ დაგვადგებოდა და ძალიან გულითა გვთხოვდა, კარგად იქეიფეთო. ილიას კახური სიმღერები და „მრავალქამიერი“ უყვარდა ძალიან“³. ყოფილი მეხბორეს გადმოცემით, „ილიაობას ყველა მხრიდან იყრიდა ხალხი თავსა... ას კაცზე მეტი მარტო ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე ილიაობას. ყველა სოფლის ხალხს ცალ-ცალკე დასხამდა საქეიფოდ. უსათუოდ მოვიდოდა ხოლმე ჩვენთან სუფრაზე, დაგვხედავდა, ხევსურებთანაც ყოფნა ძალიან უყვარდა, სუფრაზედ ხევსურების სიმღერა“⁴. ილიას უყვარდა ღრმა პატრიოტული, მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი სიმღერები. ამგვარი სიმღერები განსაკუთრებული ძლიერებით ხვდებოდა სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით ანთებულ პოეტის გულს.

მეტად საინტერესოა ცნობა გ. ლასხიშვილის მემუარებიდან. გ. ლასხიშვილი იგონებს ზაფხულობით საგურამოში დიდ მწერალთან გატარებულ ღროს, იგონებს „ილიაობას“ და დღეობის ობიექტის შესახებ წერს: „ძალიან უყვარდა სიმღერის მოსმენა, მაგრამ თვითონ არც ხმა ჰქონდა, არც სმენა. ძალიან უყვარდა სიმღერა „მუმლი მუხასა“ და ეს იყო, მგონი, ერთადერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

„მუმლი მუხასა
გარს ეხვეოდა“,—

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალი ხმით, მაგიდაზე მუშტის დაკვრით, გაათავებდა:

¹ „ლიტერატურული მატრიანე“, წიგ. 1—2, გვ., 102.

² იქვე, გვ. 104—106.

³ იქვე, გვ. 215.

⁴ იქვე, გვ. 212.

„მუმლი დაიხრჩო,
მუხა გადარჩა“,—

ისეთი ახალგაზრდული გატაცებითა და გრძნობით შეჰყვირებდა, თითქო თვალწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდნენ საქართველოს მტერნი (მუმლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო)“. ამავე მემუარებში ვკითხულობთ: „სადილის დასრულებამდე ილია ჩავიდოდა ეზოში გლეხებთან, იქ დაღევდა მათთან და ამღერებდა ხალხურ ლექსებს. ნასადილევს გაამართვინებდა კიდობას, რომელშიაც ჩამოსული სტუმრები იღებდნენ მონაწილეობას“¹.

ამგვარად ეცნობოდა პოეტი მშობლიურ ხალხურ შემოქმედებას. მოგონებებიდან ირკვევა, რომ ტრადიციულ დღეს მშრომელი ხალხის შემოქმედებით უნარს ეცნობოდა არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძე, არამედ სტუმრად მოსული სხვა მოწინავე ქართველი ინტელიგენტებიც. ისინი იქვე ახდენდნენ ნიჭიერ სახალხო მთქმელთა რეპერტუარის ფიქსაციას.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1949 წელს მცხეთის რაიონში მოწყობილი ექსპედიციის მასალები. ნიჭიერმა მოლექსემ, წინამძღვარიანთკარის მცხოვრებმა თედო გულბათაშვილმა, მისი რეპერტუარის ჩაწერისას, ცნობილი შრომის სიმღერის „სახნისმა სთქვას“ შესახებ ექსპედიციის წევრებს აცნობა: „მე ევა სათამაშო სიმღერაში ვთქვი საგურამოში, ჭავჭავაძის დღეობაზე. ერთმა, წერაკითხვის იმიდანა გამიყვანა განზედა, ჩაწერა ეს სიმღერა და ერთ კვირაში „ღედა ენაში“ გამოვიდა. სტუმარი იყო ქალაქიდან... მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, თუ ახლა ცოცხალია, მოხუცებული იქნება“. მთქმელის მიერ მოხსენებული ჩამწერი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რომელიმე წევრი იქნებოდა.

ილიას დღეობაში საინტერესოა მთქმელის თედო გულბათაშვილის მონაწილეობის შესახებ აგრონომმა ლევან წინამძღვარიშვილმა ექსპედიციის წევრს ფოლკლორისტს თამარ ოქროშიძეს აცნობა: „თედოს წინამძღვარიანთკარში პაპანთ თედოს ეძახდნენ. ილიას დღეობა ისე არ იქნებოდა, რომ თედო და მასთან ერთად რამდენიმე გლეხი არ მოსულყვნენ. იქ თედო მღეროდა, შაირებს ამბობდა, საერთოდ განთქმული იყო თავის მოლექსეობითა და სიმღერით. ილიას უყვარდა ასეთები“. თამარ ოქროშიძემ დაადგინა, რომ ილიას დღეობაში ფიქსირებული თედო გულბათაშვილის ნათქვამი ლექსი მართლაც ჩქარა გამოუქვეყნებიათ დღეობის შემდეგ, მხოლოდ არა „ღედა ენაში“, როგორც ეს მთქმელს ახსოვდა, არამედ—„ივერიასი“ 1888 წელს 12 აგვისტოს, № 169². ამგვარად, დასტურდება, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები დღეობაზე იწერდნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და აქვეყნებდნენ პერიოდიკის ფურცლებზე. ეს ფაქ-

¹ გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფილისი, 1934 წ., გვ. 92—93.

² იხ. თ. ოქროშიძე, მოლექსე გუთნის დედა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ.,

ტიც ნათელი მაგალითია ხალხური შემოქმედებისადმი ილია ჭავჭავაძის დიდი მზრუნველობისა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული ინტელიგენციის მედროშე თავის დღეობასაც მშრომელი ხალხის შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნების ერთ-ერთ საშუალებად იყენებდა.

* * *

მრავალი მოგონება გვაცნობს, თუ რა გარემოში ისმენდა და იწერდა ილია ჭავჭავაძე ხალხური სიტყვიერების იმ ღრმა შინაარსის მაღალმხატვრულ ნიმუშებს, რომლებიც გამოქვეყნებულია პერიოდიკის ფურცლებზე. მის მიერ შეკრებილი მასალების ნაწილი ილიამ გადასცა ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრების ორგანიზატორს პეტრე უმიკაშვილს¹.

ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები სათაურით „გლეხური სიმღერები“ დაიბეჭდა 1873 წელს „კრებულის“ ნომრებში, თუ როგორ აფასებდა მწერალი ამ სიმღერებს, ეს ჩანს პირადი წერილიდან კირილე ლორთქიფანიძისადმი: „...გივზავნი გლეხურ სიმღერებს, ოცდაათზე მეტია. გამოიზოგე. სხვა ლექსებს ველარ გივზავნი მიზებისა გამო სხვისა და სხვისა. ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია“². ილიას ჩანაწერები გამოქვეყნდა აგრეთვე „ივერიის“ ფურცლებზე სათაურით „ამბავათ გაგონილინი“³.

ილია ჭავჭავაძის ფოლკლორ-შემკრებლობითი მუშაობა, ისე როგორც ყოველი მისი წამოწყება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, მისაბამი იყო მისი თანამედროვე ყველა მოწინავე ადამიანისათვის. ხალხური შემოქმედების დიდი მოყვარული და შესანიშნავი მცოდნე, ილიას უფროსი თანამოღვაწე, გამოჩენილი მწერალი რაფიელ ერისთავი სათანადოდ გამოეხმაურა „კრებულის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების გამოქვეყნებას. „კრებულის“ იმავე წლის ნომერში რაფიელ ერისთავმა დაბეჭდა ხალხური პოეზიის რამდენიმე ნიმუში შესრულების წესების აღნიშვნით. მის მიერ შეკრებილ ნიმუშებს რ. ერისთავმა წაუმძღვარა წინასიტყვაობა, რომელშიც გამოთქვა აღფრთოვანება ილიას მიერ დიდი ეროვნული საქმის წამოწყების გამო. რ. ერისთავმა ხაზგასმით აღნიშნა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა მიერ წამოწყებული შემკრებლობითი მუშაობის დიდი მნიშვნელობა ეროვნული კულტურის გამდიდრებისა და შესწავლის საქმეში⁴.

ილია ჭავჭავაძე გულისხმიერებით მოეკიდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების პროგრამას, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

¹ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბილისი, 1937 წ.

² ილია ჭავჭავაძე, წერილები, გვ. 32.

³ „ივერია“ 1877 წ., № 5. ეს მასალები, როგორც ილიას მხატვრული პროზის ნიმუშები, შეცდომით შეტანილია მის თხზულებათა პირველ ტომში და დათარიღებულია 1887 წლით.

იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, თბ., 1937 წ., გვ. 422—423.

⁴ რ. ერისთავი, ქართული სახალხო პოეზია, „კრებული“, 1873 წ. № 7.

მისი თავმჯდომარეობით ჩატარდა სხდომა, რომელმაც განიხილა პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის შედგენილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების პროგრამა¹. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს ფართოდ კარები პირველად იღია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამო-სულმა „საქართველოს მოამბემ“ გაულო.

* * *

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა ფოლკლორისტიკის თეორიულ საკითხებს. იგი იცნობდა მსოფლიო ხალხურ შემოქმედებას. ქართულ მასალებს სწავლობდა სხვა ხალხთა მასალებთან ურთიერთობისა და შედარების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ქართულ სინამდვილესთან დავკავშირებით. საქართველოს საჯარო წიგნთსაცავში დაცულია მისი პირადი ბიბლიოთეკა, სადაც, სხვათა შორის, ინახება ანთროპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ედ. ტეილორის ნაშრომების რუსული თარგმანები². ეს ნაშრომები სავსეა ილიას შენიშვნებით, შინაწერებითა და განახაზვებით³. ილიას გულმოდგინეთ განუხილავს ეს ნაშრომები. წიგნში საილუსტრაციოდ მოყვანილი მსოფლიო ხალხური შემოქმედების მასალებისათვის მიუწერია მსგავსი ქართული ანდაზები, ზღაპრის პერსონაჟების სახელწოდებანი, ხალხური რწმენანი და სხვ.

ილია ჭავჭავაძემ საგანგებო წერილები მიუძღვნა ხალხური შემოქმედების საკითხებს. ამ წერილებში მოცემულია ღრმა მეცნიერული თვალსაზრისი ხალხური შემოქმედების მნიშვნელობაზე. მცირე მოცულობის წერილი „ხალხის ზნეჩვეულებათა შესახებ“—ბევრის მხრივ არის საინტერესო. მასში სწორადაა ახსნილი გასული საუკუნის. მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გატაცება ხალხური შემოქმედებით. წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრება და გამოქვეყნება დიდი ეროვნული საქმეა. ილიას მიერ მართებულად არის გაკრიტიკებული საგნით ცალმხრივი გატაცება, რასაც საქმისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. წერილში დაყენებულია საკითხი ხალხური შემოქმედების მოსაზღვრე დისციპლინებთან მჭიდრო კავშირში შესწავლისა. ხალხური შემოქმედების ბუნების გასაგებად მოსაზღვრე დისციპლინების გათვალისწინების საჭიროების საკითხი ილიამ მკვეთრად დააყენა სხვა წერილებშიც. წერილში „ერი და ისტორია“ შესანიშნავად არის დასაბუთებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური შემოქმედების ჭეშმარიტი რაობის შესაცნობად, მისი იდეურ-მხატვრული ნხარის გასაგებად ისტორიის საფუძვლიან ცოდნას.

¹ თ. ოქროშიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, გვ. 408.

² Э. Тейлор, Первобытная культура, т. I, R $\frac{146-104}{3}$; Его же, Антропология,

R $\frac{146 \cdot 806}{3}$.

³ ამის შესახებ გვაცნობა თამარ მაჭავარიანი.

ილია ჭავჭავაძეს განწირულად მიაჩნდა ერი „რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუფიწყნია“. განწირულად მიაჩნდა იგი ერი „იმიტომ რომ რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის“. ილიამ აღინიშნა ხალხური შემოქმედების დიდი ისტორიული ღირებულება: მან აღნიშნა, რომ ხალხურ შემოქმედებაში მოიპოვება მდიდარი მასალა ერის წარსულისა და აწმყოს შესაცნობად და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ისტორიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ამ მასალას გამოცლილი აქვს ყოველგვარი შთამაგონებელი ძალა. ფოლკლორისტიკაში სახელმძღვანელოდ დარჩება დიდი პატრიოტული მგზნებარებით დაწერილი სტრიქონები ისტორიისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის შესახებ. ილიას მოსაზრებით, ერს, რომელსაც დავიწყებული აქვს თავისი ისტორია „არ იცის რა გაიმავროს, რისთვის გაწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხქვეშ დამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტინი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწნამოქმედარისაგან საშვილი-შვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად; იგი დიდება, იგი სახელი, რომელსაც ამისთანა ერი ჩინარჩუნებს ხოლმე წარსულისაგან თავის გულში, თავის სამღერალსა და საგალობელში, თავის ზღაპრებსა და მოთხრობებში, მართალია, ბევრს ანუგეშებს ხოლმე ჭირსა და ლხინში, მაგრამ, როცა დრო მიდის, ეგ ნუგეშიც, ისტორიის დავიწყებასთან ერთად, ნელდება და თანდათან ჰქრება. იმიტომ რომ სამღერალსა და საგალობელში, ზღაპრებსა და მოთხრობებში ჩარჩენილნი სახსოვარნი, ისტორიის დავიწყების გამო, მართალს აღარა ჰგვანან და უაზრო და უსაგნო ზღაპრად-ღა გარდაიქცევიან, როგორც მთქმელის, აგრეთვე გამგონის თვალშია. ამის გამო ამ სახსოვრებში ის ცეცხლმოსაკიდებელი ძალ ღონე აღარ არის, რომელიც კაცს ააფეთქებს ხოლმე მოქმედებისა და გარჯისათვის, და რაკი ეს არ არის, ყოველი ეს განძი და საუნჯეც — კი, წარსულისაგან გადმოლოცვილი, ამაო და ფუჭია ერის გამხნეებისათვის, ერის დღევრძელობისათვის“¹.

ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა ილია ჭავჭავაძის წერილი „ქართული ხალხური მუსიკა“². იგი დაწერილია ქართული ხალხური სიმღერების გამო, რომელიც შესრულებული იყო აღნიშნული მხარის მიერ 1886 წელს ქართულ თეატრში გამართულ კონცერტზე. ამ წერილში მკვეთრად არის დასმული ტექსტისა და მელოდიის მჭიდრო კავშირის საკითხი. ილიამ სათანადოდ შეაფასა სიმღერის დიდი შთამაგონებელი როლი, მისი არაჩვეულებრივი გამომსახველობა.

სიმღერა, პოეტის სიტყვებით, „განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნებისა“, გამომსახველია მისი ლხინისა და მწუხარების. სიმღერის შთამაგონებელი მნიშვნელობა მწუხარებაში გამოიყენა პოეტმა პატრიოტული გრძობის გამოსახატავად გაცილებით უფრო ადრე დაწერილ პატარა ლექსში:

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 11, გვ. 509—510.

² იქვე, 11, გვ. 130—134.

„როცა წუხილი მზაგრავს უწყალო“¹.

სიმღერის ამგვარი დანიშნულება გამოყენებული აქვს მწერალს მხატვრულ პროზაშიც. ოთარაანთ ქვრივი თავის გამრჯე მიუღწევს ასე დასტირის: „ჭირიცა და ლხინიც სულ მღერითა და ვალობით იცოდა“². სიმღერის ამგვარი ფუნქცია გამოყენებულია აგრეთვე ქართული ლიტერატურის განვითარების გზების კანონზომიერების გასათვალისწინებლადაც. ილიამ აღნიშნა, რომ ლირიკა „მწერლის გულთა წვა-დაგვის“ გამომხატველია. ლირიკის წამყვანი როლი ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის 30-იან წლებში და, კერძოდ, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ილიამ საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ვითარებით ახსნა. ამისათვის მან მოხდენილად გამოიყენა სიმღერის შთამბგონებელი ძალა: „ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ ამისთანა მგალობელი მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილი ცხოვრებისათვის: ქანც-გაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი, და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო, თვისთა მწერალთა ტკბილი ვალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი“³.

ამავე წერილში ილიამ კალმის ერთი მოსმით დაახასიათა ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებები. დიდი ცოდნითა და ღრმა გრძნობით არის დახასიათებული „ზარი“, „მაყრული“ და „ორპირი“.

ილიას აღნიშნული აქვს ქართული ხალხური სიმღერის უაღრესად ნაციონალური ხასიათი, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მუსიკის ისტორიისა და თეორიის გასათვალისწინებლად. მისი დებულებით, ქართული ხალხური სიმღერა „თვითმყოფი სიმღერაა, და ამ მხრით მუსიკის მკოდნე კაცთა თვალში ქართული სიმღერები სრულს ახალს ამბავს უნდა წარმოადგენდეს მუსიკის ისტორიისა და თეორიისათვის“⁴.

* * *

ილია ჭავჭავაძის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მეცნიერული შეხედულებანი ხალხური შემოქმედების რაობაზე, ცალკეულ ჟანრთა ნაწარმოებებზე და მათ სოციალურ ფუნქციაზე. მწერლის პათეტიკური მიმართვა ანდაზისა და მისი მთქმელისადმი „კაცია ადამიანის“ შესავალში მოხდენილი დახასიათებაა ფოლკლორის ერთი სპეციფიკური ჟანრისა და შემოქმედთა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელი? ვიცი, სადაცა ხარ ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუტკდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1, გვ. 68.

² იქვე, გვ. 429.

³ ი. ჭავჭავაძე, წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, თხზ., სრ. კრებ., 11, გვ. 79.

⁴ იქვე, გვ. 133.

პოლემიკურ წერილში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ მოცემულია ზუსტი განმარტება ზღაპრისა, იგავისა და არაკისა.

ილიამ აღნიშნა ხალხური შემოქმედების აღმზრდელონითი მნიშვნელობა მისი დიდი შთამავონებელი ძალა. უაღრესად პატრიოტულ წერილში „ქვათა ღალადი“, რომელშიც საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობისა და ენის საკითხები მალალ მეცნიერულ და პრინციპულ სიმაღლეზეა აყვანილი, საილუსტრაციოდ გამოყენებულია ხალხურ ლექსებში მოცემული მაღალი ზნეობრივი იდეალები. ილია ქადაგებს: „ქეშმარიტს ღირსებას ყვირილი არ უნდაო“ და აღნიშნავს: ამისათვის საკმაოა საღი ქკუა და უბრყვილო გული უბრალო გლეხკაცისაც „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან: ვაქცაი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვებარი“,—განა უბრალო გლეხ-კაცის ნათქვამი არ არის? ¹

ილია ჭავჭავაძე მალალ შეფასებას აძლევდა ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებას. მისი შეხედულებით ხალხის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე უნდა აიგოს ისტორია. მწერალმა გულისტკივილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მეფეთა და დიდებულთა ისტორია არის. მან დასაბუთებულად, მკაცრად გააკრიტიკა ისტორიისადმი ცალმხრივი მიდგომა ².

ხალხურ ნაწარმოებებს ილია არ აიგივებს ისტორიულ დოკუმენტებთან. მან მშვენივრად იცის, რომ ამ ნაწარმოებებში ბევრი რამ ხალხის ფანტაზიის ნაყოფია. იცის, რომ ისტორიკოსი ამგვარ ამბებსა და თქმულებებს კრიტიკულად უნდა მიუდგეს ³.

* * *

ილია ჭავჭავაძე სავსებით ფლობდა ხალხურ შემოქმედებას. მწერალმა მხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები მიუძღვნა სოციალური უთანასწორობის საკითხს.

დიდმა ბელადმა მაღალი შეფასება მისცა სოციალური უთანასწორობისადმი მიძღვნილ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს. მიხეილ ჭიათურელის მოგონებაში ი. ბ. სტალინთან შეხვედრაზე ვკითხულობთ: „სიტყვა ჩამოვარდა ქართველ კლასიკოს ილია ჭავჭავაძეზე, რომელიც ერთხანს მივიწყებული იყო.

—შეცდომა იყო,—შენიშნავს ბელადი,—ანალოგიური ამბავი მოხდა ლევ ტოლსტოის მიმართაც. ლენინი კი ამბობდა, რომ ამ გრაფზე ადრე ასეთის სიმართლით გლეხზე არავის დაუწერიაო. იმიტომ ხომ არ ვგრიდებით ილია ჭავჭავაძეს, რომ ის თავადი იყო? მერე და განა რომელიმე ქართველმა მწერალმა მოგვცა ისეთი ფურცლები მემამულეთა და გლეხთა ფეოდალური ურთიერთობის შესახებ, როგორც მოგვცა ჭავჭავაძემ“? ⁴

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., 11, გვ. 419.

² იქვე, გვ. 483.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრ., 11, გვ. 322—323.

⁴ ურნ. „მნათობი“, 1939 წ. № 12.

„გლახის ნაამბობი“ დაუზოგავი მხილება იყო ბატონყმობის მახინჯი მხარეებისა. ამ ნაწარმოებში ჩართული ზღაპრის, ლექსების, ანდაზების და სხვათა საშუალებით მწერალმა წაგვაკითხა სოციალური ბოროტებით გამწარებულ ყმა-გლეხთა გული; მათი საშუალებით დაგვანახა ფუქსავატი, ზვიადი, ჟინიანი ბატონის შემზარავი სახე; გაგვაცნო მეფის მოხელეთა მუხანათობა, მათი „უსამართლო სამართალი“.

ზღაპრის იდეურ-მხატვრული მხარე, მისი დიდი შთამაგონებელი როლი მწერალმა გამოიყენა მშრომელთა სულისკვეთების, მათი ფიქრისა და განცდის ასახვის საშუალებად.

მრავალი ანდაზა ამ ნაწარმოებში გამოყენებულია უფიცობისა და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად.

მოთხრობაში ჩართული მრავალი ანდაზა და სიტყვის მასალა ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოწოდების ხერხია.

ხალხური საგმირო-საისტორიო ეპოსის შესანიშნავი ნიმუშის „არსენას ლექსის“ ერთი ძირითადი ეპიზოდით არის შთაგონებული ამ მოთხრობაში ბორკილშეხსნილი, ტუსალის ფარაჯაში გამოწყობილი გაბროსა და ვაქრის შეხვედრის სცენა. უჭმელ-უსმელი, ცის ქვეშ დარჩენილი, დასუსტებული პეპას ხსნის მიზნით გაბრომ ვაქარს ჩამოართვა ცხენი, იარაღი, ტანისამოსი, საგძალი და ორიოდ თუმანიც. თავისი მოქმედება მან სახალხო გმირზე ნათქვამი სიტყვებით გაამართლა: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როდი წავახდენსო“, — იტყვის ხოლმე ჩვენი ხალხი¹.

პროგრესულ-დემოკრატიულ იდეას აძლიერებს ხალხური შემოქმედება პოემაში „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“.

ამ პოემაში პოეტს მოცემული აქვს ზუსტი დახასიათება ძველი შრომის სიმღერის ტრადიციის, მისი ფუნქციისა და ბუნების. ამით მკითხველი ღრმად იხედება სოციალური უკუღმართობით განაწამებ მშრომელთა სულში. პოემის შესავალში მოცემულია მშობლიური კუთხის გრანდიოზული პეიზაჟი მთვარიან ღამეში. ამას თან ახლავს ურმულის ტრადიციის, მისი მნიშვნელობის უტყუარი დახასიათება.

„მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზედ მეურანე
მწუხარს სიმღერას დაძღულუნებდა.
ღუღუნე იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდევც ვით ღრუბელს ქარი“¹.

ამ პოემაში ბატონყმობის მკაცრი კრიტიკის საშუალებადაა გამოყენებული „არსენას ლექსი“. მენახირეთა ყოფის აწერისას ხაზგასმულია „არსე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1.

² იქვე, გვ. 147—148.

ნას ლექსის“ დიდი შთამაგონებელი როლი სოციალური ბოროტებით დაჩაგრულთათვის.

ხალხის ხსოვნაში გმირის უკვდავების საწინდარი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაა. ამით არის დასაბუთებული არსენას სახელის უკვდავება ზაქროს სიტყვებით.

ხალხური შემოქმედება მძლავრი ფაქტორია ამ პოემის სიუჟეტის განვითარებაში. იგი საუკეთესო ხერხია პოემის გმირების მებრძოლი სულისკვეთების დასახატავად. ბუნებრივია, რომ ხალხური შემოქმედებით შთაგონებულმა ნაწარმოებმა ფართო რეზონანსი პოემა ხალხში. ცნობილია მისი ხალხური ვარიანტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალხურ ვარიანტში არსენა გაიგივებულია პოემის გმირთან ზაქროსთან¹.

წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის შესანიშნავი დასაბუთებაა „ოთარაანთ ქვრივში“ მოცემული სიმღერის დახასიათება. გიორგის ტრაგიკული სიკვდილით შეძრწუნებული არჩილი კესოსთან საუბარში წოდებათა შორის განსხვავებას ასე აღნიშნავს: „აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია“².

ოთარაანთ ქვრივი ქართველი ქალის დაუფიწყარი სახეა. იგი სახეა სიმართლის მაძიებელი, გამრჯე ადამიანისა. ასეთივე ნათელი პიროვნება იყო მისი შვილი გიორგიც. მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სოციალური ჩაგვრის შედეგად დაკარგული ჰქონდათ სიმართლის ძიებისა და პოენის რწმენა. მათი სრულყოფილად დასახასიათებლად ნაწარმოებში ჩართულია ხალხური ლექსი. ამ ლექსის ნაწილი ანდაზადაც არის გავრცელებული, მოთხრობაში დასამახსოვრებელი ეპიზოდია გიორგის მიერ ორგული და თავხედი მეჯინების დასჯა. გიორგის საქციელის გამო მსახურთა შორის გაიმართა სჯა-ბაასი:

— მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! — ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირებულ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო, იძახოდნენ მეორენი³.

საქართველოს ბედით, მშობელი ერის მთლიანობის იდეით არის შთაგონებული პოემა „აჩრდილი“. ამავე პოემაში სასტიკად არის დაგმობილი სოციალური უთანასწორობა. ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები, მათი შესრულების წესი, ათ სოციალური ფუნქცია ილია ჭავჭავაძის ჩვეულებრივი ოსტატობით არის გამოყენებული ამ ნაწარმოებში. ამ პოემის ერთი უძლიერესი ადგილი აგებულია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა წარმოშობის, სოციალური ფუნქციისა და შესრულების წესების ღრმა მეცნიერულ თვალსაზრისზე, პოეტი ქადაგებს „რომ ქვეყნად ცასა ღეთად

¹ ქს. სიხარულიძე, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, „ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 349.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1.

³ იქვე, გვ. 452.

მოუცია მარტო მამული“ და თანამემამულეთა ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების მიზნით მაღალ შეფასებას აძლევს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებსა და მათზე შექმნილ სიმღერებს:

წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ვტყვის მის სახელს
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარხედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს:
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის უამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,—
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნვევება,—
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება¹.

შრომის სიმღერებისა და მათი შესრულების წესების დახასიათება აძლიერებს ნაწარმოებში მოცემულ შრომის გათავისუფლების იდეას. პოეტმა გამოთქვა შრომის თავისუფლების გამარჯვების რწმენა².

შრომის ტყვეობაში მყოფი მავსერალისა და მომავალი, თავისუფალი „განკაცებული“, ახალი ქვეყნის შვილის შედარების მიზნით ამ სტრიქონებში დახასიათებულია სხვადასხვა ეპოქის შრომის სიმღერის ჰანგი, კილო და ბუნება. ძველი შრომის სიმღერების სევედიან ჰანგსა და კილოს ილიამ გასაოცარი წინასწარმეტყველური გრძნობით დაუპირისპირა გათავისუფლებული ხალხის შრომის სიმღერები. ილიას წინათგრძნობა გამართლდა. ჩვენს ქვეყანაში ახლა თავისუფლების სიმღერებს „ბანს გამოსცემენ“ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების „მინდორნი, ტყენი, ნახნავნი ველნი“.

„კაცია ადამიანიში“ ანდაზების საშუალებით დაგმობილია უშინაარსო ცხოვრება, სიზარმაცე, უქნარობა.

* * *

დიდმა მწერალმა ხალხური შემოქმედების ბევრ ბრწყინვალე ნიმუშს ჩაჰბერა უკვდავების სული, გადაამუშავა, განაახლა და თავის მხატვრულსა და პუბლიცისტიკურ ნაწერებში დაუკავშირა სამშობლოს ბედს.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1., გვ. 129.

² იქვე, გვ. 133.

ხალხური ლეგენდით არის შთაგონებული ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, დიადი ეროვნული გრძნობის ვირტუოზულად გამომხატველი ლექსი „ბაზალეთის ტბა“.

ხალხური შემოქმედების ნიმუშებით არის შთაგონებული და სულჩადგმული მრავალი უძლიერესი ადგილი „მგზავრის წერილებისა“. ჭავჭავაძის პირქუშა მთების ქვა-კლდე ღრეში ჭექა-ქუხილით, ზარიანი ხმაურითა და შფოთვა-ფოთვით დაუმონავი და შეუპოვარი თერგის დინება ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერლისათვის ერის გამოღვიძების, ბრძოლისა და მოქმედების სიმბოლო იყო. თვითმპყრობელობის უხეშ რეჟიმთან შეგუებულთა, ბრძოლის უნარმოკლებულთა დაუზოგავი მხილებაა ვლადიკავკავის მადამოებში მდორედ მიმავალი თერგისადმი მიძღვნილი ანდაზა-ჩართული სტრიქონები¹.

„მგზავრის წერილებში“ მოცემული იდეა „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ მწერალმა კიდევ უფრო გააღრმავა და განავითარა პოემა „განდევილში“, პოემას საფუძვლად უდევს სამიჯნურო ცდუნების მოტივზე აგებული ხალხური ლეგენდა, რომელიც ფართოდ არის ცნობილი მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძემ თავისებური სახე მისცა ხალხურ ლეგენდას და მით გამოხატა პროგრესულ-დემოკრატიული იდეა, რომლის დანერგვასაც შესწირა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე. დამტკიცებულია, რომ პოემის დაწერისას ილიამ გამოიყენა უშუალოდ ქართული ხალხური წყარო².

ხალხურ შემოქმედებასთან არის დაკავშირებული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. ქართველი ხალხის ტრაგიკული წარსულის ამსახველ პოემას პოეტმა წაუძღვარა ღრმად მოფიქრებული შესავალი. მასში მოცემულია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა შესრულების გარემოს ნათელი სურათი. ამ დიდი დაკვირვებათა და ღრმა ცოდნით არის აღწერილი საგმირო სიმღერების შესრულება. საგმირო ამბები შთამაგონებელი იყო თვითმპყრობელური რეჟიმით სულშეხუთული ხალხისათვის. ამგვარი ამბების ოსტატურად შემსრულებლები—მეფანდურეები, მესტირეები და სხვები ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ. ყველაფერი ეს ქართველი ერის დიდმა მოამაგემ გამოიყენა პატრიოტული გრძნობის გაღვიძებისა და გაღრმავების მიზნით. ფანდურის ჰანგზე შესრულებული სიმღერის კილოთი დაწერილ პოემის შესავალი ასეთია:

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1, გვ. 248—249.

² Хаханов, Гн. Чавчавадзе как этнограф. „Этнографическое обозрение“, 1908 г., кн. XXVI; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 1945 წ., ს. მაკალათია, ხვევი...; ნინო მახათაძე, ი. ჭავჭავაძის „განდევლის“ ფოლკლორული წყაროები: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნ-ტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 11; მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ., გვ. 82—83.

უქმე დღე იყო, ტვირთმძიმი და დამაშვრალი
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა:
იქვე ახლო, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.
„ეჰ, რას ჰყაყანებთ“,— დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა,—
შინაც ძლიერ ვუძლებთ დღე-მუდამის ჭირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალის გულის წადილმა...
ბრმა მეფანტურე, გვითხარ რამე, მამა-შვილობას!
გვითხარი რამე, ბერო-კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა...
კარგს მთქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული,
გული გაზრდილი ვაგბითა, წვით და დაგვითა“.
ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში.
სახე ღრუბლვითი გაუწათლდა რაღაც მადლითა;
მისწვდა, აილო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა¹.

პოემა სუჟეტურად დამოუკიდებელია ხალხური შემოქმედებისაგან, მაგრამ მასში მოხდენილად ჩართულია ანდაზები. ანდაზები სრულყოფენ პატრიოტ გმირთა უკვდავ სახეებს. ანდაზები იწვევენ აგრეთვე მძულვარებას უხეში ძალმომრეობისადმი. ბრმა მეფანტურე ყვება ამბავს მშობლიური ხალხის წარსულ ტრაგედიაზე და უკეთესი მომავლისაკენ მოუწოდებს მსმენელებს ანდაზით: „წინა კაცი უკანასი ხიდაო, ნათქვამია“². ანდაზითვე გამოხატული სამშობლოსათვის თავდადებული მეფის გონიერება: „ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო, წესია მეფეთ ქებულთა“³. განსაკუთრებით აძლიერებს ნაწარმოების ეროვნულ მოტივს ანდაზა, რომელსაც ჯალათ ყეინს წამების წინ ეუბნება შეუდრეკელი მეფე საქართველოსი: „ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ ძალა აღმართის მხვნელია“⁴.

ეს პატრიოტული პოემა გადავიდა ხალხში. ცნობილია მისი ხალხური ვარიანტი ვადმოცემის სახით⁵.

ხალხური პოეზიით არის ნასაზრდოვები მამხილებელი, ეროვნულ-პატრიოტული ლექსები: „გამოცანები“⁶ და „კიდევ გამოცანები“⁷.

ხალხური შემოქმედება ეროვნული საკითხის გაშუქების მიზნით უხვად არის გამოყენებული პუბლიცისტურ წერილებში. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდებით. წერილში „ზოგიერთი-რამ“ მწერლის მოსაზრების დასასაბუთებლად მოყვანილია ეზოპეს არაკი, რომელიც ქართულ საზღაპრო ეპოსშიც არის დამკვიდრებული⁸.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1, გვ. 163.

² იქვე, გვ. 164.

³ იქვე, გვ. 167.

⁴ იქვე, გვ. 180.

⁵ ქს. სიხარულიძე, ლიტერატ. ნაწარმოებთა ფოლკლორული ვარიანტები, „ლიტერატურული ძიებანი“, V, გვ. 357—359.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1, გვ. 82—85.

⁷ იქვე, გვ. 88.

⁸ იხ. „დედა ენა“, შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, 1895 წ. გვ. 138.

გასული საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ილია წერს: „განვითვლდით, ცალცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიქვრივით, და მაგ განვივითვლემამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკებლას მოუვიდა, ერთად ძნელად ვადასამტვრევს“¹. ამ არაკით მწერალმა ცხოველმყოფელობა მისცა ეროვნული მთლიანობის იდეას, რასაც მიეძღვნა დასახელებული წერილი. ეტყობა ილიას განსაკუთრებით მოსწონდა ეზოპეს არაკის პროგრესული იდეა, რადგან იგი გამოიყენა ჯერ კიდევ ქაბუკობაში დაწერილ პატრიოტულ ლექსში „ჩემი თარიღალი“.

თუ ჩვენში ძმობა იქნება,
საქმე არსად წაგვიხდება.
ავერ თვით დიდი ეპოზი
თავის ზღაპრით მემოწმება².

ილია ჭავჭავაძემ თავის მხატვრულ შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო ქართველი ქალის იდეალს. ქართველი ქალების ნათელი სახეები შექმნა ილიამ მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივში“, პოემა „ქართველის დედაში“ და სხვებში. ამ მხრივ არც მისი პუბლიცისტიკა ჩამორჩება მხატვრულ შემოქმედებას. ქართველ ქალებში ეროვნული გრძნობის გაღრმავებას მიუძღვნა ილიამ წერილი „პატარა საუბარი“³. ფელეტონში „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ ქართველ ქალებში ეროვნული სულის ამძლავების მიზნით გამოყენებულია საბავშვო თამაშობა. წერილში ვკითხულობთ: „მეიძლება ჩვენმა ქალებმა ქართული ლაპარაკი აღარ ითაკილონ, იქნება რაღაცა დაისწავლონ, იქნება დაისწავლონ კიდევ და ძერა-დედობის სათამაშოდ მოწყობილი ტიურნირები, როგორც იყოს, ცრემლის ფრქვევით და ვაი-ვაგლახით დასთმონ“⁴.

პოლემიკურ წერილებში ხალხური შემოქმედება საუკეთესო ხერხია ეროვნული კულტურის ღირსების დაცვისა და მეცნიერული აზრის გაღვიძებისა და განვითარებისათვის. ამ მიზნით ილიას არაერთხელ აქვს გამოყენებული ქართული ჯადოსნური ზღაპრის შესავლის იუმორისტული ხასიათის ტრადიციული ფორმულა. პირველად იგი ილიამ გამოიყენა მეზრძოლი სულისკვეთების მატარებელ წერილში „პასუხი“. წერილის დიად მიზანდასახულებას მწერალი გვაცნობს ეპიგრაფად წამძღვარებული დიდი რუსი მოაზროვნის ბელინსკის შესანიშნავი სიტყვებით: „Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже забывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватностью, критику комплиментами“⁵. ბელინსკის სიტყვებმა თავის

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 11, გვ. 54.

² ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1, გვ. 36—37.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., 11, გვ. 294.

⁴ იქვე, გვ. 257.

⁵ იქვე, გვ. 19.

დროზე შეარყია სლავიანოფილთა მოძველებული შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ქართულ სინამდვილეში ამგვარივე როლი ითამაშა ილიას წერილმა. იგი მიმართული იყო ალ. ჯამბაჯურ-ორბელიანისა და სხვა რომანტიკოსთა წინააღმდეგ, რომელნიც სამი სტატიით ამხედრდნენ ილია ქავჭავაძის მებრძოლი წერილის „ორიოდე სიტყვა კახლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“¹-ს წინააღმდეგ. ამის გამო ილია ქავჭავაძე თავის „პასუხში“ წერს: „ბარაქალა, ბარაქალა! სამისტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებით და არა თავის სტატიების ღირსებითა; იმ ზღაპრისა არ იყოს: „ასმა კაცმა ვერ შეჭამაო, ერთი კაცის ლუკმა იყოო“¹. ზღაპრის ტრადიციული ფორმულის ფრაგმენტით ამგვარად გამოხატა მწერალმა მოძველებულ შეხედულებათა უსუსურობა.

მეცნიერული აზრების დასაბუთების საშუალებად არის გამოყენებული ხალხური შემოქმედების ნიმუშები ისეთ პატრიოტულ წერილებში, როგორცაა „აი ისტორია“, „ქვათა ღალადი“ და სხვები. ამ წერილებით ილიამ მტვრად აქცია ყალბი მოსაზრებანი საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, ქართული ენისა და სხვა საკითხებზე. ჯაბადარის მეცნიერულად უსუსური წერილი „Письма о Грузии“ „აი ისტორიაში“ ასეა შეფასებული: „ჩიტი ბრდღენად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყოო“. მაგრამ რაკი წერილი ანტიპატრიოტული ხასიათისაა და აყალბებს ქართული კულტურის საკითხებს, ილიას საჭიროდ მიაჩნია მისი განადგურება. ამიტომ ზემოთმოყვანილ ანდაზას მწერალი თან დასძენს: „რაც გინდა სთქვიოთ—ბრდღენადაცა ჰღირს და დევნადაც“².

საქართველოს ისტორიისა და საერთოდ ქართული ეროვნული კულტურის საკითხებში ჯაბადარის უვიცობას ამავე წერილში სათანადო კვალიფიციას აძლევს ანდაზები: „სანეკრე ნახა სახტომი კი არ გაუსინჯაო“³; „გაჭირვება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო“⁴. არაპრინციპულობა საქართველოს ისტორიის საკითხების განხილვისას ასეა გამოხატული:

„ასე ჩემო მანახეო,
ხან ისე და ხან ასეო“⁵.

ქართული ანბანის წარმოშობაზე მცდარ შეხედულებას აბათილებს ანდაზა: „მივყვეთ ისევე მტყუანს ტყუილის კარამდინ“.

„ქვათა ღალადში“ ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პატკანოვის მცდარი შეხედულება „ქართლის ცხოვრებაზე“. პატკანოვის მცდარ აზრს მიემხრო ნიკო მარი. ილიამ მკაცრად გააკრიტიკა ნიკო მარი, რისთვისაც გამოიყენა ჯადოსნური ზღაპრის მზა ფორმულა. ილია აღნიშნავს, რომ ნიკო მარი პატკანოვის „გზაზე დამდგარა და დიდის რიხით იჭიმება,

¹ ი. ქავჭავაძე, თხზ., II, გვ. 19.

² იქვე, გვ. 330.

³ იქვე, გვ. 336.

⁴ იქვე, გვ. 342.

⁵ იქვე, გვ. 342.

თითქო მალლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ჭიანჭველას არ გაიტარებსო“¹. ნიკო მარისა და პატკანოვის ურთიერთობის გამო მოყვანილია ანდაზა: „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“².

ამავე წერილში პოლემიკის საშუალებად გამოყენებულია ზღაპრები.

*
* *

ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებელს ხალხური სიტყვიერება მშობლიური ენის ერთ საუკეთესო საზრდოდ მიაჩნდა. ზრუნავდა რა ლიტერატურული ენის გამდიდრებისათვის, მისი ბარბაროზმებისა და არქაიზმებისაგან განთავისუფლებისათვის დიდი მწერალი ენის სიწმინდის ყველა გულშემატკივარს მიზნად უსახავდა: „ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი“³. ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად აღიარა: „ხალხია ენის კანონის დამდებო“⁴. სიტყვას კი იმის მიხედვით აფასებდა „თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარჯისიაო“⁵. ასე მაღალი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ ხალხის ენას. მას იზიდავდა ხალხის უნარი ღრმა აზრის პოეტურად გამოხატვისა. ამ მხრივაც დიდმა პოეტმა ბევრი რამ აიღო ხალხისაგან. ილია ჭავჭავაძის ენის სიმდიდრე და მიმზიდველი სისადავე, მისი სტილის სიმსუბუქე, სინატიფე და დახვეწილობა, მისი არაჩვეულებრივი უნარი მდიდარი აზრის მკაფიოდ და ლაკონურად გამოსახვისა უნდა აიხსნას მის მიერ უხვად გამოყენებული ხალხური შემოქმედების ნიმუშების გათვალისწინებით.

ანდაზა რომ აზრის სხარტად გამოხატვისა და ენის დახვეწილობის ნიშნად მიაჩნდა მწერალს, ეს მრავალი მაგალითიდან ჩანს.

მდიდარი აზრის ძლიერადა და ნათლად გამოსახატავად ილია ხშირად იყენებდა ხალხურ ეპითეტს. სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიგონებთ. ილია ჭავჭავაძემ მეტად მაღალი შეფასება მისცა ერეკლე მეორის გარდაცვალებზე შეკმნილ ხალხურ ლექსს.

პოეტს ხიბლავდა ამ ლექსის უშუალოება. დიდმა შემოქმედმა ხალხური ლექსის მხატვრული სახე-ეპითეტი, სიმბოლო ხალხის წრფელი, მგზნებარე გულიდან ამოსროლილ ასაფეთქებელ წამლად მიიჩნია. ამ მხრივ მან ხალხური ლექსი ინდივიდუალურ შემოქმედებაზე მალლა დააყენა. ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან ასი წლის თავთან დაკავშირებით პოეტი წერს: „თვითეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო,—ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე,—დამარხულია მთელის ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითეულად, მაშ უფრო ბევრ-რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარე-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., II, გვ. 432.

² იქვე, გვ. 438.

³ იქვე, გვ. 27.

⁴ იქვე, გვ. 29.

⁵ იქვე, გვ. 32.

საო“. უფრო ზედმიწევნით დავიხატა დიდ-ბუნებოვანება მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ველარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“. ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედ-გამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგეთა ქართველნი, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო. ასე ამოიკენესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი მისი ისტორიული ხატი ეს არის და, თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდ-ბუნებოვანობისა. ეს რკინის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვაა ერის გულისთ შობილი და ერის ელდაცემულ გულიდამევე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალეებით უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არსად არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდღვაწლოდ ძნელი საშოვარი განძია და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს¹.

ამ სიტყვებით ილიამ ზედმიწევნით განსაზღვრა ხალხური ლექსის იდეურ-მხატვრული მხარე, მისი დიდი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება. მაგრამ ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, შემდეგ მწერალმა როგორ გამოიყენა მის მიერ ასე დაფასებული ხალხური ეპითეტი ეროვნულ საკითხზე მსჯელობისას. ამ ეპითეტის საშუალებით როგორ გაამდიდრა საკუთარი ენა, მკაფიოდ და ნათლად გამოხატა ღრმა აზრი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავზე დაწერილ წერილში, ილიამ აღნიშნა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური პირობებით იყო ნაკარნახევი. ამ აზრის ნათელსაყოფად მან მოხდენილად გამოიყენა ხალხური ეპითეტი: „დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარ-ლია შექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყემულ მტერს“,² ასე სწორი პოლიტიკური აზროთი შეაფასა ილიამ საქართველოს რუსეთთან შეერთება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალს მისი სამშობლო წარსულში დაკნინებულად ჰყავდა წარმოდგენილი. „ქვათა ლაღადში“ საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა შორის გაკრიტიკებულია ქიშმიშოვიც XVIII საუკუნის საქართველოს ვითარების არასწორი დახასიათების გამო. ერეკლე

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., II, გვ. 547.

² იქვე, გვ. 492.

მეორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ილია წერს: „მართალია, შეგვეხსნა იგი რკინისკარი, მაგრამ საამისოდ-კი მაინც საქმე არ გავგზდომია, რომ დიდსა და პატარას ხორცი ევლიჯნა საქართველოსთვის“¹. თუ როგორ ამდიდრებდა მწერალი თავის ენას ხალხური გამოთქმებით, ეს სხვა მაგალითებიდანაც ჩანს. 1873 წელს ილიამ გამოაქვეყნა მის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი.

დაებერდი, მშვილდი ძირს დავდე,
მალლა მთაშია ძეგს სადმე,
დალაება, ალყა აჰსძვრება,
არ მიაღვება მზე სადმე².

პოეტს მოსწონებია ამ ლექსში სიბერისა და უძღურების გამოხატვა „მშვილდის ძირს დადებით“. შემდეგში ეს ხალხური პოეტური სახე მან გამოიყენა საკუთარ მხატვრულ შემოქმედებაში. მოვიგონოთ ეპიზოდი მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“. მრავალგვარი უსამართლობისაგან გაბოროტებულმა ობოლმა ბიჭებმა მძინარე მეურმეს პეტრეს გაძარცვის მიზნით ჯიბე მოჭრეს. ამის გამო პეტრე ამბობს: „არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო, ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი:—მამა,— დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურმეობაში ველარ გამოდგებო“³. „ოთარაანთ ქვირივშიც“ იმავე ხალხური გამოთქმით არის გამოხატული სიბერე: პეტრემ ვერ მოახერხა სათივის სწორად დადგმა, რის გამოც გულისტივილით თქვა: „კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს“⁴.

თუ როგორ მოსწონდა დიდ შემოქმედს ხალხურ ნაწარმოებთა კილო და სტილი და უახლოვდება მას თავის მხატვრულ ენას, ეს ჩანს მისი პირადი წერილიდან პეტრე ნაკაშიძისადმი, რომელსაც უძღვნა პოემა „ქართვლის დედა“. ილია წერს: „პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონება მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოუხრიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია“⁵. ხალხმა სასიმღეროდ აიტაცა ეს სიმღერა, რომელიც მართლაც ხალხურ კილოზეა დაწერილი⁶.

*
* *

ილია ჭავჭავაძის მხატვრული ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხურ პოეზიასთან. პატრიოტული ლექსის „ნანას“ ხასიათი ხალხურია. ხალ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., II, გვ. 444.

² „კრებული“, 1873 წ., № 10.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., 1, გვ. 409.

⁴ იქვე გვ. 458.

⁵ ი. ჭავჭავაძე, წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით, სოხუმი, 1949 წ., გვ. 36.

⁶ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1, გვ. 143.

ხურია მისი მისამღერიც¹. ხალხური გამოცანების ჟანრითაა დაწერილი ლექსები: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“².

კაცთმოყვარეობა და მაღალი ზნეობა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ზოგჯერ ხალხური სიტყვიერებით არის გამოხატული. სანიმუშოა ამ მხრივ მღვდლის სიტყვები „გლახის ნაამბობიდან“.

„ყველაფერი საღმრთოა, ჩემო ძმაო, რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრის არ იყოს, სანთელივით და სხვისთვის კი გაუნათებია“.³

მთელ რიგ ნაწარმოებებში ზღაპრის მოტივებით, ანდაზებითა და სხვებით მოცემულია გმირის ხასიათი და თვისებები. „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით გიორგის ეაქაცობა, თავისუფლებისადმი სიყვარული და ამავე დროს მშობელი დედისადმი უდიდესი მოკრძალება გამოხატულია ზღაპრის ტრადიციული ფორმულით: „შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჯიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის ღლეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა“⁴.

ამავე ნაწარმოებში დედა-შვილის მსგავსება გამოხატულია ანდაზით: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“⁵.

ხალხური შემოქმედების საშუალებით ილიას ნაწერებში ზოგჯერ საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი მრავალფეროვანი ბუნებაა განსახიერებული. დიდაქტიკური ზღაპრიდან წარმოშობილი და გავრცელებული გამოაქმით „გლახის ნაამბობში“ დამახასიათებელია საქართველოს მდიდარი ბუნება და ნოყიერი ნიადაგი: „...ყველგან, ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც—გლახისა არ იყოს—ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბღერტია“, ყველგან კაი აღგიღებია“.

ამგვარი მაგალითები დაუსრულებლად შეიძლება გაიზარდოს. ეს მაგალითები მიჩვენებელია იმისა, რომ ხალხური შემოქმედება დიდი მწერლის მხატვრული ენის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა.

* *

ილია ჭავჭავაძე მეტად თავისებურია ხალხური შემოქმედების გამოყენებაში. მის შემოქმედებაში იშვიათად არის ჩართული გადაუმუშავებელი ხალხური ტექსტი. თვით ანდაზებიც კი, რომლებიც ხალხურ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა თავისი მტკიცედ შეკრული აღნაგობით, საგრძნობლად გადამუშავებულია. ხშირ შემთხვევაში აზრის ეს შეკუმშულად და სხარტად გამოხატველი ფორმულა დანაწევრებულია და ისეა ჩართული ილიას შემოქმედებაში.

* *

ხალხურ შემოქმედებასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უდიდესი მწერლის ზოგი ნაწარმოები შესულია ხალხური შემოქმედების სალაროში.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1, გვ. 40.

² იქვე, გვ. 82—90.

³ იქვე, გვ. 283.

⁴ იქვე, გვ. 436.

⁵ იქვე, გვ. 264.

ხალხმა სასიძღვროდ აიტაცა შესანიშნავი ნიმუშები ილიას ლირიკისა: „გახსოვს ტურფავ“ და „სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი“.

* * *

ასე მრავალმხრივია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. ხალხური შემოქმედება უდიდესმა მწერალმა მშობელი ქვეყნის სამსახურში გამოიყენა. ეროვნული კულტურის ეს ძვირფასი საგანძური მისი დიადი შემოქმედების იდეური და მხატვრული სრულქმნის, მისი ხალხურობის ერთი მძლავრი ფაქტორთაგანია. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშემ, როგორც ვნახეთ, მაღალი შეფასება მისცა ხალხურ შემოქმედებას. ბევრი მისი მოსაზრება ხალხური შემოქმედების მნიშვნელობის, მისი შესრულების წესებისა და ცალკეულ ჟანრთა შესახებ სახელმძღვანელოდ დარჩება ფოლკლორისტიკაში. ილია ჭავჭავაძის დამსახურება ამ დარგში თავის დროზე სათანადოდ იქნა შეფასებული. მისმა თანამოღვაწემ და თანამებრძოლმა, ქართული ფოლკლორისტიკის ერთმა ფუძემდებელთაგანმა პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა საგანგებო წერილი დაწერა ილია ჭავჭავაძის ეთნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ¹. რუსეთის ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ კი პროგრესულ-დემოკრატიული იდეების მქადაგებელი დიდი ქართველი მწერლის ხსოვნას საგანგებო სხდომა მიუძღვნა მისი ვერაგული მკვლევლობის წლისთავზე, რომელზედაც, სხვათა შორის, სიტყვებით გამოვიდნენ ცნობილი ფოლკლორისტი ვს. მილერი, ალ. ხახანაშვილი და დ. არაყიშვილი².

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

К. А. Сихарулидзе

Илья Чавчавадзе и народное творчество

Резюме

1. Грузинская словесность второй половины XIX века характеризуется усилением взаимообогащения литературы и народного творчества.
2. Взаимообогащение литературы и фольклора—одна из основных проблем советской фольклористики. Эту проблему особенно актуальной де-

¹ „Этнографическое обозрение“, 1908 г.

² Там же, 1909 г.

лают гениальные труды И. В. Сталина: „Марксизм и вопросы языкознания“, „Экономические проблемы социализма в СССР“.

Непрерывно возрастающее художественное творчество трудового народа, народные идеи, сюжеты, образы, народный язык—всегда были и будут неиссякаемым источником литературы. Прогрессивная литература всегда имела и будет иметь влияние на развитие народного творчества. Гениальные труды И. В. Сталина по-новому освещают вопрос использования классического народно-поэтического наследия писателями и народными сказителями,—вопрос традиции и новаторства в народном творчестве.

3. Знаменосец национально-освободительного движения в Грузии второй половины XIX века, великий грузинский писатель Илья Чавчавадзе, большое внимание уделял народному творчеству. Рост интереса к народному творчеству в Грузии во второй половине XIX века непосредственно был связан с процессом окончательного формирования грузинского народа в нацию.

4. Илья Чавчавадзе, так же как и великие русские революционные демократы—Белинский, Чернышевский, Добролюбов, Некрасов и др., к народному творчеству подходил с демократических позиций. Многогранная деятельность Ильи Чавчавадзе ясно показывает, как высоко ценил писатель значение народной словесности в обогащении литературного языка,—в изучении прошлого и настоящего родного народа, в понимании и улучшении настоящей и будущей жизни народа.

5. СобираТЕЛЬСкая работа Ильи Чавчавадзе по народному творчеству является образцовой и в настоящее время. Писатель непосредственно знакомился со сказителями, наблюдал процесс живого творчества трудового народа и, таким образом, собирал жемчужины народного творчества.

6. Проблемам народного творчества Илья Чавчавадзе посвятил интересные статьи. Кроме того, в произведениях писателя, в связи с национальными и социальными проблемами, встречаются глубоко-научные теоретические высказывания о народном творчестве. Поэт высоко ценил большое познавательное и эстетическое значение народного творчества. Точным методом изучения народного творчества Илья Чавчавадзе считал сравнительно-исторический метод.

7. Илья Чавчавадзе ставил вопрос о изучении народного творчества в тесной связи со смежными дисциплинами фольклористики—с историей, этнографией, искусствоведением, языкознанием, литературоведением и др.

8. В бессмертных произведениях писателя образцы народного творчества служат средством усиления мотивов борьбы против социальной несправедливости („Призрак“ „Человек ли он?“, „Разбойник Како“, „Рассказ нищего“, „Вдова из дома Отарова“ и др.)

9. Во многих произведениях Ильи Чавчавадзе народное творчество углубляет патриотические мотивы („Базалетское озеро“, „Призрак“, „За-

„ისკი проезшего“, „Царь Дмитрий Самоотверженный“, „Вопящие камни“, „Вот история“ и др.).

10. Основоположник нового единного грузинского литературного языка, Илья Чавчавадзе, народную словесность считал одним из источников обогащения родного языка. В борьбе против варваризмов и архаизмов в литературном языке писатель призывал своих соотечественников к глубокому изучению народного языка; народных выражений. Писатель сам часто применял народные художественные эпитеты, выражения и др.

11. В произведениях Ильи Чавчавадзе редко встречаются необработанные народные тексты. Народные произведения писатель обрабатывал в духе своего времени, обновлял их, вкладывал в них героический дух и искусно применял в борьбе за развитие и обновление жизни.

12. Многие произведения Ильи Чавчавадзе имеют фольклорные варианты.

3. ნათამი

გაზეთი „ლრთა“ ი. ს. ზარგენიძის შესახებ

XIX საუკუნის მთელ მანძილზე ქართული ჟურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ რუსული ლიტერატურის საკითხებს; იბეჭდებოდა რუსულიდან ნათარგმნი ნაწარმოებები, ციტატები რუსული ლიტერატურიდან, რუსი მწერლებისა თუ საზოგადო მოღვაწეების აზრი. რუსეთთან საქართველოს შეერთებას, ფეოდალურის ნაცვლად ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დაწყებასა და საქართველოში ბიუროკრატიული აპარატის გაჩენასთან ერთად რუსული ენა ჩვენში აუცილებელი გახდა საქმიან ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინი წერს: „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“¹.

ინტერესი რუსული კულტურისადმი საქართველოში ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში გაჩნდა, XIX ს. დასაწყისიდანვე გაღრმავდა, ხოლო განსაკუთრებული სიძლიერით იგი გაფართოვდა 60-იანი წლებიდან, ახალი სოციალური ძალების ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლასთან დაკავშირებით, როდესაც რუსი რევოლუციური დემოკრატები თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ახალ პროგრამას აყალიბებენ. ქართველი მოწინავე საზოგადოება ხარბად დაეწაფა მოძმე ერის იდეურად მტკიცესა და კაცთმოყვარე მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც მისთვის მასაზრობელებელ წყაროდ გადაიქცა.

საერთო მტრის, მეფის რეაქციული რეჟიმისადმი სიძულვილმა ქართველი და რუსი მოწინავე ინტელიგენციის ინტერესები გადანასკვა და შეადულაბა.

XIX საუკუნის საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრალური პრობლემა გლახთა საკითხი იყო. აქაც გლახნი ისევე იქნა მოტყუებული, როგორც რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. რუსი რევოლუციური დემოკრატების იდეებზე აღზრდილი ქართველი ინტელიგენცია საქართველოს ნიადაგზე ცდილობდა ამ იდეების განხორციელებას და თვალყურს ადევნებდა რუსეთის საზოგადოებრივ აზრს, რუსულ ლიტერატურას, რუსეთის მოწინავე ადამიანების ცხოვრებასა და ბედს. რუსეთი მძლავრი ფაქტორი გახდა საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში. მარტო 1863 წლის განმავლობაში ჟურნალმა „საქართველოს

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 1948 წ., ტ. 3. გვ. 704.

მოამბემ“ შეიღჯერ დაბეჭდა რუსი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანი თუ წერილი რუსი მწერლის შესახებ. აქ ვხედავთ ბელინსკის, დობროლოუბოვის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის სახელებსა და მათ ნაწარმოებებს („ჩვენი დროების გმირი“, „უბედური ჭკუისაგან“, „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ და სხვ.).

ი. ს. ტურგენევი პირველად დაანახა მკითხველს XIX საუკუნის რუსეთის სოფლის კლასობრივი დიფერენციაცია და სოციალური წინააღმდეგობანი. თუ გავიხსენებთ, რომ მის ნაწარმოებებში ჩანს პუბლიცისტური ტენდენციურობა, თუ გავიხსენებთ, რომ „მონადირის ჩანაწერებში“ ფაქტები ისეა მოცემული, რომ მკითხველი ერთადერთ სწორ დასკვნამდე მიდის, რომ ბატონყმურ ურთიერთობაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობა უნდა მოისპოს, რადგან ასეთი წყობა ფიტავს ხალხის მატერიალურსა და სულიერ შესაძლებლობებს; თუკი ყველაფერს ამას გავიხსენებთ, გასაგები გახდება ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართველი საზოგადოება იჩენდა ტურგენევის შემოქმედებისადმი. ქართველებს აინტერესებდათ მწერლის ნაწარმოებთა სოციალური პრობლემატიკა, საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა ღრმა ანალიზი; ტურგენევის შემოქმედება ქართველებს აინტერესებდათ როგორც რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. გაზეთი „დროება“ წერდა ტურგენევიზე: „...ფეხდაფეხ მისდევდა იგი ყოველს პერიოდს, რომელიც რუსეთის ცხოვრებამ გაიარა 1840—70 წლებში. ვინ არ იცნობს იმის სიტყვა პრიალა რუდინს, მის ბაზაროვს, ინსაროვს და სხვ.; ამ ტიპების დახატვაში ტურგენევი იჩენდა შესანიშნავ ხელოვნებას და აჩვენებდა, ითუ რამდენად წაიწია წინ რუსეთის აზროვნებამ, ან რა ცვლილება მიიღო, რისთვისაც მას უძახოდნენ „რუსეთის აზროვნების ისტორიკოსსა“¹.

ტურგენევისადმი ინტერესი ჩანს ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების—ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, ანტ. ფურცელაძის, ან. თუმანიშვილის, ევ. ნინოშვილისა და სხვათა ნაწერებში; ეს ინტერესი მჟღავნდება XIX საუკუნის ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე, სადაც სხვადასხვა ხასიათის წერილებში ტურგენევის ლიტერატურული პერსონაჟები ხშირად არიან მოხსენებული.

ი. ტურგენევის შემოქმედებამ ქართველი საზოგადოება იმთავითვე დააინტერესა. მართალია, მწერლის ახალგაზრდობის პერიოდში დაწერილი ნაწარმოებებმა (ღრამა „სტენო“, პოემა „პარაშა“, ლექსები და სხვ.) ქართველი საზოგადოების ყურადღება ვერ მიიპყრო, მაგრამ, როდესაც ჟურნალ „სოვრემენიკში“ „მონადირის ჩანაწერების“ პირველი მოთხრობები დაიბეჭდა, ტურგენევი არა მარტო ცნობილი გახდა საქართველოში, არამედ საყვარელიც, იმიტომ რომ, როგორც ბ. ბელინსკი ამბობს, ამ მოთხრობებში ავტორმა ხალხი გააშუქა ისე, როგორც მანამდე არავის გაუშუქებია, დაგვიხატა რუსი გლეხის სრული და ცოცხალი ტიპი, რომელიც მკითხველმა სულითა და გუ-

¹ „დროება“ 1883 წ., № 201.

ლით შეიყვარა¹. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ, რომელიც დაბეჩავებუ-
ლი გლეხობის ინტერესებს იცავდა, აღფრთოვანებით მიიღო ტურგენევის
მოთხრობები, ხოლო მათი ავტორი დიდებულ მწერლად გამოაცხადა. ბატონ-
ყმობის გაუქმების წინა პერიოდში ყმა გლეხებზე დაწერილი რეალისტური
ნაწარმოებები, გასაგებია, უაღრესად აქტუალური ხდებოდა პირველ ყოვლისა
თავისი იდეით, რომელიც მხატვრული განხორციელებაა ბელინსკის ცნობილი
გამოთქმისა: „განა გლეხი ადამიანი არ არის?“ სწორედ ეს იყო საქართველოში
ტურგენევის პოპულარობის მიზეზი, ამას აღნიშნავდნენ მწერლის შემოქმედების
შეფასებისას კრიტიკოსები, რომლებიც ხედავდნენ, რომ ქართველი ხალხი, ქარ-
თველი გლეხობა ისეთივე უღლის ქვეშ გმინავდა, როგორც რუსი ხალხი, 1883
წლის ვახ. „დროებაში“ (№ 169) დაბეჭდილ წერილში კრიტიკოსი ალ. ნა-ლი
(ალ. ნანეიშვილი) ტურგენევის ყველაზე დიდ დამსახურებად თვლიდა იმას,
რომ მან „...ამ ბნელს დროს ხმა... აღიმალლა ჩაგრულთა სასარგებლოდ და...
იქადაგა ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტება, როგორიც არის, მაგალითად,
ის, რომ გლეხიც ადამიანია და არა უგრძნობელი და უგონო პირუტყვი“.

ამავე წერილში კრიტიკოსი გულისწყრომით უსაყვედურებს რუსეთის
მაღალი წრეების უმეტესობას იმის გამო, რომ მათ შორის გავრცელებულია
აზრი, თითქოს „გლეხი ღირსია მონობისა და მოკლებულია ყოველს კაცურს
ღირსებას, რომ მისდა სასარგებლოდ საჭიროა ბატონყმობის უღელი, ურომ-
ლისოდაც ხალხი ვითომც აღვირს აიწყვეტს და თავის თავს ვერ მოუფლის“.

ნა-ლი კარგად იცნობს ტურგენევის „მონადირის ჩანაწერებს“ და
უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებთა შეფასებისას იგი უაღრესად მოწი-
ნავე პოზიციებზე დგას. მისი მთავარი თეზისია, რომ გლეხი ისეთივე სრულ-
უფლებიანი ადამიანია, როგორც ყველა დანარჩენი წოდების წარმომადგენ-
ლები, გლეხი უსამართლოდ და უსინდისოდ იჩაგრება, ხოლო ტურგენევი
გლეხზე არისტოკრატიული შეხედულება დაარღვია, როდესაც თავის „მონა-
დირის ჩანაწერებში“ იგი „უხატავდა საზოგადოებას გლეხს, როგორც ნამ-
დვილ კაცსა და არა პირუტყვსა და ჰპოვებდა მასში ყოველ კაცურ ღირსე-
ბას, რომელიც იმეამად დაჩაგრული იყო რუსეთის საზოგადო და პოლიტი-
კურის წესწყობილებით... ტურგენევი აღძრა საზოგადოებაში კეთილის
გრძნობა და სიბრალული ხალხისადმი...“ ეს სიტყვები პირდაპირ ბელინსკის
სიტყვებს გვაგონებს და, ექვს გარეშეა, რომ მისი უშუალო ზეგავლენით არის
დაწერილი.

ნა-ლი ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ გლეხებისადმი ადამიანური დამოკი-
დებულების საჭიროება პირველად საკუთრივ ტურგენევის კი არ მოსვლია
აზრად, არამედ „იგი (აზრი.—ვ. ნ.) ღვივოდა რუსეთის საუკეთესო და ღირსეულ
მოდვაწეთა გულში და გონებაში ტურგენევის ასპარეზზე გამოსვლამდინ.
ტურგენევი კი განახორციელა ეს აზრი და თავისი მძლავრის ბელეტრის-
ტული ნიჭით ადვილად გასაგებ ფორმაში და მშვენიერს სურათებში უხატავ-
და საზოგადოებას მას“, ე. ი. ნა-ლს სურს თქვას, რომ ტურგენევის „მონა-

¹ В. Белинский, Статьи и рецензии, т. III, стр. 832, М., 1948 г.

ღირის ჩანაწერები“ ბ. ბელინსკის ესთეთიკური შეხედულებების მხატვრული განხორციელებაა.

თავის წერილში ნა-ლი რამდენჯერმე იმეორებს, რომ ბატონყმობასთან ბრძოლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა თუ ლიტერატურულ ასპარეზზე მოქმედებდა მთელი თაობა, რომელმაც „თავის უანგარო მოღვაწეობის წყალობით შეიმუშავა საზოგადო ნიადაგი, გრძნობა და აზრი რეფორმების შემოღებისათვის“, ხოლო ამ მეზობლი თაობის მასწავლებელი და გზის მაჩვენებელი იყო „შეუპოვარი და მედგარი მეომარი“ ბელინსკი, რომელიც „თავის სიკვდილამდე მწერლობის საუკეთესო ნაწილს წინამძღოლობდა, თავის მძლავრის ნიჭით და ღრმა გონებით უკვალავდა და უნათებდა გზას“. მართლაც, შესანიშნავია ქართველი კრიტიკოსის მიერ ბ. ბელინსკისა და მომდევნო თაობებზე მისი იდეური გავლენის ასეთი შეფასება. უეჭველია, ნა-ლი იცის, რომ ტურგენევის იდეურად ყველაზე უფრო მძლავრი მოთხრობები ბელინსკის გავლენით არის დაწერილი.

ნა-ლი მწუხარებით აღნიშნავს, რომ 60-იანი წლებიდან ტურგენევმა ვერ შეინარჩუნა სინამდვილისადმი ის სალი დამოკიდებულება, რაც მას წინა პერიოდში ახასიათებდა, მას „უმტყუნა ნათელმა აზრმა“ და მისი „მნიშვნელობაც შემცირდა რუსულს მწერლობაში“. ნა-ლი თვლის, რომ „რომანში „მამები და შვილები“ მწერალმა გამოილაშქრა, ისიც მეტად სუსტად, ახალი თაობის წინააღმდეგ და მით ასტეხა დიდი უთანხმოება რუსულს მწერლობაში“, ხოლო „ნოვ“-ის დაწერის შემდეგ „კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის მოკლებული იყო წინამძღოლობის ნიჭსა“.

არსებითად ამასვე უსაყვედურებს ტურგენევს „დროების“ კორესპონდენტი, რომელიც 1883 წლის 11 ნოემბრის ნომერში წერდა: ტურგენევმა „...ბოლოს დროს ახალის დროების ტიპის გამოხატვა ვეღარ მოახერხა, ვეღარც საზოგადოების უმთავრესს კითხვებს მისცა პასუხი, მაგრამ ეს უნდა დაბრალდეს რეაქციის ზედ-მოქმედებას და იმ სასოწარკვეთილებას, რომელში მე-80 წლებში ჩავარდნილი იყო საზოგადოების გრძნობა და აზრი“.

ტურგენევის შემოქმედებაში აქტუალობის დაკარგვას კორესპონდენტი სოციალური ცხოვრების მდგომარეობით ხსნის, რეაქციითა და „საზოგადოების გრძნობის“ სასოწარკვეთილებით. ეს ტურგენევის გამართლებების ერთგვარი ცდაა, რომელსაც თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ ეს მოტივი მთავარი არ არის საკითხის გარკვევისათვის. და თუ ამ ცდას მხედველობაში არ მივიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კორესპონდენტი, ნა-ლი, ანტ. ფურცელაძე, დ. სოსლანი და სხვები ტურგენევის შემოქმედების მეორე პერიოდის შეფასებაში ერთნაირ პოზიციებზე დგანან, თუმცა ნა-ლი მეტ სისასტიკეს იჩენს.

ნა-ლი ბრალს სდებს ტურგენევს, რომ მან თავისი მდგომარეობით ისარგებლა და „ამ უკანასკნელის ოცი წლის განმავლობაში... თავის ნიჭითა და გავლენით სცემდა და ჩავგრიდა უიმისოდაც ჩავრულთა და ტანჯულთა, რომელთაც დრო და ვითარების გამო საშუალება არ ჰქონდათ პასუხი გაეცათ მისთვის. ამისთანა საქციელი სრულიადაც არ შეჰფეროდა არც ტურგენე-

ნევის ნიქსა და მნიშვნელობას და არც ლიტერატურის საუკეთესო ნაწილში მიღებულ ჩვეულებას. მან ვერ შეისმინა ცხოვრების მოთხოვნილება და ჩამორჩა მას უკან“.

ექვს გარეშეა, კრიტიკოსს აქ მხედველობაში აქვს ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის გავლენის ქვეშ მყოფი ჟურნალი „სოვრემენიკი“-დან ტურგენევის გასვლა და ის იდეური ბრძოლა, რომელიც ამის შემდეგ რაზნოჩინულ-რევოლუციურ ჯგუფსა და მემამულურ-ლიბერალურ ჯგუფს შორის გამწვავდა ლიტერატურაში. ნა-ლი, ალბათ, ფიქრობდა, რომ მეფის რეაქციული მთავრობის მიერ რევოლუციონერების დევნას ტურგენევიც შეუწყობდა ხელი, რადგან „განზე გაუდგა დობროლუბოვის დასსა, ვერ შეიგნო მისი მიმართულება და სთვლიდა მას უკანონო და უმიზეზო მოვლენად რუსულს მწერლობაში“. ამით აიხსნებაო, წერს ნა-ლი, რომ მწერლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ახალგაზრდობა და მოწინავე მწერლობა მას აღარ თანაუგრძნობდა. „თავისი მოღვაწეობის პირველის პერიოდით ტურგენევიც აიგო საუკუნო ძეგლი და მოიპოვა უკუდავება რუსულს მწერლობაში და მომავალი ისტორიკოსი რუსულის მწერლობისა აპატივებს მას მეორე პერიოდის შეცოდებათა, თუმცა ეს უკანასკნელი დღეს დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს განსვენებულს“.

ტურგენევის შემოქმედების შეფასებისას ნა-ლი მეტისმეტ სწორხაზოვნობას იცავს, ხელაღებით უარყოფს მწერლის მეორე პერიოდს და უმღერის პირველს, ვერ ამჩნევს, რომ ეს ე. წ. ორი პერიოდი ერთიმეორესთან ორგანულ კავშირში იმყოფება და ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო წინააღმდეგობანი შემოქმედებაში, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინეს თავი მეორე პერიოდში, გამოწვეული იყო იმდროინდელ რუსულ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობებით. ლ. ტოლსტოის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობათა შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული შეხედულება შეიძლება ტურგენევისაც მივუყენოთ. ქართველმა კრიტიკამ შეამჩნია და გააკიცხა ტურგენევის შემოქმედების ის ელემენტები, რომლებიც ავტორის ლიბერალურ ბუნებას ამჟღავნებდნენ, მაგრამ ამ ელემენტების დაკავშირება შემოქმედების პროგრესულ ნაკადთან ვერ მოახერხა და ვერც წინააღმდეგობათა ახსნა შეძლო.

* * *

ი. ტურგენევისადმი ინტერესმა საქართველოში განსაკუთრებული სიძლიერით მწერლის ავადმყოფობასა და სიკვდილთან დაკავშირებით იჩინა თავი 1883 წელს. ამ ფაქტს ყველაზე ფართოდ გაზეთი „დროება“ გამოეხმაურა.

პირველი ცნობა ტურგენევის ავადმყოფობის შესახებ¹ გაზეთმა 1883 წლის 14 აპრილს გამოაქვეყნა და, აქედან მოყოლებული ვიდრე მწერლის დასაფლავებამდე და შემდეგაც, თითქმის ყოველ ნომერში ვხვდებით ცნობებს ტურგენევის ავადმყოფობის მიმდინარეობის, მისი გარდაცვალების,

¹ ტურგენევი ამ დროს საფრანგეთში ცხოვრობდა.

საფრანგეთიდან რუსეთში გადმოსვენებისა და დასაფლავების შესახებ; ამავე დროს გაზეთში იბეჭდებოდა ტურგენევის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები; „დროებასა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში ამ წელს გამოქვეყნდა მწერლის თორმეტი ნაწარმოების ქართული თარგმანი.

წერილებში ტურგენევი ყოველთვის ერთნაირად იხსენიება: „რუსეთის სახელოვანი მწერალი“, „განთქმული რუსი მწერალი“, რაც, სხვათა შორის, ხელს არ უშლის ჩვენს კრიტიკოსებს, რომ ტურგენევი გააკრიტიკონ იმ ნაწარმოებთა გამო, რომლებიც მათ სასარგებლოდ არ მიაჩნიათ.

პეტერბურგისა და სხვა რუსული გაზეთებიდან „დროებაში“ გადმობეჭდილი მასალები ტურგენევის შესახებ ისეა შერჩეული, რომ ისინი ხაზს უსვამენ ტურგენევისადმი რუსეთის მმართველი წრეებისა და რუსი ხალხის სხვადასხვანაირი დამოკიდებულების ფაქტს. ერთის მხრივ, მოყვანილია ცნობები, რომ „პეტერბურგის ექიმებს ფული შეუკრებიათ ტურგენევის სახელობის ერთი სტიპენდიის დაარსებისათვის; ორიოლში ზრუნავენ მწერლის ძეგლის დადგმისათვის („დროება“, 1883 წ., № 190); ტურგენევის გარდაცვალების „ამბავმა მთელი რუსეთის საზოგადოება შეაძრწუნა“ (№ 201); მწერლის „დასაფლავებას 400 000 კაცზე მეტი დაესწრო, მეტი, ვიდრე დოსტოვესკის დასაფლავებას“ (№ 198); მეცნიერებათა აკადემიის საზოგადო კრებას გადაუწყვეტია, ივანე სერგის ძე ტურგენევის დამარხვაზე სამივე აკადემიის განყოფილებათაგან იყვნენ დეპუტაციები, რადგანაც იგი იყო წევრი-კორესპონდენტი აკადემიისა“ (№ 176), ერთი სიტყვით, მოყვანილია ცნობები, რომლებიც რუსეთის ფართო საზოგადოებრიობის პატივისცემას ამჟღავნებენ ტურგენევის მიმართ. მეორეს მხრივ, უველაფერ ამას უპირისპირდება ასეთი ხასიათის ცნობები: „პეტერბურღელმა ფოტოგრაფმა შაპირომ თავის სახელოსნოს ფანჯარაში ტურგენევის სურათი შავათ შემოსილი გამოჰქინა... პოლიციას განკარგულება მოუხდენია... რომ შაპირომ ტურგენევის სურათი... აიღოს ფანჯრიდამ“ („დროება“, 1883 წ. № 177); „ცენზურას ნება არ მიუცია იმ ცალკე ბროშურის გამოცემისა, რომელიც იწვევს რუსეთის საზოგადოებას შესწირონ ფული ტურგენევის ძეგლის დასადგმელად“ (№ 179); „რიაზანის გიმნაზიის მოწაფეებს განუზრახავსთ ტურგენევის პანაშვიდის გადახდა, მაგრამ ამის ნება არ მიუციათ“ (202) და სხვა..

ჩვენი ფიქრით, გაზეთის რედაქცია ცდილობდა მკითხველის შეგნებამდე მიეყვანა ის აზრი, რომ არსებობს ორი რუსეთი, რუსეთი ოფიციალური, რომელსაც ტურგენევი სძულდა, და რუსეთი რუსი ხალხისა, რომელიც ტურგენევის თავის მწერლად თვლიდა და რომლის სულისკვეთებას ქართველი ხალხიც იზიარებდა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქალაქ თბილისის სახელით ტურგენევის დასაფლავებაზე გვირგვინის მიტანის ისტორია.

1883 წლის „12/IX ქალაქის საბჭომ ფეხზე წამოდგომით მიიღო სამწუხარო ამბავი რუსეთის გამოჩენილი მწერლის ტურგენევის გარდაცვალებისა და გადასწყვიტა... განსვენებულის საფლავზედ დადგას გვირგვინი ქალაქის

თბილისისაგან“¹. თბილისის წარმომადგენელს პეტერბურგში ეს დავალება ვერ შეუსრულებია.

ტურგენევის დასაფლავების ცერემონიალში თბილისისათვის საპატიო ადგილი მიუჩინიათ,—ყველა პროვინციული დეპუტაციების სათავეში. თბილისის ძვირფას გვირგვინს დამსხვრეული ბორკილები ამკობდა, „როგორც მოსპობილი მონობის ანბანური სიმბოლო და... საუკეთესო ემბლემა „მონადირის ჩანაწერების“ ავტორის გვირგვინისათვის“. დასაფლავების დღეს, როგორც კი თბილისის გვირგვინი გამოჩნდა, დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ გრიგოროვიჩმა კატეგორიულად მოითხოვა გვირგვინიდან ბორკილების მოხსნა; განკარგულება უმალ შესრულდა, მაგრამ თბილისის წარმომადგენელს პეტერბურგში ცხოვრება აეკრძალა.

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი, რომელიც პეტერბურგში ტურგენევის დასაფლავებას დასწრებია, თავის წერილში უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თბილისის სახელით მიტანილ გვირგვინს თავადი ბებუთოვი ამოჰფარებია და არა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებია².

ქართულმა პრესამ საკმაოდ ფართოდ გააშუქა ტურგენევის ცხედრის პარიზიდან გამოცილების ამბავი. ქართული გაზეთები პარიზის სადგურში გამოსულ რენანისა და აბუს სიტყვებსაც იმისათვის იყენებენ, რომ ხალხში გარკვეული კეთილშობილური გრძნობები გაადვიონ. მათი გამოსვლებიდან სწორედ ის ადგილებია მოყვანილი სრულად, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის გრძნობას გამოხატავენ. მაგალითად, „დროებას“ მოჰყავს აბუს სიტყვიდან ასეთი ადგილი: „საფრანგეთი სიამოვნებით გიშვილებდა შენ, რომ შენ თვითონ მოგენდომებინა ეს, მაგრამ შენ ყოველთვის რუსეთის ერთგული იყავ და ნეტარება შენ, რადგანაც ვისაც სამშობლო უზომოდ არ უყვარს, ის მხოლოდ ნახევრად არის კაცი; შენი გული კაცობრიობას ეკუთვნოდა, მაგრამ რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა შენს გრძნობაში“³.

1868 წლიდან 1899 წლამდე ქართულ ენაზე გადაითარგმნა და შურონალგაზეთებში დაიბეჭდა ტურგენევის 22 ნაწარმოები, მათ შორის 15 „ლექსი პროზით“, 2 კომედია, 3 მოთხრობა, 1 ზღაპარი, 1 ეტიუდი. ტურგენევის ნაწერებიდან პირველად ქართულ ენაზე დაიბეჭდა კომედია „პროვინციელი ქალი“ („ცისკარი“ 1868 წ. № 9). მერმე კი დიდი მწერლის ნაწარმოებები იბეჭდებოდა შემდეგ შურონალ-გაზეთებში: „ივერიაში“, „დროებაში“, „კვალში“, „ჯეჯილსა“ და „ნობათში“, ხოლო მთარგმნელთა შორის გხედავთ: ილ. ჭავჭავაძეს, რაფ. ერისთავს, ან. თუმა-ნიშვილსა და სხვ.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1954. V. 25)

¹ „დროება“ 1883 წ., № 182.

² „დროება“ 1883 წ., № 201.

³ „დროება“. 1883 წ., № 192 და 205.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ღ. მენაბდე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

ახლახან გამომცელობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოაქვეყნა შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. რედაქტორი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ „ქართული ფილოლოგია ვალშია მკითხველთა წინაშე, მეცნიერების წინაშე, ქართული კულტურის წინაშე, იმის გამო, რომ დღემდე არ არსებობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკული სამეცნიერო გამოცემა“¹. მისი განცხადებით, პოემის ადრეული გამოცემები ვერ აკმაყოფილებენ სამეცნიერო გამოცემათა მოთხოვნებს, არ ახლავთ კრიტიკული ტექსტოლოგიური აპარატი, ტექსტში მრავლადაა დაზიანებული სიტყვები, ფრაზები, ზოგჯერ მთელი სტრიქონები².

სადავო არაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის „პირვანდელი სახის აღდგენა და მისი გაწმენდა საუკუნეებით ნაანდერძვე დამახინჯებათაგან— ურთულეს ფილოლოგიურ პრობლემად არის ქცეული“³. პ. ინგოროყვას განუზრახავს ტექსტის შესწორება, დაზიანებული ადგილების აღდგენა. ასეთი განზრახვა, უთუოდ, მისასალმებელია. რუსთველოლოგია არაა იმ სიმაღლეზე, რომ დაკმაყოფილდეს მიღწეულით. პ. ინგოროყვა ამ აზრით იწყებს ტექსტზე მუშაობას. თუ ჩავუკვირდებით მის მიერ შეტანილ შესწორებათა რიგს, არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ მკვლევარს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია და გულმოდგინედ უცდია პოემის გაწმენდა დანალექებისაგან.

როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვა დიდი ხანია მუშაობს „ვეფხისტყაოსანზე“. საინტერესოა მისი მუშაობის შედეგების სრულად გაცნობა. სამწუხაროდ, ეს ამჯერად არ მოხერხდა. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა ტრადიციული ტექსტი. რედაქციამ ტექსტში შეიტანა მხოლოდ „აუცილებელი შესწორებანი“, გაასწორა „მთელი რიგი სრულიად ამკარა მძიმე შეცდომები, რომელთაც ადგილი აქვთ თანამედროვე გამოცემებში“⁴.

1 პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის [შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1953 წ.], გვ. 397.

2 იქვე, გვ. 397, 400, 402.

3 იქვე, გვ. 400.

4 იქვე, გვ. 401.

სამწუხაროა, რომ კრიტიკულ-ტექსტოლოგიური აპარატი დაიბეჭდა ძალზე შეკვეცილად. ეს იმით აიხსნება, რომ პოემის 1953 წ. გამოცემაც არაა კრიტიკული გამოცემა ვიწრო-სპეციალური ხასიათისა. ალბათ, მკვლევარი სრულ სამეცნიერო აპარატს ახლო მომავალში გამოაქვეყნებს პოემის კრიტიკულ-სამეცნიერო გამოცემაში, რომელსაც ის კარგა ხანია ამზადებს.¹

პ. ინგოროყვას, მისი განცხადებით, არ შეუსწორებია პოემის ყველა ის ადგილი, რომელიც დაზიანების ნიშანს ატარებს, ის დაკმაყოფილებულა „უდავო ხასიათის შესწორებებით“, „ისეთებით, რომელთაც ამართლებს ან დედნების დოკუმენტალური ჩვენება, ანდა სხვა საცეხებით უდავო მაჩვენებლები (რუსთაველის პოეტიკაზე დამყარებული ანალიზი, პოემის პარალელური კონტექსტები და სხვა)“, თავი შეუკავებია „ისეთი შესწორებებიდან, რომლებიც რაიმე მხრით სადავოდ შესაძლოა ჩათვლილიყო“.²

პ. ინგოროყვას აზრით, პრობლემა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა ორ ძირითად საგანს მოიცავს:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სტროფული შედგენილობის დადგენა;
2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მცდარი წაკითხვების გასწორება.

მკვლევარი პირველად „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციული ტექსტის მცდარი წაკითხვების გასწორებას იძლევა. პირველ რიგში მოცემული აქვს დაზიანებული რითმების შესწორებანი. აქ ასეთი რიგია წარმოდგენილი:

ა) დაბალი შაირის დაყრდნობილი რითმები, —სამმარცვლოვანი, წინა თანხმონით—18 შესწორება (1-18 შესწორება, გვ. 408—411);

ბ) მაღალი შაირის დაყრდნობილი რითმები, —ორმარცვლოვანი, წინა თანხმონით—4 შესწორება (19—22 შესწორება, გვ. 411);

გ) დაბალი შაირის ჩვეულებრივი რითმები (სამმარცვლოვანი)—7 შესწორება (23—29 შესწორება, გვ. 412—413);

დ) მაღალი შაირის ჩვეულებრივი რითმები (ორმარცვლოვანი)—2 შესწორება (30—31 შესწორება, გვ. 413) და უკანასკნელი:

ე) დანრჩენი შესწორებანი რითმებისა—11 შესწორება (32—42 შესწორება, გვ. 413—416).

ამას მოსდევს საკმაოდ დიდი ნაკვეთი: გასწორებანი პოემის ტექსტის დანარჩენი დაზიანებული ადგილებისა—412 შესწორება (43—454 შესწორება, გვ. 417—500).

პ. ინგოროყვას არ აკმაყოფილებს პოემის საიუბილეო გამოცემა. მას არც 1951 წ. გამოცემა მოსწონს, თუმცა აღიარებს, რომ უკანასკნელი გამოცემა „ზოგიერთ უპირატესობას შეიცავს 1937 წლის გამოცემასთან შედარებით“, გასწორებულია კორექტურული ხასიათის შეცდომები, გამართულია ერთგვარი ორთოგრაფიით და შეტანილია რამდენიმე ახალი შესწორება ტექსტის წაკითხვაში³. მიუხედავად აღნიშნულისა, პ. ინგოროყვა სწორედ 1951 წ.

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბ., 1926 წ., გვ. V.

² პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისთვის, გვ. 407.

³ იქვე, გვ. 403.

გამოცემის ტექსტს ასწორებს. შესწორება მრავალგვარია. მკვლევარი ტექსტს ასწორებს რითმის (შესწ. 1, 2, 4, 5, 14—18, 21, 22, 24, 26, 28, 31), რითმისა და ტაეპის შინაარსის (შესწ. 3, 13, 19, 20, 23), რითმისა და კონტექსტის (შესწ. 6—9, 11, 25, 27, 29), რითმისა და ძველ-ქართული მართლწერის (შესწ. 30), რითმისა და თხრობის შინაარსის (შესწ. 76, 77), სტროფის შინაარსის (შესწ. 32, 33), სტროფის შინაარსისა და რუსთველური რითმების ტაპის (შესწ. 35), მეტრის (შესწ. 43, 129), კონტექსტის (შესწ. 40, 73, 78, 87, 193, 211, 246, 265, 274, 388, 409, 414, 435, 438), კონტექსტისა და პოემის პარალელური ადგილების (შესწ. 283), თხრობის შინაარსის (შესწ. 80, 84—86, 109, 127, 141, 150—151, 195) შესაბამისად, ანალოგიურ ტექსტებთან შეფარდებით (შესწ. 154), ისტორიული რეალიებისა და „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის მონაცემების თანახმად (შესწ. 454), სტილისტიკური გაუწყობლობის გამო (შესწ. 57, 161, 162, 174, 179, 220, 349, 350, 402) და სხვა.

პ. ინგოროყვას შესწორებები შეაქვს ვახტანგისეული გამოცემისა და ხელნაწერების ჩვენებათა საფუძველზე. ვახტანგისეულ გამოცემას მკვლევარი იმეორებს 17-ჯერ (შესწ. 27, 48, 57, 117, 137, 138, 147, 195, 247, 255, 268, 285, 327, 360, 414, 415, 445). ვახტანგისეული გამოცემა და ხელნაწერი (—თუ ხელნაწერები) დამოწმებულია 100-ზე მეტად, ხელნაწერების საფუძველზე შეტანილია 280-ზე მეტი შესწორება.

ხელნაწერთა დასახელება მოცემული არაა. გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ხელნაწერი: უძველესი თარიღიანი H № 599 (შესწ. 230^ა, 252, 397) და ბაქრაძისეული H № 2610 (შესწ. 168, 282, 394).

ხშირად მოცემულია კონიექტურა. ასეთი დაითვლება 30-ზე მეტი. მათგან რამდენიმე ეკუთვნის გ. ქართველიშვილისეული გამოცემის რედაქციას (შესწ. 79, 262, 298), დ. კარიჭაშვილს (შესწ. 34), ნ. მარს (შესწ. 32, 43, 374^ა), იუსტ. აბულაძეს (შესწ. 359), კ. ჭიჭინაძეს (შესწ. 31, 37, 42, 122, 310) და ნარჩენი — პ. ინგოროყვას (შესწ. 2, 3, 21, 22, 24, 35, 41, 63, 97, 112, 145, 154, 179; 198, 206, 211, 224, 246, 265, 274, 283, 291, 409, 422, 425, 454).

პოემის გამომცემელს ზოგი შესწორება შეაქვს ვახტანგისეული და ქართველიშვილისეული გამოცემების მიხედვით (შესწ. 242), ხელნაწერებისა და ქართველიშვილისეული გამოცემის მიხედვით (შესწ. 133, 163), ვახტანგის კომენტარისა და ხელნაწერთა მიხედვით (შესწ. 144, 175, 385).

პ. ინგოროყვა რამდენიმე შემთხვევაში ცვლის ტაეპების რიგს ცალკეულ სტროფებში (შესწ. 252, 313, 315). ზოგჯერ მას არ მიაჩნია სწორად ამა თუ იმ ტაეპის წაკითხვა, მაგრამ, რადგან მოღწეული დედნები არ იძლევა დასაყრდენს, თავს იკავებს (შესწ. 181^ა). ასევე თავს იკავებს „თანამედროვე მკითხველისათვის უცნობი წაკითხვის აღდგენიდან“ (შესწ. 251^ა).

პოემის უკანასკნელი გამომცემლის შენიშვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის სიძნელე იმითაა გამოწვეული, „რომ ჩვენ დრომდე არ მოღწეულა ვეფხისტყაოსნის უძველესი დედნები“, „უამთასიავის პირობებში დაილუპა“.¹ ამიტომაც პ. ინგოროყვა დიდად აფასებს ვახტანგისეულ გამოცემას.

¹ იქვე, გვ. 397—398.

მისი აზრით, ვახტანგ VI-ს ხელი მიუწვდებოდა უძველეს ხელნაწერებზე და „ცხადია, მათ შორის უძველესსა და საუკეთესოს დაუღებდა საფუძვლად თაფის გამოცემას“. მისი დაკვირვებით, „ვახტანგისეულ გამოცემას საფუძვლად უღევს უაღრესად მნიშვნელოვანი დედანი, რომელიც, —კერძოდ. სტროფული შედგენილობის მხრით, —უფრო ძველ სახეს ატარებს, ვიდრე მოღწეული ხელნაწერები“.¹

ვახტანგს ხელთ ჰქონდა ძველი ხელნაწერი, რომელიც მას უცვლელად დაუბეჭდავს. პ. ინგოროყვას მტკიცებით, „არსებული მასალის ყოველმხრივი განხილვა არ ტოვებს არავითარ ეჭვს იმაში, რომ ვახტანგისეული გამოცემა არ წარმოადგენს ნებისმიერად, ზეპირად დადგენილ დედანს, ხელოვნურად შემოკლებულ ტექსტს, არამედ იგი დოკუმენტური ხასიათისაა“.² ვახტანგის საგამომცემლო საქმიანობის გაცნობა ეჭვს არ ტოვებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური გამოცემა ემყარება დოკუმენტს, „პოემის უძველესსა და საუკეთესო ხელნაწერს“ და „ყოვლად წარმოუდგენელი და დაუშვებელია“, „რომ ვახტანგს ნებისმიერად, ხელოვნურად შემოკლებინა ვეფხისტყაოსნის ტექსტი“.³ იმ ფაქტს, რომ ვახტანგისეული გამოცემა დოკუმენტს ემყარებოდა, პ. ინგოროყვას აზრით ადასტურებს ჩვენება XVII საუკუნის ხელნაწერისა (S № 5006), ჩვენება „უაღრესად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობისა“,⁴ რომლითაც მტკიცდება, რომ „XVII საუკუნეში არსებულა ისეთი ტიპის მოკლე რედაქცია ვეფხისტყაოსნისა, რომელსაც წარმოგვიდგენს ვახტანგისეული გამოცემა“.⁵

პ. ინგოროყვა კიდევ ათარიღებს ვახტანგისეული გამოცემის დედანს: „ვახტანგისეული გამოცემის ძირითადი დედანი, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, არ არის XIV საუკუნეზე ადრინდელი“,⁶ „ჩანს ეკუთვნოდა ხანას არა უგვიანეს XIV საუკუნისა“.⁷

ამრიგად, პ. ინგოროყვას აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა ემყარება უძველეს ხელნაწერს—XIV საუკუნის დედანს, წარმოადგენს მოკლე რედაქციას (—რომლის მსგავსი რედაქცია შემოუნახავს ხელნაწერს S № 5006) და იმეორებს თავის წყაროს უცვლელად.

რამდენად მართებულია პატივცემული მეცნიერის მტკიცება? საკითხის სრული გაშუქების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მისი ისტორიის მოგონება. ვახტანგისეული გამოცემის რაობა წლების მანძილზე კამათის საგნად იყო ქცეული. ჩვენ მოგვიხდება ძველი თუ ახალი დროის მეცნიერების ნაზრგვის გაცნობა და გამონათქვამების გათვალისწინება.

¹ იქვე, გვ. 400; ამასთანავე, ვახტანგისეული დედანი მოკლე რედაქციას წარმოადგენს (გვ. 504).

² იქვე, გვ. 505.

³ იქვე, გვ. 506.

⁴ იქვე, გვ. 509.

⁵ იქვე, გვ. 508.

⁶ იქვე, გვ. 400.

⁷ იქვე, გვ. 509.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა უღრესად დიდი მნიშვნელობისაა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ის უნაკლოა. ამ გამოცემის ნაკლოვანება შენიშნა ჯერ კიდევ დავით რექტორმა. ის ასწორებდა და დანაკლისი სტროფებით ავსებდა ვახტანგისეულ გამოცემას. ამის საფუძველზე მისი მოწაფე თეიმურაზ ბაგრატიონი აკად. მ. ბროსეს სწერდა: „ვეფხისტყაოსნისა ამათს გარდა (1712 წ. გამოცემა.—ლ. მ.) კიდევ რაოდენნიმე ჩემის ოსტატის დავით ალექსიშვილისაგან გამიგონია და ჩემს ვეფხისტყაოსანზედ აწერია, ვითომ ეს შემდგომი ლექსები ვეფხისტყაოსნისა შოტთა რუსთველისა ნათქვამი იყოს, დაბეჭდვაში დარჩომოდეს და ველარ ჩაეტანებინოსთ“¹.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ტექსტობრივი ხარვეზები და სიუჟეტური ნაკლულეფანებანი კარგად შეუნიშნავს ცნობილ პოეტსა და მწიგნობარ-მეცენატს გიორგი თუმანიშვილს (XVIII—XIX სს.). მას ყურადღება მიუქცევია ერთი ადგილისათვის პოემაში და შეუთანხმებლობის თავიდან აცილება უცდია.

ვახტანგისეული გამოცემის ჩვზ სტროფს (=1951 წლის გამოცემის 1578-ს: „სამ თვე ვლეს, —ლმერთსა მათებრივ სხვა რამცა დაებადოსა!“) მოსდევს ჩვზ სტროფი (=1951 წ. 1637-ე სტროფს: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი“). ამ სტროფთა შორის არაა კავშირი, შეინიშნება სიუჟეტური ხარვეზი. ავტორმა სულ დაივიწყა ფარსადანი, ტარიელსა და ნესტანს უბრძოლველად გაუჟაფა გზა ინდოეთის ტახტისაკენ. მოქმედების ლოგიკური განვითარება დარღვეულია, ფინალი არაა სრულყოფილი და ბუნებრივი. აი, სწორედ ამ ფაქტს მიაქცია ყურადღება გ. თუმანიშვილმა და აღნიშნულ სტროფებს შუა ჩაუმატა 11 სტროფი². ამ სტროფებში ავტორი გვაუწყებს ფარსადანის გარდაცვალებას, დედოფლის გლოვას, ინდოთა შეწუხებას, ტარიელისა და ნესტანის დაბრუნებას, საერთო მხიარულებას. ამას მოსდევს: „ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი...“

გ. თუმანიშვილისეული ინტერპოლაცია საზოგადოებამ მოიწონა. საგულისხმობა ბარბარე ქობულაშვილის შენიშვნა აღნიშნულ სტროფებზე: „ძალიანს მუნასიბს ალაგსაც არის დაწერილი, რომ სულ არა იყო რა იმ საგანზედ“.

ამრიგად, XIX ს. პირველი ნახევრის განათლებული ქართველი საზოგადოებრიობა გრძნობდა ვახტანგისეული გამოცემის უსრულობას და ცდილობდა

¹ გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური ცდანი, „ლიტერატურული ძიებანი“, V, თბ., 1949 წ., გვ. 191.

² შემონახულია დ. რექტორის მიერ 1823 წ. გადაწერილ ხელნაწერში H № 1079 და მისგან მომდინარე პირში—S № 4732, რომელიც 1827 წ. გადაუნუსხავს პეტრე ლარაძეს. პირველი ხელნაწერის მიხედვით აღნიშნული სტროფები გამოაქვეყნა პროფ. ალ. ბარამიძემ (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1952 წ., გვ. 81—82), მეორე ხელნაწერის მიხედვით პროფ. ს. კაკაბაძემ (ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913 წ., გვ. 202—203, სტ. 1527¹⁻¹¹). შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი, თბ., 1948 წ., სტრ. 1578¹⁻¹¹.

ბდა ტექსტობრივი ხარვეზების ამოვსებასა და სიუჟეტური მხარის სრულყოფას¹.

„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის რედაქციამ რამდენიმე სტროფი დაუმატა ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს. წინასიტყვაობაში მ. ბროსე წერდა: „წიგნი ესე გარყვნილ იყო სხვადასხვა მწერალთაგან, მისთვის ვახტანგ მეფემა, როგორც პომეროსის სტიხები პირისტრატოსის მიერ გასინჯულ იყო, ასე გასინჯა და შეამოწმა ძველ ხელწერილებსა და შემდგომად დაჰბეჭდა“.² ამრიგად, მ. ბროსემ პოემის ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკულად მიიჩნია.

ეს აზრი კიდევ უფრო კატეგორიული ტონით გამოთქვა ამ საუკუნის დამდგეს აკად. ე. თაყაიშვილმა. აი, მისი დასკვნა: „Этот замечательный деятель на поприще грузинской науки и литературы (Вахтанг VI.—Л. М.) сумел очистить Вепхистгаосани от тех наслоений, которые образовались в нем в XVII в.“³

1913 წლის მარტში თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ენათმეცნიერების საზოგადოების კრებაზე მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებზე წაიკითხა ს. კაკაბაძემ, რომელმაც განავითარა დებულება—ვახტანგისეული გამოცემა ხელოვნურადაა შემოკლებული. ეს აზრი მკვლევარმა განავრცო მის მიერ 1913 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში. ს. კაკაბაძე ასკვნიდა, რომ „ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოება უნდა წარმოადგენდეს ვრცელი რედაქციის ფრიად დიდ შემოკლებას“⁴. ასეთივე შეხედულებისა დარჩა ის პოემის 1927 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშიც⁵.

1913 წლის 5 აპრილს ქართული კულტურის საზოგადოების საჯარო კრებაზე მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წაიკითხა პ. ინგოროყვამ მომხსენებელმა გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, რომ ვახტანგისეული გამოცემა ხელოვნურად არის შემოკლებული.⁶ ასეთივე აზრი გამოუთქვამს საჯარო დისპუტზე (1913 წლის 23 აპრილს) ს. გორგაძეს⁷. იმავე დისპუტზე სიტყვით გამოვიდა დ. კარიჭაშვილი, რომელმაც ვახტანგისეული რედაქ-

¹ აღ. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 79—83.

² ვეფხისტყაოსანი, მ. ბროსე, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ., 1841 წ., წინასიტყვაობა, გვ. XII.

³ Е. Такайшвили, Описание Рукописей „ОРГСГН“, т. II, в. III, 1908 г., стр. 581.

⁴ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1913 წ., გვ. 21, შდ. გვ. 22.

⁵ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927 წ., გვ. VII—VIII, XVIII—XIX, XXIV. ამ წერილში გვხვდება განსხვავებული გამოხატუებებიც (გვ. IX, XVIII, შენ. 1).

⁶ პ. ინგოროყვა, რუსთველიანზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო, „მნათობი“, 1927 წ., № 3, გვ. 195—196.

⁷ იქვე, გვ. 196—197, შენიშვნა.

ცია ძველ დედნად მიიჩნია. თავისი ნარკვევი მან კიდევ გამოაქვეყნა¹. აი, მისი დასკვნა: „არსაიდანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს-გამოეკლოს ან მიემატებინოს. სხვა ხელნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა ვეარწმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მასში, არ არის არც დამატებული, ხოლო რაიცა შეეხება დაკლებას, არც ეგ არის ჭკუაზე მოსასვლელი. თუ რაიმე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რამ არ იყო ვახტანგის დედანში და მისი აზრით არც შეადგენდა ვეფხისტყაოსნის ნაწილს“².

დაახლოებით ასეთივე პოზიცია დაიკავა იუსტ. აბულაძემ. მისი რედაქციით გამოაქვეყნებული „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში მკვლევარი წერდა: „ვახტანგ მეფე, თავისი დროისთვის დიდად განათლებული ადამიანი, ჩინებული მცოდნე იმდროინდელი ხელნაწერებისა, რა თქმა უნდა, აირჩევდა ისეთ დედანს, რომელიც თავისუფალი იყო... აშკარა ყალბი ხანებისაგან და გაგრძელებისაგან“, „ვახტანგის რედაქცია, როგორც თავისი ჩანარებით, ისე შეურყენელობით და სიმოკლით, განსაკუთრებული რედაქციის სახეს ატარებს“³, „ვახტანგის რედაქცია, თავისი შედგენილობით, წარმოადგენს უძველესი „ვეფხისტყაოსნის“ სახეს“⁴. ერთ სპეციალურ ნარკვევში ი. აბულაძე აღნიშნავდა: „დღემდის ვახტანგის გამოცემის შესახებ შემცდარი აზრი იყო გავრცელებული, ვითომ ვახტანგი ყოფილიყოს იმ რედაქციის შემდგენელი, რომელსაც ეს გამოცემა წარმოგვიდგენს“⁵.

1926 წ. დაიბეჭდა პ. ინგოროყვას წიგნი „რუსთველიანა“, რომლის ერთი ნაწილი დათმობილი ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ „ვახტანგს არავითარი შესწორება არ შეუტანია ვეფხისტყაოსნის დედანში და მას უცვლელად დაუბეჭდავს რომელიღაც ძველი ხელნაწერი“⁶. აღნიშნული დებულება და მოტანილი საბუთები უარყო სპეციალურ რეცენზიაში პროფ. ქ. ქეკელიძემ.⁷ მისი აზრით, ვახტანგისეული გამოცემა „არის არა უცვლელი გამეორება რომელიღაც ძველი ხელნაწერისა, არამედ თავისებური კრიტიკული გამოცემა“⁸.

¹ ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, „განათლება“, 1913 წ., VI, გვ. 412—424.

² იქვე, გვ. 414.

³ ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1914 წ., გვ. XVI; თბ., 1926 წ., გვ. XXI.

⁴ ვეფხისტყაოსანი, 1926 წ., გვ. XXVII.

⁵ ი. აბულაძე, ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია, თბ., 1920 წ., გვ. 22.

⁶ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 12—13.

⁷ ქ. ქეკელიძე, რუსთველიანა, (რეც.), „მნათობი“, 1927 წ., № 2, გვ. 183—186.

⁸ იქვე, გვ. 186.; შდრ. მისივე, რუსთველოლოგიის საკითხები, თ. ს. უ. შრომები, X, 1940 წ., გვ. 95; მისივე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952 წ., გვ. 98.

ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკულ, ხელოვნურ რედაქციად მიიჩნია პოეტმა და მკვლევარმა კ. ჭიჭინაძემაც¹.

პროფ. ალ. ბარამიძე ყოყმანობდა, „გადაჭრით პასუხის გაცემა“ ეძნელებოდა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც დ. კარიჭაშვილისა და პ. ინგოროყვას აზრს ემხრობოდა².

საცილობელ საკითხს შუქი მოჰფინა პროფ. ა. შანიძემ, რომელმაც დეტალურად შეისწავლა ვახტანგისეული გამოცემა (—პოემის ტექსტი და კომენტარი). მეცნიერის დასკვნით, „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“³.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის რაობის საკითხს რამდენიმე ნაკვლევი მიეძღვნა, საკითხი სათანადოდ გაშუქდა, მაგრამ პ. ინგოროყვა კვლავ საკამათოდ ხდის მას⁴.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა კრიტიკულია, ვრცელი რედაქციების შემცველ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი ხელოვნურადაა შემოკლებული. ამას ამოწმებს მრავალი ნიშანი.

1. პოემის მრავალ ხელნაწერში (H № 205, № 261, № 461, № 2074, S № 2829, № 5006...) ტექსტს უძღვის ერთი სტროფი („პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად...“). მისი ავტორის აზრით, პოემა „საეროა“ და მავნე. როგორც ცნობილია, პოემაზე ვახტანგი სხვა აზრისა იყო, ამიტომაც აღნიშნული სტროფი აღარ დაუბეჭდავს⁵.

2. ვახტანგისეულ რედაქციაში არ გვხვდება ხელნაწერთა ვრცელ ვარიანტებში წარმოდგენილი დაბოლოება (ინდო-ხატაელთა ამბავი, ხვარაზმელთა

¹ კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო, თბ., 1928., გვ. 109, 128; ვეფხისტყაოსანი კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით, თბ., 1934 წ., გვ. X.

² ალ. ბარამიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, გან. IV, თბ., 1934 წ., გვ. 76—77.

³ ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლის აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937 წ., გვ. 393; მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა პროფ. ა. შანიძის აღმოჩენა პოემის ტექსტსა და კომენტარს შორის სხვაობის არსებობის შესახებ, პროფ. ალ. ბარამიძემ ვახტანგისეული გამოცემა კრიტიკულად მიიჩნია (იხ. ალ. ბარამიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ, „კომუნისტი“, 11. X. 37; = ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945 წ., გვ. 405)

⁴ დასახელებულ შრომებს გარდა, პ. ინგოროყვა ამავე აზრს ატარებს სხვა წერილებშიც (იხ. მისი რუსთაველიანზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო, „მნათობი“, 1927 წ., № 3, გვ. 194—206; „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, № 11(869), 12. III. 54).

⁵ კ. კეკელიძე, რუსთაველიანა (რეც.), „მნათობი“, 1927 წ., № 2 გვ. 185; მისივე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. II, გვ. 96. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ აღნიშნული სტროფი ვახტანგს შემთხვევით გამოჩნა (რუსთავე., გვ. 54, შენ. 2), მაგრამ, როგორც ადრევე შენიშნეს (კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო გვ. 113), დაუჯერებელია ვახტანგს გამოჩენილი პოემის პირველივე სტროფი.

ამბავი, გმირთა სიკვდილის ამბავი...). ამავე დროს, დაბეჭდილია 22 სტროფი (ვახტანგისეული ვამოცემით რფჟწ-რფკთ, აკად. 1637—40, 1647, 1649—50, 1654—1656, 1658—1669), რომლის ვაგება შეუძლებელია მომდევნო ეპიზოდების გაუთვალისწინებლად. ყურადღებას იპყრობს რამდენიმე მომენტი:

ა) აღნიშნულ სტროფებში კვითხულობთ, რომ ინდონი „ამბობდიან ჭირთა მათთა“ (ჩფო, 1639) და „ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხალოდიან“ (ჩფობ, 1647). ამ სიტყვების აზრის სრულად ვაგება ინდო-ხატაელთა და ხვარაზმელთა ამბის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია¹.

ბ) ერთ სტროფში (ჩფოზ, 1656) მოთხრობილია, რომ ფრიდონი ეთხოვება ტარიელს და ემზადება სამშობლოში გასამგზავრებლად. მომდევნო სტროფი კი გვაუწყებს, რომ ტარიელმა „როსტენისთვის წაატანა საძღვინოდ ტურფა ჯუბაჩები“ (ჩფოწ, 1658); მაგრამ ფრიდონი ხომ სამშობლოში მიემგზავრებოდა და არა არაბეთს? ამ ტექსტუალურ ხარვეზს ავსებს ვრცელი რედაქციის მიერ შემონახული სტროფი (1657). გასამგზავრებლად გამზადებულ ფრიდონს ტარიელმა უბოძა ფირმანი...

„მასცა უბოძა ფირმანი: „წა, სახლი მოიარეო,

მე ნუ გამწირავ, მნახევედი, ადრე მობრუნდი გარეო.“

ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო?

და რათგან ისწოადი, რალა ვქმნა? მიგელის ლომსა მთვარეო!“

ამას მოსდევს სავსებით გასაგები ტექსტი: „როსტენისთვის წაატანა...“²

გ) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სტროფი (ჩფპე, 1665)

1. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1913 წ., გვ. 21; კ. კეკელიძე, რუსთვე. (რეც.), გვ. 185; მისივე, ძვ. ჯართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 96.

2. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1913., გვ. 21—22; კ. კეკელიძე, რუსთვე. (რეც.), გვ. 185; მისივე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, II, გვ. 96; ვეფხისტყაოსანი კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გვ. XII; 1657-ე სტროფი ყალბად მიიჩნია ი. აბულაძეს. რუსთველს არ უყვარს გამოერება, ეს სტროფი კი სხვა (407) სტროფის მიბაძვა-გამეორებას წარმოადგენს (ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, 1914 წ., გვ. LIV—LV; 1926 წ., გვ. XIX—XX). მიუხედავად ამისა, ვერ უარყოფს, რომ აქ აკლია ერთი სტროფი, რომელშიც საუბარი უნდა იყოს იმ პირზე, რომელსაც როსტევენთან ძღვენი გაატანეს (იქვე). არ შეიძლება არ შევნიშნოთ პატივცემულ მეცნიერს, რომ რუსთველისათვის გამოერება უცხო და იშვიათი არაა მოვიგონოთ ადგილები პოემიდან:

ა) „საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“ (40, 2); „საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა“ (1073, 2).

ბ) „წა, შევბი ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“ (379, 2); „წა, შევბი ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე“ (414, 1).

გ) „აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმახა წავჰყვე წამავალსა“ (813, 1); „აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამავლობასა“ (831, 1).

დ) „რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი“ (1475, 1); „გაანელმწიფა გვირგვინი ზეცით მოსრულმან ზენამან“ (1662, 4).

ე) „თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა“ (160, 2);

„თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“ (630, 4)

ვ) „იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ უფალსა არსთა მხედსა“ (861, 1);

„იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე“ (865.1).

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი,—ნახეთ სიმუხთლე უამისა!—
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

და ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა“.

ეს სტროფი სავსებით გასაგებია გმირთა სიკვდილის ამბის დასასრულს,
ხოლო ვახტანგისეულ გამოცემაში უადგილოა და უაზრო.¹

3. ვახტანგისეულ გამოცემას გააჩნია ტექსტუალური ხარვეზები საკუთრივ
ტექსტშიც. შეიძლება მოვიხმოთ რამდენიმე მაგალითი.

ა) ვახტანგისეული რედაქციის რია (110) სტროფში როსტევანი თინა-
თინს უამბობს ტარიელთან შეხვედრას და დასძენს: „ვითა ეშმა დამეკარგა,
არ კაცურად გარდამკოცნა“. ამას მოსდევს სტროფი რიბ (112):

„ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.

ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,

და სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!“

ვაუგებარია, რომელ „ტკბილ წყალობაზეა“ დაპარაკი. აღნიშნული სტროფი
სავსებით გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ ვრცელი რედაქციის მიერ
შემონახული სტროფის შინაარსს:

„აწ ესე მიკვირს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული;

მან დამიხოცა ლაშქარი, სისხლი აღინა ღვარული;

კაცად ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთავან ფარული?

და უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული“ (111)².

ბ) ვახტანგისეული გამოცემის რკდ სტროფი (124) ავთანდილის თინა-
თინთან გამოცხადებას გვაუწყებს. ავთანდილი „დაჯდა კრძალვით და რიდი-
თა“. მომდევნო სტროფით (რკე, 126) თითქოს მან წამოიწყოს საუბარი. ეს
არაა სათანადოდ მოტივირებული და გამართლებული. ვრცელ რედაქციაში
აღნიშნულ სტროფთა შორის წერია:

„ქალმან უბრძანა: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა;

მწადლა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა,

მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა,

და რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“ (125)

ამის შემდეგ სავსებით გასაგებია

„ყმა მან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმაღა ვით იქმნების?

1. ვეფხისტყაოსანი, 1913 წ., გვ. 22; კ. კეკელიძე რუსთველიანა (რეც.), გვ. 185—186;
მ. ი. ს. ვე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 97; ალ. ბარამიძე, ნარკვევები
ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 76—77; პ. ინგოროყვას შენიშვნა („მნა-
თობი“, 1927 წ., № 3, გვ. 206, შენ.). მოტანილ საბუთთანობას ვერ არღვევს.

2. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1927 წ., გვ. XIX; კ. ქიტიანიძე,
რუსთაველის გარეშე, გვ. 105; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 71—73.

თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“. (126)

გ) 1712 წლის გამოცემის რწ სტროფში (151) ავთანდილი ესაუბრება შერმადინს.

„უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან, ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან, მაგრამ არ იცი, აქამდის რანიცა ცრემლნი მდენიან!

და მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აწ მასვე მოუღხენიან“.

ამას მოსდევს რწა სტროფი (153).

„მიბრძანა: „მიცან ამბავი მისი ყმისა დაკარგულისა, მოხვიდე, სრულ-ვექმნა მაშინდა შენი წადილი გულისა, ქმარი არ მინდა უშენოდ, მომხვდეს ხისაცა რგულისა!“

და მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა“.

გაუგებარია ვინ დაავალა ავთანდილს „დაკარგული ყმის“ მოძებნა, ვინ მისცა „წამალი გულისა“, ვინ აღუთქვა ცოლობა. ამ კითხვებზე პასუხს ვპოვებლობთ ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერების მიერ შემონახულ სტროფში (152), რომელშიც ავთანდილი ლაპარაკობს:

„მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა, ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა, ვერ ვაჩენდი აქანამდის ქირსა ჩემგან დაფარულსა, და აწ მიბრძანა საიმედო, ამად მხედავ მხიარულსა“.

დ) ვახტანგისეული გამოცემის უთ (414) სტროფში ნესტანი ესაუბრება ტარიელს: „წა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე...“ ამას მოსდევს სტროფი უი (416):

„აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირსა; მოწყალეა იჩქითია, ღმრთისა ამად არა მკვირსა; შენთა შუქთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ზედა მკვირსა, და შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა“.

ტექსტი დეფექტურია. ნესტანი ავალებს ტარიელს ხატაელების წინააღმდეგ გალაშქრებას და თან ეუბნება: „აწ რასაცა მე მალირსებ, ხორციელი არა ღირს ა.“ მოულოდნელი და გაუგებარია. ყველაფერი ნათელი იქნება, თუ მოვიგონებთ ერთ სტროფს (415), რომელიც ვრცელ რედაქციაში აღნიშნულ სტროფებს შუაა მოთავსებული. ტარიელი იგონებს: „მოვახსენე:

„არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად, მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლველად, შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე მზეებრ სანახველად, და აწ შეგება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად“¹.

მსგავსი მაგალითების მოხმობა კიდევ შეიძლება (ამ მხრივ საყურადღებოა ნაკლებობა 487, 553, 586, 1514 და სხვა სტროფებისა). ვფიქრობთ, აღნიშნულიდანაც ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ

¹ კ. ქიტინაძე, რუსთაველის გარშემო, გვ. 105.

რედაქციას ახასიათებს ტექსტუალური ხარვეზები და ნაკლულევანებანი, მას აკლია რუსთველის პოემის რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი, საყურადღებო და აუცილებელი სტროფი.

ამრიგად, ზემოთქმულით ცხადი ხდება, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი (და არა მოკლე) რედაქცია, რომელიც მას დაუბეჭდავს შემოკლებით (და არა უცვლელად). ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა თავისებური კრიტიკული გამოცემაა (და არა ხელნაწერის პირი).

აქ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ საკითხზე. როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მე-17 ს. ხელნაწერს S № 5006-ს, მისი აზრით, ამ ხელნაწერს შემოუნახავს „უღარესად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი მნიშვნელობის ჩვენება“, რომლითაც „დასტურდება ვახტანგისეული დედნის მსგავსი მოკლე რედაქციის ხელნაწერის არსებობა“. გადამწერს ხელთ ჰქონია მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერი, გადაუნუსხავს ის, დაუწყია ვახტანგისეული რედაქციის ფინალის დასაწყისი სტროფის („ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი, შვიდი ტახტი სა...“ ჩფჲ, 1637) გადაწერა, შემდეგ შეუწყვეტია და დაუწყია ვრცელი რედაქციის გადაწერა, ე. ი. XVII საუკუნეში უკვე ყოფილა მოკლე რედაქციის შემცველი ხელნაწერი¹.

განვიხილოთ პ. ინგოროყვას საბუთი.

დეტალი, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს მკვლევარი, საინტერესოა და საყურადღებო (ამიტომაც მიიქცია მან მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ ადრე²), მაგრამ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ხელნაწერ S № 5006-ს მეცნიერები ათარილებდნენ XVII საუკუნით³, ზოგჯერ—XVII საუკუნის მეორე ნახევრით⁴, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნებით ის მე-18 საუკუნის დამდეგს უფრო განეკუთვნება. აღნიშნული ხელნაწერის ვახტანგისეულ გამოცემასთან შედარება ცხადყოფს, რომ პირველი დამოკიდებულია მეორეზე, ხელნაწერი წარმოადგენს ბეჭდური გამოცემის

¹ პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 508—509; შდრ. მისივე რუსთველიანა, გვ. 9, 13. ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, რუსთველიანა, (რეც.), გვ. 183—184; პ. ინგოროყვა, რუსთველიანაზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო, გვ. 204. S №5006-ის სიახლოვე ვახტანგისეულ გამოცემასთან ჯერ კიდევ 1913 წ. აღნიშნა ს. კაკაბაძემ (ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1913 წ., გვ. 25—26; 1927 წ., გვ. IX).

² დ. კარიჭაშვილი (ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, „განათლება“, 1913 წ., VI, გვ. 415), ს. გორგაძე („მნათობი“, 1927 წ., № 3, გვ. 197, შენ.) და სხვა.

³ ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1913 წ., გვ. 4, 17, 25—26; დ. კარიჭაშვილი, ვეფხისტყაოსნის შედგენილობა, გვ. 415; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 9, 13; მისივე, რუსთველიანაზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო, გვ. 202; კ. კეკელიძე, რუსთველიანა, (რეც.), გვ. 183.

⁴ ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძის რედაქტორობით, 1914 წ., გვ. XLX; 1926 წ., XIII; ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1927 წ., გვ. V; კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, გვ. 110; ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი, თბ., 1948 წ., გვ. 87.

პირს, ოლონდ დართული აქვს ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერი-დან დამატებითი თავები.¹

ამრიგად, № 5006 ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს და, მაშასადამე, ჩვენი საკითხისთვის მას მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვა ვახტანგისეული გამოცემის დედანს ათარიღებს XIV საუკუნით. მკვლევარი წერს: ვახტანგის გამოცემის დედანი „არ არის XIV საუკუნეზე ადრინდელი“², „ჩანს ეკუთვნოდა ხანას არა უგვიანეს XIV საუკუნისა. ეს ჩანს იმის მიხედვით, რომ მასში არაა შესული გვიანდელი დანართები, რომლებიც ჩაურთავთ პოემის ტექსტში XIV საუკუნის მეორე ნახევრის მომდევნო პერიოდიდან მოკიდებულთ“.³

ამრიგად, მკვლევრის საბუთი ასეთია: პირველ გამოცემაში არაა XIV ს. მეორე ნახევრის მომდევნო პერიოდის დროინდელი დანართები, ე. ი. ვახტანგისეული რედაქცია XIV საუკუნეზე გვიანი ხანისა არ შეიძლება იყოს.

ამ საკითხზე ვრცლად შეჩერდა პ. ინგოროყვა „რუსთველიანაში“. ის ინდო-ხატაელთა, ხვარაზმელთა და გმირთა სიკვდილის ამბებს მეორე პლასტს უწოდებდა და მე 14—15 სს-ში წარმოშობილად მიიჩნევდა⁴.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დღემდე მოღწეული ინდო-ხატაელთა ამბავი XVI ს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს⁵, ხვარაზმელთა ამბის გალექსვა მე-16 ს-ით თარიღდება⁶, გმირთა სიკვდილის ამბავიც დაახლოებით ამავე ხნისა უნდა იყოს⁷.

ამრიგად, აღნიშნული თავები XVI საუკუნეში ყალიბდება და თუ პ. ინგოროყვას მსგავსად განვიხილავთ საკითხს, ვახტანგისეული გამოცემის დედნის დათარიღება XV საუკუნითაც შეიძლება.

შემდეგ. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგისეული რედაქცია შეიცავს 22 სტროფს, რომელიც სწორედ საცილობელი თავებიდანაა გამოკრებილი. ეს როგორღა ავხსნათ? ცხადია, ვახტანგისეული რედაქცია არამც თუ XIV საუკუ-

¹ ეს გარემოება სავსებით ნათელყო სპეციალური შედარებით დიპლომანტმა (აწ ასპირანტმა) ს. ცაიშვილმა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტის მსგავსი დასათაურება, სწორ თუ მცდარ წაკითხვათა გამეორება, ადრეული ფორმების ერთიანობა, დაბეჭდილი კორექტორული შეცდომების ხელნაწერში გამეორება, ფორმოზობლივი მსგავსება და სხვ.

² პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 400.

³ იქვე, გვ. 509—510.

⁴ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა გვ. 27—38, 97—98.

⁵ კ. კეკელიძე, რუსთველიანა, (რეც.), გვ. 188; ძვ. ქართული მწერლობის ისტორია II, გვ. 266; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 122. ამ შემთხვევისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას ინდო-ხატაელთა ამბავი დამატება (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა), თუ რესტავრაციული ტიპის ინტერპოლაცია (ალ. ბარამიძე).

⁶ ალ. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის“ პლასტების დათარიღებისათვის, თსუ მოამბე, IX, 1928 წ., გვ. 121—131; მისივე, ნარკვევები, III, გვ. 122; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 266.

⁷ ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 122.

ნისა არაა, არამედ XV საუკუნისაც არ შეიძლება იყოს. ის არ შეიძლება ჩამოყალიბებულიყო (თუნდაც რომ დავუჯეროთ პ. ინგოროყვას და დავასკვნათ, რომ არსებობდა ასეთი სახის ხელნაწერი, რაც ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია) XVI საუკუნის ნახევრამდე. აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ ვახტანგის გამოცემაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ფაქტები, რომელთა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოცემაში გამოყენებულია ხელნაწერები აღორძინების ხანისა და არა XIV საუკუნისა¹; უსწორმასწორო ფორმებიც გვიანდელი ხელნაწერებიდანაა².

აღნიშნულის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის უძველესად მიჩნევა შეუძლებელია.

რჩება კიდევ ერთი საკითხი. პროფ. ა. შანიძემ სავსებით დამაჯერებლად გაარკვია, რომ ვახტანგის კომენტარი დაწერილია არა დაბეჭდილ ტექსტზე, არამედ პოემის ვრცელ რედაქციაზე. რით აიხსნება სხვაობა ტექსტსა და კომენტარს შორის?

პროფ. ა. შანიძის აზრით კომენტარის დაწერის შემდეგ „ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუშუშავებია და დაუბეჭდავს“³. პროფ. ა. შანიძის მიერ აღდგენილი გამოცემის რეცენზენტი გაზეთ „კომუნისტი“ წერდა: „ურწმუნო თომას შეუძლია საკითხის შებრუნება: ვთქვათ, ვახტანგის კომენტარი კი გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციას, მაგრამ იქნებ კომენტარების შედგენის შემდეგ ვახტანგს (ან მის თანამშრომლებს) ჩაუვარდათ ხელში რომელიმე ძველი, შეურყენელი ხელნაწერი და სწორედ იმის გადმობეჭდვა ამჯობინა სწავლულმა რედაქტორმა“.⁴

პ. ინგოროყვა სწორედ ასეთ აზრს ავითარებს: „ვახტანგი უცვლელად მისდევდა ლიტერატურულ დოკუმენტს. პოემის კომენტარი მას დაუწერია იმ დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ამ დროს მას ხელთ ჰქონდა“; ხოლო როდესაც „შესდგომია ვეფხისტყაოსნის ბეჭდვას და შემოუტკრებიათ პოემის ხელნაწერები, ამ დროს მოუპოვებიათ პოემის ძველი დედანი, რომელიც საფუძვლად დასდებია ვახტანგისეულ გამოცემას“.⁵

თუ რამდენად ძველია ვახტანგის დედანი, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ახლა ჩვენ სხვა გარემოება გვაინტერესებს. რატომ არ შეუთანხმა გამომცემელმა კომენტარი ტექსტს? პ. ინგოროყვა ფიქრობს შეუფარდა, მაგრამ „მაინც შერჩენილა ზოგიერთი გადანაშთი“⁶. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. საკითხის სრული შესწავლა ცხადყოფს, რომ პოემის ტექსტი და კომენტარი დაიბეჭდა ვახტანგის ქართლში არ ყოფნის ქამს, მისგან დამოუკიდებლად⁷.

¹ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური შტუდიები, თსუ შრომები, III, 1936 წ., გვ. 132—133; მისივე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 97.

² ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937 წ., გვ. 2.

³ იქვე, გვ. 391.

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 11. X. 37.

⁵ პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 506—507.

⁶ იქვე, გვ. 507, შენ. 1.

⁷ კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიის საკითხები, გვ. 95—100; მისივე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 98—100.

ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა გადაწყდეს საკამათო საკითხი, ვახტანგის დედნის ხელნაწერიდან უცვლელად მომდინარეობა ვერ დამტკიცდება.

ამრიგად, კიდევ ერთხელ შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ ვახტანგისეული რედაქცია „ვეფხისტყაოსნისა“ ვრცელი რედაქციის შემოკლებას წარმოადგენს. მაშასადამე, რადგან „ვახტანგის დედანი არის ხელოვნურად შემუშავებული რედაქცია, ცხადია, მას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება ვეფხისტყაოსნის ტექსტის გენეალოგიის გამოსარკვევად“ (პ. ინგოროყვა)¹. ამიტომაცაა, რომ პ. ინგოროყვა ცდილობს დაამტკიცოს საწინააღმდეგო, მაგრამ ამაოდ.

ზემოთ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვეჩინა, რომ პ. ინგოროყვა ხშირად იმოწმებს ვახტანგისეულ გამოცემას და მის საფუძველზე ასწორებს 1951 წლის გამოცემის ტექსტს. დამოწმებული ადგილების შედარებამ ვახტანგისეული გამოცემის სათანადო სტროფებთან თუ ტაეებთან ცხადყო, რომ დამოწმება ყოველთვის სწორი არაა. რანდენიმე მაგალითი:

1. ცნობილი ტაეპი: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზმან ნები“ (9, 4), წარმოდგენილია ასე:

„ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლალმა და ლამაზმა ნები“.

დამოწმებულია ვახტანგისეული გამოცემა (შესწ. 1). იქ კი წერია არა „ლამაზმა ნები“, არამედ „ლამაზ მანები“ (სტროფი ივ).

2. 103-ე სტროფის პირველი ტაეპი: „ერთილა ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა“, ახალ გამოცემაში ასეა დაბეჭდილი:

„ერთაი ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა“.

დამოწმებულია პირველი ბეჭდური გამოცემა (შესწ. 165). იქ ვკითხულობთ: „ერთილა...“ (სტროფი რდ).

3. 205-ე სტროფის უკანასკნელი ტაეპი: „ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისა დადენით“ ასეა შესწორებული:

„ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლისაცა დენით“.

გამომცემელი აქაც ვახტანგის რედაქციას იმოწმებს (შესწ. 4), იქ კი იკითხება: „ცრემლისაც ადენით“ (სტროფი სვ) და არა: „ცრემლისაცა დენით“.

4. ავთანდილი ერთგან ამბობს: „ჟამია ჩემგან წასლვისა, მით მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ (735, 4). პ. ინგოროყვა ასწორებს:

„ჟამია ჩემგან წასლვისა, მით მწვავს ცეცხლითა ნელითა“.

საამისო საბუთს თითქოს ვახტანგისეული გამოცემა აძლევს (შესწ. 12), მაგრამ იქ იხსენიება „ცეცხლი ცხელი“ (სტროფი ღკე და არა „ცეცხლი ნელი“).

5. 1071 სტროფის მეოთხე ტაეპი: „წინა კაცსა მოგაგებებს, ქალაქს შეხვალ ნათლივ დღისი“ შესწორებულია ამგვარად:

„წინა კაცთა მოგაგებებს, ქალაქს შეხვალ ნათლივ დღისი“.

დამოწმებულია ვახტანგისეული რედაქცია (შესწ. 317), მაგრამ იქ გვხვდება „კაცსა“ (ჩაა) და არა „კაცთა“.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ,

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 12.

საკმაოა. ხშირად შეინიშნება ვახტანგისეული ტექსტის არაზუსტი დამოწმებაც (იხ. მაგალითად შესწ. 83, 85, 117, 137, 138, 140, 171, 195, 202, 220, 221, 253, 255, 269, 293, 334, 335, 340, 341, 371, 397, 415, 446 და სხვა).

პ. ინგოროყვა ასწორებს „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემას. საკითხავია, რატომ ეს გამოცემა აირჩია შესასწორებლად მკვლევარმა? მართალია, ამდენ ხანს ის უკანასკნელ გამოცემად ითვლებოდა, მაგრამ ის ხომ „არსებითად წარმოადგენს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის გამეორებას“? ¹ ამას ხომ პ. ინგოროყვაც ადასტურებს და დასძენს, რომ მასში მხოლოდ „რამდენიმე ახალი შესწორებაა“ შეტანილი და „გასწორებულია კორექტორული ხასიათის შეცდომები“. ² ამის გამო რაღად შეჩერდა პატივცემული მკვლევარი 1951 წლის გამოცემაზე? ეგებ შესწორებანი ამ გამოცემას ეხება მხოლოდ? ვნახოთ. ჩვენ სპეციალურად შევეუდარეთ 1937, 1951 და 1953 წლის გამოცემები ერთუროს და დავრწმუნდით, რომ პ. ინგოროყვას შესწორებათაგან, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ეხება საკუთრივ 1951 წლის გამოცემას, დანარჩენი საერთოა 1937 და 1951 წლის გამოცემებისათვის. შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი 1951 წლის გამოცემის შესწორებისა.

1. 1951 წ.: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს **ლადმან** და **ლამაზმან** ნები“ (9, 4)
1953 წ.: „ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს **ლადმა** და **ლამაზმა** ნები“.
2. „რასაცა გასცემ, შენია; **რას** არა, დაკარგულია!“ (50, 4)
„რასაცა გასცემ—შენია, **რაც** არა—დაკარგულია!“
3. „მან, გლახ, იგინი **გახადნა** მტერთაცა საწყალობელად“ (94, 2)
„მან, გლახ, იგინი **დახადნა** მტერთაცა საწყალობელად“.
4. „არას ვუზამ უგემურსა, **არაოდეს** გავამწარებ“ (279, 3)
„არას ვუზამ უგემურსა, **არათ** **ოდეს** გავამწარებ“.
5. „მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, **არს** აღესებისა“ (552, 2)
„მოვიდა სიძე, გარდახდა,—დღე **ჰგვანდა** **არ** აღესებისა“.
6. „მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს **გვისგმან** მაჰარნი“ (1031, 2)
„მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს **გვისგამნ** მაჰარნი“.
7. „მივჰყვე, მიაბობს ყველასა, რაზომცა, **ცეცხლო**, მწუვავ, ალთა“ (1092, 3)
„მივჰყვე, მიაბობს ყველასა, რაზომცა **ცეცხლი** მწუვავ ალთა“.
8. „შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა **დასახივარად**“ (1308, 3)
„შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა **დასაყივარად**“
9. „მაგრა აწ ყონა არ ვარგა, **წასლვა** სჯობს გზისა გრძელისა“ (1386, 3)
„მაგრა აწ ყონა არ ვარგა, **წავლა** სჯობს გზისა გრძელისა“.

¹ ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951 წ., გვ. 403.

² პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 403.

წარმოდგენილ ნუსხას კიდევ ხუთიოდე მაგალითი * შეიძლება დაემატოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ შესწორებათაგან ¹, რამდენიმე 1937 წლის გამოცემის წაკითხვის განმეორებას წარმოადგენს ². ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი გარემოება. 1951 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ორ სერიად გამოვიდა. ერთი მოზრდილი ტანისაა, მეორე მცირე ზომისა (უკანასკნელს არც რედაქციის წერილი ახლავს). ის დაგვიანებით გამოქვეყნდა. რედაქციას შესაძლებლობა მიეცა პირველ სერიაში გაპარული შეცდომები გაესწორებინა. ის ასეც მოიქცა, მაგრამ პ. ინგოროყვა მაინც არ უწევს ამას ანგარიშს და პირველი სერიის წაკითხვას ასწორებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შემდეგი ადგილები პოემისა:

1. 1951 წ. I—„ოდეს მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა“ (853, 2)
1951 წ. II—„ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა“.
1953 წ.—„ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა“.
2. 1951 წ. I—„შენ ვერას ირგებ, მე ვირგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“ (934, 4)
1951 წ. II—„შენ ვერას ირგებ, მე ვარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“.
1953 წ.—„შენ ვერას ირგებ, მე ვარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“.

როგორც ვხედავთ, 1951 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიას დროულად თუ არა, ოდნავი დაგვიანებით მაინც შეუნიშნავს გაპარული კორექტორული შეცდომები და გაუსწორებია იმავე წლის მეორე გამოცემაში ³.

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ადრე დასმულ საკითხს. ახალ გამოცემაში შესწორებულია (რამდენად სწორად და მართებულად—სხვა საკითხია) 1951 წლის გამოცემის რამდენიმე ტაეპი, ხოლო ძირითადი (400-დე) შესწორებანი 1937 წლის გამოცემას ეხება. რატომ ასახელებს პ. ინგოროყვა ყოველთვის 1951 წლის გამოცემას და არა 1937 წლის გამოცემას? ეგებ იმიტომ, რომ ის თვით იყო 1937 წლის გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი და როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრს ხელიც კი უწერია „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემაზე?

აქვე უნდა შევჩერდეთ ერთ საკითხზე. პ. ინგოროყვა, როდესაც აკრიტიკებს 1951 წლის გამოცემას, ყოველთვის ასახელებს მას, მაგრამ ზოგჯერ იზიარებს და იწყნარებს 1951 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიის მიერ შეტანილ შესწორებებს, ამ შესწორებული სახით ბეჭდავს ტექსტს, მაგრამ არ იხსენიებს შემსწორებელთ (ეს გარემოება ინტერესმოკლებული არაა). შეგვიძლია მოვიხიზოთ მაგალითები:

1. „სრულნი მუყრნი და მუღიმინი მე გარე შემომცვიდიან“ (351, 1)
2. „თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“ (630, 4)
3. „ენა მის დლისა შევბასა ყოლა ვერ იტყვის კლებული“ (676, 4)

¹ შესწ. 1, 49, 55, 94, 171, 304, 321, 377, 393.

² შესწ. 55, 171, 321, 377, 393.

³ ასევე სწორად იყო დაბეჭდილი მოტანილი ადგილები 1937 წ. გამოცემაშიც.

4. „ამას თურე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული!“ (729, 2)
 5. „ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ ლაფალმან, ავმან, უქმან“ (730, 1)
 6. „ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად“ (757, 1)
 7. „მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ველარ დავსთმობ ვისსა ვერად?!“ (786, 4)
 8. „მე რა ვქმნა შენად შეყრამდის, ანუ რას მეჭვდევ ლხენასა?“ (834, 1)
 9. „მუნ დაემართა ავთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა“ (982, 3)
 10. „ძე დიდებულთა დიდ-გვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით“ (992, 3)
 11. „ავთანდილის მაქებელად ათასიმცა ენა ენდა!“ (1048, 1)
 12. „ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ-სიწყნარები“ (1179, 2)
 13. „შართ სახელდებით უყვიის ხმითა მით სახარულითა“ (1333, 2)
 14. „უთხარ: „ძმაო, რა გარდინდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა“ (1471, 1)
 15. „სამ თვე ვლეს, — ღმერთსა მათებრივ სხვა რამცა დაებადოსა!“ (1578, 1)
- მსგავსი მაგალითი მრავალი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს¹.

ბ. ინგოროყვას რედაქციით დაბეჭდილ ტექსტში 450-ზე მეტი შესწორებაა. მათში ბევრია დამაჯერებელი და სარწმუნო შესწორება. მომავალი გამოცემელი იძულებული იქნება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ შესწორებებს. პირადად ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია 30-ოდე შესწორება (33, 65, 68, 70, 81, 84, 98, 105, 113, 130, 134, 142, 168, 190, 209, 256, 260, 281, 342, 364, 368, 373^ა, 390, 396, 414, 448)². ოღონდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი უკვე გვხვდება ადრეულ გამოცემებში და ბ. ინგოროყვას არ ეკუთვნის მათი პირველად გამოქვეყნება³. მიუხედავად ამისა, საკითხის ახლად

¹ იხ. 1953 წლის გამოცემის სტროფები 58(3), 368(3), 421(4), 427(1), 471(3), 484(2), 495(3), 527(4), 579(4), 625(4), 654(1), 748(2), 751(4), 817(1), 1226(2), 1419(1) და სხვა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ, როდესაც ბ. ინგოროყვა არ იღებს 1951 წ. გამოცემის შესწორებას, მაშინ ასახელებს (შესწ. 171)

² ამათგან რამდენიმე მოიწონა ზ. ჭუმბურიძემ (134, 209, 256), ერთი — კ. ჭიჭინაძემ (33). გარდა აღნიშნულისა ზ. ჭუმბურიძემ მოიწონა 135, 277, 338, (იხ. ზ. ჭუმბურიძე, მცირე-შენიშვნა ვეფხის-ტყაოსნის ერთი ადგილის გასწორების გამო, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, № 5 (66), 13. II. 54), კ. ჭიჭინაძემ — 171 და 377 (კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, № 9(867), 26. II. 54). ორი შესწორება (134, 281) სპეციალურად დაასაბუთა ბ. ინგოროყვამ საგაზეთო წერილში („ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტ. გაზეთი“, № 11 (869), 12. III. 54).

³ მაგალითად, ადრეულ გამოცემებში გვხვდება შემდეგი შესწორებანი: 65 (ს. კაკაბაძე, II, 133), 70 (ი. აბულაძე, I, 148; II, 135^ა; კ. ჭიჭინაძე, 209), 81 (კ. ჭიჭინაძე, 252), 105 (ს. კაკაბაძე, I, 299; II, 312; ი. აბულაძე, I, 274; II, 252; კ. ჭიჭინაძე, 362), 113 (ს. კაკაბაძე, I, 358; II, 378), 130 (ს. კაკაბაძე, I, 403; ი. აბულაძე, I, 378; II, 351; კ. ჭიჭინაძე, 479), 209 (ს. კაკაბაძე, I, 654; II, 683; კ. ჭიჭინაძე, 740), 256 (ი. აბულაძე, I, 781^ა; II, 728^ა; კ. ჭიჭინაძე, 905), 260 (ი. აბულაძე, II, 756; კ. ჭიჭინაძე, 933), 364 (ს. კაკაბაძე, II, 1262; ი. აბულაძე, II, 1120; კ. ჭიჭინაძე, 1325), 368 (ი. აბულაძე, I, 1205; II, 1133; კ. ჭიჭინაძე, 1339), 373^ა (ი. აბულაძე, I, 1227; II, 1155; კ. ჭიჭინაძე, 1362), 396 (ი. აბულაძე, I, 1321; II, 1240; კ. ჭიჭინაძე, 1462), 414 (ს. კაკაბაძე, II, 1433; ი. აბულაძე, I, 1361; II, 1273; კ. ჭიჭინაძე, 1502), 448 (ს. კაკაბაძე, I, 1505; II, დამ., 8). სია არასრულია.

დასმა და ყურადღების გამახვილება ცალკეულ ტაეებზეა თუ სიტყვებზე, რასაკვირველია, მისასალმებელია. ამასთანავე, დასახელებულთა შორის არის რამდენიმე ისეთი შესწორება, რომელიც ადრეულ გამოცემებში არ გვხვდება (33, 68, 84, 98, 134, 142, 168, 190, 281, 342, 390).

მართებულ შესწორებათა გვერდით გვხვდება საეკვო და საკამათო შესწორებანიც. ასეთია, მაგალითად, 43, 49, 50, 63, 74, 88, 97, 103, 288, 319, 401 და სხვა შესწორება. ვეჭვობთ, რომ პ. ინგოროყვამ დაამტკიცოს აღნიშნულ შესწორებათა აუცილებლობა და გარდუვალობა.

შესწორებათა რიგში გვხვდება მრავალი მცდარი შესწორება, რომლის შეწყნარება და გაზიარება შეუძლებელია. შეგვიძლია დავასახელოთ: 3, 12, 14, 23, 48, 59, 64, 83, 85, 106, 112, 117, 119, 141, 147, 171, 282, 304, 318, 377, 411, 454 და მრავალი სხვა¹.

განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს.

1. შესწორება 3.

„მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭერეტო ღამესა ჩვენ უმთვაროსა“ (35, 4) ასეა დაბეჭდილი ეს ტაეპი მრავალ გამოცემაში², არის განსხვავებულნი წაკითხვაც: „უთენაროსა“³. პ. ინგოროყვა ასწორებს რითმისა (ნაროსა) და ტაეპის შინაარსის შესაბამისად: „უმთენაროსა“⁴. მისი აზრით, პოემის ძველ დედანში ეწერა „უმთენაროსა“, შემდეგ ის დამახინჯდა, მივიღეთ „მომთანაროსა“ (H № 461), ხოლო შემდეგ „უმთვაროსა“. ამ სიტყვებში როსტევეანი გულისხმობს სიკვდილს-ღამეს, რომელიც არ გათენდება⁵. მოტანილი ადგილის ასეთი გააზრების მიღება შეუძლებელია. წარმოუდგენელია, როსტევეანი ასეთი აზრისა ყოფილიყო საიქიო ცხოვრებაზე. არც რითმა ვეძალევს იმის საშუალებას, რომ უარგყოთ ტრადიციული წაკითხვა ტექსტისა⁶.

2. შესწორება 12.

„უამია ჩემგან წასლვისა, მით მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ (735, 4) პ. ინგოროყვას აზრით, აქ იგულისხმება დაწვა „ცეცხლითა ნელითა“, რადგან ეს უფრო დამტანჯველია⁷. ვინ დაამტკიცა, რომ დაწვა „ცეცხლითა ცხელითა“ ნაკლებ დამტანჯველია ან რუსთველის პოემისთვის უჩვეულოა? პოემაში ასეთი წვა უფრო ხშირად იხსენება.

¹ რამდენიმე დაიწუნა ზ. ჭუმბურიძემ (106, 119, 112, 147, 304), რამდენიმე — კ. ჭიჭინაძემ (3, 106). გარდა აღნიშნულისა, ზ. ჭუმბურიძემ გააკრიტიკა 298, კ. ჭიჭინაძემ — 13, 22, 172 — 3, 175, 181, 228, 277, 300. კ. ჭიჭინაძის შეხედულებათა კრიტიკა მოგვცა პ. ინგოროყვამ („ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტ. გაზეთი“, № 12 (870), 19. III. 54).

² მაგალითად, ვახტანგი, ლე; ს. კაკაბაძე, I, 29; II, 4; ი. აბულაძე, I, 4; კ. ჭიჭინაძე, 37; 1937 წ.; 1951 წ.;

³ ი. აბულაძე, II, 4.

⁴ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 66—67; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტ. გაზეთი“, № 12 (870), 19. III. 54.

⁵ კ. ჭიჭინაძე, რუსთველის გარშემო, გვ. 68—69; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ლიტ. გაზეთი“, № 9 (867), 26. II. 54.

⁶ პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 410, შენ. 2.

„მე ასმათ მქვიან, რომელსა წვა მაქვს ცეცხლისა ცხელისა“ (260, 3)
 „მე თუ ვიტყვი, დამწვავს ცეცხლი ცხელი, შემიქმს ალად, მურად“ (300, 4)
 „ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ დადაგულო?!“ (309, 4)
 „აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი“ (663, 4)
 „მის ვამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“ (911, 2)
 „გითხრამცა ვინ, რა მჭირს, ანუ რა ცეცხლი მწვავს, როგორ ცხელი!“
 (920, 4)

არავითარი ატყილებლობა არაა საკამათო ტაეპის შეცვლისა¹.

3. შესწორება 14.

„ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა მოშორებულნი“ (984, 3)

3. ინგოროყვა უარყოფს დაკანონებულ დაწერილობას² და იძლევა ახალ წაკითხვას: „**მოშორებულნი**“. ამ შესწორების შეწყნარებაც შეუძლებელია. პოემის ტექსტში გვხვდება პირველი ფორმა და არა მეორე.

„მის მოყვრისა მოშორება კვლა აბინდებს, არ აღილებს“ (713, 4)

„საყვარლისა სიახლესა მოშორება გაამწარებს“ (716, 3)

„მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორება განანათლებს“ (830, 1)

„მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორებულნი“ (1185, 4)

„მით შეგქმნა მოშორებულთა ჭირთა, არ ღხინთა მწადებლად“ (1085, 2)³

4. შესწორება 48.

როსტევიანის ცნობილი სიტყვები თინათინისადმი „დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი“ (48, 2) შესწორებულია ასე:

„დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი“⁴.

3. ინგოროყვას აზრით, „ჩვენგან“ უდგება კონტექსტს, რადგან 46-ე სტროფით თინათინი „დალოცეს და მეფედ დასვეს“, „მეფემან და მისთა სპათა“. რადგან მეზობელი სტროფის დამოწმებასთან გვაქვს საქმე, სხვასაც მივხედოთ.

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა“ (42, 1)

„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან“ (43, 2)

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,

დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა“ (54, 1—2).

ამრიგად, ტექსტის მონაცემებით არც ერთი არა გამორიცხული, რადგან ხელნაწერთა ტრადიცია პირველს უჭერს მხარს, ის უნდა დარჩეს.

¹ ადრეულ გამოცემებში გვხვდება ორივე ფორმა: ცხელითა—ვახტანგი, ღვე; ს. კაკაბაძე, I, 696; II, 729; 1937 წ.: 1951 წ.; ნელითა—ი. აბულაძე, I, 673; II, 622; კ. ჭიჭინაძე, 786.

² ვახტანგი, შდ; ს. კაკაბაძე, I, 940; II, 984; ი. აბულაძე, I, 917; II, 854; კ. ჭიჭინაძე, 1043; 1937 წ.

³ იხ. 141 (1), 956 (1), 1306 (3), 1359 (4) სტროფები.

⁴ ასეთი წაკითხვა გვხვდება ზოგ ადრეულ გამოცემაში (ი. აბულაძე, I, 17; II, 18; კ. ჭიჭინაძე, 50).

5. შესწორება 59.

თინათინი როსტევეანს ეუბნება: „შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება—**მიუთხრობელი**“ (114, 2). ახალ გამოცემაში იკითხება:

„შორს არის თქვენი საზღვარი ბრძანება—**მისათხრობელი**“.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ პირველი უფრო ბუნებრივი და მოსალოდნელია. ის როსტევეანის სამეფოს სიდიდესა და უსაზღვროებას უსვამს ხაზს. მოვიგონოთ ფრიდონის სიტყვები:

„ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,

ცოტაა, მაგრამ ყოველგნით სიკეთე—**მიუწდომელი**“ (600, 3—4).

ვფიქრობთ. შესწორება არაა მოტივირებული სათანადოდ. ჩვეთვის გაუგებარია მისი მიღების საჭიროება¹.

6. შესწორება 64.

„ცრემლსა ვითა მარგალიტსა ჰყრის ვარდისა დასანაზოდ“ (141, 2)

შესწორებულია ასე:

„ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, წვიმს ვარდისა დასანაზოდ“².

მკვლევარი ანგარიშს უწევს 86-ე და 1320-ე სტროფებს, რომლებშიც „ცრემლის წვიმაზეა“ საუბარი. ეს საყურადღებოა, მაგრამ რუსთველისათვის არც „ცრემლის ყრავა“ უჩვეულო და რად უნდა უარყოთ იგი? მოვიგონოთ სათანადო ადგილები პოემიდან:

„თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა“ (160, 2)

„მერმე სულთქნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა“ (308, 4)

ამრიგად, ეს შესწორებაც მიუღებელია.

7. შესწორება 83.

ქვაბში მისულ ავთანდილს ასმათი არ აცნობს საიდუმლოებას, სთოხოცს თაგის დანებებას.

„კვლა ეტყვის: „ყმაო,რა გინდა, ანუ მენუკვი მე რასა?“

მაგა საქმისა ვერა იქმს ვერცა კალამი წერასა“ (235, 1—2)

პ. ინგოროყვა ასწორებს: „მაგა საქმესა...“ მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარს მხარს უჭერს ვახტანგისეული გამოცემა და ხელნაწერთა ჯგუფი, ამ შესწორების მიღება შეუძლებელია. აქ სინტაგმა „საქმისა წერა“, რაც მიცემით ბრუნვაში მხოლოდ და მხოლოდ ასე იქნება: „საქმისა წერასა“.

8. შესწორება 85.

ავთანდილი ქვაბში უცქერის ატირებულ ასმათს, რომელმაც „ყმისაგან მიჯნურობისა სმინების“ შემდეგ უმატა ცრემლის ღვრას. ავთანდილი დაიმედდა, უცხო მოყმის ვინაობის გაგების მოპენტის მოახლოება იგრძნო.

„იტყვის, თუ: „ამა სიტყვითა მას ფერი შეეცვალეღის,

¹ ადრეულ გამოცემებში გვხვდება „მიუთხრობელი“ (ვახტანგი, რიდი; ს. კაკაბაძე, I, 103; II, 86; ი. აბულაძე, I, 78; II, 74; კ. ჭიჭინაძე, 119; 1937 წ.)

² ასეთი წაითხვა ადრეც დაიბეჭდა (ს. კაკაბაძე, II, 116). იყო განსხვავებულიც: ტირს (ვახტანგი, რმ).

ვისთვისმე **ცხელი** უცილოდ მას ცრემლი ემაღმალეების“ (249, 1—2)
 პ. ინგოროყვა იმოწმებს ვახტანგისეულ გამოცემას და ტექსტს ასწორებს „თხრობის შინაარსის“ შესაბამისად:

„ვისთვისმე **ხელსა** უცილოდ მას ცრემლი ემაღმალეების“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახტანგისეული გამოცემა აქ სწორად არა დამოწმებული.¹ არც კონტექსტს უდგება „ხელსა“. უმჯობესია დარჩეს „ცხელი ცრემლი“, რომელიც სტროფის შინაარსობლივი გააზრებისთვის კარგია და რუსთველის პოემისათვის ჩვეულებრივი. მოვიგონოთ:

„ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა“ (152, 2)

„თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა“ (160, 2)

„ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა“ (283, 2)

„მერმე სულთქნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა“ (308, 4)

„თვალთათ ვითა საგუბარი ცხელი ცრემლი გარდმოჩქეფდა“ (405, 2)

„ასმათ წინა ჩამომიძღვა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი“ (547, 2)

„თვალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა“ (630, 4)

„იკითხავს, სულთქვამს, უსტარსა ალტობს ცრემლითა ცხელითა“ (1280, 4)

„ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა“ (1326, 1)

9. შესწორება 112.

„წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს **ალი** გულსა“ (376, 1)

გულისტკივილით იგონებს ტარიელი ნესტანის წერილს. პ. ინგოროყვას აზრით, ყოველი ალი არ დაგავს, დაგავს ცეცხლი. ამიტომაც აღნიშნული ტაეპი მკვლევარს ასე შეუსწორებია:

„წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს **ცეცხლი** გულსა“².

არავითარი აუცილებლობით არაა გამოწვეული ეს შესწორება. ტარიელი სხვაგანაც იგონებს ნესტანს და ეუბნება ავთანდილს:

„აწ ვახსენებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული ალსა!“ (325, 4)

ე. ი. ორივე შემთხვევაში ნესტანზე საუბრობს ტარიელი, ორივეჯერ აღნიშნავს, რომ მისი ალი დაგავს. შესასწორებელი აქ არაფერია.

10. შესწორება 117.

რამაზ მეფის მიერ ტარიელისადმი შემოთვლილ სიტყვებს პ. ინგოროყვა ასე ბეჭდავს: „ვინ არის თქვენი ხელმწიფე, **ჩემზედა** რა პატრონია?“ (400, 4)³. თუ კარგად ჩაუკვირდებით აღნიშნულ სტროფს, შესწორების მიღება ფრიად საძნელო აღმოჩნდება.

„ხატაეთს მყოფნი მოვიდეს, მათგან მოსლვისა დრონია;

სიტყვანი შემოეთვალნეს ლალნი და უკადრონია:

„არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია,
 და ვინ არის თქვენი ხელმწიფე? **ჩვენზედა** რა პატრონია?“ (400).

¹ იქ წერია „ხელი“ (სმზ). ეს გაიმეორა ს. კაკაბაძემ, (I, 228; II, 229).

² ასე ადრეც დაბეჭდეს ეს ტექსტი (ვახტანგი, ტაა; ი. აბულაძე, I, 319; II, 292; კ. ჭიჭინაძე, 418).

³ ასეთვე მცდარი წაკითხვა გვხვდება ზოგ გამოცემაში (ვახტანგი, ტყე; ი. აბულაძე, I, 342; II, 315).

რატომ უნდა შეიცვალოს „ჩვენზედა“ და უნდა დარჩეს: „არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი“?

11. შესწორება 141.

ტარიელი ავთანდილს უამბობს რამაზ მეფის განთავისუფლებისა და გამგზავრების ამბავს: „წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა“ (472, 4). პ. ინგოროყვა ასწორებს: „თანა წაიტანა“, რადგან ტყვეთა გატანება დამოკიდებული იყო არა ხატაელთა მეფის, არამედ ინდოეთის მეფის ნებაზე. ეს სწორია, მაგრამ რამაზი უკვე განთავისუფლებული იყო და მისი მხლებელნი შეწყალებულნი. მოვიგონოთ ტარიელის სიტყვები:

„რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე;

ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე“ (468, 1—2).

„მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უაღერსა“ (469, 1).

„მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია.

შეწყალებული ვაგზაენა, უყო რისხვისა ფასია“ (471, 3—4).

ამას მოსდევს: „ხატაელმან დაუმაღლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,

წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა“ (472).

ცხადია, რამაზი და „მისი ხასი“ შეწყალებული და „დამოსილი“ იყო. „წავიდა და წაიტანა“ მოულოდნელი არაა, არც გაუმართლებელია და შესწორებას არ საჭიროებს.

12. შესწორება 282.

საკმაოდ პოპულარულია რუსთველის პოემის შემდეგი სიტყვები:

„მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“ (957, 1—2).

პ. ინგოროყვა ასწორებს: „აჰა, ღმერთო, გეაჯები...“ ამ შემთხვევაში ის ემყარება ბაქრაძისეული ხელნაწერის (H № 2610) ჩვენებას¹. მკვლევარი არ უარყოფს, რომ ყველა სხვა ხელნაწერსა და ვახტანგისეულ გამოცემაში „აჰა, მზეო...“ იკითხება², მაგრამ უპირატესობას მაინც ბაქრაძისეულ ხელნაწერს აძლევს. რატომ? მისი შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული მსოფლმხედველობის თანახმად მზე არის იგივე ღვთაება, ასეც იყო აღნიშნული საცილობელ სტროფში. „ეს ადგილი, სადაც მზე წარმოადგენილია როგორც ღმერთი, რასაკვირველია, უკიდურეს საცთურს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეთა ორთოდოქსი მკითხველისათვის. ამიტომ ეს ტექსტი გადაუჟეტებიათ“³.

ამ შესწორების შეწყნარება შეუძლებელია. ჯერ ერთი არაფრით არაა გამართლებული ბაქრაძისეული ხელნაწერისათვის ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება. მეორე, ამ ხელნაწერშიც ტექსტი დაზიანებული და გა-

¹ პ. ინგოროყვა, ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის, გვ. 465, შენ. 1; მისივე, რუსთველიანა, გვ. 61.

² რუსთველიანა, გვ. 61.

³ იქვე.

დაკეთებულია¹. მესამე—ასეთი შესწორების მიღებას ეწინააღმდეგება მთელი წყება მომდევნო სტროფებისა. მისი ჩაკითხვა ცხადყოფს, რომ საკამათო სტროფის მეორე ტაეპში აუცილებლად, „მზეო“ უნდა იკითხებოდეს. მზის შემდეგ ავთანდილი მიმართავს სხვა პლანეტებს:

- „მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“ (958, 1)
 „ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრქესა, ღმრთულსა“ (959, 1)
 „მოდი, მარიხო, უწყალოდ დამქერ ლახვრითა შენითა“ (960, 1)
 „მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა“ (961, 1)
 „ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა“ (962, 1)
 „მო, მთვარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებრ ვმკლდები“ (963, 1)

განსაკუთრებით ყურადსაღებია შემდეგი სტროფი:

- „აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
 მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან“ (964, 1—3).

ამრიგად, ადრე ხსენებულ პლანეტებს ავთანდილი ერთხელ კიდევ ასახელებს ამ დასკვნით სტროფში. ცხადია, რომ საკამათო (957₂) ტაეპში „მზეო“ უნდა დარჩეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ მზე დასახელებულია პირველად; პოემაში მზე წინა პლანზეა დაყენებული. მოვიგონოთ:

- „ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკუთესი“ (1201, 3).

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ პ. ინგოროყვას შესწორება უმართებულოა უნდა დარჩეს: „...ეუბნების, ეტყვის მხესა: „აჰა, მზეო...“ ისე, როგორც 955-ე სტროფშია: „მხესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ღაწვთა დარად.“

13. შესწორება 318.

რუსთველი გვაუწყებს, რომ ფატმანმა სამიჯნურო წიგნი გაუგზვნა ავთანდილს:

- „ფატმან-ხათუნ დაწერა და გაუგზვნა წიგნი მისი“ (1089, 1).

პ. ინგოროყვა ასწორებს: „...წიგნი ყმისი“². საკამათო არ უნდა იყოს, რომ შესწორება გაუმართლებელია.

14. შესწორება 411.

ტარიელმა ზღვათა მეფეს შეუთვალა:

- „სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან შეიწირე“ (1430, 2)

პ. ინგოროყვა ასე ასწორებს: „ჩვენგან შეიწირე“, ე. ი. სამთა გმირთაგან. ასეთი წაკითხვა ხელნაწერში გვხვდება, მაგრამ მართებული არაა. თუ სწორად მივიჩნევთ „ჩვენგან“, მაშინ უნდა შევცვალოთ „გიძღვნი“ და დავწეროთ „გიძღვნი“. მეორე: ქაჯთა სამეფო სამივე გმირისაა თუ მხოლოდ ტარიელისა? ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ წინა სტროფს, რომელშიც ტარეელი უთვლის იმავე ადრესატს:

- „აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადებია“ (1429, 1).

¹ კ კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 143.

² სხვებიც ბეჭდავდნენ ასე (ვახტანგი, ჩოთ; ი. აბულაძე, I, 1020; II, 952; კ. ჭიჭინაძე, 1152).

აქ გარკვევითაა აღნიშნული, რომ ქაჯთა ქვეყნის პატრონი ტარიელია. მაშასადამე, 1430-ე სტროფს არავითარი შესწორება არ ჰქონდა.

15. შესწორება 454.

„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის განთქმული სტროფი („ქართველთა ღმრთისა და ვითის, ვის მზე მსახურებს სარებლად...“) შესწორებულია „ისტორიული რეალიებისა და ვეფხისტყაოსნის პოეტიკის მონაცემების თანახმად“. იგი იკითხება ასე:

„ქართველთა ღმრთისა, ვის—მზესა—დავით მსახურებს მთვარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“ (1666)¹.

შესწორება ყოვლად მიუღებელია. ამ სტროფს აქ არ ვიხილავთ, რადგან ვრცლად ვეხებით მას დასაბუქლად გამზადებულ წერილში: „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგისათვის“.

ცალკე უნდა გამოვყოთ 2 შესწორება: 171 და 377.

1. 1951 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ მოგვცა სწორი წაკითხვა 552-ე სტროფის მეორე ტაეპისა:

„მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა“

პ. ინგოროყვამ არ შეიწყნარა ეს შესწორება და „შეასწორა“ იგი: „არ აღვსებისა“.

2. ასევე არ შეიწყნარა მან 1951 წლის გამოცემის წაკითხვა:

„შენთვის მოგვკვდები, გავხდები ყორანთა დასახივარად“ (1308, 3).

მოგვცა ძველი წაკითხვა: „დასაყივარად“.

ამ საკითხებზე დიდხანს წარმოებდა კამათი კ. ჭიჭინაძეს² და პოემის 1951 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიას³ შორის. პ. ინგოროყვა, ჩანს, პირველს მიემხრო. ამის შედეგად მოგვცა მან მართებულ შესწორებათა არამართებული შესწორება.

პ. ინგოროყვა ძალზე ხშირად ასწორებს რითმებს. დაყრდნობილ რითმებში ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სათანადო ყურადღებით ეკიდება წინა თანხმოვანს. მაგალითად, მე-9 სტროფში გატარებულია რითმა „მანები“ (ნათარგმანები, საგომანები, საკოკმანები, ლამაზმა ნები), რის გამო შეცვლილია 1951 წლის გამოცემის წაკითხვა (ლამაზმან ნები). ასეთივე ვითარებაა 33, 35, 205, 287, 511, 538 და სხვა სტროფებში⁴. საოცარია, თუ ასეთი დიდი მნიშვნელობისაა ეს მხარე, პ. ინგოროყვამ რატომ არ გაავრცელა ეს პრინციპი სხვა ადგილებზე? პოემაში ჩვენ ხშირად გვხვდება მაღალი თუ დაბალი შიორის დაყრდნობილი რითმები წინა თანხმოვნით, მაგრამ წინა თანხმოვანი

¹ ასეთ წაკითხვას იძლეოდა მკვლევარი თავის „რუსთველიანაშიც“ (გვ. 126—127).

² კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, „ლიტ. და ხელოვნება“, № 1 (402), 6. I. 52; მისივე, პასუხის პასუხი, „ლიტ. და ხელოვნება“, № 7 (408), 15. II. 52; მისივე, გაკვირვებული დისკუსია, „მნათობი“, 1953 წ., № 12, გვ. 185—191.

³ ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა, „ლიტ. ძიებანი“, VIII, 1953 წ., გვ. 345—360.

⁴ იხ. შესწ. 1—22.

ყოველთვის ერთი არაა (მაგალითად, ცრემლ-დათხეული, გამორჩეული, მენა რხეული, გულსა ხეული—4). ეგებ იმიტომ არ შეასწორა, რომ ხელნაწერი არ უჭერდა მხარს? მაგრამ, მამ რალად მოგვცა 2, 21, 22-ე შესწორება, ხელნაწერი ხომ არც აქაა გადამწყვეტი?

პ. ინგოროყვა ერიდება სიტყვათა გამეორებას. ამის გამო ის ხშირად ასწორებს ტექსტს (იხ. შესწ. 45—46, 151, 162, 174, 179...). თავი რომ დავანებოთ იმას, რომ სიტყვათა გამეორება რუსთველის პოემის დამახასიათებელი მხატვრული ხერხია და პ. ინგოროყვაც მრავლად ბეჭდავს ასეთ ტაბებს, რით აფხნათ ის გარემოება, რომ პ. ინგოროყვა ზოგჯერ ცვლის ძველ წაკითხვას და ახალ წაკითხვაში იძლევა (მის მიერ დაწუნებულ!) სიტყვათა გამეორებას?¹

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვინიშნა, რომ პ. ინგოროყვა არა-ზუსტად იმოწმებს ტექსტს. ამჯერად კიდევ ვუბრუნდებით ამ საკითხს.

შესწორება 183.

1951 წ. გამოცემაში: „ცოტა, მაგრა ყოველგნით სიკეთე—მიუწვდომელი“ (600, 2)

გასწორდა: „ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგნით სიკეთე—მიუწვდომელი“ — წერს პ. ინგოროყვა 443-ე გვერდზე და იმოწმებს ვახტანგისეულ გამოცემას და ხელნ...ს(!). აქ რამდენიმე შეცდომაა.

ა) 1951 წ. გამოცემაში წერია: „სიკეთე—მიუწვდომელი“ (და არა: „მიუწვდომელი“);

ბ) 1953 წ. გამოცემაში დაბეჭდილია: „სიკეთე—მიუწვდომელი“ (და არა: „მიუწვდომელი“);

გ) ტაბი არის 600, 4 (და არა: 600, 2);

დ) ვახტანგისეულ გამოცემაში წერია: სიკეთე—მიუთხრობელი“ (სტროფი ფუ და არა: „სიკეთე-მიუწვდომელი“). ე. ი. ვახტანგისეული რედაქცია არც აქაა სწორედ დამოწმებული. ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ „ცოტა მაქვს“ ვახტანგისეული გამოცემიდან დაიმოწმა მკვლევარმა, ხოლო „სიკეთე—მიუწვდომელი“ ხელნ-ანო. ასეთი შემთხვევები (ტაბის ნაწილის დამოწმება ვახტანგისეული გამოცემიდან, ხოლო ნაწილისა ხელნაწერიდან) ახალი გამოცემის შენიშვნებში გვხვდება, მაგრამ გამომცემელი საგანგებოდ აღნიშნავს ამას (იხ. შესწ. 46, 136, 200, 236, 286, 332, 335, 453). მეტიც, ის ზოგჯერ ვარიანტულ სხვაობასაც კი შენიშნავს (იხ. შესწ. 144, 207, 230, 298).

შესწორება 230.

1951 წ. გამოცემაში: „ჰკადრე: „ვით გაქოს ყოველმან პირმან არ შეუზრახემან“ (737, 1)

1953 წ. გასწორდა: „ჰკადრე: „ვით გაქოს ყოველმან პირმან არ შეუზრახემან“—წერს პ. ინგოროყვა 452-ე გვერდზე. იმოწმებს პირველ ბეჭდურ გამოცემას. აქაც რამდენიმე შეცდომაა.

¹ შესწ. 53, 123, 161.

ა) 1951 წ. გამოცემაში წერია: „ჰკადრე: „ვინ გაქოს...“ (და არა: „ვით გაქოს...“);

ბ) 1953 წ. გამოცემაში დაბეჭდილია: „ჰკადრე: „ვინ გაქოს...“ (და არა „ვით გაქოს...“);

გ) ტაეპი არის 738,1 (და არა: 737, 1);

დ) ვახტანგისეულ გამოცემაში (ლკმ) იკითხება: „ჰკადრე: „ვინ გაქოს...“ (და არა: „ვით გაქოს...“).

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითება სტროფებსა თუ ტაეპებზე ხშირად მცდარია (იხ. შესწ. * 74, 123, 279, 398, 420^a, 182 და სხვა). ძალზე ხშირია შემთხვევები 1951 თუ 1953 წ. გამოცემების შეცდომით დამოწმებისა (იხ. შესწ. 36, 75, 81, 93, 104, 125, 140, 142, 168, 192, 238, 264, 268, 332, 337, 338, 394).

საკიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. ზოგჯერ მოცემულია შესწორება (რამდენად მართებულია შესწორება, ამას ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა), მაგრამ არაა მითითებული წყარო შესწორებისა. პ. ინგოროყვა არ ასახელებს ხელნაწერს, არც ვახტანგისეულ გამოცემას, არც რომელიმე სხვა გამოცემას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს შესწორება გამომცემელს ეკუთვნის და მის კონიექტურას წარმოადგენს. თუ ასეთი შესწორებების შემცველ ტაეპებს ძველ გამოცემებში მოვძებნით, ვნახავთ, რომ ზოგი მათგანი უკვე მოცემული იყო ადრე და, მაშასადამე, პ. ინგოროყვას კონიექტურა არაა (იხ., მაგალითად, შესწორება 63, 112)¹.

ამით ვამთავრებთ ჩვენს შენიშვნებს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის შესახებ. როგორც დავინახეთ, სარეცენზიო წიგნის კვლევიით ნაწილის კონცეფციური მხარე სუსტია და ისტორიულ-ლიტერატურული დებულებანი მცდარი. პოემის ტექსტში რედაქტორის მიერ შეტანილ შესწორებათაგან ზოგი მნიშვნელოვანია და საყურადღებო, შესაწყნარებელი და გასაზიარებელი, მაგრამ შესწორებათა მეტი წილი თვითნებური, მცდარი და მიუღებელია.

მკითხველი საზოგადოებრიობა კვლავ გულმოდგინედ მოელის „ვეფხისტყაოსნის“ ჯეროვნად აღდგენილსა და სათანადოდ შესწორებულ ტექსტს².

(შემოვიდა რედაქციაში 1954 2. VI.)



¹ შესწ. 63, სტროფი 128, 4: „მოლაზოცა“ (ს. კაკაბაძე, I, 116; II, 102; შესწ. 376, 1: „ცეცხლი გულსა“ (ვახტანგი, ტოა; ი. აბულაძე, I, 319; II, 292; კ. ვიციანიძე, 418).

² ჩვენი წერილის აწყობისა და ბეჭდვის პროცესში პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე რეცენზია [ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის შესახებ, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 5. VI. 54, № 67 (5859); მ. გიგინეიშვილი, კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 8. VII. 54, № 81 (5873); ს. ჩხაიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26. X. 54, № 128 (5920)], რომელთა ავტორები ავლენენ „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის ნაკლებოვან მხარეებს. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ზოგი ჩვენი შენიშვნა ემთხვევა აღნიშნული ავტორების შენიშვნებს.

გადაეცა წარმოებას 17/VIII-1954 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-1954 წ. ტირაჟი 500.
ფე 17234. სასტამბო თაბახი 33,56. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,35. შეკვეთის № 794.

ფასი 10 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა,
უნივერსიტეტის ქ., 1.

Типография издательства ТГУ имени Сталина, Университетская, 1.